ი. სტალინი

თხზულებანი

6

იბეჭდება
ს ა ქ ა ვ შ ი რ ო
კომუნისტური პარტიის
(ბოლშევიკების)
ცენტრალური კომიტეტის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ი თ

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

ИНСТИТУТ МАРКСА—ЭНГЕЛЬСА—ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

И.В. СТАЛИН

СОЧИНЕНИЯ

★

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
Москва · 1947

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ი. ბ. სტალინი

თხზულებანი

★

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
თბილისი • 1949

ი. ბ. სტალინი

ტომი

6

1924

წინასიტყვაობა

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეექვსე ტომში შეტანილია 1924 წელს დაწერილი ნაწარმოებები.

1924 წელი იყო პირველი წელი, როდესაც ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა ხალხი განაგრძობდნენ თავის შემოქმედებითს მუშაობას სოციალიზმის მშენებლობის დარგში ულენინოდ, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. ამხანაგმა სტალინმა შეამჭიდროვა პარტია ცენტრალური კომიტეტის გარშემო და დარაზმა იგი სსრ კავშირში სოციალიზმის აშენებისათვის საბრძოლველად.

ამხანაგ სტალინის ამ ტომში შესულმა ნაწარმოებებმა უდიდესი როლი შეასრულეს ტროცკიზმისა და სხვა ანტილენინური დაჯგუფებების იდეურ განადგურებაში, ლენინიზმის დაცვის, დასაბუთებისა და განვითარების საქმეში.

მეექვსე ტომი იწყება ამხანაგ სტალინის საუბრით რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან «დისკუსიის შესახებ» და მოხსენებით რკპ(ბ) XIII კონფერენციაზე «პარტიული მშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ». საუბარიც და მოხსენებაც მიძღვნილია ტროცკიზმის მხილებისადმი და ბოლშევიკური პარტიის იდეური და ორგანიზაციული ერთიანობისათვის ბრძოლისადმი.

საბჭოების სრულიად საკავშირო II ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში «ლენინის გარდაცვალების გამო» ამხანაგმა სტალინმა ბოლშევიკური პარტიის სახელით დასდო დიადი ფიცი ვ. ი. ლენინის ანდერძის წმიდად დაცვისა და განხორციელების შესახებ.

ტომში შესულია ი. ბ. სტალინის ცნობილი ნაშრომი «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ», რომელშიც ოსტატურად გადმოცემულია და თეორიულად დასაბუთებულია ლენინიზმი.

საერთაშორისო მდგომარეობის, პარტიის შინაგანი ცხოვრებისა და მისი განმტკიცების, გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის, სოციალიზმის სულისკვეთებით მშრომელი მასების აღზრდისა და გარდაქმნის საკითხებისადმი მიძღვნილია შრომები: «ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ანგარიში რკპ(ბ) XIII ყრილობას», «რკპ(ბ) XIII ყრილობის შედეგების შესახებ», «საერთაშორისო მდგომარეობისათვის», «პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ სოფლად» და სხვა.

ტომი თავდება ნაწარმოებით «ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა», სადაც თეორიულად განზოგადებულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამოცდილება, დასაბუთებული და განვითარებულია ლენინური მოძღვრება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ.

ტომში პირველად ქვეყნდება «წერილი ამხ. დემიან ბედნის».

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი

1924

დისკუსიის შესახებ

საუბარი რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან

1924 წ. 9 იანვარი

მხოლოდ სრულიად საკავშირო პარტიული კონფერენცია, რომელიც ერთი კვირის შემდეგ უნდა შესდგეს, საბოლოოდ შეაჯამებს რუსეთის კომპარტიაში (ბ) და მის პრესაში ფართოდ გაშლილი დისკუსიის შედეგებს. უკვე ახლა პარტორგანიზაციების იმ რეზოლუციების მიხედვით, რაც ადგილებიდან მოგვდის, უეჭველია, რომ რუსეთის კომპარტიაში (ბ) დარაზმულ წევრთა მთელი მასის 90%-ზე მეტი ცენტრალური კომიტეტის პოზიციას იწონებს.

პარტიას კარგად ესმის, რომ ჩვენი მტრები ცდილობენ გამოიყენონ გაჩაღებული დისკუსია იმისათვის, რომ გაავრცელონ ყოველგვარი მონაჭორი რუსეთის კომპარტიის (ბ) ვითომდა გახრწნის, საბჭოთა ხელისუფლების დასუსტების შესახებ და სხვ. ჩვენი დისკუსიის ამგვარი შეფასება, თუ მეტი არა, სასაცილოა. სინამდვილეში, ჩვენს პარტიაში არა ერთხელ წარმოშობილ დისკუსიებს შედეგად მუდამ ის მოსდევდა, რომ თავიდან ვიცილებდით უთანხმოებას. პარტია ამ დისკუსიებიდან ყოველთვის

კიდევ უფრო შემჭიდროებული და განმტკიცებული გამოსულა. ახლანდელმა დისკუსიამ გამოავლინა უაღრესად დიდი პოლიტიკური სიმწიფე მუშათა მასებისა, რომლებიც სსრ კავშირში სახელმწიფო ძალაუფლების მატარებელნი არიან. უნდა განვაცხადო — და ყველას, ვინც კი დისკუსიის შინაარსს იცნობს, შეუძლია ამაში დარწმუნდეს, — რომ ყველა ძირითად პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხში პარტიის უდიდეს უმრავლესობაში აზრთა სრული ერთიანობა ბატონობს. ჩვენი საგარეო და საშინაო პოლიტიკის საფუძვლები ურყევი რჩება.

დავის არსი, რაზედაც დიდი აღგზნებით წარმოებს დისკუსია პარტიული ორგანიზაციების უკლებლივ ყველა კრებაზე, შემდეგში მდგომარეობს:

1) უნდა იყოს ჩვენი პარტია ერთიანი თვითმოქმედი ორგანიზმი ერთიანი ნებისყოფით თუ, პირიქით, უნდა დავუშვათ ცალკეული ფრაქციებისა და დაჯგუფებების შექმნა, როგორც შეთანხმების დამდები მხარეებისა პარტიის შიგნით?

2) გაამართლა ძირითადად თავისი თავი ეგრეთწოდებულმა ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ თუ იგი გადასინჯვას საჭიროებს?

ცენტრალური კომიტეტი პარტიის უდიდეს უმრავლესობასთან ერთად ფიქრობს, რომ პარტია ერთიანი უნდა იყოს, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა გადასინჯვას არ საჭიროებს. მცირერიცხოვანი ოპოზიციური ჯგუფი, რომელსაც თავის შემადგენლობაში ერთი-ორი ცნობილი პირი ჰყავს, სხვა თვალსაზრისს ადგას, ვიდრე მთელი პარტია მთლიანად.

ამომწურავი და თანაც სრულიად აშკარა დისკუსიის საშუალებით პარტია ცდილობს გამოარკვიოს ამ საკითხის ყველა დეტალი. პარტიული კონფერენცია გამოიტანს ამ

საკითხზე თავის ავტორიტეტულ გადაწყვეტილებას, რომელიც სავალდებულო იქნება პარტიის ყველა წევრისათვის.

დარწმუნებული ვარ,—დაამთავრა ამხანაგმა სტალინმა,— რომ დისკუსიის შედეგად პარტია უფრო ძლიერი და ერთიანი იქნება, ვიდრე ოდესმე, და შესძლებს კიდევ უფრო უკეთ სძლიოს ამოცანა უზარმაზარი ქვეყნის ცხოვრების ხელმძღვანელობისა დაწყებული სწრაფი სამეურნეო და კულტურული აღმავლობის პირობებში.

გაზეთი «ზარია ვოსტოკა» № 473,
1924 წ. 10 იანვარი.

რკპ(ბ) XIII კონფერენცია [1]

1924 წ. 16 — 18 იანვარი

რუსეთის კომუნისტური
პარტიის (ბოლშევიკების)
მეცამეტე კონფერენცია.
ბიულეტენი. მ., 1924.

1. მოხსენება პარტიული მშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ

17 იანვარი

ამხანაგებო! ჩვენი ორატორები სადისკუსიო კრებებზე ჩვეულებრივად საკითხის ისტორიით იწყებენ ხოლმე: როგორ წარმოიშვა შინაპარტიული დემოკრატიის საკითხი, ვინ თქვა პირველად ანი, ვინ წარმოთქვა მერე ბანი და სხვ. მე ვფიქრობ, ეს მეთოდი ჩვენთვის უვარგისია, იმიტომ რომ მას კინკლაობისა და ურთიერთი ბრალდებების ელემენტი შემოაქვს და საკეთილოს არაფერს გვაძლევს. მე ვფიქრობ, ბევრად აჯობებს, რომ დავიწყოთ იმ საკითხით, თუ როგორ შეხვდა პარტია პოლიტბიუროს რეზოლუციას დემოკრატიის შესახებ[1], რომელიც შემდეგ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაადასტურა.

უნდა აღვნიშნო, რომ ეს რეზოლუცია, მგონი, ერთადერთია ჩვენი პარტიის მთელ ისტორიაში, რომელიც, დემოკრატიის საკითხზე გააფთრებული დისკუსიის შემდეგ, სავსებით — მე ვიტყოდი: მართლაცდა ერთსულოვნად — მოიწონა მთელმა პარტიამ. თვით ოპოზიციურმა ორგანიზაციებმა და უჯრედებმაც კი, რომელნიც საერთოდ განწყობილი იყვნენ პარტიის უმრავლესობის წინააღმდეგ და ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ, მათაც კი, მიუხე-

დავად იმისა, რომ დიდად სურდათ რაიმე მიზეზი გამოეძებნათ, ვერ იპოვეს საამისო საბაბი და საფუძველი, და ჩვეულებრივ თავიანთ რეზოლუციებში ეს ორგანიზაციები და უჯრედები, თუმცა აღიარებდნენ პოლიტბიუროს მიერ შინაპარტიული დემოკრატიის შესახებ მიღებული რეზოლუციის ძირითად დებულებათა სისწორეს, მაინც ცდილობდნენ რითიმე გამორჩეულიყვნენ სხვა ორგანიზაციებისაგან, რისთვისაც რეზოლუციას უმატებდნენ რაღაც კუდს, ვთქვათ, ასეთს: დიახ, თქვენ ყველაფერი კარგად გაქვთ, ოღონდ ნუ აწყენინებთ ტროცკისო; ან კიდევ ასეთს: ყველაფერი სწორად გაქვთ, მაგრამ ცოტა დააგვიანეთ, კარგი იქნებოდა, ყოველივე ეს ადრე გაგეკეთებინათო. მე არ ვაყენებ აქ იმის საკითხს, თუ ვინ ვის აწყენინებს. მე ვფიქრობ, თუ კარგად გავერკვევით, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ცნობილი თქმა ტიტ ტიტიჩზე საკმაოდ ახლოს მიუდგება ტროცკის: «შენ ვინ გაწყენინებს, ტიტ ტიტიჩ? შენ თვითონ ყველას აწყენინებ». (სიცილი). მაგრამ მე ვთქვი, რომ ამ საკითხს არ გამოვუდგები. ისიც კი დასაშვებად მიმაჩნია, რომ ტროცკის შეიძლება მართლა აწყენინებს ვინმე. მაგრამ განა ესაა საკითხის არსი? რა არის აქ პრინციპული ამ წყენინების საკითხში? საქმე ხომ რეზოლუციის პრინციპულ მხარეს ეხება და არა იმას, თუ ვინ ვის აწყენინა. ამით იმის თქმა მინდა, რომ თვით მკვეთრად და უხეშად ოპოზიციური უჯრედები და ორგანიზაციებიც, ისინიც კი ვერ კისრულობდნენ პრინციპული რამ ეთქვათ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის რეზოლუციის წინააღმდეგ. მე ამას აღვნიშნავ, როგორც ფაქტს იმისათვის, რათა ერთხელ კიდევ ხაზი გავუსვა, რომ ძნელია ჩვენი პარტიის მთელ ისტორიაში მოინახოს მეორე ამგვარი ფაქტი, როდესაც გააფთრებული დისკუსიის ქარცეცხლში

გატარებულ რეზოლუციას არა თუ უმრავლესობაში, არამედ პირდაპირ მთელ პარტიაში ასეთი ერთსულოვანი მოწონება მოეპოვებინოს.

აქედან ორ დასკვნას ვაკეთებ. პირველი დასკვნა ის არის, რომ, მაშასადამე, პოლიტბიუროს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის რეზოლუცია სავსებით შეესაბამება პარტიის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს ახლანდელ მომენტში. და მეორე დასკვნა ის არის, რომ, მაშასადამე, პარტია ამ დისკუსიიდან შინაპარტიული დემოკრატიის საკითხის შესახებ განმტკიცებული და უფრო შემჭიდროებული გამოვა. ეს დასკვნა, ასე ვთქვათ, შიგ გულში ხვდება იმ ჩვენს საზღვარგარეთელ არაკეთილმოსურნეთ, რომელნიც დიდი ხანია ჩვენს დისკუსიასთან დაკავშირებით ხელებს იფშვნეტენ და ფიქრობენ, რომ დისკუსიის შედეგად ჩვენი პარტია დასუსტდება, ხოლო ხელისუფლება დაიშლება.

სიტყვას არ გავაგრძელებ შინაპარტიული დემოკრატიის დედაარსზე. ამ დემოკრატიის საფუძვლები მოცემულია რეზოლუციაში, რეზოლუცია კი მთელმა პარტიამ თავიდან ბოლომდე დისკუსიაში გაატარა, — რაღა საჭიროა, რომ აქ კიდევ გავიმეორო? ვიტყვი მხოლოდ ერთს, რომ გაშლილი დემოკრატია, სრული დემოკრატია, ალბათ, არ გვექნება. ეს დემოკრატია, ალბათ, იქნება დემოკრატია X, XI და XII ყრილობების მიერ მოხაზულ ჩარჩოებში. რაში მდგომარეობს ეს ჩარჩოები — თქვენ კარგად იცით, და აქ აღარ გავიმეორებ. არც იმაზე გავაგრძელებ სიტყვას, რომ ძირითადი გარანტია იმისა, რომ შინაპარტიული დემოკრატია ჩვენს პარტიას ძვალსა და რბილში გაუჯდეს, — ესაა პარტიული მასების აქტივობისა და მათი შეგნებულობის გაძლიერება. ამაზედაც საკმაოდ დაწვრილებით არის ნათქვამი ჩვენს რეზოლუციაში.

გადავდივარ იმ საკითხზე, თუ როგორ აქცევენ ფეტიშად დემოკრატიის საკითხს ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი და ზოგიერთი ორგანიზაცია, იხილავენ რა მას როგორც რაღაც აბსოლუტურს, დროისა და სივრცის გარეშე. ამით იმის თქმა მინდა, რომ დემოკრატია არ არის რაღაც ყველა დროისა და პირობებისათვის მოცემული რამ, ვინაიდან არის მომენტები, როდესაც მისი გატარება შეუძლებელია და უაზრობაცაა. იმისათვის, რომ იგი, ეს შინაპარტიული დემოკრატია, შესაძლებელი გახდეს, საჭიროა ორი პირობა ან ორი ჯგუფი პირობებისა, საშინაო და საგარეო პირობებისა, ურომლისოდაც ფუჭია დემოკრატიაზე ლაპარაკი.

ჯერ-ერთი, აუცილებელია, რომ ინდუსტრია ვითარდებოდეს, რომ მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობა არ უარესდებოდეს, რომ მუშათა კლასი რაოდენობრივად იზრდებოდეს, რომ მუშათა კლასის კულტურულობა მაღლდებოდეს, და რომ მუშათა კლასი ხარისხობრივადაც იზრდებოდეს. აუცილებელია, რომ პარტია, როგორც მუშათა კლასის ავანგარდი, აგრეთვე იზრდებოდეს, უწინარეს ყოვლისა, ხარისხობრივად, და უწინარეს ყოვლისა, ჩვენი ქვეყნის პროლეტარული ელემენტების ხარჯზე. ეს შინაგანი ხასიათის პირობები აბსოლუტურად აუცილებელია იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს დავაყენოთ საკითხი შინაპარტიული დემოკრატიის ნამდვილად, და არა ქაღალდზე, გატარებისა.

მაგრამ მარტო ეს პირობები არ კმარა. მე უკვე ვთქვი, რომ არის კიდევ მეორე ჯგუფი პირობებისა, საგარეო ხასიათის პირობებისა, და თუ ეს პირობები არ არის, დემოკრატია პარტიის შიგნით შეუძლებელია. მე მხედველობაში მაქვს განსაზღვრული საერთაშორისო პირობები, რომლებიც ცოტად თუ ბევრად უზრუნველყოფენ მშვიდობიანობას, მშვიდობიან განვითარებას, ურომლისოდ დე-

მოკრატია პარტიაში წარმოუდგენელია. სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ თავს დაგვესხნენ და ჩვენ დაგვჭირდა იარაღით ქვეყნის დაცვა, დემოკრატიაზე ლაპარაკიც შეუძლებელი იქნება, რადგან მოგვიხდება მისი შეკვეცა. პარტია მობილიზებული იქნება, ალბათ მოვახდენთ მის მილიტარიზაციას, და შინაპარტიული დემოკრატიის საკითხი თავისთავად მოიხსნება.

აი რატომ ვფიქრობ, რომ დემოკრატია უნდა განვიხილოთ პირობების მიხედვით, რომ შინაპარტიული დემოკრატიის საკითხებში ფეტიშიზმს ადგილი არ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან, როგორც ხედავთ, შინაპარტიული დემოკრატიის გატარება ყოველ განსაზღვრულ მომენტში დროისა და ადგილის კონკრეტულ პირობებზეა დამოკიდებული.

ზედმეტი გატაცებანი და დაუსაბუთებელი ბრალდებები რომ აღარ იყოს, უნდა მოგაგონოთ აგრეთვე ის დაბრკოლებები, რაც წინ ეღობება პარტიას დემოკრატიის გატარების საქმეში, — დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლიან დემოკრატიის გატარებას მაშინაც კი, როცა არსებობს ზემოხსენებული ორი ძირითადი ხელსაყრელი პირობა — საშინაო და საგარეო. ამხანაგებო, ეს დაბრკოლებანი არსებობენ, ისინი დიდ გავლენას ახდენენ ჩვენს პარტიულ მუშაობაზე, და მე უფლება არა მაქვს დავფარო ისინი. რაში მდგომარეობენ ეს დაბრკოლებანი?

ეს დაბრკოლებანი, ამხანაგებო, მდგომარეობენ, ჯერერთი, იმაში, რომ ჩვენი მუშაკების ერთი ნაწილის გონებაში ჯერ კიდევ ცოცხლობენ გადმონაშთები ძველი სამხედრო პერიოდისა, როდესაც პარტია მილიტარიზებული გვყავდა, — ნაშთები, რომლებიც წარმოშობენ ზოგიერთ არამარქსისტულ შეხედულებას, თითქოს ჩვენი პარტია იყოს არა თვითმოქმედი ორგანიზმი, რომელიც დამოუკიდებელი იდეური და პრაქტიკული ცხოვრებით ცხოვრობს, არამედ

რაღაც დაბალ, საშუალო და უმაღლეს დაწესებულებათა სისტემის მაგვარი რამ. მართალია, ამ აბსოლუტურად არამარქსისტულ შეხედულებას დამთავრებული სახე ჯერ არსად მიუღია, დამთავრებულად იგი გამოთქმული არსად ყოფილა, მაგრამ ამ შეხედულების ელემენტები ცოცხლობენ ჩვენი იმ მუშაკების ერთი ნაწილის გონებაში, რომელნიც პარტიულ მოვალეობას ასრულებენ, და ეს ელემენტები ხელს უშლიან მათ თანმიმდევრულად გაატარონ შინაპარტიული დემოკრატია. აი რატომ არის, რომ ბრძოლა ამგვარ შეხედულებებთან, ბრძოლა სამხედრო პერიოდის გადმონაშთებთან როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, ჩვენი პარტიის მორიგ ამოცანას წარმოადგენს.

მეორე დაბრკოლებას, რომელიც წინ ეღობება პარტიაში დემოკრატიის გატარებას, წარმოადგენს ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატის ზეგავლენა პარტიულ აპარატზე, ჩვენს პარტიულ მუშაკებზე. ამ ვეება აპარატის ზეგავლენას ჩვენს პარტიულ მუშაკებზე ყოველთვის როდი ვამჩნევთ, იგი ყოველთვის არ გვეცემა თვალში, მაგრამ ერთი წუთითაც არ წყდება. ვეება სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის ეს ზეგავლენა, ბოლოს და ბოლოს, თავს იჩენს იმაში, რომ მთელი რიგი ჩვენი მუშაკები ცენტრშიც და ადგილებზედაც, ხშირად თავისი ნება-სურვილის წინააღმდეგ და სრულიად შეუგნებლად, სცილდებიან შინაპარტიულ დემოკრატიას, სცილდებიან იმ ხაზს, რომლის სისწორე მათ სწამთ, მაგრამ რომლის ბოლომდე გატარება მათ ხშირად არ ძალუძთ. თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატი, სადაც ითვლება არა ნაკლებ ერთი მილიონი მოსამსახურისა, აპარატი, რომელიც მეტწილად პარტიისათვის უცხო ელემენტებისაგან შესდგება, და ჩვენი პარტიული აპარატი, სადაც არის არა უმეტეს 20 — 30 ათასი კაცისა, რომელნიც მოწოდებული

არიან დაუმორჩილონ სახელმწიფო აპარატი პარტიას, მოწოდებული არიან მოახდინონ მისი სოციალიზაცია. რად ღირს ჩვენი სახელმწიფო აპარატი, თუ მას პარტია მხარს არ უჭერს? ჩვენი პარტიული აპარატის დაუხმარებლად, მხარდაუჭერლად ის, სამწუხაროდ, ბევრი არაფერი ღირს. და აი ყოველთვის, როდესაც ჩვენი პარტიული აპარატი შეყოფს თავის ბრჭყალებს სახელმწიფო მმართველობის ყველა დარგში, მას ხშირად უხდება თავისი პარტიული მუშაობა ამ ორგანოებში სახელმწიფო აპარატების ხაზს გაუსწოროს. კონკრეტულად: პარტიამ უნდა აწარმოოს მუშაობა მუშათა კლასის პოლიტიკური განათლებისათვის, მუშათა კლასის შეგნების გაღრმავებისათვის, ამავე დროს კი საჭიროა სასურსათო გადასახადის აკრეფა, ამა და ამ კამპანიის ჩატარება, ვინაიდან უკამპანიოდ, პარტიის მხრივ დაუხმარებლად სახელმწიფო აპარატები თავის დავალებას ვერ შეასრულებენ. და აქ ჩვენი მუშაკები ორ ცეცხლს შუა ექცევიან: ესაა, ერთი მხრივ, სახელმწიფო აპარატების მუშაობის ხაზის გამოსწორების აუცილებლობა, აპარატების, რომელნიც ძველებურად მუშაობენ, და, მეორე მხრივ, მუშებთან კავშირის შენარჩუნების აუცილებლობა. და ისინი აქ ხშირად თვითონ ბიუროკრატული ხდებიან.

ასეთია მეორე დაბრკოლება, რომლის დაძლევა ძნელია, მაგრამ რომელიც, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა ვძლიოთ, რათა გავაადვილოთ შინაპარტიული დემოკრატიის გატარება.

ბოლოს, არსებობს კიდევ მესამე დაბრკოლება, რომელიც წინ ეღობება დემოკრატიის განხორციელებას, — ესაა დაბალი კულტურული დონე მთელი რიგი ჩვენი ორგანიზაციებისა, ჩვენი უჯრედებისა, განსაკუთრებით განაპირა მხარეებში (დაე ნუ გვიწყენენ ისინი), რაც ხელს უშლის ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს ბოლომდე გაატარონ

შინაპარტიული დემოკრატია. თქვენ იცით, რომ დემოკრატია მოითხოვს მთლიანად უჯრედისა და ორგანიზაციის წევრთა კულტურულობის ერთგვარ მინიმუმს და აქტიური მუშაკების ერთგვარი მინიმუმის არსებობას, რომლებიც შეგვიძლია ავირჩიოთ და პოსტებზე დავაყენოთ. მაგრამ როგორ მოვიქცეთ, თუ ორგანიზაციაში აქტიურ მუშაკთა ასეთი მინიმუმი არ მოგვეპოვება, თუ თვით ორგანიზაციის კულტურული დონე დაბალია? ბუნებრივია, რომ აქ გვიხდება გადავუხვიოთ დემოკრატიიდან, მივმართოთ თანამდებობის პირთა დანიშვნას და სხვ.

ასეთია დაბრკოლებები, რომლებიც წინ გვეღობებოდნენ და კიდევ გადაგვეღობებიან და რომლებიც ჩვენ უნდა გადავლახოთ, რათა პატიოსნად და ბოლომდე გავატაროთ შინაპარტიული დემოკრატია.

მე მოგაგონეთ ჩვენს წინაშე მდგომი ეს დაბრკოლებანი და ის საგარეო და საშინაო პირობები, ურომლისოდ დემოკრატია ცარიელ დემაგოგიურ ფრაზად იქცევა, იმიტომ რომ ზოგიერთი ამხანაგი დემოკრატიის საკითხს ფეტიშად, აბსოლუტად აქცევს და ფიქრობს, რომ დემოკრატია შეიძლება განხორციელდეს ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში, და რომ მის გატარებას თითქოს ხელს უშლის მხოლოდ «აპარატელების» «ბოროტი» ნება. აი ამ იდეალისტური შეხედულების, არა ჩვენი, არა მარქსისტული, არა ლენინური შეხედულების საწინააღმდეგოდ მოგაგონეთ მე, ამხანაგებო, დემოკრატიის გატარების პირობები და ის დაბრკოლებანი, რაც ახლანდელ მომენტში წინ გვეღობება.

მე შემეძლო, ამხანაგებო, ამით დამემთავრებინა ჩემი მოხსენება, მაგრამ მგონია, რომ ჩვენ ვალდებული ვართ შევაჯამოთ დისკუსიის შედეგები და ამ შეჯამებიდან გამოვიტანოთ ზოგიერთი დასკვნა, რასაც ჩვენთვის შეიძლება სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდეს. მე შემეძლო მთელი

ჩვენი ბრძოლა დისკუსიის ხაზით, დემოკრატიის საკითხში, სამ პერიოდად გამეყო.

პირველი პერიოდია, როცა ოპოზიცია თავს დაესხა ცენტრალურ კომიტეტს და ბრალად სდებდა მას, თითქოს უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, საერთოდ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდში, ცენტრალური კომიტეტის მთელი ხაზი არასწორი ყოფილიყოს. ეს იყო პერიოდი პოლიტბიუროს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის რეზოლუციის გამოქვეყნებამდე. არ შევეხები იმას, თუ ვინ იყო აქ მართალი და ვინ — მტყუანი. თავდასხმები იყო სასტიკი და, როგორც იცით, არა ყოველთვის დასაბუთებული. მაგრამ ერთი ცხადია, რომ ეს პერიოდი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც პერიოდი ოპოზიციის ყველაზე მძაფრი თავდასხმებისა ცენტრალურ კომიტეტზე.

მეორე პერიოდი დაიწყო იმ მომენტიდან, როცა გამოქვეყნდა პოლიტბიუროს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის რეზოლუცია, როცა ოპოზიცია დადგა იმ აუცილებლობის წინაშე, რომ დაეპირისპირებინა ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციისათვის მთლიანი, კონკრეტული რამ, და როცა ოპოზიციას არაფერი არც მთლიანი და არც კონკრეტული არ აღმოაჩნდა. ეს იყო პერიოდი ცენტრალური კომიტეტის და ოპოზიციის უმეტესი დაახლოებისა. საქმე, როგორც ჩანდა, თავდებოდა, ან შეიძლებოდა გათავებულიყო იმით, რომ მოხდებოდა ოპოზიციის ერთგვარი შერიგება ცენტრალური კომიტეტის ხაზთან. კარგად მახსოვს, რომ მოსკოვში, სადისკუსიო ბრძოლის ცენტრში, მგონი, 12 დეკემბერს სვეტებიან დარბაზში შემდგარ სხდომაზე პრეობრაჟენსკიმ შემოიტანა რეზოლუცია, რომელიც რატომღაც უარყვეს, მაგრამ რომელიც ბევრით არ განირჩეოდა ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციისაგან.

ძირითადად ეს რეზოლუცია, ზოგიერთ მეორეხარისხოვან პუნქტშიც კი, სრულიად არ განსხვავდებოდა ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციისაგან. და მაშინ მე მეგონა, რომ, კაცმა რომ თქვას, საჩხუბარი აღარაფერია: არის ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია, ის ცხრა მეათედით მაინც ყველას აკმაყოფილებს, თვითონ ოპოზიცია, როგორც ჩანს, ამას გრძნობს, ხელს გვიწვდის, და ჩვენ იქნებ ამით მოვრჩეთ-მეთქი უთანხმოებას. ეს იყო მეორე, შემრიგებლური პერიოდი.

მაგრამ შემდეგ დადგა მესამე პერიოდი. ეს პერიოდი დაიწყო ტროცკის გამოსვლით, მისი მიმართვით რაიონებისადმი, გამოსვლით, რომელმაც თვალის დახამხამებაში გააქრო შემრიგებლური ტენდენციები და ყველაფერი ცეცხლამალა დააყენა. ტროცკის ამ გამოსვლის შემდეგ დაიწყო პერიოდი უსასტიკესი შინაპარტიული ბრძოლისა, — ბრძოლისა, რომელსაც არ ექნებოდა ადგილი, ტროცკი რომ თავისი წერილით არ გამოსულიყო მეორე დღეს მას შემდეგ, რაც მან პოლიტბიუროს რეზოლუციას მისცა ხმა. თქვენ იცით, რომ ტროცკის პირველ გამოსვლას მოჰყვა მეორე, მეორეს — მესამე, და ბრძოლა ამასთან დაკავშირებით კიდევ უფრო გამწვავდა.

მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ამ გამოსვლებში ტროცკიმ ექვსი სერიოზული შეცდომა მაინც დაუშვა. ამ შეცდომებმა გამოიწვიეს შინაპარტიული ბრძოლის გამწვავება. გადავდივარ ამ შეცდომების ანალიზზე.

ტროცკის პირველი შეცდომა გამოიხატა თვით იმ ფაქტში, რომ იგი გამოვიდა სტატიით ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის რეზოლუციის გამოქვეყნების მეორე დღეს, სტატიით, რომელიც არ შეიძლება სხვანაირად შევაფასოთ, თუ არა როგორც ცენ-

ტრალური კომიტეტის რეზოლუციისადმი დაპირისპირებული პლატფორმა. მე ვიმეორებ და ხაზს ვუსვამ, რომ ეს იყო სტატია, რომელიც არ შეგვიძლია სხვანაირად განვიხილოთ, თუ არა როგორც ახალი პლატფორმა, ცენტრალური კომიტეტის ერთხმად მიღებული რეზოლუციისადმი დაპირისპირებული. თქვენ თვითონ იფიქრეთ, ამხანაგებო: ამა და ამ რიცხვს შეიკრიბა პოლიტბიურო და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი და დაისვა საკითხი რეზოლუციისა შინაპარტიულ დემოკრატიაზე, რეზოლუცია ერთხმად მიღებულია, და ამის შემდეგ სულ რაღაც ერთი დღის გასვლისას, ცენტრალური კომიტეტისაგან დამოუკიდებლად, ცენტრალური კომიტეტის ნების გარეშე, ცენტრალური კომიტეტისათვის გვერდის ავლით, რაიონებს დაეგზავნა ტროცკის სტატია, — ახალი პლატფორმა, რომელიც ხელახლა აყენებს აპარატისა და პარტიის საკითხს, კადრებისა და ახალგაზრდობის საკითხს, ფრაქციებისა და პარტიის ერთიანობის საკითხს და სხვ. და სხვ., — პლატფორმა, რომელსაც მთელმა ოპოზიციამ ხელი ჩასჭიდა და ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციას დაუპირისპირა. ეს არ შეიძლება სხვანაირად განვიხილოთ, თუ არა როგორც თავისი თავის დაპირისპირება ცენტრალური კომიტეტისადმი. ესაა ტროცკის მხრივ თავისი თავის აშკარად და მკვეთრად დაპირისპირება მთელი ცენტრალური კომიტეტისადმი. პარტიის წინაშე დაისვა კითხვა: გვყავს ჩვენ ცენტრალური კომიტეტი, როგორც ხელმძღვანელი ორგანო, თუ იგი აღარ არის, არსებობს ცენტრალური კომიტეტი, რომლის ერთხმად მიღებულ გადაწყვეტილებებს პატივს სცემენ ამ ცენტრალური კომიტეტის წევრები, თუ არსებობს მხოლოდ ზეკაცი, ცენტრალური კომიტეტის ზემოთ მდგომი, ზეკაცი, რომლისთვისაც კანონები არ არსებობს, რომელსაც შეუძლია თავის ნებისამებრ — დღეს ხმა

მისცეს ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციას, ხვალ კი გამოაქვეყნოს და წამოაყენოს ახალი პლატფორმა ამ რეზოლუციის წინააღმდეგ? ამხანაგებო, არ შეიძლება მოვთხოვოთ მუშებს პარტდისციპლინას დაემორჩილონ, თუ ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი წევრი აშკარად, ყველას თვალწინ უგულებელყოფს ცენტრალურ კომიტეტს და მის ერთხმად მიღებულ გადაწყვეტილებას. არ შეიძლება გავატაროთ ორი დისციპლინა: ერთი მუშებისათვის და მეორე — დიდკაცებისათვის. დისციპლინა ერთი უნდა იყოს.

ტროცკის შეცდომა სწორედ ის არის, რომ მან თავისი თავი დაუპირისპირა ცენტრალურ კომიტეტს, წარმოიდგინა თავი ზეკაცად, რომელიც ცენტრალური კომიტეტის, მისი კანონების, მისი გადაწყვეტილებების ზემოთ დგას, და ამით საბაბი მისცა პარტიის განსაზღვრულ ნაწილს წარემართა მუშაობა ამ ცენტრალური კომიტეტისადმი ნდობის ძირის გამოსათხრელად.

ზოგიერთი ამხანაგი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ტროცკის ეს ანტიპარტიული აქტი აღნიშნული იყო «პრავდის» და ცენტრალური კომიტეტის ცალკეული წევრების ზოგიერთ სტატიაში. ამხანაგებო, უნდა ვთქვა ამ ამხანაგების საპასუხოდ, რომ არავითარ პარტიას არ შეუძლია პატივი სცეს ისეთ ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც ამგვარ მძიმე მომენტში ვერ გამოიჩენს უნარს — დაიცვას პარტიის ღირსება, როცა ცენტრალური კომიტეტის ერთი წევრი ცდილობს მთელ ცენტრალურ კომიტეტზე მაღლა დადგეს. ცენტრალურ კომიტეტს რომ ტროცკის ამ ცდისათვის გვერდი აეხვია, იგი მორალურად მოიკლავდა თავს.

ტროცკის მიერ დაშვებული მეორე შეცდომა ის არის, რომ დისკუსიის მთელი პერიოდის განმავლობაში ტროც-

კის ორჭოფულად ეჭირა თავი: იგი უხეშად უგულებელყოფდა პარტიის ნებას, რომელსაც სურდა მისი ნამდვილი პოზიცია გაეგო, და დიპლომატიური ფანდებით თავს არიდებდა მთელი რიგი ორგანიზაციების მიერ პირდაპირ დასმულ კითხვას: ვის მხარეზეა, ბოლოს და ბოლოს, ტროცკი, — ცენტრალური კომიტეტის თუ ოპოზიციის მხარეზე? დისკუსია თავდასაძვრენი ფანდებისათვის კი არ წარმოებს, არამედ იმისათვის, რომ პირდაპირ და პატიოსნად გადაშალო მთელი სიმართლე პარტიის წინაშე, ისე, როგორც ეს იცის ილიჩმა, ისე, როგორც ყოველი ბოლშევიკი ვალდებულია მოიქცეს. ამბობენ — ტროცკი სერიოზულად არის ავადო. დავუშვათ, რომ ის სერიოზულად არის ავად. მაგრამ თავისი ავადმყოფობის დროის განმავლობაში მან დაწერა სამი სტატია და ოთხი ახალი თავი დღეს გამოსული მისი ბროშურისა. განა ცხადი არ არის, რომ ტროცკის სრული შესაძლებლობა აქვს დაწეროს შემკითხველი ორგანიზაციების დასაკმაყოფილებლად ორი სტრიქონი იმის შესახებ, ოპოზიციის **მხარეზეა** ის თუ ოპოზიციის **წინააღმდეგია?** განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ მთელი რიგი ორგანიზაციების ნების ამ უგულებელყოფას არ შეეძლო არ გაემწვავებინა შინაპარტიული ბრძოლა.

ტროცკის მიერ დაშვებული მესამე შეცდომა ის არის, რომ მან თავის გამოსვლებში პარტიული აპარატი დაუპირისპირა პარტიას, წამოაყენა რა «აპარატელებთან» ბრძოლის ლოზუნგი. ბოლშევიზმს არ შეუძლია მიიღოს პარტიის დაპირისპირება პარტიული აპარატისადმი. რისგან შესდგება ჩვენი პარტიული აპარატი რეალურად? პარტიის აპარატი — ესაა ცენტრალური კომიტეტი, საოლქო კომიტეტები, საგუბერნიო კომიტეტები, სამაზრო კომიტეტები. ემორჩილებიან ისინი პარტიას თუ არა? რა თქმა უნდა, ემორჩილებიან, ვინაიდან ისინი 90%-ით არჩეული

არიან პარტიის მიერ. არ არიან მართალნი ისინი, ვინც ამტკიცებს — საგუბერნიო კომიტეტები ინიშნებოდნენო. არ არიან მართალნი. თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ საგუბერნიო კომიტეტებს ჩვენ ვირჩევთ, ისევე, როგორც სამაზრო კომიტეტებს, ისევე, როგორც ცენტრალურ კომიტეტს. ისინი პარტიას ემორჩილებიან. მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი აირჩევიან, მათ უნდა უხელმძღვანელონ მუშაობას, — აი რაშია საქმე. განა წარმოსადგენია პარტიული მუშაობა უიმისოდ, რომ, მას შემდეგ, რაც ყრილობამ ცენტრალური კომიტეტი აირჩია, მას შემდეგ, რაც საგუბერნიო კონფერენციამ საგუბერნიო კომიტეტი აირჩია, რომ ეს ცენტრალური კომიტეტი და საგუბერნიო კომიტეტები მუშაობას არ ხელმძღვანელობდნენ? უამისოდ ხომ ჩვენი პარტიული მუშაობა წარმოუდგენელია. ეს ხომ რაღაც შეუკავებელი ანარქო-მენშევიკური შეხედულებაა, რომელიც პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობის თვით პრინციპს უარყოფს. ვშიშობ, რომ ტროცკი, რომელსაც მე, რასაკვირველია, არ ვუპირებ მენშევიკებთან ერთ რიგში დავაყენო, პარტიისადმი პარტიული აპარატის ასეთი დაპირისპირებით ბიძგს ჰკრავს ჩვენი პარტიის ზოგიერთ გამოუწაფავ ელემენტებს — დაადგნენ ანარქო-მენშევიკური უნიათობისა და ორგანიზაციული თავაშვებულობის თვალსაზრისს. ვშიშობ, რომ ტროცკის ეს შეცდომა საფრთხის წინაშე დააყენებს პარტიის გამოუწაფავ წევრებს — მთელ ჩვენს პარტიულ აპარატს, — აპარატს, ურომლისოდ პარტია წარმოუდგენელია.

ტროცკის მიერ დაშვებული მეოთხე შეცდომა ის არის, რომ მან ახალგაზრდობა ჩვენი პარტიის კადრებს დაუპირისპირა, რომ მან გადმოისროლა ლიტონი ბრალდება ჩვენი კადრების გადაგვარების შესახებ. ტროცკიმ ჩვენი პარტია გაუტოლა გერმანიის სოციალ-დემოკრატების პარტიას,

მოიყვანა იმის მაგალითები, თუ როგორ ხდებოდა მარქსის ზოგიერთი მოწაფის, ძველი სოციალ-დემოკრატების, გადაგვარება, და აქედან გამოიტანა ის დასკვნა, რომ ჩვენი პარტიული კადრებიც გადაგვარების ასეთივე საფრთხის წინაშე დგანან. კაცმა რომ თქვას, უნდა გაგვცინებოდა იმის გამო, რომ ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი წევრი, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ოპორტუნისტებთან და მენშევიკებთან ხელიხელჩაკიდებული ებრძოდა ბოლშევიზმს, რომ ის ახლა, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მეშვიდე წელიწადს, ცდილობს, თუნდაც ვარაუდის ფორმით, ამტკიცოს, თითქოს ჩვენი პარტიის კადრები, რომელნიც დაიბადნენ, გაიზარდნენ და განმტკიცდნენ მენშევიზმთან და ოპორტუნიზმთან ბრძოლაში, თითქოს ეს კადრები გადაგვარების წინაშე დგანან. ვიმეორებ, უნდა გაგვცინებოდა ამგვარი ცდის გამო. მაგრამ რადგანაც ეს მტკიცება გამოითქვა არა ჩვეულებრივ დროს, არამედ დისკუსიის დროს, და რადგანაც ჩვენ აქ საქმე გვაქვს იმასთან, რომ კადრებს, რომლებიც შეიძლება გადაგვარდნენ, ერთგვარად უპირისპირებენ ახალგაზრდობას, რომელიც ასეთი საფრთხისაგან ვითომდა თავისუფალია ან თითქმის თავისუფალია, ამიტომ ამ ვარაუდმა, თავისთავად სასაცილომ და არასერიოზულმა, შეიძლება მოიპოვოს და უკვე მოიპოვა კიდეც განსაზღვრული პრაქტიკული მნიშვნელობა. აი რატომ ვფიქრობ, რომ ჩვენ ამ საკითხზე უნდა შევჩერდეთ.

ზოგჯერ ამბობენ, მოხუცებს პატივი უნდა ვცეთ, რადგან მათ მეტი უცხოვრიათ, ვიდრე ახალგაზრდებს, მეტი იციან და უკეთეს მითითებებს მოგვცემენო. მე, ამხანაგებო, უნდა ვთქვა, რომ ეს შეხედულება სრულიად არ არის სწორი. ყველა მოხუცს როდი უნდა ვცეთ პატივი, და ყველა გამოცდილება როდია ჩვენთვის მნიშვნელოვანი. როგორი გამოცდილებაა — ეს არის მთელი საქმე. გერმა-

ნიის სოციალ-დემოკრატიაში არიან საკუთარი კადრები, ძალიან გამოცდილი კადრები: შეიდემანი, ნოსკე, ველსი და სხვ., უაღრესად გამოცდილი კადრები, რომელნიც დიდად გაწაფული არიან ბრძოლაში... მაგრამ რასთან ბრძოლაში? ვისთან ბრძოლაში? როგორი გამოცდილებაა — ეს არის მთელი საქმე. იქ კადრები გაიზარდნენ რევოლუციურობასთან ბრძოლაში, ბრძოლაში არა პროლეტარიატის დიქტატურისათვის, არამედ პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ. ეს უდიდესი გამოცდილებაა, მაგრამ ეს გამოცდილება არის უარყოფითი გამოცდილება. ახალგაზრდობა, ამხანაგებო, ვალდებულია ანადგუროს ეს გამოცდილება, გააცამტვეროს იგი და განდევნოს ასეთი მოხუცები. იქ, გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში, სადაც ახალგაზრდობა თავისუფალია რევოლუციურობასთან ბრძოლის გამოცდილებისაგან, იქ ეს ახალგაზრდობა უფრო ახლოს დგას რევოლუციურობასთან ან უფრო ახლოს დგას მარქსიზმთან, ვიდრე ძველი კადრები, რომელნიც დატვირთული არიან პროლეტარიატის რევოლუციურ სულისკვეთებასთან ბრძოლის გამოცდილებით, დატვირთული არიან ოპორტუნიზმისათვის რევოლუციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილებით. ასეთ კადრებს უნდა ვანადგურებდეთ, და მთელი ჩვენი სიმპათია უნდა იყოს იმ ახალგაზრდობის მხარეზე, რომელიც, ვიმეორებ, თავისუფალია რევოლუციურობასთან ბრძოლის ამ გამოცდილებისაგან და რომელიც ამის გამო მით უფრო ადვილად ითვისებს პროლეტარიატის დიქტატურისათვის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ ხერხებს და ახალ მეთოდებს. იქ, გერმანიაში, საკითხის ასე დაყენება ჩემთვის გასაგებია. ტროცკი რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიაზე და ასეთი პარტიის კადრებზე ლაპარაკობდეს, მე ორივე ხელს მოვაწერდი მის განცხადებას. მაგრამ ჩვენში ხომ საქმე ეხება სხვა პარტიას — კომუ-

ნისტურ პარტიას, ბოლშევიკების პარტიას, რომლის კადრებიც წარმოიშვნენ ოპორტუნიზმთან ბრძოლაში, განმტკიცდნენ ოპორტუნიზმთან ბრძოლაში, გაიზარდნენ და აიღეს ძალაუფლება იმპერიალიზმთან ბრძოლაში, იმპერიალიზმის ყოველგვარ ოპორტუნისტ მაჩანჩალებთან ბრძოლაში. განა ცხადი არ არის, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს პრინციპულ განსხვავებასთან? რანაირად შეიძლება, რომ კადრები, რომელნიც გაიზარდნენ რევოლუციურობისათვის ბრძოლაში, კადრები, რომლებმაც ჩაატარეს ბრძოლა რევოლუციურობისათვის, კადრები, რომლებმაც ხელთ იგდეს ძალაუფლება იმპერიალიზმთან ბრძოლებში, კადრები, რომელნიც მსოფლიო იმპერიალიზმის ფუძეს არყევენ, რანაირად შეიძლება, რომ ეს კადრები, თუ სიმართლით ვიტყვით და თაღლითობას უკუვაგდებთ, — რანაირად შეიძლება, რომ ეს კადრები გავუტოლოთ ისეთ კადრებს, როგორიცაა გერმანიის სოციალ-დემოკრატია, რომელიც წინათ ვილჰელმთან მეგობრობდა მუშათა კლასის წინააღმდეგ და ახლა სექტთან მეგობრობს, რომელიც განმტკიცდა და ჩამოყალიბდა პროლეტარიატის რევოლუციურ სულისკვეთებასთან ბრძოლებში, — რანაირად შეიძლება ეს პრინციპულად სხვადასხვაგვარი კადრები ერთმანეთს გავუტოლოთ, რანაირად შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ ისინი? განა ძნელი გასაგებია, რომ ამ კადრებს შორის გაუვალი უფსკრულია? განა ძნელი გასაგებია, რომ ტროცკის მიერ დაშვებული ეს ტლანქი გადამახინჯება, ეს ტლანქი აღრევა ნავარაუდევია იმისათვის, რომ ჩვენი რევოლუციური კადრების, ჩვენი პარტიის ბირთვის ავტორიტეტს ძირი გამოუთხაროს? განა ცხადი არ არის, რომ ამ გადამახინჯებას შეეძლო გამოეწვია მხოლოდ აღელვება და შინაპარტიული ბრძოლის გამწვავება?

ტროცკის მიერ დაშვებული მეხუთე შეცდომა ის არის, რომ მან თავის წერილებში შექმნა საბაბი და წამოაყენა ლოზუნგი — ვუსწორდეთ მოსწავლე ახალგაზრდობას, ამ «ჩვენი პარტიის უტყუარ ბარომეტრს». «ახალგაზრდობა — პარტიის უტყუარი ბარომეტრი, ყველაზე მკვეთრად ეხმაურება პარტიულ ბიუროკრატიზმს», — ამბობს ის თავის პირველ სტატიაში. და რომ საეჭვო არ იყოს, რომელ ახალგაზრდობაზეა ლაპარაკი, ტროცკი მეორე წერილში დასძენს: «განსაკუთრებით მწვავედ, როგორც ვნახეთ, ბიუროკრატიზმს მოსწავლე ახალგაზრდობა ეხმაურება». თუ ამ, აბსოლუტურად არასწორი, თეორიულად მცდარი და პრაქტიკულად მავნე დებულებიდან გამოვალთ, მაშინ უფრო შორს უნდა წავიდეთ და წამოვაყენოთ ლოზუნგი: «რაც შეიძლება მეტი მოსწავლე ახალგაზრდობა ჩვენს პარტიაში, ფართოდ გაუღეთ კარი მოსწავლე ახალგაზრდობას ჩვენს პარტიაში».

დღემდე საქმე ისე იყო, რომ გეზი აღებული გვქონდა ჩვენი პარტიის პროლეტარულ სექტორზე და ვამბობდით: ფართოდ გააღეთ პარტიის კარი პროლეტარული ელემენტებისათვის, დაე გაიზარდოს ჩვენი პარტია პროლეტარული ნაწილის ხარჯზე. ახლა ტროცკი ამ ფორმულას თავდაყირა აყენებს.

საკითხი ჩვენს პარტიაში ინტელიგენციის შესახებ და მუშების შესახებ ჩვენთვის ახალი როდია. იგი იდგა ჩვენი პარტიის ჯერ კიდევ II ყრილობაზე, როცა ლაპარაკი იყო იმაზე, თუ როგორ უნდა ყოფილიყო ფორმულირებული წესდების პირველი პარაგრაფი პარტიის წევრობის შესახებ. ცნობილია, რომ მარტოვი მაშინ მოითხოვდა პარტიის ჩარჩოების გაფართოებას არაპროლეტარული ელემენტებისათვის, წინააღმდეგ ამხ. ლენინისა, რომელიც მოითხოვდა პარტიაში არაპროლეტარული ელემენტების შემოსვლის

გადაჭრით შეზღუდვას. მერე, ჩვენი პარტიის III ყრილობაზე ეს საკითხი ისევ ახალი ძალით წამოიჭრა. მახსოვს, რა მკვეთრად დააყენა იქ ამხ. ლენინმა საკითხი მუშებისა და ინტელიგენტების შესახებ ჩვენს პარტიაში. აი რას ამბობდა მაშინ ამხ. ლენინი:

«მიუთითებდნენ იმაზე, რომ გათიშვების სათავეში ჩვეულებრივ ინტელიგენტები იდგნენ. ეს მითითება მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ ის ვერ წყვეტს საკითხს... მე ვფიქრობ, რომ საქმეს უფრო ფართოდ უნდა შევხედოთ. კომიტეტებში მუშების შეყვანა არის არა მარტო პედაგოგიური, არამედ პოლიტიკური ამოცანაც. მუშებს აქვთ კლასობრივი ინსტინქტი, და მცირე პოლიტიკური გაწაფულობისას მუშები საკმაოდ მალე ხდებიან მტკიცე სოციალ-დემოკრატები. მე დიდი თანამგრძნობი ვიქნებოდი იმისა, რომ ჩვენი კომიტეტების შემადგენლობაში ყოველ 2 ინტელიგენტზე 8 მუშა იყოს» (იხ. ტ. VII, გვ. 282).

ასე იდგა საკითხი ჯერ კიდევ 1905 წელს. მას შემდეგ ამხ. ლენინის ეს მითითება იყო ჩვენთვის ხელმძღვანელი იდეა პარტიული მშენებლობის საქმეში. ახლა კი ტროცკი არსებითად იმას მოითხოვს, რომ კავშირი გავწყვიტოთ ბოლშევიზმის ორგანიზაციულ ხაზთან.

და, ბოლოს, ტროცკის მეექვსე შეცდომა გამოიხატა იმაში, რომ მან დაჯგუფებათა თავისუფლება გამოაცხადა. დიახ, დაჯგუფებათა თავისუფლება! მახსოვს, ჯერ კიდევ ქვეკომისიაში, რომელიც დემოკრატიის შესახებ რეზოლუციის პროექტს ამუშავებდა, ჩვენ გვქონდა დავა ტროცკისთან დაჯგუფებებსა და ფრაქციებზე. ტროცკი ფრაქციათა აკრძალვის წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ გადაჭრით იცავდა პარტიის შიგნით დაჯგუფებათა დაშვების იდეას. ამავე პოზიციაზე დგას ოპოზიცია. ამ ადამიანებს, ალბათ, არ ესმით, რომ დაჯგუფებათა თავისუფლების დაშვებით ისინი ხვრელს უხსნიან მიასნიკოვურ ელემენტებს, უადვილებენ მათ შესაძლებლობას — ატყუონ პარტია და დაჯგუფებად გაასაღონ ფრაქცია. ვინაიდან, რა განსხვავებაა და-

ჯგუფებასა და ფრაქციას შორის? მხოლოდ გარეგნული. აი როგორ განსაზღვრავს ამბ. ლენინი ფრაქციულობას, რომელსაც დაჯგუფებასთან ათანაბრებს:

«ჯერ კიდევ პროფკავშირების შესახებ დაწყებულ საერთო-პარტიულ დისკუსიამდე პარტიაში თავი იჩინა ფრაქციულობის ერთგვარმა ნიშნებმა, ე. ი. ჯგუფების წარმოშობამ განსაკუთრებული პლატფორმებით და მისწრაფებით — ერთგვარად ჩაკეტილიყვნენ თავის ნაჭუჭში და შეექმნათ თავისი ჯგუფური დისციპლინა» (იხ. რკპ(ბ) X ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 309).

როგორც ხედავთ, ფრაქციასა და ჯგუფს შორის აქ არსებითად განსხვავება არ არის. როდესაც აქ, მოსკოვში, ოპოზიციამ შექმნა განსაკუთრებული ბიურო, სერებრიაკოვის მეთაურობით, როდესაც იგი გზავნიდა თავის ორატორებს და ავალებდა მათ ამა და ამ კრებებზე გამოსულიყვნენ, ასე და ასე წინააღმდეგ ელაპარაკნათ, და როდესაც ოპოზიციონერები ბრძოლის მსვლელობაში იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ და თავიანთ რეზოლუციებს ბრძანებისამებრ ცვლიდნენ, რაღა თქმა უნდა, აქ დაჯგუფებაც იყო და ჯგუფური დისციპლინაც. ამბობენ, ეს ფრაქცია არ არისო, მაგრამ რა არის მაშინ ფრაქცია, — დაე აგვიხსნას პრეობრაჟენსკიმ. ტროცკის გამოსვლებს, მის წერილებს, მის სტატიებს თაობებისა და ფრაქციების შესახებ იქითკენ მიჰყავთ პარტია, რომ მან მოითმინოს თავის წიაღში დაჯგუფებათა არსებობა. ეს არის ფრაქციების და, პირველ ყოვლისა, ტროცკის ფრაქციის ლეგალიზაციის ცდა.

ტროცკი ამტკიცებს, დაჯგუფებანი წარმოიშობიან ცენტრალური კომიტეტის ბიუროკრატიული რეჟიმის გამო, ბიუროკრატიული რეჟიმი რომ არ გვქონდეს, არც დაჯგუფებანი იქნებოდნენო. ეს არამარქსისტული მიდგომაა, ამხანაგებო. დაჯგუფებანი ჩვენში ჩნდებიან და მომავალშიც გაჩნდებიან იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებობს მეურ-

ნეობის სულ სხვადასხვაგვარი ფორმები — სოციალიზმის ჩანასახური ფორმებიდან შუა საუკუნეთა ფორმებამდე. ეს — ერთი. შემდეგ, ჩვენ გვაქვს ახალი ეკონომიური პოლიტიკა, ე. ი. დავუშვით კაპიტალიზმი, აღდგენა კერძო კაპიტალისა და აღდგენა სათანადო იდეებისა, რომელნიც პარტიაში იჭრებიან. ეს მეორე. და, მესამეც, იმიტომ, რომ ჩვენი პარტია სამი შემადგენლობისაა: არიან პარტიაში მუშები, არიან გლეხები, არიან ინტელიგენტები. აი მიზეზები, თუ საკითხს მარქსისტულად მივუდგებით, მიზეზები, რომლებიც პარტიიდან ამოატივტივებენ განსაზღვრულ ელემენტებს იმ დაჯგუფებათა შესაქმნელად, რომელნიც ჩვენ ზოგჯერ ქირურგიული ზომებით უნდა ამოვკვეთოთ, ზოგჯერ კი დისკუსიის წესით — იდეური გზით უნდა.გავაქარწყლოთ.

აქ საქმე რეჟიმი როდია. ჩვენ რომ მაქსიმალურად თავისუფალი რეჟიმი გვჭონდეს, დაჯგუფებები გაცილებით მეტი იქნებოდა. ასე რომ, რეჟიმი კი არაა დამნაშავე, დამნაშავეა პირობები, რომელთა ჩარჩოებშიც ჩვენ ვცხოვრობთ, პირობები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში გვაქვს, თვით პარტიის განვითარების პირობები.

თუ ასეთ მდგომარეობაში, ასეთი სირთულის დროს კიდევ დაჯგუფებათა არსებობაც დავუშვით, მაშინ ჩვენ დავღუპავთ პარტიას, გადავაქცევთ მას მონოლითური, დარაზმული ორგანიზაციიდან ჯგუფებისა და ფრაქციების კავშირად, რომელნიც ერთმანეთში მოლაპარაკებას მართავენ და დროებითს გაერთიანებებსა და შეთანხმებებს აწყობენ. ეს პარტია კი არ იქნება, არამედ პარტიის დაშლა იქნება. არასოდეს, არც ერთი წუთით ბოლშევიკებს არ ჰქონიათ პარტია წარმოდგენილი სხვანაირად, თუ არა როგორც მონოლითური ორგანიზაცია, ერთი ნაჭრისაგან გამოკვეთილი, რომელსაც აქვს ერთი ნებისყოფა და რომელიც

თავის მუშაობაში აზრის ყველა ელფერს პრაქტიკული მოქმედების ერთ ნაკადად აერთიანებს.

ხოლო ის, რასაც ტროცკი გვთავაზობს, დიდად მცდარია, ბოლშევიკურ ორგანიზაციულ პრინციპებს ეწინააღმდეგება და გარდუვალად გამოიწვევს პარტიის დაშლას, მის დანაფშვენებას, მის გადონდლოებას, ერთიანი პარტიის გადაქცევას ჯგუფთა ფედერაციად. ჩვენს ვითარებაში, კაპიტალისტური გარემოცვის ვითარებაში, ჩვენთვის საჭიროა არა მარტო ერთიანი, არა მარტო შეკავშირებული, არამედ მეტიც — ნამდვილი ფოლადისებური პარტია, რომელსაც ექნება უნარი — გაუძლოს პროლეტარიატის მტრების შემოტევას, ექნება უნარი — წაიყვანოს მუშები გადამწყვეტ ბრძოლაში.

როგორია შედეგები?

პირველი შედეგი ის არის, რომ ჩვენ გამოვიტანეთ კონკრეტული, გარკვეული რეზოლუცია ამ დისკუსიის შედეგებზე, რომ ჩვენ ვთქვით: დაჯგუფებათა და ფრაქციათა მოთმენა ჩვენ არ შეგვიძლია, პარტია უნდა იყოს ერთიანი, მონოლითური, არ შეიძლება დავუპირისპიროთ პარტია აპარატს, არ შეიძლება ყბედობა კადრების გადაგვარების საფრთხის შესახებ, ვინაიდან ეს კადრები რევოლუციურია, არ შეიძლება ხვრელების ძებნა ამ რევოლუციურ კადრებსა და ახალგაზრდობას შორის, რომელიც კვალდაკვალ მიჰყვება ამ კადრებს და მომავალშიც კვალდაკვალ გაჰყვება.

გვაქვს აგრეთვე ზოგიერთი დადებითი დასკვნაც. პირველი და ძირითადი დასკვნა ის არის, რომ ამიერიდან პარტიას გადაჭრით ჰქონდეს აღებული ორიენტაცია ჩვენი პარტიის პროლეტარულ სექტორზე და სწორდებოდეს ამ სექტორის მიხედვით, რომ დავაპატარაოთ, დავავიწროთ პარტიაში შესასვლელი არაპროლეტარული ელემენტები-

სათვის ან სულაც დავხუროთ იგი, ამასთან უფრო ფართოდ გავუღოთ კარი პროლეტარულ ელემენტებს.

რაც შეეხება დაჯგუფებებსა და ფრაქციებს, მე ვფიქრობ, დადგა დრო, როდესაც ჩვენ საქვეყნოდ უნდა გამოვაცხადოთ ერთიანობის შესახებ მიღებული რეზოლუციის ის პუნქტი, რომელიც, ამხ. ლენინის წინადადებით, ჩვენი პარტიის X ყრილობამ მიიღო და რომელიც არ უნდა გამოქვეყნებულიყო. პარტიის წევრებს დაავიწყდათ ეს პუნქტი. ვშიშობ, რომ ყველას არ ახსოვს. ეს პუნქტი, რომელიც დღემდე საიდუმლოდ რჩებოდა, აშკარა უნდა გახდეს და პოვოს ადგილი იმ რეზოლუციაში, რომელსაც ჩვენ დისკუსიის შედეგების საკითხზე მივიღებთ. თუ ნებას მომცემთ, წავიკითხავ. ეს პუნქტი ამბობს:

«რათა განხორციელდეს მკაცრი დისციპლინა პარტიის შიგნით და მთელ საბჭოთა მუშაობაში და მიღწეულ იქნას უმეტესი ერთიანობა ყოველგვარი ფრაქციულობის თავიდან აცილებით, ყრილობა აძლევს ცენტრალურ კომიტეტს რწმუნებას — დისციპლინის დარღვევის ან ფრაქციულობის განახლების თუ დაშვების შემთხვევაში (— ებში) მიმართოს პარტიული სასჯელის ყველა ღონისძიებას, თვით პარტიიდან გარიცხვამდე, ხოლო ცენტრალური კომიტეტის წევრების მიმართ — მათს გადაყვანას კანდიდატებად და, როგორც უკიდურეს ღონისძიებას, პარტიიდან გარიცხვასაც კი. ასეთი უკიდურესი ღონისძიების მიღების (ცენტრალური კომიტეტის წევრების, ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებისა და საკონტროლო კომისიის წევრების მიმართ) პირობა უნდა იყოს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევა ცენტრალური კომიტეტის წევრობის ყველა კანდიდატისა და საკონტროლო კომისიის ყველა წევრის მიწვევით. თუ პარტიის ყველაზე პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა ასეთი საერთო კრება ორი მესამედი ხმებით აუცილებლად ცნობს ცენტრალური კომიტეტის წევრის გადაყვანას კანდიდატად ან პარტიიდან გარიცხვას, ეს ღონისძიება დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს».

მე ვფიქრობ, რომ ეს პუნქტი ჩვენ უნდა შევიტანოთ რეზოლუციაში დისკუსიის შედეგების შესახებ და იგი აშკარა გავხადოთ.

დასასრულ, ერთი კითხვა, რომლითაც მუდამ მოგვმართავს ოპოზიცია და რომელზედაც იგი, ეტყობა, ყოველთვის როდი ღებულობს დამაკმაყოფილებელ პასუხს. ვის განწყობილებებს გამოვხატავთ ჩვენ, ოპოზიციაო? — ხშირად გვეკითხებიან ისინი. მე ვფიქრობ, რომ ოპოზიცია ჩვენი პარტიის არაპროლეტარული სექტორის განწყობილებებს გამოხატავს. მე ვფიქრობ, რომ ოპოზიცია, შეიძლება თავისდა შეუცნობლადაც, შეიძლება წინააღმდეგ თავისი ნებისა, მაგრამ მაინც არის უნებური გამტარებელი ჩვენი პარტიის არაპროლეტარული ელემენტის განწყობილებებისა. მე ვფიქრობ, რომ ოპოზიცია თავისი თავშეუკავებელი აგიტაციით დემოკრატიის სასარგებლოდ, რომელსაც ის ხშირად აბსოლუტად და ფეტიშად აქცევს, გზას უხსნის წვრილბურჟუაზიულ სტიქიას.

იცნობთ თუ არა თქვენ ისეთი ამხანაგების განწყობილებებს, როგორიც არიან მოსწავლენი მარტინოვი, ყაზარიანი და სხვ.? წაკითხული გაქვთ თუ არა ხოდოროვსკის ფელეტონი «პრავდაში», სადაც მან მოიყვანა ციტატები ამ ამხანაგების სიტყვებიდან? აი, მაგალითად, მარტინოვის სიტყვა (ის, თურმე, პარტიის წევრია): «ჩვენი საქმეა დავადგინოთ, ხოლო ცენტრალური კომიტეტის საქმეა შეასრულოს და ნაკლებ იმსჯელოსო». აქ საქმე ეხება გზათა სახალხო კომისარიატთან არსებული უმაღლესი სასწავლებლის უჯრედს. მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენს პარტიაში სულ ცოტა 50 ათასი უჯრედია; ყველა უჯრედი რომ ასე მოეპყრას ცენტრალურ კომიტეტს — უჯრედების საქმეა გადაწყვიტონ, ხოლო ცენტრალური კომიტეტის საქმეა მსჯელობას დაეხსნასო, მე ვშიშობ, რომ ჩვენ არასოდეს

არავითარი გადაწყვეტილება არ გვექნება. საიდან აქვთ ასეთი განწყობილება მარტინოვებს? რა არის აქ პროლეტარული? მარტინოვები კი ოპოზიციის მომხრენი არიან, — იქონიეთ ეს მხედველობაში. არის განა განსხვავება მარტინოვსა და ტროცკის შორის? განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ტროცკიმ დაიწყო იერიში პარტიულ აპარატზე, მარტინოვი კი ცდილობს სულ მოუღოს მას ბოლო.

ეი კიდევ უმაღლესი სასწავლებლის მეორე მოსწავლე, ყაზარიანი, — თურმე ესეც პარტიის წევრია. «რა გვაქვს ჩვენ, — კითხულობს ის, — პროლეტარიატის დიქტატურა თუ კომპარტიის დიქტატურა პროლეტარიატზე?». ამას ამბობს, ამხანაგებო, არა მენშევიკი მარტოვი, არამედ «კომუნისტი» ყაზარიანი. განსხვავება ტროცკისა და ყაზარიანს შორის ის არის, რომ, ტროცკის აზრით, ხდება კადრების გადაგვარება, ხოლო ყაზარიანი ფიქრობს, რომ კადრები უნდა განვდევნოთ, რადგან ისინი, მისი აზრით, კისერზე ასხედან პროლეტარიატს.

მე გეკითხებით: ვის განწყობილებებს გამოხატავენ მარტინოვები და ყაზარიანები? პროლეტარულს? რა თქმა უნდა, არა. მაშ, ვის განწყობილებებს? პარტიისა და ქვეყნის არაპროლეტარული ელემენტების განწყობილებებს. შემთხვევითია თუ არა ის, რომ არაპროლეტარულ განწყობილებათა ეს გამომხატველნი ხმას აძლევენ ოპოზიციას? არა, არ არის შემთხვევითი. (ტ ა შ ი).

2. საბოლოო სიტყვა

18 იანვარი

მე უკვე მოხსენებაში აღვნიშნე, რომ არ მინდოდა საკითხის ისტორიას შევხებოდი, არ მინდოდა იმიტომ, რომ ამას, როგორც მე ვთქვი, კინკლაობისა და ურთიერთბრალდებების ელემენტები შემოაქვს. მაგრამ რაკი ეს პრეობრაჟენსკის სურს, რაკი ის ამას მოითხოვს, მე მზად ვარ დათმობაზე წავიდე და ორიოდე სიტყვა ვთქვა შინაპარტიული დემოკრატიის საკითხის ისტორიაზე.

როგორ წამოიჭრა შინაპარტიული დემოკრატიის საკითხი ცენტრალურ კომიტეტში? იგი პირველად წამოიჭრა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სექტემბერში, წამოიჭრა იმ კონფლიქტებთან დაკავშირებით, რაც საწარმოებში მოხდა, და იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგიერთი პარტიული და პროფესიული ორგანიზაცია მოსწყდა მასებს, რაც ჩვენ მაშინ გამოვააშკარავეთ. ცენტრალური კომიტეტი მაშინ იმ აზრამდე მივიდა, რომ ეს საქმე სერიოზულია, რომ პარტიაში დაგროვდა ნაკლოვანებები, რომ საჭიროა შეიქმნას სპეციალური ავტორიტეტული კომისია, რომელიც ამ საქმეში გაერკვეოდა, ფაქტებს შეისწავლიდა და წარმოგვიდგენდა კონკრეტულ წინადადებებს პარტიული მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. იგივე უნდა ითქვას გასაღების კრიზისისა და «მაკ-

რატლის» საკითხზედაც. საკითხების დაყენებაც და შინაპარტიული მდგომარეობისა და «მაკრატლის» საკითხის ვამომრკვევი კომისიის არჩევაც ოპოზიციის ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე ჩატარდა. სად იყო მაშინ ოპოზიცია? თუ არა ვცდები, პრეობრაჟენსკი მაშინ ყირიმში იყო, საპრონოვი — კისლოვოდსკში, ტროცკი ამთავრებდა კისლოვოდსკში თავის სტატიებს ხელოვნებაზე და მოსკოვში წამოსასვლელად ემზადებოდა. ჯერ კიდევ მათ ჩამოსვლამდე ცენტრალურმა კომიტეტმა დააყენა ეს საკითხი თავის სხდომაზე. ისინი მზამზარეულზე მოვიდნენ, ერთი სიტყვითაც არ ჩარეულან საქმეში, არც ერთი მოსაზრება ცენტრალური კომიტეტის გეგმის წინააღმდეგ არ წამოუყენებიათ. პარტიული მდგომარეობის საკითხზე ამხ. ძერჟინსკიმ სექტემბერში წაიკითხა მოხსენება საგუბერნიო კომიტეტების მდივნების თათბირზე. მე ვამტკიცებ, რომ არც სექტემბრის პლენუმზე, არც მდივნების თათბირზე ოპოზიციის ახლანდელ წევრებს ერთი გადაკრული სიტყვაც არ უთქვამთ «მკაცრ სამეურნეო კრიზისზე» ან «კრიზისზე პარტიაში» და «დემოკრატიაზე».

როგორც ხედავთ, დემოკრატიისა და «მაკრატლის» საკითხები თვით ცენტრალურმა კომიტეტმა დააყენა, ინიციატივა სავსებით ცენტრალური კომიტეტის ხელში იყო, ოპოზიციის წევრები კი სდუმდნენ, ვინაიდან ისინი აქ არ იყვნენ.

ესაა, ასე ვთქვათ, პირველი აქტი, პირველი სტადია საკითხის ისტორიისა.

მეორე აქტი დაიწყო ოქტომბერში — ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმიდან. ოპოზიციამ, ტროცკის მეთაურობით, დაინახა, რომ საქმეს პარტიის შიგნით ნაკლოვანებათა არსებობის სუნი უდის, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა უკვე ხელი

მოჰკიდა ამ საქმეს, რომ მან კომისიები შექმნა და, — ღმერთმა ნუ ქნას, ინიციატივა ცენტრალური კომიტეტის ხელში დარჩესო, — შეეცადა, მიზნად დაისახა ხელიდან გამოეგლიჯა ცენტრალური კომიტეტისათვის ინიციატივა და შემჯდარიყო დემოკრატიის ცხენზე, რადგან ეს ცხენი, როგორც ცნობილია, მარდია, და შეიძლება კაცმა სცადოს ამ ცხენით ცენტრალურ კომიტეტს გაუსწროს. ამ საფუძველზე გაჩნდა ის დოკუმენტები, რომლებზედაც აქ პრეობრაჟენსკიმ სიტყვა გააგრძელა — 46-ის დოკუმენტი[3] და ტროცკის წერილი. სწორედ იმავე ტროცკიმ, რომელიც სექტემბერში, რამდენიმე დღის წინ თავის ფრაქციულ გამოსვლამდე, სდუმდა პლენუმზე და, ყოველ შემთხვევაში, ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ არაფერი უთქვამს, ამის შემდეგ ორი კვირის გასვლისას ერთბაშად აღმოაჩინა, რომ ქვეყანა და პარტია იღუპებიან და რომ მას, ტროცკის, ბიუროკრატთა ამ პატრიარქს, უდემოკრატიოდ ცხოვრება არ შეუძლია.

ჩვენთვის, ცოტა არ იყოს, სასაცილო იყო ტროცკის ბაგეთაგან დემოკრატიაზე სიტყვების მოსმენა, სწორედ იმ ტროცკისა, რომელიც პარტიის X-ყრილობაზე მოითხოვდა პროფკავშირების **შენჯღრევას ზემოდან.** მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ X ყრილობის პერიოდის ტროცკისა და დღევანდელ ტროცკის შორის დიდი განსხვავება არ არის, ვინაიდან როგორც მაშინ, ისე ახლა ის ლენინური კადრების შენჯღრევის მომხრეა. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ X ყრილობაზე იგი ეწეოდა ლენინური კადრების შენჯღრევას ზემოდან **პროფკავშირების ხაზით,** ახლა კი მას სურს შეანჯღრიოს იგივე ლენინური კადრები ქვემოდან **პარტიის ხაზით.** დემოკრატია საჭიროა, როგორც ფანდი, როგორც სტრატეგიული მანევრი. ამაშია მთელი ამბავი.

ვინაიდან, ოპოზიციას რომ მართლაც საქმისათვის შვე-ლა, საქმისადმი საქმიანი, ამხანაგური მიდგომა სურვებო-და, მას თავისი განცხადება, უწინარეს ყოვლისა, სექტემ-ბრის პლენუმის კომისიებში უნდა შეეტანა და დაახლოე-ბით ასე ეთქვა: «ჩვენ მიგვაჩნია, რომ თქვენი მუშაობა და-მაკმაყოფილებელი არ არის, ჩვენ მოვითხოვთ მოახსენოთ პოლიტბიუროს თქვენი მუშაობის შედეგები, მოიწვიოთ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელსაც გვინდა გა-ვაცნოთ ჩვენი ახალი წინადადებანი» და სხვ. და თუ კო-მისიები მათ არ მოუსმენდნენ, ან პოლიტბიურო არ მოუს-მენდა, თუ პოლიტბიურო ოპოზიციის აზრს უგულებელ-ყოფდა ან უარს იტყოდა მოეწვია პლენუმი ტროცკის და საერთოდ ოპოზიციის წინადადებათა განსახილველად, მა-შინ, — და მხოლოდ მაშინ, — ოპოზიციას სრული უფლე-ბა ექნებოდა — გვერდი აევლო ცენტრალური კომიტეტი-სათვის, აშკარად გამოსულიყო მიმართვით პარტიის წევ-რებისადმი და ეთქვა პარტიისათვის: «ქვეყანა დაღუპვის წინაშე დგას, სამეურნეო კრიზისი ღრმავდება, პარტია იღუპება, ჩვენ წინადადებით მივმართეთ ცენტრალური კომიტეტის კომისიებს — განეხილათ ეს საკითხები, — მათ უარი თქვეს და არ მოგვისმინეს, ვცადეთ მიგვემართა პო-ლიტბიუროსათვის, — ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა, ახ-ლა იძულებული ვართ მივმართოთ პარტიას, რათა პარტიამ თვითონ მოჰკიდოს ხელი საქმეს». ეჭვი არ მეპარება, რომ პარტია ამის საპასუხოდ იტყოდა: «დიახ, ეს საქმის რევო-ლუციონერები არიან, რადგან საქმის არსს ისინი მის ფორმაზე მაღლა აყენებენ».

მაგრამ განა ოპოზიცია ასე მოიქცა? განა იგი შეეცადა ერთხელ მაინც შესულიყო თავისი წინადადებებით ცენ-ტრალური კომიტეტის კომისიებში? განა მან იფიქრა, განა მან სცადა საკითხები ცენტრალური კომიტეტის ან მისი

ორგანოების ჩარჩოებში დაესვა და ამოეწურა? არა, ოპოზიციას ეს არ უცდია. ცხადია, ოპოზიციისათვის საქმე ის კი არ იყო, რომ შინაპარტიული მდგომარეობა გაუმჯობესებულიყო, რომ დახმარებოდა პარტიას სამეურნეო მდგომარეობის გაუმჯობესებაში, არამედ ის, რომ დაესწრო კომისიისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობისათვის, ხელიდან გამოეგლიჯა ცენტრალური კომიტეტისათვის ინიციატივა, შემჯდარიყო დემოკრატიის ცხენზე და, სანამ გვიან არ იყო, აეტეხა ხმაური, რათა ეცადნა ძირი გამოეთხარა ცენტრალური კომიტეტისადმი ნდობისათვის. ოპოზიცია, როგორც ჩანს, ჩქარობდა შეექმნა ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ «დოკუმენტები» ტროცკის წერილისა და 46-ის განცხადების სახით, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მიეტანა ეს «დოკუმენტები» სვერდლოველებისათვის, რაიონებში, და ეთქვა, რომ ისინი, ოპოზიცია, დემოკრატიის, მეურნეობის გაუმჯობესების მომხრენი არიან, ხოლო ცენტრალური კომიტეტი ამას ხელს უშლის, რომ საჭიროა დახმარება ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ და სხვ.

ასეთია ფაქტები.

მე მოვითხოვ, რომ პრეობრაჟენსკიმ უარყოს ეს ჩემი მტკიცებანი. მე მოვითხოვ, რომ მან უარყოს ისინი თუნღაც პრესაში. აბა უარყოს პრეობრაჟენსკიმ ის ფაქტი, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სექტემბერში შექმნა კომისიები უოპოზიციოდ, ოპოზიციის გამოსვლებამდე. აბა უარყოს პრეობრაჟენსკიმ ის ფაქტი, რომ არც ტროცკი, არც სხვა ოპოზიციონერები არ ცდილან შეეტანათ ამ კომისიებში თავისი წინადადებანი. აბა უარყოს პრეობრაჟენსკიმ ის ფაქტი, რომ ოპოზიციამ იცოდა ამ კომისიების არსებობა, რომ იგი უგულე-

ბელყოფდა მათს მუშაობას, რომ მას არ უცდია ცენტრალური კომიტეტის ჩარჩოებში ამოეწურა საქმე.

აი რატომ იყო, რომ, როდესაც პრეობრაჟენსკიმ და ტროცკიმ ოქტომბერში პლენუმზე განაცხადეს — ჩვენ გვინდა ვიხსნათ პარტია დემოკრატიის საშუალებით, ხოლო ცენტრალური კომიტეტი ბრმაა და ვერაფერს ვერ ხედავსო, — ცენტრალურმა კომიტეტმა დასცინა მათ და უთხრა: არა, ამხანაგებო, ჩვენ, ცენტრალური კომიტეტი, სავსებით ვემხრობით დემოკრატიას, მაგრამ თქვენი დემოკრატია არა გვწამს, რადგან ვფიქრობთ, რომ თქვენი «დემოკრატია» არის სტრატეგიული სვლა ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ, რაც ნაკარნახევია თქვენი ფრაქციულობით.

მერე, რა დაადგინეს მაშინ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმებმა შინაპარტიული დემოკრატიის საკითხზე? აი რა:

«პლენუმები სავსებით იწონებენ პოლიტბიუროს მიერ დროულად დასახულ კურსს შინაპარტიული დემოკრატიისაკენ, აგრეთვე პოლიტბიუროს წინადადებას — გაძლიერდეს ბრძოლა გადამეტებულობასთან და პარტიის ცალკეულ ელემენტებზე ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამხრწნელ გავლენასთან.

პლენუმები ავალებენ პოლიტბიუროს გააკეთოს ყოველივე, რაც კი აუცილებელია იმისათვის, რომ დაჩქარდეს მუშაობა პოლიტბიუროს და სექტემბრის პლენუმის მიერ დანიშნული კომისიებისა: 1) კომისიისა «მაკრატლის» შესახებ, 2) ხელფასის შესახებ, 3) შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ.

ამ საკითხებზე საჭირო ღონისძიებათა შემუშავებისთანავე პოლიტბიურომ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს მათი ცხოვრებაში გატარება და გააკეთოს ამის შესახებ მოხსენება ცენტრალური კომიტეტის შემდეგ პლენუმზე».

ტროცკი ერთ-ერთ თავის წერილში ცენტრალური კომიტეტის სახელზე წერს, რომ ოქტომბრის პლენუმი

იყო «აპარატულ-ბიუროკრატული კურსის უმაღლესი გამოხატულება». განა ცხადი არ არის, რომ ტროცკის ეს განცხადება ცილისწამებაა ცენტრალური კომიტეტის მიმართ? მხოლოდ თავგზააბნეულ და ფრაქციულობით დაბრმავებულ ადამიანს შეუძლია ზემოთ მოყვანილი დოკუმენტის შემდეგ თქვას, რომ ოქტომბრის პლენუმი ბიუროკრატიზმის უმაღლესი გამოხატულება იყო.

მერე, რა გადაწყვიტეს მაშინ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმებმა ტროცკის და 46-ის «დემოკრატიული» მანევრების შესახებ? აი რა:

«ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმები, 10 პარტორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად, ცნობენ, რომ ტროცკის გამოსვლა იმ უაღრესად საპასუხისმგებლო მომენტში, რასაც საერთაშორისო რევოლუცია და პარტია განიცდიან, წარმოადგენს დიდ პოლიტიკურ შეცდომას, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ტროცკის თავდასხმამ, პოლიტბიუროს წინააღმდეგ მიმართულმა, ობიექტურად მიიღო ხასიათი ფრაქციული გამოსვლისა, რომელიც მახვილის ჩაცემას უქადის პარტიის ერთიანობას და ქმნის პარტიის კრიზისს. პლენუმები მწუხარებით აღნიშნავენ, რომ ტროცკიმ იმ საკითხების დასაყენებლად, რასაც ის შეეხო, აირჩია პარტიის ცალკეული წევრებისადმი მიმართვის გზა, ნაცვლად ერთადერთი დასაშვები გზისა — წინასწარ დასმულიყო ეს საკითხები იმ კოლეგიებში განსახილველად, რომელთა წევრიც ტროცკი არის.

ტროცკის მიერ არჩეული გზა ფრაქციული დაჯგუფების სიგნალი გახდა (46-ის განცხადება).

ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმები და 10 პარტორგანიზაციის წარმომადგენლები გადაჭრით გმობენ 46-ის განცხადებას, როგორც ფრაქციულ-გამთიშველი პოლიტიკის ნაბიჯს, პოლიტიკისა, რომელმაც ასეთი ხასიათი მიიღო თუნდაც ამ განცხადების ხელმომწერთა ნების გარეშე. ეს განცხადება გვიქადის იმას, რომ პარტიის მთელი ცხოვრება უახლოესი თვეების განმავლობაში შინაპარტიული ბრძოლის ნიშანქვეშ დააყენოს და ამით

დაასუსტოს პარტია იმ მომენტში, რომელიც ყველაზე მეტად საპასუხისმგებლოა საერთაშორისო რევოლუციის ბედისათვის».

როგორც ხედავთ, ამხანაგებო, ზემოაღნიშნული ფაქტები გადაჭრით აბათილებენ მდგომარეობის იმ სურათს, რომელსაც აქ პრეობრაჟენსკი გვიხატავდა.

საკითხის ისტორიის მესამე აქტს ანუ მესამე სტადიას წარმოადგენს პერიოდი ოქტომბრის პლენუმის შემდეგ. ოქტომბრის პლენუმმა დაადგინა წინადადება მისცემოდა პოლიტბიუროს ყოველგვარი ზომები მიეღო იმისათვის, რომ უზრუნველეყო შეთანხმებული მუშაობა. უნდა განვაცხადო, ამხანაგებო, რომ ოქტომბრის შემდეგ განვლილ პერიოდში ჩვენ ყოველი ღონე ვიხმარეთ, რათა მოგვეგვარებინა შეთანხმებული მუშაობა ტროცკისთან, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ეს საქმე სრულებითაც არ არის ადვილი. ჩვენ გვქონდა ორი კერძო თათბირი ტროცკისთან, გავარჩიეთ სამეურნეო და პარტიული ხასიათის ყველა საკითხი, ამასთან მივედით განსაზღვრულ აზრებამდე, რომელთაც არავითარი უთანხმოება არ გამოუწვევიათ. ამ კერძო თათბირებისა და პოლიტბიუროს შიგნით შეთანხმებული მუშაობის მოგვარების ამ ცდების გაგრძელება იყო, რაზედაც უკვე გუშინ მოგახსენებდით, სამი პირისაგან შემდგარი ქვეკომისიის შექმნა. სწორედ ამ ქვეკომისიამ შეიმუშავა რეზოლუციის პროექტი, რომელიც შემდეგ გახდა ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის რეზოლუცია დემოკრატიის შესახებ.

ასე იყო საქმე.

ჩვენ გვეგონა, რომ მას შემდეგ, რაც რეზოლუცია ერთხმად იყო მიღებული, აღარ იქნებოდა საფუძველი დავისათვის, აღარ იქნებოდა საფუძველი შინაპარტიული ბრძოლისათვის. და ასედაც იყო სინამდვილეში, ვიდრე ტროცკი ხელახლა არ გამოვიდა თავისი მიმართვით რაიო-

ნებისადმი. მაგრამ ტროცკის გამოსვლამ ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციის გამოქვეყნების მეორე დღეს, გამოსვლამ, რომელიც მოხდა ცენტრალური კომიტეტისაგან დამოუკიდებლად და ცენტრალური კომიტეტისათვის გვერდის ავლით, მთელი საქმე ჩაშალა, რადიკალურად შეცვალა მდგომარეობა და გადაისროლა პარტია უკან, ახალი დავისაკენ, ახალი, წინანდელზე უფრო მწვავე ბრძოლისაკენ. ამბობენ — ცენტრალურ კომიტეტს ტროცკის სტატიის დაბეჭდვა უნდა აეკრძალაო. ეს არაა სწორი, ამხანაგებო. ცენტრალური კომიტეტის მხრივ ეს უაღრესად სახიფათო ნაბიჯი იქნებოდა. აბა სინჯეთ აკრძალოთ ტროცკის სტატია, რომელიც უკვე გამოქვეყნებული იყო მოსკოვის რაიონებში! ცენტრალურ კომიტეტს არ შეეძლო ასეთი მოუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმა.

ასეთია საკითხის ისტორია.

ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ ოპოზიციისათვის საქმე იმდენად დემოკრატიას არ ეხებოდა, რამდენადაც იმას, რომ დემოკრატიის იდეა გამოეყენებინა ცენტრალური კომიტეტის შესარყევად, რომ ოპოზიციის სახით ჩვენ საქმე გვაქვს არა იმ ადამიანებთან, რომელთაც სურთ პარტიას დაეხმარონ, არამედ ფრაქციასთან, რომელიც მიდარაჯებული იყო ცენტრალური კომიტეტის მიმართ: «იქნებ შეცდეს, რამე გამოეპაროს, მაშინ კი ჩავარტყამთო». სწორედ ესაა ფრაქცია, როდესაც პარტიის წევრთა ერთი ჯგუფი ქუჩის შესახვევში უცდის პარტიის ცენტრალურ დაწესებულებებს, რათა ისარგებლოს ან მოუსავლობით, ან ჩერვონეცის დაცემით, ან პარტიის სხვა რამ სიძნელით იმისათვის, რომ მერე კუთხიდან, საფარიდან გამოხტეს და პარტიას თავში ჩაარტყას. დიახ, მართალი იყო ცენტრალური კომიტეტი ოქტომბერში, როდესაც მან გითხრათ, ამხ. ოპოზიციონერებო, რომ ერთი საქმეა დემოკრატია,

ხოლო მეორე საქმეა პარტიისათვის ფეხის გამოდება, ერთი საქმეა დემოკრატია, ხოლო მეორე საქმეა დემოკრატიაზე ხმაურის გამოყენება პარტიის უმრავლესობის წინააღმდეგ.

ასეთია, პრეობრაჟენსკი, საკითხის ისტორია, რაზედაც მე აქ ლაპარაკი არ მინდოდა, მაგრამ რაზედაც მაინც იძულებული ვიყავი მომეთხრო, დავუთმე რა თქვენს დაჟინებითს სურვილს.

ოპოზიციამ წესად გაიხადა ცამდე ადიდოს ამხ. ლენინი, უწოდოს მას ყველაზე გენიალური გენიალურ ადამიანთა შორის. ვშიშობ, რომ ეს ქება გულწრფელი არ არის, რომ აქაც სტრატეგიული ეშმაკობა იმალება: უნდათ ამხ. ლენინის გენიალობაზე ხმაურით დაფარონ თავისი განდგომა ლენინისაგან და ამავე დროს ხაზი გაუსვან მისი მოწაფეების სისუსტეს. რა თქმა უნდა, სხვას ვის უნდა ესმოდეს უკეთ, ვიდრე ჩვენ, ამხ. ლენინის მოწაფეებს, რომ ამხ. ლენინი ყველაზე გენიალურია გენიალურთა შორის, და რომ ასეთი ადამიანები მხოლოდ საუკუნეობით იბადებიან? მაგრამ ნება მიბოძეთ გკითხოთ, პრეობრაჟენსკი, რატომ დაშორდით თქვენ ამ ყველაზე გენიალურ ადამიანს ბრესტის ზავის საკითხში? რატომ მიატოვეთ ეს ყველაზე გენიალური ადამიანი მძიმე წუთში და არ გაუგონეთ მას? სად, რომელ ბანაკში ეძყოფებოდით თქვენ მაშინ?

ან საპრონოვი, რომელიც ახლა ყალბად, ფარისევლურად აქებს და ადიდებს ამხ. ლენინს, სწორედ ის საპრონოვი, რომელიც იმდენად გათავხედდა, რომ ერთ-ერთ ყრილობაზე ამხ. ლენინს «უვიცი» და «ოლიგარქი» უწოდა! რატომ არ დაუჭირა მან მხარი გენიალურ ლენინს, ვთქვათ, X ყრილობაზე, რატომ იყო, რომ მძიმე წუთებში ის მუდამ მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდებოდა ხოლმე, თუ ის მართლა ფიქრობს, რომ ამხ. ლენინი გე-

ნიოსია გენიოსთა შორის? იცის თუ არა საპრონოვმა, რომ როცა ამხ. ლენინს X ყრილობაზე შეჰქონდა რეზოლუცია ერთიანობის შესახებ, რომელიც პარტიიდან ფრაქციონერების გარიცხვას მოითხოვდა, მას, სხვათა შორის, საპრონოვიც ჰყავდა მხედველობაში?

ანდა კიდევ: რატომ არის, რომ პრეობრაჟენსკი არა მარტო ბრესტის ზავის პერიოდში, არამედ შემდეგაც, პროფდისკუსიის პერიოდში, ყველაზე გენიალური ლენინის მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდა? განა ყოველივე ეს შემთხვევითია? განა აქ არ არის ერთგვარი კანონზომიერება? (პ რ ე ო ბ რ ა ჟ ე ნ ს კ ი: «საკუთარი ჭკუით ვცდილობდი მუშაობას»).

ეს ძალიან საქებია, პრეობრაჟენსკი, რომ თქვენი ჭკუით გინდოდათ მუშაობა. მაგრამ ნახეთ, რა გამოდის: ბრესტის საკითხში თქვენ თქვენი ჭკუით მუშაობდით და ფეხი დაგიცდათ; მერე, პროფკავშირების შესახებ დისკუსიის დროს კვლავ ცდილობდით თქვენი ჭკუით გემუშავნათ და კვლავ ფეხი დაგიცდათ; ახლა არ ვიცი, თქვენი ჭკუით მუშაობთ თუ სხვისი ჭკუით, მაგრამ კვლავ ხომ ფეხი დაგიცდათ თითქოს. (ს ი ც ი ლ ი). მე მაინც ვფიქრობ — პრეობრაჟენსკი რომ ახლა უფრო თავისი ჭკუით მუშაობდეს, ვიდრე ტროცკის ჭკუით, — ჭკუით, რომელმაც თავისი გამოხატულება პოვა მის 8 ოქტომბრის წერილში, მაშინ ის ჩვენთან უფრო ახლოს იქნებოდა, ვიდრე ტროცკისთან.

პრეობრაჟენსკი ცენტრალურ კომიტეტს უსაყვედურებდა და ამბობდა: სანამ სათავეში ილიჩი გვყავდა, საკითხები დროულად და დაუგვიანებლად წყდებოდა, რადგან ილიჩს ჰქონდა უნარი — ჩანასახშივე ჩაეჭიდა ხელი ახალი მოვლენებისათვის და მოეცა ლოზუნგები, რომლებიც წინ უსწრებდნენ ამ მოვლენებს, ახლა კი,

ილიჩის შემდეგ, ცენტრალური კომიტეტი უკვე ჩამორჩება მოვლენებსო. რის თქმა უნდა ამით პრეობრაჟენსკის? რომ ილიჩი თავის მოწაფეებზე უფრო მაღლა დგას? მაგრამ განა ვინმეს ეპარება ამაში ეჭვი? განა ვინმესათვის საეჭვოა, რომ ილიჩი თავის მოწაფეებთან შედარებით გოლიათად მოჩანს? თუ საქმე ეხება პარტიის ბელადს, არა საგაზეთო ბელადს მისალმებათა დასტით, არამედ ნამდვილ ბელადს, მაშინ ჩვენ გვყავს ერთი ბელადი — ამხ. ლენინი. სწორედ ამიტომ არა ერთხელ ყოფილა თქმული, რომ დღევანდელ პირობებში, როცა ამხ. ლენინი დროებით არ არის ჩვენთან, ჩვენ კოლეგიაზე უნდა გვეჭიროს გეზი. ხოლო რაც შეეხება ამხ. ლენინის მოწაფეებს, შეგვეძლო მიგვეთითებინა, მაგალითად, იმ ამბებზე, რაც დაკავშირებული იყო კერჟონის ულტიმატუმთან [4] და რაც ამ მოწაფეებისათვის გამოცდის, შემოწმების ნიმუშს წარმოადგენდა. ის ფაქტი, რომ ჩვენ მაშინ სიძნელეებს საქმის დაუზიანებლად დავაღწიეთ თავი, უეჭველად მოწმობს იმას, რომ ამხ. ლენინის მოწაფეებს უკვე ზოგი რამ უსწავლიათ თავისი მასწავლებლისაგან.

არაა მართალი პრეობრაჟენსკი, როცა ამტკიცებს — წინა წლებში ჩვენი პარტია მოვლენებს არ ჩამორჩებოდაო. არაა მართალი, რადგან ეს მტკიცება ფაქტიურად არასწორია და თეორიულად მცდარი. შეგვიძლია დავასახელოთ მთელი რიგი მაგალითები. ავიღოთ თუნდაც ბრესტის ზავი. განა ჩვენ ბრესტის საკითხში არ დავაგვიანეთ? განა საჭირო არ გახდა ისეთი ფაქტები, როგორიც იყო გერმანელების შემოტევა და ჩვენი ჯარისკაცების საყოველთაო გამოქცევა, იმისათვის, რომ, ბოლოს და ბოლოს, ზავის აუცილებლობა შეგვეგნო? ფრონტის დაშლა, ჰოფმანის შემოტევა [5], პიტერთან მისი მოსვლა, გლეხობის მოძალება ჩვენზე, — განა ყველა ეს ფაქტი საჭირო არ შეიქნა

იმისათვის, რათა ჩვენ გაგვეგო, რომ საერთაშორისო რევოლუციის ტემპი ისე სწრაფი არ იყო, როგორც ჩვენ გვინდოდა, რომ ჩვენი არმია ისე მტკიცე არ იყო, როგორც ჩვენ ვფიქრობდით, და რომ გლეხობა ისე მომთმენი არ იყო, როგორც ზოგიერთი ჩვენგანი ფიქრობდა, რომ მას ზავი უნდოდა, და რომ იგი ზავს ძალით მოიპოვებდა?

ან ავიღოთ სასურსათო გაწერის გაუქმების მაგალითი. განა ჩვენ სასურსათო გაწერის გაუქმება არ დავაგვიანეთ? განა საჭირო არ შეიქნა ისეთი ფაქტები, როგორიც იყო კრონშტადტი და ტამბოვი [6], რათა გაგვეგო, რომ სამხედრო კომუნიზმის პირობებში ცხოვრება აღარ შეიძლებოდა? განა თვითონ ილიჩმა არ აღიარა, რომ ამ ფრონტზე ჩვენ უფრო სერიოზული დამარცხება განვიცადეთ, ვიდრე იყო რომელიმე დამარცხება დენიკინისა და კოლჩაკის ფრონტებზე?

განა შემთხვევითია ის ფაქტი, რომ ყველა ამ შემთხვევაში პარტია ჩამორჩებოდა მოვლენებს, რამდენადმე აგვიანებდა? არა, არ არის შემთხვევითი. ჩვენ აქ საქმე გვქონდა კანონზომიერებასთან. ცხადია, რამდენადაც აქ საქმე ეხება არა ზოგად თეორიულ წინასწარგანჭვრეტას, არამედ უშუალო პრაქტიკულ ხელმძღვანელობას, — მმართველ პარტიას, რომელიც ხელისუფლების საჭესთან დგას და ყოველდღიურ ამბებშია ჩაბმული, შესაძლებლობა არა აქვს მაშინვე შეამჩნიოს ცხოვრების სიღრმეში მიმდინარე პროცესები, მისწვდეს მათ, და საჭიროა ბიძგი გარედან და ერთგვარი დონე ახალი პროცესების განვითარებისა იმისათვის, რომ პარტიამ ეს პროცესები შეამჩნიოს და გეზი მათკენ აიღოს. სწორედ ამიტომ ჩვენი პარტია წარსულში რამდენადმე ჩამორჩებოდა მოვლენებს და მომავალშიც ჩამორჩება. და საქმე აქ ჩამორჩენა კი არ არის, არამედ ის, რომ გავიგოთ მოვლენათა

აზრი, ახალი პროცესების აზრი და მერე მოხერხებულად ვმართოთ ისინი განვითარების საერთო ტენდენციის შესაბამისად. სწორედ ასეა საქმე, თუ საგნებს მარქსისტის თვალით შევხედავთ, და არა ფრაქციონერის თვალით, რომელიც ყველგან დამნაშავეს ეძებს.

პრეობრაჟენსკი აღშფოთებულია, რომ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელნი ლაპარაკობენ ტროცკის გადახრებზე ლენინიზმისაგან. იგი აღშფოთებულია, მაგრამ არსებითად მას საწინააღმდეგო არაფერი უთქვამს და საერთოდ არ ცდილა დაესაბუთებინა თავისი აღშფოთება, — დაავიწყდა, რომ აღშფოთება არგუმენტი არ არის. დიახ, მართალია, რომ ტროცკი განზე იხრება ლენინიზმისაგან ორგანიზაციულ საკითხებში. ჩვენ ამას ვამტკიცებდით და განვაგრძობთ ამის მტკიცებას. ცნობილი სტატიები «პრავდაში» სახელწოდებით «ძირს ფრაქციულობა», რომლებიც ბუხარინის კალამს ეკუთვნის, მთლიანად ეხება ლენინიზმისაგან ტროცკის გადახრათა საკითხს. რატომ არაფერი თქვა არსებითად პრეობრაჟენსკიმ ამ სტატიების ძირითადი აზრების წინააღმდეგ? რატომ არ შეეცადა პრეობრაჟენსკი განემტკიცებინა თავისი აღშფოთება საბუთებით ან საბუთების მსგავსი რამით? გუშინ მე ვამბობდი და დღესაც უნდა გავიმეორო, რომ ტროცკის ისეთი ნაბიჯები, როგორიცაა თავისი თავის დაპირისპირება ცენტრალური კომიტეტისადმი, მთელი რიგი იმ ორგანიზაციების ნების უგულებელყოფა, რომელნიც ტროცკისაგან გარკვეულ პასუხს მოითხოვენ, პარტიის დაპირისპირება პარტიის აპარატისადმი, ახალგაზრდობის დაპირისპირება პარტიის კადრებისადმი, პარტიის ორიენტირება მოსწავლე ახალგაზრდობაზე და დაჯგუფებათა თავისუფლების გამოცხადება, — რომ ასეთი ნაბიჯები შეუთავსებელია ლენინიზმის ორგანიზაციულ პრინციპებთან.

რატომ არ შეეცადა პრეობრაჟენსკი გაებათილებინა ეს ჩემი მტკიცება?

ლაპარაკობენ ტროცკის დევნაზე. ამაზე ლაპარაკობდნენ პრეობრაჟენსკი, რადეკი. ამხანაგებო, უნდა განვაცხადო, რომ ამ ამხანაგების განცხადება დევნის შესახებ სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს. მოგაგონებთ ორ ფაქტს იმისათვის, რომ თქვენ შეგეძლოთ განსაჯოთ. პირველი ფაქტი — ესაა ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმზე მომხდარი ინციდენტი, როცა პასუხად ცენტრალური კომიტეტის წევრის კომაროვის განცხადებისა — ცენტრალური კომიტეტის წევრებს არ შეუძლიათ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესრულებაზე უარის თქმაო, — ტროცკი წამოხტა და პლენუმის სხდომა დატოვა. თქვენ გახსოვთ, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მაშინ «დელეგაცია» გაუგზავნა ტროცკის **თხოვნით** — დაბრუნებულიყო პლენუმის სხდომაზე. თქვენ გახსოვთ, რომ ტროცკიმ უარი თქვა პლენუმის თხოვნის შესრულებაზე, რითაც ცხადყო, რომ მას თავისი ცენტრალური კომიტეტისადმი პატივისცემის მინიმალური დოზაც კი არ გააჩნია.

ან კიდევ მეორე ფაქტის ისტორია, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ტროცკი გადაჭრით უარს ამბობს იმუშაოს ცენტრალურ საბჭოთა ორგანოებში, შრომისა და თავდაცვის საბჭოში და სახალხო კომისართა საბჭოში, მიუხედავად ცენტრალური კომიტეტის მიერ ორჯერ მიღებული გადაწყვეტილებისა იმის შესახებ, რომ ტროცკი, ბოლოს და ბოლოს, შესდგომოდა საბჭოთა ორგანოებში მუშაობას. თქვენ იცით, რომ ტროცკის თითიც არ გაუნძრევია ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად. მართლაცდა, რატომ არ უნდა იმუშაოს ტროცკიმ შრომისა და თავდაცვის საბჭოში, სახალხო კო-

მისართა საბჭოში? რატომ ერთხელ მაინც არ უნდა შეიხედოს ტროცკიმ, რომელსაც ასე ბევრი ლაპარაკი უყვარს გეგმაზე, რატომ არ უნდა შეიხედოს ჩვენს სახელმწიფო საგეგმო კომისიაში? განა შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს ისეთი მდგომარეობა, როდესაც ცენტრალური კომიტეტის წევრი უგულებელყოფს ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას? განა ყველა ეს ფაქტი არ მოწმობს იმას, რომ ლაპარაკი დევნის შესახებ ცარიელ ჭორს წარმოადგენს, რომ, თუ მაინცდამაინც ვინმეს მივიჩნევთ დამნაშავედ, ასეთად უნდა მივიჩნიოთ თვითონ ტროცკი, რომლის საქციელი არ შეიძლება შევაფასოთ სხვანაირად, თუ არა როგორც ცენტრალური კომიტეტის აბუჩად აგდება?

სრულებით არაა სწორი პრეობრაჟენსკის მსჯელობა დემოკრატიაზე. პრეობრაჟენსკი ასე აყენებს საკითხს: ან ჩვენ გვყავს დაჯგუფებანი, და მაშინ არის დემოკრატია, ან თქვენ კრძალავთ დაჯგუფებებს, და მაშინ არ არის დემოკრატიაო. დაჯგუფებათა თავისუფლება და დემოკრატია მისთვის განუყრელად დაკავშირებული არიან ერთმანეთთან. ჩვენ ასე როდი გვესმის დემოკრატია. ჩვენ დემოკრატია გვესმის, როგორც პარტიული მასის აქტივობისა და შეგნებულობის ამაღლება, როგორც პარტიული მასის სისტემატური ჩაბმა არა მარტო საკითხების განხილვის საქმეში, არამედ მუშაობის ხელმძღვანელობის საქმეშიც. დაჯგუფებათა თავისუფლება, ე. ი. ფრაქციათა თავისუფლება, — ეს ერთი და იგივეა, — წარმოადგენს ბოროტებას, რომელიც პარტიას დაჭუცმაცებას და სადისკუსიო კლუბად გადაქცევას უქადის. თქვენ ამხილეთ თქვენი თავი, პრეობრაჟენსკი, ვინაიდან თქვენ ფრაქციათა თავისუფლებას იცავთ. პარტიულ მასას დემოკრატია ესმის, როგორც ისეთი პირობების შექმნა, რომელნიც უზრუნველყოფენ პარტიის წევრთა აქტიურ მონაწილეობას ჩვენი ქვეყნის

ხელმძღვანელობის საქმეში, ხოლო ორიოდე ოპოზიციელ ინტელიგენტს ისე ესმის საქმე, რომ მათ ფრაქციის შექმნის შესაძლებლობა მისცენ. თქვენ ამხილეთ თქვენი თავი, პრეობრაჟენსკი.

და რატომ ასე გეშინიათ თქვენ მეშვიდე პუნქტისა პარტიის ერთიანობის შესახებ, რა არის აქ საშიში? მეშვიდე პუნქტი ამბობს: «რათა განხორციელდეს მკაცრი დისციპლინა პარტიის შიგნით და მთელ საბჭოთა მუშაობაში და მიღწეულ იქნას უმეტესი ერთიანობა ყოველგვარი ფრაქციულობის თავიდან აცილებით»... მერე, განა თქვენ, ამხ. ოპოზიციონერებო, წინააღმდეგი ხართ «მკაცრი დისციპლინისა პარტიის შიგნით და საბჭოთა მუშაობაში», განა თქვენ ყოველივე ამის წინააღმდეგი ხართ? აი ეს კი არ ვიცოდი, ამხანაგებო, რომ თქვენ ამის წინააღმდეგი ხართ. და განა თქვენ, საპრონოვო და პრეობრაჟენსკი, იმის წინააღმდეგი ხართ, რომ მივაღწიოთ მაქსიმალურ ერთიანობას და «ფრაქციულობის თავიდან აცილებას»? სთქვით პირდაპირ, — იქნებ ჩვენ შევიტანოთ პატარა შესწორებანი. (ს ი ც ი ლ ი).

შემდეგ: «ყრილობა აძლევს ცენტრალურ კომიტეტს რწმუნებას — პარტდისციპლინის დარღვევის ან ფრაქციულობის განახლების შემთხვევაში მიმართოს პარტიული სასჯელის ღონისძიებებს»... ნუთუ თქვენ ამისიც გეშინიათ? ნუთუ თქვენ, პრეობრაჟენსკი, რადეკო, საპრონოვო, ფიქრობთ დაარღვიოთ პარტდისციპლინა, აღადგინოთ ფრაქციულობა? და თუ თქვენ ამას არ ფიქრობთ, მაშ რისღა უნდა გეშინოდეთ? თქვენ ამხელთ თქვენს თავს, ამხანაგებო, იმ პანიკით, რომელსაც შეუპყრიხართ. ცხადია, რაკი თქვენ ერთიანობის შესახებ მიღებული რეზოლუციის მეშვიდე პუნქტისა გეშინიათ, მაშინ თქვენ ფრაქციულობის მომხრე ხართ, დისციპლინის დარღვევის მომხრე

ხართ, ერთიანობის წინააღმდეგი ხართ. ხოლო თუ თქვენ ყოველივე ამის წინააღმდეგი არა ხართ, პანიკას რატომღა ეძლევით? თუ თქვენ სინდისი წმინდა გაქვთ, თუ თქვენ ერთიანობის მომხრე ხართ ფრაქციულობის წინააღმდეგ და დისციპლინის დარღვევის წინააღმდეგ, განა ცხადი არ არის, რომ დამსჯელი ხელი პარტიისა თქვენ არ შეგეხებათ? მაშ, რისა უნდა გეშინოდეთ? (ხმა ადგილიდან: «მერე, რატომ შემოგაქვთ, თუ საშიში არაა?»).

ჩვენ **მოგაგონებთ.** (სიცილი, ტაში. პრეობრაჟენსკი: «თქვენ აშინებთ პარტიას»).

ჩვენ ვაშინებთ ფრაქციონერებს და არა პარტიას. ნუთუ თქვენ ფიქრობთ, პრეობრაჟენსკი, რომ პარტია და ფრაქციონერები ერთი და იგივეა? ჩანს, აქ ქურდს ქუდი ეწვის. (სიცილი).

შემდეგ: «ხოლო ცენტრალური კომიტეტის წევრების მიმართ — მათს გადაყვანას კანდიდატებად და, როგორც უკიდურეს ღონისძიებას, პარტიიდან გარიცხვასაც კი. ცენტრალური კომიტეტის წევრების, ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრების მიმართ ასეთი უკიდურესი ღონისძიების მიღების პირობა უნდა იყოს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევა».

რა არის აქ საშიში? თუ თქვენ ფრაქციონერები არა ხართ, თუ თქვენ დაჯგუფებათა თავისუფლების წინააღმდეგი ხართ, თუ თქვენ ერთიანობის მომხრე ხართ, მაშინ თქვენ, ამხ. ოპოზიციონერებო, ხმა უნდა მისცეთ X ყრილობის რეზოლუციის მეშვიდე პუნქტს, ვინაიდან იგი მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ ფრაქციონერთა წინააღმდეგ, მხოლოდ და მხოლოდ პარტიის ერთიანობის დამრღვევთა, მისი ძლიერებისა და დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ. განა ეს ცხადი არ არის?

გადავდივარ რადეკზე. არიან ადამიანები, რომელთაც ენა იმისათვის აქვთ, რომ ეუფლონ მას და მართონ იგი. ეს — ჩვეულებრივი ადამიანებია. და არიან ადამიანები, რომელნიც თვითონ ემორჩილებიან თავის ენას და რომელთაც მათი ენა მართავს. ეს — არაჩვეულებრივი ადამიანებია. ამგვარ არაჩვეულებრივ ადამიანებს მიეკუთვნება რადეკი. ადამიანს, რომელსაც ენა იმისათვის კი არა აქვს მიცემული, რომ მართოს იგი, არამედ იმისათვის, რომ თვითონ დაემორჩილოს თავის საკუთარ ენას, საშუალება არ ექნება იცოდეს, როდის და რას წამოროშავს მისი ენა. თქვენ რომ შესაძლებლობა გქონოდათ მოგესმინათ რადეკის სიტყვები სხვადასხვა კრებებზე, განცვიფრებული იქნებოდით მისი დღევანდელი გამოსვლით. ერთ-ერთ სადისკუსიო კრებაზე რადეკი ამტკიცებდა, რომ შინაპარტიული დემოკრატიის საკითხი უმნიშვნელო საკითხია, რომ ის, რადეკი, ნამდვილად რომ ითქვას, დემოკრატიის წინააღმდეგია, რომ საქმე ახლა არსებითად ეხება არა დემოკრატიას, არამედ იმას, თუ რას უპირებს ცენტრალური კომიტეტი ტროცკის. მეორე სადისკუსიო კრებაზე იმავე რადეკმა განაცხადა, დემოკრატია პარტიის შიგნით სერიოზული საქმე არ არის, მაგრამ, აი, დემოკრატია ცენტრალური კომიტეტის შიგნით ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეაო, ვინაიდან ცენტრალურ კომიტეტში, მისი აზრით, დირექტორია შეიქმნა. დღეს კი იგივე რადეკი წარბშეუხრელად აცხადებს, შინაპარტიული დემოკრატია ისევე აუცილებელია, როგორც ჰაერი და წყალიო, ვინაიდან უდემოკრატიოდ, თურმე, შესაძლებლობა არა გვაქვს პარტია ვმართოთ. გვიბრძანეთ, ამ სამი რადეკიდან რომელს ვერწმუნოთ — პირველს, მეორეს თუ მესამეს? სად არის გარანტია, რომ რადეკი — თუ მისი ენა — უახლოეს მომავალში არ გამოვა ახალი მოულოდნელი განცხადებებით,

რომელნიც ყველა წინანდელ განცხადებას გააბათილებენ? განა შეიძლება დავენდოთ ისეთ კაცს, როგორიც რადეკია? განა შეიძლება ამის შემდეგ რაიმე მნიშვნელობა მივანიჭოთ რადეკის განცხადებას, მაგალითად, იმის შესახებ, რომ ბოგუსლავსკი და ანტონოვი განსაზღვრულ თანამდებობათაგან გადაყენებული არიან «ფრაქციული მოსაზრებებით»?

ბოგუსლავსკის შესახებ მე უკვე ვილაპარაკე, ამხანაგებო... რაც შეეხება ანტონოვ-ოვსეენკოს, ნება მომეცით გაცნობოთ შემდეგი. ანტონოვი მოხსნილია მუშათა და გლეხთა წითელი არმიის პოლიტსამმართველოდან ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს გადაწყვეტილებით, რომელიც დამტკიცებული იყო ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ. ის მოხსნილია უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ დაგზავნა ცირკულარი სამხედრო უმაღლესი სასწავლებლებისა და საჰაერო ფლოტის უჯრედების კონფერენციის შესახებ ასეთი დღის წესრიგით: საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, პარტმშენებლობის შესახებ და სხვ., დაგზავნა ცენტრალური კომიტეტისათვის შეუტყობინებლად და მასთან შეუთანხმებლად, თუმცა ანტონოვმა იცოდა, რომ მუშათა და გლეხთა წითელი არმიის პოლიტსამმართველო ცენტრალური კომიტეტის განყოფილების უფლებებით მუშაობს. გარდა ამისა, ის მოხსნილია პოლიტსამმართველოდან იმის გამო, რომ ყველა სამხედრო უჯრედს გაუგზავნა ცირკულარი შინაპარტიული დემოკრატიის გამოყენების ფორმების შესახებ, წინააღმდეგ ცენტრალური კომიტეტის ნებისა და მიუხედავად ცენტრალური კომიტეტის გაფრთხილებისა, რომ ეს ცირკულარი შეთანხმებული ყოფილიყო ცენტრალური კომიტეტის გეგმებთან. ბოლოს, ის მოხსნილია იმის გამო, რომ გამოუგზავნა ცენტრალურ კომიტეტს

და ცენტრალურ საკონტროლო კომისიას ტონით სრულიად უდიერი და შინაარსით აბსოლუტურად დაუშვებელი წერილი, რომელიც შეიცავდა მუქარას ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის მისამართით — წესრიგისაკენ მოუწოდეთ «თავგასულ ბელადებსო».

ამხანაგებო! შეიძლება და საჭიროცაა დავუშვათ ოპოზიციონერები პოსტებზე. შეიძლება და საჭიროცაა დავუშვათ ცენტრალური კომიტეტის მუშაობის კრიტიკა ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეების მხრით. მაგრამ შეუძლებელია დავუშვათ ის, რომ გამგე მუშათა და გლეხთა წითელი არმიის პოლიტსამმართველოსი, რომელიც ცენტრალური კომიტეტის განყოფილების უფლებებით მოქმედებს, სისტემატურად უარს ამბობდეს საქმიანი კონტაქტი დაამყაროს თავის ცენტრალურ კომიტეტთან, შეუძლებელია დავუშვათ ის, რომ პასუხისმგებელ მუშაკს შეეძლოს ფეხქვეშ გათელოს ზრდილობის ელემენტარული წესები. შეუძლებელია ასეთ ამხანაგს მივანდოთ წითელი არმიის აღზრდა. აი ასეთია ანტონოვის საქმე.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა იმ საკითხზე, თუ, ბოლოს და ბოლოს, ვის განწყობილებებს გამოხატავენ თავისი გამოსვლებით ოპოზიციელი ამხანაგები. მე უნდა დავუბრუნდე გზათა სახალხო კომისარიატის კურსების მოსწავლეების — ამხანაგების ყაზარიანისა და მარტინოვის «შემთხვევას». ეს «შემთხვევა» გვეუბნება იმას, რომ უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა ერთ ნაწილში ყველაფერი რიგზე არ ყოფილა, რომ იქ სადღაც, გულის სიღრმეში, პარტიულობის გრძნობა მათში უკვე დამპალა, რომ შინაგანად მათ უკვე კავშირი გაუწყვეტიათ პარტიასთან, და სწორედ ამიტომ ისინი სიამოვნებით ხმას აძლევენ ოპოზიციას. ბოდიშს ვიხდი, ამხანაგებო, მაგრამ

ასეთი ადამიანები, რომელნიც პარტიული მხრივ მთლად დამპალან, არ არიან და არც შეიძლება იყვნენ იმათ რიცხვში, ვინც ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციას მისცა ხმა. ჩვენ ასეთები არა გვყვანან, ამხანაგებო. ჩვენს შორის, ჩვენს რიგებში არ არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც შეეძლოთ თქვან: «რა გვაქვს ჩვენ — პროლეტარიატის დიქტატურა თუ კომპარტიის დიქტატურა პროლეტარიატზე?». ესაა მარტოვისა და დანის ფრაზა. ესაა ესერების «დნი»-ს[7] ფრაზა, და თუ თქვენში, თქვენს რიგებში, ასეთი დამცველები არიან, რად ღირებულა თქვენი პოზიცია, ამხანაგო ოპოზიციელებო? ან, მაგალითად, მეორე ამხანაგი, ამხანაგი მარტინოვი, რომელიც ფიქრობს — ცენტრალური კომიტეტი ხმაგაკმენდილი უნდა იყოს, უჯრედები კი საკითხებს წყვეტენო. თქვენ, ცენტრალურ კომიტეტს, შეგიძლიათ შეასრულოთ ის, რასაც ჩვენ, უჯრედები, გადავწყვეტთო. მაგრამ ჩვენში 50 ათასი უჯრედია. თუ ისინი შეუდგნენ, მაგალითად, კერზონის ულტიმატუმის საკითხის გადაწყვეტას, ჩვენ ორ წელიწადს ვერ მივაღწევთ მის გადაჭრას. ეს ხომ პირწმინდა ანარქო-მენშევიზმია. თუ ეს ადამიანები, რომელთაც გონება დაუკარგავთ და პარტიული მხრივ მთლად დამპალან, თქვენთან ფრაქციაში სხედან, რად ღირებულა მაშინ თქვენი ფრაქცია? (ხმა: «ისინი პარტიის წევრები არიან?»).

დიახ, სამწუხაროდ, ისინი პარტიის წევრები არიან, მაგრამ მე მზადა ვარ ვიხმარო ყოველგვარი ღონისძიება იმისათვის, რომ ასეთი ადამიანები აღარ იყვნენ ჩვენი პარტიის წევრები. (ტაში). მე ვთქვი, რომ ოპოზიცია გამოხატავს არაპროლეტარული ელემენტების განწყობილებებსა და მისწრაფებებს პარტიაში და პარტიის ფარგლებს გარეთ. ოპოზიცია, მისდა შეუგნებლად, გზას უხსნის წვრილბურჟუაზიულ სტიქიას. ოპოზიციის ფრაქციული მუშაობა

წყლის მიშვებაა ჩვენი პარტიის მტრების წისქვილზე, იმათ წისქვილზე, ვისაც სურს დაასუსტოს, დაამხოს პროლეტარიატის დიქტატურა. მე ეს ვთქვი გუშინ, და ამას ვადასტურებ დღეს.

მაგრამ, იქნებ, თქვენ გსურთ მოუსმინოთ სხვა, ახალ მოწმეებს? კეთილი, შემიძლია ამ მხრივ გასიამოვნოთ, თუ მოვიყვან, მაგალითად, თქვენთვის ცნობილი სტ. ივანოვიჩის ჩვენებას. ვინ არის სტ. ივანოვიჩი? ის მენშევიკია, პარტიის ყოფილი წევრი, როცა ჩვენ ერთ პარტიას შევადგენდით მენშევიკებთან ერთად. მერე ის მენშევიკების ცენტრალურ კომიტეტს გაეყარა და მემარჯვენე მენშევიკი გახდა. მემარჯვენე მენშევიკები — ესაა ჯგუფი მენშევიკ-ინტერვენციონისტებისა, რომელთა მორიგი ამოცანა ის არის, რომ დაამხონ საბჭოთა ხელისუფლება, თუნდაც უცხოელთა ხიშტების დახმარებით. მათი ორგანოა «ზარია» [8]. ამ ორგანოს რედაქტორია სტ. ივანოვიჩი. როგორ ეპყრობა ჩვენს ოპოზიციას ეს მემარჯვენე მენშევიკი, რა ატესტაციას აძლევს მას? ყური დაუგდეთ.

«ვიყოთ ოპოზიციის მადლობელნი იმისათვის, რომ მან ასე ფერადოვნად დაგვიხატა სურათი შემზარავი მორალური კლოაკისა, რომელსაც რუსეთის კომუნისტური პარტია ეწოდება. ვიყოთ მისი მადლობელნი, რომ მან სერიოზული მორალური და ორგანიზაციული დარტყმა მიაყენა რუსეთის კომუნისტურ პარტიას. ვიყოთ მისი მადლობელნი იმისათვის, რომ მისი მუშაობა აადვილებს ყველა იმათ საქმეს, ვინც საბჭოთა ხელისუფლების დამხობაში სოციალისტური პარტიების ამოცანას ხედავს».

ესეც თქვენი ატესტატი, ამხანაგო ოპოზიციელებო.

ვამთავრებ რა სიტყვას, მე მაინც მინდა ვუსურვო ოპოზიციელ ამხანაგებს, რომ სტ. ივანოვიჩის ეს კოცნა მათ მაინცდამაინც მაგრად არ მიწებებოდეს. (ხანგრძლივი ტაში).

ლენინის გარდაცვალების გამო

სიტყვა საბჭოების სრულიად საკავშირო II ყრილობაზე [9]

1924 წ. 26 იანვარი

ამხანაგებო! ჩვენ, კომუნისტები, განსაკუთრებული წყობის ადამიანები ვართ. ჩვენ გამოკვეთილი ვართ განსაკუთრებული მასალისაგან. ჩვენ ისინი ვართ, რომლებიც შევადგენთ უდიდესი პროლეტარული სტრატეგის არმიას, ამხანაგ ლენინის არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე ღირსება — ეკუთვნოდე ამ არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე პარტიის წევრის სახელწოდება, იმ პარტიისა, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელია ამხანაგი ლენინი. ყველას როდი შეუძლია იყოს ასეთი პარტიის წევრი. ყველას როდი შეუძლია აიტანოს ის განსაცდელნი და ქარიშხალნი, რაც დაკავშირებულია ასეთი პარტიის წევრობასთან. მუშათა კლასის შვილები, გაჭირვებისა და ბრძოლის შვილები, უზომო შევიწროებისა და გმირული თავდადების შვილები — აი ვინ უნდა იყვნენ, უწინარეს ყოვლისა, ასეთი პარტიის წევრები. აი რატომ არის, რომ ლენინელების პარტიას, კომუნისტების პარტიას, ამავე დროს მუშათა კლასის პარტია ეწოდება.

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ მაღლა გვეჭირა და წმინდად დაგვიცვა პარტიის წმინდა დიადი სახელი. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს ანდერძს!

25 წლის განმავლობაში ზრდიდა ამხანაგი ლენინი ჩვენს პარტიას და გამოზარდა იგი, როგორც მსოფლიოში ყველაზე მტკიცე და ყველაზე გამობრძმედილი მუშათა პარტია. ცარიზმისა და მისი მსახურების დარტყმები, ბურჟუაზიისა და მემამულეების სიაფთრე, კოლჩაკისა და დენიკინის შეიარაღებული თავდასხმები, ინგლისისა და საფრანგეთის შეიარაღებული ჩარევა, ბურჟუაზიის ასპიროვანი ბეჭდვითი სიტყვის სიცრუე და ცილისწამება, — ყველა ეს მორიელნი განუწყვეტლივ თავს ატყდებოდნენ ჩვენს პარტიას მეოთხედი საუკუნის მანძილზე. მაგრამ ჩვენი პარტია იდგა, როგორც სალი კლდე, იგერიებდა მტრების უთვალავ დარტყმებს და მიჰყავდა მუშათა კლასი წინ, გამარჯვებისაკენ. სასტიკ ბრძოლებში გამოჭედა ჩვენმა პარტიამ თავისი რიგების ერთიანობა და დარაზმულობა. ერთიანობითა და დარაზმულობით მიაღწია მან მუშათა კლასის მტრებზე გამარჯვებას.

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ დავიცვათ ჩვენი პარტიის ერთიანობა, როგორც თვალის ჩინი. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს ანდერძსაც!

მძიმე და აუტანელია მუშათა კლასის ხვედრი. მწვავე და მძიმეა მშრომელთა ტანჯვა-წამება. მონები და მონათმფლობელნი, ყმები და ბატონები, გლეხები და მემამულენი, მუშები და კაპიტალისტები, ჩაგრულნი და მჩაგვრელნი, — ასე შენდებოდა ქვეყანა უხსოვარი დროიდან, ასეთად რჩება ის ახლაც ქვეყნების უდიდეს უმრავლესობაში. საუკუნეების განმავლობაში ათეულ და ასეულჯერ

უცდიათ მშრომელებს მხრებიდან ჩამოეგდოთ მჩაგვრელები და თავისი მდგომარეობის ბატონ-პატრონნი გამხდარიყვნენ. მაგრამ ყოველთვის, დამარცხებულნი და შერცხვენილნი, იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ, გულში ჩაეხშოთ დამცირება და შეურაცხყოფა, გულისწყრომა და სასოწარკვეთილება და აღეპყრათ თვალნი გამოუცნობი ცისაკენ, საიდანაც ისინი ელოდნენ ხსნას. მონობის ბორკილი ხელუხლები რჩებოდა, ანდა ძველ ბორკილს ცვლიდა ახალი, ისეთივე მძიმე და დამამცირებელი. მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში შესძლეს მშრომელთა ჩაგრულმა და დაბეჩავებულმა მასებმა მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობის დამხობა და მის მაგიერ მუშებისა და გლეხების ბატონობის დამყარება. თქვენ იცით, ამხანაგებო, და ახლა მთელი მსოფლიო აღიარებს ამას, რომ ამ გიგანტურ ბრძოლას ხელმძღვანელობდა ამხანაგი ლენინი და მისი პარტია. ლენინის სიდიადე, უწინარეს ყოვლისა, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ, შექმნა რა საბჭოების რესპუბლიკა, ამით მან საქმით უჩვენა მთელი მსოფლიოს ჩაგრულ მასებს, რომ ხსნის იმედი არ არის დაკარგული, რომ მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობა დიდხანს ვერ გასტანს, რომ შრომის სამეფო **შეიძლება** დამყარდეს თვით მშრომელთა ძალღონით, რომ შრომის სამეფო საჭიროა დამყარდეს **მიწაზე** და არა ზეცაში. ამით მან განთავისუფლების იმედი აუნთო გულში მთელი მსოფლიოს მუშებსა და გლეხებს. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ლენინის სახელი მშრომელი და ექსპლოატირებული მასების ყველაზე საყვარელი სახელი გახდა.

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ დავიცვათ და განვამტკიცოთ პროლეტარიატის დიქტატურა. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ არ დავზოგავთ ჩვენს ძალებს იმისათვის, რათა ღირსეულად შევასრულოთ ეს შენი ანდერძიც!

პროლეტარიატის დიქტატურა ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მუშებისა და გლეხების კავშირის საფუძველზე. ეს პირველი და ძირითადი საფუძველია საბჭოების რესპუბლიკისა. მუშები და გლეხები ვერ დაამარცხებდნენ კაპიტალისტებსა და მემამულეებს ასეთი კავშირის უქონლად. მუშები ვერ შესძლებდნენ კაპიტალისტების დამარცხებას გლეხების მხარდაუჭერლად. გლეხები ვერ შესძლებდნენ მემამულეების დამარცხებას მუშების მხრით ხელმძღვანელობის გარეშე. ამას მოწმობს ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო ომის მთელი ისტორია. მაგრამ საბჭოების რესპუბლიკის განმტკიცებისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ სრულიადაც არ დამთავრებულა, — მან მხოლოდ ახალი ფორმა მიიღო. წინათ მუშებისა და გლეხების კავშირს სამხედრო კავშირის ფორმა ჰქონდა, რადგან ის მიმართული იყო კოლჩაკისა და დენიკინის წინააღმდეგ. ახლა მუშებისა და გლეხების კავშირმა უნდა მიიღოს ქალაქსა და სოფელს შორის, მუშებსა და გლეხებს შორის სამეურნეო თანამშრომლობის ფორმა, რადგან იგი მიმართულია ვაჭრისა და კულაკის წინააღმდეგ, რადგან იგი მიზნად ისახავს მუშებისა და გლეხების ურთიერთმომარაგებას ყველა საჭირო საგნებით. თქვენ იცით, რომ არავინ ისე შეუპოვრად არ ატარებდა ამ ამოცანას, როგორც ამხანაგი ლენინი.

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ მთელი ძალღონით განვამტკიცოთ მუშებისა და გლეხების კავშირი. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს ანდერძსაც!

საბჭოების რესპუბლიკის მეორე საფუძველს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ეროვნებათა მშრომელების კავშირი. რუსები და უკრაინელები, ბაშკირები და ბელორუსები, ქართველები და აზერბაიჯანელები, სომხები და დაღისტნელები, თათრები და ყირგიზები, უზბეკები და თურქმე-

ნები, — ყველა ისინი ერთნაირად არიან დაინტერესებულნი პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებით. არა მარტო პროლეტარიატის დიქტატურა ათავისუფლებს ამ ხალხებს ბორკილებისა და ჩაგვრისაგან, არამედ ეს ხალხებიც იცავენ ჩვენს საბჭოების რესპუბლიკას მუშათა კლასის მტრების მზაკვრობისა და თავდასხმებისაგან თავიანთი უსაზღვრო ერთგულებით საბჭოების რესპუბლიკისადმი, თავიანთი მზადყოფნით — თავი დასდონ მისთვის. აი რატომ იყო, რომ ამხანაგი ლენინი დაუღალავად გველაპარაკებოდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ნებაყოფლობითი კავშირის აუცილებლობაზე, რესპუბლიკების კავშირის ფარგლებში მათი ძმური თანამშრომლობის აუცილებლობაზე.

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ განვამტკიცოთ და გავაფართოოთ რესპუბლიკების კავშირი. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს ანდერძსაც!

პროლეტარიატის დიქტატურის მესამე საფუძველს წარმოადგენს ჩვენი წითელი არმია, ჩვენი წითელი ფლოტი. ლენინს არა ერთხელ უთქვამს ჩვენთვის, რომ შესვენება, რომელიც ჩვენ ბრძოლით გამოვგლიჯეთ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, შეიძლება ხანმოკლე აღმოჩნდეს. ლენინს არა ერთხელ მიუთითებია ჩვენთვის, რომ წითელი არმიის განმტკიცება და მისი მდგომარეობის გაუმჯობესება ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. კერზონის ულტიმატუმთან და გერმანიაში დაწყებულ კრიზისთან [10] დაკავშირებულმა მოვლენებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ლენინი, როგორც ყოველთვის, მართალი იყო. მაშ ფიცი დავდოთ, ამხანაგებო, რომ არ დავზოგავთ ძალღონეს იმისათვის, რათა განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმია, ჩვენი წითელი ფლოტი!

უზარმაზარ სალ კლდედ დგას ჩვენი ქვეყანა, ბურჟუაზიული სახელმწიფოების ოკეანით გარემოცული. ტალღა-ტალღაზე ეხეთქება მას და წალეკვასა და გადარეცხვას უქადის. კლდე კი სულ ურყევად დგას. რაშია მისი ძალა? არა მარტო იმაში, რომ ჩვენი ქვეყანა ეყრდნობა მუშებისა და გლეხების კავშირს, რომ ის განასახიერებს თავისუფალ ეროვნებათა კავშირს, რომ მას იცავს წითელი არმიისა და წითელი ფლოტის ძლიერი ხელი. ჩვენი ქვეყნის ძალა, მისი სიმაგრე, მისი სიმტკიცე იმაში მდგომარეობს, რომ მას აქვს ღრმა თანაგრძნობა და ურყევი მხარდაჭერა მთელი მსოფლიოს მუშებისა და გლეხების გულში. მთელი მსოფლიოს მუშებსა და გლეხებს სურთ დაიცვან საბჭოების რესპუბლიკა, როგორც ამხანაგ ლენინის საიმედო ხელით მტრების ბანაკში გატყორცნილი ისარი, როგორც ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან ხსნის იმედების დასაყრდენი, როგორც საიმედო შუქურა, რომელიც უჩვენებს მათ განთავისუფლების გზას. მათ სურთ შეინარჩუნონ საბჭოების რესპუბლიკა, და ისინი არ დაანებებენ მემამულეებსა და კაპიტალისტებს დაანგრიონ იგი. ამაშია ჩვენი ძალა. ამაშია ყველა ქვეყნის მშრომელთა ძალა. ამაშივეა მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიის სისუსტე.

ლენინი არასოდეს არ უყურებდა საბჭოების რესპუბლიკას როგორც თვითმიზანს. საბჭოების რესპუბლიკა მას ყოველთვის მიაჩნდა აუცილებელ რგოლად რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებისათვის დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში, მიაჩნდა აუცილებელ რგოლად კაპიტალზე მთელი მსოფლიოს მშრომელთა გამარჯვების გაადვილებისათვის. ლენინმა იცოდა, რომ მხოლოდ ასეთი გაგებაა სწორი არა მარტო საერთაშორისო თვალსაზრისით, არამედ თვით საბჭოების რესპუბლიკის შენარჩუნე-

ბის თვალსაზრისითაც. ლენინმა იცოდა, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება ავუნთოთ გულში მთელი მსოფლიოს მშრომელებს განთავისუფლებისათვის გადამწყვეტი ბრძოლის სურვილი. აი რატომ იყო, რომ მან, პროლეტარიატის გენიალურ ბელადთა შორის უგენიალურესმა, პროლეტარული დიქტატურის მეორე დღესვე ჩაუყარა საძირკველი მუშათა ინტერნაციონალს. აი რატომ იღვწოდა ის დაუღალავად მთელი მსოფლიოს მშრომელთა კავშირის — კომუნისტური ინტერნაციონალის გაფართოებისა და განმტკიცებისათვის.

ამ დღეების განმავლობაში თქვენ ხედავდით ამხანაგ ლენინის კუბოსაკენ მიმავალ ათეულ და ასეულ ათას მშრომელებს. რამდენიმე ხნის შემდეგ თქვენ იხილავთ, რომ ამხანაგ ლენინის საფლავის სანახავად მოდიოდენ მილიონობით მშრომელთა წარმომადგენლები. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ მილიონთა წარმომადგენლებს თან მოჰყვებიან შემდეგ ათეული და ასეული მილიონების წარმომადგენლები ქვეყნიერების ყველა კუთხიდან იმისათვის, რათა დაამოწმონ, რომ ლენინი იყო ბელადი არა მარტო რუსეთის პროლეტარიატისა, არა მარტო ევროპის მუშებისა, არა მარტო კოლონიური აღმოსავლეთისა, არამედ დედამიწის მთელი მშრომელი სამყაროსიც.

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ კომუნისტური ინტერნაციონალის პრინციპებისადმი ერთგულება. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ არ დავზოგავთ ჩვენს სიცოცხლეს იმისათვის, რათა განვამტკიცოთ და გავაფართოოთ მთელი მსოფლიოს მშრომელთა კავშირი — კომუნისტური ინტერნაციონალი!.

«პრავდა» № 23,
1924 წ. 30 იანვარი.

ლენინის შესახებ

სიტყვა კრემლის კურსანტების საღამოზე

1924 წ. 28 იანვარი

ამხანაგებო! მე მითხრეს, რომ აქ თქვენ მოწყობილი გაქვთ ლენინის მოსაგონარი საღამო, მე კი მოწვეული ვარ ამ საღამოზე ერთ-ერთ მომხსენებლად. მე მგონია, არ არის აუცილებელი წარმოვადგინო მთლიანი მოხსენება ლენინის მოღვაწეობის შესახებ. ვფიქრობ, უკეთესი იქნება დავკმაყოფილდეთ მთელი რიგი იმ ფაქტების გადმოცემით, რომლებიც აღნიშნავენ ლენინის, როგორც ადამიანისა და როგორც მოღვაწის, ზოგიერთ თავისებურებას. ამ ფაქტებს შორის, შესაძლებელია, არც კი იყოს შინაგანი კავშირი, მაგრამ ამას არ ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა იმისათვის, რომ საერთო წარმოდგენა მივიღოთ ლენინზე. ყოველ შემთხვევაში, ამჟამად მე შესაძლებლობა არა მაქვს მოგცეთ იმაზე მეტი, რასაც ზევით შეგპირდით.

მთის არწივი

პირველად ლენინს 1903 წელს გავეცანი. მართალია, ეს იყო შორიდან გაცნობა, მიწერ-მოწერით, და არა პირადი. მაგრამ ამან ჩემში დატოვა წარუხოცელი შთაბეჭდილება, რომელიც პარტიაში მთელი ჩემი მუშაობის განმავლობაში თან მდევდა. მე მაშინ ციმბირში ვიყავი გადასახლებული.

ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის გაცნობამ 90-იანი წლების დამლევიდან, განსაკუთრებით კი 1901 წლის შემდეგ, «ისკრის»[11] გამოცემის შემდეგ, დამარწმუნა, რომ ლენინის სახით ჩვენ არაჩვეულებრივი ადამიანი გვყავს. ჩემს თვალში ის მაშინ პარტიის უბრალო ხელმძღვანელი როდი იყო, ის იყო მისი ფაქტიური შემქმნელი, ვინაიდან მხოლოდ მას ესმოდა ჩვენი პარტიის შინაგანი არსი და მისი გადაუდებელი საჭიროებანი. როდესაც მას ჩვენი პარტიის დანარჩენ ხელმძღვანელებს ვადარებდი, ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ ლენინის თანამებრძოლნი — პლეხანოვი, მარტოვი, აქსელროდი და სხვები — მთელი თავით დაბლა დგანან ლენინზე, რომ ლენინი მათთან შედარებით მარტო ერთ-ერთი ხელმძღვანელი კი არ არის, არამედ უმაღლესი ტიპის ხელმძღვანელია, მთის არწივი, ბრძოლაში უშიშარი და რუსეთის რევოლუციური მოძრაობის უვალ გზებზე პარტიის გაბედულად წინ წამყვანი. ეს შთაბეჭდილება ისე ღრმად ჩამწვდა გულში, რომ ჩემთვის აუცილებელი გახდა — მიმეწერა მის შესახებ ერთი ჩემი ახლობელი მეგობრისათვის, რომელიც მაშინ ემიგრაციაში იმყოფებოდა, და მეთხოვა მისთვის — გამოეთქვა თავისი აზრი. რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა უკვე ციმბირში ვიყავი გადასახლებული, — ეს იყო 1903 წლის დამლევს, — ჩემი მეგობრისაგან მივიღე აღფრთოვანებული პასუხი და უბრალო, მაგრამ ღრმად შინაარსიანი წერილი ლენინისა, რომლისთვისაც, როგორც გამოირკვა, ჩემს მეგობარს გაეცნო ჩემი წერილი. ლენინის წერილი შედარებით პატარა იყო, მაგრამ ის იძლეოდა ჩვენი პარტიის პრაქტიკის გაბედულ, უშიშარ კრიტიკას და მასში შესანიშნავი სიცხადით და სხარტად იყო მოცემული ჩვენი პარტიის მუშაობის მთელი გეგმა უახლოესი პერიოდისათვის. მხოლოდ ლენინს შეეძლო უაღრესად დახლართულ

საგნებზე ასე უბრალოდ და გარკვევით, სხარტად და გაბედულად წერა, — როდესაც თვითეული ფრაზა კი არ მეტყველებს, არამედ ტყვიასავით ვარდება. ამ უბრალო და გაბედულმა პატარა წერილმა კიდევ უფრო განამტკიცა ჩემში ის აზრი, რომ ლენინის სახით ჩვენ გვყავს ჩვენი პარტიის მთის არწივი. ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის, რომ ლენინის ეს წერილი, ისე როგორც სხვა მრავალი წერილი, ძველი არალეგალური მუშაკის ჩვეულების მიხედვით, დავწვი.

ამ დროიდან დაიწყო ჩემი ნაცნობობა ლენინთან.

თავმდაბლობა

პირველად ლენინს 1905 წლის დეკემბერში შევხვდი ბოლშევიკების კონფერენციაზე ტამერფორსში (ფინეთში). მე ვიმედოვნებდი, რომ ვნახავდი ჩვენი პარტიის მთის არწივს, დიდ ადამიანს, დიდს არა მარტო პოლიტიკურად, არამედ, თუ გნებავთ, ფიზიკურადაც, რადგან ლენინი ჩემს წარმოდგენაში გოლიათ, ბრგე და წარმოსადეგ ადამიანად მეხატებოდა. როგორ გამიცრუვდა იმედი, როდესაც დავინახე სრულიად ჩვეულებრივი ადამიანი, შუათანაზე დაბალი, რომელიც არაფრით, სრულიად არაფრით არ განსხვავდებოდა ჩვეულებრივ მომაკვდავთაგან...

მიღებულია, რომ «დიდმა ადამიანმა» ჩვეულებრივ უნდა დაიგვიანოს კრებაზე, რათა კრების წევრები გულის ფანცქალით უცდიდნენ მის გამოჩენას, თანაც «დიდი ადამიანის» გამოჩენისას კრების წევრები აფრთხილებენ ხოლმე დამსწრეთ: «სსს... წყნარად... ის მოდის». ეს საზეიმო ჩვეულება მე ზედმეტად არ მიმაჩნდა, რადგან ის შთაბეჭდილებას ახდენს, პატივისცემას გინერგავს. როგორ გამიცრუვდა იმედი, როდესაც გავიგე, რომ ლენინი დელეგატებზე უფრო ადრე მოსულა კრებაზე და, სადღაც კუთხეში

მიმდგარი, უბრალოდ საუბრობს, სრულიად უბრალოდ საუბრობს კონფერენციის სრულიად ჩვეულებრივ დელეგატებთან. არ დავფარავ, რომ ეს მე მაშინ ზოგიერთი აუცილებელი წესის ერთგვარ დარღვევად მეჩვენა.

მხოლოდ შემდგომ მივხვდი, რომ ლენინის ეს უბრალოება და თავმდაბლობა, ეს მისწრაფება — შეუმჩნეველი დარჩენილიყო ანდა, ყოველ შემთხვევაში, თვალში არ მოხვედროდა ყველას და ამით ხაზი არ გაესვა თავისი მაღალი მდგომარეობისათვის, — ეს თვისება ლენინის, როგორც ახალი მასების, კაცობრიობის უღრმესი «ქვედაფენების» უბრალო და ჩვეულებრივი მასების ახალი ბელადის ერთ-ერთ უძლიერეს მხარეს წარმოადგენს.

ლოგიკის ძალა

შესანიშნავი იყო ლენინის ორი სიტყვა, წარმოთქმული ამ კონფერენციაზე: მიმდინარე მომენტის და აგრარული საკითხის შესახებ. სამწუხაროდ, ეს სიტყვები არ შენახულა. ეს იყო შთაგონებული სიტყვები, რომლებმაც მთელი კონფერენცია უდიდეს აღტაცებაში მოიყვანეს. დარწმუნების არაჩვეულებრივი ძალა, არგუმენტაციის სიმარტივე და სიცხადე, მოკლე და ყველასათვის გასაგები ფრაზები, არავითარი პრანჭვა-გრეხა, არავითარი თავბრუდამხვევი ჟესტები და ეფექტიანი ფრაზები, რომელთა მიზანია შთაბეჭდილების მოხდენა, — ყველაფერი ეს ხელსაყრელად განასხვავებდა ლენინის სიტყვებს ჩვეულებრივი «საპარლამენტო» ორატორების სიტყვებისაგან.

მაგრამ მე მაშინ ლენინის სიტყვების ამ მხარემ კი არ მომხიბლა. ლენინის სიტყვებში მე მომხიბლა ლოგიკის იმ უძლეველმა ძალამ, რომელიც რამდენადმე მშრალად, მაგრამ სამაგიეროდ საფუძვლიანად იპყრობს აუდიტორიას, თანდათან აჯადოებს მას და შემდეგ, როგორც იტ-

ყვიან, მთლიანად ატყვევებს. მახსოვს, თუ როგორ ამბობდა მაშინ ბევრი დელეგატთაგანი: «ლოგიკა ლენინის სიტყვებში — ეს რაღაც ისეთი ყოვლადძლიერი იარაღია, რომელიც ყოველი მხრით მარწუხად შემოგეჭდობა და რომელსაც ვეღარ გაუსხლტები: ან დანებდი, ანდა იცოდე, რომ სრული მარცხი მოგივა».

ვფიქრობ, ლენინის სიტყვების ეს თავისებურება მისი ორატორული ხელოვნების ყველაზე ძლიერ მხარეს წარმოადგენს.

არავითარი წუწუნი

მეორედ ლენინს 1906 წელს შევხვდი ჩვენი პარტიის სტოკჰოლმის ყრილობაზე [12]. ცნობილია, რომ ამ ყრილობაზე ბოლშევიკები უმცირესობაში დავრჩით, დავმარცხდით. მე პირველად ვნახე მაშინ ლენინი დამარცხებულის როლში. ის იოტისოდენადაც არ ჰგავდა იმ ბელადებს, რომლებიც წუწუნებენ და გულს იტეხენ დამარცხების შემდეგ. პირიქით, დამარცხებამ ლენინი შეკუმშულ ენერგიად გადააქცია, თავის მომხრეებს რომ ახალი ბრძოლებისათვის, მომავალი გამარჯვებისათვის აღაგზნებს. მე ვლაპარაკობ ლენინის დამარცხებაზე. მაგრამ რა დამარცხება იყო ეს? უნდა შეგეხედათ ლენინის მოწინააღმდეგეებისათვის, სტოკჰოლმის ყრილობაზე გამარჯვებულთათვის — პლეხანოვისა, აქსელროდისა, მარტოვისა და სხვებისათვის: ისინი ძალიან ცოტათი ჰგავდნენ ნამდვილ გამარჯვებულებს, ვინაიდან ლენინმა მენშევიზმის ულმობელი კრიტიკით, როგორც იტყვიან, პირდაპირ ტყავი გააძრო მათ. მახსოვს, თუ ჩვენ, დელეგატი-ბოლშევიკები, შეჭუჭულნი, როგორ მივჩერებოდით ლენინს და ვთხოვდით მას რჩევას. ზოგიერთი დელეგატის

სიტყვებში დაღლილობა, გულგატეხილობა გამოსჭვიოდა. მახსოვს, ლენინმა ასეთ სიტყვებზე მკვახედ გვიპასუხა: «ნუ წუწუნებთ, ამხანაგებო, ჩვენ უეჭველად გავიმარჯვებთ, ვინაიდან ჩვენ მართალნი ვართ». ზიზღი მოწუწუნე ინტელიგენტებისადმი, თავისი ძალის რწმენა, გამარჯვების რწმენა — აი რაზე გველაპარაკებოდა მაშინ ლენინი. ვგრძნობდით, რომ ბოლშევიკების დამარცხება დროებითი იყო, რომ ბოლშევიკებს ახლო მომავალში უნდა გაემარჯვნათ.

«არ უნდა იწუწუნო დამარცხების გამო» — ეს სწორედ ის თავისებურებაა ლენინის მოღვაწეობაში, რომელიც ეხმარებოდა მას თავის გარშემო შემოეკრიბა ბოლომდე თავდადებული და თავის ძალაში დარწმუნებული არმია.

არავითარი ყოყოჩობა

შემდგომ ყრილობაზე ლონდონში, 1907 წელს [13], ბოლშევიკები აღმოვჩნდით გამარჯვებულნი. მე პირველად ვნახე მაშინ ლენინი გამარჯვებულის როლში. ჩვეულებრივ გამარჯვება თავბრუს ახვევს ზოგიერთ ბელადს, ამედიდურებს და აყოყოჩებს მას. უფრო ხშირად ასეთ შემთხვევაში გამარჯვების ზეიმს იწყებენ, განცხრომას ეძლევიან. მაგრამ ლენინი იოტისოდენადაც არ ჰგავდა ასეთ ბელადებს. პირიქით, სწორედ გამარჯვების შემდეგ ხდებოდა ის განსაკუთრებით ფხიზელი და ფრთხილი. მახსოვს, როგორი დაჟინებით არწმუნებდა მაშინ ლენინი დელეგატებს: «პირველი საქმეა — არ გაგიტაცოთ გამარჯვებამ და არ იყოყოჩოთ; მეორე საქმეა — განიმტკიცოთ გამარჯვება; მესამე — საბოლოოდ გაანადგუროთ მოწინააღმდეგე, ვინაიდან ის მხოლოდ დამარცხებულია და ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის განადგურებული». ის მწარედ დასცინოდა იმ დელეგატებს, რომლებიც ფუქსავატურად ირწმუნებოდნენ:

«ამიერიდან მენშევიკების საქმე გათავებულიაო». მისთვის ძნელი არ იყო დაემტკიცებინა, რომ მენშევიკებს ჯერ კიდევ აქვთ ფესვები მუშათა მოძრაობაში, რომ მათ წინააღმდეგ საჭიროა მოხერხებულად ბრძოლა, ამასთან ყოველნაირად უნდა აარიდო თავი საკუთარი ძალების ზედმეტად შეფასებას და, განსაკუთრებით, მოწინააღმდეგის ძალების შეუფასებლობას.

«არ უნდა იყოყოჩო გამარჯვებით» — ეს ლენინის ხასიათის სწორედ ის თავისებურებაა, რომელიც ეხმარებოდა მას ფხიზლად აეწონ-დაეწონა მოწინააღმდეგის ძალები და დაეზღვია პარტია შესაძლებელ მოულოდნელობათაგან.

პრინციპულობა

პარტიის ბელადებს არ შეიძლება ძვირად არ უღირდეთ თავიანთი პარტიის უმრავლესობის აზრი. უმრავლესობა — ეს ის ძალაა, რომელსაც შეუძლებელია ანგარიში არ გაუწიოს ბელადმა. ლენინს ეს არა ნაკლებად ესმოდა, ვიდრე პარტიის სხვა რომელიმე ხელმძღვანელს. მაგრამ ლენინი არასოდეს არ ხდებოდა უმრავლესობის ტყვე, განსაკუთრებით, როდესაც ამ უმრავლესობას არ ჰქონდა პრინციპული საფუძველი. ყოფილა ისეთი მომენტები ჩვენი პარტიის ისტორიაში, როდესაც უმრავლესობის აზრი ან პარტიის წუთიერი ინტერესები კონფლიქტში მოსულა პროლეტარიატის ძირითად ინტერესებთან. ასეთ შემთხვევაში ლენინი უყოყმანოდ, გადაჭრით დგებოდა პრინციპულობის მხარეზე პარტიის უმრავლესობის წინააღმდეგ. კიდევ მეტი, — ასეთ შემთხვევაში მას არ ეშინოდა გამოსულიყო მარტოდმარტო, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ყველას წინააღმდეგ, იმ ანგარიშით, — როგორც ის ხშირად ამბობდა ამის შესახებ, — რომ: «პრინციპული პოლიტიკა ერთადერთი სწორი პოლიტიკაა».

ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია ორი შემდეგი ფაქტი.

პირველი ფაქტი. 1909 — 1911 წლების პერიოდი, როდესაც პარტია, კონტრრევოლუციის მიერ დამარცხებული, სრულ დაშლას განიცდიდა. ეს იყო პარტიისადმი რწმენის დაკარგვის პერიოდი, პარტიიდან არა მარტო ინტელიგენტების საყოველთაო გაქცევის პერიოდი, არამედ აგრეთვე მუშების ნაწილისაც, არალეგალური მუშაობის უარყოფის პერიოდი, ლიკვიდატორობისა და დაშლის პერიოდი. არა მარტო მენშევიკები, არამედ ბოლშევიკებიც კი წარმოადგენდნენ მაშინ მთელ რიგ ფრაქციებსა და მიმდინარეობებს, რომლებიც მეტწილად მოწყვეტილი იყვნენ მუშათა მოძრაობისაგან. ცნობილია, რომ სწორედ ამ პერიოდში აღმოცენდა არალეგალური მუშაობის სრული ლიკვიდაციისა და მუშების ლეგალურ, ლიბერალურ სტოლიპინურ პარტიაში დარაზმვის იდეა. ლენინი მაშინ ერთადერთი იყო, რომელიც არ აჰყვა საერთო სენს და მაღლა ეჭირა პარტიულობის დროშა, განსაცვიფრებელი მოთმინებით და უმაგალითო შეუპოვრობით კრებდა რა პარტიის დაქსაქსულ და დამარცხებულ ძალებს, იბრძოდა ყველა და ყოველგვარი ანტიპარტიული მიმდინარეობის წინააღმდეგ მუშათა მოძრაობის შიგნით, იცავდა პარტიულობას გაუგონარი გმირობით და უმაგალითო სიმტკიცით.

ცნობილია, რომ პარტიულობისათვის ამ დავაში ლენინი შემდეგში გამარჯვებული აღმოჩნდა.

მეორე ფაქტი. 1914 — 1917 წლების პერიოდი, იმპერიალისტური ომის გაჩაღების პერიოდი, როდესაც ყველა, ან თითქმის ყველა, სოციალ-დემოკრატიული და სოციალისტური პარტია აჰყვა საყოველთაო პატრიოტულ გატაცებას და ჩაება თავისი ქვეყნის იმპერიალიზმის სამსახურში. ეს იყო პერიოდი, როდესაც II ინ-

ტერნაციონალმა თავისი დროშები დახარა კაპიტალის წინაშე, როდესაც შოვინისტურ ტალღას ვეღარ გაუძლეს ისეთმა ადამიანებმაც კი, როგორიც იყვნენ პლეხანოვი, კაუცკი, გედი და სხვები. ლენინი მაშინ ერთადერთი, ან თითქმის ერთადერთი იყო, რომელმაც გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღა სოციალ-შოვინიზმისა და სოციალ-პაციფიზმის წინააღმდეგ, ამჟღავნებდა გედებისა და კაუცკების ღალატს და სამარცხვინო დაღს ასვამდა ორჭოფი «რევოლუციონერების» მერყეობას. ლენინს ესმოდა, რომ მას უმნიშვნელო უმცირესობა მისდევდა, მაგრამ ამას მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინაიდან მან იცოდა, რომ ერთადერთი სწორი პოლიტიკა, რომელსაც მომავალი აქვს, არის თანმიმდევრული ინტერნაციონალიზმის პოლიტიკა, ვინაიდან მან იცოდა, რომ პრინციპული პოლიტიკა ერთადერთი სწორი პოლიტიკაა.

ცნობილია, რომ ახალი ინტერნაციონალისათვის ამ დავაშიც ლენინი ალმოჩნდა გამარჯვებული.

«პრინციპული პოლიტიკა ერთადერთი სწორი პოლიტიკაა» — ეს სწორედ ის ფორმულაა, რომლის საშუალებით ლენინი იერიშით იპყრობდა ახალ «მიუვალ» პოზიციებს და რევოლუციური მარქსიზმის მხარეზე გადმოჰყავდა პროლეტარიატის საუკეთესო ელემენტები.

მასებისადმი რწმენა

პარტიის თეორეტიკოსები და ბელადები, ხალხთა ისტორიის მცოდნენი, რომლებსაც თავიდან ბოლომდე აქვთ გაზეპირებული რევოლუციების ისტორია, ზოგჯერ ერთი სამარცხვინო სენით არიან დაავადებულნი. ამ სენს ეწოდება შიში მასების წინაშე, მასების შემოქმედებითი უნარიანობისადმი რწმენის უქონლობა. ამ ნიადაგზე ზოგჯერ აღმოცენდება ხოლმე ბელადების ერთგვარი არისტოკრატიზმი

მასების მიმართ, რომლებიც გამოცდილი არ არიან რევოლუციების ისტორიაში, მაგრამ მოწოდებული არიან ძველი დაანგრიონ და ახალი აშენონ. შიში, რომ სტიქია შეიძლება აბობოქრდეს, რომ მასებს შეუძლიათ «დაამსხვრიონ ბევრი რამ ზედმეტიც», სურვილი — ითამაშონ იმ ძიძის როლი, რომელიც ცდილობს წიგნების მიხედვით ასწავლოს მასებს, მაგრამ არ სურს ისწავლოს მასებისაგან, — ასეთია ამ სახის არისტოკრატიზმის საფუძველი.

ლენინი ასეთი ბელადების სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენდა. მე არ ვიცი სხვა რევოლუციონერი, რომელსაც ასე ღრმად სწამებოდეს პროლეტარიატის შემოქმედებითი ძალები და მისი კლასობრივი ინსტინქტის რევოლუციური მიზანშეწონილობა, როგორც ეს ლენინს სწამდა. მე არ ვიცი სხვა რევოლუციონერი, რომელსაც შესძლებოდეს «რევოლუციის ქაოსისა» და «მასების თვითნებური მოქმედების ვაკხანალიის» თვითკმაყოფილი კრიტიკოსების ასე დაუნდობლად გამათრახება, როგორც ეს ლენინს შეეძლო. მახსოვს, ერთი საუბრის დროს, ერთ-ერთი ამხანაგის შენიშვნაზე — «რევოლუციის შემდეგ ნორმალური წესრიგი უნდა დამყარდესო», ლენინმა სარკასტულად შენიშნა: «უბედურებაა, როცა ადამიანებს, რომელთაც სურთ რევოლუციონერები იყვნენ, ავიწყდებათ, რომ ყველაზე უფრო ნორმალურ წესრიგს ისტორიაში რევოლუციის წესრიგი წარმოადგენს».

აქედანაა ლენინის ათვალწუნებითი დამოკიდებულება ყველა მათდამი, ვინც ქედმაღლურად უცქეროდა მასებს და ცდილობდა წიგნების მიხედვით ესწავლებინა მათთვის. აქედანაა ლენინის დაუღალავი ქადაგება: ვისწავლოთ მასებისაგან, შევიცნოთ მათი მოქმედება, გულდასმით შევისწავლოთ მასების ბრძოლის პრაქტიკული გამოცდილებაო.

მასების შემოქმედებითი ძალებისადმი რწმენა — ეს სწორედ ის თავისებურებაა ლენინის მოღვაწეობაში, რომელიც აძლევდა მას შესაძლებლობას — შეეცნო სტიქია და პროლეტარული რევოლუციის კალაპოტით წარემართა მისი მოძრაობა.

რევოლუციის გენია

ლენინი რევოლუციისათვის იყო დაბადებული. ის იყო რევოლუციურ აფეთქებათა ნამდვილი გენია და რევოლუციური ხელმძღვანელობის უდიდესი ოსტატი. არასდროს არ გრძნობდა ის თავს ისე თავისუფლად და აღტაცებულად, როგორც რევოლუციური ძვრების ეპოქაში. ამით მე სრულებითაც არ მსურს ვთქვა, თითქოს ლენინი ერთნაირად იწონებდა ყოველგვარ რევოლუციურ ძვრას, ან თითქოს ის ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში რევოლუციურ აფეთქებათა მომხრე იყო. სრულიადაც არა. ამით მე მხოლოდ ის მინდა ვთქვა, რომ ლენინის გენიალური შორსმჭვრეტელობა არასოდეს არ მყლავნდებოდა ისეთი სისრულით და სიცხადით, როგორც რევოლუციურ აფეთქებათა დროს. რევოლუციურ მობრუნებათა დღეებში ის პირდაპირ ჰყვაოდა, გულთმისანი ხდებოდა, წინასწარ ჭვრეტდა კლასების მოძრაობას და რევოლუციის მოსალოდნელ ზიგზაგებს, ისე ხედავდა მათ, როგორც ხელისგულზე. ტყუილად კი არ ამბობენ ჩვენს პარტიულ წრეებში — «ილიჩს რევოლუციის ტალღებში ისე ეხერხება ცურვა, როგორც თევზს წყალშიო».

აქედანაა ლენინის ტაქტიკური ლოზუნგების «განსაცვიფრებელი» **გარკვეულობა** და რევოლუციურ განზრახვათა «თავბრუდამხვევი» **გაბედულობა**.

მაგონდება ორი განსაკუთრებით დამახასიათებელი ფაქტი, რომელნიც ლენინის ამ თავისებურებას აღნიშნავენ.

პირველი ფაქტი. პერიოდი ოქტომბრის გადატრიალების წინ, როდესაც მილიონობით მუშები, გლეხები და ჯარისკაცები, ზურგში და ფრონტზე კრიზისით გამწარებულნი, ზავსა და თავისუფლებას მოითხოვდნენ; როდესაც გენერალიტეტი და ბურჟუაზია სამხედრო დიქტატურას ამზადებდნენ «ომის ბოლომდე მიყვანის» გულისთვის; როდესაც მთელი ეგრეთწოდებული «საზოგადოებრივი აზრი», ყველა ეგრეთწოდებული «სოციალისტური პარტია» ბოლშევიკების წინააღმდეგ იყვნენ და მათ აგდებულად «გერმანელთა ჯაშუშებს» უწოდებდნენ; როდესაც კერენსკი ცდილობდა იატაკქვეშ ჩაერეკა ბოლშევიკების პარტია — და ნაწილობრივ კიდეც მოასწრო ჩარეკვა; როდესაც ავსტრია-გერმანიის კოალიციის ჯერ კიდევ ძლიერი და დისციპლინიანი არმიები ჩვენი დაქანცული და დაშლის გზაზე დამდგარი არმიების პირისპირ იდგნენ, დასავლეთ ევროპის «სოციალისტები» კი მშვიდობიანად იყვნენ ბლოკში თავიანთ მთავრობებთან «ომის სრულ გამარჯვებამდე» მიყვანის გულისთვის...

რას ნიშნავდა ასეთ მომენტში აჯანყების დაწყება? ასეთ ვითარებაში აჯანყების დაწყება — ეს ნიშნავდა ყველაფრის სასწორზე დადებას. მაგრამ ლენინს არ ეშინოდა რისკისა, ვინაიდან მან იცოდა, ის თავისი გამჭრიახი თვალით ხედავდა, რომ აჯანყება აუცილებელი იყო, რომ აჯანყება გაიმარჯვებდა, რომ აჯანყება რუსეთში მოამზადებდა იმპერიალისტური ომის აღსასრულს, რომ აჯანყება რუსეთში შეარხევდა დასავლეთის ტანჯულ მასებს, რომ აჯანყება რუსეთში იმპერიალისტურ ომს სამოქალაქო ომად გადააქცევდა, რომ აჯანყება მოგვცემდა საბჭოების რესპუბლიკას, რომ საბჭოების რესპუბლიკა გახდებოდა რევოლუციური მოძრაობის საყრდენი მთელ მსოფლიოში.

ცნობილია, რომ ლენინის ეს რევოლუციური წინასწარმეტყველება შემდეგში უმაგალითო სიზუსტით გამართლდა.

მეორე ფაქტი. პირველი დღეები ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როდესაც სახალხო კომისართა საბჭო ცდილობდა აეძულებინა მეამბოხე გენერალი, მთავარსარდალი დუხონინი, შეეწყვიტა საომარი მოქმედება და დროებითს ზავზე მოლაპარაკება დაეწყო გერმანელებთან. მახსოვს, ლენინი, კრილენკო (მომავალი მთავარსარდალი) და მე როგორ გავემგზავრეთ მთავარ შტაბში პიტერში, დუხონინთან პირდაპირი მავთულით მოსალაპარაკებლად. უაღრესად მძიმე წუთი იყო. დუხონინმა და მთავარბანაკმა კატეგორიული უარი განაცხადეს სახკომსაბჭოს ბრძანების შესრულებაზე. ჯარის მეთაურთა შემადგენლობა მთლიანად მთავარბანაკის ხელში იყო. რაც შეეხება ჯარისკაცებს, გამოურკვეველი იყო, თუ რას იტყოდა 14-მილიონიანი არმია, რომელიც ექვემდებარებოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილ ეგრეთწოდებულ საარმიო ორგანიზაციებს. თვით პიტერში, როგორც ცნობილია, მაშინ იუნკრების აჯანყება მზადდებოდა. გარდა ამისა, კერენსკი საომრად მოდიოდა პიტერისაკენ. მახსოვს, მავთულთან მცირე პაუზის შემდეგ ლენინს რაღაც არაჩვეულებრივი შუქით გაუბრწყინდა სახე. ეტყობოდა, მას უკვე მიეღო გადაწყვეტილება. «წავიდეთ რადიოსადგურზე, — თქვა ლენინმა, — ის სასარგებლო სამსახურს გაგვიწევს: ჩვენ სპეციალური ბრძანებით გადავაყენებთ გენერალ დუხონინს, მის ადგილას მთავარსარდლად ამხ. კრილენკოს დავნიშნავთ და მეთაურთა შემადგენლობის გვერდის ავლით მივმართავთ ჯარისკაცებს პირდაპირ — გარს შემოერტყან გენერლებს, შეწყვიტონ საომარი მოქმედება, დაუკავშირდნენ ავსტრიელ-

გერმანელ ჯარისკაცებს და თავის საკუთარ ხელში აიღონ ზავის საქმე».

ეს იყო «ნახტომი შეუცნობელ სივრცეში». მაგრამ ლენინს არ ეშინოდა ამ «ნახტომისა», პირიქით, ის ეგებებოდა მას, რადგან მან იცოდა, რომ ჯარს ზავი უნდა, და ის მოიპოვებს ზავს, აღგვის რა ზავის გზაზე ყველა და ყოველგვარ დაბრკოლებას, რადგან მან იცოდა, რომ ასეთი საშუალებით ზავის დამყარება უშედეგოდ არ ჩაივლიდა ავსტრიელ-გერმანელი ჯარისკაცებისათვის, რომ ეს გზას გაუხსნიდა ზავისაკენ მისწრაფებას უკლებლივ ყველა ფრონტზე.

ცნობილია, რომ ლენინის ეს რევოლუციური წინასწარჭვრეტაც შემდეგში მთელი სიზუსტით ასრულდა.

გენიალური შორსმჭვრეტელობა, მოახლოებული ამბების შინაგანი აზრის სწრაფად მიწვდომისა და გამოცნობის უნარი — ეს ლენინის სწორედ ის თვისებაა, რომელიც ეხმარებოდა მას რევოლუციური მოძრაობის მოსახვევებზე დაესახა სწორი სტრატეგია და მოქმედების გარკვეული ხაზი.

«პრავდა» № 34,
1924 წ. 12 თებერვალი.

კომკავშირში არსებულ წინააღმდეგობათა შესახებ

სიტყვა რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან შემდგარ თათბირზე ახალგაზრდობაში მუშაობის საკითხების შესახებ [14]

1924 წ. 8 აპრილი

უწინარეს ყოვლისა ზოგი რამ უნდა ვთქვა იმ პოზიციის შესახებ, რომელიც ახალგაზრდობის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიული დისკუსიის საკითხში დაიკავა. შეცდომა იყო ის, რომ რ. ა. კ. კავშირის ცენტრალური კომიტეტი დაჟინებით განაგრძობდა დუმილს მას შემდეგ, რაც ადგილებმა უკვე გამოთქვეს თავისი აზრი. მაგრამ სწორი არ იქნებოდა, კავშირის ცენტრალური კომიტეტის დუმილი ნეიტრალობით აგვეხსნა. გადაჭარბებული სიფრთხილე გამოიჩინეს, — სხვა არაფერი.

ახლა ზოგი რამ კამათზე. მე იმ აზრისა ვარ, რომ პრინციპული უთანხმოება თქვენს შორის არ არსებობს. მე შევისწავლე თქვენი თეზისები და სტატიები და მაინც ვერ ვიპოვე პრინციპული უთანხმოებანი. მაგრამ, სამაგიეროდ, არის აბნეულობა და მოგონილ «შეურიგებელ» წინააღმდეგობათა გროვა.

პირველი წინააღმდეგობა — ეს არის კავშირის, როგორც «რეზერვის», დაპირისპირება კავშირისადმი, როგორც

პარტიის «ინსტრუმენტისადმი». რა არის კავშირი — რეზერვი თუ ინსტრუმენტი? ერთიც და მეორეც. ეს ცხადია, და თვით ამხანაგების სიტყვებშიც იყო ეს ნათქვამი. ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი რეზერვია, გლეხებისა და მუშებისაგან შემდგარი რეზერვი, საიდანაც პარტია თავის შევსებას იღებს. მაგრამ ამავე დროს ის ინსტრუმენტიცაა, ისეთი ინსტრუმენტი პარტიის ხელში, რომელიც თავის გავლენას უმორჩილებს ახალგაზრდობის მასებს. შეიძლებოდა უფრო კონკრეტულად გვეთქვა, რომ კავშირი არის პარტიის ინსტრუმენტი, პარტიის დამხმარე იარაღი იმ აზრით, რომ კომკავშირის აქტიური შემადგენლობა წარმოადგენს პარტიის ინსტრუმენტს კავშირის გარეშე მყოფ ახალგაზრდობაზე ზეგავლენისათვის. ეს ცნებები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან, და არ შეიძლება ისინი ერთიმეორეს დავუპირისპიროთ.

მეორე, ვითომდა შეურიგებელი, წინააღმდეგობა მდგომარეობს იმაში, რომ, ზოგიერთი ამხანაგის აზრით, «კავშირის კლასობრივ პოლიტიკას განსაზღვრავს არა მისი შემადგენლობა, არამედ სათავეში მყოფ პირთა სიმტკიცე». სიმტკიცეს უპირისპირებენ შემადგენლობას. ეს წინააღმდეგობაც მოგონილია, ვინაიდან რ. ა. კ. კავშირის კლასობრივ პოლიტიკას განსაზღვრავს ერთიც და მეორეც — შემადგენლობაც და ზედაფენის სიმტკიცეც. თუ მტკიცე ადამიანებზე ზეგავლენას ახდენს სულისკვეთებით უცხო შემადგენლობა კავშირისა, რომლის წევრებიც თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, ასეთი შემადგენლობის არსებობა უკვალოდ ვერ ჩაივლის კავშირის მუშაობისა და პოლიტიკისათვის. რატომ აწესრიგებს პარტია თავის შემადგენლობას? იმიტომ რომ მან იცის — შემადგენლობა გავლენას ახდენს პარტიის მუშაობაზე.

ბოლოს — კიდევ ერთი წინააღმდეგობა, ესეც მოგონილი, რომელიც ეხება კავშირის როლს და მის მუშაობას გლეხებს შორის. ზოგნი საკითხს ისე აყენებენ, თითქოს კავშირის ამოცანას შეადგენდეს გლეხებს შორის გავლენის «განმტკიცება» და არა მისი გაფართოება, ზოგიერთებს კი თითქოს სურთ «გავლენის გაფართოება», მაგრამ განმტკიცების თანახმანი არ არიან. ამაზე სურთ ააგონ პლატფორმა დისკუსიის დროს. ცხადია, ამ ორი ამოცანის დაპირისპირება ხელოვნურია, ვინაიდან ყველას კარგად ესმის, რომ კავშირმა ერთსა და იმავე დროს კიდეც უნდა განამტკიცოს და კიდეც უნდა გააფართოოს თავისი გავლენა სოფლად. მართალია, რ. ა. კ. კავშირის ცენტრალური კომიტეტის თეზისების ერთ ადგილას არის უხერხული ფრაზა გლეხებს შორის მუშაობის შესახებ. მაგრამ არც ტარხანოვი და არც რ. ა. კ. კავშირის ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობის სხვა წარმომადგენლები მაინცდამაინც არ იცავენ ამ უხერხულობას და თანახმანი არიან, რომ იგი გასწორდეს. განა ღირს ამის შემდეგ წვრილმანებზე დავა?

მაგრამ არის ერთი წინააღმდეგობა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცხოვრებასა და საქმიანობაში, წინააღმდეგობა ნამდვილი, არა მოგონილი, რომელზედაც მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა. მხედველობაში მაქვს ორი ტენდენციის არსებობა კავშირში: მუშურისა და გლეხურისა. მხედველობაში მაქვს ამ ტენდენციებს შორის არსებული წინააღმდეგობა, რომელიც თავს იჩენს და რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით. ამ წინააღმდეგობის საკითხი ყველაზე სუსტი ადგილია ორატორების სიტყვებში. ყველა ლაპარაკობს იმაზე, რომ საჭიროა გაფართოება კავშირში მუშების ჩაბმის ხაზით, მაგრამ ყველას ფეხი უცდება, როცა გადადის გლეხობაზე, გლეხობის მიზიდვის

საკითხზე. თვით იმ ორატორებსაც კი, რომელნიც ჭკუას ძალას არ ატანდნენ და არ ეშმაკობდნენ, ფეხი უცდებოდათ ამ საკითხში.

აშკარაა, რ. ა. კ. კავშირის წინაშე დგას ორი პრობლემა: მუშათა პრობლემა და გლეხთა პრობლემა. ცხადია, რამდენადაც კომკავშირი მუშურ-გლეხურ კავშირს წარმოადგენს, ეს ორი ტენდენცია, ეს წინააღმდეგობანი კავშირში შემდგომაც დარჩებიან. ზოგი იტყვის, საჭიროა მუშების ჩაბმაო, ხოლო გლეხობაზე სიტყვასაც არ დაძრავს, ზოგი კი იტყვის, საჭიროა გლეხების ჩაბმაო, და სათანადოდ ვერ შეაფასებს კავშირის პროლეტარული ელემენტის მნიშვნელობას, როგორც ხელმძღვანელი ელემენტისას. სწორედ ეს შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც თვით კავშირის ბუნებაშია მოცემული, წააბორძიკებინებს ხოლმე ორატორებს. სიტყვებში პარალელი გაჰყავდათ პარტიასა და კომკავშირს შორის. მაგრამ საქმე ისაა, რომ სინამდვილეში ასეთი პარალელიზმი არ არსებობს, ვინაიდან ჩვენი პარტია მუშურია და არა მუშურ-გლეხური, მაშინ როდესაც კომკავშირი მუშურ-გლეხურ კავშირს წარმოადგენს. აი რატომაა, რომ კომკავშირი არ შეიძლება იყოს მხოლოდ მუშური კავშირი, — იგი ერთსა და იმავე დროს მუშური კავშირიც უნდა იყოს და გლეხურიც. ერთი რამ ცხადია: კავშირის ახლანდელი სტრუქტურის დროს შინაგანი წინააღმდეგობანი და ტენდენციათა ბრძოლა შემდგომაც გარდუვალი იქნება.

მართალნი არიან ისინი, ვინც ამბობს — საჭიროა პარტიაში სამუშაო-გლეხური ახალგაზრდობის ჩაბმაო, მაგრამ აქ ფრთხილად უნდა ვიყოთ და არ გადავცდეთ მუშურ-გლეხური პარტიის პოზიციისაკენ, რომლისკენაც ხანდახან ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკიც კი გადაუხვევს ხოლმე. ბევრმა ყვირილი ატეხა, გაიძახიან: «თქვენ მუშებს აბამთ

პარტიაში, რატომ გლეხებიც ამდენადვე არ უნდა ჩავაბათ? მოდი, შევიყვანოთ ასი ან ორასი ათასი გლეხიო». ცენტრალური კომიტეტი ამის წინააღმდეგია, იმიტომ რომ ჩვენი პარტია მუშური პარტია უნდა იყოს. 70 თუ 80 პროცენტი მუშები და 20—25 პროცენტი არამუშები — აი დაახლოებით როგორი უნდა იყოს თანაფარდობა პარტიაში. ცოტა სხვანაირადაა საქმე კომკავშირში, ვიდრე პარტიაში. ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი არის ნებაყოფლობითი, თავისუფალი ორგანიზაცია მუშა და გლეხი ახალგაზრდობის რევოლუციური ელემენტებისა. გლეხების გარეშე, გლეხი ახალგაზრდობის მასის გარეშე იგი აღარ იქნება მუშურ-გლეხური კავშირი. მაგრამ ამავე დროს საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ ხელმძღვანელი როლი პროლეტარულ ელემენტს დარჩეს.

პირველად დაიბეჭდა წიგნში:
ი. სტალინი. კომკავშირის შესახებ.
მ., 1926.

ლენინიზმის საფუძვლების შესახებ[15]

სვერდლოვის უნივერსიტეტში წაკითხული ლექციები

ლენინურ გაწვევას ვუძღვნი

ი. სტალინი

ლენინიზმის საფუძვლები დიდი თემაა. მის ამოსაწურავად მთელი წიგნია საჭირო. უფრო მეტიც — საჭიროა მთელი რიგი წიგნები. ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩემი ლექციები ვერ იქნება ლენინიზმის ამომწურავი გადმოცემა. ეს ლექციები, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება იყოს ლენინიზმის საფუძვლების მხოლოდ მოკლე კონსპექტი. მიუხედავად ამისა, მე სასარგებლოდ მიმაჩნია ამ კონსპექტის გადმოცემა, რათა მოცემულ იქნას ლენინიზმის წარმატებითი შესწავლისათვის აუცილებელი ზოგიერთი ძირითადი გამოსავალი პუნქტი.

ლენინიზმის საფუძვლების გადმოცემა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ლენინის მსოფლმხედველობის საფუძვლების გადმოცემას. ლენინის მსოფლმხედველობა და ლენინიზმის საფუძვლები ერთი და იგივე არ არის მოცულობით. ლენინი მარქსისტია, და მისი მსოფლმხედველობის საფუძ-

ველს, რა თქმა უნდა, მარქსიზმი წარმოადგენს. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ ლენინიზმის გადმოცემა მარქსიზმის საფუძვლების გადმოცემით უნდა იწყებოდეს. ლენინიზმის გადმოცემა ნიშნავს იმ განსაკუთრებულისა და ახალის აღნიშვნას ლენინის ნაშრომებში, რაც ლენინმა შეიტანა მარქსიზმის საერთო საგანძურში და რაც ბუნებრივად დაკავშირებულია მის სახელთან. ჩემს ლექციებში ლენინიზმის საფუძვლებზე მხოლოდ ამ გაგებით მექნება საუბარი.

ამრიგად, რა არის ლენინიზმი?

ერთნი ამბობენ, რომ ლენინიზმი არის მარქსიზმის გამოყენება რუსეთის ვითარების თავისებური პირობების მიმართ. ამ განსაზღვრაში სიმართლის ნაწილია, მაგრამ იგი სრულიადაც ვერ ამოწურავს მთელ სიმართლეს. ლენინმა მართლაც გამოიყენა მარქსიზმი რუსეთის სინამდვილის მიმართ და ოსტატურადაც გამოიყენა. მაგრამ ლენინიზმი რომ წარმოადგენდეს მარქსიზმის მარტოოდენ გამოყენებას რუსეთის თავისებური ვითარების მიმართ, მაშინ ლენინიზმი იქნებოდა წმინდა ნაციონალური და მხოლოდ ნაციონალური, წმინდა რუსული და მხოლოდ რუსული მოვლენა. ჩვენ კი ვიცით, რომ ლენინიზმი არის ინტერნაციონალური მოვლენა, რომელსაც ფესვები აქვს მთელ საერთაშორისო განვითარებაში, და არა მარტო რუსული მოვლენა. აი რატომ ვფიქრობ მე, რომ ეს განსაზღვრა ცალმხრივია.

მეორენი ამბობენ, რომ ლენინიზმი არის XIX საუკუნის 40-იანი წლების მარქსიზმის რევოლუციური ელემენტთა აღორძინება შემდგომი წლების მარქსიზმისაგან განსხვავებით, როდესაც იგი თითქოს ზომიერი, არარევოლუციური გახდა. თავი რომ დავანებოთ მარქსის მოძღვრების ამ სულელურ და უგვანო დაყოფას ორ ნაწი-

ლად — რევოლუციურ და ზომიერ ნაწილად, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ სრულიად არასაკმაო და არადამაკმაყოფილებელ განსაზღვრაშიც კი მოიპოვება სიმართლის ნაწილი. ეს სიმართლის ნაწილი იმაში მდგომარეობს, რომ ლენინმა მართლაც აღადგინა მარქსიზმის რევოლუციური შინაარსი, რომელიც დაასამარეს II ინტერნაციონალის ოპორტუნისტებმა. მაგრამ ეს მხოლოდ სიმართლის ნაწილია. მთელი სიმართლე კი ლენინიზმის შესახებ იმაში მდგომარეობს, რომ ლენინიზმმა არა მარტო აღადგინა მარქსიზმი, არამედ აგრეთვე გადადგა ნაბიჯი წინ, — შემდგომ განავითარა მარქსიზმი კაპიტალიზმისა და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში.

მაშ რა არის, ბოლოს და ბოლოს, ლენინიზმი?

ლენინიზმი არის იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმი. უფრო ზუსტად: ლენინიზმი არის პროლეტარული რევოლუციის თეორია და ტაქტიკა საერთოდ, პროლეტარიატის დიქტატურის თეორია და ტაქტიკა განსაკუთრებით. მარქსი და ენგელსი მოღვაწეობდნენ რევოლუციისწინა პერიოდში (ჩვენ მხედველობაში გვაქვს პროლეტარული რევოლუცია), როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა განვითარებული იმპერიალიზმი, რევოლუციისათვის პროლეტართა მზადების პერიოდში, იმ პერიოდში, როცა პრ'ლეტარული რევოლუცია ჯერ კიდევ უშუალო პრაქტიკულ აუცილებლობას არ წარმოადგენდა. ხოლო ლენინი, მარქსისა და ენგელსის მოწაფე, მოღვაწეობდა განვითარებული იმპერიალიზმის პერიოდში, მზარდი პროლეტარული რევოლუციის პერიოდში, როცა პროლეტარულმა რევოლუციამ უკვე გაიმარჯვა ერთ ქვეყანაში, დაამარცხა ბურჟუაზიული დემოკრატია და დაიწყო პროლეტარული დემოკრატიის ერა, საბჭოების ერა.

აი რატომ წარმოადგენს ლენინიზმი მარქსიზმის შემდგომ განვითარებას.

ჩვეულებრივ ალნიშნავენ ლენინიზმის განსაკუთრებით მებრძოლ და განსაკუთრებით რევოლუციურ ხასიათს. ეს სავსებით სწორია. მაგრამ ლენინიზმის ეს თავისებურება ორი მიზეზით აიხსნება: ჯერ-ერთი, იმით, რომ ლენინიზმი წარმოიშვა პროლეტარული რევოლუციისაგან, რომლის დაღსაც არ შეიძლება იგი არ ატარებდეს; მეორეც, იმით, რომ იგი გაიზარდა და განმტკიცდა შეტაკებებში II ინტერნაციონალის ოპორტუნიზმთან, რომელთან ბრძოლა წარმოადგენდა და წარმოადგენს კაპიტალიზმის წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლის აუცილებელ წინასწარ პირობას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ, ერთი მხრით, მარქსსა და ენგელსსა და, მეორე მხრით, ლენინს შორის II ინტერნაციონალის ოპორტუნიზმის განუყოფელი ბატონობის მთელი ხანაა, და ამ ოპორტუნიზმთან დაუნდობელი ბრძოლა არ შეიძლებოდა ლენინიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა არ ყოფილიყო.

I

ლენინიზმის ისტორიული ფესვები

ლენინიზმი გაიზარდა და ჩამოყალიბდა იმპერიალიზმის პირობებში, როდესაც კაპიტალიზმის წინააღმდეგობებმა უკიდურეს წერტილს მიაღწიეს, როდესაც პროლეტარული რევოლუცია უშუალო პრაქტიკის საკითხად გადაიქცა, როდესაც რევოლუციისათვის მუშათა კლასის მზადების ძველი პერიოდი მიადგა კაპიტალიზმზე პირდაპირი იერიშის ახალ პერიოდს და გადაიზარდა მასში.

ლენინი იმპერიალიზმს «მომაკვდავ კაპიტალიზმს» უწოდებდა. რატომ? იმიტომ, რომ იმპერიალიზმს კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი მიჰყავს უკანასკნელ მიჯნამდე,

უკიდურეს საზღვრამდე, რის იქითაც რევოლუცია იწყება. ამ წინააღმდეგობათა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანად სამი წინააღმდეგობა უნდა ჩაითვალოს.

პირველი წინააღმდეგობა — ესაა წინააღმდეგობა შრომასა და კაპიტალს შორის. იმპერიალიზმი არის მონოპოლისტური ტრესტებისა და სინდიკატების, ბანკებისა და ფინანსური ოლიგარქიის ყოვლისშემძლეობა სამრეწველო ქვეყნებში. ამ ყოვლისშემძლეობის წინააღმდეგ ბრძოლაში მუშათა კლასის ჩვეულებრივი მეთოდები — პროფკავშირები და კოოპერატივები, პარლამენტის პარტიები და საპარლამენტო ბრძოლა — სრულიად არასაკმარისი აღმოჩნდა. ან მიენდე კაპიტალის მოწყალებას, ძველებურად იცოდვილე და დაქვეითდი, ან ახალ იარაღს მოჰკიდე ხელი, — ასე აყენებს საკითხს იმპერიალიზმი პროლეტარიატის მილიონიანი მასების წინაშე. იმპერიალიზმს მუშათა კლასი რევოლუციასთან მიჰყავს.

მეორე წინააღმდეგობა — ესაა წინააღმდეგობა სხვადასხვა ფინანსურ ჯგუფებსა და იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის მათს ბრძოლაში ნედლეულის წყაროებისათვის, სხვათა ტერიტორიებისათვის. იმპერიალიზმი არის კაპიტალის გატანა ნედლეულის წყაროებთან, გაშმაგებული ბრძოლა ამ წყაროების მონოპოლიურად დაპატრონებისათვის, ბრძოლა უკვე განაწილებული მსოფლიოს ხელახალი განაწილებისათვის, ბრძოლა, რასაც განსაკუთრებული მძვინვარებით აწარმოებენ ახალი ფინანსური ჯგუფები და სახელმწიფოები, რომელნიც ეძებენ «ადგილს მზის ქვეშ», ძველი ჯგუფებისა და სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომელნიც მაგრად ჩაბღაუჭებიან ნადავლს. ეს გაშმაგებული ბრძოლა კაპიტალისტების სხვადასხვა ჯგუფს შორის იმ მხრივ არის შესანიშნავი, რომ ის შეიცავს, როგორც აუცილებელ ელემენტს, იმპერიალისტურ ომებს,

ომებს სხვათა ტერიტორიების დასაპყრობად. ეს გარემოება კი თავის მხრივ იმით არის შესანიშნავი, რომ იგი იწვევს იმპერიალისტების ურთიერთ დასუსტებას, საერთოდ კაპიტალიზმის პოზიციის დასუსტებას, პროლეტარული რევოლუციის მომენტის მოახლოებას, ამ რევოლუციის პრაქტიკულ აუცილებლობას.

მესამე წინააღმდეგობა — ესაა წინააღმდეგობა ერთ მუჭა გაბატონებულ «ცივილიზებულ» ერებსა და მსოფლიოს მრავალ ასეულმილიონიან კოლონიურ და დამოკიდებულ ხალხთა შორის. იმპერიალიზმი არის უზარმაზარი კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების მრავალ ასეულმილიონიანი მოსახლეობის ყველაზე უტიფარი ექსპლოატაცია და ყველაზე არაადამიანური ჩაგვრა. ზემოგების ამოქაჩვა — ასეთია ამ ექსპლოტაციის და ამ ჩაგვრის მიზანი. მაგრამ იმპერიალიზმი, ამ ქვეყნების ექსპლოატაციას რომ ეწევა, იძულებულია აშენოს იქ რკინიგზები, ფაბრიკა-ქარხნები, სამრეწველო და სავაჭრო ცენტრები. პროლეტართა კლასის გაჩენა, ადგილობრივი ინტელიგენციის წარმოშობა, ნაციონალური თვითშეგნების გაღვიძება და განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება — ასეთია ამ «პოლიტიკის» გარდუვალი შედეგები. ამას თვალნათლივ მოწმობს რევოლუციური მოძრაობის გაძლიერება უკლებლივ ყველა კოლონიასა და დამოკიდებულ ქვეყნებში. ეს გარემოება იმ მხრივ არის მნიშვნელოვანი პროლეტარიატისათვის, რომ ის ძირს უთხრის კაპიტალიზმის პოზიციებს, აქცევს რა კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებს იმპერიალიზმის რეზერვებიდან პროლეტარული რევოლუციის რეზერვებად.

ასეთია, საერთოდ, იმპერიალიზმის მთავარი წინააღმდეგობანი, რამაც ძველი «აყვავებული» კაპიტალიზმი მომაკვდავ კაპიტალიზმად აქცია.

ათი წლის წინათ ატეხილი იმპერიალისტური ომის მნიშვნელობა, სხვათა შორის, იმაში მდგომარეობს, რომ მან ყველა ამ წინააღმდეგობას ერთ კვანძში მოუყარა თავი, სასწორზე შეაგდო ისინი და ამით დააჩქარა და გააადვილა პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლანი.

სხვანაირად რომ ვთქვათ, იმპერიალიზმმა გამოიწვია არა მარტო ის, რომ რევოლუცია პრაქტიკულ აუცილებლობად იქცა, არამედ ისიც, რომ შეიქმნა ხელსაყრელი პირობები კაპიტალიზმის ციხე-სიმაგრეზე პირდაპირი იერიშის მისატანად.

ასეთია საერთაშორისო ვითარება, რომელმაც წარმოშვა ლენინიზმი.

კეთილი და პატიოსანი, გვეტყვიან ჩვენ, მაგრამ რა შუაშია აქ რუსეთი, ის ხომ იმპერიალიზმის კლასიკური ქვეყანა არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო? რა შუაშია აქ ლენინი, რომელიც მუშაობდა, უწინარეს ყოვლისა, რუსეთში და რუსეთისათვის? რატომ სწორედ რუსეთი გახდა ლენინიზმის კერა, პროლეტარული რევოლუციის თეორიისა და ტაქტიკის სამშობლო?

იმიტომ, რომ რუსეთი იმპერიალიზმის ყველა ამ წინააღმდეგობის საკვანძო პუნქტს წარმოადგენდა.

იმიტომ, რომ რუსეთი სხვა რომელიმე ქვეყანაზე უფრო მეტად იყო რევოლუციით ფეხმძიმე, და ამის გამო მხოლოდ მას შეეძლო რევოლუციური გზით გადაეჭრა ეს წინააღმდეგობანი.

დავიწყოთ იმით, რომ მეფის რუსეთი იყო კერა ყოველგვარი ჩაგვრისა — კაპიტალისტურისაც, კოლონიურისაც და სამხედრო ჩაგვრისაც, — ამასთან ამ ჩაგვრას ყველაზე უფრო მხეცური და ბარბაროსული სახე ჰქონდა. ვინ არ იცის, რომ რუსეთში კაპიტალის ყოვლისშემძლეობა

უერთდებოდა ცარიზმის დესპოტიზმს, რუსული ნაციონალიზმის აგრესიულობა — ცარიზმის ჯალათობას არარუს ხალხთა მიმართ, მთელი რაიონების — თურქეთის, სპარსეთის, ჩინეთის — ექსპლოატაცია — ცარიზმის მიერ ამ რაიონების დაპყრობას, ომს მათი დაპყრობისათვის? მართალი იყო ლენინი, როდესაც ამბობდა, რომ ცარიზმი «სამხედრო-ფეოდალური იმპერიალიზმია». ცარიზმი იყო იმპერიალიზმის ყველაზე უფრო უარყოფითი, კვადრატში აყვანილი, თვისებების თავმოყრა.

შემდეგ. მეფის რუსეთი იყო დასავლეთის იმპერიალიზმის უდიდესი რეზერვი არა მარტო იმ აზრით, რომ იგი თავისუფლად უშვებდა ჩვენში უცხოეთის კაპიტალს, რომლის ხელშიც იყო რუსეთის სახალხო მეურნეობის ისეთი გადამწყვეტი დარგები, როგორიცაა სათბობი და მეტალურგია, არამედ იმ აზრითაც, რომ რუსეთს შეეძლო დასავლეთის იმპერიალისტების სასარგებლოდ გამოეყვანა მილიონობით ჯარისკაცები. მოიგონეთ რუსეთის 14-მილიონიანი არმია, რომელიც სისხლს ღვრიდა იმპერიალისტურ ფრონტებზე ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტთა უზომო მოგების უზრუნველსაყოფად.

შემდეგ. ცარიზმი იყო არა მარტო მოდარაჯე ქოფაკი იმპერიალიზმისა აღმოსავლეთ ევროპაში, არამედ იგი იყო აგრეთვე დასავლეთის იმპერიალიზმის აგენტურაც, რათა პარიზსა და ლონდონში, ბერლინსა და ბრიუსელში აღებული სესხებისათვის ასეული მილიონობით პროცენტი აეფცქვნა მოსახლეობისაგან.

ბოლოს, ცარიზმი დასავლეთის იმპერიალიზმის უერთგულესი მოკავშირე იყო თურქეთის, სპარსეთის, ჩინეთის და სხვ. დაყოფის საქმეში. ვინ არ იცის, რომ ცარიზმი იმპერიალისტურ ომს აწარმოებდა ანტანტის იმპერიალის-

ტებთან კავშირში, რომ რუსეთი ამ ომის არსებითს ელემენტს წარმოადგენდა?

აი რატომ იყო, რომ ცარიზმისა და დასავლეთის იმპერიალიზმის ინტერესები გადახლართული იყო ერთმანეთში და ბოლოს და ბოლოს იმპერიალიზმის ინტერესთა ერთიან ხლართში იყრიდა თავს.

განა შეეძლო დასავლეთის იმპერიალიზმს შერიგებოდა ისეთი ძლიერი დასაყრდენის, ძალებითა და საშუალებებით ისეთი მდიდარი რეზერვუარის დაკარგვას აღმოსავლეთში, როგორიც იყო მეფის, ძველი, ბურჟუაზიული რუსეთი, ისე, რომ არ ესინჯა მთელი თავისი ძალღონე რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის წარმოებისათვის, ცარიზმის დაცვისა და შენარჩუნების მიზნით? რა თქმა უნდა, არ შეეძლო!

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ ვინც ცარიზმის წინააღმდეგ ხელის აღმართვას მოიწადინებდა, მას აუცილებლად იმპერიალიზმის წინააღმდეგაც უნდა შემოექნია ხელი, ვინც უჯანყდებოდა ცარიზმს, ის იმპერიალიზმის წინააღმდეგაც უნდა აჯანყებულიყო, ვინაიდან ვინც ცარიზმს ამხობდა, მას იმპერიალიზმიც უნდა დაემხო, თუ კი მართლა სურდა ცარიზმის არა მარტო დამარცხება, არამედ საბოლოოდ მოსპობაც. ამრიგად, რევოლუცია ცარიზმის წინააღმდეგ უახლოვდებოდა და უნდა გადაზრდილიყო რევოლუციად იმპერიალიზმის წინააღმდეგ, პროლეტარულ რევოლუციად.

ამავე დროს კი რუსეთში აზვირთებას იწყებდა უდიდესი სახალხო რევოლუცია, და მას სათავეში ედგა მსოფლიოში ყველაზე უფრო რევოლუციური პროლეტარიატი, რომელსაც თავის განკარგულებაში ჰყავდა ისეთი სერიოზული მოკავშირე, როგორიც არის რუსეთის რევოლუციური გლეხობა. განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ ასეთი

რევოლუცია შუა გზაზე ვერ შეჩერდებოდა, რომ წარმატების შემთხვევაში იგი უფრო შორს უნდა წასულიყო და აღემართა იმპერიალიზმის წინააღმდეგ აჯანყების დროშა?

აი რატომ უნდა გამხდარიყო რუსეთი იმპერიალიზმის წინააღმდეგობათა საკვანძო პუნქტი არა მარტო იმ აზრით, რომ ეს წინააღმდეგობანი ყველაზე უფრო ადვილად მჟღავნდებოდნენ სწორედ რუსეთში, მათი განსაკუთრებით უმწვავესი და განსაკუთრებით აუტანელი ხასიათის გამო, არც მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთი იყო დასავლეთის იმპერიალიზმის უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი, რომელიც დასავლეთის ფინანსურ კაპიტალს აკავშირებდა აღმოსავლეთის კოლონიებთან, არამედ იმიტომაც, რომ მხოლოდ რუსეთში არსებობდა რეალური ძალა, რომელსაც შეეძლო რევოლუციური გზით გადაეჭრა იმპერიალიზმის წინააღმდეგობანი.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ რევოლუცია რუსეთში არ შეიძლებოდა არ გამხდარიყო პროლეტარული, რომ მას არ შეეძლო თავისი განვითარების პირველ დღეებშივე არ მიეღო საერთაშორისო ხასიათი, რომ მას, ამგვარად, არ შეეძლო არ შეერყია მსოფლიო იმპერიალიზმის თვით საფუძვლები.

განა შეეძლოთ ასეთ მდგომარეობაში რუს კომუნისტებს შემოეფარგლათ თავიანთი მუშაობა რუსეთის რევოლუციის ვიწრო-ნაციონალური ჩარჩოებით? რა თქმა უნდა, არა! პირიქით, მთელი ვითარება, როგორც საშინაო (ღრმა რევოლუციური კრიზისი), ისე საგარეო (ომი), უკარნახებდა მათ, რომ თავიანთ მუშაობაში გასცილებოდნენ ამ ჩარჩოებს, საერთაშორისო ასპარეზზე გადაეტანათ ბრძოლა, გამოეაშკარავებინათ იმპერიალიზმის იარები, დაემტკიცებინათ კაპიტალიზმის კრახის აუცილებლობა,

დაემარცხებინათ სოციალ-შოვინიზმი და სოციალ-პაციფიზმი, ბოლოს, დაემხოთ კაპიტალიზმი თავის ქვეყანაში და პროლეტარიატისათვის გამოეჭედათ ბრძოლის ახალი იარაღი, პროლეტარული რევოლუციის თეორია და ტაქტიკა, რათა გაეადვილებინათ ყველა ქვეყნის პროლეტარებისათვის კაპიტალიზმის დამხობის საქმე. რუსი კომუნისტები სხვაგვარად ვერც იმოქმედებდნენ, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით იყო მოსალოდნელი საერთაშორისო მდგომარეობაში ერთგვარი ცვლილებანი, რომელთაც შეეძლოთ უზრუნველეყოთ რუსეთი ბურჟუაზიული წესწყობილების რესტავრაციისაგან.

აი რატომ გახდა რუსეთი ლენინიზმის კერა, ხოლო რუსეთის კომუნისტების ბელადი ლენინი — მისი შემოქმედი.

რუსეთსა და ლენინს აქ დაახლოებით იგივე «დაემართათ», რაც «დაემართათ» გერმანიასა და მარქს-ენგელსს გასული საუკუნის ორმოციან წლებში. გერმანია მაშინ, როგორც რუსეთი XX საუკუნის დასაწყისში, თავის სხეულში ატარებდა ბურჟუაზიულ რევოლუციას. მაშინ მარქსი «კომუნისტურ მანიფესტში» წერდა, რომ:

«გერმანიას კომუნისტები თავიანთ მთავარ ყურადღებას აქცევენ იმიტომ, რომ იქ ბურჟუაზიული რევოლუციის წინადღეა, იმიტომ, რომ ამ გადატრიალებას გერმანია მოახდენს საერთოდ ევროპის ცივილიზაციის უფრო პროგრესულ პირობებში, ბევრად უფრო განვითარებული პროლეტარიატით, ვიდრე XVII საუკუნის ინგლისში და XVIII საუკუნის საფრანგეთში იყო. მაშასადამე, გერმანიის ბურჟუაზიული რევოლუცია შეიძლება იყოს პროლეტარული რევოლუციის მხოლოდ უშუალო პროლოგი» [16].

სხვანაირად რომ ვთქვათ, რევოლუციური მოძრაობის ცენტრი გერმანიაში გადადიოდა.

არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ ზემომოყვანილ ციტატაში მარქსის მიერ აღნიშნული სწორედ ეს გარემოება

იყო იმის უთუო მიზეზი, რომ სწორედ გერმანია გახდა მეცნიერული სოციალიზმის სამშობლო, ხოლო გერმანიის პროლეტარიატის ბელადები — მარქსი და ენგელსი — მისი შემოქმედნი.

იგივე, ოღონდ კიდევ უფრო მეტად, ითქმის XX საუკუნის დასაწყისის რუსეთზე. რუსეთი ამ პერიოდში ბურჟუაზიული რევოლუციის წინადღეს განიცდიდა, მას უნდა მოეხდინა ეს რევოლუცია ევროპის უფრო პროგრესულ პირობებში და უფრო განვითარებული პროლეტარიატით, ვიდრე XIX საუკუნის 40-იანი წლების გერმანიამ მოახდინა (ინგლისსა და საფრანგეთზე რომ არა ვთქვათ რა), ამასთან ყველაფერი იმის სასარგებლოდ ლაპარაკობდა, რომ ეს რევოლუცია უნდა ყოფილიყო პროლეტარული რევოლუციის გამაღვივებელი ძალა და პროლოგი.

არ შეიძლება შემთხვევითად ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ლენინი ჯერ კიდევ 1902 წელს, როცა რუსეთის რევოლუცია მხოლოდ ისახებოდა, თავის ბროშურაში «რა ვაკეთოთ?» წერდა წინასწარმეტყველურ სიტყვებს იმის შესახებ, რომ:

«ისტორიამ ახლა ჩვენს წინაშე (ე. ი. რუსი მარქსისტების წინაშე. **ი. სტ.**) დააყენა უახლოესი ამოცანა, რომელიც **ყველაზე რევოლუციურია** რომელიც გნებავთ სხვა ქვეყნის პროლეტარიატის ყველა **უახლოეს** ამოცანათა შორის»,

რომ... «ამ ამოცანის განხორციელება, არა მარტო ევროპული, არამედ აგრეთვე (შეგვიძლია ვთქვათ ახლა) აზიური რეაქციის ყველაზე მძლავრი ბურჯის დანგრევა რუსეთის პროლეტარიატს გახდიდა საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის ავანგარდად» (იხ. ტ. IV, გვ. 382).

სხვანაირად რომ ვთქვათ, რევოლუციური მოძრაობის ცენტრი რუსეთში უნდა გადმონაცვლებულიყო.

ცნობილია, რომ რუსეთის რევოლუციის მსვლელობამ გადაჭარბებით გაამართლა ლენინის ეს წინასწარმეტყველება.

განა საკვირველია ამის შემდეგ, რომ ქვეყანა, რომელმაც ასეთი რევოლუცია მოახდინა და რომელსაც ასეთი პროლეტარიატი ჰყავს, პროლეტარული რევოლუციის თეორიისა და ტაქტიკის სამშობლო გახდა?

განა საკვირველია, რომ რუსეთის პროლეტარიატის ბელადი, ლენინი, ამასთან ერთად, ამ თეორიისა და ტაქტიკის შემოქმედი და საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადი გახდა?

II

მეთოდი

ზემოთ მე ვთქვი, რომ, ერთი მხრით, მარქს-ენგელსსა, ხოლო, მეორე მხრით, ლენინს შორის II ინტერნაციონალის ოპორტუნიზმის ბატონობის მთელი ხანაა. სიზუსტისათვის უნდა დავუმატო, რომ აქ ლაპარაკია ოპორტუნიზმის არა ფორმალურ ბატონობაზე, არამედ მის მხოლოდ ფაქტიურ ბატონობაზე. ფორმალურად II ინტერნაციონალის სათავეში იდგნენ «მართლმორწმუნე» მარქსისტები, «ორთოდოქსები» — კაუცკი და სხვები. ნამდვილად კი II ინტერნაციონალის ძირითადი მუშაობა ოპორტუნიზმის ხაზით მიმდინარეობდა. ოპორტუნისტები, თავიანთი შემგუებლური, წვრილბურჟუაზიული ბუნების გამო, ეგუებოდნენ ბურჟუაზიას, — ხოლო «ორთოდოქსები» თავის მხრივ ეგუებოდნენ ოპორტუნისტებს, ოპორტუნისტებთან «ერთიანობის შენარჩუნების» გულისთვის, «პარტიაში მშვიდობიანობის» გულისთვის. შედეგად გამოდიოდა ოპორტუნიზმის ბატონობა, ვინაიდან ჯაჭვი ბურჟუაზიის პოლიტიკასა და «ორთოდოქსების» პოლიტიკას შორის შეკრული აღმოჩნდა.

ეს იყო კაპიტალიზმის შედარებით მშვიდობიანი განვითარების პერიოდი, ასე ვთქვათ, ომამდელი პერიოდი, როცა იმპერიალიზმის კატასტროფული წინააღმდეგობები

ჯერ კიდევ არ გამოაშკარავებულიყო სრული სიცხადით, როცა მუშების ეკონომიური გაფიცვები და პროფკავშირები ცოტად თუ ბევრად «ნორმალურად» ვითარდებოდნენ, როცა საარჩევნო ბრძოლა და საპარლამენტო ფრაქციები «თავბრუდამხვევ» წარმატებებს აღწევდნენ, როცა ბრძოლის ლეგალური ფორმები ცამდე აჰყავდათ და ლეგალობით ფიქრობდნენ კაპიტალიზმის «მოკვლას», — ერთი სიტყვით, როცა II ინტერნაციონალის პარტიები სუქდებოდნენ და არც სურდათ სერიოზულად ეფიქრათ რევოლუციაზე, პროლეტარიატის დიქტატურაზე, მასების რევოლუციურ აღზრდაზე.

მთლიანი რევოლუციური თეორიის ნაცვლად — წინააღმდეგობრივი თეორიული დებულებები და თეორიის ნაფლეთები, მასების ცოცხალ რევოლუციურ ბრძოლას მოწყვეტილი და დახავსებულ დოგმებად გადაქცეული. სხვისთვის დასანახად, რა თქმა უნდა, გაიხსენებდნენ ხოლმე მარქსის თეორიას, მაგრამ იმისათვის, რომ გამოეცალათ მისთვის ცოცხალი რევოლუციური შინაარსი.

რევოლუციური პოლიტიკის ნაცვლად — უილაჯო ფილისტერობა და ფრთხილი პოლიტიკანობა, საპარლამენტო დიპლომატია და საპარლამენტო კომბინაციები. სხვისთვის დასანახად, რა თქმა უნდა, გამოჰქონდათ «რევოლუციური» გადაწყვეტილებანი და ლოზუნგები, მაგრამ იმისათვის, რომ მაუდქვეშ ამოედოთ ისინი.

იმის ნაცვლად, რომ საკუთარ შეცდომებზე აღეზარდათ პარტია და შეესწავლებინათ მისთვის სწორი რევოლუციური ტაქტიკა, საგულდაგულოდ უხვევდნენ გვერდს მტკივნეულ საკითხებს, ჩქმალავდნენ და აფუჩეჩებდნენ მათ. სხვისთვის დასანახად, რა თქმა უნდა, მსჯელობდნენ მტკივნეულ საკითხებზედაც, მაგრამ იმისათვის, რომ საქმე რაიმე «მოქნილი» რეზოლუციით დაებოლოებინათ.

აი რანაირი იყო II ინტერნაციონალის ფიზიონომია, მისი მუშაობის მეთოდი, მისი არსენალი.

ამასობაში კი ახლოვდებოდა იმპერიალისტური ომებისა და პროლეტარიატის რევოლუციურ შეტაკებათა ახალი ხანა. ბრძოლის ძველი მეთოდები აშკარად არასაკმარისი და უძლური აღმოჩნდა ყოვლისშემძლე ფინანსური კაპიტალის წინაშე.

აუცილებელი იყო II ინტერნაციონალის მთელი მუშაობის, მისი მუშაობის მთელი მეთოდის გადასინჯვა, ფილისტერობის, გონებრივი სიჩლუნგის, პოლიტიკანობის, რენეგატობის, სოციალ-შოვინიზმის, სოციალ-პაციფიზმის განდევნა. აუცილებელი იყო II ინტერნაციონალის მთელი არსენალის შემოწმება, ყოველივე დაჟანგულისა და დაძველებულის უკუგდება და იარაღის ახალი სახეების გამოჭედვა. ამ წინასწარი მუშაობის გაუწევლად უაზრო იყო კაპიტალიზმის წინააღმდეგ სალაშქროდ წასვლა. უამისოდ პროლეტარიატს იმის საფრთხე მოელოდა, რომ ახალ რევოლუციურ შეტაკებათა წინაშე არასაკმაოდ შეიარაღებული ანდა მთლად უიარაღოც კი წარმდგარიყო.

II ინტერნაციონალის ავგიოსის თავლების გენერალური შემოწმებისა და გენერალური წმენდის ეს საპატიო საქმე წილად ჰხვდა ლენინიზმს.

აი რა პირობებში წარმოიშვა და გამოიჭედა ლენინიზმის მეთოდი.

რაში მდგომარეობს ამ მეთოდის მოთხოვნები?

ჯერ-ერთი, ეს არის II ინტერნაციონალის თეორიულ დოგმათა **შემოწმება** მასების რევოლუციური ბრძოლის ცეცხლში, ცოცხალი პრაქტიკის ცეცხლში, ე. ი. თეორიასა და პრაქტიკას შორის დარღვეული ერთიანობის აღდგენა, მათი ურთიერთდაშორების ლიკვიდაცია, ვინაიდან

მხოლოდ ასე შეიძლება რევოლუციური თეორიით შეიარაღებული ნამდვილი პროლეტარული პარტიის შექმნა.

მეორეც, ეს არის II ინტერნაციონალის პარტიების პოლიტიკის **შემოწმება** არა მათი ლოზუნგებისა და რეზოლუციების მიხედვით (რომელთაც არ დაეჯერება), არამედ მათი საქმის, მათი მოქმედების მიხედვით, ვინაიდან მხოლოდ ასე შეიძლება პროლეტარული მასების ნდობის მოპოვება და დამსახურება.

მესამეც, ეს არის მთელი პარტიული მუშაობის **გარდაქმნა** ახალ რევოლუციურ ყაიდაზე რევოლუციური ბრძოლისათვის მასების აღზრდისა და მომზადების თვალსაზრისით, ვინაიდან **მხოლოდ** ასე შეიძლება მასების მომზადება პროლეტარული რევოლუციისათვის.

მეოთხეც, ეს არის პროლეტარული პარტიების **თვითკრიტიკა**, მათი მომზადება და აღზრდა საკუთარ შეცდომებზე, ვინაიდან მხოლოდ ასე შეიძლება პარტიის ნამდვილი კადრებისა და ნამდვილი ლიდერების აღზრდა.

ასეთია ლენინიზმის მეთოდის საფუძველი და დედაარსი.

როგორ იყო გამოყენებული ეს მეთოდი პრაქტიკაში?

II ინტერნაციონალის ოპორტუნისტებს მოეპოვებათ მთელი რიგი თეორიული დოგმები, რომლებსაც ისინი მუდამ იშველიებენ. განვიხილოთ ზოგი მათგანი.

დოგმა პირველი: პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღების პირობების შესახებ. ოპორტუნისტები ირწმუნებიან, რომ პროლეტარიატს არ შეუძლია აიღოს და არც უნდა აიღოს ძალაუფლება, თუ იგი თვითონ არ შეადგენს უმრავლესობას ქვეყანაში. დამამტკიცებელი საბუთი კი ვერავითარი მოჰყავთ, ვინაიდან ამ უაზრო დებულების გამართლება არ შეიძლება არც თეორიულად, არც პრაქტიკულად. ვთქვათ ასეაო, უპასუხებს ლენინი

II ინტერნაციონალის ვაჟბატონებს. მაგრამ რომ შეიქმნას ისეთი ისტორიული ვითარება (ომი, აგრარული კრიზისი და სხვ.), როდესაც პროლეტარიატს, რომელიც მოსახლეობის უმცირესობას შეადგენს, შესაძლებლობა ეძლევა დარაზმოს თავის გარშემო მშრომელი მასების უდიდესი უმრავლესობა, — რატომ არ უნდა აიღოს მაშინ მან ძალაუფლება? რატომ არ უნდა გამოიყენოს პროლეტარიატმა ხელსაყრელი საერთაშორისო და საშინაო ვითარება იმისათვის, რომ გაარღვიოს კაპიტალის ფრონტი და დააჩქაროს საქმის საერთო დაბოლოება? განა მარქსი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში არ ამბობდა: პროლეტარული რევოლუციის საქმე გერმანიაში შეიძლება «საუცხოოდ» წასულიყო, რომ შესაძლებელი იყოს პროლეტარული რევოლუციისათვის დახმარების აღმოჩენა, ასე ვთქვათ, «გლეხური ომის რაიმე მეორე გამოცემით» [17]? განა ყველასა და თვითეულისათვის ცნობილი არაა, რომ გერმანიაში მაშინ პროლეტარების რიცხვი შედარებით ნაკლები იყო, ვიდრე, მაგალითად, რუსეთში 1917 წელს? განა რუსეთის პროლეტარული რევოლუციის პრაქტიკამ არ დაამტკიცა, რომ II ინტერნაციონალის გმირების მიერ შეყვარებული ეს დოგმა ყოველგვარ სასიცოცხლო მნიშვნელობას მოკლებულია პროლეტარიატისათვის? განა ცხადი არ არის, რომ მასების რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკა ურტყამს და ამსხვრევს ამ დახავსებულ დოგმას?

დოგმა მეორე: პროლეტარიატს არ შეუძლია შეინარჩუნოს ძალაუფლება, თუ მას საკმაო რაოდენობით არა ჰყავს მომზადებული კულტურული და ადმინისტრატორული კადრები, რომელთაც შეეძლებათ მოაგვარონ ქვეყნის მართვა-გამგეობა, — ჯერ საჭიროა ამ კადრების შექმნა კაპიტალიზმის პირობებში, ხოლო შემდეგ ძალაუფლების დაპყრობაო. ვთქვათ ასეაო, უპასუხებს ლენინი. მაგრამ რა-

ტომ არ შეიძლება საქმე ისე შევატრიალოთ, რომ ჯერ ძალაუფლება ავიღოთ, შევქმნათ ხელსაყრელი პირობები პროლეტარიატის განვითარებისათვის, ხოლო შემდეგ — გოლიათური ნაბიჯით გავწიოთ წინ მშრომელი მასების კულტურული დონის ასამაღლებლად, მუშებისაგან ხელმძღვანელთა და ადმინისტრატორთა მრავალრიცხოვანი კადრების შესაქმნელად? განა რუსეთის პრაქტიკამ არ დაამტკიცა, რომ პროლეტარული ძალაუფლების დროს ხელმძღვანელთა კადრები მუშათა წრიდან ასჯერ უფრო სწრაფად და უფრო საფუძვლიანად იზრდებიან, ვიდრე კაპიტალის ბატონობის პირობებში? განა ცხადი არ არის, რომ მასების რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკა დაუნდობლად ამსხვრევს ოპორტუნისტების ამ თეორიულ დოგმასაც?

დოგმა მესამე: საერთო **პოლიტიკური** გაფიცვის მეთოდი მიუღებელია პროლეტარიატისათვის, რადგან ეს მეთოდი თეორიულად უსუსურია (იხ. ენგელსის *კრიტიკა*), პრაქტიკულად სახიფათოა (მას შეუძლია მოშალოს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების ჩვეულებრივი მიმდინარეობა, შეუძლია დააცარიელოს პროფესიულ კავშირთა სალაროები), მას არ შეუძლია შეცვალოს ბრძოლის საპარლამენტო ფორმები, რომლებიც პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის მთავარ ფორმას წარმოადგენენო. კეთილი, უპასუხებენ ლენინელები. მაგრამ, ჯერ-ერთი, ენგელსი აკრიტიკებდა არა ყოველგვარ საერთო გაფიცვას, არამედ მხოლოდ განსაზღვრული სახის საერთო გაფიცვას, ანარქისტების საყოველთაო **ეკონომიურ** გაფიცვას[18], რომელსაც აყენებდნენ ანარქისტები პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძოლის **ნაცვლად**, — რა შუაშია აქ საერთო **პოლიტიკური** გაფიცვის მეთოდი? მეორეც, ვინ და სად დაამტკიცა, რომ ბრძოლის საპარლამენტო ფორმა პროლეტა-

რიატის ბრძოლის მთავარი ფორმაა? განა რევოლუციური მოძრაობის ისტორია არ გვიჩვენებს, რომ საპარლამენტო ბრძოლა არის მხოლოდ სკოლა და დამხმარე საშუალება პროლეტარიატის პარლამენტგარეშე ბრძოლის ორგანიზაციისათვის, რომ კაპიტალიზმის დროს მუშათა მოძრაობის ძირითად საკითხებს წყვეტს ძალა, პროლეტარული მასების უშუალო ბრძოლა, მათი საერთო გაფიცვა, მათი აჯანყება? მესამეც, საიდან გაჩნდა საკითხი საპარლამენტო ბრძოლის შეცვლისა საერთო პოლიტიკური გაფიცვის მეთოდით? სად და როდის სცადეს საერთო-პოლიტიკური გაფიცვის მომხრეებმა ბრძოლის საპარლამენტო ფორმების შეცვლა პარლამენტგარეშე ბრძოლის ფორმებით? მეოთხეც, განა რუსეთის რევოლუციამ არ ცხადყო, რომ საერთო **პოლიტიკური** გაფიცვა წარმოადგენს პროლეტარული რევოლუციის უდიდეს სკოლას და კაპიტალიზმის ციხე-სიმაგრეებზე იერიშის მიტანის წინადღით პროლეტარიატის უფართოესი მასების მობილიზაციისა და დარაზმვის უბადლო საშუალებას, — მაშ რა შუაშია აქ ფილისტერული გოდება სამეურნეო ცხოვრების ჩვეულებრივი მიმდინარეობის მოშლისა და პროფესიულ კავშირთა სალაროების შესახებ? განა ცხადი არ არის, რომ რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკა ამსხვრევს ოპორტუნისტების ამ დოგმასაც?

და სხვ. და ა. შ.

აი რატომ ამბობდა ლენინი, რომ «რევოლუციური თეორია არ არის დოგმა», რომ იგი «საბოლოოდ ყალიბდება მხოლოდ ნამდვილად მასობრივი და ნამდვილად რევოლუციური მოძრაობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში» («საყმაწვილო სენი» [19]), ვინაიდან თეორია პრაქტიკას უნდა ემსახურებოდეს, ვინაიდან «თეორიამ პასუხი უნდა გასცეს პრაქტიკის მიერ წამოყენებულ საკითხებს» («ხალხის

მეგობრები» [20]), ვინაიდან თეორია უნდა შემოწმდეს პრაქტიკის მონაცემებით.

რაც შეეხება II ინტერნაციონალის პარტიების პოლიტიკურ ლოზუნგებს და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, ამ მხრივ საკმაოა გავიხსენოთ ისტორია ლოზუნგისა «ომი ომს», რათა გასაგები გახდეს მთელი სიყალბე და მთელი სიდამპლე ამ პარტიების პოლიტიკური პრაქტიკისა, რომელნიც თავიანთ ანტირევოლუციურ საქმეს მაღალფარდოვანი რევოლუციური ლოზუნგებით და რეზოლუციებით ფარავენ. ყველას ახსოვს II ინტერნაციონალის საზეიმო დემონსტრაცია ბაზელის კონგრესზე [21] მუქარით იმპერიალისტების მიმართ; ემუქრებოდნენ მათ აჯანყების ყველა საშინელებით, თუ იმპერიალისტები გაბედავდნენ ომის დაწყებას, და აყენებდნენ მრისხანე ლოზუნგს: «ომი ომს». მაგრამ ვის არ ახსოვს, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა ომი ის-იყო უნდა დაწყებულიყო, ბაზელის რეზოლუცია მაუდქვეშ ამოსდეს, ხოლო მუშებს მისცეს ახალი ლოზუნგი — ეჟლიტნათ ერთმანეთი კაპიტალისტური სამშობლოს სადიდებლად? განა ცხადი არ არის, რომ გროშადაც არ ღირს რევოლუციური ლოზუნგები და რეზოლუციები, თუ ისინი განმტკიცებული არ არიან საქმით? საკმარისია მხოლოდ შევადაროთ იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ლენინური პოლიტიკა II ინტერნაციონალის გამცემლურ პოლიტიკას ომის დროს, რომ გასაგები გახდეს ოპორტუნიზმის პოლიტიკანების მთელი გათახსირება და ლენინიზმის მეთოდის მთელი სიდიადე.

არ შემიძლია არ მოვიყვანო აქ ერთი ადგილი ლენინის წიგნიდან «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი», სადაც იგი სასტიკად ამათრახებს II ინტერნაციონალის ლიდერის კ. კაუცკის ოპორტუნისტულ ცდას — იმსჯელოს პარტიებზე არა მათი საქმეების მიხედვით, არა-

მედ მათი ქაღალდის ლოზუნგებისა და დოკუმენტების მიხედვით:

«კაუცკი ატარებს ტიპიურ მეშჩანურ, ფილისტერულ პოლიტიკას, როცა ფიქრობს... თითქოს **ლოზუნგის წამოყენება** საქმეს ცვლიდეს. ბურჟუაზიული დემოკრატიის მთელი ისტორია ამხილებს ამ ილუზიას: ხალხის მოსატყუებლად ბურჟუაზიული დემოკრატები მუდამ აყენებდნენ და მუდამ აყენებენ ყოველგვარ «ლოზუნგებს». საქმე ისაა, რომ **შევამოწმოთ** მათი გულწრფელობა, სიტყვებს დავუპირისპიროთ **საქმეები**, არ დავკმაყოფილდეთ იდეალისტური ან შარლატანური **ფრაზით**, არამედ ჩავწვდეთ **კლასობრივ რეალობას»** (იხ. ტ. XXIII, გვ. 377).

აღარაფერს ვამბობ II ინტერნაციონალის პარტიების შიშზე თვითკრიტიკის წინაშე, მათს მანერაზე — დაფარონ თავიანთი შეცდომები, მიჩქმალონ მტკივნეული საკითხები, დამალონ თავიანთი დეფექტები კეთილდღეობის ყალბი პარადით, რომელიც აჩლუნგებს ცოცხალ აზრს და აფერხებს პარტიის რევოლუციურ აღზრდას საკუთარ შეცდომებზე, — მანერაზე, რომელიც სასაცილოდ აიგდო ლენინმა და სამარცხვინო ბოძზე გააკრა. აი რას წერდა ლენინი პროლეტარული პარტიების თვითკრიტიკის შესახებ თავის ბროშურაში «საყმაწვილო სენი»:

«პოლიტიკური პარტიის დამოკიდებულება თავისი შეცდომებისადმი **ერთ**-ერთი უმნიშვნელოვანესი და უაღრესად უტყუარი კრიტერიუმია იმისა, თუ რამდენად სერიოზული არის პარტია, რამდენად **საქმით** ასრულებს ის თავის მოვალეობას საკუთარი **კლასისა** და მშრომელი **მასების** წინაშე. შეცდომის გულახდილად აღიარება, მისი მიზეზების გამორკვევა, მისი წარმომშობი ვითარების ანალიზი, შეცდომის გამოსწორების საშუალებათა გულდასმით განხილვა — აი ეს არის სერიოზული პარტიის ნიშანი, აი ეს არის მის მიერ თავის მოვალეობათა შესრულება, აი ეს არის აღზრდა და სწავლება **კლასისა** და შემდეგ **მასისაც**» (იხ. ტ. XXV, გვ. 200).

ზოგი ლაპარაკობს, რომ საკუთარი შეცდომების გამოაშკარავება და თვითკრიტიკა სახიფათოა პარტიისათვის,

რადგან შესაძლოა მოპირდაპირემ ეს გამოიყენოს პროლეტარიატის პარტიის წინააღმდეგ. ლენინს ასეთი მოსაზრება არასერიოზულ და სრულიად უმართებულო მოსაზრებად მიაჩნდა. აი რას ამბობდა იგი თავის ბროშურაში «ნაბიჯი წინ» ჯერ კიდევ 1904 წელს, როცა ჩვენი პარტია ჯერ კიდევ სუსტი და მცირემნიშვნელოვანი იყო:

«ისინი (ე. ი. მარქსისტების მოწინააღმდეგენი. ი. სტ.) ბოროტად ხარობენ და იმანჭებიან, როცა ჩვენს დავას ხედავენ; ისინი, რა თქმა უნდა, თავიანთი მიზნებისათვის შეეცდებიან ამოგლიჯონ ცალკე ადგილები ჩემი ბროშურიდან, რომელიც ჩვენი პარტიის ნაკლოვანებებსა და დეფექტებს შეეხება. რუსი სოციალ-დემოკრატები უკვე საკმაოდ გამობრძმედილი არიან ბრძოლებში, რომ ასეთმა ჩქმეტამ არ შეაშფოთოს ისინი და, წინააღმდეგ ამისა, განაგრძონ თავიანთი მუშაობა თვითკრიტიკისა და იმ საკუთარი მინუსების დაუნდობელი გამოაშკარავების ხაზით, რომლებიც უეჭველად და აუცილებლად დაძლეული იქნება მუშათა მოძრაობის ზრდით» (იხ. ტ. VI, გვ. 161).

ასეთია, საერთოდ, ლენინიზმის მეთოდის დამახასიათებელი ნიშნები.

ის, რაც მოცემულია ლენინის მეთოდში, ძირითადად უკვე იყო მარქსის მოძღვრებაში, რომელიც, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, «თავისი არსით კრიტიკული და რევოლუციურია»[22]. ლენინის მეთოდი თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია სწორედ ამ კრიტიკული და რევოლუციური სულით. მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ ლენინის მეთოდი უბრალო აღდგენა იყოს იმისა, რაც მარქსმა მოგვცა. ნამდვილად ლენინის მეთოდი წარმოადგენს მარქსის კრიტიკული და რევოლუციური მეთოდის, მისი მატერიალისტური დიალექტიკის არა მარტო აღდგენას, არამედ აგრეთვე მის კონკრეტიზაციას და შემდგომ განვითარებას.

III

თეორია

ამ თემიდან მე ვიღებ სამ საკითხს:

ა) თეორიის მნიშვნელობის შესახებ პროლეტარული მოძრაობისათვის,

ბ) სტიქიურობის «თეორიის» კრიტიკის შესახებ,

გ) პროლეტარული რევოლუციის თეორიის შესახებ.

1) **თეორიის მნიშვნელობის შესახებ.** ზოგი ფიქრობს, რომ ლენინიზმი არის პრაქტიკის პრიმატი თეორიის წინაშე იმ აზრით, რომ მასში მთავარია მარქსისტულ დებულებათა საქმედ ქცევა, ამ დებულებათა «შესრულება», ხოლო რაც შეეხება თეორიას, ლენინიზმი ამ მხრივ, თითქოს, საკმაოდ უდარდელი იყოს. ცნობილია, რომ პლეხანოვს არა ერთხელ უოხუნჯნია ლენინის «უდარდელობაზე» თეორიის და განსაკუთრებით ფილოსოფიის დარგში. ცნობილია აგრეთვე, რომ ბევრი თანამედროვე პრაქტიკოსი-ლენინელი მაინცდამაინც დიდად არ სწყალობს თეორიას, განსაკუთრებით იმ უამრავი პრაქტიკული მუშაობის გამო, რაც მათ მდგომარეობამ დააკისრა. მე უნდა განვაცხადო, რომ ეს უცნაურზე უცნაური შეხედულება ლენინზე და ლენინიზმზე სრულიად უმართებულოა და ოდნავადაც არ შეეფერება სინამდვილეს, რომ პრაქტიკოსების მისწრაფება — თავიდან მოიშორონ თეორია, ეწინააღმდეგება ლენინიზმის მთელ სულს და დიდ საფრთხეს უქადის საქმეს.

თეორია არის ყველა ქვეყნის მუშათა მოძრაობის გამოცდილება, აღებული მისი ზოგადი სახით. რა თქმა უნდა, თეორია უსაგნო ხდება, თუ ის არ უკავშირდება რევოლუციურ პრაქტიკას, სწორედ ისევე, როგორც პრაქტიკაც ბრმა ხდება, თუ იგი არ იშუქებს გზას რევოლუციური თეორიით. მაგრამ თეორია შეიძლება გადაიქცეს მუშათა

მოძრაობის უდიდეს ძალად, თუ იგი ყალიბდება რევოლუციურ პრაქტიკასთან განუყრელ კავშირში, ვინაიდან თეორიას, და მხოლოდ თეორიას, შეუძლია მისცეს მოძრაობას რწმენა, ორიენტირების ძალა და გარემო მოვლენათა შინაგანი კავშირის გაგება, ვინაიდან თეორიას, და მხოლოდ თეორიას, შეუძლია დაეხმაროს პრაქტიკას გაიგოს არა მარტო ის, თუ როგორ და საით მიემართებიან კლასები აწმყოში, არამედ ისიც, თუ როგორ და საით უნდა გაემართონ ისინი უახლოეს მომავალში. სწორედ ლენინი, და არა სხვა ვინმე, ამბობდა და მრავალჯერ იმეორებდა ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ:

«რევოლუციური თეორიის გარეშე შეუძლებელია რევოლუციური მოძრაობაც» * (იხ. ტ. IV, გვ. 380).

ლენინს უფრო ესმოდა, ვიდრე სხვა ვინმეს, თეორიის დიდი მნიშვნელობა, განსაკუთრებით ისეთი პარტიისათვის, როგორიც არის ჩვენი პარტია, საერთაშორისო პროლეტარიატის მოწინავე მებრძოლის იმ როლის გამო, რომელიც მას წილად ხვდა, და საშინაო და საერთაშორისო ვითარების იმ სირთულის გამო, რომლითაც ის გარემოცულია. ლენინი ჯერ კიდევ 1902 წელს ითვალისწინებდა ჩვენი პარტიის ამ განსაკუთრებულ როლს და საჭიროდ ცნობდა უკვე მაშინ მოეგონებინა, რომ:

«მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს» (იხ. ტ. IV, გვ. 380).

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ახლა, როდესაც ლენინის წინასწარმეტყველება ჩვენი პარტიის როლის შესახებ უკვე განხორციელდა, ლენინის ეს დებულება განსაკუთრებულ ძალას და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

შესაძლოა, იმ მაღალი მნიშვნელობის ყველაზე უფრო მკაფიო გამოხატულებად, რომელსაც ლენინი თეორიას აკუთვნებდა, უნდა ჩაგვეთვალა ის ფაქტი, რომ სწორედ ლენინმა, და არა სხვა ვინმემ, მოჰკიდა ხელი უაღრესად სერიოზული ამოცანის შესრულებას — მეცნიერების მიერ ენგელსის დროიდან ლენინამდე მოპოვებულ უმნიშვნელოვანეს მიღწევათა განზოგადებას მატერიალისტურ ფილოსოფიაში და მარქსისტთა შორის არსებულ ანტიმატერიალისტურ მიმდინარეობათა ყოველმხრივ კრიტიკას. ენგელსი ამბობდა: «მატერიალიზმს ყოველი ახალი დიდი აღმოჩენის შემდეგ ახალი სახის მიღება უხდება» [23]. ცნობილია, რომ ეს ამოცანა თავისი დროისათვის შეასრულა არა სხვა ვინმემ, არამედ ლენინმა თავის შესანიშნავ წიგნში «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი» [24]. ცნობილია, რომ პლეხანოვმა, რომელსაც უყვარდა ოხუნჯობა ლენინის «უდარდელობაზე» ფილოსოფიის დარგში, ვერც კი გაბედა სერიოზულად შესდგომოდა აღნიშნული ამოცანის შესრულებას.

2) **სტიქიურობის «თეორიის» კრიტიკა, ანუ მოძრაობაში ავანგარდის როლის შესახებ.** სტიქიურობის «თეორია» არის ოპორტუნიზმის თეორია, მუშათა მოძრაობის სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრის თეორია, მუშათა კლასის ავანგარდის, მუშათა კლასის პარტიის ხელმძღვანელი როლის ფაქტიური უარყოფის თეორია.

სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრის თეორია გადაჭრით ეწინააღმდეგება მუშათა მოძრაობის რევოლუციურ ხასიათს, ის წინააღმდეგია იმისა, რომ მოძრაობა წარიმართოს კაპიტალიზმის საფუძვლების წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით, — იგი იმის მომხრეა, რომ მოძრაობა მიიმართებოდეს მხოლოდ და მხოლოდ «შესრულების მხრივ შესაძლებელ», კაპიტალიზმისათვის «მისაღებ» მოთხოვნათა ხაზით,

იგი მთლიანად მხარს უჭერს «უმცირესი წინააღმდეგობის ხაზს». სტიქიურობის თეორია ტრედ-უნიონიზმის იდეოლოგიაა.

სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრის თეორია გადაჭრით ეწინააღმდეგება იმას, რომ სტიქიურ მოძრაობას მიეცეს შეგნებული, გეგმაშეზომილი ხასიათი, ის წინააღმდეგია იმისა, რომ პარტია წინ მიუძღოდეს მუშათა კლასს, რომ პარტიამ მასები აამაღლოს შეგნებულობის დონემდე, რომ პარტია მიუძღოდეს მოძრაობას, — იგი იმის მომხრეა, რომ მოძრაობის შეგნებული ელემენტები ხელს არ უშლიდნენ მოძრაობას წავიდეს თავისი გზით, ის იმის მომხრეა, რომ პარტია მხოლოდ ყურს მიაპყრობდეს სტიქიურ მოძრაობას და კუდში მისჩანჩალებდეს მას. სტიქიურობის თეორია არის მოძრაობაში შეგნებული ელემენტის როლის შემცირების თეორია, «მაჩანჩალობის» იდეოლოგია, ყოველგვარი ოპორტუნიზმის ლოგიკური საფუძველი.

პრაქტიკულად ეს თეორია, რომელიც ჯერ კიდევ რუსეთის პირველ რევოლუციამდე გამოვიდა სცენაზე, იწვევდა იმას, რომ მისი მიმდევრები, ეგრეთწოდებული «ეკონომისტები», უარყოფდნენ დამოუკიდებელი მუშათა პარტიის აუცილებლობას რუსეთში, ილაშქრებდნენ მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის წინააღმდეგ, რომელიც მიმართული იყო ცარიზმის დამხობისაკენ, ქადაგებდნენ ტრედ-უნიონისტულ პოლიტიკას მოძრაობაში და საერთოდ მუშათა მოძრაობას ლიბერალური ბურჟუაზიის ჰეგემონიას უმორჩილებდნენ.

ძველი «ისკრის» ბრძოლამ და «მაჩანჩალობის» თეორიის ბრწყინვალე კრიტიკამ ლენინის ბროშურაში «რა ვაკეთოთ?» არა მარტო დაამსხვრია ეგრეთწოდებული «ეკონომიზმი», არამედ შექმნა აგრეთვე რუსეთის მუშათა კლა-

სის ნამდვილად რევოლუციური მოძრაობის თეორიული საფუძვლები.

ამ ბრძოლის გარეშე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა დაშოუკიდებელი მუშათა პარტიის შექმნაზე რუსეთში და მის ხელმძღვანელ როლზე რევოლუციაში.

მაგრამ სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრის თეორია მარტო რუსული მოვლენა როდია. ეს თეორია ძალიან ფართოდ არის გავრცელებული, მართალია, რამდენადმე სხვა ფორმით, II ინტერნაციონალის უკლებლივ ყველა პარტიაში. მე მხედველობაში მაქვს II ინტერნაციონალის ლიდერების მიერ წარყვნილი ეგრეთწოდებული «საწარმოო ძალების» თეორია, რომელიც ყველაფერს ამართლებს და ყველას ერთმანეთთან არიგებს, რომელიც აღნიშნავს ფაქტებს და მხოლოდ მას შემდეგ ახსნის ამ ფაქტებს, როცა ისინი ყველასათვის მოსაბეზრებელი ხდებიან, და, აღნიშნავს რა ფაქტებს, ამით მშვიდდება. მარქსი ამბობდა, რომ მატერიალისტური თეორია ვერ დაკმაყოფილდება სამყაროს ახსნით, რომ, გარდა ამისა, მან უნდა შეცვალოს იგიო [25]. მაგრამ კაუცკის და კომპანიას ეს არ ანაღვლებს, ისინი ამჯობინებენ არ გასცილდნენ მარქსის ფორმულის პირველ ნაწილს.

აი ამ «თეორიის» გამოყენების მრავალი მაგალითიდან ერთ-ერთი მაგალითი. ამბობენ, რომ II ინტერნაციონალის პარტიები იმპერიალისტურ ომამდე იმუქრებოდნენ «ომით ომის წინააღმდეგ», თუ იმპერიალისტები ომს დაიწყებდნენ. ამბობენ, რომ უშუალოდ ომის წინ ამ პარტიებმა მაუდქვეშ ამოსდეს ლოზუნგი: «ომი ომს» და ცხოვრებაში გაატარეს საწინააღმდეგო ლოზუნგი: «ომი იმპერიალისტური სამშობლოსათვის». ამბობენ, რომ ლოზუნგების ამ შეცვლას შედეგად მოჰყვა მილიონობით მუშების მსხვერპლი. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ აქ ვინმეა

დამნაშავე, რომ ვინმემ უღალატა მუშათა კლასს, გასცა იგი. არაფერი ამის მსგავსი! ყველაფერი ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო. ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ ინტერნაციონალი, თურმე, არის «ინსტრუმენტი მშვიდობიანობისა» და არა ომისა. მეორეც, იმიტომ, რომ «საწარმოო ძალთა» იმ «დონეზე», რომელიც მაშინ არსებობდა, სხვა რაიმეს გაკეთება არ შეიძლებოდა. «დამნაშავეა» «საწარმოო ძალები». ამას «ჩვენ» ზუსტად გვიხსნის ბატონ კაუცკის «საწარმოო ძალების თეორია». ხოლო ვისაც არა სწამს ეს «თეორია», ის მარქსისტი არ არის. პარტიების როლი? მათი მნიშვნელობა მოძრაობაში? მაგრამ რას გახდება პარტია ისეთ გადამწყვეტ ფაქტორთან, როგორიც არის «საწარმოო ძალების დონე»?..

შეიძლებოდა მოგვეყვანა მარქსიზმის ფალსიფიკაციის ასეთი მაგალითების მთელი გროვა.

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ეს გაყალბებული «მარქსიზმი», რომელიც მოწოდებულია დაფაროს ოპორტუნიზმის სიშიშვლე, მხოლოდ სახეცვლილებაა, ევროპულ ყაიდაზე, «მაჩანჩალობის» სწორედ იმ თეორიისა, რომელსაც ჯერ კიდევ რუსეთის პირველ რევოლუციამდე ებრძოდა ლენინი.

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ამ თეორიული ფალსიფიკაციის გაცამტვერება წარმოადგენს დასავლეთში ნამდვილი რევოლუციური პარტიების შექმნის წინასწარ პირობას.

3) **პროლეტარული რევოლუციის თეორია.** პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორია სამი ძირითადი დებულებიდან გამოდის.

დებულება პირველი. ფინანსური კაპიტალის ბატონობა კაპიტალიზმის მოწინავე ქვეყნებში; ფასიანი ქაღალდების ემისია, როგორც ფინანსური კაპიტალის უმნიშვნელოვანე-

სი ოპერაცია; კაპიტალის გატანა ნედლეულის წყაროებთან, როგორც იმპერიალიზმის ერთ-ერთი საფუძველი; ფინანსური ოლიგარქიის ყოვლისშემძლეობა, როგორც ფინანსური კაპიტალის ბატონობის შედეგი, — ყოველივე ეს ააშკარავებს მონოპოლისტური კაპიტალიზმის ტლანქ პარაზიტულ ხასიათს, ასჯერ უფრო საგრძნობელს ხდის ჩაგვრას კაპიტალისტური ტრესტებისა და სინდიკატების მხრით, აძლიერებს მუშათა კლასის აღშფოთებას კაპიტალიზმის საფუძვლების წინააღმდეგ და მიჰყავს მასები პროლეტარულ რევოლუციასთან, როგორც ერთადერთ ხსნასთან (იხ. **ლენინის** «იმპერიალიზმი» [26]).

აქედან — პირველი დასკვნა: რევოლუციური კრიზისის გამწვავება კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით, აფეთქების ელემენტების ზრდა საშინაო, პროლეტარულ ფრონტზე «მეტროპოლიებში».

დებულება მეორე. კაპიტალის გაძლიერებული გატანა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში; «გავლენის სფეროებისა» და კოლონიური სამფლობელოების გაფართოება, თვით მთელი დედამიწის გარემოცვამდე; კაპიტალიზმის გადაქცევა ერთი მუჭა «მოწინავე» ქვეყნების მიერ დედამიწის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ფინანსური დამონებისა და კოლონიური ჩაგვრის **მსოფლიო სისტემად**, — ყოველივე ამან, ერთი მხრივ, ცალკე ნაციონალური მეურნეობები და ნაციონალური ტერიტორიები გადააქცია იმ მთლიანი ჯაჭვის რგოლებად, რომელსაც მსოფლიო მეურნეობა ეწოდება, მეორე მხრით — დედამიწის მოსახლეობა გათიშა ორ ბანაკად: ერთ მუჭა «მოწინავე» კაპიტალისტურ ქვეყნებად, რომელნიც უზარმაზარი კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ექსპლოატაციასა და ჩაგვრას ეწევიან, და კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების უდიდეს უმრავლესობად, რომელნიც იძულებუ-

ლი არიან იბრძოლონ იმპერიალისტური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის (იხ. «იმპერიალიზმი»).

აქედან — მეორე დასკვნა: რევოლუციური კრიზისის გამწვავება კოლონიურ ქვეყნებში, აღშფოთების ელემენტების ზრდა იმპერიალიზმის წინააღმდეგ საგარეო, კოლონიურ ფრონტზე.

დებულება მესამე. «გავლენის სფეროებისა» და კოლონიების მონოპოლიური მფლობელობა; კაპიტალისტური ქვეყნების არათანაბარი განვითარება, რაც იწვევს გააფთრებულ ბრძოლას დედამიწის ხელახალი განაწილებისათვის იმ ქვეყნებს შორის, რომელთაც უკვე დაიპყრეს ტერიტორიები, და იმ ქვეყნებს შორის, რომელთაც სურთ მიიღონ თავიანთი «წილი»; იმპერიალისტური ომები, როგორც დარღვეული «წონასწორობის» აღდგენის ერთადერთი საშუალება, — ყოველივე ეს იწვევს მესამე ფრონტის, შიდაკაპიტალისტური ფრონტის გაძლიერებას, რომელიც ასუსტებს იმპერიალიზმს და აადვილებს პირველი ორი ფრონტის — რევოლუციურ-პროლეტარული და კოლონიურ-განმათავისუფლებელი ფრონტების გაერთიანებას იმპერიალიზმის წინააღმდეგ (იხ. «იმპერიალიზმი»).

აქედან — მესამე დასკვნა: ომების გარდუვალობა იმპერიალიზმის დროს და აუცილებლობა ევროპის პროლეტარული რევოლუციის კოალიციისა აღმოსავლეთის კოლონიურ რევოლუციასთან რევოლუციის ერთიანი მსოფლიო ფრონტის სახით იმპერიალიზმის მსოფლიო ფრონტის წინააღმდეგ.

ყველა ამ დასკვნას ლენინი აერთიანებს ერთ საერთო დასკვნაში, რომ **«იმპერიალიზმი სოციალისტური რევოლუციის წინადღეა»** * (იხ. ტ. XIX, გვ. 71).

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ამის შესაბამისად იცვლება თვით მიდგომა პროლეტარული რევოლუციის, რევოლუციის ხასიათის, მისი მოცულობის, მისი სიღრმის საკითხისადმი, იცვლება საერთოდ რევოლუციის სქემა.

წინათ პროლეტარული რევოლუციის წანამძღვრების ანალიზს ჩვეულებრივ უდგებოდნენ ამა თუ იმ ცალკეული ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის თვალსაზრისით. ახლა ეს მიდგომა უკვე საკმარისი არ არის. ახლა საქმეს უნდა მივუდგეთ ყველა ქვეყნის ან მათი უმრავლესობის ეკონომიური მდგომარეობის თვალსაზრისით, მსოფლიო მეურნეობის მდგომარეობის თვალსაზრისით, ვინაიდან ცალკეული ქვეყნები და ცალკეული ნაციონალური მეურნეობანი უკვე აღარ წარმოადგენენ თვითკმარ ერთეულებს, ისინი მსოფლიო მეურნეობად წოდებული ერთიანი ჯაჭვის რგოლებად გადაიქცნენ, ვინაიდან ძველი «კულტურული» კაპიტალიზმი გადაიზარდა იმპერიალიზმად, ხოლო იმპერიალიზმი არის ერთი მუჭა «მოწინავე» ქვეყნების მიერ დედამიწის მოსახლეობის გიგანტური უმრავლესობის ფინანსური დამონებისა და კოლონიური ჩაგვრის მსოფლიო სისტემა.

წინათ მიღებული იყო ლაპარაკი იმაზე, არსებობს თუ არ არსებობს პროლეტარული რევოლუციის ობიექტური პირობები ცალკეულ ქვეყნებში, ან, უფრო ზუსტად, — ამა თუ იმ განვითარებულ ქვეყანაში. ახლა ეს თვალსაზრისი უკვე საკმარისი არ არის. ახლა უნდა ვილაპარაკოთ რევოლუციის ობიექტური პირობების არსებობაზე მსოფლიო იმპერიალისტური მეურნეობის, როგორც მთლიანი ერთეულის, მთელ სისტემაში, ამასთან ამ სისტემაში ზოგიერთი ისეთი ქვეყნის არსებობა, რომელიც მრეწველობის მხრივ საკმაოდ არ არის განვითარებული, არ შეიძლება წარმოადგენდეს დაუძლეველ დაბრკოლებას რევოლუციი-

სათვის, **თუ** სისტემა მთლიანად ან, უკეთ, — **რადგან** სისტემა მთლიანად უკვე მომწიფდა რევოლუციისათვის.

წინათ მიღებული იყო ლაპარაკი პროლეტარულ რევოლუციაზე ამა თუ იმ განვითარებულ ქვეყანაში, როგორც ცალკეულ თვითკმარ სიდიდეზე, რომელიც უპირისპირდება კაპიტალის ცალკეულ, ნაციონალურ ფრონტს, როგორც თავის ანტიპოდს. ახლა ეს თვალსაზრისი უკვე საკმარისი არ არის. ახლა უნდა ვილაპარაკოთ მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციაზე, ვინაიდან კაპიტალის ცალკეული ნაციონალური ფრონტები გადაიქცნენ იმპერიალიზმის მსოფლიო ფრონტად წოდებული ერთიანი ჯაჭვის რგოლებად, რასაც უნდა დაუპირისპირდეს ყველა ქვეყნის რევოლუციური მოძრაობის საერთო ფრონტი.

წინათ პროლეტარულ რევოლუციას იხილავდნენ როგორც განსაზღვრული ქვეყნის მხოლოდ და მხოლოდ შინაგანი განვითარების შედეგს. ახლა ეს თვალსაზრისი უკვე საკმარისი არ არის. ახლა პროლეტარული რევოლუცია, უწინარეს ყოვლისა, უნდა განვიხილოთ როგორც იმპერიალიზმის მსოფლიო სისტემაში წინააღმდეგობათა განვითარების შედეგი, როგორც ამა თუ იმ ქვეყანაში მსოფლიო იმპერიალისტური ფრონტის ჯაჭვის გაწყვეტის შედეგი.

სად დაიწყება რევოლუცია, სად შეიძლება ყველაზე ადრე გაირღვეს კაპიტალის ფრონტი, რომელ ქვეყანაში?

იქ, სადაც უფრო განვითარებულია მრეწველობა, სადაც პროლეტარიატი უმრავლესობას შეადგენს, სადაც მეტი კულტურულობაა, სადაც მეტი დემოკრატიაა, — უპასუხებდნენ ჩვეულებრივ წინათ.

არა, — შენიშნავს რევოლუციის ლენინური თეორია, — **არა აუცილებლად იქ, სადაც მრეწველობა უფრო განვითარებულია,** და სხვ. კაპიტალის ფრონტი გაირღვევა იქ, სადაც იმპერიალიზმის ჯაჭვი უფრო სუსტია, რადგან

პროლეტარული რევოლუცია შედეგია მსოფლიო იმპერიალისტური ფრონტის ჯაჭვის გაწყვეტისა ყველაზე უფრო სუსტ ადგილას; ამასთან შესაძლოა მოხდეს, რომ ქვეყანა, რომელმაც დაიწყო რევოლუცია, ქვეყანა, რომელმაც გაარღვია კაპიტალის ფრონტი, ნაკლებ განვითარებული იყოს კაპიტალისტურად, ვიდრე სხვა, უფრო განვითარებული, ქვეყნები, რომლებიც, მიუხედავად ამისა, მაინც კაპიტალიზმის ჩარჩოებში დარჩნენ.

1917 წელს მსოფლიო იმპერიალისტური ფრონტის ჯაჭვი უფრო სუსტი აღმოჩნდა რუსეთში, ვიდრე სხვა ქვეყნებში. სწორედ აქ გაწყდა ეს ჯაჭვი, რითაც გზა მიეცა პროლეტარულ რევოლუციას. რატომ? იმიტომ, რომ რუსეთში ვითარდებოდა უდიდესი სახალხო რევოლუცია, და მას წინ მიუძღოდა რევოლუციური პროლეტარიატი, რომელსაც ისეთი სერიოზული მოკავშირე ჰყავდა, როგორიც იყო მემამულის მიერ ჩაგრული და ექსპლოატირებული მრავალმილიონიანი გლეხობა. იმიტომ, რომ რევოლუციის წინააღმდეგ აქ იდგა იმპერიალიზმის ისეთი საზიზღარი წარმომადგენელი, როგორიც იყო ცარიზმი, რომელიც მოკლებული იყო ყოველგვარ მორალურ წონას და რომელმაც დაიმსახურა მოსახლეობის საერთო სიძულვილი. რუსეთში ჯაჭვი უფრო სუსტი აღმოჩნდა, თუმცა რუსეთი კაპიტალისტურად უფრო ნაკლებ იყო განვითარებული, ვიდრე, ვთქვათ, საფრანგეთი ან გერმანია, ინგლისი ან ამერიკა.

სად გაწყდება ჯაჭვი უახლოეს მომავალში? ისევ იქ, სადაც იგი უფრო სუსტია. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ჯაჭვი გაწყდეს, ვთქვათ, ინდოეთში. რატომ? იმიტომ, რომ იქ არსებობს ახალგაზრდა მებრძოლი რევოლუციური პროლეტარიატი, რომელსაც ისეთი მოკავშირე ჰყავს, როგორიც არის განმათავისუფლებელი ნა-

ციონალური მოძრაობა — უეჭველად დიდი და უეჭველად სერიოზული მოკავშირე. იმიტომ, რომ იქ რევოლუციის წინაშე დგას ისეთი, ყველასათვის ცნობილი, მოწინააღმდეგე, როგორიც არის უცხოეთის იმპერიალიზმი, რომელიც მოკლებულია მორალურ კრედიტს და რომელმაც დაიმსახურა ინდოეთის ჩაგრული და ექსპლოატირებული მასების საერთო სიძულვილი.

სავსებით შესაძლებელია აგრეთვე, რომ ჯაჭვი გაწყდეს გერმანიაში. რატომ? იმიტომ, რომ ის ფაქტორები, რომელნიც, ვთქვათ, ინდოეთში მოქმედებენ, გერმანიაშიც იწყებენ მოქმედებას; ამასთან გასაგებია, რომ განვითარების დონის მხრივ ინდოეთსა და გერმანიას შორის არსებულმა უდიდესმა განსხვავებამ არ შეიძლება თავისი დალი არ დაასვას რევოლუციის მიმდინარეობასა და შედეგს გერმანიაში.

აი რატომ ამბობს ლენინი, რომ:

«დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური ქვეყნები დაამთავრებენ თავის განვითარებას სოციალიზმისაკენ... არა სოციალიზმის თანაბარი «ძომწიფებით» მათში, არამედ ერთი სახელმწიფოების მიერ მეორეთა ექსპლოატაციის გზით, იმპერიალისტური ომის დროს პირველი დამარცხებული სახელმწიფოს ექსპლოატაციის გზით, რასაც თან ერთვის მთელი აღმოსავლეთის ექსპლოატაცია. აღმოსავლეთი კი, მეორე მხრით, საბოლოოდ დაადგა რევოლუციური მოძრაობის გზას სწორედ ამ პირველი იმპერიალისტური ომის გამო და საბოლოოდ ჩაება მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის საერთო ოროშტრიალში» (იხ. ტ. XXVII, გვ. 415 — 416).

მოკლედ: იმპერიალისტური ფრონტის ჯაჭვი, წესისამებრ, უნდა გაწყდეს იქ, სადაც ჯაჭვის რგოლები უფრო სუსტია, და, ყოველ შემთხვევაში, არა უეჭველად იქ, სადაც კაპიტალიზმი უფრო განვითარებულია, სადაც პროლეტარების პროცენტი ამდენი და ამდენია, ხოლო გლეხებისა — ამდენი, და სხვა.

აი რატომაა, რომ სტატისტიკური მოსაზრებანი ცალკეული ქვეყნის მოსახლეობის პროლეტარული შემადგენლობის პროცენტულ გამოანგარიშებაზე კარგავენ პროლეტარული რევოლუციის საკითხის გადაწყვეტის დროს იმ განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რასაც ასე ხალისიანად აკუთვნებდნენ ამ მოსაზრებებს II ინტერნაციონალის მწიგნობრები, რომელთაც ვერ გაიგეს იმპერიალიზმი და რომელთაც შავი ჭირივით ეშინიათ რევოლუციისა.

შემდეგ. II ინტერნაციონალის გმირები ამტკიცებდნენ (და ახლაც განაგრძობენ მტკიცებას), რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციასა, ერთი მხრით, და პროლეტარულ რევოლუციას შორის, მეორე მხრით, არსებობს უფსკრული ან, ყოველ შემთხვევაში, ჩინური კედელი, რაც მათ ერთმანეთისაგან ყოფს ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი ინტერვალით, რომლის განმავლობაშიც ხელისუფლების სათავეში მოქცეული ბურჟუაზია ავითარებს კაპიტალიზმს, ხოლო პროლეტარიატი იკრებს ძალებს და ემზადება «გადამწყვეტი ბრძოლისათვის» კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ამ ინტერვალს ჩვეულებრივად მრავალ ათეულ წლებად ანგარიშობენ, თუ უფრო მეტად არა. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ეს ჩინური კედლის «თეორია» მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ აზრს იმპერიალიზმის ვითარებაში, რომ ეს თეორია არის, და არც შეიძლება არ იყოს, ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ ზრახვათა მხოლოდ საფარი, საბურველი. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ იმპერიალიზმის ვითარებაში, რომელიც თავის წიაღში ატარებს შეტაკებებისა და ომების აუცილებლობას, «სოციალისტური რევოლუციის წინადღის» ვითარებაში, როცა «აყვავებული» კაპიტალიზმი «მომაკვდავ» კაპიტალიზმად იქცევა **(ლენინი)**, ხოლო რევოლუციური მოძრაობა იზრდება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში,

როცა იმპერიალიზმი უერთდება უკლებლივ ყველა რეაქციულ ძალას, თვით ცარიზმისა და ბატონყმობის ჩათვლით, და ამით აუცილებელს ხდის ყველა რევოლუციური ძალის კოალიციას, დაწყებული დასავლეთის პროლეტარული მოძრაობით და გათავებული ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობით აღმოსავლეთში, როცა ფეოდალურ-ბატონყმურ წესთა გადმონაშთების დამხობა შეუძლებელი ხდება იმპერიალიზმთან რევოლუციური ბრძოლის გარეშე, — არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ასეთ პირობებში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, ცოტად თუ ბევრად განვითარებულ ქვეყანაში, უნდა დაუახლოვდეს პროლეტარულ რევოლუციას, რომ პირველი უნდა გადაიზარდოს მეორეში. რუსეთის რევოლუციის ისტორიამ ცხადად დაამტკიცა ამ დებულების სისწორე და უდავობა. ტყუილად კი არ იყო, რომ ლენინი ჯერ კიდევ 1905 წელს, რუსეთის პირველი რევოლუციის წინადღეს, თავის ბროშურაში «ორი ტაქტიკა» ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას და სოციალისტურ გადატრიალებას ახასიათებდა როგორც ერთი ჯაჭვის ორ რგოლს, როგორც რუსეთის რევოლუციის გაქანების ერთიან და მთლიან სურათს:

«პროლეტარიატმა ბოლომდე უნდა გაატაროს დემოკრატიული გადატრიალება, გლეხობის მასის შემოერთებით, რათა ძალით დათრგუნოს თვითმპყრობელობის წინააღმდეგობა და დასძლიოს ბურჟუაზიის მერყეობა. პროლეტარიატმა უნდა მოახდინოს სოციალისტური გადატრიალება, მოსახლეობის ნახევრად-პროლეტარული ელემენტების მასის შემოერთებით, რათა ძალით გატეხოს ბურჟუაზიის წინააღმდეგობა და დასძლიოს გლეხობისა და წვრილი ბურჟუაზიის მერყეობა. ასეთია პროლეტარიატის ამოცანები, რაც ასე ვიწროდ აქვთ წარმოდგენილი ახალისკრელებს ყველა თავიანთ მსჯელობასა და რეზოლუციაში რევოლუციის გაქანების შესახებ» (იხ. ტ. VIII, გვ. 96).

მე აღარაფერს ვამბობ ლენინის სხვა, მერმინდელ ნაშრომებზე, სადაც ბურჟუაზიული რევოლუციის პროლეტარულ რევოლუციად გადაზრდის იდეა უფრო მკვეთრად არის გამოსახული, ვიდრე «ორ ტაქტიკაში», როგორც რევოლუციის ლენინური თეორიის ერთ-ერთი ქვაკუთხედი.

ზოგიერთი ამხანაგი, თურმე, ფიქრობს, რომ ლენინი ამ იდეამდე მივიდა მხოლოდ 1916 წელს, რომ მანამდე ის, თითქოს, იმ აზრისა იყო, რომ რუსეთის რევოლუცია ვერ გასცილდება ბურჟუაზიულ ჩარჩოებს, რომ, მაშასადამე, ძალაუფლება პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის ორგანოს ხელიდან გადავა ბურჟუაზიის და არა პროლეტარიატის ხელში. ამბობენ, რომ ამ მტკიცებამ თავი იჩინა ჩვენს კომუნისტურ პრესაშიც კი. მე უნდა ვთქვა, რომ ეს მტკიცება სავსებით უმართებულოა, რომ იგი სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს.

მე შემეძლო დამემოწმებინა ლენინის ცნობილი სიტყვა პარტიის III ყრილობაზე (1905 წ.), სადაც ის პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურას, ე. ი. დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებას, ახასიათებდა არა როგორც ««წესრიგის» ორგანიზაციას», არამედ როგორც «ომის ორგანიზაციას» (იხ. ტ. VII, გვ. 264).

შემდეგ, მე შემეძლო დამემოწმებინა ლენინის ცნობილი სტატიები «დროებითი მთავრობის შესახებ» (1905 წ.) [27], სადაც ის, გვიხატავს რა რუსეთის რევოლუციის გაშლის პერსპექტივას, პარტიის წინაშე აყენებს ამოცანას — «მიღწეულ იქნას, რომ რუსეთის რევოლუცია იყოს არა რამდენიმე თვის მოძრაობა, არამედ მრავალი წლის მოძრაობა, რომ მას შედეგად მოჰყვეს არა მარტო წვრილმანი დათმობანი ხელისუფალთა მხრით, არამედ ამ

ხელისუფალთა სრული დამხობა», სადაც ლენინი შემდგომ ავითარებს ამ პერსპექტივას, უკავშირებს მას ევროპის რევოლუციას და განაგრძობს:

«და თუ ეს მოხერხდა, — მაშინ... მაშინ რევოლუციის ხანძარი მოედება ევროპას; ბურჟუაზიულ რეაქციაში განაწამები ევროპელი მუშა თავის მხრივ აღდგება და გვიჩვენებს, თუ «როგორ კეთდება ეს»; მაშინ ევროპის რევოლუციური აღმავლობა უკუმოქმედებას იქონიებს რუსეთზე და რამდენიმე რევოლუციური წლის ეპოქიდან შექმნის რამდენიმე ათეული რევოლუციური წლის ეპოქას...» (იხ. იქვე, გვ. 191).

შემდეგ, შემეძლო დამემოწმებინა ლენინის ცნობილი სტატია, გამოქვეყნებული 1915 წლის ნოემბერში, სადაც ის წერს:

«პროლეტარიატი იბრძვის და თავდადებით იბრძოლებს ძალაუფლების დაპყრობისათვის, რესპუბლიკისათვის, მიწების კონფისკაციისათვის... «არა»პროლეტარული ხალხური მასების» მონაწილეობისათვის **ბურჟუაზიული** რუსეთის განთავისუფლებაში **სამხედრო-ფეოდალური** «იმპერიალიზმისაგან» (= ცარიზმისაგან). და ცარიზმისაგან, მემამულეთა საადგილმამულო ბატონობისაგან ბურჟუაზიული რუსეთის ამ განთავისუფლებით პროლეტარიატი **დაუყოვნებლივ** * ისარგებლებს არა იმისათვის, რომ დაეხმაროს მდიდარ გლეხებს სოფლის მუშის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ — სოციალისტური რევოლუციის მოსახდენად ევროპის პროლეტარებთან კავშირში» (იხ. ტ. XVIII, გვ. 318).

ბოლოს, მე შემეძლო დამემოწმებინა ცნობილი ადგილი ლენინის ბროშურიდან «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი», სადაც ის ემყარება ზემომოყვანილ ციტატას «ორი ტაქტიკიდან» ** რუსეთის რევოლუციის გაქანების შესახებ და შემდეგ დასკვნამდე მიდის:

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

** იხ. ეს ტომი, გვ. 116. რ ე დ.

«სწორედ ისე მოხდა, როგორც ჩვენ ვამბობდით. რევოლუციის მსვლელობამ დაადასტურა ჩვენი მსჯელობის სისწორე. **ჯერ** «მთელ» გლეხობასთან ერთად მონარქიის წინააღმდეგ, მემამულეთა წინააღმდეგ, შუასაუკუნეობრიობის წინააღმდეგ (და ამდენად რევოლუცია რჩება ბურჟუაზიული, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული). **შემდეგ,** უღარიბეს გლეხობასთან ერთად, ნახევრად-პროლეტარიატთან ერთად, ყველა ექსპლოატირებულთან ერთად, **კაპიტალიზმის წინააღმდეგ,** მათ შორის სოფლის მდიდრების, კულაკების, სპეკულანტების წინააღმდეგ, და ამდენად რევოლუცია ხდება **სოციალისტური.** მათ შორის ხელოვნური ჩინური კედლის აღმართვის, მათი ერთიმეორისაგან დაშორების ცდა სხვა რამით, **გარდა** პროლეტარიატის მომზადების დონისა და ღარიბ გლეხობასთან მისი შეკავშირების დონისა, არის მარქსიზმის უდიდესი დამახინჯება, მისი შერყვნა და ლიბერალიზმით შეცვლა» (იხ. ტ. XXIII, გვ. 391).

მგონი, საკმარისია.

კეთილი, გვეტყვიან ჩვენ, მაგრამ თუ ასეა, რატომღა ებრძოდა ლენინი «პერმანენტული (განუწყვეტელი) რევოლუციის» იდეას?

იმიტომ, რომ ლენინი მოითხოვდა გლეხობის რევოლუციური უნარის «ამოწურვას» და მისი რევოლუციური ენერგიის ბოლომდე გამოყენებას ცარიზმის სრული ლიკვიდაციისათვის, პროლეტარულ რევოლუციაზე გადასვლისათვის, მაშინ როდესაც «პერმანენტული რევოლუციის» მომხრეებს არ ესმოდათ გლეხობის სერიოზული როლი რუსეთის რევოლუციაში, ისინი სათანადოდ ვერ აფასებდნენ გლეხობის რევოლუციური ენერგიის ძალას, სათანადოდ ვერ აფასებდნენ რუსეთის პროლეტარიატის ძალას და უნარს — წინ გასძღოლოდა გლეხობას, და, ამრიგად, აძნელებდნენ ბურჟუაზიის გავლენისაგან გლეხობის განთავისუფლების საქმეს, პროლეტარიატის გარშემო გლეხობის დარაზმვის საქმეს.

იმიტომ, რომ ლენინი მოითხოვდა რევოლუციის საქმის **დაგვირგვინებას** პროლეტარიატის ხელში ძალაუფლების გადასვლით, მაშინ როდესაც «პერმანენტული» რევოლუციის მომხრენი ფიქრობდნენ **დაეწყოთ** საქმე პირდაპირ პროლეტარიატის ძალაუფლებით; მათ არ ესმოდათ, რომ ამით ისინი თვალს ხუჭავენ ისეთ «წვრილმანზე», როგორიც არის ბატონყმობის გადმონაშთები, და ანგარიშს არ უწევენ ისეთ სერიოზულ ძალას, როგორიც არის რუსეთის გლეხობა; მათ არ ესმოდათ, რომ ასეთ პოლიტიკას შეუძლია მხოლოდ შეაფერხოს გლეხობის გადაყვანა პროლეტარიატის მხარეზე.

მაშასადამე, ლენინი ებრძოდა «პერმანენტული» რევოლუციის მომხრეებს არა განუწყვეტლობის საკითხის გამო, ვინაიდან ლენინი თვითონ იდგა განუწყვეტელი რევოლუციის თვალსაზრისზე, არამედ იმიტომ, რომ ისინი სათანადოდ ვერ აფასებდნენ გლეხობის როლს, რომელიც წარმოადგენს პროლეტარიატის უდიდეს რეზერვს, იმიტომ, რომ მათ არ ესმოდათ პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეა.

«პერმანენტული» რევოლუციის იდეა არ შეიძლება ახალ იდეად მივიჩნიოთ. იგი პირველად წამოაყენა მარქსმა 40-იანი წლების დასასრულს თავის ცნობილ «მიმართვაში» «კომუნისტების კავშირისადმი» (1850 წ.). განუწყვეტელი რევოლუციის იდეა სწორედ ამ დოკუმენტიდან აქვთ აღებული ჩვენს «პერმანენტელებს». უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენმა «პერმანენტელებმა», აიღეს რა ეს იდეა მარქსისაგან, რამდენადმე სახე შეუცვალეს მას და, სახე რომ შეუცვალეს, «გააფუჭეს» იგი, გამოუსადეგარი გახადეს პრაქტიკული გამოყენებისათვის. საჭირო შეიქნა ლენინის გამოცდილი ხელი იმისათვის, რომ ეს შეცდომა გამოესწორებინა, მარქსის განუწყვეტელი რევოლუციის

იდეა აელო მისი წმინდა სახით და გაეხადა იგი რევოლუციის თავისი თეორიის ერთ-ერთ ქვაკუთხედად.

აი რას ამბობს მარქსი თავის «მიმართვაში» განუწყვეტელი (პერმანენტული) რევოლუციის შესახებ, მას შემდეგ, რაც ჩამოთვლის მთელ რიგ რევოლუციურ-დემოკრატიულ მოთხოვნებს, რომელთა მოპოვებისაკენ ის მოუწოდებს კომუნისტებს:

«იმ დროს, როცა დემოკრატიულ წვრილ ბურჟუებს სურთ ზემოხსენებულ მოთხოვნათა რაც შეიძლება მეტი რაოდენობის გატარებისთანავე რაც შეიძლება სწრაფად დაამთავრონ რევოლუცია, ჩვენი ინტერესები და ჩვენი ამოცანები იმაში მდგომარეობს, რომ განუწყვეტელი გავხადოთ რევოლუცია მანამდე, სანამ ბატონობა არ ჩამოერთმევა ყველა ცოტად თუ ბევრად შეძლებულ კლასს, სანამ პროლეტარიატი არ დაიპყრობს სახელმწიფო ძალაუფლებას, სანამ პროლეტართა ასოციაციები არა მარტო ერთ ქვეყანაში, არამედ მსოფლიოს ყველა გაბატონებულ ქვეყანაშიც არ განვითარდებიან იმდენად, რომ შეწყდეს კონკურენცია ამ ქვეყნების პროლეტარებს შორის, და სანამ, ყოველ შემთხვევაში, გადამწყვეტი საწარმოო ძალები თავმოყრილი არ იქნება პროლეტარების ხელში» [28].

სხვანაირად რომ ვთქვათ:

ა) მარქსი, **წინააღმდეგ** ჩვენი რუსი «პერმანენტელებისა» გეგმებისა, სრულიადაც არ მოითხოვდა რევოლუციის საქმის **დაწყებას** 50-იანი წლების გერმანიაში პირდაპირ პროლეტარული ძალაუფლებით;

ბ) მარქსი მხოლოდ იმის წინადადებას იძლეოდა, რომ რევოლუციის საქმე **დაგვირგვინებულიყო** პროლეტარული სახელმწიფო ძალაუფლებით, ძალაუფლების მწვერვალიდან ბურჟუაზიის ფრაქციების ერთიმეორეზე მიყოლებით თანდათან ჩამოგდების გზით, რათა, პროლეტარიატის ძალაუფლების მოპოვების შემდეგ, გაღვივებულიყო რევოლუცია ყველა ქვეყანაში, — რაც **სავსებით ეთანხმება** ყოველივე იმას, რასაც გვასწავლიდა ლენინი და რასაც იგი

ახორციელებდა ჩვენი რევოლუციის მსვლელობაში, მისდევდა რა პროლეტარული რევოლუციის თავის თეორიას იმპერიალიზმის ვითარებაში.

გამოდის, რომ ჩვენმა რუსმა «პერმანენტელებმა» არა მარტო სათანადოდ ვერ შეაფასეს გლეხობის როლი რუსეთის რევოლუციაში და პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეის მნიშვნელობა, არამედ კიდევ სახე შეუცვალეს (უარესობისაკენ) მარქსის «პერმანენტული» რევოლუციის იდეას და გამოუსადეგარი გახადეს იგი პრაქტიკისათვის.

აი რატომ დასცინოდა ლენინი ჩვენი «პერმანენტელების» თეორიას, უწოდებდა რა მას «ორიგინალურს» და «მშვენიერს» და ბრალს სდებდა რა «პერმანენტელებს» იმაში, რომ მათ არ სურთ «ჩაუკვირდნენ იმას, თუ რა მიზეზების გამო უხვევდა გვერდს ცხოვრება მთელი ათი წლის განმავლობაში ამ მშვენიერ თეორიას» (ლენინის სტატია დაწერილია 1915 წელს, 10 წლის შემდეგ «პერმანენტელების» თეორიის გაჩენიდან რუსეთში, — იხ. ტ. XVIII, გვ. 317).

აი რატომ თვლიდა ლენინი ამ თეორიას ნახევრადმენშევიკურ თეორიად და ამბობდა, რომ ეს თეორია «ბოლშევიკებისაგან იღებს მოწოდებას პროლეტარიატის გადამწყვეტი რევოლუციური ბრძოლისა და მის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობისაკენ, ხოლო მენშევიკებისაგან — გლეხობის როლის «უარყოფას»» (იხ. **ლენინის** სტატია «რევოლუციის ორი ხაზის შესახებ», იქვე).

ასეთია საქმის ვითარება ლენინის იდეის მხრივ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პროლეტარულ რევოლუციად გადაზრდის შესახებ, პროლეტარულ რევოლუციაზე «დაუყოვნებლივ» გადასასვლელად ბურჟუაზიული რევოლუციის გამოყენების შესახებ.

შემდეგ. წინათ ერთ ქვეყანაში რევოლუციის გამარჯვებას შეუძლებლად თვლიდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ ბურჟუაზიაზე გამარჯვებისათვის აუცილებელია ყველა მოწინავე ქვეყნის ან, ყოველ შემთხვევაში, ასეთი ქვეყნების უმრავლესობის პროლეტართა ერთად გამოსვლა. ახლა ეს თვალსაზრისი უკვე აღარ შეეფერება სინამდვილეს. ახლა უნდა გამოვდიოდეთ ასეთი გამარჯვების შესაძლებლობიდან, ვინაიდან იმპერიალიზმის ვითარებაში სხვადასხვა კაპიტალისტური ქვეყნის განვითარების არათანაბარი და ნახტომისებური ხასიათი, იმპერიალიზმის შიგნით კატასტროფულ წინააღმდეგობათა განვითარება, რომლებიც იწვევენ გარდუვალ ომებს, რევოლუციური მოძრაობის ზრდა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, — ყოველივე ეს იწვევს ცალკეულ ქვეყნებში პროლეტარიატის გამარჯვების არა მარტო შესაძლებლობას, არამედ აუცილებლობასაც. რუსეთის რევოლუციის ისტორია ამის აშკარა დამამტკიცებელია. ოღონდ ამასთან აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ბურჟუაზიის დამხობა წარმატებით შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ზოგიერთი, აუცილებლად საჭირო, პირობა, ურომლისოდაც პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღებაზე ფიქრიც არ შეიძლება.

აი რას ამბობს ლენინი ამ პირობებზე თავის ბროშურაში «საყმაწვილო სენი»:

«რევოლუციის ძირითადი კანონი, დადასტურებული ყველა რევოლუციით და, კერძოდ, რუსეთის XX საუკუნის სამივე რევოლუციით, ეს რაში მდგომარეობს: რევოლუციისათვის საკმარისი არ არის — ექსპლოატირებულმა და ჩაგრულმა მასებმა შეიგნონ, რომ ძველებურად ცხოვრება შეუძლებელია, და მოითხოვონ ცვლილებანი; რევოლუციისათვის აუცილებელია, რომ ექსპლოატატორებს საშუალება არ ჰქონდეთ იცხოვრონ და განაგონ ძველებურად. მხოლოდ მაშინ, როცა

«დაბალ ფენებს» აღარ სურთ ძველი და როცა **«ზედაფენებს» აღარ შეუძლიათ ძველებურად,** მხოლოდ მაშინ შეიძლება გაიმარჯვოს რევოლუციამ. სხვანაირად ეს ჭეშმარიტება გამოიხატება შემდეგი სიტყვებით: **რევოლუცია შეუძლებელია საერთო-ნაციონალური კრიზისის გარეშე (რომელიც ეხება როგორც ექსპლოატირებულთ, ისე ექსპლოატატორებს)** *. მაშასადამე, რევოლუციისათვის საჭიროა, ჯერ-ერთი, მივაღწიოთ, რომ მუშების უმრავლესობამ (ან, ყოველ შემთხვევაში, შეგნებული, მოაზროვნე, პოლიტიკურად აქტიური მუშების უმრავლესობამ) სავსებით შეიგნოს გადატრიალების აუცილებლობა და მზად იყოს თავი დასდოს მისთვის; მეორეც, რომ მმართველი კლასები განიცდიდნენ მთავრობის კრიზისს, რაც პოლიტიკაში ითრევს ყველაზე ჩამორჩენილ მასებსაც კი.., აუძლურებს მთავრობას და რევოლუციონერებისათვის შესაძლებელს ხდის მის სწრაფად დამხობას» (იხ. ტ. XXV, გვ. 222).

მაგრამ ბურჟუაზიის ძალაუფლების დამხობა და პროლეტარიატის ძალაუფლების დამყარება ერთ ქვეყანაში — ჯერ კიდევ არ ნიშნავს სოციალიზმის სრული გამარჯვების უზრუნველყოფას. განამტკიცებს რა თავის ძალაუფლებას და გაიყოლიებს გლეხობას, გამარჯვებული ქვეყნის პროლეტარიატს შეუძლია, და იგი ვალდებულიცაა ააშენოს სოციალისტური საზოგადოება. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ იგი ამით მიაღწევს სოციალიზმის სრულ, საბოლოო გამარჯვებას, ე. ი. ნიშნავს თუ არა ეს, რომ მას მხოლოდ ერთი ქვეყნის ძალებით შეუძლია საბოლოოდ შეინარჩუნოს სოციალიზმი და სავსებით უზრუნველყოს ქვეყანა ინტერვენციისაგან და, მაშასადამე, რესტავრაციისაგან? არა, არ ნიშნავს. ამისათვის აუცილებელია რევოლუციის გამარჯვება რამდენიმე ქვეყანაში მაინც. ამიტომ სხვა ქვეყნებში რევოლუციის განვითარება და მისთვის მხარის დაჭერა გამარჯვებული რევოლუციის არსებითი ამო-

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

ცანაა. ამიტომ გამარჯვებული ქვეყნის რევოლუცია თავის თავს უნდა უყურებდეს არა როგორც თვითკმარ სიდიდეს, არამედ როგორც დამხმარე ძალას, როგორც საშუალებას სხვა ქვეყნებში პროლეტარიატის გამარჯვების დასაჩქარებლად.

ლენინმა ეს აზრი ორი სიტყვით გამოხატა, როდესაც თქვა, რომ გამარჯვებული რევოლუციის ამოცანაა — განახორციელოს «იმის მაქსიმუმი, რის განხორციელებაც ერთ ქვეყანაშია შესაძლებელი, **ყველა ქვეყანაში** რევოლუციის განვითარების, მხარდაჭერის, გაღვივების **მ ი ზ ნ ი თ»** (იხ. ტ. XXIII, გვ. 385).

ასეთია, საერთოდ, პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორიის დამახასიათებელი ნიშნები.

IV

პროლეტარიატის დიქტატურა

ამ თემიდან მე ვიღებ სამ ძირითად საკითხს:

ა) პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც პროლეტარული რევოლუციის იარაღი;

ბ) პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც პროლეტარიატის ბატონობა ბურჟუაზიაზე;

გ) საბჭოთა ხელისუფლება, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა.

1) **პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც პროლეტარული რევოლუციის იარაღი.** პროლეტარული დიქტატურის საკითხი, უწინარეს ყოვლისა, პროლეტარული რევოლუციის ძირითადი შინაარსის საკითხია. პროლეტარული რევოლუცია, მისი მოძრაობა, მისი გაჭანება, მისი მიღწევები სისხლსა და ხორცს ისხამს მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის საშუალებით. პროლეტარიატის დიქტატურა არის პროლეტარული რევოლუციის იარაღი, მისი

ორგანო, მისი უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი პუნქტი, რომელიც სასიცოცხლოდ გამოწვეულია, ჯერ-ერთი, იმისათვის, რომ დათრგუნოს დამხობილი ექსპლოატატორების წინააღმდეგობა და განამტკიცოს თავისი მიღწევები, მეორეც, ბოლომდე მიიყვანოს პროლეტარული რევოლუცია, მიიყვანოს რევოლუცია სოციალიზმის სრულ გამარჯვებამდე. ბურჟუაზიის დამარცხებას, მისი ძალაუფლების დამხობას რევოლუცია შესძლებს პროლეტარიატის დიქტატურის გარეშეც. მაგრამ ბურჟუაზიის წინააღმდეგობის დათრგუნვა, გამარჯვების შენარჩუნება და შემდგომი წინსვლა სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ რევოლუციას უკვე აღარ შეუძლია, თუ იგი თავისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე არ შექმნის სპეციალურ ორგანოს პროლეტარიატის დიქტატურის სახით, როგორც თავის ძირითად დასაყრდენს.

«ძალაუფლების საკითხი ყოველი რევოლუციის ძირითად საკითხს წარმოადგენს» **(ლენინი)**. ნიშნავს თუ არა ეს, რომ საქმე განისაზღვრება აქ ძალაუფლების აღებით, მისი დაპყრობით? არა, არ ნიშნავს. ძალაუფლების აღება — ეს მხოლოდ საქმის დასაწყისია. ერთ ქვეყანაში დამხობილი ბურჟუაზია, მრავალი მიზეზის გამო, კიდევ დიდხანს რჩება მის დამამხობელ პროლეტარიატზე უფრო ძლიერი. ამიტომ მთელი საქმე ისაა, რომ შეინარჩუნო ძალაუფლება, განამტკიცო და უძლეველი გახადო იგი. რა არის საჭირო იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას ეს მიზანი? ამისათვის აუცილებელია შესრულდეს სამი მთავარი ამოცანა მაინც, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის წინაშე დგება გამარჯვების «მეორე დღეს»:

ა) დაითრგუნოს რევოლუციის მიერ დამხობილ და ექსპროპრიირებულ მემამულეთა და კაპიტალისტთა წინა-

აღმდეგობა, მოისპოს მათი ყველა და ყოველგვარი ცდა კაპიტალის ძალაუფლების აღდგენისა;

ბ) მოეწყოს მშენებლობა პროლეტარიატის გარშემო ყველა მშრომელთა დარაზმვის საფუძველზე და წარიმართოს ეს მუშაობა იმ მიმართულებით, რომელიც მოამზადებს კლასების ლიკვიდაციას, მათს მოსპობას;

გ) შეიარაღდეს რევოლუცია, მოეწყოს რევოლუციის არმია გარეშე მტრებთან საბრძოლველად, იმპერიალიზმთან საბრძოლველად.

პროლეტარიატის დიქტატურა საჭიროა იმისათვის, რომ გატარდეს, შესრულდეს ეს ამოცანები.

«კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა, — ამბობს ლენინი, — მთელი ისტორიული ეპოქაა. სანამ იგი არ დასრულებულა, ექსპლოატატორებს აუცილებლად რჩებათ რესტავრაციის იმედი, ხოლო ეს **იმედი** იქცევა რესტავრაციის **ცდებად**. და პირველი სერიოზული დამარცხების შემდეგ, დამხობილი ექსპლოატატორები, რომლებიც არ ელოდნენ თავიანთ დამხობას, არ სჯეროდათ და აზრადაც არ მოსდიოდათ ეს, გაათკეცებული ენერგიით, გახელებით, გაასკეცებული სიძულვილით ებმებიან ბრძოლაში წართმეული «სამოთხის» დაბრუნებისათვის, თავისი ოჯახებისათვის, რომლებიც ასე ტკბილად ცხოვრობდნენ წინათ, ახლა კი «არამზადა მდაბიო ხალხი» უქადის მათ გაჩანაგებასა და სიღატაკეს (ან «უბრალო» შრომას...). ექსპლოატატორ-კაპიტალისტებს კი უკან მოსდევს წვრილი ბურჟუაზიის ფართო მასა, რომლის შესახებ ყველა ქვეყნის ათეული წლების ისტორიული გამოცდილება მოწმობს, რომ იგი ჭანაობს და მერყეობს, დღეს პროლეტარიატს მიჰყვება, ხვალ კი დამფრთხალია გადატრიალების სიძნელეებით, პანიკას განიცდის მუშების პირველი დამარცხების ან ნახევრად დამარცხების გამო, ნერვიულობს, აქეთ-იქით აწყდება, წუწუნებს და ერთი ბანაკიდან მეორეში გადარბის» (იხ. ტ. XXIII, გვ. 355).

ბურჟუაზიას კი აქვს საფუძველი — შეეცადოს მოახდინოს რესტავრაცია, ვინაიდან თავისი დამხობის შემდეგ

იგი კიდევ დიდხანს რჩება მის დამამხობელ პროლეტარიატზე უფრო ძლიერი.

«თუ ექსპლოატატორები დამარცხებული არიან მხოლოდ ერთ ქვეყანაში, — ამბობს ლენინი, — და ეს, რა თქმა უნდა, ტიპიური შემთხვევაა, ვინაიდან ერთდროული რევოლუცია მთელ რიგ ქვეყნებში იშვიათი გამონაკლისია, — მაშინ ისინი **მაინც უფრო ძლიერი** რჩებიან, ვიდრე ექსპლოატირებულნი» (იხ. იქვე, გვ. 354).

რაშია დამხობილი ბურჟუაზიის ძალა?

ჯერ-ერთი, «საერთაშორისო კაპიტალის ძალაში, ბურჟუაზიის საერთაშორისო ურთიერთკავშირის ძალასა და სიმტკიცეში» (იხ. ტ. XXV, გვ. 173).

მეორეც, იმაში, რომ «ექსპლოატატორებს გადატრიალების შემდეგ უეჭველად კიდევ დიდხანს რჩებათ მრავალი უდიდესი ფაქტიური უპირატესობა: მათ რჩებათ ფული (ფულის მოსპობა ერთბაშად შეუძლებელია), რაიმე მოძრავი ქონება, ხშირად მნიშვნელოვანი, რჩებათ ურთიერთკავშირი, ორგანიზაციისა და მართვა-გამგეობის გამოცდილება, მართვა-გამგეობის ყველა «საიდუმლოებათა» (ჩვეულებების, ხერხების, საშუალებების, შესაძლებლობათა) ცოდნა, რჩებათ უფრო მაღალი განათლება, კავშირი ტექნიკურად უფრო მაღალ პერსონალთან (რომელიც ბურჟუაზიულად ცხოვრობს და აზროვნებს), რჩებათ უზომოდ მეტი გამოცდილება სამხედრო საქმეში (ეს კი მეტად მნიშვნელოვანია) და სხვა, და სხვა» (იხ. ტ. XXIII, გვ. 354).

მესამეც, «**ჩვეულების ძალაში, წვრილი წარმოების** ძალაში. ვინაიდან წვრილი წარმოება, სამწუხაროდ, ქვეყნად ჯერ კიდევ მეტისმეტად ბევრია დარჩენილი, ხოლო წვრილი წარმოება **წარმოშობს** კაპიტალიზმს და ბურჟუაზიას განუწყვეტლივ, ყოველდღე, ყოველ საათს, სტიქიურად და მასობრივი მასშტაბით»... ვინაიდან «კლასების მოსპობა მარტო მემამულეთა და კაპიტალისტთა განდევნას როდი ნიშნავს, — ეს ჩვენ შედარებით ადვილად გავაკეთეთ, — არამედ ეს ნიშნავს **საჭონლის წვრილ მწარმოებელთა მოსპობასაც**, მათი **განდევნა** კი **არ შეიძლება**, არ შეიძლება დათრგუნვაც, მათ **უნდა შევუთავსდეთ**, მათი გარდაქმნა, ხელახლა აღზრდა შეიძლება (და სავალდებულოცაა) მხოლოდ მეტად ხანგრძლივი, აუჩქარებელი და ფრთხილი ორგანიზატორული მუშაობით» (იხ. ტ. XXV, გვ. 173 და 189).

აი რატომ ამბობს ლენინი, რომ:

«პროლეტარიატის დიქტატურა არის ახალი კლასის ყველაზე თავდადებული და ყველაზე ულმობელი ომი **უფრო ძლიერი** მტრის წინააღმდეგ — ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომლის წინააღმდეგობა **გაათკეცებულია** მისი დამხობით»,

რომ «პროლეტარიატის დიქტატურა არის შეუპოვარი ბრძოლა, სისხლიანი და უსისხლო, ძალდატანებითი და მშვიდობიანი, სამხედრო და სამეურნეო, პედაგოგიური და ადმინისტრატორული — ძველი საზოგადოების ძალებისა და ტრადიციების წინააღმდეგ» (იხ. იქვე, გვ. 173 და 190).

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ამ ამოცანების შესრულება მოკლე ხანში, ყოველივე ამის გატარება რამდენიმე წელიწადში — ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ პროლეტარიატის დიქტატურა, კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა უნდა განვიხილოთ არა როგორც წუთიერი პერიოდი მთელი რიგი «უაღრესად რევოლუციური» აქტებისა და დეკრეტების სახით, არამედ როგორც მთელი ისტორიული ეპოქა, აღსავსე სამოქალაქო ომებით და საგარეო შეტაკებებით, შეუპოვარი ორგანიზაციული მუშაობით და სამეურნეო მშენებლობით, შეტევით და უკანდახევით, გამარჯვებებით და დამარცხებებით. ეს ისტორიული ეპოქა აუცილებელია არა მარტო იმისათვის, რომ შევქმნათ სოციალიზმის სრული გამარჯვების სამეურნეო და კულტურული წანამძღვრები, არამედ იმისთვისაც, რომ პროლეტარიატს შესაძლებლობა მიეცეს, ჯერ-ერთი — აღიზარდოს და გამოიბრძმედოს თვითონ, როგორც ძალა, რომელიც შესძლებს ქვეყნის მართვა-გამგეობას, მეორეც, — ხელახლა აღზარდოს და გარდაქმნას წვრილბურჟუაზიული ფენები ისეთი მიმართულებით, რომელიც უზრუნველყოფს სოციალისტური წარმოების ორგანიზაციას.

«თქვენ უნდა გადაიტანოთ, — ეუბნებოდა მარქსი მუშებს, — სამოქალაქო ომისა და საერთაშორისო ბრძოლების 15, 20, 50 წელიწადი არა მარტო იმისათვის, რომ შეცვალოთ არსებული ურთიერთობანი, არამედ იმისთვისაც, რომ თვითონაც გარდაიქმნათ და გახდეთ პოლიტიკური ბატონობის უნარის მქონენი» (იხ. **კ. მარქსისა და ფ. ენგელსის** თხზულებანი, ტ. VIII, გვ. 506).

ლენინი, განაგრძობს და შემდგომ ავითარებს რა მარქსის აზრს, წერს:

«პროლეტარიატის დიქტატურის დროს საჭირო იქნება მრავალი მილიონი გლეხისა და წვრილი მეპატრონის, ასეული ათასი მოსამსახურის, მოხელისა და ბურჟუაზიული ინტელიგენტის ხელახალი აღზრდა, ყველა მათი დამორჩილება პროლეტარული სახელმწიფოსა და პროლეტარული ხელმძღვანელობისადმი, ბურჟუაზიული ჩვეულებებისა და ტრადიციების დაძლევა მათში», ისე როგორც აუცილებელი იქნება «...ხანგრძლივ ბრძოლაში, პროლეტარიატის დიქტატურის ნიადაგზე, თვით პროლეტარების ხელახალი აღზრდა, რომელნიც საკუთარ წვრილბურჟუაზიულ ცრურწმენათაგან თავისუფლდებიან არა ერთბაშად, არა სასწაულით, არა ღვთისმშობლის წყალობით, არა ლოზუნგის, რეზოლუციის, დეკრეტის მეოხებით, არამედ მხოლოდ ხანგრძლივი და ძნელი მასობრივი ბრძოლით მასობრივ წვრილბურჟუაზიულ გავლენათა წინააღმდეგ» (იხ. ტ. XXV, გვ. 248 და 247).

2) **პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც პროლეტარიატის ბატონობა ბურჟუაზიაზე.** უკვე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ პროლეტარიატის დიქტატურა არ არის პიროვნებათა უბრალო შეცვლა მთავრობაში, «კაბინეტის» შეცვლა და სხვ., ძველი ეკონომიური და პოლიტიკური წესების ხელუხლებლად დატოვებით. ყველა ქვეყნის მენშევიკები და ოპორტუნისტები, რომელთაც დიქტატურისა ეშინიათ, როგორც ცეცხლისა, და რომლებიც, ამ შიშის გამო, პროლეტარიატის დიქტატურის ცნებას ცვლიან «ძალაუფლების დაპყრობის» ცნებით, — ჩვეულებრივად «ძალაუფლების დაპყრობად» გულისხმობენ «კაბინეტის» შეცვლას, ხელისუფლების სათავეში ახალი სამინისტროს

ჩადგომას ისეთ ადამიანთა შემადგენლობით, როგორიც არიან შეიდემანი და ნოსკე, მაკდონალდი და ჰენდერსონი. არა გვგონია საჭირო იყოს იმის ახსნა-განმარტება, რომ კაბინეტების ასეთ და ამის მსგავს შეცვლას არაფერი აქვს საერთო პროლეტარიატის დიქტატურასთან, ნამდვილი პროლეტარიატის მიერ ნამდვილი ძალაუფლების დაპყრობასთან. მაკდონალდები და შეიდემანები ხელისუფლების სათავეში, ძველი ბურჟუაზიული წესების დატოვებით, მათი, ასე ვთქვათ, მთავრობები, სხვა არა იქნება რა, თუ არა მომსახურე აპარატი ბურჟუაზიის ხელში, თუ არა იმპერიალიზმის წყლულების საფარველი, თუ არა იარაღი ბურჟუაზიის ხელში ჩაგრული და ექსპლოატირებული მასების რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. ისინი, ეს მთავრობები, კაპიტალს ესაჭიროება როგორც შირმა, როცა მისთვის უხერხულია, ხელსაყრელი არაა, ძნელია უშირმოდ ჩაგროს მასები და ექსპლოატაცია გაუწიოს მათ. რა თქმა უნდა, ასეთ მთავრობათა შექმნა იმის მაჩვენებელია, რომ «მათ იქ» (ე. ი. კაპიტალისტებს), «შიპკაზე», ყველაფერი რიგზე ვერ აქვთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამგვარი მთავრობები აუცილებლად წარმოადგენენ კაპიტალის შელამაზებულ მთავრობებს. მაკდონალდის თუ შეიდემანის მთავრობიდან პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობამდე ისევე შორს არის, როგორც დედამიწიდან ცამდე. პროლეტარიატის დიქტატურა არის არა მთავრობის შეცვლა, არამედ ახალი სახელმწიფო, ძალაუფლების ახალი ორგანოებით ცენტრში და ადგილებზე, პროლეტარიატის სახელმწიფო, აღმოცენებული ძველი სახელმწიფოს, ბურჟუაზიის სახელმწიფოს ნანგრევებზე.

პროლეტარიატის დიქტატურა წარმოიშობა არა ბურჟუაზიული წესწყობილების საფუძველზე, არამედ მისი მსხვრევის მსვლელობაში, ბურჟუაზიის დამხობის შემდეგ,

მემამულეთა და კაპიტალისტთა ექსპროპრიაციის მსვლელობაში, წარმოების ძირითადი იარაღებისა და საშუალებების სოციალიზაციის მსვლელობაში, პროლეტარიატის ძალდატანებითი რევოლუციის მსვლელობაში. პროლეტარიატის დიქტატურა არის რევოლუციური ძალაუფლება, რომელიც ემყარება ძალადობას ბურჟუაზიის მიმართ.

სახელმწიფო არის მანქანა გაბატონებული კლასის ხელში თავისი კლასობრივი მტრების წინააღმდეგობის დასათრგუნავად. **ამ მხრივ** პროლეტარიატის დიქტატურა არსებითად არაფრით არ განსხვავდება ყოველი სხვა კლასის დიქტატურისაგან, ვინაიდან პროლეტარული სახელმწიფო არის მანქანა ბურჟუაზიის დასათრგუნავად. მაგრამ აქ არის ერთი **არსებითი** განსხვავება. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ დღემდე არსებული ყველა კლასობრივი სახელმწიფო წარმოადგენდა ექსპლოატატორული უმცირესობის დიქტატურას ექსპლოატირებულ უმრავლესობაზე, მაშინ როდესაც პროლეტარიატის დიქტატურა არის ექსპლოატირებული უმრავლესობის დიქტატურა ექსპლოატატორულ უმცირესობაზე.

მოკლედ: **პროლეტარიატის დიქტატურა არის კანონით შეუზღუდველი და ძალადობაზე დამყარებული ბატონობა პროლეტარიატისა ბურჟუაზიაზე, ბატონობა, რომელიც სარგებლობს მშრომელი და ექსპლოატირებული მასების თანაგრძნობითა და დახმარებით (ლენინი. «სახელმწიფო და რევოლუცია»).**

აქედან ორი ძირითადი დასკვნა გამომდინარეობს.

პირველი დასკვნა. პროლეტარიატის დიქტატურა არ შეიძლება იყოს «სრული» დემოკრატია, დემოკრატია **ყველასათვის,** მდიდრებისთვისაც და ღარიბებისთვისაც, — პროლეტარიატის დიქტატურა «უნდა იყოს სახელმწიფო

ახლებურად დემოკრატიული **(პროლეტარებისათვის** * და საერთოდ **ღარიბებისათვის** *) და **ახლებურად** დიქტატორული (ბურჟუაზიის **წინააღმდეგ** *)» (იხ. ტ. XXI, გვ. 393). კაუცკისა და კომპანიის ლაპარაკი საყოველთაო თანასწორობაზე, «წმინდა» დემოკრატიაზე, «სრულყოფილ» დემოკრატიაზე და სხვ. არის ბურჟუაზიული დაფარვა იმ უდავო ფაქტისა, რომ ექსპლოატირებულთა და ექსპლოატატორთა თანასწორობა შეუძლებელია. «წმინდა» დემოკრატიის თეორია არის თეორია მუშათა კლასის ზედაფენისა, რომელიც მოშინაურებულია იმპერიალისტი მძარცველების მიერ და რომელიც მათი ნასუფრალით იკვებება. ეს თეორია სასიცოცხლოდ არის გამოწვეული იმისათვის, რომ დაფაროს კაპიტალიზმის წყლულები, შეალამაზოს იმპერიალიზმი და მისცეს მას მორალური ძალა ექსპლოატირებული მასების წინააღმდეგ ბრძოლაში. არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს კაპიტალიზმის დროს ნამდვილი «თავისუფლებანი» ექსპლოატირებულთათვის, თუნდაც იმიტომ, რომ შენობები, სტამბები, ქაღალდის საწყობები და სხვ., რაც აუცილებელია «თავისუფლებათა» გამოსაყენებლად, ექსპლოატატორთა პრივილეგიას შეადგენს. არ არსებობს და არც შეიძლება კაპიტალიზმის დროს ექსპლოატირებულ მასათა ნამდვილი მონაწილეობა ქვეყნის მმართველობაში, თუნდაც იმიტომ, რომ კაპიტალიზმის პირობებში უაღრესად დემოკრატიული წესების დროსაც მთავრობას აყენებს არა ხალხი, არამედ როტშილდები და სტინესები, როკფელერები და მორგანები. დემოკრატია კაპიტალიზმის დროს არის დემოკრატია **კაპიტალისტური,** ექსპლოატატორული უმცირესობის დემოკრატია, რომელიც ემყარება ექსპლოატირებული უმ-

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

რავლესობის უფლებათა შეზღუდვას და მიმართულია ამ უმრავლესობის წინააღმდეგ. მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის დროს არის შესაძლებელი ნამდვილი თავისუფლებანი ექსპლოატირებულთათვის და პროლეტართა და გლეხთა ნამდვილი მონაწილეობა ქვეყნის მმართველობაში. დემოკრატია პროლეტარიატის დიქტატურის დროს არის დემოკრატია **პროლეტარული**, ექსპლოატირებული უმრავლესობის დემოკრატია, რომელიც ემყარება ექსპლოატატორული უმცირესობის უფლებათა შეზღუდვას და მიმართულია ამ უმცირესობის წინააღმდეგ.

მეორე დასკვნა. პროლეტარიატის დიქტატურა არ შეიძლება წარმოიშვას როგორც შედეგი ბურჟუაზიული საზოგადოების და ბურჟუაზიული დემოკრატიის მშვიდობიანი განვითარებისა, — იგი შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის, ბურჟუაზიული არმიის, ბურჟუაზიული სამოხელეო აპარატის, ბურჟუაზიული პოლიციის დამსხვრევის შედეგად.

«მუშათა კლასს არ შეუძლია უბრალოდ დაეუფლოს მზამზარეულ სახელმწიფო მანქანას და აამუშაოს იგი თავისი საკუთარი მიზნებისათვის», — ამბობენ მარქსი და ენგელსი «კომუნისტური პარტიის მანიფესტის» წინასიტყვაობაში. — პროლეტარულმა რევოლუციამ «...ერთი ხელიდან მეორეს კი არ» უნდა «გადასცეს ბიუროკრატიულ-სამხედრო მანქანა, როგორც აქამდე ხდებოდა, **არამედ**» უნდა «**დაამსხვრიოს** იგი... — ასეთია წინასწარი პირობა ყოველი ნამდვილი ხალხური რევოლუციისა კონტინენტზე», — ამბობს მარქსი თავის წერილში კუგელმანისადმი 1871 წელს [20].

მარქსის შემზღუდველმა ფრაზამ კონტინენტის შესახებ საბაბი მისცა ყველა ქვეყნის ოპორტუნისტებსა და მენშევიკებს მოერთოთ ყვირილი, რომ მარქსი, მაშასადამე, შესაძლებლად თვლიდა ბურჟუაზიული დემოკრატიის მშვიდობიან განვითარებას პროლეტარულ დემოკრატიად, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი ქვეყნისათვის, რომელნიც

არ შედიან ევროპის კონტინენტის შემადგენლობაში (ინგლისი, ამერიკა). მარქსს, მართლაც, დასაშვებად მიაჩნდა ასეთი შესაძლებლობა, და მას საფუძველი ჰქონდა დაეშვა ეს გასული საუკუნის 70-იანი წლების ინგლისისა და ამერიკის მიმართ, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა მონოპოლისტური კაპიტალიზმი, როცა არ იყო იმპერიალიზმი და, ამ ქვეყნების განვითარების განსაკუთრებული პირობების გამო, იქ არ იყო განვითარებული მილიტარიზმი და ბიუროკრატიზმი. ასეთი იყო მდგომარეობა განვითარებული იმპერიალიზმის წარმოშობამდე. მაგრამ შემდეგ, 30 — 40 წლის მერე, როცა საქმის ვითარება ამ ქვეყნებში ძირფესვიანად შეიცვალა, როცა იმპერიალიზმი განვითარდა და მოიცვა გამოუკლებლივ ყველა კაპიტალისტური ქვეყანა, როცა მილიტარიზმი და ბიუროკრატიზმი გაჩნდა ინგლისსა და ამერიკაშიც, როცა გაქრა ინგლისისა და ამერიკის მშვიდობიანი განვითარების განსაკუთრებული პირობები, — შეზღუდვა ამ ქვეყნების მიმართ თავისთავად უნდა მოხსნილიყო.

«ახლა, — ამბობს ლენინი, — 1917 წელს, პირველი დიდი იმპერიალისტური ომის ეპოქაში, მარქსის ეს შეზღუდვა უქმდება. ინგლისიც და ამერიკაც, ანგლო-საქსური «თავისუფლების» ეს უდიდესი და უკანასკნელი წარმომადგენლები — მთელ მსოფლიოში — მილიტარიზმისა და ბიუროკრატიზმის უქონლობის მხრივ, სავსებით ჩაეფლნენ იმ ბიუროკრატიულ-სამხედრო დაწესებულებათა საერთო-ევროპულ ბინძურ და სისხლიან ჭაობში, რომელნიც ყველაფერს იმორჩილებენ, ყველაფერს ახშობენ. ამჟამად ინგლისშიც და ამერიკაშიც «ყოველი ნამდვილი ხალხური რევოლუციის წინასწარ პირობას» წარმოადგენს **დამხვრევა, განადგურება** «მზამზარეული» «სახელმწიფო მანქანისა» (რომელიც დამზადებულ იქნა იქ 1914 — 1917 წლებში «ევროპულ», საერთო-იმპერიალისტურ, სრულყოფამდე)» (იხ. ტ. XXI, გვ. 395).

სხვანაირად რომ ვთქვათ, კანონი პროლეტარიატის ძალდატანებითი რევოლუციისა, კანონი ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დამსხვრევისა, როგორც ასეთი რევოლუციის წინასწარი პირობისა, წარმოადგენს მსოფლიოს იმპერიალისტური ქვეყნების რევოლუციური მოძრაობის გარდუვალ კანონს.

რა თქმა უნდა, შორეულ მომავალში, თუ პროლეტარიატი გაიმარჯვებს კაპიტალიზმის უმნიშვნელოვანეს ქვეყნებში და თუ დღევანდელი კაპიტალისტური გარემოცვა შეიცვლება სოციალისტური გარემოცვით, სავსებით შესაძლებელია განვითარების «მშვიდობიანი» გზა ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყნისათვის, რომელთა კაპიტალისტები, «არახელსაყრელი» საერთაშორისო ვითარების გამო, მიზანშეწონილად ჩათვლიან «ნებაყოფლობით» წავიდნენ სერიოზულ დათმობებზე პროლეტარიატის მიმართ. მაგრამ ეს ვარაუდი ეხება მხოლოდ შორეულ და შესაძლებელ მომავალს. უახლოესი მომავლისათვის ამ ვარაუდს არავითარი, სრულიად არავითარი საფუძველი არა აქვს.

ამიტომ მართალია ლენინი, როცა ამბობს:

«პროლეტარული რევოლუცია შეუძლებელია ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის ძალდატანებით დამსხვრევისა და **ახალი** მანქანით მისი შეცვლის გარეშე» (იხ. ტ. XXIII, გვ. 342).

3) **საბჭოთა ხელისუფლება, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა.** პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება ნიშნავს ბურჟუაზიის დათრგუნვას, ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დამსხვრევას, ბურჟუაზიული დემოკრატიის შეცვლას პროლეტარული დემოკრატიით. ეს ცხადია. მაგრამ როგორია ის ორგანიზაციები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ამ კოლოსალური მუშაობის შესრულება? პროლეტარიატის ორგანიზაციის ძველი ფორმები, რომლებიც წარმოიშვნენ

ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის საფუძველზე, ასეთი მუშაობის შესასრულებლად რომ საკმარისი არ არის, — ეს ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მაშ როგორია პროლეტარიატის ორგანიზაციის ის ახალი ფორმები, რომელთაც შეუძლიათ შეასრულონ ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის მესაფლავის როლი, რომელთაც უნარი აქვთ არა მარტო დაამსხვრიონ ეს მანქანა და არა მარტო შეცვალონ ბურჟუაზიული დემოკრატია პროლეტარული დემოკრატიით, არამედ აგრეთვე გახდნენ პროლეტარული სახელმწიფო ძალაუფლების საფუძველი?

პროლეტარიატის ორგანიზაციის ამ ახალ ფორმას წარმოადგენენ საბჭოები.

რაში მდგომარეობს საბჭოების ძალა ორგანიზაციის ძველ ფორმებთან შედარებით?

იმაში, რომ საბჭოები წარმოადგენენ პროლეტარიატის ყველაზე უფრო **ყოვლისმომცველ** მასობრივ ორგანიზაციებს, ვინაიდან ისინი და მხოლოდ ისინი მოიცავენ უკლებლივ ყველა მუშას.

იმაში, რომ საბჭოები წარმოადგენენ **ერთადერთ** მასობრივ ორგანიზაციებს, რომლებიც აერთიანებენ ყველა ჩაგრულსა და ექსპლოატირებულს, მუშებსა და გლეხებს, ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს, და სადაც ამის გამო მასების ბრძოლის პოლიტიკური ხელმძღვანელობა მასების ავანგარდის მხრით, პროლეტარიატის მხრით, შეიძლება განხორციელდეს ყველაზე უფრო ადვილად და ყველაზე უფრო სრულად.

იმაში, რომ საბჭოები წარმოადგენენ მასების რევოლუციური ბრძოლის, მასების პოლიტიკური გამოსვლების, მასების აჯანყების **ყველაზე უფრო მძლავრ ორგანოებს,** ორგანოებს, რომლებსაც უნარი აქვთ მოსპონ ფინანსური

კაპიტალისა და მის პოლიტიკურ დანამატთა ყოვლის-შემძლეობა.

იმაში, რომ საბჭოები წარმოადგენენ თვით მასების **უშუალო** ორგანიზაციებს, ესე იგი მასების **ყველაზე უფრო დემოკრატიულ** და, მაშასადამე, ყველაზე უფრო ავტორიტეტულ ორგანიზაციებს, რომელნიც მაქსიმალურად უადვილებენ მათ მონაწილეობის მიღებას ახალი სახელმწიფოს მშენებლობაში, მის მმართველობაში და მაქსიმალურად ავითარებენ მასების რევოლუციურ ენერგიას, ინიციატივას და შემოქმედებით ნიჭს ძველი წყობის დანგრევისათვის ბრძოლაში, ახალი, პროლეტარული წყობისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ხელისუფლება არის ადგილობრივი საბჭოების გაერთიანება და ჩამოყალიბება ერთ საერთო სახელმწიფოებრივ ორგანიზაციად, პროლეტარიატის, როგორც ჩაგრულ და ექსპლოატირებულ მასათა ავანგარდის და როგორც გაბატონებული კლასის, სახელმწიფოებრივ ორგანიზაციად, — გაერთიანება საბჭოების რესპუბლიკად.

საბჭოთა ხელისუფლების დედაარსი იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ იმ კლასების ყველაზე მასობრივი და ყველაზე რევოლუციური ორგანიზაციები, რომელთაც ჩაგრავდნენ კაპიტალისტები და მემამულეები, ამჟამად წარმოადგენენ «მთელი სახელმწიფო ძალაუფლების, მთელი სახელმწიფო აპარატის **მუდმივ და ერთადერთ** საფუძველს», რომ «სწორედ იმ მასებს, რომელნიც, ყველაზე უფრო დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკებშიც კი», თუმცა კანონით თანასწორუფლებიანნი, «საქმით ათასგვარი ფანდებითა და ხრიკებით ჩამოცილებული იყვნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას და დემოკრატიული უფლებებით და თავისუფლებებით სარგებლობას, ახლა შესაძლებლობა ეძლევათ — **მუდმივი** და აუცილე-

ბელი, ამასთან **გადამწყვეტი** მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს დემოკრატიულ მმართველობაში» * (იხ. **ლენინი**, ტ. XXIV, გვ. 13).

აი რატომ არის საბჭოთა ხელისუფლება სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის **ახალი ფორმა**, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ძველი, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და პარლამენტური ფორმისაგან, არის სახელმწიფოს **ახალი ტიპი**, რომელიც შეფარდებულია არა მშრომელი მასების ექსპლოატაციისა და ჩაგვრის ამოცანებთან, არამედ ყოველგვარი ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან მათი სრული განთავისუფლების ამოცანებთან, პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანებთან.

ლენინი მართალია, როცა ამბობს, რომ საბჭოთა ხელისუფლების გაჩენისთანავე «დამთავრდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარლამენტარიზმის ეპოქა, დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი თავი: პროლეტარული დიქტატურის ეპოქა».

რაში მდგომარეობს საბჭოთა ხელისუფლების დამახასიათებელი ნიშნები?

იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება წარმოადგენს ყველაზე უფრო მასობრივ და ყველაზე უფრო დემოკრატიულ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას ყველა შესაძლებელ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს შორის კლასების არსებობის პირობებში, ვინაიდან იგი, არის რა ასპარეზი მუშების და ექსპლოატირებული გლეხების კავშირისა და თანამშრომლობისა ექსპლოატატორების წინააღმდეგ ბრძოლაში და ეყრდნობა რა თავის მუშაობაში ამ კავშირს და ამ თანამშრომლობას, ამით წარმოადგენს მოსახლეობის უმრავლესობის ძალაუფლებას უმცირესობის მიმართ, ამ უმრავ-

* ხაზგასმა ყველგან ჩემია. ი. სტ.

ლესობის სახელმწიფოს, მისი დიქტატურის გამოხატულებას.

იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყველაზე უფრო ინტერნაციონალისტურია კლასობრივი საზოგადოების ყველა სახელმწიფოებრივ ორგანიზაციათა შორის, ვინაიდან იგი, სპობს რა ყოველგვარ ნაციონალურ ჩაგვრას და ეყრდნობა რა სხვადასხვა ეროვნების მშრომელი მასების თანამშრომლობას, ამით აადვილებს ამ მასების გაერთიანებას ერთიან სახელმწიფოებრივ კავშირში.

იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება, თვით თავისი სტრუქტურით, აადვილებს ჩაგრული და ექსპლოატირებული მასების ხელმძღვანელობას ამ მასების ავანგარდის მხრით, პროლეტარიატის, როგორც საბჭოების ყველაზე უფრო დარაზმული და ყველაზე უფრო შეგნებული ბირთვის მხრით.

«ყველა რევოლუციისა და ჩაგრულ კლასთა ყველა მოძრაობის გამოცდილება, მსოფლიო სოციალისტური მოძრაობის გამოცდილება გვასწავლის, — ამბობს ლენინი, — რომ მხოლოდ პროლეტარიატს შეუძლია გააერთიანოს და გაიყოლიოს მშრომელი და ექსპლოატირებული მოსახლეობის დაქსაქსული და ჩამორჩენილი ფენები» (იხ. ტ. XXIV, გვ. 14). საქმე ისაა, რომ საბჭოთა ხელისუფლების სტრუქტურა აადვილებს ამ გამოცდილების მითითებათა ცხოვრებაში გატარებას.

იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება, აერთიანებს რა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას სახელმწიფოს ერთიან ორგანიზაციაში და ცვლის რა ტერიტორიულ საარჩევნო ოლქებს საწარმოო ერთეულებით, ფაბრიკა-ქარხნებით, — უშუალოდ აკავშირებს მუშებს და, საერთოდ, მშრომელ მასებს სახელმწიფო მმართველობის აპარატებთან, ასწავლის მათ ქვეყნის მართვას.

იმაში, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შესწევს უნარი გაათავისუფლოს არმია ბურჟუაზიული სარდლობის მორჩილებისაგან და ეს არმია ხალხის ჩაგვრის იარაღიდან, რასაც იგი ბურჟუაზიული წესწყობილების დროს წარმოადგენს, გადააქციოს ბურჟუაზიის, თავისი და უცხო ბურჟუაზიის უღლისაგან ხალხის განთავისუფლების იარაღად.

იმაში, რომ «მხოლოდ სახელმწიფოს საბჭოთა ორგანიზაციას ძალუძს მართლაც დაამსხვრიოს ერთბაშად და დაანგრიოს საბოლოოდ ძველი, ე. ი. ბურჟუაზიული, სამოხელეო და სასამართლო აპარატი» (იხ. იქვე).

იმაში, რომ მხოლოდ სახელმწიფოს საბჭოთა ფორმას, რომელიც სახელმწიფოს მმართველობის მუდმივ და აუცილებელ მონაწილეობაში აბამს მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მასობრივ ორგანიზაციებს, შესწევს უნარი მოამზადოს სახელმწიფოებრიობის ის კვდომა, რაც შეადგენს მომავალი უსახელმწიფოო, კომუნისტური საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად ელემენტს.

ამრიგად, საბჭოების რესპუბლიკა არის ის ნაძებნი და, ბოლოს, ნაპოვნი პოლიტიკური ფორმა, რომლის ჩარჩოებში უნდა მოხდეს პროლეტარიატის ეკონომიური განთავისუფლება, სოციალიზმის სრული გამარჯვება.

პარიზის კომუნა ამ ფორმის ჩანასახი იყო. საბჭოთა ხელისუფლება მის განვითარებას და დამთავრებას წარმოადგენს.

აი რატომ ამბობს ლენინი, რომ:

«მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკა არის არა მარტო უფრო მაღალი ტიპის დემოკრატიულ დაწესებულებათა ფორმა.., არამედ **ერთადერთი** * ფორმაც, რომელსაც უნარი აქვს უზრუნველყოს ყველაზე უფრო უმტკივნეულო გადასვლა სოციალიზმზე» (იხ. ტ. XXII, გვ. 131).

---

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

V

გლეხობის საკითხი

ამ თემიდან მე ვიღებ ოთხ საკითხს:

ა) საკითხის დაყენება;

ბ) გლეხობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს;

გ) გლეხობა პროლეტარული რევოლუციის დროს;

დ) გლეხობა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ.

1) **საკითხის დაყენება.** ზოგი ფიქრობს, რომ ლენინიზმში ძირითადია გლეხობის საკითხი, რომ ლენინიზმის გამოსავალ წერტილს წარმოადგენს გლეხობის, მისი როლის, მისი ხვედრითი წონის საკითხი. ეს სრულებით არ არის სწორი. ძირითად საკითხს ლენინიზმში, მის გამოსავალ წერტილს წარმოადგენს არა გლეხობის საკითხი, არამედ პროლეტარიატის დიქტატურის, მისი ბრძოლით მოპოვების პირობების, მისი განმტკიცების პირობების საკითხი. გლეხობის საკითხი, როგორც ძალაუფლებისათვის ბრძოლაში პროლეტარიატის მოკავშირის საკითხი, წარმოებული საკითხია.

მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც არ უკარგავს ამ საკითხს იმ სერიოზულ, სასიცოცხლო მნიშვნელობას, რომელიც მას უეჭველად აქვს პროლეტარული რევოლუციისათვის. ცნობილია, რომ გლეხობის საკითხის სერიოზული დამუშავება რუსი მარქსისტების რიგებში დაიწყო სწორედ პირველი რევოლუციის (1905 წ.) წინახანებში, როდესაც ცარიზმის დამხობისა და პროლეტარიატის ჰეგემონიის გატარების საკითხი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით წამოიჭრა პარტიის წინაშე, ხოლო მომავალ ბურჟუაზიულ რე-

ვოლუციაში პროლეტარიატის მოკავშირის საკითხმა სასიცოცხლო ხასიათი მიიღო. ცნობილია აგრეთვე, რომ რუსეთში გლეხობის საკითხს უფრო მეტი აქტუალური ხასიათი მიეცა პროლეტარული რევოლუციის დროს, როდესაც პროლეტარიატის დიქტატურის, მისი მოპოვებისა და შენარჩუნების საკითხმა წამოაყენა მომავალ პროლეტარულ რევოლუციაში პროლეტარიატის მოკავშირეების საკითხი. ეს გასაგებიც არის: ვინც მიისწრაფის და ემზადება ძალაუფლების დასაპყრობად, იმას არ შეიძლება არ აინტერესებდეს თავისი ნამდვილი მოკავშირეების საკითხი.

ამ აზრით გლეხობის საკითხი წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის საერთო საკითხის ნაწილს და, როგორც ასეთი, იგი ლენინიზმის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სასიცოცხლო საკითხია.

II ინტერნაციონალის პარტიების გულგრილი ანდა პირდაპირ უარყოფითი დამოკიდებულება გლეხობის საკითხისადმი აიხსნება არა მარტო განვითარების თავისებური პირობებით დასავლეთში. ეს აიხსნება, უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ ამ პარტიებს არა სწამთ პროლეტარული დიქტატურა, ეშინიათ რევოლუციისა და არ ფიქრობენ წაიყვანონ პროლეტარიატი ძალაუფლებისაკენ. ხოლო ვისაც რევოლუციის ეშინია, ვისაც არ სურს წაიყვანოს პროლეტარები ძალაუფლებისაკენ, იმას არ შეიძლება აინტერესებდეს რევოლუციაში პროლეტარიატის მოკავშირეების საკითხი, — მისთვის მოკავშირეების საკითხი მოკლებულია ყოველგვარ მნიშვნელობასა და აქტუალობას. II ინტერნაციონალის გმირების ირონიული დამოკიდებულება გლეხობის საკითხისადმი ითვლება მათში კარგი ტონის ნიშნად, «ნამდვილი» მარქსიზმის ნიშნად. ნამდვილად კი ამაში იოტისოდენა მარქსიზმიც არ არის, ვინაიდან გულგრილი

დამოკიდებულება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხისადმი, როგორიც არის გლეხობის საკითხი, პროლეტარიატის რევოლუციის წინადღით წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის უარყოფის შებრუნებულ მხარეს, მარქსიზმისადმი პირდაპირი ღალატის უეჭველ ნიშანს.

საკითხი ასე დგას: **უკვე ამოწურულია თუ არა** რევოლუციური შესაძლებლობანი, რომლებიც მოიპოვება გლეხობის წიაღში, მისი არსებობის განსაზღვრული პირობების გამო, და თუ არ არის ამოწურული, **არის თუ არა იმედი, საფუძველი** — გამოყენებულ იქნან ეს შესაძლებლობანი პროლეტარული რევოლუციის **სასარგებლოდ,** გადაქცეულ იქნას გლეხობა, მისი ექსპლოატირებული უმრავლესობა, ბურჟუაზიის რეზერვიდან, როგორიც ის დასავლეთის ბურჟუაზიული რევოლუციების დროს იყო და როგორადაც ის ამჟამადაც რჩება, — პროლეტარიატის რეზერვად, მის მოკავშირედ?

ლენინიზმი დადებითად უპასუხებს ამ კითხვაზე, ე. ი. ის აღიარებს გლეხობის უმრავლესობაში რევოლუციური უნარის არსებობას, პროლეტარული დიქტატურის ინტერესებისათვის ამ უნარის გამოყენების შესაძლებლობას.

რუსეთში სამი რევოლუციის ისტორია სავსებით ადასტურებს ლენინიზმის დასკვნებს ამ საკითხზე.

აქედან პრაქტიკული დასკვნა — მხარი უნდა დავუჭიროთ გლეხობის მშრომელ მასებს მათს ბრძოლაში კაბალისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ, მათს ბრძოლაში ჩაგვრისა და სიღატაკისაგან თავის დასაღწევად. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ პროლეტარიატმა მხარი უნდა დაუჭიროს **ყოველგვარ** გლეხურ მოძრაობას. აქ ლაპარაკია გლეხობის ისეთი მოძრაობისა და ისეთი ბრძოლისათვის მხარდაჭერაზე, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ აადვილებს პროლეტარიატის განმათავისუფლებელ მოძრაობას,

რომელიც ასე თუ ისე უშვებს წყალს პროლეტარული რევოლუციის წისქვილს, რომელიც ხელს უწყობს გლეხობის გადაქცევას მუშათა კლასის რეზერვად და მოკავშირედ.

2) **გლეხობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს.** ეს პერიოდი მოიცავს დროს რუსეთის პირველი რევოლუციიდან (1905 წ.) მეორე რევოლუციამდე (1917 წ. თებერვალი) ამ უკანასკნელის ჩათვლით. ამ პერიოდის დამახასიათებელი ნიშანია გლეხობის განთავისუფლება ლიბერალური ბურჟუაზიის გავლენისაგან, გლეხობის **ჩამოცილება** კადეტებისაგან, გლეხობის **შემობრუნება** პროლეტარიატისაკენ, ბოლშევიკების პარტიისაკენ. ამ პერიოდის ისტორია არის ისტორია კადეტების (ლიბერალური ბურჟუაზია) და ბოლშევიკების (პროლეტარიატი) ბრძოლისა გლეხობის მისამხრობად. ამ ბრძოლის ბედი სათათბიროს პერიოდმა გადაწყვიტა, ვინაიდან ოთხი სათათბიროს პერიოდი საგნობრივი გაკვეთილი იყო გლეხობისათვის, ხოლო ამ გაკვეთილმა თვალნათლივ დაანახა გლეხებს, რომ ისინი კადეტებისაგან ვერ მიიღებენ ვერც მიწას, ვერც თავისუფლებას, რომ მეფე სავსებით მემამულეთა მხარეზეა, ხოლო კადეტები მხარს უჭერენ მეფეს, რომ ერთადერთი ძალა, რომლის დახმარებაზე იმედის დამყარება შეიძლება, — ეს არიან ქალაქის მუშები, პროლეტარიატი. იმპერიალისტურმა ომმა მხოლოდ დაადასტურა სათათბიროს პერიოდის გაკვეთილი, დაამთავრა რა გლეხობის ჩამოშორება ბურჟუაზიისაგან, დაამთავრა რა ლიბერალური ბურჟუაზიის იზოლაცია, ვინაიდან ომიანობის წლებმა გამოააშკარავეს იმ იმედების სრული ამაოება, სრული სიყალბე, რომ მიიღებდნენ ზავს მეფისაგან და მისი ბურჟუაზიული მოკავშირეებისაგან. სათათბიროს პერიოდის

თვალსაჩინო გაკვეთილების გარეშე პროლეტარიატის ჰეგემონია შეუძლებელი იქნებოდა.

ასე შეიქმნა მუშებისა და გლეხების კავშირი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში. ასე დამყარდა პროლეტარიატის ჰეგემონია (ხელმძღვანელობა) ცარიზმის დასამხობად წარმოებულ საერთო ბრძოლაში, ჰეგემონია, რომელმაც მიგვიყვანა 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე.

დასავლეთის ბურჟუაზიული რევოლუციები (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია), როგორც ცნობილია, სხვა გზით წავიდნენ. იქ რევოლუციაში ჰეგემონია ეკუთვნოდა ლიბერალურ ბურჟუაზიას და არა პროლეტარიატს, რომელიც არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალას, და არც შეიძლებოდა ასეთი ყოფილიყო თავისი სისუსტის გამო. იქ ბატონყმური წესებისაგან განთავისუფლება გლეხობამ მიიღო არა პროლეტარიატის ხელით, რომელიც მცირერიცხოვანი და დაურაზმავი იყო, არამედ ბურჟუაზიის ხელით. იქ გლეხობა ძველი წესების წინააღმდეგ ლიბერალურ ბურჟუაზიასთან ერთად მიდიოდა. იქ გლეხობა ბურჟუაზიის რეზერვს წარმოადგენდა. ამის გამო იქ რევოლუციამ გამოიწვია ბურჟუაზიის პოლიტიკური წონის უდიდესად გაძლიერება.

რუსეთში, პირიქით, ბურჟუაზიულმა რევოლუციამ სრულიად საწინააღმდეგო შედეგები მოგვცა. რუსეთში რევოლუციას მოჰყვა ბურჟუაზიის, როგორც პოლიტიკური ძალის, არა გაძლიერება, არამედ დასუსტება, მისი პოლიტიკური რეზერვების არა გამრავლება, არამედ მის მიერ ძირითადი რეზერვის დაკარგვა, გლეხობის დაკარგვა. ბურჟუაზიულმა რევოლუციამ რუსეთში პირველ რიგში წამოაყენა არა ლიბერალური ბურჟუაზია, არამედ რევოლუცი-

ური პროლეტარიატი და მის გარშემო დარაზმა მრავალმილიონიანი გლეხობა.

სწორედ ამით აიხსნება, სხვათა შორის, ის ფაქტი, რომ რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუცია შედარებით მალე გადაიზარდა პროლეტარულ რევოლუციად. პროლეტარიატის ჰეგემონია იყო ჩანასახი და გარდამავალი საფეხური პროლეტარიატის დიქტატურისაკენ.

რით აიხსნება რუსეთის რევოლუციის ეს თავისებური მოვლენა, რომელსაც არა აქვს პრეცედენტი დასავლეთის ბურჟუაზიული რევოლუციების ისტორიაში? საიდან გაჩნდა ეს თავისებურება?

ეს იმით აიხსნება, რომ რუსეთში ბურჟუაზიული რევოლუცია გაიშალა კლასობრივი ბრძოლის უფრო განვითარებულ პირობებში, ვიდრე დასავლეთში, რომ რუსეთის პროლეტარიატი ამ დროისათვის უკვე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად გადაიქცა, მაშინ როდესაც პროლეტარიატის რევოლუციურობით დამფრთხალმა ლიბერალურმა ბურჟუაზიამ დაკარგა რევოლუციურობის ყოველგვარი ნასახი (განსაკუთრებით 1905 წ. გაკვეთილების შემდეგ) და პირი იბრუნა მეფესთან და მემამულეებთან კავშირისაკენ რევოლუციის წინააღმდეგ, მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ.

საჭიროა ყურადღება მიექცეს შემდეგ გარემოებებს, რომლებმაც განსაზღვრეს რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის თავისებურება:

ა) რუსეთის მრეწველობის არაჩვეულებრივი კონცენტრაცია რევოლუციის წინახანებში. ცნობილია, მაგალითად, რომ რუსეთის მუშების მთელი რაოდენობის 54% მუშაობდა საწარმოებში, სადაც 500-ზე მეტი მუშა იყო, მაშინ როდესაც ისეთ განვითარებულ ქვეყანაში, როგორიც არის ჩრდილოეთი ამერიკა, ანალოგიურ საწარმოებში მუშა-

ობდა მუშების მთელი რაოდენობის სულ 33%. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ მარტო ეს გარემოება კი, ისეთი რევოლუციური პარტიის არსებობის დროს, როგორიცაა ბოლშევიკების პარტია, რუსეთის მუშათა კლასს ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების უდიდეს ძალად ხდიდა.

ბ) ექსპლოატაციის უმსგავსი ფორმები საწარმოებში პლუს მეფის მსახურების აუტანელი პოლიციური რეჟიმი, — გარემოება, რომელიც მუშების ყოველ სერიოზულ გაფიცვას აქცევდა უდიდეს პოლიტიკურ აქტად და აკაჟებდა მუშათა კლასს, როგორც ბოლომდე რევოლუციურ ძალას.

გ) რუსეთის ბურჟუაზიის პოლიტიკური სიძაბუნე, რომელიც 1905 წლის რევოლუციის შემდეგ გადაიქცა ცარიზმის მსახურობად და პირდაპირ კონტრრევოლუციურობად, რაც აიხსნება არა მარტო რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციურობით, რომელმაც რუსეთის ბურჟუაზია ცარიზმის მხარეზე გადაისროლა, არამედ იმ გარემოებითაც, რომ ეს ბურჟუაზია პირდაპირ დამოკიდებული იყო სახაზინო შეკვეთებზე.

დ) ბატონყმური წესწყობილების ყოვლად უმსგავსი და ყოვლად აუტანელი გადმონაშთების არსებობა სოფლად, რასაც ერთვოდა მემამულის ყოვლისშემძლეობა, — გარემოება, რომელმაც გლეხობა მოაქცია რევოლუციის ბანაკში.

ე) ცარიზმი, რომელიც ახშობდა ყოველივე ცოცხალს და თავისი თვითნებობით აძლიერებდა ჩაგვრას კაპიტალისტისა და მემამულის მხრით, — გარემოება, რომელმაც მუშებისა და გლეხების ბრძოლა გააერთიანა ერთ რევოლუციურ ნიაღვრად.

ვ) იმპერიალისტური ომი, რომელმაც რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების ყველა ეს წინააღმდეგობა შეაერთა

ღრმა რევოლუციურ კრიზისად და უაღრესად გააძლიერა რევოლუციის შეტევითი ძალა.

საით უნდა წასულიყო გლეხობა ასეთ პირობებში? ვისთან უნდა ეძებნა დახმარება მემამულის ყოვლისშემძლეობის წინააღმდეგ, მეფის თვითნებობის წინააღმდეგ, დამღუპველი ომის წინააღმდეგ, რომელიც აჩანაგებდა მის მეურნეობას? ლიბერალურ ბურჟუაზიასთან? მაგრამ ის ხომ მტერია, — ამას ადასტურებდა ოთხივე სათათბიროს ხანგრძლივი გამოცდილება. ესერებთან? ესერები, რა თქმა უნდა, კადეტებზე «უკეთესნი» არიან, მათი პროგრამაც «შესაფერისია», თითქმის გლეხურია, მაგრამ რის მოცემა შეუძლიათ ესერებს, როდესაც ისინი ფიქრობენ დაეყრდნონ მხოლოდ გლეხებს და როდესაც ისინი სუსტნი არიან ქალაქში, სადაც, პირველ ყოვლისა, კრებს თავის ძალას მოწინააღმდეგე? სად არის ის ახალი ძალა, რომელიც არაფრის წინაშე არ შეჩერდება არც სოფლად, არც ქალაქად, რომელიც თამამად ჩადგება პირველ რიგებში მეფისა და მემამულის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც ხელს შეუწყობს გლეხობას — თავი დააღწიოს კაბალას, უმიწობას, ჩაგვრასა და ომს? იყო თუ არა, საერთოდ, ასეთი ძალა რუსეთში? დიახ, იყო. ეს იყო რუსეთის პროლეტარიატი, რომელმაც ჯერ კიდევ 1905 წელს გამოააშკარავა თავისი ძალა, თავისი უნარი ბოლომდე ბრძოლისა, თავისი გამბედაობა, თავისი რევოლუციურობა.

ყოველ შემთხვევაში, სხვა ასეთი ძალა არ არსებობდა, და მისი გამონახვაც შეუძლებელი იყო.

აი რატომ იყო, რომ გლეხობა, როდესაც კადეტებს ჩამოშორდა და ესერებს მიემხრო, ამასთან ერთად დარწმუნდა, რომ აუცილებელი იყო დამორჩილებოდა რევოლუციის ისეთი მამაცი ბელადის ხელმძღვანელობას, როგორიც იყო რუსეთის პროლეტარიატი.

ასეთია ის გარემოებანი, რომლებმაც განსაზღვრეს რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის თავისებურება.

3) **გლეხობა პროლეტარული რევოლუციის დროს.** ეს პერიოდი მოიცავს დროს თებერვლის რევოლუციიდან (1917 წ.) ოქტომბრის რევოლუციამდე (1917 წ.). ეს პერიოდი შედარებით ხანმოკლეა, სულ რვა თვეს გრძელდება, — მაგრამ ეს რვა თვე, მასების პოლიტიკური განათლებისა და რევოლუციური აღზრდის თვალსაზრისით, თამამად შეიძლება გავუთანასწოროთ ჩვეულებრივი კონსტიტუციური განვითარების მთელ ათეულ წლებს, ვინაიდან ეს ნიშნავდა **რევოლუციის** რვა თვეს. ამ პერიოდის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს გლეხობის შემდგომი გარევოლუციურება, ესერებზე დამყარებული იმედების გაცრუება, გლეხობის **ჩამოცილება** ესერებისაგან, გლეხობის ახალი **შემობრუნება** პროლეტარიატის, როგორც ისეთი, ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური ძალის, გარშემო **პირდაპირი დარაზმვისაკენ,** რომელსაც შეეძლო ზავამდე მიეყვანა ჩვენი ქვეყანა. ამ პერიოდის ისტორია არის ისტორია ესერების (წვრილბურჟუაზიული დემოკრატია) და ბოლშევიკების (პროლეტარული დემოკრატია) ბრძოლისა გლეხობისათვის, გლეხობის უმრავლესობის მიმხრობისათვის. ამ ბრძოლის ბედი გადაწყვიტეს კოალიციურმა პერიოდმა, კერენშჩინის პერიოდმა, ესერებისა და მენშევიკების მიერ უარის თქმამ მემამულეთა მიწის კონფისკაციაზე, ესერებისა და მენშევიკების ბრძოლამ ომის განგრძობისათვის, ივნისის შეტევამ ფრონტზე, ჯარისკაცებისათვის სიკვდილით დასჯის შემოღებამ, კორნილოვის აჯანყებამ.

თუ მანამდე, წინა პერიოდში, რევოლუციის ძირითად საკითხს წარმოადგენდა მეფისა და მემამულეთა ძალაუფლების დამხობა, ახლა, თებერვლის რევოლუციის შემდ-

გომ პერიოდში, როდესაც მეფე უკვე აღარ იყო, ხოლო დაუსრულებელმა ომმა ჩაკლა ქვეყნის მეურნეობა, საბოლოოდ გააჩანაგა გლეხობა, — რევოლუციის ძირითად საკითხად იქცა ომის ლიკვიდაციის საკითხი. სიმძიმის ცენტრი წმინდა საშინაო ხასიათის საკითხებიდან აშკარად გადავიდა ძირითად საკითხზე — ომის საკითხზე. «ბოლო მოვუღოთ ომს», «თავი დავაღწიოთ ომს», — ასეთი იყო საერთო ძახილი გატანჯული ქვეყნისა და, უწინარეს ყოვლისა, გლეხობისა.

მაგრამ ომისაგან თავის დასაღწევად აუცილებელი იყო დროებითი მთავრობის ჩამოგდება, აუცილებელი იყო ბურჟუაზიის ძალაუფლების დამხობა, აუცილებელი იყო ესერებისა და მენშევიკების ძალაუფლების დამხობა, რადგან ისინი და მხოლოდ ისინი აჭიანურებდნენ ომს «ძლევამოსილ დასრულებამდე». ომისაგან თავის დაღწევის სხვა გზა, თუ არა ბურჟუაზიის დამხობით, პრაქტიკაში არ აღმოჩნდა.

ეს იყო ახალი რევოლუცია, რევოლუცია პროლეტარული, ვინაიდან ის აგდებდა ხელისუფლებიდან იმპერიალისტური ბურჟუაზიის უკანასკნელ, უკიდურეს მემარცხენე ფრაქციას — ესერებისა და მენშევიკების პარტიას, რათა შეექმნა ახალი, პროლეტარული ძალაუფლება, საბჭოების ძალაუფლება, რათა ხელისუფლების სათავეში დაეყენებინა რევოლუციური პროლეტარიატის პარტია, ბოლშევიკების პარტია, იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ დემოკრატიული ზავისათვის რევოლუციური ბრძოლის პარტია. გლეხობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა მუშების ბრძოლას ზავისათვის, საბჭოების ძალაუფლებისათვის.

სხვა გამოსავალი გლეხობას არ ჰქონდა. სხვა გამოსავალი არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

ამრიგად, კერენშჩინის პერიოდი უდიდესი საგნობრივი გაკვეთილი იყო გლეხობის მშრომელი მასებისათვის, ვინა-

იდან მან თვალსაჩინოდ ცხადყო, რომ ესერებისა და მენშევიკების ხელისუფლების დროს ქვეყანა თავს ვერ დააღწევდა ომს, გლეხობა ვერ ეღირსებოდა ვერც მიწას, ვერც თავისუფლებას, რომ მენშევიკები და ესერები კადეტებისაგან განსხვავდებოდნენ მხოლოდ ტკბილი სიტყვებით და ცრუ დაპირებებით, ნამდვილად კი ატარებდნენ იმავე იმპერიალისტურ, კადეტურ პოლიტიკას, რომ ერთადერთი ხელისუფლება, რომელსაც უნარი შესწევს ქვეყანა გზაზე დააყენოს, შეიძლება იყოს მხოლოდ საბჭოების ხელისუფლება. ომის შემდგომი გაჭიანურება მხოლოდ ადასტურებდა ამ გაკვეთილის სისწორეს, აჩქარებდა რევოლუციას და მიაქანებდა გლეხთა და ჯარისკაცთა მილიონიან მასებს პროლეტარული რევოლუციის გარშემო **პირდაპირი დარაზმვისაკენ.** ესერებისა და მენშევიკების იზოლაცია უცილობელ ფაქტად იქცა. კოალიციური პერიოდის თვალსაჩინო გაკვეთილების გარეშე პროლეტარიატის დიქტატურა შეუძლებელი იქნებოდა.

ასეთია ის გარემოებანი, რომლებმაც გააადვილეს ბურჟუაზიული რევოლუციის პროლეტარულ რევოლუციად გადაზრდის პროცესი.

ასე შეიქმნა პროლეტარიატის დიქტატურა რუსეთში.

4) გლეხობა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ. თუ წინათ, რევოლუციის პირველ პერიოდში, საქმე, უმთავრესად, ცარიზმის დამხობას შეეხებოდა, ხოლო მერე, თებერვლის რევოლუციის შემდეგ, საკითხი იდგა, უწინარეს ყოვლისა, ბურჟუაზიის დამხობის საშუალებით იმპერიალისტური ომიდან გამოსვლის შესახებ, — ახლა, სამოქალაქო ომის ლიკვიდაციისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ, — პირველ რიგში წამოიჭრა სამეურნეო მშენებლობის საკითხები. ნაციონალიზებული ინდუსტრიის გაძლიერება და განვითარება; ამისათვის ინ-

დუსტრიის დაკავშირება გლეხურ მეურნეობასთან ვაჭრობის საშუალებით, რომელსაც სახელმწიფო აწესრიგებს; სასურსათო გაწერის შეცვლა სასურსათო გადასახადით, რათა შემდეგ, სასურსათო გადასახადის ოდენობის თანდათან შემცირებით, საქმე მიყვანილ იქნას ინდუსტრიის ნაწარმის გადაცვლამდე გლეხური მეურნეობის პროდუქტებზე; ვაჭრობის გამოცოცხლება და კოოპერაციის განვითარება, ამ უკანასკნელში მილიონობით გლეხების ჩაბმით, — აი როგორ ხატავდა ლენინი სამეურნეო მშენებლობის მორიგ ამოცანებს სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგების გზაზე.

ამბობენ, რომ ეს ამოცანა შეიძლება დაუძლეველი აღმოჩნდეს ისეთი გლეხური ქვეყნისათვის, როგორიც რუსეთია. ზოგიერთი სკეპტიკოსი იმასაც კი ამბობს, რომ ეს ამოცანა პირდაპირ უტოპიურია, განუხორციელებელია, რადგან გლეხობა არის გლეხობა, — ის შესდგება წვრილ მწარმოებელთაგან, და ამიტომ შეუძლებელია მისი გამოყენება სოციალისტური წარმოების საძირკვლის ორგანიზაციისათვისო.

მაგრამ სკეპტიკოსები ცდებიან, ვინაიდან ისინი არ ითვალისწინებენ ზოგიერთ გარემოებას, რომელთაც ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ. განვიხილოთ უმთავრესნი მათ შორის.

ჯერ-ერთი. არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ საბჭოთა კავშირის გლეხობა და დასავლეთის გლეხობა. გლეხობა, რომელსაც გაუვლია სამი რევოლუციის სკოლა, რომელიც იბრძოდა მეფისა და ბურჟუაზიული ხელისუფლების წინააღმდეგ პროლეტარიატთან ერთად და პროლეტარიატის მეთაურობით, გლეხობა, რომელმაც პროლეტარული რევოლუციის ხელით მიიღო მიწა და ზავი და ამის გამო პროლეტარიატის რეზერვი გახდა, — ეს გლეხობა არ შეიძლე-

ბა არ განსხვავდებოდეს იმ გლეხობისაგან, რომელიც ბურჟუაზიული რევოლუციის დროს ლიბერალური ბურჟუაზიის მეთაურობით იბრძოდა, რომელმაც ამ ბურჟუაზიის ხელით მიიღო მიწა და ამის გამო ბურჟუაზიის რეზერვი გახდა. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ საბჭოთა გლეხობა, რომელიც მიჩვეულია პროლეტარიატთან პოლიტიკური მეგობრობისა და პოლიტიკური თანამშრომლობის დაფასებას და რომელმაც თავისუფლება მიიღო ამ მეგობრობისა და ამ თანამშრომლობის მეოხებით, — არ შეიძლება არ შეადგენდეს განსაკუთრებით ხელსაყრელ მასალას პროლეტარიატთან ეკონომიური თანამშრომლობისათვის.

ენგელსი ამბობდა, რომ «სოციალისტური პარტიის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა ახლო მომავლის საქმედ იქცა», რომ «იმისათვის, რომ ეს ძალაუფლება დაიპყროს, პარტია ჯერ ქალაქიდან სოფელში უნდა წავიდეს და გახდეს ძლიერი სოფლად» (იხ. **ენგელსის** «გლეხთა საკითხი», 1922 წ. გამ. [30]). ის წერდა ამას გასული საუკუნის 90-იან წლებში, მხედველობაში ჰყავდა რა დასავლეთის გლეხობა. განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ რუსმა კომუნისტებმა, რომლებმაც სამი რევოლუციის განმავლობაში ამ მიმართულებით კოლოსალური მუშაობა ჩაატარეს, უკვე მოიპოვეს სოფლად ისეთი გავლენა და ისეთი დასაყრდენი, როგორზედაც ჩვენი დასავლეთელი ამხანაგები ოცნებასაც კი ვერ ბედავენ? როგორ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ამ გარემოებას არ შეუძლია არსებითად არ გააადვილოს რუსეთში მუშათა კლასისა და გლეხობის ეკონომიური თანამშრომლობის მოგვარების საქმე?

სკეპტიკოსებს დაუჩემებიათ ლაპარაკი წვრილ გლეხებზე, როგორც ისეთ ფაქტორზე, რომელიც შეუთავსებელია

სოციალისტურ მშენებლობასთან. მაგრამ მოისმინეთ, რას ამბობს ენგელსი დასავლეთის წვრილ გლეხებზე:

«ჩვენ გადაჭრით ვდგავართ წვრილი გლეხის მხარეზე; ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რაც კი შესაძლებელია, იმისათვის, რომ მან უფრო კარგად იცხოვროს, რომ მას გაუადვილდეს ამხანაგობაზე გადასვლა იმ შემთხვევაში, თუ ის ამას გადაწყვეტს; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ის ჯერ კიდევ ვერ შესძლებს მიიღოს ეს გადაწყვეტილება, ჩვენ შევეცდებით მივცეთ მას რაც შეიძლება მეტი დრო — მოიფიქროს ეს თავის პატარა ნაკვეთზე. ჩვენ ასე მოვიქცევით არა მარტო იმიტომ, რომ შესაძლებლად მიგვაჩნია დამოუკიდებლად მომუშავე წვრილი გლეხის გადმოსვლა ჩვენს მხარეზე, არამედ აგრეთვე უშუალო პარტიული ინტერესებისთვისაც. რაც უფრო მეტი იქნება ისეთი გლეხების რიცხვი, რომლებსაც ჩვენ საშუალებას მივცემთ არ ჩავარდნენ პროლეტარების მდგომარეობაში და რომლებსაც გადმოვიყვანთ ჩვენს მხარეზე ჯერ კიდევ როგორც გლეხებს, მით უფრო ჩქარა და ადვილად მოხდება საზოგადოებრივი გარდაქმნა. ჩვენთვის უსარგებლო იქნება ასეთ გარდაქმნას დაველოდოთ იმ დრომდე, სანამ კაპიტალისტური წარმოება ყველგან თავისი განვითარების უკიდურეს შედეგებს მიაღწევდეს, სანამ უკანასკნელი წვრილი ხელოსანიც და უკანასკნელი წვრილი გლეხიც მსხვილი კაპიტალისტური წარმოების მსხვერპლი გახდებოდეს. მატერიალური მსხვერპლი, რომლის გაღებაც საჭირო გახდება ამ აზრით გლეხების სასარგებლოდ საზოგადოებრივი საშუალებებიდან, კაპიტალისტური ეკონომიკის თვალსაზრისით შეიძლება გადაყრილ ფულად იქნეს მიჩნეული, მაშინ როდესაც ეს არის კაპიტალის საუკეთესო გამოყენება, იმიტომ რომ, შესაძლოა, ამ მსხვერპლმა დაზოგოს ათჯერ უფრო მეტი თანხები მთლიანად საზოგადოებრივი გარდაქმნისათვის ხარჯების გაწევის დროს. მაშასადამე, ამ აზრით გლეხების მიმართ ჩვენ შეგვიძლია დიდად გულუხვნი ვიყოთ» (იხ. იქვე).

ასე ამბობდა ენგელსი, მხედველობაში ჰყავდა რა დასავლეთის გლეხობა. მაგრამ განა ცხადი არ არის, რომ არსად არ შეიძლება ენგელსის ნათქვამის ისე ადვილად და სავსებით განხორციელება, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში? განა ცხადი არ არის, რომ მხოლოდ საბჭოთა რუსეთში შეიძლება ახლავე და სავსებით გატარ-

დეს ცხოვრებაში «დამოუკიდებლად მომუშავე წვრილი გლეხის გადმოსვლაც ჩვენს მხარეზე», ამისათვის აუცილებელი «მატერიალური მსხვერპლის გაღებაც» და ამისათვის საჭირო «გულუხვობაც გლეხების მიმართ», რომ ასეთი და ამის მსგავსი ღონისძიებანი გლეხების სასარგებლოდ უკვე ტარდება რუსეთში? როგორ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ამ გარემოებამ, თავის მხრივ, უნდა გააადვილოს და წინ წასწიოს საბჭოთა ქვეყნის სამეურნეო მშენებლობის საქმე?

მეორე. არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ რუსეთის სოფლის მეურნეობა და დასავლეთის სოფლის მეურნეობა. იქ სოფლის მეურნეობის განვითარება მიმდინარეობს კაპიტალიზმის ჩვეულებრივი ხაზით, გლეხობის ღრმა დიფერენციაციის პირობებში, მსხვილი მამულებით და კერძო-კაპიტალისტური ლატიფუნდიებით ერთ პოლუსზე, ხოლო პაუპერიზმით, სიღატაკითა და დაჭირავებული მონობით — მეორეზე. ამის გამო იქ სავსებით ბუნებრივია რღვევა და დაშლა. სულ სხვაა რუსეთში. ჩვენში სოფლის მეურნეობის განვითარება ამ გზით ვერ წავა თუნდაც იმიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობა და წარმოების ძირითად იარაღთა და საშუალებათა ნაციონალიზაცია გამორიცხავენ ასეთ განვითარებას. რუსეთში სოფლის მეურნეობის განვითარება უნდა წავიდეს სხვა გზით, მილიონობით წვრილი და საშუალო გლეხების კოოპერირების გზით, სოფლად მასობრივი კოოპერაციის განვითარების გზით, რასაც სახელმწიფო ხელს უწყობს შეღავათიანი კრედიტის მიწოდებით. ლენინმა მართებულად აღნიშნა სტატიებში კოოპერაციის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება ჩვენში უნდა წავიდეს ახალი გზით, კოოპერაციის მეოხებით სოციალისტურ მშენებლობაში გლეხთა უმრავლესობის ჩაბმის გზით, სოფლის მეურნეობაში კოლექტი-

ვიზმის საფუძველთა თანდათანობით დანერგვის გზით, ჯერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გასაღების დარგში, ხოლო შემდეგ — მათი წარმოების დარგში.

მეტად საინტერესოა ამ მხრივ ზოგიერთი ახალი მოვლენა სოფლად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მუშაობასთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ «სელსკოსოიუზის» [31] შიგნით წარმოიშვნენ ახალი დიდი ორგანიზაციები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის მიხედვით, — სელის, კარტოფილის, ერბო-კარაქისა და სხვა ორგანიზაციები, რომელთაც დიდი მომავალი აქვთ. მათ შორის, მაგალითად, «ლნოცენტრი» აერთიანებს სელის მომყვანი გლეხების საწარმოო ამხანაგობათა მთელ ქსელს. «ლნოცენტრი» იმაზე მუშაობს, რომ ამარაგებს გლეხებს თესლითა და წარმოების იარაღებით, შემდეგ იმავე გლეხებისაგან ყიდულობს სელის მთელ პროდუქციას და ასაღებს მას ბაზარზე მასობრივი მასშტაბით; უზრუნველყოფს გლეხების მონაწილეობას მოგებაში და, ამრიგად, აკავშირებს გლეხურ მეურნეობას «სელსკოსოიუზის» მეშვეობით სახელმწიფო მრეწველობასთან. რა უნდა ვუწოდოთ წარმოების ორგანიზაციის ასეთ ფორმას? ჩემი აზრით, ეს არის მსხვილი სახელმწიფო-სოციალისტური წარმოების საშინაო სისტემა სოფლის მეურნეობის დარგში. მე ვლაპარაკობ აქ სახელმწიფო-სოციალისტური წარმოების საშინაო სისტემაზე კაპიტალიზმის საშინაო სისტემასთან ანალოგიით, ვთქვათ, საფეიქრო წარმოების დარგში, სადაც შინამრეწველნი კაპიტალისტისაგან ღებულობდნენ ნედლეულსა და იარაღებს და მასვე აბარებდნენ მთელ თავიანთ პროდუქციას, რის გამოც ფაქტიურად შინმომუშავე ნახევრად დაქირავებული მუშები იყვნენ. ეს არის მრავალთაგან ერთ-ერთი მაჩვენებელი იმისა, თუ რა გზით უნდა წავიდეს სოფლის მეურნეობის განვითარება ჩვენში. აღარაფერს ვამბობ აქ სხვა

ასეთსავე მაჩვენებლებზე სოფლის მეურნეობის დანარჩენ დარგებში.

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ გლეხობის უდიდესი უმრავლესობა ხალისით დაადგება განვითარების ამ ახალ გზას და უკუაგდებს კერძო-კაპიტალისტური ლატიფუნდიებისა და დაჭირავებული მონობის გზას, სიღატაკისა და გაჩანაგების გზას.

აი რას ამბობს ლენინი ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების გზების შესახებ:

«სახელმწიფოს ძალაუფლება წარმოების ყველა მსხვილ საშუალებაზე, სახელმწიფოს ძალაუფლება პროლეტარიატის ხელში, ამ პროლეტარიატის კავშირი მრავალ მილიონ წვრილ და უწვრილეს გლეხთან, გლეხობის მიმართ ამ პროლეტარიატის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა და სხვ., — განა ეს არ არის ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ კოოპერაციიდან, მარტოოდენ კოოპერაციიდან, რომელსაც წინათ აბუჩად ვიგდებდით, როგორც ჩარჩულს, და რომელიც ერთგვარად უფლება გვაქვს აბუჩად ავიგდოთ ახლაც, ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროსაც, განა ეს არ არის ყველაფერი, რაც აუცილებელია სრული სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის? ეს ჯერ კიდევ არ არის სოციალისტური საზოგადოების აშენება, მაგრამ ეს არის ყველაფერი, რაც აუცილებელი და საკმაოა ამ აშენებისათვის» (იხ. ტ. XXVII, გვ. 392).

ლაპარაკობს რა შემდეგ ფინანსური და სხვაგვარი დახმარების აუცილებლობაზე კოოპერაციისათვის, როგორც «მოსახლეობის ორგანიზაციის ახალი პრინციპისათვის» და ახალი «საზოგადოებრივი წყობილებისათვის» პროლეტარიატის დიქტატურის დროს, ლენინი განაგრძობს:

«ყოველი საზოგადოებრივი წყობილება წარმოიშობა მხოლოდ და მხოლოდ განსაზღვრული კლასის ფინანსური დახმარებით. საჭირო არ არის გახსენება იმ ასეული და ასეული მილიონი მანეთისა, რაც დაჯდა «თავისუფალი» კაპიტალიზმის დაბადება. ახლა ჩვენ უნდა შევიგნოთ და განვახორციელოთ საქმით, რომ ამჟამად ის საზოგადოებრივი წყობილება, რომელსაც ჩვეულებრივზე უფრო მეტად უნდა დავეხმა-

როთ, არის კოოპერაციული წყობილება. მაგრამ საჭიროა მას დავეხმაროთ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ე. ი. საკმარისი არ არის ამ დახმარებაში ვიგულისხმოთ ყოველი სახის კოოპერაციული ბრუნვისათვის დახმარება, — ამ დახმარებაში უნდა ვიგულისხმოთ ხელის შეწყობა ისეთი კოოპერაციული ბრუნვისათვის, რომელშიც **ნამდვილად იღებენ მონაწილეობას მოსახლეობის ნამდვილი მასები»** (იხ. იქვე, გვ. 393).

რას გვეუბნება ყველა ეს გარემოება?

იმას, რომ სკეპტიკოსები მართალი არ არიან.

იმას, რომ მართალია ლენინიზმი, რომელსაც გლეხობის მშრომელი მასები პროლეტარიატის რეზერვად მიაჩნია.

იმას, რომ ხელისუფლების სათავეში მყოფ პროლეტარიატს შეუძლია გამოიყენოს და მან უნდა გამოიყენოს კიდეც ეს რეზერვი იმისათვის, რომ მჭიდროდ დაუკავშიროს ერთიმეორეს ინდუსტრია და სოფლის მეურნეობა, მაღლა ასწიოს სოციალისტური მშენებლობა და ამოიყვანოს პროლეტარიატის დიქტატურის ის აუცილებელი საძირკველი, ურომლისოდაც შეუძლებელია სოციალისტურ ეკონომიკაზე გადასვლა.

VI

ნაციონალური საკითხი

ამ თემიდან მე ვიღებ ორ მთავარ საკითხს:

ა) საკითხის დაყენება,

ბ) ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა და პროლეტარული რევოლუცია.

1) **საკითხის დაყენება.** ამ უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში ნაციონალურმა საკითხმა მთელი რიგი მეტად სერიოზული ცვლილებები განიცადა. ნაციონალური საკითხი II ინტერნაციონალის პერიოდში და ნაციონალური საკითხი ლენინიზმის პერიოდში სრულიადაც არ არის

ერთი და იგივე. ისინი დიდად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან არა მარტო მოცულობით, არამედ თავისი შინაგანი ხასიათითაც.

წინათ ნაციონალური საკითხი ჩვეულებრივ იფარგლებოდა საკითხთა ვიწრო რკალით, რომლებიც ეხებოდა, უმთავრესად, «კულტურულ» ეროვნებებს. ირლანდიელები, უნგრელები, პოლონელები, ფინელები, სერბიელები და ევროპის ზოგიერთი სხვა ეროვნება — აი ის წრე არასრულუფლებიანი ერებისა, რომელთა ბედიც აინტერესებდათ II ინტერნაციონალის მოღვაწეებს. აზიისა და აფრიკის ხალხთა ათეული და ასეული მილიონები, რომლებიც განიცდიან ეროვნულ ჩაგვრას უაღრესად უხეში და უსასტიკესი ფორმით, ჩვეულებრივ მხედველობის გარეთ იყო დატოვებული. თეთრკანიანებისა და შავკანიანების, «კულტურული» და «უკულტურო» ერების ერთად დაყენებას ვერ ბედავდნენ. ორი-სამი უშინაარსო და ტკბილ-მჟავე რეზოლუცია, რომლებიც გულმოდგინედ უხვევდნენ გვერდს კოლონიების განთავისუფლების საკითხს, — აი ყველაფერი, რაც შეეძლოთ დაეტრაბახნათ II ინტერნაციონალის მოღვაწეებს. ამჟამად ეს ორჭოფობა და ნახევრულობა ნაციონალურ საკითხში მოსპობილად უნდა ჩაითვალოს. ლენინიზმმა გამოამჟღავნა ეს აღმაშფოთებელი შეუსაბამობა, დაანგრია კედელი თეთრკანიანებსა და შავკანიანებს შორის, ევროპელებსა და აზიელებს შორის, იმპერიალიზმის «კულტურულ» და «უკულტურო» მონებს შორის და, ამრიგად, ნაციონალური საკითხი დაუკავშირა კოლონიების საკითხს. ამით ნაციონალური საკითხი კერძო და შინასახელმწიფოებრივი საკითხიდან გადაქცეულ იქნა ზოგად და საერთაშორისო საკითხად, მსოფლიო საკითხად იმპერიალიზმის უღლისაგან დამოკიდებული ქვეყნებისა და კოლონიების ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების შესახებ.

წინათ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს ჩვეულებრივ არასწორად განმარტავდნენ, ხშირად ამ პრინციპს ერთა ავტონომიის უფლებით ფარგლავდნენ. II ინტერნაციონალის ზოგიერთი ლიდერი იქამდეც კი მივიდა, რომ თვითგამორკვევის უფლება მათ გადააქციეს კულტურული ავტონომიის უფლებად, ე. ი. ჩაგრული ერების უფლებად — იქონიონ თავიანთი კულტურული დაწესებულებანი, ამასთან მთელ პოლიტიკურ ძალაუფლებას ისინი გაბატონებული ერის ხელში ტოვებენ. ეს გარემოება იმას იწვევდა, რომ თვითგამორკვევის იდეას მოელოდა საფრთხე — ანექსიების წინააღმდეგ ბრძოლის იარაღიდან ანექსიების გამართლების იარაღად გადაქცეულიყო. ახლა ეს აბნეულობა დაძლეულად უნდა ჩაითვალოს. ლენინიზმმა გააფართოვა თვითგამორკვევის ცნება, განმარტა რა იგი, როგორც დამოკიდებული ქვეყნებისა და კოლონიების ჩაგრულ ხალხთა სრული გამოყოფის უფლება, როგორც ერების დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის უფლება. ამით გამორიცხულ იქნა შესაძლებლობა ანექსიების გამართლებისა თვითგამორკვევის უფლების, როგორც ავტონომიის უფლების, განმარტების გზით. ამრიგად, თვითონ თვითგამორკვევის პრინციპი მასების მოტყუების იარაღიდან, რასაც ის უეჭველად წარმოადგენდა სოციალ-შოვინისტების ხელში იმპერიალისტური ომის დროს, გადაქცეულ იქნა ყველა და ყოველგვარი იმპერიალისტური ზრახვებისა და შოვინისტური მაქინაციების მამხილებელ იარაღად, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მასების პოლიტიკური განათლების იარაღად.

წინათ ჩაგრულ ერთა საკითხს ჩვეულებრივ იხილავდნენ, როგორც წმინდა უფლებრივ საკითხს. «ნაციონალური თანასწორუფლებიანობის» საზეიმო აღიარება, უამრავი დეკლარაციები «ერთა თანასწორობის» შესახებ, — აი რით

იქცევდნენ თავს II ინტერნაციონალის პარტიები, რომელნიც ჩქმალავდნენ იმ ფაქტს, რომ «ერთა თანასწორობა» იმპერიალიზმის ღროს, როდესაც ერების ერთი ჯგუფი (უმცირესობა) ცხოვრობს ერების მეორე ჯგუფის ექსპლოატაციის ხარჯზე, წარმოადგენს ჩაგრული ერების აბუჩად აგდებას. ახლა ეს ბურჟუაზიულ-უფლებრივი თვალსაზრისი ნაციონალურ საკითხში მხილებულად უნდა ჩაითვალოს. ლენინიზმმა ნაციონალური საკითხი მაღალფარდოვანი დეკლარაციების მწვერვალებიდან ჩამოიტანა მიწაზე და განაცხადა, რომ დეკლარაციები «ერთა თანასწორობის» შესახებ, თუ მათ ზურგს არ უმაგრებენ პროლეტარული პარტიები ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის პირდაპირი დახმარებით, ლიტონი და ყალბი დეკლარაციებია. ამით ჩაგრულ ერთა საკითხი გადაიქცა ჩაგრული ერებისათვის მხარდაჭერის, დახმარების, ნამდვილი და მუდმივი დახმარების გაწევის საკითხად მათს ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთა ნამდვილი თანასწორობისა და მათი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობისათვის.

წინათ ნაციონალურ საკითხს იხილავდნენ რეფორმისტულად, როგორც ცალკეულ დამოუკიდებელ საკითხს, კაპიტალის ბატონობის, იმპერიალიზმის დამხობის, პროლეტარული რევოლუციის საერთო საკითხთან დაუკავშირებლად. მდუმარედ იგულისხმებოდა, რომ პროლეტარიატის გამარჯვება ევროპაში შესაძლებელია კოლონიების განმათავისუფლებელ მოძრაობასთან პირდაპირი კავშირის გარეშე, რომ ნაციონალურ-კოლონიური საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია ჩუმად, «თვითდინებით», პროლეტარული რევოლუციის ფართო გზისათვის გვერდის ავლით, იმპერიალიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის გარეშე. ახლა ეს ანტირევოლუციური თვალსაზრისი მხილებულად

უნდა ჩაითვალოს. ლენინიზმმა დაამტკიცა, ხოლო იმპერიალისტურმა ომმა და რევოლუციამ რუსეთში დაადასტურეს, რომ ნაციონალური საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარულ რევოლუციასთან დაკავშირებით და მის ნიადაგზე, რომ დასავლეთში რევოლუციის გამარჯვება მიიმართება იმპერიალიზმის წინააღმდეგ კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების განმათავისუფლებელ მოძრაობასთან რევოლუციური კავშირის გზით. ნაციონალური საკითხი არის პროლეტარული რევოლუციის საერთო საკითხის ნაწილი, პროლეტარიატის დიქტატურის საკითხის ნაწილი.

საკითხი ასე დგას: **უკვე ამოწურულია თუ არა** რევოლუციური შესაძლებლობანი, რომლებიც მოიპოვება ჩაგრული ქვეყნების რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წიაღში, და თუ არ არის ამოწურული, — არის თუ არა იმედი, საფუძველი — გამოყენებულ იქნან ეს შესაძლებლობანი პროლეტარული რევოლუციის სასარგებლოდ, გადაქცეულ იქნან დამოკიდებული და კოლონიური ქვეყნები იმპერიალისტური ბურჟუაზიის რეზერვიდან რევოლუციური პროლეტარიატის რეზერვად, მის მოკავშირედ?

ლენინიზმი დადებითად უპასუხებს ამ კითხვაზე, ე. ი. ის აღიარებს ჩაგრული ქვეყნების ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წიაღში რევოლუციური უნარის არსებობას და მისი გამოყენების შესაძლებლობას საერთო მტრის დასამხობად, იმპერიალიზმის დასამხობად. იმპერიალიზმის განვითარების მექანიკა, იმპერიალისტური ომი და რევოლუცია რუსეთში სავსებით ადასტურებენ ლენინიზმის დასკვნებს ამის შესახებ.

აქედან — «მპყრობელ» ერთა პროლეტარიატის მხრით ჩაგრულ და დამოკიდებულ ხალხთა ნაციონალურ-განმათა-

ვისუფლებელი მოძრაობისათვის დახმარების, გადამჭრელი და აქტიური დახმარების აუცილებლობა.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ პროლეტარიატმა მხარი უნდა დაუჭიროს **ყოველგვარ** ნაციონალურ მოძრაობას, ყველგან და ყოველთვის, ყოველ ცალკე კონკრეტულ შემთხვევაში. ლაპარაკია ისეთ ნაციონალურ მოძრაობათა მხარდაჭერაზე, რომელნიც მიმართული არიან იმპერიალიზმის დასუსტებისაკენ, მისი დამხობისაკენ, და არა მისი განმტკიცებისა და შენარჩუნებისაკენ. არის შემთხვევები, როდესაც ცალკეული დაჩაგრული ქვეყნების ნაციონალური მოძრაობა ეჯახება პროლეტარული მოძრაობის განვითარების ინტერესებს. თავისთავად ცხადია, ასეთ შემთხვევაში დახმარებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ერების უფლებათა საკითხი არის არა განკერძოებული და თვითკმარი საკითხი, არამედ ის არის პროლეტარული რევოლუციის საერთო საკითხის ნაწილი, რომელიც ექვემდებარება მთელს და მოითხოვს მის, ნაწილის, განხილვას მთელის თვალსაზრისით. მარქსი გასული საუკუნის 40-იან წლებში მხარს უჭერდა პოლონელებისა და უნგრელების ნაციონალურ მოძრაობას ჩეხებისა და სამხრეთელი სლავების ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ. რატომ? იმიტომ, რომ ჩეხები და სამხრეთელი სლავები მაშინ წარმოადგენდნენ «რეაქციულ ერებს», «რუსეთის ფორპოსტებს» ევროპაში, აბსოლუტიზმის ფორპოსტებს, მაშინ როდესაც პოლონელები და უნგრელები იყვნენ «რევოლუციური ერები», რომლებიც ებრძოდნენ აბსოლუტიზმს. იმიტომ, რომ ჩეხებისა და სამხრეთელი სლავების ნაციონალური მოძრაობისათვის ხელის შეწყობა ნიშნავდა მაშინ არაპირდაპირი დახმარების გაწევას ცარიზმისათვის, რომელიც ევროპის რევოლუციური მოძრაობის ყველაზე უფრო საშიში მტერი იყო.

«დემოკრატიის ცალკეული მოთხოვნები, — ამბობს ლენინი, — მათ შორის თვითგამორკვევა, არის არა აბსოლუტი, არამედ საერთო-დემოკრატიული (ახლა: საერთო-სოციალისტური) **მსოფლიო** მოძრაობის **ნაწილაკი**. შესაძლებელია, ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევებში ნაწილაკი ეწინააღმდეგებოდეს მთელს, მაშინ ეს ნაწილაკი უკუგდებულ უნდა იქნას» (იხ. ტ. XIX, გვ. 257 — 258).

ასეა ცალკეულ ნაციონალურ მოძრაობათა, ამ მოძრაობათა შესაძლებელი რეაქციული ხასიათის საკითხის საქმე. თუ, რასაკვირველია, მათ შევაფასებთ არა ფორმალური თვალსაზრისით, არა აბსტრაქტულ უფლებათა თვალსაზრისით, არამედ კონკრეტულად, რევოლუციური მოძრაობის ინტერესთა თვალსაზრისით.

იგივე უნდა ითქვას ნაციონალურ მოძრაობათა რევოლუციურ ხასიათზე საერთოდ. ნაციონალურ მოძრაობათა უდიდესი უმრავლესობის უეჭველი რევოლუციური ხასიათი იმდენადვე შედარებითია და თავისებური, რამდენადაც შედარებითი და თავისებურია ზოგიერთ ცალკეულ ნაციონალურ მოძრაობათა შესაძლებელი რეაქციულობა. ნაციონალური მოძრაობის რევოლუციური ხასიათი იმპერიალისტური ჩაგვრის პირობებში სრულიადაც არ გულისხმობს ამ მოძრაობაში პროლეტარული ელემენტების აუცილებელ არსებობას, მოძრაობის რევოლუციური ან რესპუბლიკური პროგრამის არსებობას, მოძრაობის დემოკრატიული საფუძვლის არსებობას. ავღანელი ემირის ბრძოლა ავღანისტანის დამოუკიდებლობისათვის წარმოადგენს ობიექტურად **რევოლუციურ** ბრძოლას, მიუხედავად ემირისა და მისი თანამებრძოლების შეხედულებათა მონარქისტული ხასიათისა, ვინაიდან ეს ბრძოლა ასუსტებს, არყევს, ძირს უთხრის იმპერიალიზმს, მაშინ როდესაც ისეთი «თავგამოდებული» დემოკრატებისა და «სოციალისტების», «რევოლუციონერე-

ბისა» და რესპუბლიკელების ბრძოლა იმპერიალისტური ომის დროს, როგორიც არიან, მაგალითად, კერენსკი და წერეთელი, რენოდელი და შეიდემანი, ჩერნოვი და დანი, ჰენდერსონი და კლაინსი, იყო **რეაქციული** ბრძოლა, ვინაიდან მას შედეგად მოჰყვა იმპერიალიზმის შეფერადება, გამაგრება და გამარჯვება. ეგვიპტის ვაჭრებისა და ბურჟუაზიული ინტელიგენტების ბრძოლა ეგვიპტის დამოუკიდებლობისათვის, იმავე მიზეზების გამო, ობიექტურად **რევოლუციური** ბრძოლაა, მიუხედავად ეგვიპტის ნაციონალური მოძრაობის ლიდერთა ბურჟუაზიული წარმოშობისა და ბურჟუაზიული წოდებისა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სოციალიზმის წინააღმდეგი არიან; ხოლო ინგლისის «მუშათა» მთავრობის ბრძოლა ეგვიპტის დამოკიდებული მდგომარეობის შენარჩუნებისათვის, იმავე მიზეზების გამო, **რეაქციული** ბრძოლაა, მიუხედავად ამ მთავრობის წევრების პროლეტარული წარმოშობისა და პროლეტარული წოდებისა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სოციალიზმის «მომხრენი» არიან. აღარაფერს ვამბობ ნაციონალურ მოძრაობაზე სხვა, უფრო დიდ, კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში, როგორიც არის ინდოეთი და ჩინეთი, რომელთა ყოველი ნაბიჯი განთავისუფლებისაკენ, თუნდაც ის არღვევდეს ფორმალური დემოკრატიის მოთხოვნებს, წარმოადგენს ორთქლით მომუშავე უროს დარტყმას იმპერიალიზმისათვის, ე. ი. უეჭველად **რევოლუციურ** ნაბიჯს.

ლენინი მართალია, როდესაც ამბობს, რომ დაჩაგრული ქვეყნების ნაციონალური მოძრაობა უნდა შეფასდეს არა ფორმალური დემოკრატიის თვალსაზრისით, არამედ იმპერიალიზმთან ბრძოლის საერთო ბალანსში ფაქტიური შედეგების თვალსაზრისით, ესე იგი «არა განკერძოებულად, არამედ მსოფლიო მასშტაბით» (იხ. ტ. XIX, გვ. 257).

2) **ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა და პროლეტარული რევოლუცია.** ნაციონალური საკითხის გადაწყვეტის დროს ლენინიზმი გამოდის შემდეგი დებულებებიდან:

ა) მსოფლიო გაყოფილია ორ ბანაკად: ერთი მუჭა ცივილიზებული ერების ბანაკად, რომლებიც ფინანსურ კაპიტალს ფლობენ და რომლებიც დედამიწის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ექსპლოატაციას ეწევიან, და კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების ჩაგრულ და ექსპლოატირებულ ხალხთა ბანაკად, რომლებიც ამ უმრავლესობას შეადგენენ;

ბ) კოლონიები და დამოკიდებული ქვეყნები, რომლებიც განიცდიან ჩაგვრასა და ექსპლოატაციას ფინანსური კაპიტალისაგან, შეადგენენ უდიდეს რეზერვს და ძალების უაღრესად სერიოზულ წყაროს იმპერიალიზმისათვის;

გ) დამოკიდებული და კოლონიური ქვეყნების ჩაგრულ ხალხთა რევოლუციური ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ არის ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან მათი განთავისუფლების ერთადერთი გზა;

დ) უმნიშვნელოვანესი კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნები უკვე დაადგნენ ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გზას, რასაც არ შეუძლია არ გამოიწვიოს მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისი;

ე) განვითარებული ქვეყნების პროლეტარული მოძრაობისა და კოლონიების ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესები მოითხოვენ ამ ორი სახის რევოლუციური მოძრაობის გაერთიანებას საერთო ფრონტად საერთო მტრის წინააღმდეგ, იმპერიალიზმის წინააღმდეგ;

ვ) მუშათა კლასის გამარჯვება განვითარებულ ქვეყნებში და ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლება იმპერიალიზმის

უღლისაგან შეუძლებელია საერთო რევოლუციური ფრონტის შექმნისა და განმტკიცების გარეშე;

ზ) საერთო რევოლუციური ფრონტის შექმნა შეუძლებელია, თუ მჩაგვრელი ერების პროლეტარიატმა პირდაპირი და გადამწყვეტი დახმარება არ გაუწია ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობას თავისი ქვეყნის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ვინაიდან «არ შეიძლება თავისუფალი იყოს ხალხი, რომელიც ჩაგრავს სხვა ხალხებს» (**ენგელსი**);

თ) ეს დახმარება ნიშნავს ერების გამოყოფის უფლების, მათი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის ლოზუნგის მოთხოვნას, დაცვას, ცხოვრებაში გატარებას;

ი) ამ ლოზუნგის განუხორციელებლად შეუძლებელია მოგვარდეს ერების გაერთიანება და თანამშრომლობა ერთიან მსოფლიო მეურნეობაში, რომელიც წარმოადგენს მსოფლიო სოციალიზმის გამარჯვების მატერიალურ საფუძველს;

კ) ეს გაერთიანება შეიძლება იყოს მხოლოდ ნებაყოფლობითი, წარმოშობილი ხალხთა ურთიერთნდობისა და ძმური ურთიერთობის საფუძველზე.

აქედან — ორი მხარე, ორი ტენდენცია ნაციონალურ საკითხში: იმპერიალიზმის ხუნდებისაგან პოლიტიკური განთავისუფლებისა და დამოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფოს შექმნის ტენდენცია, წარმოშობილი იმპერიალისტური ჩაგვრისა და კოლონიური ექსპლოატაციის საფუძველზე, და ერების სამეურნეო დაახლოების ტენდენცია, წარმოშობილი მსოფლიო ბაზრისა და მსოფლიო მეურნეობის შექმნასთან დაკავშირებით.

«განვითარებაში მყოფმა კაპიტალიზმმა, — ამბობს ლენინი, — იცის ორი ისტორიული ტენდენცია ნაციონალურ საკითხში. პირველი: ნაციონალური ცხოვრებისა და ნაციონალურ მოძრაობათა გაღვიძება, ბრძოლა ყოველგვარი ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ, ნაციონალურ

სახელმწიფოთა შექმნა. მეორე: ერთა შორის ყოველგვარი ურთიერთობის განვითარება და გახშირება, ნაციონალური ზღუდეების ნგრევა, კაპიტალის, საერთოდ ეკონომიური ცხოვრების, პოლიტიკის, მეცნიერებისა და სხვ. ინტერნაციონალური ერთიანობის შექმნა.

ორივე ეს ტენდენცია კაპიტალიზმის მსოფლიო კანონია. პირველი ჭარბობს მისი განვითარების დასაწყისში, მეორე ახასიათებს მომწიფებულ კაპიტალიზმს, რომელიც მიიმართება სოციალისტურ საზოგადოებად გადაქცევისაკენ» (იხ. ტ. XVII, გვ. 139 — 140).

იმპერიალიზმისათვის ეს ორი ტენდენცია შეურიგებელ წინააღმდეგობებს წარმოადგენს, ვინაიდან იმპერიალიზმს არ შეუძლია ცხოვრება უექსპლოატაციოდ და «ერთიანი მთელის» ფარგლებში კოლონიების ძალდატანებითი შენარჩუნების გარეშე, ვინაიდან იმპერიალიზმს ერების დაახლოება შეუძლია მხოლოდ ანექსიისა და კოლონიების დაპყრობის გზით, უპირველისოდაც ის, საერთოდ რომ ვთქვათ, წარმოუდგენელია.

კომუნიზმისათვის, პირიქით, ეს ტენდენციები მხოლოდ ორი მხარეა ერთი და იმავე საქმისა, იმპერიალიზმის უღლისაგან ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების საქმისა, ვინაიდან კომუნიზმმა იცის, რომ ერთიან მსოფლიო მეურნეობაში ხალხთა გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთნდობისა და ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე, რომ ხალხთა ნებაყოფლობითი გაერთიანების შექმნა მიიმართება «ერთიანი» იმპერიალისტური «მთელისაგან» კოლონიების ჩამოცილების, დამოუკიდებელ სახელმწიფოებად მათი გადაქცევის გზით.

აქედან — აუცილებლობა შეუპოვარი, განუწყვეტელი, გადამწყვეტი ბრძოლისა გაბატონებულ ერთა (ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკა, იტალია, იაპონია და სხვ.) «სოციალისტების» დიდმპყრობელური შოვინიზმის წინააღმდეგ, «სოციალისტებისა», რომელთაც არ სურთ ებრძოლონ თავიანთ იმპერიალისტურ მთავრობებს, არ სურთ მხარი დაუ-

ჭირონ «მათი» კოლონიების ჩაგრულ ხალხთა ბრძოლას ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის, სახელმწიფოებრივი გამოყოფისათვის.

ასეთი ბრძოლის გარეშე წარმოუდგენელია გაბატონებული ერების მუშათა კლასის აღზრდა ნამდვილი ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, დამოკიდებული ქვეყნებისა და კოლონიების მშრომელ მასებთან დაახლოების სულისკვეთებით, პროლეტარული რევოლუციის ნამდვილი მომზადების სულისკვეთებით. რევოლუცია რუსეთში ვერ გაიმარჯვებდა, და კოლჩაკი და დენიკინი ვერ დამარცხდებოდნენ, რუს პროლეტარიატს რომ არ ჰქონოდა თანაგრძნობა და დახმარება ყოფილი რუსეთის იმპერიის ჩაგრული ხალხების მხრით. მაგრამ ამ ხალხთა თანაგრძნობა და დახმარება **რომ** დაემსახურებინა, მას უწინარეს ყოვლისა უნდა დაემსხვრია რუსეთის იმპერიალიზმის ბორკილები და გაეთავისუფლებინა ეს ხალხები ნაციონალური ჩაგვრისაგან.

უამისოდ შეუძლებელი იქნებოდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება, ნამდვილი ინტერნაციონალიზმის დანერგვა და ხალხთა თანამშრომლობის იმ შესანიშნავი ორგანიზაციის შექმნა, რომელსაც ეწოდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და რომელიც ერთიან მსოფლიო მეურნეობაში ხალხთა მომავალი გაერთიანების ცოცხალი პირველსახეა.

აქედან — აუცილებლობა ბრძოლისა დაჩაგრული ქვეყნების სოციალისტების ნაციონალური კარჩაკეტილობის, შეზღუდულობისა და განკერძოების წინააღმდეგ, სოციალისტებისა, რომელთაც არ სურთ ასცილდნენ თავიანთ ეროვნულ სამრეკლოს და არ ესმით თავიანთი ქვეყნის განმათავისუფლებელი მოძრაობის კავშირი გაბატონებული ქვეყნების პროლეტარულ მოძრაობასთან.

ასეთი ბრძოლის გარეშე წარმოუდგენელია ჩაგრულ ერთა პროლეტარიატის დამოუკიდებელი პოლიტიკისა და გაბატონებული ქვეყნების პროლეტარიატთან მისი კლასობრივი სოლიდარობის შენარჩუნება ბრძოლაში საერთო მტრის დასამხობად, ბრძოლაში იმპერიალიზმის დასამხობად.

ასეთი ბრძოლის გარეშე ინტერნაციონალიზმი შეუძლებელი იქნებოდა.

ასეთია რევოლუციური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით გაბატონებულ და ჩაგრულ ერთა მშრომელი მასების აღზრდის გზა.

აი რას ამბობს ლენინი კომუნიზმის ამ ორმხრივ მუშაობაზე ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მუშების აღზრდისათვის:

«შეიძლება თუ არა, რომ ეს აღზრდა... **კონკრეტულად ერთნაირი** იყოს დიდსა და მჩაგვრელ ერებში და პატარა, ჩაგრულ ერებში? იმ ერებში, რომლებიც ანექსიას ახდენენ, და იმ ერებში, რომელთა ანექსიას ახდენენ?

ცხადია, არა. გზა ერთი მიზნისაკენ: **უველა** ერის სრული თანასწორუფლებიანობისაკენ, მათი უაღრესად მჭიდრო დაახლოებისა და შემდგომი **გაერთიანებისაკენ**, აშკარაა, აქ სხვადასხვა კონკრეტული გზით მიდის, — ისე, როგორც, ვთქვათ, გზა ამ გვერდის შუაგულში მდებარე წერტილისაკენ მიდის ერთი კიდიდან მარცხნივ და საწინააღმდეგო კიდიდან — მარჯვნივ. თუ დიდი, მჩაგვრელი, ანექსიის მომხდენი ერის სოციალ-დემოკრატი, იზიარებს რა საერთოდ ერების გაერთიანების აზრს, ერთი წუთით მაინც დაივიწყებს იმ გარემოებას, რომ «მისი» ნიკოლოზ II, «მისი» ვილჰელმი, გეორგი, პუანკარე და სხვ. **ამგვარვე მომხრენი** არიან პატარა ერებთან **გაერთიანებისა** (ანექსიების გზით), — ნიკოლოზ II მომხრეა გალიციასთან «გაერთიანებისა», ვილჰელმ II — ბელგიასთან «გაერთიანებისა» და სხვ., — ასეთი სოციალ-დემოკრატი სასაცილო დოქტრინიორი იქნება თეორიაში და იმპერიალიზმის ხელშემწყობი — პრაქტიკაში.

მჩაგვრელ ქვეყნებში მუშების ინტერნაციონალისტური აღზრდის სიმძიმის ცენტრი აუცილებლად უნდა მდგომარეობდეს დაჩაგრულ

ქვეყნების გამოყოფის თავისუფლების ქადაგებასა და დაცვაში. უამისოდ **არ არსებობს** ინტერნაციონალიზმი. ჩვენ უფლება გვაქვს და მოვალენიც ვართ ავად ვახსენოთ მჩაგვრელი ერის ყოველი **სოციალ-დემოკრატი**, როგორც იმპერიალისტი და არამზადა, თუ **ის არ** ეწევა ასეთ პროპაგანდას. ეს არის აუცილებელი მოთხოვნა, თუნდაც სოციალიზმის დამყარებამდე გამოყოფის **შემთხვევა** 1 000 შემთხვევიდან მხოლოდ ერთხელ იყოს შესაძლებელი და «განსახორციელებელი»...

პირიქით. პატარა ერის სოციალ-დემოკრატმა თავისი აგიტაციის სიმძიმის ცენტრი უნდა გადაიტანოს ჩვენი საერთო ფორმულის **მეორე** სიტყვაზე: ერების «ნებაყოფლობითი **გაერთიანება**». მას შეუძლია თავისი, როგორც ინტერნაციონალისტის, მოვალეობის დაურღვევლად იყოს თავისი ერის პოლიტიკური დამოუკიდებლობის **მომხრეც** და მისი მეზობელ სახელმწიფოსთან — **X, Y, Z** და სხვ. შეერთების **მომხრეც**. მაგრამ ყველა შემთხვევაში ის უნდა იბრძოდეს ვიწრო-ნაციონალური შეზღუდულობის, კარჩაკეტილობის, განკერძოების **წინააღმდეგ**, იბრძოდეს იმისათვის, რომ გათვალისწინებული იყოს მთელი და საერთო, **რომ** კერძოს ინტერესები დაუმორჩილდეს საერთოს ინტერესებს.

ადამიანები, რომლებიც არ ჩაჰკვირვებიან საკითხს, «წინააღმდეგობას» ხედავენ იმაში, რომ მჩაგვრელ ერთა სოციალ-დემოკრატები დაბეჯითებით მოითხოვდნენ **«გამოყოფის** თავისუფლებას», ხოლო ჩაგრულ ერთა სოციალ-დემოკრატები — **«შეერთების** თავისუფლებას». მაგრამ ცოტაოდენი დაფიქრება ცხადყოფს, რომ **სხვა** გზა ინტერნაციონალიზმისაკენ და ერების შეერთებისაკენ, სხვა გზა ამ მიზნისაკენ **არსებული** მდგომარეობიდან არ არის და არც შეიძლება იყოს» (იხ. ტ. XIX, გვ. 261 — 262).

VII

სტრატეგია და ტაქტიკა

ამ თემიდან მე ვიღებ ექვს საკითხს:

ა) სტრატეგია და ტაქტიკა, როგორც მეცნიერება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ხელმძღვანელობის შესახებ;

ბ) რევოლუციის ეტაპები და სტრატეგია;

გ) მოძრაობის მოზღვავება და უკუქცევა და ტაქტიკა;

დ) სტრატეგიული ხელმძღვანელობა;

ე) ტაქტიკური ხელმძღვანელობა;

ვ) რეფორმიზმი და რევოლუციონიზმი.

1) **სტრატეგია და ტაქტიკა, როგორც მეცნიერება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ხელმძღვანელობის შესახებ.** II ინტერნაციონალის ბატონობის პერიოდი უპირატესად იყო ცოტად თუ ბევრად მშვიდობიანი განვითარების პირობებში პროლეტარული პოლიტიკური არმიების შექმნისა და გაწვრთნის პერიოდი. ეს იყო პერიოდი, როდესაც კლასობრივი ბრძოლის უპირატეს ფორმას პარლამენტარიზმი წარმოადგენდა. კლასების უდიდეს შეჯახებათა, რევოლუციური შეტაკებებისათვის პროლეტარიატის მომზადებისა და პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვების გზების საკითხები, როგორც ჩანდა, იმ დროს მორიგ საკითხებად არ იდგა. ამოცანა იმით ამოიწურებოდა, რომ გამოყენებული ყოფილიყო ლეგალური განვითარების ყველა გზა პროლეტარული არმიების შესაქმნელად და გასაწვრთნელად, გამოყენებული ყოფილიყო პარლამენტარიზმი იმ პირობებთან შეფარდებით, როდესაც პროლეტარიატი რჩებოდა და, როგორც ჩანდა, უნდა დარჩენილიყო ოპოზიციის მდგომარეობაში. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ასეთ პერიოდში და პროლეტარიატის ამოცანების ასეთი გაგების დროს არ შეიძლებოდა ყოფილიყო არც მთლიანი სტრატეგია, არც დამუშავებული ტაქტიკა. იყო ნაწყვეტები, ცალკე აზრები ტაქტიკისა და სტრატეგიის შესახებ, მაგრამ ტაქტიკა და სტრატეგია არ ყოფილა.

II ინტერნაციონალის მომაკვდინებელი ცოდვა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ თავის დროს ის ატარებდა ბრძოლის საპარლამენტო ფორმების გამოყენების ტაქტიკას, არამედ იმაში, რომ ის გადაჭარბებით აფასებდა ამ ფორმების მნიშვნელობას, თითქმის ერთადერთ ფორმებად მიაჩნ-

და ისინი, ხოლო როდესაც დადგა აშკარა რევოლუციურ შეტაკებათა პერიოდი და ბრძოლის პარლამენტგარეშე ფორმების საკითხი პირველ რიგში წამოიჭრა, II ინტერნაციონალის პარტიებმა ზურგი შეაქციეს ახალ ამოცანებს, არ მიიღეს ისინი.

მხოლოდ შემდეგ პერიოდში, პროლეტარიატის აშკარა გამოსვლების პერიოდში, პროლეტარული რევოლუციის პერიოდში, როდესაც ბურჟუაზიის დამხობის საკითხი პირდაპირი პრაქტიკის საკითხად გადაიქცა, როდესაც პროლეტარიატის რეზერვების საკითხი (სტრატეგია) ერთ-ერთ ყველაზე სასიცოცხლო საკითხად იქცა, როდესაც ბრძოლისა და ორგანიზაციის ყველა ფორმა — საპარლამენტოც და პარლამენტგარეშეც (ტაქტიკა) — სრული გარკვეულობით გამომჟღავნდა, — მხოლოდ ამ პერიოდში შეიძლებოდა გამომუშავებულიყო პროლეტარიატის ბრძოლის მთლიანი სტრატეგია და დამუშავებული ტაქტიკა. მარქსისა და ენგელსის გენიალური აზრები ტაქტიკისა და სტრატეგიის შესახებ, რომლებიც II ინტერნაციონალის ოპორტუნისტებმა დაასამარეს, სწორედ ამ პერიოდში გამოიტანა ლენინმა დღის სინათლეზე. მაგრამ ლენინი არ დასჯერდა მარქსისა და ენგელსის ცალკეულ ტაქტიკურ დებულებათა აღდგენას. მან ისინი შემდგომ განავითარა და შეავსო ახალი აზრებით და დებულებებით, გააერთიანა ყოველივე ეს წესებისა და სახელმძღვანელო პრინციპების სისტემად პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ხელმძღვანელობისათვის. ლენინის ისეთი ბროშურები, როგორიც არის «რა ვაკეთოთ?», «ორი ტაქტიკა», «იმპერიალიზმი», «სახელმწიფო და რევოლუცია», «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი», «საყმაწვილო სენი», უეჭველად შევა როგორც უძვირფასესი საუნჯე მარქსიზმის საერთო საგანძურში, მის რევოლუციურ არსენალში. ლენინიზმის სტრა-

ტეგია და ტაქტიკა არის მეცნიერება პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელობის შესახებ.

2) **რევოლუციის ეტაპები და სტრატეგია.** სტრატეგია არის პროლეტარიატის მთავარი დარტყმის მიმართულების განსაზღვრა რევოლუციის არსებული ეტაპის საფუძველზე, რევოლუციურ ძალთა (მთავარი და მეორეხარისხოვანი რეზერვების) განლაგების შესაფერისი გეგმის გამომუშავება, ბრძოლა ამ გეგმის განსახორციელებლად რევოლუციის მთელი ამ ეტაპის განმავლობაში.

ჩვენმა რევოლუციამ უკვე განიცადა ორი ეტაპი და ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ შევიდა მესამე ეტაპში. ამის მიხედვით იცვლებოდა სტრატეგიაც.

პირველი ეტაპი. 1903 წელი — 1917 წლის თებერვალი. მიზანი — ცარიზმის დამხობა, შუა საუკუნეების ნაშთების სრული ლიკვიდაცია. რევოლუციის ძირითადი ძალა — პროლეტარიატი. უახლოესი რეზერვი — გლეხობა. ძირითადი დარტყმის მიმართულება: იზოლაცია ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიისა, რომელიც ცდილობს გლეხობის გადაბირებას და რევოლუციის ლიკვიდაციას ცარიზმთან **შეთანხმების** გზით. ძალთა განლაგების გეგმა: მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან. «პროლეტარიატმა ბოლომდე უნდა გაატაროს დემოკრატიული გადატრიალება, გლეხობის მასის შემოერთებით, რათა ძალით დათრგუნოს თვითმპყრობელობის წინააღმდეგობა და დასძლიოს ბურჟუაზიის მერყეობა» (იხ. **ლენინი,** ტ. VIII, გვ. 96).

მეორე ეტაპი. 1917 წლის მარტი — 1917 წლის ოქტომბერი. მიზანი — იმპერიალიზმის დამხობა რუსეთში და იმპერიალისტური ომისაგან თავის დაღწევა. რევოლუციის ძირითადი ძალა — პროლეტარიატი. უახლოესი რეზერვი — უღარიბესი გლეხობა. მეზობელი ქვეყნების პროლეტარიატი, როგორც შესაძლო რეზერვი. გაჭიანურებული ომი და

იმპერიალიზმის კრიზისი, როგორც ხელსაყრელი მომენტი. ძირითადი დარტყმის მიმართულება: იზოლაცია წვრილბურჟუაზიული დემოკრატიისა (მენშევიკები, ესერები), რომელიც ცდილობს გლეხობის მშრომელი მასების გადაბირებას და რევოლუციის დასრულებას იმპერიალიზმთან **შეთანხმების** გზით. ძალთა განლაგების გეგმა: პროლეტარიატის კავშირი უღარიბეს გლეხობასთან. «პროლეტარიატმა უნდა მოახდინოს სოციალისტური გადატრიალება, მოსახლეობის ნახევრად-პროლეტარული ელემენტების მასის შემოერთებით, რათა ძალით გატეხოს ბურჟუაზიის წინააღმდეგობა და დასძლიოს გლეხობისა და წვრილი ბურჟუაზიის მერყეობა» (იხ. იქვე).

მესამე ეტაპი. ეს ეტაპი დაიწყო ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ. მიზანი — პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება ერთ ქვეყანაში და მისი გამოყენება როგორც დასაყრდენი პუნქტისა იმპერიალიზმის დასამხობად ყველა ქვეყანაში. რევოლუცია გამოდის ერთი ქვეყნის ჩარჩოებიდან, დაიწყო მსოფლიო რევოლუციის ეპოქა. რევოლუციის ძირითადი ძალები: პროლეტარიატის დიქტატურა ერთ ქვეყანაში, პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობა ყველა ქვეყანაში. მთავარი რეზერვები: ნახევრად-პროლეტარული და წვრილი გლეხობის მასები განვითარებულ ქვეყნებში, განმათავისუფლებელი მოძრაობა კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში. ძირითადი დარტყმის მიმართულება: წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის იზოლაცია, იზოლაცია II ინტერნაციონალის პარტიებისა, რომელნიც იმპერიალიზმთან **შეთანხმების** პოლიტიკის ძირითად დასაყრდენს წარმოადგენენ. ძალთა განლაგების გეგმა: პროლეტარული რევოლუციის კავშირი კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების განმათავისუფლებელ მოძრაობასთან.

სტრატეგიას საქმე აქვს რევოლუციის ძირითად ძალებთან და მათ რეზერვებთან. ის იცვლება რევოლუციის

ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლასთან დაკავშირებით და ძირითადად უცვლელი რჩება ერთი ეტაპის მთელ პერიოდში.

3) **მოძრაობის მოზღვავება და უკუქცევა და ტაქტიკა.** ტაქტიკა არის პროლეტარიატის მოქმედების ხაზის განსაზღვრა მოძრაობის მოზღვავებისა თუ უკუქცევის, რევოლუციის აღმავლობისა თუ შენელების შედარებით მოკლე პერიოდში, ბრძოლა ამ ხაზის გასატარებლად ბრძოლისა და ორგანიზაციის ძველი ფორმების ახალი ფორმებით შეცვლის გზით, ძველი ლოზუნგების ახალი ლოზუნგებით შეცვლის გზით, ამ ფორმების შეხამების გზით და სხვ. თუ სტრატეგია მიზნად ისახავს, ვთქვათ, ცარიზმთან ან ბურჟუაზიასთან ომის მოგებას, ცარიზმთან ან ბურჟუაზიასთან ბრძოლის ბოლომდე მიყვანას, ტაქტიკა ისახავს ნაკლები მნიშვნელობის მიზანს, რადგან იგი ცდილობს მოიგოს არა ომი მთლიანად, არამედ ესა თუ ის შეტაკება, ესა თუ ის ბრძოლა, წარმატებით ჩაატაროს ესა თუ ის კამპანიები, ესა თუ ის გამოსვლები, რომლებიც შეესაბამებიან კონკრეტულ ვითარებას რევოლუციის განსაზღვრული აღმავლობის თუ შენელების პერიოდში. ტაქტიკა არის სტრატეგიის ნაწილი, რომელიც მას ექვემდებარება, მას უწევს მომსახურებას.

ტაქტიკა იცვლება მოძრაობის მოზღვავების და უკუქცევის მიხედვით. იმ დროს, როცა რევოლუციის პირველი ეტაპის პერიოდში (1903 — 1917 წ., თებერვალი) სტრატეგიული გეგმა უცვლელი რჩებოდა, ტაქტიკა ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა. 1903 — 1905 წლების პერიოდში პარტიის ტაქტიკა შეტევითი იყო, ვინაიდან რევოლუციის მოზღვავება იყო, მოძრაობა აღმა მიდიოდა, და ტაქტიკა ამ ფაქტიდან უნდა გამოსულიყო. ამისდაკვალად ბრძოლის ფორმებიც რევოლუციური იყო და შეეფერებოდა რევოლუციის მოზღვავების მოთხოვნებს. ადგილობრივი

პოლიტიკური გაფიცვები, პოლიტიკური დემონსტრაციები, საერთო პოლიტიკური გაფიცვა, სათათბიროს ბოიკოტი, აჯანყება, რევოლუციურ-საბრძოლო ლოზუნგები, — ასეთია ბრძოლის ერთიმეორის შემცვლელი ფორმები ამ პერიოდში. ბრძოლის ფორმებთან დაკავშირებით მაშინ შეიცვალა ორგანიზაციის ფორმებიც. საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტები, გლეხთა რევოლუციური კომიტეტები, საგაფიცვო კომიტეტები, მუშათა დეპუტატების საბჭოები, ცოტად თუ ბევრად აშკარად მოქმედი მუშათა პარტია, — ასეთია ორგანიზაციის ფორმები ამ პერიოდში.

1907 — 1912 წლების პერიოდში პარტია იძულებული შეიქნა გადასულიყო უკანდახევის ტაქტიკაზე, ვინაიდან მაშინ ჩვენ გვქონდა რევოლუციური მოძრაობის შენელება, რევოლუციის უკუქცევა, და ტაქტიკას არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია ამ ფაქტისათვის. ამის შესაბამისად შეიცვალა ბრძოლის ფორმებიც, ისე როგორც ორგანიზაციის ფორმებიც. სათათბიროს ბოიკოტის მაგიერ — სათათბიროში მონაწილეობა, სათათბიროს გარეთ აშკარა რევოლუციური გამოსვლების მაგიერ — გამოსვლები სათათბიროში და მუშაობა სათათბიროში, საერთო პოლიტიკური გაფიცვების მაგიერ — ნაწილობრივი ეკონომიური გაფიცვები ანდა პირდაპირ მიწყნარება. გასაგებია, რომ პარტია ამ პერიოდში არალეგალურ მუშაობაზე უნდა გადასულიყო, მასობრივი რევოლუციური ორგანიზაციები კი შეცვლილ იქნა კულტურულ-საგანმანათლებლო, კოოპერაციული, სადაზღვევო და კანონით ნებადართული სხვა ორგანიზაციებით.

იგივე უნდა ითქვას რევოლუციის მეორე და მესამე ეტაპებზე, რომელთა დროსაც ტაქტიკა მრავალჯერ იცვლებოდა, მაშინ როდესაც სტრატეგიული გეგმები უცვლელი რჩებოდა.

ტაქტიკას საქმე აქვს პროლეტარიატის ბრძოლის ფორმებთან და ორგანიზაციის ფორმებთან, მათს შეცვლასთან, მათს შეხამებასთან. რევოლუციის განსაზღვრული ეტაპის საფუძველზე ტაქტიკა შეიძლება შეიცვალოს რამდენჯერმე, რევოლუციის მოზღვავებისა თუ უკუქცევის, რევოლუციის აღმავლობისა თუ შენელების მიხედვით.

4) **სტრატეგიული ხელმძღვანელობა.** რევოლუციის რეზერვები შემდეგია:

პირდაპირი: ა) გლეხობა და საერთოდ საკუთარი ქვეყნის გარდამავალი ფენები, ბ) მეზობელი ქვეყნების პროლეტარიატი, გ) რევოლუციური მოძრაობა კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში, დ) პროლეტარიატის დიქტატურის მონაპოვარნი და მიღწევები, — რომელთა ნაწილზედაც პროლეტარიატს შეუძლია დროებით უარი თქვას და დაიტოვოს ძალთა უპირატესობა იმ მიზნით, რომ მოისყიდოს ძლიერი მოწინააღმდეგე და მიიღოს შესვენების შესაძლებლობა, და

არაპირდაპირი: ა) წინააღმდეგობანი და კონფლიქტები საკუთარი ქვეყნის არაპროლეტარულ კლასებს შორის, რაც პროლეტარიატმა შეიძლება გამოიყენოს მოწინააღმდეგის შესასუსტებლად, თავისი რეზერვების გასაძლიერებლად, ბ) წინააღმდეგობანი, კონფლიქტები და ომები (მაგალითად, იმპერიალისტური ომი) პროლეტარული სახელმწიფოსადმი მტრულ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა შორის, რაც პროლეტარიატმა შეიძლება გამოიყენოს თავისი შეტევის დროს ანდა მანევრირების დროს იძულებითი უკანდახევის შემთხვევაში.

პირველი სახის რეზერვებზე არ ღირს ბევრი ლაპარაკი, რადგან მათი მნიშვნელობა ყველასა და თვითეულს ესმის. რაც შეეხება მეორე სახის რეზერვებს, რომელთა მნიშვნელობა ყოველთვის ცხადი არ არის, უნდა ითქვას,

რომ მათ ზოგჯერ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ რევოლუციის მსვლელობისათვის. არა გვგონია შეიძლებოდეს იმ უდიდესი მნიშვნელობის უარყოფა, რომელიც ჰქონდა, მაგალითად, იმ კონფლიქტს წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიასა (ესერები) და ლიბერალურ-მონარქისტულ ბურჟუაზიას (კადეტები) შორის პირველი რევოლუციის დროს და მის შემდეგ, რამაც უეჭველად შეასრულა თავისი როლი ბურჟუაზიის გავლენისაგან გლეხობის განთავისუფლების საქმეში. მით უფრო ნაკლები საფუძველი გვაქვს უარვყოთ იმპერიალისტების ძირითად ჯგუფებს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ომის ფაქტის კოლოსალური მნიშვნელობა ოქტომბრის გადატრიალების პერიოდში, როდესაც იმპერიალისტებს, რომლებიც ერთმანეთთან ომში იყვნენ გართულნი, შესაძლებლობა არ ჰქონდათ თავი მოეყარათ ძალებისათვის ნორჩი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ხოლო პროლეტარიატმა სწორედ ამიტომ მოახერხა უშუალოდ შესდგომოდა თავისი ძალების ორგანიზაციას, თავისი ძალაუფლების განმტკიცებას და მოემზადებინა კოლჩაკისა და დენიკინის განადგურება. უნდა ვიფიქროთ, რომ ახლა, როდესაც წინააღმდეგობანი იმპერიალისტურ ჯგუფებს შორის უფრო და უფრო ღრმავდებიან და როდესაც აუცილებელი ხდება ახალი ომი მათ შორის, ასეთ რეზერვებს პროლეტარიატისათვის სულ უფრო სერიოზული მნიშვნელობა ექნებათ.

სტრატეგიული ხელმძღვანელობის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ეს რეზერვი სწორად იქნას გამოყენებული რევოლუციის ძირითადი მიზნის მისაღწევად მისი განვითარების მოცემულ ეტაპზე.

რაში მდგომარეობს რეზერვების სწორად გამოყენება?

ზოგიერთი აუცილებელი პირობის შესრულებაში, რომელთაგან მთავარ პირობებად შემდეგი უნდა ჩაითვალოს.

ჯერ-ერთი. გადამწყვეტ მომენტში რევოლუციის მთავარი ძალების დაგროვება მოწინააღმდეგისათვის ყველაზე სუსტ პუნქტში, როდესაც რევოლუცია უკვე მომწიფებულია, როდესაც შეტევა მთელი სიძლიერით მიმდინარეობს, როდესაც აჯანყება კარზე გვიკაკუნებს და როდესაც ავანგარდისათვის რეზერვების მიშველება გამარჯვების გადამწყვეტი პირობაა. რეზერვების ამგვარი გამოყენების ნათელსაყოფ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს პარტიის სტრატეგია 1917 წლის აპრილ-ოქტომბრის პერიოდში. უეჭველია, მოწინააღმდეგისათვის ყველაზე უფრო სუსტი პუნქტი ამ პერიოდში იყო ომი. უეჭველია, სწორედ ამ საკითხის, როგორც ძირითადი საკითხის, საფუძველზე შემოკრიბა პარტიამ პროლეტარული ავანგარდის გარშემო მოსახლეობის უფართოესი მასები. პარტიის სტრატეგიას ამ პერიოდში წარმოადგენდა ის, რომ იგი, წვრთნიდა რა ავანგარდს ქუჩაში გამოსვლებისათვის მანიფესტაციებისა და დემონსტრაციების გზით, ამასთან ერთად ავანგარდისაკენ რეზერვები მიჰყავდა საბჭოების საშუალებით ზურგში და ჯარისკაცთა კომიტეტების საშუალებით ფრონტზე. რევოლუციის შედეგმა დაგვანახა, რომ რეზერვების გამოყენება მართებული იყო.

აი რას ამბობს ლენინი რევოლუციის ძალთა სტრატეგიული გამოყენების ამ პირობაზე, სხვა სიტყვებით გადმოგვცემს რა მარქსისა და ენგელსის ცნობილ დებულებებს აჯანყების შესახებ:

«1) არასოდეს **არ უნდა ეთამაშო** აჯანყებას, არამედ, როდესაც აჯანყებას იწყებ, მტკიცედ უნდა იცოდე, რომ საჭიროა მისი **ბოლომდე მიყვანა.**

2) აუცილებელია დააგროვო **ძალთა დიდი უპირატესობა** გადამწყვეტ ადგილას, გადამწყვეტ მომენტში, ვინაიდან სხვაგვარად მოწინააღმ-

დეგე, რომელსაც უკეთესი მომზადება და ორგანიზაცია აქვს, გაანადგურებს აჯანყებულებს.

3) რაკი აჯანყება დაწყებულია, უნდა იმოქმედო უდიდესი **გაბედულობით** და უეჭველად, უთუოდ გადახვიდე **შეტევაზე**. «თავდაცვა შეიარაღებული აჯანყების სიკვდილია».

4) უნდა ეცადო მოულოდნელად დაესხა თავს მოწინააღმდეგეს, შეურჩიო ისეთი მომენტი, როდესაც მისი ჯარი გაბნეულია.

5) საჭიროა **ყოველდღიურად** მიაღწიო პატარა წარმატებას მაინც (შეიძლება ითქვას: ყოველ საათობით, თუ საქმე ერთ ქალაქს ეხება) და შეინარჩუნო, რადაც უნდა დაჯდეს, **«მორალური უპირატესობა»** (იხ. ტ. XXI, გვ. 319 — 320).

მეორე. გადამწყვეტი დარტყმის მომენტის შერჩევა, აჯანყების დაწყების მომენტის შერჩევა იმ ვარაუდით, რომ კრიზისმა უმაღლეს წერტილს მიაღწია, რომ ავანგარდი უკვე მზად არის ბოლომდე იბრძოლოს, რეზერვი უკვე მზად არის მხარი დაუჭიროს ავანგარდს, ხოლო მტრის რიგებში მაქსიმალური არევდარევაა.

გადამწყვეტი ბრძოლა, — ამბობს ლენინი, — შეიძლება სავსებით მომწიფებულად ჩაითვალოს, თუ «(1) ყველა ჩვენი მოწინააღმდეგე კლასობრივი ძალები საკმაოდ დაიბნენ, საკმაოდ წაეკიდნენ ერთიმეორეს, საკმაოდ დაისუსტეს თავი ბრძოლით, რომელიც მათს ძალას აღემატება»; თუ «(2) ყველა მერყევმა, მოქანავე, არამტკიცე, შუათანა ელემენტებმა, ე. ი. წვრილმა ბურჟუაზიამ, წვრილბურჟუაზიულმა დემოკრატიამ, ბურჟუაზიისაგან განსხვავებით, საკმაოდ ამხილეს თავიანთი თავი ხალხის წინაშე, საკმაოდ შეირცხვინეს თავი პრაქტიკული გაკოტრებით»; თუ «(3) პროლეტარიატში დაიწყო და მძლავრად იზრდება მასობრივი განწყობილება ბურჟუაზიის წინააღმდეგ ყველაზე უფრო გადამწყვეტ, თავგანწირულ-გაბედულ, რევოლუციურ მოქმედებათა მხარდაჭერის სასარგებლოდ. აი მაშინ არის მომწიფებული რევოლუცია, აი მაშინ ჩვენი გამარჯვება, თუ კი სისწორით გავითვალისწინეთ ყველა ზემოაღნიშნული... პირობა და სწორად შევარჩიეთ მომენტი, მაშინ არის ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილი» (იხ. ტ. XXV, გვ. 229).

ასეთი სტრატეგიის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ოქტომბრის აჯანყების ჩატარება.

ამ პირობის დარღვევა იწვევს სახიფათო შეცდომას, რომელსაც ეწოდება «ტემპის დაკარგვა», როდესაც პარტია უკან რჩება მოძრაობის მსვლელობას ანდა ბევრად წინ უსწრებს მას და ამით მარცხის საფრთხეს ქმნის. ასეთი «ტემპის დაკარგვის» მაგალითად, იმის მაგალითად, თუ როგორ არ უნდა შეარჩიო აჯანყების მომენტი, უნდა ჩაითვალოს ამხანაგების ერთი ნაწილის ცდა — დაგვეწყო აჯანყება დემოკრატიული თათბირის დაპატიმრებით 1917 წლის სექტემბერში, როდესაც საბჭოებში ჯერ კიდევ იგრძნობოდა მერყეობა, ფრონტი ჯერ კიდევ გზაჯვარედინზე იმყოფებოდა, რეზერვები ჯერ კიდევ არ იყვნენ ავანგარდთან მიყვანილი.

მესამე. უკვე მიღებული კურსის განუხრელად გატარება, მიუხედავად მიზნისაკენ მიმავალ გზაზე არსებული ყველა და ყოველგვარი დაბრკოლებისა და გართულებისა, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ავანგარდმა მხედველობიდან არ დაკარგოს ბრძოლის ძირითადი მიზანი, ხოლო მასები არ ასცდნენ გზას, იაროს ამ მიზნისაკენ და ცდილობდნენ დაირაზმონ ავანგარდის გარშემო. ამ პირობის დარღვევა იწვევს უდიდეს შეცდომას, რომელსაც კარგად იცნობენ მეზღვაურები «კურსის დაკარგვის» სახელწოდებით. «კურსის დაკარგვის» ასეთ მაგალითად უნდა ჩაითვალოს ჩვენი პარტიის მცდარი მოქმედება უშუალოდ დემოკრატიული თათბირის შემდეგ, როდესაც პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება წინაპარლამენტში მონაწილეობის შესახებ. პარტიამ თითქოს დაივიწყა ამ მომენტში, რომ წინაპარლამენტი არის ბურჟუაზიის ცდა — გადაიყვანოს ქვეყანა საბჭოების გზიდან ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის გზაზე, რომ პარტიის მონაწილეობას ასეთ დაწესებულებაში

შეუძლია მთელი საქმე არივდარიოს და გზა აუბნიოს მუშებსა და გლეხებს, რომლებიც აწარმოებენ რევოლუციურ ბრძოლას ლოზუნგით: «მთელი ძალაუფლება საბჭოებს!». ეს შეცდომა გამოსწორებულ იქნა ბოლშევიკების გამოსვლით წინაპარლამენტიდან.

მეოთხე. რეზერვებით მანევრირება, რომელიც მიზნად ისახავს სწორ უკანდახევას, როდესაც მტერი ძლიერია, როდესაც უკანდახევა აუცილებელია, როდესაც ბრძოლის მიღება, რომელსაც მოწინააღმდეგე თავზე გახვევს, აშკარად საზიანოა, როდესაც უკანდახევა, ძალთა არსებული თანაშეფარდების პირობებში, ერთადერთი საშუალებაა ავანგარდის საშიში მდგომარეობიდან გამოყვანისა და მისთვის რეზერვების შენარჩუნებისა.

«რევოლუციურმა პარტიებმა, — ამბობს ლენინი, — უნდა მოითავონ თავისი სწავლა. ისინი სწავლობდნენ შეტევას. ახლა საჭირო ხდება იმის შეგნება, რომ ამ მეცნიერებას უნდა დაემატოს მეცნიერება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა უფრო სწორად უკანდახევა. საჭირო ხდება იმის შეგნება, — და რევოლუციური კლასი საკუთარი მწარე გამოცდილებით სწავლობს ამის გაგებას, — რომ არ შეიძლება გაიმარჯვო, თუ არ ისწავლე სწორი შეტევა და სწორი უკანდახევა» (იხ. ტ. XXV, გვ. 177).

ასეთი სტრატეგიის მიზანია დროის მოგება, მოწინააღმდეგის გახრწნა და ძალების დაგროვება შემდეგში შეტევაზე გადასასვლელად.

ასეთი სტრატეგიის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ბრესტის ზავის შეკვრა, რამაც შესაძლებლობა მისცა პარტიას დრო მოეგო, გამოეყენებინა შეხლა-შემოხლა იმპერიალიზმის ბანაკში, გაეხრწნა მოწინააღმდეგის ძალები, შეენარჩუნებინა თავის მხარეზე გლეხობა და დაეგროვებინა ძალები იმისათვის, რომ მოემზადებინა შეტევა კოლჩაკსა და დენიკინზე.

«სეპარატული ზავის შეკვრით, — ამბობდა მაშინ ლენინი, — ჩვენ უდიდესი, **დღევანდელი მომენტისათვის შესაძლებელი** ზომით ვთავისუფლდებით ორივე ერთიმეორის მოქიშპე იმპერიალისტური ჯგუფისაგან, ვიყენებთ რა მათს მტრობასა და ომს ერთმანეთთან, — რაც უძნელებს მათ შეთანხმებას ჩვენს წინააღმდეგ, — ვიყენებთ ამას, ვიღებთ რა თავისუფალი მოქმედების განსაზღვრულ პერიოდს სოციალისტური რევოლუციის განგრძობისა და განმტკიცებისათვის» (იხ. ტ. XXII, გვ. 198).

«ახლა უკანასკნელი რეგვენიც კი» ხედავს, — ამბობდა ლენინი ბრესტის ზავის შეკვრის სამი წლის შემდეგ, — «რომ «ბრესტის ზავი» იყო დათმობა, რომელმაც გაგვაძლიერა ჩვენ და დაქსაქსა საერთაშორისო იმპერიალიზმის ძალები» (იხ. ტ. XXVII, გვ. 7).

ასეთია მთავარი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ სტრატეგიული ხელმძღვანელობის სისწორეს.

5) **ტაქტიკური ხელმძღვანელობა.** ტაქტიკური ხელმძღვანელობა არის სტრატეგიული ხელმძღვანელობის ნაწილი, რომელიც ექვემდებარება მის ამოცანებსა და მოთხოვნებს. ტაქტიკური ხელმძღვანელობის ამოცანა ის არის, რომ დაეუფლო პროლეტარიატის ბრძოლისა და ორგანიზაციის ყველა ფორმას და უზრუნველყო მათი სწორი გამოყენება იმისათვის, რომ მიაღწიო შედეგების იმ მაქსიმუმს ძალთა არსებული თანაშეფარდების დროს, რაც აუცილებელია სტრატეგიული წარმატების მოსამზადებლად.

რაში მდგომარეობს პროლეტარიატის ბრძოლისა და ორგანიზაციის ფორმების სწორი გამოყენება?

ზოგიერთი აუცილებელი პირობის შესრულებაში, რომელთაგან მთავარ პირობებად შემდეგი უნდა ჩაითვალოს:

ჯერ-ერთი. ბრძოლისა და ორგანიზაციის სწორედ იმ ფორმების წამოყენება პირველ რიგში, რომლებიც ყველაზე უფრო შეეფერებიან მოძრაობის მოცემული მოზღვავებისა თუ უკუქცევის პირობებს და რომელთაც შეუძლიათ გააადვილონ და უზრუნველყონ მასების მიყვანა რევოლუციურ

პოზიციებთან, მრავალმილიონიანი მასების მიყვანა რევოლუციის ფრონტთან, მათი განლაგება რევოლუციის ფრონტზე.

საქმე ეხება იმას კი არა, რომ ავანგარდმა შეიგნოს ძველი წესების შენარჩუნების შეუძლებლობა და მათი დამხობის აუცილებლობა. საქმე ეხება იმას, რომ ეს აუცილებლობა შეიგნონ მასებმა, მრავალმილიონიანმა მასებმა, და გამოიჩინონ ავანგარდისათვის მხარის დაჭერის მზადყოფნა. მაგრამ ამის შეგნება მასებს შეუძლიათ მხოლოდ საკუთარი გამოცდილების გზით. მივცეთ მრავალმილიონიან მასებს შესაძლებლობა — თავისი საკუთარი გამოცდილებით შეიცნონ ძველი ხელისუფლების დამხობის აუცილებლობა, წამოვაყენოთ ბრძოლის ისეთი ხერხები და ორგანიზაციის ისეთი ფორმები, რომლებიც გაუადვილებენ მასებს გამოცდილებით შეიცნონ რევოლუციური ლოზუნგების სისწორე, — ესაა ამოცანა.

ავანგარდი მოსწყდებოდა მუშათა კლასს, ხოლო მუშათა კლასი დაკარგავდა კავშირს მასებთან, პარტიას რომ თავის დროზე არ გადაეწყვიტა მონაწილეობის მიღება სათათბიროში, მას რომ არ გადაეწყვიტა ძალთა თავმოყრა სათათბიროს მუშაობაზე და ბრძოლის გაჩაღება ამ მუშაობის საფუძველზე იმ მიზნით, რომ გაეადვილებინა მასებისათვის საკუთარი გამოცდილებით შეეცნოთ სათათბიროს არარაობა, კადეტების დაპირებათა სიცრუე, ცარიზმთან შეთანხმების შეუძლებლობა, მუშათა კლასთან გლეხობის კავშირის აუცილებლობა. სათათბიროს პერიოდში მასების გამოცდილების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კადეტების მხილება და პროლეტარიატის ჰეგემონია.

ოტზოვიზმის ტაქტიკის საფრთხე იმაში მდგომარეობდა, რომ ის გვიქადდა ავანგარდის მოწყვეტას მისი მრავალმილიონიანი რეზერვებისაგან.

პარტია მოსწყდებოდა მუშათა კლასს, ხოლო მუშათა კლასი დაკარგავდა გავლენას გლეხობისა და ჯარისკაცების ფართო მასებში, პროლეტარიატი რომ გაჰყოლოდა «მემარცხენე» კომუნისტებს, რომლებიც მოგვიწოდებდნენ აჯანყებისაკენ 1917 წლის აპრილში, როდესაც მენშევიკებსა და ესერებს ჯერ კიდევ სავსებით არ ემხილებინათ თავიანთი თავი, როგორც ომისა და იმპერიალიზმის მომხრეებს, როდესაც მასებს ჯერ კიდევ არ შეეცნოთ თავისი საკუთარი გამოცდილებით სიყალბე მენშევიკ-ესერების სიტყვებისა ზავის, მიწის, თავისუფლების შესახებ. მასების გამოცდილება რომ არა კერენშჩინის პერიოდში, მენშევიკები და ესერები არ იქნებოდნენ იზოლირებულნი, და პროლეტარიატის დიქტატურა შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ წვრილბურჟუაზიული პარტიების შეცდომათა «მოთმინებით განმარტებისა» და საბჭოების შიგნით აშკარა ბრძოლის ტაქტიკა ერთადერთი სწორი ტაქტიკა იყო.

«მემარცხენე» კომუნისტების ტაქტიკის საფრთხე ის იყო, რომ იგი გვიქადდა პარტიის გადაქცევას პროლეტარული რევოლუციის ბელადიდან ფუქსავატ და უნიადაგო შეთქმულთა მცირერიცხოვან ჯგუფად.

«მარტო ავანგარდით, — ამბობს ლენინი, — გამარჯვება შეუძლებელია. გადამწყვეტ ბრძოლაში მარტო ავანგარდის ჩაბმა, სანამ მთელ კლასს, სანამ ფართო მასებს არ დაუკავებიათ ავანგარდისათვის ან პირდაპირი დახმარების პოზიცია, ან, ყოველ შემთხვევაში, მის მიმართ კეთილგანწყობილი ნეიტრალიტეტის პოზიცია... იქნებოდა არა მარტო სისულელე, არამედ დანაშაულიც. ხოლო იმისათვის, რომ ნამდვილად მთელი კლასი, მშრომელთა და კაპიტალის მიერ დაჩაგრულთა ნამდვილად ფართო მასები ამ პოზიციამდე მივიდნენ, ამისათვის მარტო პროპაგანდა, მარტო აგიტაცია არ კმარა. ამისათვის საჭიროა ამ მასების საკუთარი პოლიტიკური გამოცდილება. ასეთია ყველა დიდი რევოლუციის ძირითადი კანონი, რომელიც ახლა დადასტურებული» გასაოცარი ძალითა და სიმკვეთრით არა მარტო რუსეთის მიერ, არა-

მედ გერმანიის მიერაც. არა მარტო რუსეთის უკულტურო, ხშირად წერა-კითხვის უცოდინარ მასებს, არამედ გერმანიის დიდად კულტურულ, უკლებლივ წერა-კითხვის მცოდნე მასებსაც დასჭირდათ საკუთარ ტყავზე გამოეცადათ II ინტერნაციონალის რაინდთა მთავრობის მთელი უძლურება, მთელი უხასიათობა, მთელი უმწეობა, მთელი ლაქიობა ბურჟუაზიის წინაშე, მთელი სისაძაგლე, უკიდურესი რეაქციონერების (კორნილოვი რუსეთში, კაპი და კომპ. გერმანიაში) დიქტატურის მთელი გარდუვალობა, როგორც ერთადერთი ალტერნატივი პროლეტარიატის დიქტატურის მიმართ, რათა ეს მასები გადაჭრით მიმხრობოდნენ კომუნიზმს» (იხ. ტ. XXV, გვ. 228).

მეორე. ყოველ მოცემულ მომენტში პროცესების ჯაჭვის იმ განსაკუთრებული რგოლის მონახვა, რომლისთვის ხელის ჩაჭიდებითაც შესაძლებელი იქნება მთელი ჯაჭვის შენარჩუნება და პირობების მომზადება სტრატეგიული წარმატების მისაღწევად.

საქმე ეხება იმას, რომ მთელ რიგ ამოცანათაგან, რომლებიც პარტიის წინაშე დგას, გამოვყოთ სწორედ ის მორიგი ამოცანა, რომლის გადაჭრაც ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენს და რომლის განხორციელებაც უზრუნველყოფს დანარჩენ მორიგ ამოცანათა წარმატებით გადაჭრას.

ამ დებულების მნიშვნელობა შეიძლებოდა ცხადგვეყო ორი მაგალითით, რომელთაგან ერთის აღება შეიძლებოდა შორეული წარსულიდან (პარტიის შექმნის პერიოდი), ხოლო მეორისა — ჩვენთვის ყველაზე უფრო ახლო აწმყოდან (ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდი).

პარტიის შექმნის პერიოდში, როდესაც უამრავი წრეები და ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ იყვნენ ერთიმეორესთან დაკავშირებულნი, როდესაც კუსტარულობა და წრეობანა ღრღნიდა პარტიას თავიდან ბოლომდე, როდესაც იდეური დაქსაქსულობა პარტიის შინაგანი ცხოვრების დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა, — ამ პერიოდში ძირითადი

რგოლი და ძირითადი ამოცანა რგოლების ჯაჭვში და ამოცანების ჯაჭვში, რომლებიც იდგა მაშინ პარტიის წინაშე, აღმოჩნდა საერთო-რუსული არალეგალური გაზეთის («ისკრა») დაარსება. რატომ? იმიტომ, რომ მხოლოდ საერთო-რუსული არალეგალური გაზეთის საშუალებით შეიძლებოდა იმდროინდელ პირობებში პარტიის ხმაშეწყობილი ბირთვის შექმნა, რომელსაც უნარი ექნებოდა გაეერთიანებინა უამრავი წრეები და ორგანიზაციები, მოემზადებინა იდეური და ტაქტიკური ერთიანობის პირობები და, ამრიგად, საძირკველი ჩაეყარა ნამდვილი პარტიის შექმნისათვის.

ომიდან სამეურნეო მშენებლობაზე გადასვლის პერიოდში, როდესაც მრეწველობა ძლივს ბოგინობდა ნგრევის ბრჭყალებში, ხოლო სოფლის მეურნეობა ქალაქის ნაწარმის ნაკლებობას განიცდიდა, როდესაც სახელმწიფო ინდუსტრიის კავშირი გლეხურ მეურნეობასთან გახდა სოციალისტური მშენებლობის წარმატების ძირითადი პირობა, — ამ პერიოდში ძირითადი რგოლი პროცესების ჯაჭვში, ძირითადი ამოცანა სხვა ამოცანებს შორის აღმოჩნდა ვაჭრობის განვითარება. რატომ? იმიტომ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში ინდუსტრიის კავშირი გლეხურ მეურნეობასთან შეუძლებელია სხვაგვარად, თუ არა ვაჭრობის საშუალებით, იმიტომ, რომ წარმოება გასაღების გარეშე ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში ინდუსტრიის სიკვდილს ნიშნავს, იმიტომ, რომ ინდუსტრიის გაფართოება შეიძლება მხოლოდ გასაღების გაფართოებით — ვაჭრობის განვითარების გზით, იმიტომ, რომ მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამაგრდები ვაჭრობის დარგში, დაეუფლები ვაჭრობას, დაეუფლები ამ რგოლს, შეიძლება იქონიო იმედი — დაუკავშირო ინდუსტრია გლეხურ ბაზარს და წარმატებით

გადაჭრა სხვა მორიგი ამოცანები, რათა შექმნა პირობები სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის ასაგებად.

«არ კმარა იყო რევოლუციონერი და სოციალიზმის მომხრე ან კომუნისტი საერთოდ... — ამბობს ლენინი. — უნდა შეგეძლოს ყოველ მომენტში ჯაჭვის იმ განსაკუთრებული რგოლის გამონახვა, რომელსაც მთელი ძალღონით უნდა ჩასჭიდო ხელი, რათა შეინარჩუნო მთელი ჯაჭვი და მტკიცედ მოამზადო გადასვლა შემდეგ რგოლზე»...

«დღევანდელ მომენტში... ასეთი რგოლი არის საშინაო **ვაჭრობის** გამოცოცხლება, მისი სწორი სახელმწიფოებრივი რეგულირების (წარმართვის) პირობებში. ვაჭრობა — აი ის «რგოლი» მოვლენათა ისტორიულ ჯაჭვში, 1921 — 1922 წლების ჩვენი სოციალისტური მშენებლობის გარდამავალ ფორმებში, **«რომელსაც მთელი ძალღონით უნდა ჩავჭიდოთ ხელი»...»** (იხ. ტ. XXVII, გვ. 82).

ასეთია მთავარი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტაქტიკური ხელმძღვანელობის სისწორეს.

6) **რეფორმიზმი და რევოლუციონიზმი.** რით განსხვავდება რევოლუციური ტაქტიკა რეფორმისტული ტაქტიკისაგან?

ზოგიერთი ფიქრობს, რომ ლენინიზმი რეფორმების წინააღმდეგია, საერთოდ კომპრომისებისა და შეთანხმებების წინააღმდეგია. ეს სრულიადაც არ არის სწორი. ბოლშევიკებმა სხვებზე ნაკლებად არ იციან, რომ განსაზღვრული აზრით «ყოველი მოცემული კეთილ არს», რომ განსაზღვრულ პირობებში რეფორმები საერთოდ, კომპრომისები და შეთანხმებები კერძოდ — აუცილებელი და სასარგებლოა.

«აწარმოებდე ომს, — ამბობს ლენინი, — საერთაშორისო ბურჟუაზიის დასამხობად, ომს, რომელიც ასჯერ უფრო ძნელი, ხანგრძლივი და რთულია ყველაზე შეუპოვარ ჩვეულებრივ ომთაგან სახელმწიფოთა შორის, და ამავე დროს წინასწარ ხელი აიღო მანევრირებაზე, მტრებს შორის ინტერესთა წინააღმდეგობის (თუნდაც დროებითი წინააღმდეგობის) გამოყენებაზე, შემთანხმებლობასა და კომპრომისებზე შესაძლე-

ბელ მოკავშირეებთან (თუნდაც დროებითს, არამტკიცე. მერყევ, პირობით მოკავშირეებთან), — განა ეს უსაზღვროდ სასაცილო ამბავი არ არის? განა ეს იმას არ წააგავს, რომ ჯერ კიდევ გამოუკვლეველ და დღემდე მიუდგომელ მთაზე საძნელო ასვლის დროს წინასწარვე უარი ვთქვათ იმაზე, რომ ზოგჯერ მიხვეულ-მოხვეული გზით ვიაროთ, ზოგჯერ უკან დავბრუნდეთ, უარი ვთქვათ ერთხელ არჩეულ მიმართულებაზე და ვსინჯოთ სხვადასხვა მიმართულება?» (იხ. ტ. XXV, გვ. 210).

საქმე, ცხადია, რეფორმები ან კომპრომისები და შეთანხმებები კი არაა, არამედ ის, თუ როგორ იყენებენ ადამიანები რეფორმებსა და შეთანხმებებს.

რეფორმისტისათვის რეფორმა ყველაფერია, რევოლუციური მუშაობა კი — სასხვათაშორისო, სალაპარაკო და თვალისასახვევი რამ არის. ამიტომ რეფორმა რეფორმისტული ტაქტიკის დროს, ბურჟუაზიული ძალაუფლების არსებობის პირობებში, აუცილებლად იქცევა ამ ძალაუფლების განმტკიცების იარაღად, რევოლუციის გახრწნის იარაღად.

რევოლუციონერისათვის კი, პირიქით, მთავარია რევოლუციური მუშაობა და არა რეფორმა, — რეფორმა მისთვის არის რევოლუციის არაპირდაპირი პროდუქტი. ამიტომ რეფორმა რევოლუციური ტაქტიკის დროს, ბურჟუაზიული ძალაუფლების არსებობის პირობებში, ბუნებრივად იქცევა ამ ძალაუფლების გახრწნის იარაღად, რევოლუციის განმტკიცების იარაღად, რევოლუციური მოძრაობის შემდგომი განვითარების დასაყრდენ პუნქტად.

რევოლუციონერი იღებს რეფორმას იმისათვის, რომ გამოიყენოს იგი, როგორც ხელჩასაჭიდი არალეგალურ მუშაობასთან ლეგალური მუშაობის შესახამებლად, იმისათვის, რომ გამოიყენოს იგი, როგორც საფარი არალეგალური მუშაობის გასაძლიერებლად, რათა რევოლუციურად მოამზადოს მასები ბურჟუაზიის დასამხობად.

ესაა იმპერიალიზმის პირობებში რეფორმათა და შეთანხმებათა რევოლუციური გამოყენების დედაარსი.

რეფორმისტი კი, პირიქით, იღებს რეფორმას იმისათვის, რომ ხელი აიღოს ყოველგვარ არალეგალურ მუშაობაზე, ხელი შეუშალოს რევოლუციისათვის მასების მომზადების საქმეს და ტკბილად განისვენოს «ნაბოძები» რეფორმის ჩრდილში.

ესაა რეფორმისტული ტაქტიკის დედაარსი.

ასე არის რეფორმათა და შეთანხმებათა საქმე იმპერიალიზმის პირობებში.

მაგრამ საქმე რამდენადმე იცვლება იმპერიალიზმის დამხობის შემდეგ, პროლეტარიატის დიქტატურის დროს. გარკვეულ პირობებში, გარკვეულ ვითარებაში პროლეტარული ხელისუფლება შეიძლება იძულებული გახდეს არსებული წესების რევოლუციური გარდაქმნის გზიდან დროებით გადავიდეს მათი თანდათანობით გადაკეთების გზაზე, «რეფორმისტულ გზაზე», როგორც ამბობს ლენინი ცნობილ სტატიაში «ოქროს მნიშვნელობის შესახებ» [32], შემოვლითი მოძრაობის გზაზე, რეფორმათა და არაპროლეტარული კლასებისადმი დათმობათა გზაზე, რათა გახრწნას ეს კლასები, მისცეს რევოლუციას შესვენების საშუალება, შემოიკრიბოს ძალები და მოამზადოს პირობები ახალი შეტევისათვის. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ეს გზა განსაზღვრული აზრით წარმოადგენს «რეფორმისტულ» გზას. ოღონდ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ აქ გვაქვს ერთი ძირითადი თავისებურება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ რეფორმა ამ შემთხვევაში პროლეტარული ხელისუფლებისაგან გამომდინარეობს, რომ ის ამაგრებს პროლეტარულ ხელისუფლებას, რომ ის აძლევს მას აუცილებელ შესვენებას, რომ იგი მოწოდებულია გახრწნას არა რევოლუცია, არამედ არაპროლეტარული კლასები.

ამრიგად, ასეთ პირობებში რეფორმა იქცევა თავის დაპირისპირებულობად.

ასეთი პოლიტიკის გატარება პროლეტარული ხელისუფლების მხრით შესაძლებელი ხდება იმიტომ, და მხოლოდ იმიტომ, რომ რევოლუციის გაქანება წინა პერიოდში საკმაოდ დიდი იყო, და, ამრიგად, მან მოგვცა საკმაოდ ფართო ასპარეზი იმისათვის, რომ მოინახოს უკანდასახევი ადგილი, შეიცვალოს შეტევის ტაქტიკა დროებითი უკანდახევის ტაქტიკით, შემოვლითი მოძრაობის ტაქტიკით.

ამრიგად, თუ წინათ, ბურჟუაზიული ხელისუფლების დროს, რეფორმები იყო რევოლუციის არაპირდაპირი პროდუქტი, ახლა, პროლეტარიატის დიქტატურის დროს, რეფორმების წყაროს წარმოადგენენ პროლეტარიატის რევოლუციური მონაპოვარნი, პროლეტარიატის ხელში დაგროვილი რეზერვი, რომელიც ამ მონაპოვართაგან შესდგება.

«რეფორმების დამოკიდებულება რევოლუციისადმი, — ამბობს ლენინი, — ზუსტად და სწორად განსაზღვრულია მხოლოდ მარქსიზმის მიერ, ამასთან მარქსს შეეძლო დაენახა ეს დამოკიდებულება მხოლოდ ერთი მხრით, სახელდობრ: იმ ვითარებაში, რომელიც წინ უსწრებდა პროლეტარიატის პირველ, რამდენადმე მტკიცე, რამდენადმე ხანგრძლივ გამარჯვებას თუნდაც ერთ ქვეყანაში. ასეთ ვითარებაში მართებული დამოკიდებულების საფუძველი იყო: რეფორმები არის პროლეტარიატის რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის არაპირდაპირი პროდუქტი... პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ, თუნდაც ერთ ქვეყანაში, რევოლუციისადმი რეფორმების დამოკიდებულებაში ჩნდება რაღაც ახალი. პრინციპულად საქმე იგივე რჩება, მაგრამ ფორმის მხრივ ჩნდება ცვლილება, რომლის გათვალისწინება მარქსს პირადად არ შეეძლო, მაგრამ რომლის შეცნობაც შესაძლებელია მხოლოდ მარქსიზმის ფილოსოფიისა და პოლიტიკის ნიადაგზე... გამარჯვების შემდეგ ისინი (ე. ი. რეფორმები. **ი. სტ.**) (რჩებიან რა საერთაშორისო მასშტაბით იმავე «არაპირდაპირ პროდუქტად») იმ ქვეყნისათვის, რომელშიც მიღწეულია გამარჯვება, გარდა ამისა, წარმოადგენენ აუცილებელ და კანონიერ შესვენებას იმ შემთხვევაში, როდესაც ძალები,

მათი უაღრესად მაქსიმალური დაძაბვის შემდეგ, აშკარად არასაკმარისია ამა თუ იმ გადასვლის რევოლუციური შესრულებისათვის. გამარჯვება იძლევა ისეთს «ძალების მარაგს», რომ იძულებითი უკანდახევის დროსაც კი ჩვენ მოგვეპოვება ის, რაც თავს გაგვატანინებს, — თავს გაგვატანინებს მატერიალურადაც და მორალური მხრითაც» (იხ. ტ. XXVII, გვ. 84 — 85).

VIII

პარტია

რევოლუციისწინა პერიოდში, ცოტად თუ ბევრად მშვიდობიანი განვითარების პერიოდში, როდესაც II ინტერნაციონალის პარტიები მუშათა მოძრაობაში გაბატონებულ ძალას წარმოადგენდნენ, ხოლო ბრძოლის საპარლამენტო ფორმები ძირითად ფორმებად ითვლებოდნენ, — ამ პირობებში პარტიას არ ჰქონდა და ვერც ექნებოდა ის სერიოზული და გადამწყვეტი მნიშვნელობა, რაც მან მოიპოვა შემდეგ, აშკარა რევოლუციურ შეტაკებათა პირობებში. კაუცკი, იცავს რა II ინტერნაციონალს თავდასხმებისაგან, ამბობს, რომ II ინტერნაციონალის პარტიები არიან მშვიდობიანობის და არა ომის ინსტრუმენტი, რომ სწორედ ამიტომ ისინი უძლური აღმოჩნდნენ სერიოზული რამ გაეკეთებინათ ომის დროს, პროლეტარიატის რევოლუციური გამოსვლების პერიოდში. ეს სავსებით სწორია. მაგრამ რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ II ინტერნაციონალის პარტიები გამოუსადეგარი არიან პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლისათვის, რომ ისინი წარმოადგენენ არა პროლეტარიატის მებრძოლ პარტიებს, რომელთაც მუშები მიჰყავთ ძალაუფლებისაკენ, არამედ წარმოადგენენ საარჩევნო აპარატს, რომელიც შეეფერება საპარლამენტო არჩევნებს და საპარლამენტო ბრძოლას. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ II ინტერნაციონალის ოპორტუნისტთა ბატონობის პერიოდში პროლეტარიატის ძირითად

პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენდა არა პარტია, არამედ საპარლამენტო ფრაქცია. ცნობილია, რომ საქმით პარტია ამ პერიოდში წარმოადგენდა საპარლამენტო ფრაქციის დანამატს და მომსახურე ელემენტს. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ასეთ პირობებში და ასეთი პარტიის მეთაურობით ლაპარაკიც შეუძლებელი იყო რევოლუციისათვის პროლეტარიატის მომზადებაზე.

მაგრამ საქმე ძირფესვიანად შეიცვალა ახალი პერიოდის დადგომით. ახალი პერიოდი არის კლასთა აშკარა შეტაკებების პერიოდი, პროლეტარიატის რევოლუციური გამოსვლების პერიოდი, პროლეტარული რევოლუციის პერიოდი, იმპერიალიზმის დასამხობად და პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დასაპყრობად ძალთა პირდაპირი მომზადების პერიოდი. ეს პერიოდი აყენებს პროლეტარიატის წინაშე ახალ ამოცანებს: მთელი პარტიული მუშაობის გარდაქმნა ახალ, რევოლუციურ ყაიდაზე, მუშების აღზრდა ძალაუფლებისათვის რევოლუციური ბრძოლის სულისკვეთებით, რეზერვების მომზადება და თავმოყრა, მეზობელი ქვეყნების პროლეტარებთან კავშირი, კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების განმათავისუფლებელ მოძრაობასთან მტკიცე კავშირის დამყარება და სხვ. და სხვ. იმის ფიქრი, რომ ამ ახალი ამოცანების გადაწყვეტა შესაძლებელია ძველი სოციალ-დემოკრატიული პარტიების ძალებით, რომლებიც აღზრდილი არიან პარლამენტარიზმის მშვიდობიან პირობებში, — ნიშნავს განიმზადო უიმედო სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა, აუცილებელი დამარცხება. ასეთი ამოცანები გაწვეს კისერზე და სათავეში კი გედგას ძველი პარტიები — იმას ნიშნავს, რომ სრულიად განიარაღებული დარჩე. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ პროლეტარიატს არ შეეძლო შერიგებოდა ასეთ მდგომარეობას.

აქედან — აუცილებლობა ახალი პარტიისა, მებრძოლი პარტიისა, რევოლუციური პარტიისა, რომელიც საკმაოდ გამბედავია იმისათვის, რომ წაიყვანოს პროლეტარები ძალაუფლებისათვის საბრძოლველად, საკმაოდ გამოცდილია იმისათვის, რომ გაერკვეს რევოლუციური ვითარების რთულ პირობებში, და საკმაოდ მოქნილია იმისათვის, რომ გვერდი აუაროს ყველა და ყოველგვარ წყალქვეშა ქვებს მიზნისაკენ სავალ გზაზე.

ასეთი პარტიის გარეშე ფიქრიც კი ზედმეტია იმპერიალიზმის დამხობაზე, პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვებაზე.

ეს ახალი პარტია არის ლენინიზმის პარტია.

რაში გამოიხატება ამ ახალი პარტიის თავისებურებანი?

1) **პარტია, როგორც მუშათა კლასის მოწინავე რაზმი.** პარტია, უწინარეს ყოვლისა, უნდა იყოს მუშათა კლასის **მოწინავე** რაზმი. პარტიამ თავის არსებაში უნდა შეაერთოს მუშათა კლასის ყველა საუკეთესო ელემენტი, მათი გამოცდილება, მათი რევოლუციურობა, მათი თავდადებული ერთგულება პროლეტარიატის საქმისადმი. მაგრამ იმისათვის, რომ პარტია ნამდვილად მოწინავე რაზმს წარმოადგენდეს, იგი შეიარაღებული უნდა იყოს რევოლუციური თეორიით, მოძრაობის კანონების ცოდნით, რევოლუციის კანონების ცოდნით. უამისოდ მას არ შეუძლია უხელმძღვანელოს პროლეტარიატის ბრძოლას, თან გაიყოლიოს პროლეტარიატი. პარტია ვერ იქნება ნამდვილი პარტია, თუ ის კმაყოფილდება იმის აღნუსხვით, რასაც განიცდის და ფიქრობს მუშათა კლასის მასა, თუ ის უკან მისჩანჩალებს სტიქიურ მოძრაობას, თუ მას არ ძალუძს გადალახოს სტიქიური მოძრაობის სიზანტე და პოლიტიკური ინდიფერენტიზმი, თუ მას არ შეუძლია პროლეტარიატის წუთიერ ინტერესებზე მაღლა დადგეს, თუ მას არ ძალუძს მასების ამაღლება პროლეტარიატის კლა-

სობრივი ინტერესების გაგების დონემდე. პარტია მუშათა კლასის წინ უნდა იდგეს, იგი მუშათა კლასზე უფრო შორს უნდა ხედავდეს, იგი წინ უნდა მიუძღოდეს პროლეტარიატს და კუდში კი არ მიჰჩანჩალებდეს სტიქიურობას. II ინტერნაციონალის პარტიები, რომლებიც «მაჩანჩალობას» ქადაგებენ, გამტარებელნი არიან ბურჟუაზიული პოლიტიკისა, რომელიც პროლეტარიატს არგუნებს იარაღის როლს ბურჟუაზიის ხელში. მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც პროლეტარიატის მოწინავე რაზმის თვალსაზრისზე დგას და რომელსაც უნარი აქვს აამაღლოს მასები პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების გაგების დონემდე, — მხოლოდ ასეთ პარტიას შეუძლია გადმოიყვანოს მუშათა კლასი ტრედ-უნიონიზმის გზიდან და გადააქციოს იგი დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად.

პარტია არის მუშათა კლასის პოლიტიკური ბელადი.

ზემოთ მე ვილაპარაკე მუშათა კლასის ბრძოლის სიძნელეებზე, ბრძოლის პირობების სირთულეზე, სტრატეგიასა და ტაქტიკაზე, რეზერვებსა და მანევრირებაზე, შეტევასა და უკანდახევაზე. ეს პირობები, ომის პირობებზე თუ მეტად არა, ნაკლებად რთული არ არის. ვის შეუძლია გაერკვეს ამ პირობებში, ვის შეუძლია მისცეს სწორი ორიენტაცია პროლეტარების მილიონიან მასებს? არც ერთ არმიას არ შეუძლია ომში მოქმედება გამოცდილი შტაბის გარეშე, თუ მას არ სურს თავი გასწიროს დასამარცხებლად. განა ცხადი არ არის, რომ პროლეტარიატს მით უფრო არ შეუძლია იმოქმედოს ასეთი შტაბის გარეშე, თუ მას არ სურს თავისი მოსისხლე მტრების ლუკმა გახდეს? მაგრამ სად არის ეს შტაბი? ასეთი შტაბი შეიძლება იყოს მხოლოდ პროლეტარიატის რევოლუციური პარტია. მუშათა კლასი რევოლუციური პარტიის გარეშე — ეს არის უშტაბო არმია.

პარტია არის პროლეტარიატის საბრძოლო შტაბი.

მაგრამ პარტია არ შეიძლება იყოს მხოლოდ **მოწინავე** რაზმი. ის ამავე დროს უნდა იყოს **კლასის** რაზმი, კლასის ნაწილი, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია მასთან თავისი არსებობის ყველა ფესვით. განსხვავება მოწინავე რაზმსა და მუშათა კლასის დანარჩენ მასას შორის, პარტიულებსა და უპარტიოებს შორის ვერ მოისპობა მანამდე, სანამ არ მოისპობიან კლასები, სანამ პროლეტარიატის რიგები ივსება სხვა კლასებიდან გამოსული ელემენტებით, სანამ მთლიანად მუშათა კლასი მოკლებული იქნება საშუალებას — ამაღლდეს მოწინავე რაზმის დონემდე. მაგრამ პარტია ვერარ იქნება პარტია, ეს განსხვავება განხეთქილებად რომ გადაიქცეს, პარტია თავის ნაჭუჭში რომ ჩაიკეტოს და მოსწყდეს უპარტიო მასებს. პარტიას არ შეუძლია უხელმძღვანელოს კლასს, თუ ის დაკავშირებული არ არის უპარტიო მასებთან, თუ არ არსებობს კავშირი პარტიასა და უპარტიო მასებს შორის, თუ ეს მასები არ ცნობენ მის ხელმძღვანელობას, თუ პარტია არ სარგებლობს მასებში მორალური და პოლიტიკური ნდობით.

ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენს პარტიაში მიღებულ იქნა ორასი ათასი ახალი წევრი მუშათა წრიდან. აქ ფრიად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ეს ხალხი იმდენად თვითონ არ მოსულა პარტიაში, რამდენადაც გამოგზავნილი იყო მთელი დანარჩენი უპარტიო მასის მიერ, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ახალი წევრების მიღებაში და რომლის დაუდასტურებლად არ ხდებოდა ახალი წევრების მიღება. ეს ფაქტი მოწმობს იმას, რომ უპარტიო მუშათა ფართო მასები ჩვენს პარტიას თვლიან **თავიანთ** პარტიად, **ახლობელ** და **მშობლიურ** პარტიად, რომლის გაფართოებასა და განმტკიცებაში ისინი უაღრესად არიან დაინტერესებული და რომლის ხელმძღვანელობასაც ისინი ნებაყოფლობით

ანდობენ თავიანთ ბედს. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ამ უხილავი მორალური ძაფების გარეშე, რომლებიც აკავშირებენ პარტიას უპარტიო მასებთან, პარტია ვერ გადაიქცეოდა თავისი კლასის გადამწყვეტ ძალად.

პარტია არის მუშათა კლასის განუყოფელი ნაწილი.

«ჩვენ, — ამბობს ლენინი, — კლასის პარტია ვართ, და ამიტომ **თითქმის მთელი კლასი** (ხოლო ომიანობის დროს, სამოქალაქო ომის ეპოქაში, უკლებლივ მთელი კლასიც) უნდა მოქმედებდეს ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით, რაც შეიძლება მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ჩვენს პარტიასთან, მაგრამ მანილოვობა და «მაჩანჩალობა» იქნებოდა გვეფიქრა, რომ ოდესმე თითქმის მთელი კლასი ან მთელი კლასი შესძლებს, კაპიტალიზმის დროს, ამაღლდეს თავისი მოწინავე რაზმის, თავისი სოციალ-დემოკრატიული პარტიის შეგნებულობამდე და აქტივობამდე. არც ერთი გონიერი სოციალ-დემოკრატი ჯერ არ დაეჭვებულა იმაში, რომ კაპიტალიზმის დროს პროფესიულ ორგანიზაციასაც კი (რომელიც უფრო პრიმიტიულია, უფრო მისაწვდომია განუვითარებელი ფენების შეგნებისათვის) არ შეუძლია მოიცვას თითქმის მთელი ან მთელი მუშათა კლასი. მხოლოდ თავის მოტყუება, ჩვენი უდიდესი ამოცანების წინაშე თვალის დახუჭვა, ამ ამოცანების შეკვეცა იქნებოდა დავიწყება განსხვავებისა მოწინავე რაზმსა და მთელ იმ მასებს შორის, რომელნიც მისკენ მიისწრაფიან, დავიწყება მოწინავე რაზმის მუდმივი მოვალეობისა — ამ მოწინავე დონემდე **აამაღლოს** სულ უფრო და უფრო ფართო ფენები» (იხ. ტ. VI, გვ. 205 — 206).

2) **პარტია, როგორც მუშათა კლასის ორგანიზებული რაზმი.** პარტია არ არის მუშათა კლასის მხოლოდ **მოწინავე** რაზმი. თუ პარტიას სურს ნამდვილად უხელმძღვანელოს კლასის ბრძოლას, ის ამავე დროს უნდა იყოს თავისი კლასის **ორგანიზებული** რაზმი. პარტიის ამოცანები კაპიტალიზმის პირობებში ფრიად დიდი და მრავალფეროვანია. პარტიამ ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს პროლეტარიატის ბრძოლას საშინაო და საგარეო განვითარების უაღრესად ძნელ პირობებში, მან უნდა წაიყვანოს პროლეტარიატი შეტევაზე, როცა ვითარება შეტევას მოითხოვს, მან უნდა გა-

მოიყვანოს პროლეტარიატი ძლიერი მოწინააღმდეგის თავდასხმის არიდან, როცა ვითარება უკანდახევას მოითხოვს, მან შეუკავშირებელი უპარტიო მუშების მილიონიან მასებში უნდა შეიტანოს დისციპლინისა და გეგმაშეზომილობის სული ბრძოლაში, ორგანიზებულობისა და გამძლეობის სული. მაგრამ პარტიას ამ ამოცანების შესრულება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვით იგი წარმოადგენს დისციპლინისა და ორგანიზებულობის განსახიერებას, თუ ის თვით არის პროლეტარიატის **ორგანიზებული** რაზმი. ამ პირობათა გარეშე ლაპარაკიც კი არ შეიძლება პარტიის მიერ პროლეტარიატის მილიონიანი მასების ნამდვილ ხელმძღვანელობაზე.

პარტია არის მუშათა კლასის ორგანიზებული რაზმი.

აზრი პარტიაზე, როგორც ორგანიზებულ მთელზე, მოცემულია ლენინის მიერ ჩვენი პარტიის წესდების პირველი მუხლის ცნობილ ფორმულირებაში, სადაც პარტია განხილულია როგორც ორგანიზაციების **ჯამი**, ხოლო პარტიის წევრები — როგორც პარტიის ერთ-ერთი ორგანიზაციის წევრები. მენშევიკები, რომლებიც ჯერ კიდევ 1903 წელს ილაშქრებდნენ ასეთი ფორმულირების წინააღმდეგ, მის ნაცვლად აყენებდნენ პარტიაში თვითჩარიცხვის «სისტემას», «სისტემას», რომლის მიხედვით პარტიის წევრის «სახელწოდება» ვრცელდებოდა ყოველ «პროფესორზე» და «გიმნაზიელზე», ყოველ «თანამგრძნობზე» და «გაფიცულზე», ვინც კი ასე თუ ისე მხარს უჭერს პარტიას, მაგრამ არ შედის და არც სურს შევიდეს პარტიის რომელიმე ორგანიზაციაში. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ეს ორიგინალური «სისტემა», ჩვენს პარტიაში რომ იგი განმტკიცებულიყო, აუცილებლად გამოიწვევდა პარტიის გავსებას პროფესორებითა და გიმნაზიელებით და მის გადაგვარებას უსახო, ჩამოუყალიბებელ, დეზორგანიზებულ

«ქმნილებად», რომელიც ჩაიძირებოდა «თანამგრძნობთა» ზღვაში, რომელიც წაშლიდა ყოველსავე ზღვარს პარტიასა და კლასს შორის და უკუაგდებდა პარტიის ამოცანას მოწინავე რაზმის დონემდე არაორგანიზებული მასების ამაღლების შესახებ. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთი ოპორტუნისტული «სისტემის» დროს ჩვენი პარტია ვერ შეასრულებდა მუშათა კლასის დამრაზმავი ბირთვის როლს ჩვენი რევოლუციის მსვლელობაში.

«ამხ. მარტოვის თვალსაზრისით, — ამბობს ლენინი, — პარტიის საზღვარი სრულიად გამოურკვეველი რჩება, ვინაიდან «ყოველ გაფიცულს» შეუძლია «თავისი თავი გამოაცხადოს პარტიის წევრად». რა სარგებლობა მოაქვს ასეთ გაურკვევლობას? «სახელწოდების» ფართოდ გავრცელება. მის ზიანს კი წარმოადგენს შეტანა **დეზორგანიზაციის გამომწვევი** იდეისა კლასის და პარტიის ერთიმეორეში არევის შესახებ» (იხ. ტ. VI, გვ. 211).

მაგრამ პარტია პარტიული ორგანიზაციების მარტო **ჯამი** როდია. ამასთან ერთად პარტია არის ამ ორგანიზაციათა ერთიანი **სისტემა,** მათი ფორმალური გაერთიანება ერთ მთელად, ხელმძღვანელობის უმაღლესი და ქვემდგომი ორგანოებით, უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილებით, პარტიის ყველა წევრისათვის სავალდებულო პრაქტიკული გადაწყვეტილებებით. ამ პირობების გარეშე პარტიას არ ძალუძს იყოს ერთიანი ორგანიზებული მთელი, რომელსაც უნარი ექნება განახორციელოს მუშათა კლასის ბრძოლის გეგმაშეზომილი და ორგანიზებული ხელმძღვანელობა.

«წინათ, — ამბობს ლენინი, — ჩვენი პარტია არ იყო ფორმალურად ორგანიზებული მთელი, არამედ მხოლოდ კერძო ჯგუფების ჯამი იყო, და ამიტომ ამ ჯგუფებს შორის, გარდა იდეური ზეგავლენისა, სხვაგვარი ურთიერთობა არც შეიძლებოდა ყოფილიყო. **ახლა** ჩვენ ორგანიზებული პარტია გავხდით, ხოლო სწორედ ეს მოასწავებს ძალაუფლების შექმნას, იდეათა ავტორიტეტის გადაქცევას ძალაუფ-

ლების ავტორიტეტად, უმაღლესი პარტიული ინსტანციებისადმი ქვემდგომი ინსტანციების დამორჩილებას» (იხ. ტ. VI, გვ. 291).

უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილების პრინციპი, პარტიული მუშაობის ცენტრიდან ხელმძღვანელობის პრინციპი ხშირად იწვევს მერყევი ელემენტების თავდასხმებს, «ბიუროკრატიზმის», «ფორმალიზმის» ბრალდებას და სხვ. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ პარტიის, როგორც მთელის, გეგმაშეზომილი მუშაობა და მუშათა კლასის ბრძოლის ხელმძღვანელობა შეუძლებელი იქნებოდა ამ პრინციპების გაუტარებლად. ლენინიზმი საორგანიზაციო საკითხში წარმოადგენს ამ პრინციპების განუხრელად გატარებას. ამ პრინციპების წინააღმდეგ ბრძოლას ლენინი უწოდებს «რუსულ ნიჰილიზმს» და «ბატონკაცურ ანარქიზმს», რომელიც დაცინვისა და უკუგდების ღირსია.

აი რას ამბობს ლენინი ამ მერყევი ელემენტების შესახებ თავის წიგნში «ნაბიჯი წინ»:

«რუს ნიჰილისტს განსაკუთრებით სჩვევია ეს ბატონკაცური ანარქიზმი. პარტიული ორგანიზაცია მას ეჩვენება საშინელ «ფაბრიკად», მთელისადმი ნაწილის და უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილება მას წარმოუდგენია «დამონებად».., შრომის განაწილება ცენტრის ხელმძღვანელობით მასში იწვევს ტრაგიკომიკურ გოდებას ადამიანების «პატარა ბორბლებად და ხრახნებად» გადაქცევის წინააღმდეგ.., პარტიის საორგანიზაციო წესდების ხსენება იწვევს ზიზღის გამომხატველ დაღმეჭას და ქედმაღლურ... შენიშვნას, რომ უწესდებოდაც იოლად წავიდოდითო».

«მგონი, ცხადია, რომ ყვირილი ყბადაღებულ ბიუროკრატიზმზე არის მხოლოდ ცენტრების პირადი შემადგენლობით უკმაყოფილების დაფარვა, ლეღვის ფოთოლი... შენ ბიუროკრატი ხარ, რადგან დანიშნული ხარ ყრილობის მიერ არა ჩემი სურვილით, არამედ მის წინააღმდეგ; შენ ფორმალისტი ხარ, რადგან ეყრდნობი ყრილობის ფორმალურ გადაწყვეტილებებს და არა ჩემს თანხმობას; შენ მოქმედებ უხეშად და მექანიკურად, რადგან ემყარები პარტიული ყრილობის «მექანიკურ» უმრავლესობას და ანგარიშს არ უწევ ჩემს სურვილს — ვიყო კოპ-

ტირებული; შენ თვითმპყრობელი ხარ, რადგან არა გსურს გადასცე ძალაუფლება ძველ, შეხმატკბილებულ კომპანიას»* (იხ. ტ. VI, გვ. 310 და 287).

3) **პარტია, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა.** პარტია არის მუშათა კლასის ორგანიზებული რაზმი. მაგრამ პარტია არ არის მუშათა კლასის ერთადერთი ორგანიზაცია. პროლეტარიატს აქვს კიდევ მთელი რიგი სხვა ორგანიზაციები, უპრომლისოდაც მას არ შეუძლია აწარმოოს წარმატებითი ბრძოლა კაპიტალის წინააღმდეგ: პროფესიული კავშირები, კოოპერატივები, საქარხნო-საფაბრიკო ორგანიზაციები, საპარლამენტო ფრაქციები, ქალთა უპარტიო გაერთიანებანი, ბეჭდვითი სიტყვა, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები, ახალგაზრდობის კავშირები, რევოლუციურ-მებრძოლი ორგანიზაციები (აშკარა რევოლუციური გამოსვლების დროს), დეპუტატთა საბჭოები, როგორც ორგანიზაციის სახელმწიფოებრივი ფორმა (თუ ძალაუფლება პროლეტარიატის ხელშია) და სხვ. ამ ორგანიზაციების დიდი უმეტესობა უპარტიოა, და მათი მხოლოდ ერთი ნაწილი უკავშირდება უშუალოდ პარტიას ანდა მის განშტოებას წარმოადგენს. ყველა ეს ორგანიზაცია განსაზღვრულ პირობებში აბსოლუტურად აუცილებელია მუშათა კლასისათვის, ვინაიდან უიმათოდ შეუძლებელია პროლეტარიატის კლასობრივი პოზიციების გამაგრება ბრძოლის სხვადასხვაგვარ სფეროში, ვინაიდან უიმათოდ შეუძლებელია პროლეტარიატის, როგორც ისეთი ძალის, გამობრძმედა, რომელიც მოწოდებულია შეცვალოს ბურჟუაზიული წესწყობილება სოცია-

* ლაპარაკია აქსელროდის, მარტოვის, პოტრესოვის და სხვ. «კომპანიაზე», რომლებიც არ ემორჩილებოდნენ II ყრილობის გადაწყვეტილებებს და ლენინს «ბიუროკრატიზმს» აბრალებდნენ. ი. სტ.

ლისტური წესწყობილებით. მაგრამ როგორ უნდა განხორციელდეს ერთიანი ხელმძღვანელობა ორგანიზაციათა ასეთი სიუხვის დროს? სად არის იმის გარანტია, რომ ორგანიზაციათა სიმრავლე არ გამოიწვევს შეუთანხმებლობას ხელმძღვანელობის საქმეში? შეიძლება თქვან, თვითეული ეს ორგანიზაცია თავის განკერძოებულ სფეროში მუშაობს, და ამიტომ ეს ორგანიზაციები ვერ შეუშლიან ხელს ერთიმეორესო. ეს, რა თქმა უნდა, სწორია. მაგრამ სწორია ისიც, რომ ყველა ამ ორგანიზაციამ მუშაობა უნდა აწარმოოს ერთი მიმართულებით, რადგან ისინი ემსახურებიან **ერთ** კლასს, პროლეტართა კლასს. ისმება კითხვა: ვინ განსაზღვრავს იმ ხაზს, იმ საერთო მიმართულებას, რომლითაც უნდა აწარმოებდეს მუშაობას ყველა ეს ორგანიზაცია? სად არის ის ცენტრალური ორგანიზაცია, რომელსაც, აუცილებელი გამოცდილებით აღჭურვილს, არა მარტო აქვს უნარი — შეიმუშაოს ეს საერთო ხაზი, არამედ საშუალებაც აქვს, ამისათვის საკმაო ავტორიტეტის გამო, ცხოვრებაში გაატარებინოს ყველა ამ ორგანიზაციას ეს ხაზი, რათა მიღწეულ იქნას ხელმძღვანელობის ერთიანობა და გამოირიცხოს მუშაობის შეფერხების შესაძლებლობა?

ასეთ ორგანიზაციას წარმოადგენს პროლეტარიატის პარტია.

პარტიას ამისათვის ყველა პირობა გააჩნია, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ პარტია არის მუშათა კლასის იმ საუკეთესო ელემენტების შესაკრები პუნქტი, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ პროლეტარიატის უპარტიო ორგანიზაციებთან და რომელნიც ხშირად ხელმძღვანელობას უწევენ მათ; მეორეც, იმიტომ, რომ პარტია, როგორც მუშათა კლასის საუკეთესო ადამიანების შესაკრები პუნქტი, არის საუკეთესო სკოლა მუშათა კლასის ისეთი ლიდერების მოსამზადებლად, რომლებიც შესძლებენ ხელმძღვანელობა გაუწიონ

თავიანთი კლასის ორგანიზაციის ყველა ფორმას; მესამეც, იმიტომ, რომ პარტია, როგორც მუშათა კლასის ლიდერების საუკეთესო სკოლა, თავისი გამოცდილებით და ავტორიტეტით არის ერთადერთი ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია პროლეტარიატის ბრძოლის ხელმძღვანელობის ცენტრალიზება და, ამრიგად, მუშათა კლასის ყველა და ყოველგვარი უპარტიო ორგანიზაციის გადაქცევა მომსახურე ორგანოებად და ამძრავ ღვედებად, რომლებიც აკავშირებენ მას კლასთან.

პარტია არის პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ უპარტიო ორგანიზაციები, პროფკავშირები, კოოპერატივები და სხვ., ფორმალურად უნდა ემორჩილებოდნენ პარტიულ ხელმძღვანელობას. ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ პარტიის წევრები, რომლებიც ამ ორგანიზაციების შემადგენლობაში შედიან, როგორც უეჭველად გავლენიანი პირები, დარწმუნების ყველა ზომას უნდა მიმართავდნენ იმისათვის, რომ უპარტიო ორგანიზაციები თავიანთ მუშაობაში **უახლოვდებოდნენ** პროლეტარიატის პარტიას და ნებაყოფლობით იღებდნენ მის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას.

აი რატომ ამბობს ლენინი, რომ პარტია არის «პროლეტარების კლასობრივი გაერთიანების **უმაღლესი** ფორმა», რომლის პოლიტიკური ხელმძღვანელობაც უნდა ვრცელდებოდეს პროლეტარიატის ორგანიზაციის ყველა სხვა ფორმაზე (იხ. ტ. XXV, გვ. 194).

აი რატომ არის, რომ უპარტიო ორგანიზაციების «დამოუკიდებლობისა» და «ნეიტრალობის» ოპორტუნისტული თეორია, რაც წარმოშობს **დამოუკიდებელ** პარლამენტარიებს და პარტიისაგან **მოწყვეტილ** ბეჭდვითი სიტყვის მოღვაწეებს, **შუბლვიწრო** პროფესიონალისტებს და **გამეშჩა-**

ნებულ კოოპერატორებს, — სრულიად შეუთავსებელია ლენინიზმის თეორიასა და პრაქტიკასთან.

4) **პარტია, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის იარაღი.** პარტია არის პროლეტარიატის ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა. პარტია არის ძირითადი ხელმძღვანელი საწყისი პროლეტართა კლასის შიგნით და ამ კლასის ორგანიზაციათა შორის. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ პარტია შეიძლება განხილულ იქნას როგორც თვითმიზანი, როგორც თვითკმარი ძალა. პარტია არის პროლეტართა კლასობრივი გაერთიანების არა მარტო უმაღლესი ფორმა, — ის ამავე დროს პროლეტარიატის ხელში არის **იარაღი** დიქტატურის **მოსაპოვებლად,** როდესაც ის ჯერ კიდევ არ არის მოპოვებული, და დიქტატურის **განსამტკიცებლად** და **გასაფართოებლად,** როდესაც ის უკვე მოპოვებულია. პარტია თავისი მნიშვნელობით ვერ დადგებოდა ასეთ მაღალ საფეხურზე, და იგი ვერ გადაფარავდა პროლეტარიატის ორგანიზაციის ყველა დანარჩენ ფორმას, პროლეტარიატი რომ ძალაუფლების საკითხის წინაშე არ მდგარიყო, იმპერიალიზმის პირობებს, ომების აუცილებლობას და კრიზისის არსებობას რომ არ მოეთხოვა პროლეტარიატის ყველა ძალის კონცენტრაცია ერთ პუნქტში, რევოლუციური მოძრაობის ყველა ძაფის თავმოყრა ერთ ადგილას იმისათვის, რომ დამხობილი ყოფილიყო ბურჟუაზია და მოპოვებული ყოფილიყო პროლეტარიატის დიქტატურა. პარტია პროლეტარიატს ესაჭიროება, უწინარეს. ყოვლისა, როგორც თავისი საბრძოლო შტაბი, რომელიც აუცილებელია ძალაუფლების წარმატებით დასაპყრობად. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ისეთი პარტიის გარეშე, რომელსაც შეუძლია თავის გარშემო პროლეტარიატის მასობრივი ორგანიზაციების შემოკრება და ბრძოლის პროცესში მთელი მოძრაობის ხელმძღვანე-

ლობის ცენტრალიზაცია, რუსეთის პროლეტარიატი ვერ შესძლებდა თავისი რევოლუციური დიქტატურის განხორციელებას.

მაგრამ პარტია პროლეტარიატს ესაჭიროება არა მარტო დიქტატურის მოსაპოვებლად, არამედ უფრო მეტად ესაჭიროება იმისათვის, რომ შეინარჩუნოს დიქტატურა, განამტკიცოს და გააფართოოს იგი სოციალიზმის სრული გამარჯვების მისაღწევად.

«ალბათ, ახლა უკვე თითქმის ყველა ხედავს, — ამბობს ლენინი, — რომ ბოლშევიკები ვერ შეინარჩუნებდნენ ძალაუფლებას არამც თუ $2^1/_2$ წლის განმავლობაში, არამედ $2^1/_2$ თვესაც, ჩვენს პარტიაში რომ არ ყოფილიყო უმკაცრესი, ჭეშმარიტად რკინისებური დისციპლინა, მისთვის რომ სავსებით და თავდადებით მხარი არ დაეჭირა მუშათა კლასის მთელ მასას, ე. ი. ყოველივე იმას, რაც ამ კლასში მოაზროვნე, პატიოსანი, თავდადებული და გავლენიანია და რასაც შეუძლია გაიყოლიოს ან გაიტაცოს ჩამორჩენილი ფენები» (იხ. ტ. XXV, გვ. 173).

მაგრამ რას ნიშნავს დიქტატურის «შენარჩუნება» და «გაფართოება»? ეს ნიშნავს — შეიტანო პროლეტარების მილიონიან მასებში დისციპლინისა და ორგანიზებულობის სული; ეს ნიშნავს — შექმნა პროლეტარულ მასებში სიმტკიცე და საყრდენი წვრილბურჟუაზიული სტიქიისა და წვრილბურჟუაზიულ ჩვეულებათა გამხრწნელი გავლენის წინააღმდეგ; ეს ნიშნავს — გაამაგრო პროლეტარების ორგანიზატორული მუშაობა წვრილბურჟუაზიული ფენების ხელახლა აღსაზრდელად და გარდასაქმნელად; ეს ნიშნავს — დაეხმარო პროლეტარულ მასებს აღზარდონ თავიანთი თავი, როგორც ძალა, რომელიც შესძლებს მოსპოს კლასები და მოამზადოს პირობები სოციალისტური წარმოების ორგანიზაციისათვის. მაგრამ ყოველივე ამის გაკეთება შეუძლებელია ისეთი პარტიის გარეშე, რომელიც ძლიერი იქნება თავისი დარაზმულობით და დისციპლინით.

«პროლეტარიატის დიქტატურა, — ამბობს ლენინი, — არის შეუპოვარი ბრძოლა, სისხლიანი და უსისხლო, ძალადატანებითი და მშვიდობიანი, სამხედრო და სამეურნეო, პედაგოგიური და ადმინისტრატორული, ძველი საზოგადოების ძალებისა და ტრადიციების წინააღმდეგ. მილიონებისა და ათეული მილიონების ჩვეულების ძალა ყველაზე საშინელი ძალაა. ასეთი ბრძოლის წარმატებით წარმოება შეუძლებელია რკინისებური და ბრძოლაში გამობრძმედილი პარტიის გარეშე, ისეთი პარტიის გარეშე, რომელიც სარგებლობს თავისი კლასის ყველა პატიოსან ელემენტთა ნდობით, ისეთი პარტიის გარეშე, რომელსაც შეუძლია თვალყური ადევნოს მასების განწყობილებას და გავლენა მოახდინოს მასზე» (იხ. ტ. XXV, გვ. 190).

პარტია პროლეტარიატს ესაჭიროება **იმისათვის,** რომ მოიპოვოს და შეინარჩუნოს დიქტატურა. პარტია პროლეტარიატის დიქტატურის იარაღია.

მაგრამ აქედან ის გამომდინარეობს, რომ კლასების მოსპობის შემდეგ, პროლეტარიატის დიქტატურის კვდომის შემდეგ, უნდა განიცადოს კვდომა პარტიამაც.

5) **პარტია, როგორც ნებისყოფის ერთიანობა, რაც შეუთავსებელია ფრაქციების არსებობასთან.** პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვება და შენარჩუნება შეუძლებელია ისეთი პარტიის გარეშე, რომელიც ძლიერია თავისი დარაზმულობით და რკინისებური დისციპლინით. მაგრამ რკინისებური დისციპლინა პარტიაში წარმოუდგენელია, თუ არ იქნება ნებისყოფის ერთიანობა, თუ არ იქნება პარტიის ყველა წევრის მოქმედების სრული და უეჭველი ერთიანობა. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ამით გამორიცხულია პარტიის შიგნით სხვადასხვა აზრთა ბრძოლის შესაძლებლობა. პირიქით, რკინისებური დისციპლინა კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს კრიტიკას და აზრთა ბრძოლას პარტიის შიგნით. ეს, მით უმეტეს, არ ნიშნავს იმას, რომ დისციპლინა «ბრმა» უნდა იყოს. პირიქით, რკინისებური დისციპლინა კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს

შეგნებულად და ნებაყოფლობით დამორჩილებას, ვინაიდან მხოლოდ შეგნებული დისციპლინა შეიძლება იყოს ნამდვილად რკინისებური დისციპლინა. მაგრამ მას შემდეგ, რაც აზრთა ბრძოლა დამთავრებულია, კრიტიკა ამოწურულია და გადაწყვეტილება მიღებულია, პარტიის ყველა წევრის ნებისყოფის ერთიანობა და მოქმედების ერთიანობა არის ის აუცილებელი პირობა, ურომლისოდ წარმოუდგენელია როგორც ერთიანი პარტია, ისე რკინისებური დისციპლინა პარტიაში.

«გამწვავებული სამოქალაქო ომის ახლანდელ ეპოქაში, — ამბობს ლენინი, — კომუნისტური პარტია მხოლოდ იმ შემთხვევაში შესძლებს თავისი მოვალეობის შესრულებას, თუ ის რაც შეიძლება ცენტრალისტურად იქნება მოწყობილი, თუ მასში გაბატონებული იქნება რკინისებური დისციპლინა, სამხედრო დისციპლინის მსგავსი, და თუ მისი პარტიული ცენტრი იქნება ძლიერი ავტორიტეტული ორგანო, აღჭურვილი ფართო რწმუნებებით და პარტიის წევრთა საყოველთაო ნდობით» (იხ. ტ. XXV, გვ. 282 — 283).

ასე დგას პარტიული დისციპლინის საკითხი დიქტატურის მოპოვების წინ მიმდინარე ბრძოლის პირობებში.

იგივე, მაგრამ კიდევ უფრო მეტად, უნდა ითქვას პარტიულ დისციპლინაზე დიქტატურის მოპოვების შემდეგ.

«ვინც ოდნავადაც კი ასუსტებს, — ამბობს ლენინი. — პროლეტარიატის პარტიის რკინისებურ დისციპლინას (განსაკუთრებით პროლეტარიატის დიქტატურის დროს), ის ფაქტიურად ეხმარება ბურჟუაზიას პროლეტარიატის წინააღმდეგ» (იხ. ტ. XXV, გვ. 190).

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ ფრაქციების არსებობა შეუთავსებელია როგორც პარტიის ერთიანობასთან, ისე მის რკინისებურ დისციპლინასთან. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ფრაქციების არსებობა იწვევს რამდენიმე ცენტრის არსებობას, რამდენიმე ცენტრის არსებობა კი ნიშნავს პარტიაში საერთო ცენტრის უქონლო-

პას, ერთიანი ნებისყოფის დაქუცმაცებას, დისციპლინის დასუსტებას და დაშლას, დიქტატურის დასუსტებას და დაშლას. რასაკვირველია, II ინტერნაციონალის პარტიებს, რომლებიც იბრძვიან პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ და რომელთაც არ სურთ წაიყვანონ პროლეტარები ძალაუფლების დასაპყრობად, შეუძლიათ შეიწყნარონ ისეთი ლიბერალიზმი, როგორიც არის ფრაქციების თავისუფლება, ვინაიდან მათ სრულიადაც არ ესაჭიროებათ რკინისებური დისციპლინა. მაგრამ კომუნისტური ინტერნაციონალის პარტიებს, რომლებიც თავიანთ მუშაობას აშენებენ პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვებისა და განმტკიცების ამოცანათა საფუძველზე, არ შეუძლიათ შეიწყნარონ **არც «ლიბერალიზმი», არც** ფრაქციების თავისუფლება.

პარტია არის ნებისყოფის ერთიანობა, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ ფრაქციულობას და ძალაუფლების დანაწილებას პარტიაში.

აქედან — ლენინის განმარტება, რომ «ფრაქციულობა საშიშია პარტიის ერთიანობისა და პროლეტარიატის ავანგარდის ნებისყოფის ერთიანობის განხორციელების თვალსაზრისით, რაც წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის წარმატების ძირითად პირობას», განმარტება, რომელიც აღბეჭდილია ჩვენი პარტიის X ყრილობის სპეციალურ რეზოლუციაში «პარტიის ერთიანობის შესახებ» [33].

აქედან — ლენინის მოთხოვნა «ყოველგვარი ფრაქციულობის სრული მოსპობისა» და «გამოუკლებლივ ყველა, ამა თუ იმ პლატფორმის ნიადაგზე აღმოცენებული ჯგუფის დაუყოვნებლივ დაშლისა» «პარტიიდან აუცილებლივი და დაუყოვნებლივი გამორიცხვის» შიშით (იხ. რეზოლუცია «პარტიის ერთიანობის შესახებ»).

6) **პარტია მტკიცდება იმით, რომ წმენდს თავის რიგებს ოპორტუნისტული ელემენტებისაგან.** ფრაქციულობის წყაროს პარტიაში წარმოადგენენ მისი ოპორტუნისტული ელემენტები. პროლეტარიატი არ არის კარჩაკეტილი კლასი. მის რიგებში განუწყვეტლივ შედიან გლეხების, მეშჩანებისა და ინტელიგენციის წრიდან გამოსული ელემენტები, რომლებიც კაპიტალიზმის განვითარებას გაუპროლეტარებია. ამავე დროს მიმდინარეობს პროცესი პროლეტარიატის ზედაფენების გახრწნისა, უმთავრესად პროფესიონალისტების და პარლამენტარიების წრიდან, რომელთაც კვებავს ბურჟუაზია კოლონიური ზემოგების ხარჯზე. «ეს ფენა გაბურჟუებული მუშებისა ანუ «მუშათა არისტოკრატიისა», — ამბობდა ლენინი, — რომლებიც სავსებით მეშჩანური არიან თავისი ცხოვრების ხასიათით, ხელფასის ოდენობით, მთელი თავისი მსოფლმხედველობით, არის II ინტერნაციონალის მთავარი დასაყრდენი, ხოლო ჩვენს დროში **ბურჟუაზიის** მთავარი **სოციალური** (არა სამხედრო) **დასაყრდენი.** ვინაიდან ისინი არიან **მუშათა** მოძრაობაში **ბურჟუაზიის** ნამდვილი **აგენტები,** კაპიტალისტთა კლასის მუშა-ნოქრები.., რეფორმიზმისა და შოვინიზმის ნამდვილი გამტარებელნი» (იხ. ტ. XIX, გვ. 77).

ყველა ეს წვრილბურჟუაზიული ჯგუფი ასე თუ ისე იჭრება პარტიაში, შეაქვს იქ მერყეობისა და ოპორტუნიზმის სული, რღვევისა და რწმენის უქონლობის სული. სწორედ ისინი წარმოადგენენ, უმთავრესად, ფრაქციულობისა და დაშლის წყაროს, პარტიის დეზორგანიზაციისა და შიგნიდან აფეთქების წყაროს. იბრძოლო იმპერიალიზმის წინააღმდეგ, როდესაც ზურგში ასეთი «მოკავშირეები» გყავს, — ნიშნავს ჩავარდე ისეთი ადამიანების მდგომარეობაში, რომელთაც ტყვიას უშენენ ორი მხრიდან — ფრონტიდანაც და ზურგიდანაც. ამიტომ დაუნდობელი ბრძოლა

ასეთი ელემენტების წინააღმდეგ, პარტიიდან მათი განდევნა არის იმპერიალიზმთან წარმატებითი ბრძოლის წინასწარი პირობა.

პარტიის შიგნით იდეური ბრძოლის გზით ოპორტუნისტული ელემენტების «დაძლევის» თეორია, ერთი პარტიის ფარგლებში ამ ელემენტების «მონელების» თეორია არის დამპალი და საზიფათო თეორია, რომელიც უქადის პარტიას დამბლად დაცემას და ქრონიკულ უძლურებას, უქადის პარტიას ოპორტუნიზმის ლუკმად გადაქცევას, უქადის პროლეტარიატს რევოლუციური პარტიის გარეშე დატოვებას, უქადის პროლეტარიატს მთავარი იარაღის ხელიდან გამოცლას იმპერიალიზმთან ბრძოლაში. ჩვენი პარტია ვერ შესძლებდა ფართო გზაზე გამოსვლას, ის ვერ შესძლებდა ძალაუფლების დაპყრობას და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას, ის გამარჯვებული ვერ გამოვიდოდა სამოქალაქო ომიდან, მას რომ თავის რიგებში ჰყოლოდა მარტოვები და დანები, პოტრესოვები და აქსელროდები. თუ ჩვენმა პარტიამ მოახერხა შეექმნა თავისი შინაგანი ერთიანობა და თავისი რიგების უმაგალითო დარაზმულობა, ყოველივე ეს, უწინარეს ყოვლისა, მოხდა იმიტომ, რომ მან დროზე შესძლო გაეწმინდა თავისი რიგები ოპორტუნიზმის სიბილწისაგან, შესძლო გაეძევებინა პარტიიდან ლიკვიდატორები და მენშევიკები. პროლეტარულ პარტიათა განვითარებისა და განმტკიცებისათვის აუცილებელია მათი გაწმენდა ოპორტუნისტებისა და რეფორმისტებისაგან, სოციალ-იმპერიალისტებისა და სოციალ-შოვინისტებისაგან, სოციალ-პატრიოტებისა და სოციალ-პაციფისტებისაგან.

პარტია მტკიცდება იმით, რომ წმენდს თავის რიგებს ოპორტუნისტული ელემენტებისაგან.

«როდესაც საკუთარ რიგებში რეფორმისტები, მენშევიკები ჯყავს, — ამბობს ლენინი, — **შეუძლებელია** გამარჯვება პროლეტარულ

რევოლუციაში, **შეუძლებელია** მისი დაცვა. ეს აშკარაა პრინციპულად. ეს თვალსაჩინოდ დადასტურებულია როგორც რუსეთის, ისე უნგრეთის გამოცდილებით... რუსეთში **ბევრჯერ** ყოფილა ძნელი მდგომარეობა, როდესაც საბჭოთა რეჟიმი **უეჭველად** დაემხობოდა, ჩვენი პარტიის შიგნით რომ მენშევიკები, რეფორმისტები, წვრილბურჟუაზიული დემოკრატები დარჩენილიყვნენ... იტალიაში, სადაც, საყოველთაო აღიარებით, საქმე მიდის პროლეტარიატის გადამწყვეტი ბრძოლებისაკენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ სახელმწიფო ძალაუფლების დასაპყრობად. ასეთ მომენტში არა მარტო აუცილებლად საჭიროა პარტიიდან მენშევიკების, რეფორმისტების, ტურატელების გაძევება, არამედ შეიძლება სასარგებლოც კი იქნეს იმ ჩინებული კომუნისტების გაძევებაც, ყოველგვარი პასუხსაგები თანამდებობიდან მათი მოხსნაც, რომელთაც შეუძლიათ გამოიჩინონ მერყეობა და რომელნიც მერყეობენ და იხრებიან რეფორმისტებთან «ერთიანობისაკენ»... რევოლუციის წინადღით და მისი გამარჯვებისათვის გააფთრებული ბრძოლის მომენტებში სულ მცირეოდენ მერყეობას პარტიის შიგნით შეუძლია **ყველაფერი დაღუპოს**, ჩაშალოს რევოლუცია, პროლეტარიატს გამოჰგლიჯოს ხელიდან ძალაუფლება, რადგან ეს ძალაუფლება ჯერ კიდევ არ არის მტკიცე, რადგან მასზე შემოტევა ჯერ კიდევ მეტად ძლიერია. თუ მერყევი ბელადები განზე დგებიან ასეთ დროს, ეს კი არ ასუსტებს, არამედ აძლიერებს პარტიასაც, მუშათა მოძრაობასაც, რევოლუციასაც» (იხ. ტ. XXV, გვ. 462, 463, 464).

IX

მუშაობის სტილი

ლაპარაკია არა სალიტერატურო სტილზე. მე მხედველობაში მაქვს მუშაობის სტილი, ის განსაკუთრებული და თავისებური ლენინიზმის პრაქტიკაში, რაც ქმნის ლენინელი მუშაკის განსაკუთრებულ ტიპს. ლენინიზმი არის თეორიული და პრაქტიკული სკოლა, რომელიც აყალიბებს პარტიული და სახელმწიფო მუშაკის განსაკუთრებულ ტიპს, ქმნის მუშაობის განსაკუთრებულ, ლენინურ სტილს.

რაში მდგომარეობს ამ სტილის დამახასიათებელი ნიშნები? როგორია მისი თავისებურებანი?

ეს თავისებურება ორია:

ა) რუსული რევოლუციური გაქანება და

ბ) ამერიკული საქმიანობა.

ლენინიზმის სტილი არის ამ ორი თავისებურების შეერთება პარტიულ და სახელმწიფოებრივ მუშაობაში.

რუსული რევოლუციური გაქანება წარმოადგენს უმოქმედობის, რუტინის, კონსერვატიზმის, აზროვნების გაყინვის, მამაპაპური ტრადიციებისადმი მონური მორჩილების საწინააღმდეგო წამალს. რუსული რევოლუციური გაქანება — ეს ის მაცოცხლებელი ძალაა, რომელიც აღვიძებს აზრს, გვეწევა წინ, ამსხვრევს წარსულს, იძლევა პერსპექტივას. უიმისოდ შეუძლებელია რაიმე წინსვლა.

მაგრამ რუსულ რევოლუციურ გაქანებას აქვს ყველა შანსი იმისა, რომ პრაქტიკაში გადაგვარდეს ცარიელ «რევოლუციურ» მანილოვობად, თუ იგი შეერთებული არ იქნა ამერიკულ საქმიანობასთან მუშაობაში. ასეთი გადაგვარების მაგალითები უამრავია. ვინ არ იცნობს «რევოლუციური» შემთხზველობისა და «რევოლუციური» გეგმათშემოქმედების სენს, რომლის წარმომშობი წყარო არის რწმენა დეკრეტის ძლიერებისა, დეკრეტის, რომელსაც თითქოს შეუძლია ყველაფერი მოაწყოს და ყველაფერი გარდაქმნას? ერთ-ერთმა რუსმა მწერალმა, ი. ერენბურგმა, თავის მოთხრობაში სათაურით «სრულკომადამიანი» (სრულყოფილი კომუნისტური ადამიანი) გამოსახა ტიპი ამ სენით შეპყრობილი «ბოლშევიკისა», რომელმაც მიზნად დაისახა იდეალურად სრულყოფილი ადამიანის სქემის შედგენა და... «ჩაიძირა» ამ «მუშაობაში». მოთხრობაში ბევრი რამ დიდად გადამეტებულია, მაგრამ უეჭველია ის, რომ იქ სწორად არის გადმოცემული ეს სენი. მაგრამ, მგონი, არავინ არ დასცინოდა ამგვარ ავადმყო-

ფებს ისე მწარედ და დაუნდობლად, როგორც ლენინი. «კომუნისტური ყოყოჩობაო» — ასე იხსენიებდა იგი შემთხზველობისა და დეკრეტშემოქმედების ამ ავადმყოფურ რწმენას.

«კომუნისტური ყოყოჩობა ნიშნავს იმას, — ამბობს ლენინი, — რომ ადამიანი, რომელიც კომუნისტურ პარტიაშია და ჯერ კიდევ არ არის იქიდან გარიცხული, ფიქრობს, რომ ყველა თავისი ამოცანა მას შეუძლია გადაწყვიტოს კომუნისტური დეკრეტირებით» (იხ. ტ. XXVII, გვ. 50 — 51).

«რევოლუციურ» ლაყბობას ლენინი ჩვეულებრივ უპირისპირებდა უბრალო და ყოველდღიურ საქმეებს; ამით იგი ხაზს უსვამდა იმას, რომ «რევოლუციური» შემთხზველობა ეწინააღმდეგება ნამდვილი ლენინიზმის სულსაც და გულსაც.

«რაც შეიძლება ნაკლები მაღალფარდოვანი ფრაზები, — ამბობს ლენინი, — მეტი უბრალო, **ყოველდღიური** საქმე...».

«რაც შეიძლება ნაკლები პოლიტიკური რახარუხი, მეტი ყურადღება კომუნისტური მშენებლობის სულ უბრალო, მაგრამ ცოცხალ... ფაქტებს...» (იხ. ტ. XXIV, გვ. 343 და 335).

ამერიკული საქმიანობა, პირიქით, წარმოადგენს «რევოლუციური» მანილოვობისა და ფანტასტიკური შემთხზველობის საწინააღმდეგო წამალს. ამერიკული საქმიანობა — ეს ის დაუცხრომელი ძალაა, რომელმაც არ იცის, თუ რა არის დაბრკოლება, და არ ცნობს მას, რომელიც თავისი საქმიანი შეუპოვრობით სპობს ყველა და ყოველგვარ დაბრკოლებას, რომელსაც არ შეუძლია ბოლომდე არ მიიყვანოს ერთხელ დაწყებული საქმე, თუგინდ ეს პატარა საქმეც იყოს, და ურომლისოდაც შეუძლებელია სერიოზული აღმშენებლობითი მუშაობა.

მაგრამ ამერიკულ საქმიანობას აქვს ყველა შანსი იმისა, რომ გადაგვარდეს წვრილმან და უპრინციპო საქმოსნობად,

თუ ის შეერთებული არ იქნა რუსულ რევოლუციურ გაქანებასთან. ვინ არ იცის ვიწრო პრაქტიციზმისა და უპრინციპო საქმოსნობის სენი, რომელსაც ზოგიერთი «ბოლშევიკი» ხშირად გადაგვარებამდე და რევოლუციის საქმისაგან ჩამოშორებამდე მიჰყავს? ამ თავისებურმა სენმა გამოსახულება პოვა ბ. პილნიაკის მოთხრობაში «შიშველი წელიწადი», სადაც გამოხატული არიან რუსი «ბოლშევიკების» ტიპები, რომლებიც აღსავსე არიან ნებისყოფით და პრაქტიკული გაბედულობით, მეტად «ენეგრიულად» «მომქმედობენ», მაგრამ მოკლებული არიან პერსპექტივას, არ იციან, თუ «რისთვის რა არის», და ამის გამო სცილდებიან რევოლუციური მუშაობის გზას. არავინ ისე მწარედ არ დასცინოდა ასეთ საქმოსნურ სენს, როგორც ლენინი. «ვიწროშუბლიანი პრაქტიციზმი», «უთაური საქმოსნობაო» — ასე იხსენიებდა ლენინი ამ სენს. ის ჩვეულებრივ უპირისპირებდა ამ სენს ცოცხალ რევოლუციურ საქმეს და რევოლუციური პერსპექტივების აუცილებლობას ჩვენი ყოველდღიური მუშაობის ყველა საქმეში, რითაც ხაზს უსვამდა იმას, რომ უპრინციპო საქმოსნობა ისევე ეწინააღმდეგება ნამდვილ ლენინიზმს, როგორც ეწინააღმდეგება «რევოლუციური» შემთხზველობა.

რუსული რევოლუციური გაქანების შეერთება ამერიკულ საქმიანობასთან — აი რა შეადგენს ლენინიზმის დედაარსს პარტიულ და სახელმწიფოებრივ მუშაობაში.

მხოლოდ ასეთი შეერთება გვაძლევს ლენინელი მუშაკის ღამთავრებულ ტიპს, ლენინიზმის სტილს მუშაობაში.

«პრავდა» №№ 96, 97, 103,
105, 107, 108, 111;
1924 წ. 26 და 30 აპრილი,
9, 11, 14, 15 და 18 მაისი.

რკპ(ბ) XIII ყრილობაზე [34]

1924 წ. 23 — 31 მაისი

ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ანგარიში

24 მაისი

ამხანაგებო! საერთო ვითარება, რომელიც წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში და პარტიის ირგვლივ შეიქმნა, შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ხელსაყრელი ვითარება. ძირითადი ფაქტებია: ჩვენი ქვეყნის მეურნეობის აღმავლობა, აქტივობის ზრდა საერთოდ, მუშათა კლასის აქტივობის ზრდა განსაკუთრებით, პარტიული ცხოვრების გამოცოცხლება.

საკითხი ის არის, თუ რამდენად შესძლო პარტიამ ამ ვითარების გამოყენება წლის განმავლობაში იმისათვის, რომ გაეძლიერებინა თავისი გავლენა მასობრივ ორგანიზაციებში, რომლებიც პარტიას გარს არტყიან, რამდენად შესძლო მან გაეუმჯობესებინა თავისი შემადგენლობა, გაეუმჯობესებინა თავისი მუშაობა საერთოდ, გაეუმჯობესებინა პასუხისმგებელ მუშაკთა აღრიცხვა, მათი განაწილება, მათი დაწინაურება, და, ბოლოს, რამდენად შესძლო პარტიამ გაეუმჯობესებინა თავისი ორგანიზაციების შინაგანი ცხოვრება.

აქედან გამომდინარეობს რვა საკითხი, რომლებზედაც მე ვილაპარაკებ:

ა) მდგომარეობა მასობრივი ორგანიზაციებისა, რომელნიც პარტიას გარს არტყიან და კლასთან აკავშირებენ მას, და კომუნისტური გავლენის ზრდა ამ ორგანიზაციებში;

ბ) სახელმწიფო აპარატის — სახალხო კომისარიატებისა და სამეურნეო ანგარიშზე მყოფი აპარატის, აგრეთვე ძირეული საბჭოთა აპარატის მდგომარეობა და კომუნისტური გავლენის ზრდა ამ სფეროში;

გ) პარტიის შემადგენლობა და ლენინური გაწვევა;

დ) პარტიის ხელმძღვანელ ორგანოთა შემადგენლობა, პარტიის კადრები და პარტიული ახალგაზრდობა;

ე) პარტიის მუშაობა აგიტაციისა და პროპაგანდის დარგში, მუშაობა სოფლად;

ვ) პარტიის მუშაობა პარტიულ და უპარტიო პასუხისმგებელ მუშაკთა აღრიცხვის, განაწილებისა და დაწინაურების დარგში;

ზ) პარტიის შინაგანი ცხოვრება;

თ) დასკვნები.

მე მომიხდება ქვემოთ მთელი რიგი ციფრების მოყვანა, რადგან უამისოდ ანგარიში არასრული და არადამაკმაყოფილებელი იქნება. ამასთან უნდა შევნიშნო, რომ ამ ციფრების აბსოლუტური სიზუსტე არა მჯერა, რადგან ჩვენი სტატისტიკა მოიკოჭლებს, იმიტომ რომ პროფესიული პატიოსნების ელემენტარული გრძნობა, სამწუხაროდ, ყველა საბჭოთა სტატისტიკოსს არა აქვს.

ამ აუცილებელი შენიშვნის შემდეგ გადავდივარ ციფრებზე.

1. კლასთან პარტიის დამაკავშირებელი მასობრივი ორგანიზაციები

ა) **პროფკავშირები.** გასულ წელს პროფკავშირებში, სტატისტიკის ცნობების მიხედვით, ორგანიზებული იყო 4 800 ათასი კაცი. წელს 5 მილიონია. მატება უეჭველია. თუ ავიღებთ 12 ძირითად საწარმოო კავშირს, ამ საწარმოებში

ჩაბმული მუშების რიცხვს და ორგანიზებულთა რიცხვს, მივიღებთ ორგანიზებულობის 92%-ს. მრეწველობის ძირითად დარგებში პროფესიული ორგანიზებულობა უდრის მთელი მუშათა კლასის 91—92%-ს. ეს — ინდუსტრიის დარგში.

უფრო ცუდად გვაქვს საქმე სოფლის მეურნეობაში, სადაც სასოფლო-სამეურნეო მუშები 800 ათასამდეა; ამასთან, თუ ავიღებთ იმ სასოფლო-სამეურნეო მუშებს, რომელნიც ჩაბმული არიან არა სახელმწიფო საწარმოებში, პროფესიული ორგანიზებულობა 3%-ს შეადგენს.

რაც შეეხება კომუნისტურ გავლენას კავშირებში, ჩვენ გვაქვს ციფრები პროფესიული კავშირების საგუბერნიო საბჭოებისა და პროფესიული კავშირების საოლქო საბჭოების თავმჯდომარეთა შესახებ. XII ყრილობისათვის იატაკქვეშელი თავმჯდომარეები შეადგენდნენ 57%-ს და ცოტა მეტსაც, ახლანდელი ყრილობისათვის კი მხოლოდ 35%-ს შეადგენენ. აქ კლება გვაქვს. სამაგიეროდ გაიზარდა პარტიაში 1917 წლის თებერვლის შემდეგ შემოსულთა პროცენტი. ეს იმით აიხსნება, რომ პროფესიულ კავშირებში ორგანიზებულთა რიცხვი გადიდდა, იატაკქვეშელთა რაოდენობა საკმარისი არ არის და კადრების დასახმარებლად მოვიდა პარტიული ახალგაზრდობა. ამ თავმჯდომარეთა შორის მუშების რიცხვი იყო 55%, გახდა 61%. აქ გვაქვს ხელმძღვანელი ორგანოების სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესება.

ბ) **კოოპერატივები.** ამ დარგში უფრო მეტად, ვიდრე რომელსამე სხვა დარგში, ციფრები არეულ-დარეულია და სარწმუნო არ არის. სამომხმარებლო კოოპერაციაში გასულ წელს 5 მილიონამდე წევრი იყო. წელს კი თითქმის 7 მილიონია. ღმერთმა ქნას, ასე იყოს, მაგ-

რამ ამ ციფრებისა მე არა მჯერა, რადგან სამომხმარებლო კოოპერაცია ჯერ კიდევ სავსებით არ გადასულა ნებაყოფლობაზე, და აქ, უეჭველია, მკვდარი სულები არის. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში შარშან, თითქოს, 2 მილიონი წევრი იყო (თუმცა მე მაქვს გასულ წელს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირისაგან მიღებული ციფრობრივი მონაცემები 4 მილიონი წევრის შესახებ), წელს კი 1 500 ათასი წევრია. ორგანიზებულობის შემცირება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დარგში უეჭველია. ხელმძღვანელ ორგანოთა პარტიული შემადგენლობა სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრში გასულ წელს შეადგენდა 87%-ს, ახლა კი 86%-ს შეადგენს. აქ კლება გვაქვს. საგუბერნიო კავშირებში და რაიკავშირებში კომუნისტების რიცხვი იყო 68%, ახლა გახდა 86%. აქ გვაქვს გავლენის გაძლიერება. მაგრამ, თუ დავაყენებთ საკითხს არა «ხელმძღვანელი» ორგანოების, არამედ პასუხისმგებელ მუშაკთა შესახებ, რომელნიც ნამდვილად ხელმძღვანელნი არიან, აღმოჩნდება, რომ საერთოდ ყველა პასუხისმგებელ მუშაკთა შორის კომუნისტები სულ 26%-ს შეადგენენ. მე მიმაჩნია, რომ ეს ციფრი უფრო შეეფერება სინამდვილეს. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში ხელმძღვანელ ორგანოთა შემადგენლობა გამოიხატება ციფრებით: 46% გასულ წელს და 55% ამ წელს. ხოლო თუ კარგად გავარჩევთ და პასუხისმგებელ ხელმძღვანელებს ავიღებთ, კომუნისტები მათ შორის სულ 13% აღმოჩნდება.

აი როგორ ეხერხება ჩვენში ზოგიერთ სტატისტიკოსს — ფასადი, გარეგნობა მოალამაზოს, ყველაფერი დამპალი კი თვალს დაუმალოს.

გ) **ახალგაზრდობის კავშირი.** წევრთა და კანდიდატთა რიცხვი გასულ წელს იყო 317 ათასი (თუმცა მე მაქვს შარ-

შანდელი ციფრები, რუსეთის ახალგაზრდობის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრის ხელმოწერით, სადაც ნაჩვენებია 400 ათასი კაცი), ხოლო წელს წევრთა და კანდიდატთა რიცხვი შეადგენს 570 ათასს. მიუხედავად იმისა, რომ ციფრები რამდენადმე არეულია, ორგანიზებულობის ზრდა აქ უეჭველია. მუშების რიცხვი რუსეთის ახალგაზრდობის კომკავშირში შარშან იყო 34%, წელს კი არის 41%; გლეხები შარშან შეადგენდნენ 42%-ს, წელს — 40%-ს. მოსწავლეთა რიცხვი საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში გასულ წელს იყო 50 ათასი, წელს არის 47 ათასი კაცი. რკპ(ბ) წევრთა რიცხვი ახალგაზრდობის მთელ კავშირში გასულ წელს შეადგენდა დაახლოებით 10%-ს, წელს 11%-ს შეადგენს. ზრდა აქაც უეჭველია.

დ) **მუშა და გლეხ ქალთა გაერთიანებანი.** ძირითადი ორგანიზაცია ამ დარგში დელეგატ ქალთა კრებებია. არეული ციფრები აქ რამდენიც გნებავთ, იმდენია, პირდაპირ თავსაყარია, მაგრამ თუ კარგად გავერკვევით, გამოდის, რომ ქალაქებში გასულ წელს იყო 37 ათასი დელეგატი ქალი, წელს კი 46 ათასია, ე. ი. ცოტა მეტი, ვიდრე შარშან. სოფლებში დელეგატ ქალთა რიცხვი გასულ წელს იყო 58 ათასი, ახლა კი 100 ათასია. მე ვერ შევძელი მიმეღო რამდენადმე მაინც ზუსტი ციფრები იმის შესახებ, თუ გლეხ და მუშა ქალთა ფართო მასების რა რაოდენობას აერთიანებენ ეს დელეგატები.

რადგან საბჭოთა და პარტიულ მუშაობაში მუშა და გლეხ ქალთა ჩაბმის საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ზედმეტი არ იქნება გამოვარკვიოთ, როგორია პროცენტი მუშა და გლეხ ქალთა მონაწილეობისა პროფესიულ ორგანოებში, საბჭოებში, პარტიის საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტებში. სასოფლო საბჭოებში ქალთა

რიცხვი გასულ წელს იყო სულ დაახლოებით 1% (საშინლად ცოტაა). წელს არის 2,9%-ი (ესეც ძალიან ცოტაა), მაგრამ მატება მაინც გვაქვს. სათემო აღმასკომებში ქალები გასულ წელს შეადგენდნენ 0,3%-ს, წელს შეადგენენ 0,5%-ს, — მატება მინიმალურია, რაზედაც ლაპარაკიც არ ღირს. სამაზრო აღმასკომებში გასულ წელს ქალთა რიცხვი იყო დაახლოებით 2%-ი, წელს კი 2%-ზე ცოტა მეტია (მე მომყავს ციფრები რუსეთის სფს რესპუბლიკის შესახებ, ვინაიდან ყველა რესპუბლიკისათვის ციფრები არ არის). რსფს რესპუბლიკის საგუბერნიო აღმასკომებში ქალთა რაოდენობა გასულ წელს იყო 2%-ზე მეტი, ახლა 3%-ზე მეტია. პროფკავშირთა წევრი ქალები წელს შეადგენენ 26%-ს, გასული წლის ცნობები კი არა გვაქვს. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების წევრი ქალების რიცხვი უდრის 14%-ს; საგუბერნიო განყოფილებათა წევრი ქალებისა — 6%-ს, კავშირთა ცენტრალურ კომიტეტებში — 4%-ზე მეტს. პარტიაში ქალთა რაოდენობა გასულ წელს შეადგენდა დაახლოებით 8%-ს, ახლა არის დაახლოებით 9%. კანდიდატ ქალთა რიცხვი იყო 9%-მდე, გახდა 11%-მდე. ყოველივე ეს იყო ლენინურ გაწვევამდე. საგუბერნიო კომიტეტებში XIII ყრილობისათვის ქალები შეადგენდნენ 3%-ს, სამაზრო კომიტეტებში — დაახლოებით 6%-ს. ქალთა უმნიშვნელოვანეს გაერთიანებებში, დელეგატთა კრებებში, კომუნისტ ქალთა რიცხვი იყო 10%, ახლა არის 8%. შემცირება აიხსნება უპარტიო დელეგატ ქალთა რიცხვის გადიდებით. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ნახევარი — ქალები — ჯერ კიდევ რჩება განზე, ან თითქმის განზე, საბჭოთა და პარტიული მშენებლობის დიდი გზიდან.

ე) **არმია.** არმიაში, სამხედრო სასწავლებლებსა და ფლოტში კომუნისტების საერთო რაოდენობა შემცირდა 61 ათასი კაციდან 52 ათას კაცამდე. ეს დეფექტია, რომელიც უნდა გამოვასწოროთ. ამავე დროს მეთაურთა შემადგენლობაში პარტიულთა საერთო რაოდენობა გადიდდა. XII ყრილობისათვის კომუნისტები მეთაურთა შემადგენლობაში შეადგენდნენ 13%-ს, ახლა შეადგენენ 18%-ს. საინტერესოა არმიის პარტიული შემადგენლობა პარტიული სტაჟის თვალსაზრისით. არმიის რიგებში მომუშავე 52 ათასი კომუნისტიდან იატაკქვეშელები შეადგენენ 0,9%-ს, — ერთი პროცენტიც არ გამოდის; 1917 წლის თებერვლის შემდეგ ოქტომბრამდე პარტიაში შესულთა რაოდენობა უდრის 3%-ზე ცოტა მეტს; 1919 წლამდე შესულთა რაოდენობა — 11%-ს; 1919 წელს შესულთა — 22%-ს; 1920 წელს შესულთა — 23%-ს; 1921 — 1923 წლებში შესულთა — 20%-ს. აქედან თქვენ ხედავთ, რომ ჩვენს არმიას მთლად თუ არა, უმთავრესად მაინც, პარტიული ახალგაზრდობა უწევს მომსახურებას.

ვ) **საზოგადოებრივი ინიციატივის ნებაყოფლობითი ორგანიზაციები.** ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ამ წლის განმავლობაში გაჩნდა ახალი ტიპის ორგანიზაცია — ნებაყოფლობითი ორგანიზაციები, საზოგადოებრივი ინიციატივის ორგანიზაციები — ყოველგვარი კულტურულ-საგანმანათლებლო წრეები და საზოგადოებანი, სასპორტო ორგანიზაციები, ხელშემწყობი საზოგადოებანი, მუშა და გლეხ კორესპონდენტთა ორგანიზაციები და სხვ. ამ ორგანიზაციების რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება, ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის არის არა მარტო საბჭოთა ხელისუფლების თანამგრძნობი, არამედ მტრულად განწყობილი ორგანიზაციებიც. თუ ავიღებთ რსფს რესპუბლიკას,

საზოგადოებრივი ინიციატივის ასეთი ორგანიზაციები გასულ წელს იყო დაახლოებით 78—80, წელს კი მათი რიცხვი 300-ს აღემატება. თუ ავიღებთ ფიზკულტურის ორგანიზაციას რსფს რესპუბლიკაში, ამ ორგანიზაციის წევრთა რიცხვი გასულ წელს უდრიდა 126 ათას კაცს, წელს უდრის 375 ათასს. ამ ორგანიზაციის სოციალური შემადგენლობა ასეთია: მუშები გასულ წელს შეადგენდნენ 35%-ს, ახლა შეადგენენ 42%-ს. აღნიშნული ორგანიზაციების ძირითად ცენტრებს წარმოადგენენ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები და კლუბები ქარხნებში, გლეხთა ურთიერთდამხმარე კომიტეტები [35] სოფლად. ყურადღებას იქცევენ მუშკორებისა და სოფლკორების ორგანიზაციები, რომელთა მიზანია — იყვნენ პროლეტარული საზოგადოებრივი აზრის გამომხატველნი. მუშკორების ორგანიზაციები მოიცავენ 25 ათას კაცს, სოფლკორებისა — 5 ათას კაცს. თუ შევეხებით ამ ორგანიზაციების საგუბერნიო ორგანოების შემადგენლობას, აღმოჩნდება, რომ გასულ წელს რსფს რესპუბლიკაში კომუნისტები შეადგენდნენ 19%-ს, წელს კი 29%-ზე ცოტა მეტს შეადგენენ. ბოლოს, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ერთი ახალი ორგანიზაცია, რომელიც გუშინ ლენინის მავზოლეუმის წინ დემონსტრაციით გამოვიდა [36]; ეს არის ორგანიზაცია პიონერებისა, რომელთა რიცხვი გასული წლის ივნისისათვის, ჩვენი სტატისტიკის (ეს სტატისტიკა, როგორც უკვე ვთქვი, რამდენადმე მოიკოჭლებს) გამოანგარიშებით, იყო 75 ათასი, ამა წლის აპრილისათვის კი 161 ათასზე მეტია. პიონერთა შორის მუშების შვილები სამრეწველო გუბერნიებში შეადგენენ 71%-ს, გლეხთა შვილები — 7%-ს. ნაციონალურ ოლქებში მუშების შვილები ამ ორგანიზაციაში შეადგენენ 38%-ს. გლეხურ გუბერნიებში მუშების შვილები 36 პროცენტია.

ასეთია სურათი მასობრივი ორგანიზაციებისა, რომელნიც გარს არტყიან პარტიას და კლასთან აკავშირებენ მას. ძირითადად პარტიის გავლენის ზრდა ამ ორგანიზაციებში უეჭველია.

2. სახელმწიფო აპარატი

ა) **მოსამსახურეთა რიცხვი.** სტატისტიკის მონაცემთა მიხედვით, სახალხო კომისარიატების მოსამსახურენი, მაშასადამე — იმ დაწესებულებათა მოსამსახურენი, რომელნიც სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებიან, გასულ წელს შეადგენდნენ 1 500 ათას კაცზე მეტს, წელს თითქოს დარჩა 1 200 ათასი კაცი. რიცხვი შემცირებულია 300 ათასით. მაგრამ თუ ავიღებთ სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მომუშავე დაწესებულებებს, აღმოჩნდება, რომ წელს ამ დარგში გვყავს თითქმის 200 ათასი კაცი (გასული წლისათვის ციფრები არა გვაქვს), ე. ი. ის, რაც ჩვენ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში შემცირების მხრივ მოვიგეთ, მნიშვნელოვნად წავაგეთ იმ დაწესებულებებში, რომელნიც სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მუშაობენ. აღარას ვამბობ იმაზე, რომ მოსამსახურეთა ნაწილი ადგილობრივ ბიუჯეტზე გადავიდა, ე. ი. ამ გამოანგარიშებაში არ მოხვდა. ერთი სიტყვით, მოსამსახურეთა რაოდენობა იგივე დარჩა, თუ არ გადიდებულა. დაგვრჩა კოოპერაციის მოსამსახურენი, რომელთა რიცხვი გასულ წელს იყო 103 ათასი, ახლა არის 125 ათასი, — აქ გადიდება გვაქვს; პროფკავშირთა მოსამსახურენი, რომელნიც შეადგენდნენ 28 ათას კაცს, ახლა შეადგენენ 27 ათასს, და პარტიული აპარატის მოსამსახურენი, რომელთა რაოდენობა იყო 26 ათასი, ახლა კი არის 23 ათასი. სულ გვყავს 1 575 ათასი კაცი, ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ მოსამსა-

ხურეთა ჩაუთვლელად. როგორც ხედავთ, ჯერჯერობით არა გვაქვს საფუძველი ვილაპარაკოთ ჩვენს წარმატებაზე საერთოდ მოსამსახურეთა და განსაკუთრებით სახელმწიფო აპარატის მოსამსახურეთა შემცირების საქმეში.

ბ) **ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ორგანოების პარტიული შემადგენლობა.** თუ ვიანგარიშებთ უმაღლეს დაწესებულებათა წევრებს, კოლეგიათა წევრებს, მთავარ განყოფილებათა გამგეებს და მათს თანაშემწეებს (მრეწველობის ჩაუთვლელად), აღმოჩნდება, რომ 1923 წელს კომუნისტები შეადგენდნენ 83%-ს, წელს — 86%-ს. ერთგვარი პროგრესი უთუოდ გვაქვს, თუ შევადარებთ იმ მდგომარეობას, რომელიც ორი წლის წინათ გვქონდა. მუშების რიცხვი ამ ხელმძღვანელ ორგანოებში გასულ წელს შეადგენდა 19%-ს, წელს — 21%-ს. ცოტაა, მაგრამ მაინც გადიდებაა.

გ) **სამრეწველო ორგანოების პარტიული შემადგენლობა.** რაც შეეხება სამრეწველო ორგანოებს, ტრესტებს, სინდიკატებს და უდიდეს საწარმოებს, აქ შემდეგი სურათი გვაქვს: სსრ კავშირში ტრესტების მთელ აპარატში კომუნისტები იყვნენ 6%-ზე ცოტა მეტი გასულ წელს და 10%-ზე ცოტა მეტი — წელს. ტრესტების, სინდიკატებისა და უდიდესი საწარმოების ხელმძღვანელ ორგანოებში გასულ წელს — 47%-ზე ცოტა მეტი, წელს — 52%-ზე ცოტა მეტი. თუ ავიღებთ უდიდეს საწარმოთა დირექტორების რიცხვს, გასულ წელს კომუნისტები შეადგენდნენ 31%-ს, წელს შეადგენენ 61%-ს. რსფს რესპუბლიკის ტრესტების მთელ აპარატში კომუნისტები შეადგენდნენ 9,5%-ს, წელს უკვე შეადგენენ 12%-ზე მეტს (თითქმის 13%). რსფს რესპუბლიკის ტრესტების ხელმძღვანელ შემადგენლობაში კომუნისტების რიცხვი იყო 37%, ახლა არის 49%. სინდიკატებში — მთელ აპარატში საერთოდ — გასულ წელს იყო

9%, წელს არის 10%. სინდიკატების ხელმძღვანელ შემადგენლობაში იყო 42%, გახდა 55%.

საერთოდ უნდა ვაღიაროთ, რომ სამეურნეო ორგანოებში, თუ ხელმძღვანელ შემადგენლობას ავიღებთ, კომუნისტები შეადგენენ დაახლოებით 48 — 50%-ს.

დ) **სავაჭრო და საკრედიტო დაწესებულებათა პარტიული შემადგენლობა.** სულ სხვა სურათს წარმოადგენენ ჩვენი სავაჭრო და საკრედიტო დაწესებულებანი, რომლებმაც დღევანდელ მომენტში უაღრესი მნიშვნელობა მოიპოვეს მთელ ჩვენს ეკონომიკაში. ავიღოთ, მაგალითად, შინავაჭრობა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელ ჩვენს განვითარებაში. უკანასკნელ რეფორმამდე იქ ცენტრალური დაწესებულების ხელმძღვანელ შემადგენლობაში კომუნისტების რიცხვი შეადგენდა მხოლოდ 4%-ს. თუ ავიღებთ საგარეო ვაჭრობის უმნიშვნელოვანეს ორგანოს — სახვაჭრობას, აღმოჩნდება, რომ იქ პასუხისმგებელ მუშაკთა შორის კომუნისტები შეადგენენ სულ 19%-ს, ამასთან, რა კომუნისტები არიან ესენი, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ იმის მიხედვით, რომ სახვაჭრობის ცენტრალურ დაწესებულებაში კომუნისტები გაწმინდეს 100%-ით. (ს ი ც ი ლ ი). მეორე თვალსაჩინო ორგანო, რომელსაც სერიოზული მნიშვნელობა აქვს მთელ ეკონომიკაში, — «პურპროდუქტი», — შემდეგ სურათს წარმოადგენს. «პურპროდუქტის» 58 კანტორაში, ცენტრალური დაწესებულების აპარატის, რწმუნებულებისა და მოადგილეების ჩაუთვლელად, სულ ირიცხება 9 900 თანამშრომელი. აქედან კომუნისტები შეადგენენ 5,9%-ს, რუსეთის ახალგაზრდობის კომკავშირის წევრები — 0,7%-ს, ხოლო დანარჩენები უპარტიონი არიან. იმ ორგანოებში, რომელთაც ყველაზე მეტი კავშირურთიერთობა აქვთ გლეხობასთან, — მიმღებ პუნქტებ-

ში, ყოველგვარ დამხმარე პუნქტებში და აგენტებს შორის, — კომუნისტები სულ 17%-ს შეადგენენ. «პურპროდუქტის» ცენტრალურ დაწესებულებაში 137 პასუხისმგებელი მუშაკია, მათ შორის რკპ(ბ) წევრი 13 კაცია — 9%. უნდა შევნიშნოთ, რომ პარტიულებს «პურპროდუქტში» უაღრესად არარაციონალურად იყენებენ — მათი რიცხვის მხოლოდ 20%-ს იმყოფება საპასუხისმგებლო სამუშაოზე, დანარჩენი 80% დაბალი მოსამსახურენი არიან. უკეთესად არ არის საქმე ისეთ საკრედიტო დაწესებულებაში, როგორიცაა სახელმწიფო ბანკი. ეს უმნიშვნელოვანესი საკრედიტო დაწესებულებაა, რომელიც სერიოზულ როლს ასრულებს მთელ ჩვენს სამეურნეო ცხოვრებაში. თქვენ იცით კრედიტის ძალა, — ეს ისეთი ძალაა, რომლის საშუალებით შეიძლება დასცეთ ან ფეხზე დააყენოთ მოსახლეობის ყოველი ფენა, რისთვისაც საკმარისია მხოლოდ აამოქმედოთ ეგრეთწოდებული შეღავათიანი კრედიტი. და აი ამ სახელმწიფო ბანკს მთელ აპარატში კომუნისტები ჰყავს სულ 7%, ხელმძღვანელ მუშაკთა შემადგენლობაში კი — მხოლოდ 12%, ამავე დროს კი სახელმწიფო ბანკი მთელი რიგი საწარმოებისა და ძალიან ბევრი სამეურნეო დაწესებულების ბედსა წყვეტს.

ე) **საბჭოების პარტიული შემადგენლობა.** ცნობები გვაქვს რსფს რესპუბლიკისათვის. სასოფლო საბჭოებში გასულ წელს კომუნისტები შეადგენდნენ თითქმის 6%-ს, ახლა შეადგენენ 7%-ზე ცოტა მეტს. სათემო აღმასკომებში კომუნისტების რიცხვი შეადგენდა 39%-ზე მეტს, გახდა 48%. სამაზრო აღმასკომებში იყო 80%-ზე მეტი, გახდა 87%-ზე მეტი. სამაზრო ქალაქების საქალაქო საბჭოებში იყო 61%, ახლა კი ნაკლებია — 58%. საგუბერნიო აღმასკომებში იყო 90%, ახლა არის 89%. საგუბერნიო ქალაქების

საქალაქო საბჭოებში იყო 78%, ახლა არის 71%. ამ სამ უკანასკნელ საბჭოებში — სამაზრო ქალაქების საქალაქო საბჭოებში, საგუბერნიო აღმასკომებში და საგუბერნიო ქალაქების საქალაქო საბჭოებში — უპარტიოთა გავლენა უმნიშვნელოა, მაგრამ იგი მაინც იზრდება. რაც შეეხება საგუბერნიო აღმასკომების პლენუმებს, — გვაქვს მონაცემები 69 გუბერნიისათვის, თანაც ცნობები ეხება 2 623 მუშაკს. მერე, რა ირკვევა? საგუბერნიო აღმასკომების პლენუმების უპარტიო წევრები შეადგენენ დაახლოებით 11%-ს. უპარტიოთა ყველაზე დიდი პროცენტი გვაქვს ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთის ოლქში, სადაც ეს პროცენტი 20-ს უდრის. რაც შეეხება ნაციონალურ რესპუბლიკებს, იქ უპარტიონი 7%-ს შეადგენენ. ესაა უპარტიოთა უმცირესი პროცენტი საგუბერნიო აღმასკომებში. და ეს გვაქვს ნაციონალურ რესპუბლიკებში, სადაც პარტიულები საერთოდ ცოტანი არიან!

3. პარტიის შემადგენლობა. ლენინური გაწვევა

ა) **რაოდენობა.** XII ყრილობისათვის ჩვენს პარტიაში 485 ათასზე მეტი წევრი და კანდიდატი ითვლებოდა. ახლა ითვლება 472 ათასი, ლენინური გაწვევის ჩაუთვლელად. ლენინურ გაწვევასთან ერთად, თუ ავიღებთ ცნობებს 1 მაისისათვის (ამ რიცხვამდე მიღებული იყო 128 ათასი კაცი), ჩვენი პარტიის შემადგენლობა 600 ათასი კაცით განისაზღვრება. თუ ვივარაუდებთ, რომ ორიოდე კვირის შემდეგ ლენინური გაწვევა 200 ათას კაცს მაინც მიაღწევს, პარტიის წევრთა რიცხვი შეიძლება განვსაზღვროთ 670 — 680 ათასი კაცით.

ბ) **პარტიის სოციალური შემადგენლობა.** მუშები გასულ წელს შეადგენდნენ 44,9%-ს, წელს, ლენინური გაწ-

ვევის ჩაუთვლელად, შეადგენენ 45,75%-ს, — აქ ზრდაა 0,8%-ით. გლეხები შეადგენდნენ 25,7%-ს, ახლა შეადგენენ 24,6%-ს, ე. ი. შემცირებაა 1,1%-ით. მოსამსახურეები და სხვები შეადგენდნენ 29%-ზე ცოტა მეტს, ახლა შეადგენენ 29%-ს ერთგვარი პლუსით, ე. ი. გვაქვს უმნიშვნელო გადიდება. თუ ავიღებთ სოციალურ შემადგენლობას ლენინური გაწვევის ჩათვლით 1 მაისისათვის, მუშები — რკპ(ბ) წევრები და კანდიდატები — შეადგენენ 55,4%-ს, გლეხები — 23%-ს, მოსამსახურეები და სხვები — 21,6%-ს.

გ) **შემადგენლობა პარტიული სტაჟის მიხედვით.** პარტიაში 1905 წლამდე შესული შარშან იყო 0,7%, ახლა არის 0,6%. 1905 — 1916 წლებში შესული იყო 2%, დარჩა 2%. 1917 წელს შესული იყო 9%-ზე მეტი, დარჩა 9%-ზე ცოტა ნაკლები. 1918 წელს შესული იყო 16,5%, დარჩა 15,7%. 1920 წელს შესული იყო 31,5%, დარჩა 30,4%. 1921 წელს შესული — 10,5%, დარჩა 10,1%. 1922 წელს შესული — ციფრები იმ წლისათვის არ მოგვეპოვება, ახლა არის 3,2%. 1923 წელს შესული — 2,3%. ყოველივე ეს გვაქვს ლენინური გაწვევის ჩაუთვლელად.

დ) **ნაციონალური და სქესობრივი შემადგენლობა.** ველიკოროსები პარტიაში XIII ყრილობისათვის შეადგენენ 72%-ს; ცხადია, ლენინური გაწვევის შემდეგ ეს პროცენტი უნდა გადიდდეს. მეორე ჯგუფია უკრაინელები — 5,88%. მესამე ჯგუფი — ებრაელები — 5,2%. შემდეგ — თურქი ეროვნებანი — 4%-ზე ცოტა მეტი; ამათ მოსდევენ სხვა ეროვნებანი, როგორიც არიან ლატვიელები, ქართველები, სომხები და სხვ. პარტიის წევრი ქალები XII ყრილობისათვის იყო 7,8%, გახდა 8,8%. კანდიდატი ქალები იყო 9%, გახდა 10,5%. ლენინური გაწვევით ქალები მიღებულია საერთო რიცხვის 13%, რაც რამდენადმე გაადიდებს ქალთა ზემოაღნიშნულ პროცენტს.

დასასრულ, დაზგაზე მომუშავე კომუნისტები 1923 წლის 1 დეკემბრისათვის (წევრები და კანდიდატები) შეადგენდნენ 17%-ს, ხოლო ლენინური გაწვევის ჩათვლით, თუ ვიანგარიშებთ ციფრს — 128 ათასს, — 35,3%-ს.

ე) **მუშათა კლასის პარტიული ორგანიზებულობა.** თუ ვიანგარიშებთ ჩვენი პარტიის მთელ მუშურ ნაწილს, ე. ი. იმ რაოდენობასაც, რაც ნამდვილად გვაქვს 1 მაისისათვის, და იმ რაოდენობასაც, რაც გვექნება ორი კვირის შემდეგ, როცა ლენინური გაწვევა მიაღწევს (შეიძლება ითქვას, გადაამეტებს) 200 ათასს, ჩვენი პარტიის მუშური ნაწილის საერთო რაოდენობა იქნება 410 ათასი პარტიის შემადგენლობის საერთო რიცხვში — 672 ათასში. მუშური ნაწილის ეს რაოდენობა კავშირის მთელი სამრეწველო და სოფლის პროლეტარიატის მიმართ, რომლის რიცხვი 4 100 ათას კაცს უდრის, — 10%-ს შეადგენს.

ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ თვითეულ 100 მუშაზე პარტიაში ორგანიზებულია 10 კაცი.

4. პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობა. კადრები და ახალგაზრდობა

ა) **ადგილობრივი ორგანოების შემადგენლობა.** მე ვიღებ საგუბერნიო და საოლქო კომიტეტების პლენუმებს 45 ორგანიზაციაში. იატაკქვეშელები საგუბერნიო და საოლქო კომიტეტების პლენუმებში შეადგენენ 32%-ზე ცოტა მეტს, დანარჩენ 67%-ს შეადგენენ პარტიაში უფრო გვიან შესულნი: 1917 წელს შესულნი — 23%-ს, 1918 — 1919 წლებში შესულნი — 33%-ს, 1920 წელს შესულნი—9%-ს. ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებში, როგორც საგუბერნიო კომიტეტებში, ისე საოლქო კომი-

ტეტებში, ჭარბობენ არა იატაკქვეშელები, არამედ ოქტომბრის შემდეგ შესულნი. თუ ავიღებთ საგუბერნიო და საოლქო კომიტეტების პრეზიდიუმებს 52 ორგანიზაციაში, რომლებზედაც გვაქვს ცნობები პარტიული სტაჟის შესახებ, რევოლუციამდე შესულნი შეადგენენ 49%-ს, თებერვლის შემდეგ, 1917 წელს შესულნი — 19%-ს, 1918 — 1919 წლებში შესულნი — 26%-ს და დანარჩენნი — 6%-ს. აქ მაინც ჭარბობენ პარტიის ის წევრები, რომელნიც ჩვენს პარტიაში თებერვლის შემდეგ შევიდნენ. საგუბერნიო და საოლქო კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეები იატაკქვეშელთაგან XII ყრილობისათვის შეადგენდნენ 27,4%-ს, XIII ყრილობისათვის — 30%-ს; სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეები იატაკქვეშელთაგან XII ყრილობისათვის შეადგენდნენ 31%-ს, ახლა შეადგენენ 23%-ს. რაც შეეხება საგუბერნიო და საოლქო კომიტეტების მდივნებს, აქ საწინააღმდეგო ტენდენცია გვაქვს. საგუბერნიო და საოლქო კომიტეტების მდივნებს შორის იატაკქვეშელები XII ყრილობისათვის შეადგენდნენ 62,5%-ს, დღევანდელი ყრილობისათვის — 71%-ს.

ამოცანა ნათელია — უნდა შევამციროთ საგუბერნიო კომიტეტების მდივნების სტაჟი.

სამაზრო კომიტეტების პლენუმების შემადგენლობა 67 მაზრაში: იატაკქვეშელები — 12%; 1917 წელს შესულნი — 22%; 1918 — 1919 წლებში შესულნი — 43%. სამაზრო კომიტეტების მდივნები, 248 მაზრის ცნობების მიხედვით: იატაკქვეშელები ჩვენი XIII ყრილობისათვის — 25%; 1917 წელს, ოქტომბრამდე შესულნი — 27%; 1919 წლამდე შესულნი — 37%, უჯრედების მდივნები 28 გუბერნიაში (ცნობები გვაქვს 6 541

მდივნის შესახებ): იატაკქვეშელები — სულ 3%-ზე ცოტა მეტი; ძირითადი ციფრი — 55% — მოდის იმ პირთა ჯგუფზე, რომელნიც პარტიაში შევიდნენ ოქტომბრის შემდეგ, 1917 — 1918 წლებში.

სოციალური შემადგენლობის მხრივ 45 ორგანიზაციაში მუშები წელს საგუბერნიო და საოლქო კომიტეტებში შეადგენდნენ 48%-ს. 52 ორგანიზაციაში საგუბერნიო და საოლქო კომიტეტების პრეზიდიუმებში მუშები იყვნენ 41%. საგუბერნიო და საოლქო კომიტეტების მდივნებს შორის XII ყრილობისათვის მუშები შეადგენდნენ 44,6%-ს, XIII ყრილობისათვის — 48,6%-ს. სამაზრო კომიტეტების პლენუმებში (67 მაზრაში) მუშები შეადგენდნენ 63,4%-ს. სამაზრო კომიტეტების მდივნებს შორის (248 მაზრაში) მუშები შეადგენდნენ 50%-ს.

ყველა ეს ცნობა შეეხება პერიოდს უკანასკნელ საგუბერნიო და სამაზრო პარტკონფერენციებამდე.

მაგრამ სწორედ პარტიის ყრილობის წინ მე მივიღე ზოგიერთი ცნობა უკანასკნელი კონფერენციების შედეგებზე. ეს ცნობები, რომლებიც 11 გუბერნიასა და 16 ოლქს ეხება, გვიჩვენებს, რომ იატაკქვეშელთა რიცხვი საგუბერნიო და საოლქო კომიტეტების პლენუმებში შემცირდა 27%-მდე, ხოლო მუშების რიცხვი გადიდდა 53%-მდე.

აქედან ცხადია, რომ აქ ჩვენ გვაქვს ორი ტენდენცია: ერთი მხრით, ახალგაზრდობის ჩაბმა კადრებში და კადრების გაფართოება და, მეორე მხრით, პარტორგანიზაციების სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესება.

ბ) **ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის შემადგენლობა.** თუ ავიღებთ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებს და წევრებს, სულ 56 კაცს, მუშები მათ შორის შეადგენენ 44,6%-ს,

გლეხები და ინტელიგენტები — 55,3%-ს. მაშასადამე, უნდა გავაფართოოთ ცენტრალური კომიტეტი მისი მუშური შემადგენლობის გადიდებით. ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში მუშა წევრები და კანდიდატები შეადგენენ 48%-ს, გლეხი და ინტელიგენტი წევრები და კანდიდატები — 52%-ს. აქ იგივე დასკვნა გამომდინარეობს. პარტიული სტაჟის მიხედვით, იატაკქვეშელები ცენტრალური კომიტეტის წევრთა და კანდიდატთა შემადგენლობაში შეადგენენ 96%-ს. ეს სულ თებერვლამდე შესული პირები არიან. ცენტრალური კომიტეტის 56 წევრიდან და კანდიდატიდან მხოლოდ 2 კაცია უფრო გვიან შესული, — ეს შეადგენს 4%-ს. იგივე მდგომარეობა გვაქვს ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში. 60 კაციდან 57 იატაკქვეშელია და 3 (ეს შეადგენს 5%-ს) უფრო გვიან შესული. მაშასადამე, უნდა დავუმატოთ ახალგაზრდები.

გ) **ამ ყრილობის შემადგენლობა.** სულ აღრიცხულია 742 დელეგატი. აქედან მუშები შეადგენენ 63,2%-ს, იატაკქვეშელნი — 48,4%-ს. დანარჩენები მეტ-ნაკლებად ახალგაზრდები არიან.

5. პარტიის მუშაობა აგიტაციისა და პროპაგანდის დარგში

ა) **კომუნისტური განათლება.** თვალში გეცემათ პოლიტუცოდინართა დიდი პროცენტი პარტიის შიგნით: ზოგიერთ გუბერნიაში ეს პროცენტი 70-ს აღწევს. ცენტრალური რუსეთის რამდენსამე გუბერნიაში პოლიტიკურად უცოდინარნი (შემოწმებულია 60 ათასი კაცი) საშუალოდ შეადგენენ 57%-ს; გასულ წელს იყო დაახლოებით 60%. ეს ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი ძირი-

თადი დეფექტია. აშკარაა, მუშაობა წარმოებს არა იმდენად სიღრმივ, რამდენადაც სიგანეზე. საბჭოთა-პარტიული სკოლების, უფრო სწორად, ამ სკოლების მსმენელების, რაოდენობა რამდენადმე შემცირდა იმის გამო, რომ საბჭოთა-პარტიული სკოლების ნაწილი ადგილობრივ ბიუჯეტზე გადავიდა. კომუნისტურ უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების რიცხვი გასულ წელთან შედარებით გადიდდა. მაგრამ ჩვენ მოგვიხდება ეს რიცხვი რამდენადმე შევამციროთ, რათა არსებული სახსრების შესაბამისად გავაუმჯობესოთ სტუდენტთა მატერიალური მდგომარეობა და დავაწვეთ კომუნისტური განათლების გაღრმავების საქმეს. განსაკუთრებით უნდა გავუსვათ ხაზი ლენინიზმის პროპაგანდას, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური განათლების საქმეში.

ბ) **ბეჭდვითი სიტყვა**. გაზეთები ჩვენში გასულ წელს იყო 560, წელს ნაკლებია — 495, მაგრამ ტირაჟი გადიდდა 1½ მილიონიდან $2^1/_2$ მილიონამდე. საინტერესოა გაზეთების ზრდა არარუსულ ენებზე. ჩვენ გვაქვს ისეთი რესპუბლიკებიც, სადაც არც ერთი რუსული გაზეთი არ გამოდის, მაგალითად, სომხეთი, სადაც 100% გაზეთებისა სომხურ ენაზე იცემა. საქართველოში გაზეთების 91% ქართულ ენაზე გამოდის. ბელორუსიაში გაზეთების 88% არარუსულ ენაზე გამოდის. ნაციონალური გაზეთების რიცხვის ზრდა გვაქვს ყველა ნაციონალურ ოლქსა და რესპუბლიკაში უკლებლივ. ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენი პერიოდული ორგანოების რედაქტორთა შემადგენლობას. გამოკვლეულია 287 ბეჭდვითი ორგანო, და აღმოჩნდა, რომ ამ ბეჭდვითი ორგანოების რედაქტორებს შორის იატაკქვეშელები შეადგენენ სულ 10%-ს. ყველაზე დიდი ციფრები მოდის პარტიის იმ წევრებზე, რომლებიც პარ-

ტიაში შესული არიან 1918 — 1919 წლებში. ეს დეფექტია, რომელიც უნდა გამოვასწოროთ, რისთვისაც გაზეთის ახალგაზრდა მუშაკების დასახმარებლად უნდა გავგზავნოთ ძველი, უფრო გამოცდილი მუშაკები.

გ) **მუშაობა გლეხთა შორის.** ამ საქმეში მთელი რიგი მინუსები გვაქვს. საბჭოები სოფლებსა და თემებში ჯერ კიდევ საგადასახადო აპარატის ორგანოებს წარმოადგენენ. გლეხები მათ უყურებენ, უწინარეს ყოვლისა, როგორც გადასახადის ამკრეფ ორგანოებს. ადგილობრივი ორგანოების მუშაობა სოფლად, იმ მუშაკთა საერთო აზრით, რომელნიც სოფელს იცნობენ, ასეთია: ჩვენი პოლიტიკა სწორია, მაგრამ ადგილებზე ის სწორად არ ტარდება. საბჭოთა ორგანოების შემადგენლობა სოფლებსა და თემებში ისეთია, რომ სასურველი ძალიან ბევრი რამ გვრჩება. ცუდ გავლენას ახდენს მუშაობაზე უჯრედების ადმინისტრატორული შემადგენლობა სოფლად. კიდევ უფრო უარეს გავლენას ახდენს ის, რომ სოფელთან ახლო მყოფმა მუშაკებმა არ იციან საბჭოთა კანონები და რომ მათ არ შესწევთ უნარი — განუმარტონ ეს კანონები სოფლის ღარიბებს, არ შესწევთ უნარი — დაიცვან საბჭოთა კანონების საფუძველზე ღარიბთა და საშუალო გლეხთა ინტერესები კულაკის მოძალების წინააღმდეგ, დაიცვან იმ შეღავათების საფუძველზე, რასაც საბჭოთა კანონები ღარიბებს ანიჭებენ. შემდეგ, აღსანიშნავია საერთო შეცდომა: ჩვენს მუშაკებს სურთ მიუდგნენ გლეხს სიტყვიერი აგიტაციის თვალსაზრისით, მათ არ ესმით, რომ გლეხს უნდა საგნობრივი აგიტაცია და არა სიტყვიერი, — აგიტაცია, რომელიც მას უშუალო სარგებლობას მოუტანს. კოოპერატივებში ჩაბმა, ღარიბთათვის შეღავათების გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო კრედიტი, გლეხთა კომიტეტების მიერ მოწყობილი ურთი-

ერთდახმარება, — აი, უწინარეს ყოვლისა, რა საკითხებს შეუძლიათ გლეხის დაინტერესება.

6. პარტიის მუშაობა მუშაკთა აღრიცხვის, განაწილებისა და დაწინაურების დარგში

ა) **აღრიცხვა და განაწილება.** შარშან პასუხისმგებელი მუშაკი აღრიცხული იყო 5 ათასამდე კაცი, წელს აღრიცხული პასუხისმგებელი მუშაკი ყველა მასშტაბისა გვყავს დაახლოებით 15 ათასი კაცი. ჩვენი აღრიცხვა უმჯობესდება, ეს უეჭველია. ციფრები მოწმობენ, რომ შარშან განაწილებული იყო 10 ათასი ყოველგვარი მუშაკი, მათ შორის პასუხისმგებელი მუშაკი — 4 ათასზე მეტი. წელს განაწილებულია 6 ათასი, მათ შორის პასუხისმგებელი მუშაკი — 4 ათასი. პარტიის ძირითადი მუშაობა განაწილების დარგში მიმართული იყო იქითკენ, რომ მუშაკებით მოგვემარაგებინა, უწინარეს ყოვლისა, პარტია, მერე სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ორგანოები და, ბოლოს, ფინანსთა სახალხო კომისარიატის, უმთავრესად, მისი საგადასახადო აპარატის ორგანოები. მუშაობის ყველა დანარჩენ დარგს უფრო ნაკლებ ვამარაგებდით კომუნისტებით. ეს დიდი შეცდომაა ჩვენს მუშაობაში. იმ დროს, როდესაც სამეურნეო ცხოვრების ცენტრმა სავაჭრო დარგში გადაინაცვლა, ჩვენ ვერ გამოვიჩინეთ საკმარისი ინიციატივა და სიმტკიცე, რათა დავდგომოდით იმ გზას, რომ მაქსიმალურად მოგვემარაგებინა უალრესად აქტიური მუშაკებით სავაჭრო და საკრედიტო დაწესებულებანი და მათი წარმომადგენლობანი ადგილებზე და საზღვარგარეთ. კერძოდ, მხედველობაში მაქვს ისეთი ორგანოები, როგორიცაა სახელმწიფო ვაჭრობა და «პურპროდუქტი».

7. პარტიის შინაგანი ცხოვრება

მე არ ჩამოვთვლი, რამდენი და რაგვარი საკითხები იყო განხილული ცენტრალურ კომიტეტსა და მის ორგანოებში, — ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, და ამის შესახებ უკვე ნათქვამიც არის წერილობითს ანგარიშში, რომელიც თქვენ დაგირიგდათ. მინდა მხოლოდ ყურადღება მივაქციო შემდეგ გარემოებებს.

ჯერ-ერთი, ჩვენი ორგანიზაციების შინაგანი ცხოვრება უეჭველად გაუმჯობესდა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ორგანიზაციები დაიწმინდნენ, კინკლაობა ცოტაა, საქმიანი მუშაობა მიმდინარეობს. არის გამონაკლისები განაპირა მხარეებში, სადაც ძველი მუშაკების გვერდით, რომელნიც კომუნიზმში მაინცდამიანც მტკიცენი ვერ არიან, იზრდებიან ახალგაზრდა მუშაკ-მარქსისტთა კადრები, რომელთაც უსწავლიათ სვერდლოვის უნივერსიტეტში და სხვა სასწავლებლებში და რომელნიც ძლიერნი არიან პარტიულ მუშაობაში და მეტად სუსტნი — საბჭოთა მუშაობაში. ეს კონფლიქტები განაპირა მხარეებში ახალგაზრდა და ძველ მუშაკებს შორის ჯერ კიდევ მალე ვერ აღმოიფხვრება. ამ მხრივ განაპირა მხარეები გამონაკლისს წარმოადგენენ. რაც შეეხება ცენტრალური რუსეთის გუბერნიების უმეტესობას, უნდა ჩავთვალოთ, რომ იქ ორგანიზაციები დაიწმინდნენ, და საქმიანი მუშაობა წინ წავიდა. ყველაზე მოკინკლავე რესპუბლიკა — საქართველო, რომელზედაც ჩვენ ასე ბევრს ვლაპარაკობდით წინა ყრილობაზე, ახლა პარტიული მხრით დაწყნარებულია. საუკეთესო ადამიანებმა ყოფილ უკლონისტთაგან, როგორიც არიან ფილიპე მახარაძე და ოკუჯავა, საბოლოოდ გაწყვიტეს კავშირი უკიდურეს უკლონისტებთან და განაცხადეს, რომ მზად არიან შეთანხმებულად იმუშაონ.

მეორეც, საგუბერნიო კომიტეტებში, განსაკუთრებით კი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ამ წელს მოხდა მუშაობის სიმძიმის ცენტრის გადანაცვლება ბიუროებიდან თუ პრეზიდიუმებიდან პლენუმებზე. წინათ ცენტრალური კომიტეტის პლენუმები პოლიტბიუროს ანდობდნენ ძირითადი საკითხების გადაწყვეტას. ახლა ასე აღარაა. ახლა ჩვენი პოლიტიკისა და ჩვენი მეურნეობის ძირითად საკითხებს პლენუმი წყვეტს. გადაათვალიერეთ ჩვენი პლენუმების დღის წესრიგი, სტენოგრამები, რომლებიც ყველა საგუბერნიო კომიტეტს ეგზავნება, და თქვენ გაიგებთ, რომ სიმძიმის ცენტრი პოლიტბიუროდან და საორგანიზაციო ბიუროდან პლენუმში გადავიდა. ეს მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაა იმ მხრივ, რომ ჩვენს პლენუმზე ასი-ას ოცი კაცი იკრიბება (ესენი არიან ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრები და წევრობის კანდიდატები), და პლენუმში ცენტრის გადანაცვლების გამო პლენუმი გადაიქცა მუშათა კლასის ლიდერების, მუშათა კლასის პოლიტიკური ხელმძღვანელების მომზადების უდიდეს სკოლად. ჩვენს თვალწინ იზრდებიან და იფურჩქნებიან ახალი ადამიანები, მუშათა კლასის ხვალინდელი ხელმძღვანელები, — ესაა ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჩვენი გაფართოებული პლენუმებისა.

დამახასიათებელია, რომ ამავე ტენდენციას ვამჩნევთ ადგილებზე. უმნიშვნელოვანესი საკითხები საგუბერნიო კომიტეტების ბიუროებიდან პლენუმებში გადადის, პლენუმები ფართოვდებიან, მათი სხდომები უფრო ხანგრძლივი ხდება, იქ იწვევენ გუბერნიის ყველა საუკეთესო მუშაკს, და, ამგვარად, საგუბერნიო კომიტეტების პლენუმები ადგილობრივი და საოლქო მნიშვნელობის ლიდერთა სკოლად იქცევიან. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ეს ტენდენცია ადგილებზე, გუბერნიებსა და მაზრებში, ფაქტად იქცეს.

მესამეც, ჩვენი პარტიის შინაგანი ცხოვრება ამ წლის განმავლობაში არაჩვეულებრივ ინტენსიური იყო, იგი, შეიძლება ითქვას, დუღდა და გადმოდუღდა. ჩვენ, ბოლშევიკები, შევეჩვიეთ დიდი საქმეების კეთებას და ხშირად, უდიდეს საქმეებს რომ ვასრულებთ, ვერ ვამჩნევთ ამას. ისეთი ფაქტები, როგორიცაა დისკუსია და ლენინური გაწვევა, — ზედმეტია ამის მტკიცება — უდიდეს მოვლენებს წარმოადგენენ ჩვენს ქვეყანაში და პარტიაში, და მათ, რასაკვირველია, არ შეეძლოთ არ გამოეცოცხლებინათ პარტიის შინაგანი ცხოვრება.

რას გვეუბნება ეს ორი ფაქტი? იმას, რომ ჩვენი პარტია, რომელმაც დისკუსია გამოიარა, მტკიცეა, როგორც სალი კლდე. იმას, რომ ჩვენი პარტია, რომელმაც მთელი მუშათა კლასის ნება-სურვილით და დასტურით 200 ათასი ახალი წევრი მიიღო, არსებითად წარმოადგენს არჩევითს პარტიას, მუშათა კლასის არჩევითს ორგანოს.

8. დასკვნები

1. იმ მასობრივი ორგანიზაციებიდან, რომელნიც ჩვენს პარტიას გარს არტყიან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ კოოპერაციას და მუშა და გლეხ ქალთა გაერთიანებებს. მე გამოვყოფ ამ ორგანიზაციებს იმიტომ, რომ მათ ამჟამად ყველაზე მეტად ემუქრებათ საფრთხე.

ა) უეჭველია, სამომხმარებლო კოოპერაციის აპარატი, რომელიც მოწოდებულია გლეხურ მეურნეობასთან დააკავშიროს სახელმწიფო ინდუსტრია, თავისი ამოცანის სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა. ამას მოწმობს ის უეჭველი ფაქტი, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის გლეხური სექტორი წევრთა საერთო რიცხვის მხოლოდ ⅓-ს შეადგენს. უნდა მივალწიოთ იმას, რომ გლეხებმა სამომხმარებლო კოოპერა-

ციაში მათთვის შესაფერისი მდგომარეობა დაიკავონ. აუცილებელია, რომ კომუნისტებმა მუშაობის ცენტრი გუბერნიებიდან მაზრებსა და რაიონებში გადაიტანონ, რათა გააბან კავშირი გლეხობის მასებთან და, ამგვარად, გადააქციონ სამომხმარებლო კოოპერაცია დამაკავშირებელ რგოლად ინდუსტრიასა და გლეხურ მეურნეობას შორის.

ბ) უკეთ არ არის საქმე სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში. ციფრების არევდარევა, წევრთა რაოდენობის შემცირება წლის განმავლობაში, — ყოველივე ეს ფაქტებია, რასაც უნდა ჩავუფიქრდეთ. აქაც, ისე როგორც სამომხმარებლო კოოპერაციაში, კომუნისტებმა სიმძიმის ცენტრი უნდა გადაიტანონ მაზრებსა და რაიონებში — უფრო ახლოს გლეხთა მასებთან, და მიზნად უნდა დაისახონ მიაღწიონ იმას, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირის ორგანოები ადგილებზე კულაკური მოძალების საფარი არ გახდნენ. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. საჭიროა კომუნისტური ძალებით გავამაგროთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირის ხელმძღვანელი ორგანოები, სადაც საქმემ უკანასკნელ ხანებში საკმაოდ იწყო კოჭლობა.

გ) უარესად არის საქმე ქალთა შორის მუშაობის დარგში. მართალია, მუშა და გლეხ ქალთა სადელეგატო კრებები იზრდებიან და ფართოვდებიან, მაგრამ ის, რასაც ქალთა მოძრაობის მუშაკებმა უკვე მიაღწიეს აგიტაციის დარგში, სრულიადაც, აუცილებელი მინიმუმის მეასედადაც კი არ არის განმტკიცებული ორგანიზაციულად. პროცენტი მუშა და გლეხ ქალთა მონაწილეობისა საბჭოებში, კავშირებსა და პარტიაში უეჭველად მეტყველებს ამას. პარტიამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს იმისათვის, რომ ეს ხარვეზი უახლოეს მომავალში შეივსოს. არ შეიძლება იმ მდგომარეობის მოთმენა, როდესაც საბჭოთა კავ-

შირის მოსახლეობის ნახევარი ჯერ კიდევ განზე დგას საბჭოთა და პარტიული განვითარების დიდი გზიდან.

დ) განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ საზოგადოებრივი ინიციატივის ნებაყოფლობითი ორგანიზაციები, განსაკუთრებით მუშკორთა და სოფლკორთა ორგანიზაციები. მუშკორთა და სოფლკორთა ორგანიზაციებს დიდი მომავალი აქვთ. განვითარების განსაზღვრულ პირობებში ამ ორგანიზაციებს შეუძლიათ შეასრულონ პროლეტარული საზოგადოებრივი აზრის ნების უდიდესი გამომხატველისა და მძლავრი გამტარებლის როლი. თქვენ იცით პროლეტარული საზოგადოებრივი აზრის ძალა ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრიობის ნაკლოვანებათა მხილებისა და გამოსწორების საქმეში, — ეს ძალა ბევრად უფრო სერიოზულია, ვიდრე ადმინისტრაციული ზემოქმედების ძალა. აი ამიტომ პარტიამ ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინოს ამ ორგანიზაციებს.

2. სახელმწიფო აპარატის საქმე განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. ამ დარგში რომ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გვაქვს, ამას, მგონი, არავითარი ეჭვის გამოწვევა არ შეუძლია.

ა) ლენინის ანდერძი სახელმწიფო აპარატის შემცირებისა და გამარტივების შესახებ შესრულებულია მხოლოდ ნაწილობრივ, სულ მინიმალური დოზით. სახალხო კომისარიატების აპარატების შემცირებას 2 — 3 ასეული ათასი მოსამსახურით იმ დროს, როდესაც იქვე გვერდით აღმოცენდნენ ახალი აპარატები — ტრესტები, სინდიკატები და სხვ., — ვერ ვუწოდებთ, ნამდვილად რომ ითქვას, აპარატის ვერც შემცირებას და ვერც გამარტივებას. პარტიამ ყველა ზომა უნდა მიიღოს იმისათვის, რომ ლენინის ანდერძი ამ დარგში რკინის ხელით განვახორციელოთ.

ბ) მე მოგახსენეთ ციფრები, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ უპარტიოთა მონაწილეობა ჩვენს საბჭოებში მინიმალურ პროცენტს შეადგენს. ამხანაგებო, ასე ცხოვრება აღარ შეიძლება, და ასე ახალი სახელმწიფოს შენება შემდეგში შეუძლებელია. თუ განსაკუთრებული ყურადღება არ მივაქციეთ იმას, რომ უპარტიონი საბჭოთა მუშაობაში ჩავაბათ გუბერნიასა და მაზრაში, ისე სერიოზული სააღმშენებლო მუშაობა შეუძლებელია. აქ შეიძლებოდა სხვადასხვა გზა დაგვესახა. ერთ-ერთ მიზანშეწონილ გზად შეიძლებოდა მიგვეღო შემდეგი: საგუბერნიო და სამაზრო საბჭოების განყოფილებებთან შევქმნათ სექციები, ან, კიდევ უკეთესი იქნება, — რეგულარულად მოწვეული საქმიანი თათბირები უპარტიოებისათვის — ქალაქში მუშებისაგან, მაზრაში გლეხებისაგან — იმისათვის, რომ ჩავაბათ უპარტიონი მმართველობის სხვადასხვა დარგის საქმიან მუშაობაში და მერე საქმიან მუშაობაში ჩაბმულ უპარტიო მუშათა და გლეხთაგან შევარჩიოთ საუკეთესონი, ყველაზე უნარიანნი და დავაყენოთ ისინი სახელმწიფოებრივ სამუშაოზე. თუ ასე არ გავაფართოეთ საქალაქო და სამაზრო საბჭოების ბაზა, არ გავაფართოეთ საბჭოთა მუშაობის ბაზა, თუ მუშაობაში არ ჩავაბით უპარტიონი, საბჭოების წონა და გავლენა შეიძლება სერიოზულად დაეცეს.

გ) არსებობს ჩვენს პარტიაში აზრი, თითქოს ნამდვილ პარტიულ მუშაობას შეადგენდეს მუშაობა საგუბერნიო კომიტეტებში, საოლქო კომიტეტებში, სამაზრო კომიტეტებსა და უჯრედებში. რაც შეეხება ყველა დანარჩენი სახის მუშაობას, — ეს თითქოს წმინდა პარტიული მუშაობა არ არის. ხშირად დასცინიან ტრესტებსა და სინდიკატებში მომუშავე პირებს: «პარტიას მოსწყდნენო». (ხშაადგილიდან: «მათ წმენდენ»). ზოგიერთი ამხანაგისაგან უნდა გავწმინდოთ სამეურნეო ორგანოებიც და პარტიული ორ-

განიზაციებიც. მაგრამ მე ვიღებ არა გამონაკლის შემთხვევას, მე ვიღებ მასობრივი ხასიათის შემთხვევას. პარტიულ მუშაობას ჩვენში ჩვეულებრივ ორ კატეგორიად ყოფენ: არის მაღალი კატეგორია — ესაა წმინდა პარტიული მუშაობა საგუბერნიო კომიტეტებში, საოლქო კომიტეტებში, უჯრედებში, ცენტრალურ კომიტეტში, და დაბალი კატეგორია, რომელსაც უწოდებენ პარტიულ მუშაობას ბრჭყალებში, ესაა მუშაობა ყველა საბჭოთა ორგანოში, განსაკუთრებით სავაჭროში. ამხანაგებო! ამგვარი დამოკიდებულება სამეურნეო მუშაკებისადმი დიდად ეწინააღმდეგება ლენინიზმს. თვითეული სამეურნეო მუშაკი, თუნდაც იგი სულ უხეირო დუქანში, სულ უხეირო სავაჭრო დაწესებულებაში მუშაობდეს, თუ ის აშენებს და წინ სწევს საქმეს, — ნამდვილი პარტიული მუშაკია და ღირსია პარტიის მხრივ სრული მხარდაჭერისა. ვაჭრობისადმი ამგვარი ბატონკაცური, ინტელიგენტური დამოკიდებულების შემთხვევაში ჩვენ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ წინ ჩვენი მშენებლობის საქმეში. ამას წინათ მე ვკითხულობდი ლექციას სვერდლოვის უნივერსიტეტში, სადაც ვამბობდი, რომ, შეიძლება, მოგვიხდეს ათი ათასამდე კომუნისტის გადაყვანა პარტიული მუშაობის თუ მრეწველობის დარგიდან სავაჭრო მუშაობის დარგში. მსმენელებმა გადაიხარხარეს. არ სურთ ვაჭრობა! ამავე დროს კი ცხადია, რომ მთელი ჩვენი ლაპარაკი სოციალისტურ მშენებლობაზე შეიძლება ცარიელ ლაყბობად გადაგვარდეს, თუ არ აღმოვფხვრით პარტიაში ბატონკაცურ-ინტელიგენტურ ცრურწმენას ვაჭრობის მიმართ, და თუ ჩვენ, კომუნისტები, არ დავეუფლებით ვაჭრობის ყველა დარგს.

დ) ამხანაგებო, არავითარი სააღმშენებლო მუშაობა, არავითარი სახელმწიფოებრივი მუშაობა, არავითარი გეგმიანი მუშაობა არ არის წარმოსადგენი სწორი **აღრიცხვის** გარეშე.

აღრიცხვა კი წარმოუდგენელია უსტატისტიკოდ. აღრიცხვა უსტატისტიკოდ ვერც ერთ ნაბიჯს წინ ვერ გადადგამს. ამას წინათ კონფერენციაზე რიკოვი ამბობდა, რომ სამხედრო კომუნიზმის პერიოდში მას სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში ჰყავდა ერთი სტატისტიკოსი, რომელიც დღეს იძლეოდა ერთ ციფრს ერთ საკითხზე, ხოლო ხვალ მეორე ციფრს იმავე საკითხზე. ასეთი სტატისტიკოსები ჩვენში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ გადაშენებულან. სტატისტიკის მუშაობა ისეთია, რომ მთელის ცალკეული დარგები წარმოადგენენ განუწყვეტელ რგოლებს, და თუ გაფუჭებულია ერთი რგოლი, შეიძლება მთელი მუშაობა გაფუჭდეს. ბურჟუაზიულ სახელმწიფოში სტატისტიკოსს აქვს პროფესიული პატიოსნების ერთგვარი მინიმუმი. მას ტყუილის თქმა არ შეუძლია. შეიძლება ის როგორისაც გნებავთ პოლიტიკური რწმენისა და მიმართულების კაცი იყოს, მაგრამ რაც შეეხება ფაქტებს, ციფრებს, თავს დასაკლავად გადადებს, ტყუილს კი არ იტყვის. ნეტავი რაც შეიძლება მეტი გვყავდეს ასეთი ბურჟუაზიული სტატისტიკოსები, ადამიანები, რომელნიც თავის თავს პატივს სცემენ და რომელთაც პროფესიული პატიოსნების ერთგვარი მინიმუმი აქვთ! თუ სტატისტიკის დარგში ჩვენ ასე არ დავაყენებთ მუშაობას, ჩვენი სააღმშენებლო მუშაობა ერთი ნაბიჯითაც ვერ წაიწევს წინ.

იგივე უნდა ითქვას **ანგარიშგების** შესახებ. არავითარ სამეურნეო მუშაობას უანგარიშგებოდ წინსვლა არ შეუძლია. ჩვენი ბუხჰალტრები კი, სამწუხაროდ, ყოველთვის როდი გამოირჩევიან ჩვეულებრივი ბურჟუაზიული, პატიოსანი ბუხჰალტრის ელემენტარული თვისებებით. მე პატივს ვცემ ზოგიერთ მათგანს, არიან მათში პატიოსანი და ერთგული მუშაკები, მაგრამ რომ არიან საძაგელნიც, რომელთაც ყოველგვარი ანგარიშის შეთხზვა შეუძლიათ და რო-

მელნიც კონტრრევოლუციონერებზე უფრო საშიშნი არიან, — ეს ფაქტია. თუ არ დავძლიეთ ეს ნაკლოვანებანი, თუ არ მოვახდინეთ მათი ლიკვიდაცია, ჩვენ წინ ვერ წავწევთ ვერც ჩვენი ქვეყნის მეურნეობას, ვერც მის ვაჭრობას.

ე) მუშებისა და კომუნისტების პროცენტი ზოგიერთი სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელ ორგანოებში ჯერ კიდევ მინიმალური და არასაკმარისია. ეს ნაკლებობა განსაკუთრებით თვალში გვეცემა სავაჭრო ორგანოების (საგარეო ვაჭრობა, საშინაო ვაჭრობა, სინდიკატები) ხელმძღვანელ დაწესებულებებსა და საზღვარგარეთულ წარმომადგენლობებში, აგრეთვე საკრედიტო დაწესებულებებში, რომელთაც ამჟამად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ სახალხო მეურნეობის და, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო ინდუსტრიის ცხოვრებასა და განვითარებაში. პარტიამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს იმისათვის, რომ ეს ხარვეზი შეივსოს. უამისოდ ზედმეტია ფიქრი იმაზე, რომ ჩვენ ცხოვრებაში გავატარებთ პარტიის სამეურნეო-პოლიტიკურ დირექტივებს.

ვ) დღემდე სამეურნეო მშენებლობის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენდა ტრესტების ორგანიზაციისა და ჩამოყალიბების საკითხი. ახლა, როდესაც ცენტრმა ვაჭრობის დარგში გადაინაცვლა, წინა რიგში დადგა საშინაო ვაჭრობისა და საგარეო ვაჭრობის შერეულ და სააქციო საზოგადოებათა [37] ორგანიზაციის საკითხები. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ, თუ ჩვენ ტრესტების საკითხს თავი გავართვით, სამაგიეროდ, ჩვენი დაწესებულებები ორივე ფეხით კოპლობენ შერეულ და სააქციო საზოგადოებათა საკითხების გადაწყვეტის საქმეში. არის ტენდენცია — მიაღწიონ ისეთი ტიპის სავაჭრო დაწესებულებათა ორგანიზაციას, რომელნიც მინიმუმამდე დაიყვანენ სახელმწიფო კონტროლის მნიშვნე-

ლობას ამ დიდ საქმეში. ეჭვი არ არის, პარტია ყოველ ღონისძიებით შეებრძოლება ამგვარ ტენდენციას.

3. საჭიროა კვლავაც განვაგრძოთ საერთოდ პარტიის და, კერძოდ, მისი ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობის გაუმჯობესება. არავითარ შემთხვევაში არ უნდა განვიხილოთ პარტიის კადრები, როგორც რაღაც კარჩაკეტილი რამ. კადრები თანდათან უნდა ფართოვდებოდნენ პარტიული ახალგაზრდობის მოზიდვით. პარტიულმა ახალგაზრდობამ უნდა შეავსოს კადრები. უამისოდ კადრების არსებობა უმიზნოა.

4. აგიტაციის დარგში:

ა) ცუდად არის საქმე პარტიის წევრთა პოლიტიკური ცოდნის მხრივ (60%-ით პოლიტიკურად უცოდინარია). ლენინური გაწვევა ადიდებს უცოდინაროზის პროცენტს. საჭიროა სისტემატური მუშაობა ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად. ჩვენი ამოცანაა — წინ წავწიოთ ეს საქმე.

ბ) ცუდად გვაქვს კინოს საქმე. კინო მასობრივი აგიტაციის უდიდესი საშუალებაა. ჩვენი ამოცანაა — ჩვენს ხელში ავიღოთ ეს საქმე.

გ) ბეჭდვითი სიტყვის საქმე ვითარდება, მაგრამ არასაკმარისად. ჩვენი ამოცანაა — გავადიდოთ «კრესტიანსკაია გაზეტას» [38] ტირაჟი ერთ მილიონამდე, «პრავდის» ტირაჟი — 600 ათასამდე, დავაარსოთ ლენინური გაწვევის პოპულარული გაზეთი და ავიყვანოთ მისი ტირაჟი, ყოველ შემთხვევაში, ნახევარ მილიონამდე მაინც.

დ) კედლის გაზეთები ვითარდება, მაგრამ არასაკმარისად. ჩვენი ამოცანაა — დავეხმაროთ კედლის გაზეთების კორესპონდენტებს და წინ წავწიოთ საქმე.

ე) ცუდად გვაქვს საქმე სოფლად მუშაობის დარგში. აგიტაცია სოფლად უნდა იყოს, უმთავრესად, საგნობრივი; იგი უნდა წარმოებდეს ღარიბ და საშუალო გლეხთა ელე-

მენტებისათვის ყოველგვარი დახმარების გაწევის ხაზით, თვით შეღავათიან კრედიტამდე, კოლექტიური მეურნეობების (არა კომუნების) საწყისების განვითარების ხაზით, მსგავსად სოფლის ღარიბთა კომიტეტებისა [39] უკრაინაში, სადაც 5 ათასამდე კოლმეურნეობაა, კოოპერაციაში, უწინარეს ყოვლისა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში გლეხობის ჩაბმის ხაზით. განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამოცანად უნდა ჩაითვალოს ის, რომ დავეუფლოთ გლეხთა კომიტეტებს. უნდა გვახსოვდეს ტერიტორიული საჯარისო ნაწილები [40], რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სოფლად აგიტაციისათვის.

5. პარტიულ და უპარტიო მუშაკთა აღრიცხვის, განაწილებისა და დაწინაურების დარგში:

ა) აღრიცხვა ცოტად თუ ბევრად მოწესრიგებულია.

ბ) განაწილების საქმე ცოტა უფრო ცუდად გვაქვს, ვინაიდან შინაგანი განვითარების ახალ პირობებში ძალთა გადაჯგუფების ძირითადი ამოცანები, რაც ლენინმა XI ყრილობაზე დასახა [41], ჯერ კიდევ არ არის შესრულებული. ძირითადი ამოცანა — მაქსიმალურად აღვჭურვოთ საუკეთესო ძალებით ყველა და ყოველგვარი სავაჭრო ორგანიზაცია — ჯერ კიდევ გადასაჭრელია.

შარშან აღრიცხვა-განაწილების განყოფილება, ნამდვილად რომ ითქვას, მუშაობდა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ორგანოებისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატისათვის, განსაკუთრებით მისი საგადასახადო აპარატისათვის; იგი უპირატესად ამ ორგანოებს ამარაგებდა მუშაკებით. ახლა ამოცანა ისაა, რომ მოვაბრუნოთ საქმე სავაჭრო ორგანოებისა და საკრედიტო დაწესებულებების მიმართულებით და მოვამარაგოთ ისინი მუშაკებით უპირატესად სხვა დაწესებულებათა წინაშე. აქ, შეიძლება, 5 ათასამდე კომუნისტი დაგვჭირდეს.

ამავე დროს ამოცანა ისაა, რომ ძალთა განაწილების არსებული წესი შევავსოთ ახალი წესებით: ნებაყოფლობის წესით, საბჭოთა მშენებლობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან პუნქტებში მუშაობის ორგანიზაციისათვის მოხალისეთა გაწვევის წესით. ამ წესს პირდაპირი დამოკიდებულება აქვს განსაზღვრულ რაიონებში სანიმუშო მუშაობის დაყენების საკითხთან, ურომლისოდაც (სანიმუშო მუშაობის დაუყენებლად) ახლანდელ სტადიაზე წინ ვერ წავალთ. ლენინის იდეა სანიმუშო მუშაობისა, რაც მან «სასურსათო გადასახადში» [43] მოგვცა, უნდა განხორციელდეს.

გ) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პარტიულ და უპარტიო მუშაკთა დაწინაურების საქმეს. ახალ ადამიანთა მხოლოდ ზემოდან დაწინაურების მეთოდი საკმარისი არ არის. მას უნდა დავუმატოთ მეთოდები დაწინაურებისა ქვემოდან, პრაქტიკული მუშაობის მსვლელობაში, პრაქტიკულ მუშაობაში ახალ ძალთა ჩაბმის მსვლელობაში. ამ მხრივ ქარხნებსა და ტრესტებში საპასუხისმგებლო პოსტებზე მუშების დაწინაურების საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ საწარმოო, საქარხნო და სატრესტო კონფერენციებმა. აუცილებლად უნდა განვავითაროთ სექციები საბჭოების განყოფილებებთან საგუბერნიო და სამაზრო ქალაქებში, გადავაქციოთ ისინი საქმიანი ხასიათის პერიოდულ თათბირებად და ჩავაბათ ამ თათბირებში როგორც საბჭოების წევრები, ისე, განსაკუთრებით, არაწევრებიც, მუშები და გლეხები — მამაკაცები და ქალები. მხოლოდ ამგვარი ფართო პრაქტიკული მუშაობის მსვლელობაში იქნება შესაძლებელი ახალ ადამიანთა დაწინაურება უპარტიო მუშათა და გლეხთაგან. ლენინური გაწვევის ტალღა ქალაქებში და გლეხობის გაზრდილი პოლიტიკური აქტივობა უეჭველად მოწმობს იმას, რომ დაწინაურების ამ გზამ დიდი შედეგი უნდა მოგვცეს.

6. ორი დასკვნა პარტიის შინაგანი ცხოვრებიდან:

ა) ეგრეთწოდებული «პრინციპი» პარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებისა სწორი აღმოჩნდა. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ცენტრალური კომიტეტის გაფართოებამ უდიდესი სარგებლობა მოგვიტანა, რომ ის ამხანაგები, რომელნიც ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობის შემცირების «პრინციპს» იცავდნენ, არასწორ გზაზე იდგნენ.

ბ) ახლა ყველასათვის ცხადია, რომ, როცა ოპოზიცია დისკუსიის დროს პარტიის რღვევაზე ლაპარაკობდა, ის უაღრესად არამართალი იყო. საეჭვოა მოინახოს ჩვენს პარტიაში თუნდაც ერთი სერიოზული ორგანიზაცია, რომელმაც, თუ ის თვალყურს ადევნებს პარტიის შინაგანი ცხოვრების მსვლელობას და მის მძლავრ ზრდას, არ თქვას, რომ ის ადამიანები, რომელნიც სულ ცოტა ხნის წინათ თავს დაგვჩხაოდნენ — ჩვენი პარტია იღუპებაო, სინამდვილეში პარტიას არ იცნობდნენ, პარტიისაგან შორს იდგნენ და ძალიან მოგვაგონებდნენ ადამიანებს, რომლებისთვისაც მარცხებული იქნებოდა გვეწოდებინა უცხოელნი პარტიაში.

დასკვნა: ჩვენი პარტია იზრდება, ის წინ მიდის, ის სწავლობს მმართველობის საქმეს, ის მუშათა კლასის უაღრესად ავტორიტეტული ორგანო ხდება. ლენინური გაწვევა პირდაპირ მიგვითითებს ამაზე. (ხანგრძლივი ტაში).

საბოლოო სიტყვა

27 მაისი

ამხანაგებო! ორატორების სიტყვებში მე ვერ დავინახე ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ანგარიშის საწინააღმდეგო რამ. ამას მე ისე ვაფასებ, რომ ყრილობა ეთანხმება ამ ანგარიშის დასკვნებს. (ტაში).

ჩემს ანგარიშში განზრახ არ შევეხე ჩვენს უთანხმოებას პარტიის შიგნით, არ შევეხე იმიტომ, რომ არ მინდოდა იმ ჭრილობების გაღიზიანება, რომლებიც თითქოს მოშუშდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ტროცკი და პრეობრაჟენსკი ამ საკითხებს შეეხნენ, მთელი რიგი არაზუსტი აზრები გამოთქვეს და გამოგვიწვიეს, — გაჩუმება აღარ გვმართებს. ასეთ მდგომარეობაში გაჩუმება გაუგებარი იქნებოდა.

ამხ. კრუპსკაიამ აქ უთანხმოებაზე კამათის დუბლირების წინააღმდეგ ილაპარაკა. მე გადაჭრით წინააღმდეგი ვარ დუბლირებისა და სწორედ ამიტომ ჩემს ანგარიშში არ შევეხე უთანხმოებას. მაგრამ რაკი ამხანაგები — ოპოზიციის წევრები ამას შეეხნენ და გამოგვიწვიეს, — გაჩუმების უფლება აღარა გვაქვს.

ტროცკი და პრეობრაჟენსკი, ორივენი, როცა უთანხმოებაზე ლაპარაკობენ, ყრილობის ყურადღებას მიაპყრობენ ერთ რეზოლუციაზე, 5 დეკემბრის რეზოლუციაზე, და ივიწყებენ, რომ, ამ რეზოლუციის გარდა, არის კიდევ მეორე რეზოლუცია — დისკუსიის შედეგების შესახებ [43], ივიწ-

ყებენ, რომ იყო კონფერენცია და რომ ცენტრალური კომიტეტის მიერ 5 დეკემბერს მიღებული რეზოლუციის შემდეგ იყო ახალი ტალღა დისკუსიისა, რომელმაც თავისი შეფასება პოვა XIII კონფერენციის სპეციალურ რეზოლუციაში დისკუსიის შედეგების შესახებ. ისინი ივიწყებენ, რომ XIII კონფერენციის მიჩქმალვა უშედეგოდ არ ჩაუვლის ოპოზიციას.

მე მივაქცევ ყრილობის ყურადღებას იმას, რომ კონფერენციაზე მიღებული იყო ერთი რეზოლუცია ეკონომიური პოლიტიკის შესახებ, ხოლო პარტიული მშენებლობის შესახებ — ორი რეზოლუცია. რატომ? იყო ერთი რეზოლუცია, მთელი პარტიის მიერ დადასტურებული და ცენტრალური კომიტეტის მიერ 5 დეკემბერს მიღებული, მერე კი საჭირო შეიქნა მეორე რეზოლუცია იმავე საკითხზე — წვრილბურჟუაზიულ გადახრაზე. როგორ მოხდა ეს, და რით აიხსნება ეს გარემოება? ეს იმით აიხსნება, რომ მთელ დისკუსიას ორი პერიოდი ჰქონდა. პირველი პერიოდი, რომელიც დამთავრდა 5 დეკემბრის ერთხმად მიღებული რეზოლუციით, და მეორე პერიოდი, რომელიც დამთავრდა რეზოლუციით წვრილბურჟუაზიული გადახრის შესახებ. ჩვენ ვფიქრობდით მაშინ, ე. ი. პირველ პერიოდში, რომ 5 დეკემბრის რეზოლუციით, კაცმა რომ თქვას, უნდა დამთავრებულიყო პარტიაში დავა, და სწორედ ამიტომ ამას წინათ ჩემს მოხსენებაში XIII კონფერენციაზე, როცა ამ პერიოდს ვეხებოდი, ვამბობდი, რომ, თუ ოპოზიცია მოისურვებს, 5 დეკემბრის რეზოლუციამ შეიძლება ბოლო მოუღოს-მეთქი პარტიაში ბრძოლას. ამას ვამბობდი მე, და ყველანი ასე ვფიქრობდით. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ პერიოდით დისკუსია არ დამთავრებულა. 5 დეკემბრის რეზოლუციის შემდეგ გაჩნდა ტროცკის წერილები — ახალი პლატფორმა ახალი საკითხებით, და დაიწყო დისკუსიის ახალი ტალღა, უფრო სასტიკი დისკუსიისა, ვიდრე მანამდე იყო. სწორედ

ამან ჩაშალა მშვიდობიანობის შესაძლებლობა პარტიაში. ეს იყო მეორე პერიოდი, რომლის მიფუჩეჩებას და გვერდის ავლას ოპოზიციონერები ახლა ცდილობენ.

საქმე ისაა, რომ მეორე პერიოდის დისკუსიასა და პირველი პერიოდის დისკუსიას შორის, რომელმაც თავისი გამოხატულება პოვა 5 დეკემბრის რეზოლუციაში, — დიდი განსხვავებაა. 5 დეკემბრის რეზოლუციაში კადრების გადაგვარების საკითხი ნახსენები არ არის. ტროცკის, რომელთან ერთად ჩვენ მაშინ ამ რეზოლუციას ვადგენდით, კრინტიც არ დაუძრავს იმაზე, თითქოს კადრების გადაგვარება ხდებოდეს. ეს დანამატი მან, როგორც ეტყობა, თავისი შემდგომი გამოსვლებისათვის შემოინახა. შემდეგ, 5 დეკემბრის რეზოლუციაში არ არის იმის საკითხი, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა ყველაზე უტყუარ ბარომეტრს წარმოადგენს. ეს საკითხიც ტროცკიმ, როგორც ეტყობა, მარაგად მოიტოვა ახალი გამოსვლებისათვის დისკუსიაში. 5 დეკემბრის რეზოლუციაში არ არის ის გადახრა აპარატზე შეტევისაკენ, არ არის ის მოთხოვნა პარტიული აპარატის წინააღმდეგ სასჯელის ზომების ხმარებისა, რაზედაც ტროცკი ძალიან ვრცლად ლაპარაკობდა თავის შემდგომ წერილებში. ბოლოს, 5 დეკემბრის რეზოლუციაში გადაკრულადაც კი არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ დაჯგუფებები საჭიროა, ამავე დროს კი ამაზე, დაჯგუფებებზე, ტროცკი თავის შემდგომ წერილებში ძალიან ვრცლად ლაპარაკობდა.

აი რა დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ოპოზიციის პოზიცია 5 დეკემბრამდე და მისი ლიდერების პოზიცია 5 დეკემბრის შემდეგ.

ახლა ტროცკი და პრეობრაჟენსკი ცდილობენ მიჩქმალონ, დამალონ თავიანთი მეორე პლატფორმა დისკუსიის მეორე პერიოდში, — ალბათ ფიქრობენ ჭკუაში მოატყუონ პარტია. არა, ამას თქვენ ვერ შესძლებთ! უჭკუო ეშმაკო-

ბითა და დიპლომატიით თქვენ ყრილობას ვერ მოატყუებთ. ეჭვი არ მეპარება, რომ ყრილობა თავის აზრს გამოთქვამს დისკუსიის პირველ სტადიაზედაც, რომელმაც თავისი გამოხატულება პოვა 5 დეკემბრის რეზოლუციაში, და მეორე სტადიაზედაც, რომელმაც თავისი გამოხატულება პოვა კონფერენციის რეზოლუციაში წვრილბურჟუაზიული გადახრის შესახებ.

ეს ორი რეზოლუცია ორი ნაწილია ერთი მთელისა, რასაც დისკუსია ეწოდება. ვინც ფიქრობს ეს ორი ნაწილი ერთმანეთში არიოს და ამით ყრილობა მოატყუოს, ის ცდება. პარტია გაიზარდა, მისი შეგნებულობა ამაღლდა, და დიპლომატიით პარტიას ვერ მოატყუებ. ოპოზიციის მთელი შეცდომა ის არის, რომ მას ეს არ ესმის.

განვიხილოთ, ვინ აღმოჩნდა მართალი ოპოზიციის 5 დეკემბრის მერმინდელი პლატფორმის საკითხებში? ვინ აღმოჩნდა მართალი ოთხ ახალ საკითხში, რაზედაც ლაპარაკია ტროცკის წერილებში?

პირველი საკითხი: ხდება კადრების გადაგვარებაო. ჩვენ ყველანი მოვითხოვდით და მოვითხოვთ ფაქტებს, რომლებიც გვიჩვენებენ კადრების გადაგვარებას. მაგრამ ასეთი ფაქტები ვერ მოგვცეს, და ვერც მოგვცემენ, ვინაიდან ასეთი ფაქტები არ არსებობს ბუნებაში. ხოლო, როცა საქმეს ჩავუკვირდით, ჩვენ ყველამ შევნიშნეთ, რომ გადაგვარება ჩვენ არა გვაქვს, მაგრამ აი ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერის გადახრა წვრილბურჟუაზიული პოლიტიკისაკენ კი უეჭველად გვაქვს. მაშ ვინ ყოფილა მართალი? თითქოს, არა ოპოზიცია.

მეორე საკითხი — საკითხი მოსწავლე ახალგაზრდობისა, რომელიც თითქოს ყველაზე უტყუარი ბარომეტრია. ვინ აღმოჩნდა ამ საკითხში მართალი? ისევ, თითქოს, არა ოპოზიცია. თუ გადავხედავთ ჩვენი პარტიის ზრდას ამ დროის განმავლობაში, 200 ათასი ახალი წევრის მიღებას, გამო-

დის, რომ ბარომეტრი უნდა ვეძებოთ არა მოსწავლე ახალგაზრდობის რიგებში, არამედ პროლეტარიატის რიგებში, რომ პარტიამ ორიენტაცია უნდა აიღოს არა მოსწავლე ახალგაზრდობაზე, არამედ პარტიის პროლეტარულ ბირთვზე. პარტიის 200 ათასი ახალი წევრი — აი ბარომეტრი. ოპოზიცია არც აქ აღმოჩნდა მართალი.

მესამე საკითხი — სასჯელის ზომები აპარატის წინააღმდეგ, იერიში პარტიულ აპარატზე. ვინ აღმოჩნდა მართალი? ისევ არა ოპოზიცია. მან დაკეცა აპარატზე იერიშის დროშა და თავდაცვაზე გადავიდა. თქვენ აქ მოწმენი იყავით იმისა, თუ როგორ იძვრენდა თავს ოპოზიცია და უწესრიგოდ უკან იხევდა პარტიული აპარატის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მეოთხე საკითხი — ფრაქციების, დაჯგუფებების შესახებ. ტროცკიმ განაცხადა — გადაჭრით წინააღმდეგი ვარ დაჯგუფებებისაო. ეს ძალიან კარგია. მაგრამ, თუ მაინცდამაინც აუცილებელია ისტორიას შევეხოთ, ნება მიბოძეთ ზოგიერთი ფაქტი აღვადგინო. დეკემბერში ჩვენ გვყავდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ქვეკომისია იმ რეზოლუციის შესამუშავებლად, რომელიც 5 დეკემბერს გამოქვეყნდა. ეს ქვეკომისია შესდგებოდა სამი კაცისაგან: ტროცკი, კამენევი, სტალინი. მიაქციეთ თუ არა თქვენ ყურადღება, რომ ამ 5 დეკემბრის რეზოლუციაში ფრაზა დაჯგუფებათა შესახებ ამოგდებულია? იქ ლაპარაკია ფრაქციების აკრძალვაზე, მაგრამ არაფერია ნათქვამი დაჯგუფებათა აკრძალვაზე. არის მხოლოდ მითითება X ყრილობის ცნობილ გადაწყვეტილებაზე პარტიის ერთიანობის შესახებ. რით უნდა აიხსნას ეს? შემთხვევითობით? ეს შემთხვევითობა არაა. მე და კამენევი გადაჭრით ვაყენებდით დაჯგუფებათა აკრძალვის საკითხს. ტროცკიმ ულტიმატურად პროტესტი განაცხადა დაჯგუფებათა აკრძალვის წინააღმდეგ და თქვა — საქმის ასეთ ვითარებაში არ შე-

მიძლია რეზოლუციას ხმა მიეცეო. მაშინ ჩვენ დავკმაყოფილდით მითითებით X ყრილობის რეზოლუციაზე, რომელიც ტროცკის მაშინ, ეტყობა, წაკითხული არ ჰქონდა, და რომელშიც ლაპარაკია არა მარტო ფრაქციების აკრძალვაზე, არამედ დაჯგუფებების აკრძალვაზედაც. (სიცილი, ტაში). ტროცკი მაშინ დაჯგუფებათა თავისუფლების მომხრე იყო. ის აქ 5 დეკემბრის რეზოლუციას აქებდა. ხოლო თავის წერილში რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი, პარტიული მშენებლობის შესახებ რეზოლუციის მიღების შემდეგ 4 დღის გასვლისას, ე. ი. 9 დეკემბერს, ტროცკი წერდა: «განსაკუთრებულ შიშს იწვევს ჩემში პოლიტბიუროს წევრთა წმინდა ფორმალური პოზიცია დაჯგუფებათა და ფრაქციულ წარმონაქმნთა საკითხში». როგორ მოგწონთ? კაცი, რომელიც ამ რეზოლუციისათვის თავგამოდებულია, თურმე, გულში ატარებს განსაკუთრებულ შიშს, რასაც მას უნერგავს პოლიტბიუროს დამოკიდებულება დაჯგუფებათა და ფრაქციათა საკითხებისადმი. ეს არა ჰგავს იმას, რომ იგი მაშინ დაჯგუფებათა აკრძალვის მომხრე ყოფილიყოს. არა, ტროცკი მაშინ მხარს უჭერდა დაჯგუფებათა შექმნას, მათს თავისუფლებას.

შემდეგ, ვის არ ახსოვს პრეობრაჟენსკის მიერ მოსკოვში წამოყენებული ცნობილი რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა, რომ პარტიის X ყრილობაზე გადაწყვეტილი საკითხი ფრაქციების შესახებ დაზუსტებული ყოფილიყო ზოგიერთი შეზღუდვის გაუქმების მხრივ? ეს ყველას ახსოვს მოსკოვში. ან რომელ თქვენგანს არ ახსოვს, რომ პრეობრაჟენსკი თავის ფელეტონებში მოითხოვდა პარტიაში იმ წესების აღდგენას, რაც ბრესტის ზავის ხანაში იყო? ჩვენ კი ვიცით, რომ პარტია ბრესტის ხანაში იძულებული იყო დაეშვა ფრაქციების არსებობა, — ეს ჩვენ კარგად ვიცით. და ვის არ ახსოვს, რომ XIII კონფერენციაზე, იმ მომენტში, როცა მე წამოვაყენე სრულიად უბრალო წინა-

დადება — აღგვედგინა პარტიის წევრთა მეხსიერებაში მეშვიდე პუნქტი რეზოლუციისა ერთიანობის შესახებ, დაჯგუფებათა აკრძალვის შესახებ, — როგორ ყრიდნენ ცოფს ყველა ოპოზიციონერები და მოითხოვდნენ, რომ ეს პუნქტი არ ყოფილიყო შეტანილი? მაშასადამე, ოპოზიცია ამ საკითხში სავსებით და მთლიანად დაჯგუფებათა თავისუფლების თვალსაზრისზე იდგა და ვარაუდობდა, რომ მიაძინებდა პარტიის სიფხიზლეს, თუ იტყოდა, რომ იგი მოითხოვს არა ფრაქციების თავისუფლებას, არამედ დაჯგუფებათა თავისუფლებას. თუ ახლა ისინი გვიცხადებენ — დაჯგუფებათა წინააღმდეგი ვართო, ეს ძალიან კარგია. მაგრამ არამცდაარამც არ შემიძლია ვუწოდო ამას შეტევა მათი მხრით: ესაა უწესრიგოდ უკანდახევა, ესაა იმის ნიშანი, რომ ცენტრალური კომიტეტი ამ საკითხშიც მართალია.

ამ ცნობის შემდეგ ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, რამდენიმე სიტყვა ვთქვა ზოგიერთ პრინციპულ შეცდომაზე, რაც ტროცკიმ და პრეობრაჟენსკიმ დაუშვეს თავიანთ გამოსვლებში პარტიულ-ორგანიზაციული საკითხების გამო.

ტროცკიმ თქვა — დემოკრატიის დედაარსი თაობათა საკითხით გამოიხატებაო. ეს არ არის სწორი. პრინციპულად არ არის სწორი. დემოკრატიის დედაარსი სრულიადაც არ გამოიხატება ამით. თაობათა საკითხი მეორეხარისხოვანი საკითხია. ჩვენი პარტიის ცხოვრებიდან აღებული ციფრები გვეუბნება, ჩვენი პარტიის ცხოვრება გვეუბნება, რომ პარტიის ახალი თაობა თანდათან ინერგება კადრებში, — კადრები ფართოვდებიან ახალგაზრდობის ხარჯზე. პარტია მუდამ ამ გზაზე იდგა და იდგომება. მხოლოდ იმას, ვინც კადრებს უყურებს, როგორც კარჩაკეტილ მთელს, როგორც პრივილეგიურ წოდებას, რომელიც თავის წრეში არ უშვებს ახალ წევრებს, მხოლოდ იმას, ვინც ამ კადრებს უყურებს, როგორც ძველი დროის ოფიცერთა კორპუსს, ვინც ფიქრობს, რომ პარტიის ყველა დანარჩენი წევრი «მის

ღირსებაზე დაბლა დგას», მხოლოდ იმას, ვისაც სურს კადრებსა და პარტიულ ახალგაზრდობას შორის ნაპრალი შექმნას, — მხოლოდ მას შეუძლია დემოკრატიის საკითხის განხილვისას პარტიულ თაობათა საკითხზე ყურადღების გამახვილება. დემოკრატიის დედაარსი თაობათა საკითხით კი არ გამოიხატება, არამედ ეს არის თვითმოქმედების საკითხი, პარტიულ ხელმძღვანელობაში პარტიის წევრთა აქტიური მონაწილეობის საკითხი. ასე, და მხოლოდ ასე შეიძლება დავაყენოთ დემოკრატიის საკითხი, თუ, რასაკვირველია, ვილაპარაკებთ არა ფორმალურ-დემოკრატიულ პარტიაზე, არამედ ნამდვილ პროლეტარულ პარტიაზე, რომელიც განუყრელი ძაფებით არის დაკავშირებული მუშათა კლასის მასებთან.

მეორე საკითხი. ყველაზე დიდ საფრთხეს, — ამბობს ტროცკი, — პარტიული აპარატის ბიუროკრატიზაცია წარმოადგენსო. არც ეს არის სწორი. საფრთხეს ეს კი არ წარმოადგენს, არამედ უპარტიო მასებისაგან პარტიის რეალურად მოწყვეტის შესაძლებლობა. თქვენ შეგიძლიათ გყავდეთ პარტია, რომელსაც აპარატი დემოკრატიულად აუგია, მაგრამ თუ ეს პარტია მუშათა კლასთან არ არის დაკავშირებული, ასეთი დემოკრატია ფუჭი იქნება, გროშადაც არ ეღირება. პარტია **კლასისათვის** არსებობს. რამდენადაც პარტია დაკავშირებულია კლასთან, კონტაქტი აქვს მასთან, აქვს ავტორიტეტი და პატივისცემა უპარტიო მასებში, — მას შეუძლია არსებობა და განვითარება ბიუროკრატიულ ნაკლოვანებათა პირობებშიც კი. თუ ყოველივე ეს არა გვაქვს, მოაწყეთ პარტიის როგორი ორგანიზაციაც გნებავთ, — ბიუროკრატიული, დემოკრატიული, — პარტია აშკარად დაიღუპება. პარტია არის კლასის ნაწილი, რომელიც კლასისათვის არსებობს და არა საკუთარი თავისთვის.

მესამე დებულება — ესეც პრინციპულად მცდარი: პარტია არ ცდებაო, — ამბობს ტროცკი. ეს სწორი არ

არის. პარტია არა იშვიათად ცდება. ილიჩი გვასწავლიდა, რომ სწორი ხელმძღვანელობა პარტიას თავის საკუთარ შეცდომებზე უნდა ვასწავლოთ. პარტიას რომ შეცდომები არ ჰქონდეს, მაშინ არაფერი გვექნებოდა, რითაც პარტიას ვასწავლიდით. ჩვენი ამოცანა ის არის, რომ მივაგნოთ ამ შეცდომებს, გამოვააშკარაოთ მათი ფესვები და ვაჩვენოთ პარტიას და მუშათა კლასს, როგორ ვცდებოდით ჩვენ, და როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ შემდგომ ეს შეცდომები აღარ გავიმეოროთ. უამისოდ პარტიის განვითარება შეუძლებელი იქნებოდა. უამისოდ პარტიის ლიდერებისა და კადრების ჩამოყალიბება შეუძლებელი იქნებოდა, ვინაიდან ისინი ყალიბდებიან და აღიზრდებიან თავიანთ შეცდომებთან ბრძოლაში, ამ შეცდომების დაძლევაში. მე ვფიქრობ, რომ ტროცკის ასეთი განცხადება ერთგვარ კომპლიმენტს წარმოადგენს გაჭირდვის ერთგვარი ცდით, თუმცა ეს ცდა უხეიროა.

შემდეგ — პრეობრაჟენსკის შესახებ. ის წმენდაზე ლაპარაკობდა. პრეობრაჟენსკის მიაჩნია, რომ წმენდა არის პარტიის უმრავლესობის იარაღი ოპოზიციის წინააღმდეგ, და, როგორც ჩანს, არ მოსწონს წმენდის მეთოდები. ეს პრინციპული საკითხია. პრეობრაჟენსკის დიდი შეცდომაა იმის გაუგებლობა, რომ, თუ პარტია პერიოდულად არ გაწმინდა მერყევი ელემენტებისაგან, პარტია ვერ განმტკიცდება. ამხანაგი ლენინი გვასწავლიდა, რომ პარტიას შეუძლია განმტკიცდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის თანდათან თავისუფლდება მერყევი ელემენტებისაგან, რომელნიც ახერხებენ პარტიაში შეპარვას და კვლავაც მოახერხებენ ამას. ჩვენ ლენინიზმის წინააღმდეგ წავიდოდით, წმენდას რომ საერთოდ უარყოფითად მოვეკიდოთ. რაც შეეხება ახლანდელ წმენდას, რით არის ის ცუდი? ამბობენ — არის ცალკეული შეცდომებიო. რა თქმა უნდა, არის. როდის მომხდარა, რომ დიდ საქმეში ცალკეული შეცდომები არ

ყოფილიყოს? ეს არასოდეს არ მომხდარა. ცალკეული შეცდომები შეიძლება იყოს და უნდა იყოს კიდეც, მაგრამ ძირითადად წმენდა სწორია. ჩე მიამბეს, რა შიშითა და ძრწოლით ელოდნენ წმენდას ზოგიერთი არაპროლეტარული ელემენტები ინტელიგენტთა და მოსამსახურეთა წრიდან. ასეთი სცენა გადმომცეს. სხედან ერთ კაბინეტში წმენდაგასავლელი პირები. უჯრედი საბჭოთა დაწესებულებისაა. მეორე კაბინეტში წმენდის ჩამტარებელი კომისიაა. უჯრედის ერთ-ერთი წევრი, რომელმაც წმენდა გაიარა, ტყვიასავით გამოვარდება, მთლად ოფლში გაწურული. მას სთხოვენ — მოგვიყევი, რაშია საქმეო. ის კი უპასუხებს: «სული მომათქმევინეთ, სული მომათქმევინეთ, — აღარ შემიძლიაო». (ს ი ც ი ლ ი). იმ პირთათვის, რომელნიც ასე იტანჯებიან და ოფლად იღვრებიან, წმენდა შეიძლება არც იყოს კარგი, პარტიისათვის კი ეს ძალიან კარგია. (ტ ა შ ი). სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ გვყავს ერთგვარი რაოდენობა პარტიის წევრებისა, რომელნიც თვეში 1000 და 2000 მანეთს იღებენ, პარტიის წევრებად ითვლებიან და ივიწყებენ, რომ პარტია არსებობს. მე ვიცი ფაქტები, როდესაც ერთ-ერთი იმ კომისარიატის უჯრედმა, სადაც ასეთი წევრები მსახურობენ, უჯრედმა, რომლის შემადგენლობაში, სხვათა შორის, შოფერებიც არიან, შოფერი გაგზავნა წმენდის ჩასატარებლად და ბევრი საყვედური დაიტეხა თავს, როგორც, მაგალითად, ის, რომ შოფერი არ უნდა ატარებდეს საბჭოთა დიდკაცების წმენდასო. ასეთი ფაქტები გვქონდა აქ — მოსკოვში. პარტიის წევრები, რომელნიც, როგორც ჩანს, პარტიას მოსწყდნენ, აღშფოთებული არიან და ვერ მოუნელებიათ, რომ «ვიღაც შოფერმა» დაუწყოს მათ წმენდა. პარტიის ასეთი წევრები უნდა აღვზარდოთ და გარდავქმნათ, ზოგჯერ პარტიიდან გარიცხვის გზით. წმენდაში ძირითადი ის არის, რომ ამ ჯურის ადამიანები გრძნობენ, რომ არის პატრონი, არის პარტია, რომელსაც შეუძლია პასუხის

მოთხოვნა პარტიის წინააღმდეგ ჩადენილი ცოდვებისათვის. ვფიქრობ, პატრონს უთუოდ მართებს ზოგჯერ, დროდადრო, ცოცხით ხელში ჩამოუაროს პარტიის რიგებს. (ტ ა შ ი).

პრეობრაჟენსკი ამბობს: თქვენი პოლიტიკა სწორია, ხოლო ორგანიზაციული ხაზი სწორი არ არის, და ესაა პარტიის შესაძლებელი დაღუპვის საფუძველიო. ეს სისულელეა, ამხანაგებო. ასე არ ხდება, რომ პარტიას სწორი პოლიტიკა ჰქონდეს, და ამასთან იგი დაიღუპოს ორგანიზაციული ხაზის ნაკლოვანებათა გამო. არასოდეს არ ხდება ასე. პარტიული ცხოვრებისა და პარტიული მუშაობის საფუძველს ის ორგანიზაციული ფორმები კი არ შეადგენენ, რომელთაც ის იღებს ან შეუძლია განსაზღვრულ მომენტში მიიღოს, არამედ პარტიის პოლიტიკა, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა. თუ პარტიის პოლიტიკა სწორია, თუ ის სწორად აყენებს პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებს, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ მუშათა კლასისათვის, მაშინ ორგანიზაციულ დეფექტებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ვერ ექნებათ, — პოლიტიკა გვიშველის. ეს ასე ყოფილა მუდამ და ასე დარჩება მომავალშიც. ის ადამიანები, რომელთაც ეს ვერ გაუგიათ, ცუდი მარქსისტები არიან, — მათ მარქსიზმის ანაბანა ავიწყდებათ.

მართალი იყო თუ არა პარტია იმ საკითხებში, რომლებზედაც დისკუსია მიმდინარეობდა, — ეკონომიური ხასიათის საკითხებში, პარტიული მშენებლობის საკითხებში? თუ ვისმე სურს შეამოწმოს ეს ერთბაშად, ზედმეტი სიტყვების დაუხარჯავად, მან უნდა მიმართოს პარტიას და მუშათა მასას და დასვას კითხვა: როგორღა ხვდება პარტიას უპარტიო მუშათა მასა — თანაგრძნობით თუ არათანაგრძნობით? ოპოზიციის წევრებს რომ ასე დაესვათ კითხვა,

ისინი რომ შეკითხებოდნენ თავიანთ თავს: როგორღა აფასებს მუშათა კლასი პარტიას — თანაგრძნობით თუ არათანაგრძნობით? — ისინი გაიგებდნენ, რომ პარტია სწორი გზით მიდის. გასაღებს ყოველივე იმის გასაგებად, რაც დისკუსიის შედეგებს შეეხება, ლენინური გაწვევა წარმოადგენს. თუ მუშათა კლასი გზავნის პარტიაში 200 ათას თავის წევრს, საამისოდ კი ყველაზე პატიოსანნი და მტკიცენი შეურჩევია, ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი პარტია უძლეველია, ვინაიდან პარტია, არსებითად, გახდა მუშათა კლასის არჩევითი ორგანო, რომელიც მუშათა კლასის სრული ნდობით სარგებლობს. ასეთი პარტია იცოცხლებს მტრების თავზარდასაცემად, ასეთი პარტია არასგზით არ დაირღვევა. ჩვენი ოპოზიციის უბედურება ის არის, რომ პარტიის საკითხებს, დისკუსიის შედეგების საკითხებს იგი მიუდგა არა მარქსისტის თვალსაზრისით, რომელიც პარტიის ხვედრით წონას აფასებს მასებში მისი გავლენის მიხედვით, ვინაიდან პარტია მასებისათვის არსებობს და არა პირიქით, — არამედ ფორმალური თვალსაზრისით, «წმინდა» აპარატის თვალსაზრისით. იმისათვის, რომ ვიპოვოთ მარტივი და პირდაპირი გასაღები დისკუსიის შედეგების გასაგებად, უნდა მივმართოთ არა აპარატზე ყბედობას, არამედ იმ 200 ათას კაცს, რომელნიც პარტიაში შევიდნენ და რომლებმაც ცხადყვეს პარტიის ღრმა დემოკრატიზმი. ოპოზიციონერთა სიტყვებში დემოკრატიის ხსენება ცარიელი ლაყბობაა, მაგრამ აი როცა მუშათა კლასი პარტიაში 200 ათას ახალ წევრს გზავნის, — ეს კი ნამდვილი დემოკრატიზმია. ჩვენი პარტია მუშათა კლასის არჩევითი ორგანო გახდა. მიჩვენეთ მეორე ასეთი პარტია. ვერ მიჩვენებთ, ვინაიდან იგი ჯერ არ არსებობს ბუნებაში. მაგრამ, უცნაური ამბავია, ასეთი მძლავრი პარტიაც კი არ მოსწონთ ჩვენს ოპოზიციონერებს. სად იპოვიან ისინი უკეთეს პარტიას

დედამიწაზე? ვშიშობ, უკეთესის ძებნაში მათ მარსზე გადაბარგება არ მოუხდეთ. (ტ ა შ ი).

უკანასკნელი საკითხია ოპოზიციის წვრილბურჟუაზიული გადახრის საკითხი, იმის საკითხი, თითქოს წვრილბურჟუაზიული გადახრის ბრალად დადება უსამართლობა იყოს. სწორია თუ არა ეს? არა, არ არის სწორი. საიდან წარმოსდგა ასეთი ბრალდება, სად არის ამ ბრალდების საფუძველი? ბრალდების საფუძველი ის არის, რომ თავიანთი თავშეუკავებელი აგიტაციით დემოკრატიისათვის პარტიაში ოპოზიციონერები უნებლიეთ, თავისი ნების წინააღმდეგ, გახდნენ ერთგვარი რუპორი იმ ახალი ბურჟუაზიისა, რომელიც არაფრად აგდებს დემოკრატიას ჩვენს პარტიაში, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში დემოკრატია კი სურს მიიღოს, ძალიან და ძალიან სურს მიიღოს. პარტიის ის ნაწილი, რომელმაც დემოკრატიის საკითხთა ირგვლივ ხმაური ატეხა, უნებლიეთ გახდა რუპორი და არხი იმ აგიტაციისა, რასაც ჩვენს ქვეყანაში ახალი ბურჟუაზია ეწევა და რაც მიმართულია იქითკენ, რომ დაასუსტონ დიქტატურა, «გააფართოონ» საბჭოთა კონსტიტუცია, აღადგინონ ექსპლოატატორთა პოლიტიკური უფლებები. აი სადაა აღმძვრელი ძალა და საიდუმლოება იმისა, რომ ოპოზიციის წევრები, რომელთაც უეჭველად უყვართ პარტია და სხვ. და სხვ., თავისდა შეუმჩნევლად, გახდნენ იმათი რუპორი, ვინც პარტიის გარეთ დგას და ვისაც დიქტატურის დასუსტება, დაშლა სურს.

ტყუილად კი არ თანაუგრძნობენ მენშევიკები და ესერები ოპოზიციას. განა ეს შემთხვევითია? არა, არ არის შემთხვევითი. ძალთა განლაგება საერთაშორისო მასშტაბით ისეთია, რომ ჩვენი პარტიის ავტორიტეტისა და ჩვენს ქვეყანაში დიქტატურის სიმტკიცის შესუსტების ყოველ ცდას აუცილებლად ხელს ჩასჭიდებენ რევოლუციის მტრები, როგორც პლუსს თავისთვის, — სულ ერთია, ჩვენი ოპოზი-

ცია ახდენს ამ ცდას თუ ესერები მენშევიკებთან ერთად. ვისაც ეს არ ესმის, მას ვერ გაუგია ლოგიკა ჩვენი პარტიის შიგნით მიმდინარე ფრაქციული ბრძოლისა, მას ვერ გაუგია, რომ ამ ბრძოლის შედეგები დამოკიდებულია არა პიროვნებებსა და სურვილებზე, არამედ იმ შედეგზე, რაც საბჭოთა და ანტისაბჭოთა ელემენტების ბრძოლის საერთო ბალანსით მიიღება. აი სად არის იმის საფუძველი, რომ ოპოზიციის სახით ჩვენ საქმე გვაქვს წვრილბურჟუაზიულ გადახრასთან.

ლენინმა ერთხელ თქვა პარტიული დისციპლინისა და ჩვენი რიგების დარაზმულობის შესახებ, რომ — «ვინც ოდნავადაც კი ასუსტებს პროლეტარიატის პარტიის რკინისებურ დისციპლინას (განსაკუთრებით პროლეტარიატის დიქტატურის დროს), ის ფაქტიურად ეხმარება ბურჟუაზიას პროლეტარიატის წინააღმდეგ» (იხ. ტ. XXV, გვ. 190). განა საჭიროა კიდევ იმის მტკიცება, რომ ოპოზიციელი ამხანაგები თავიანთი თავდასხმებით პარტიის მოსკოვის ორგანიზაციასა და ცენტრალურ კომიტეტზე ასუსტებდნენ პარტიის დისციპლინას და არყევდნენ დიქტატურის საფუძვლებს, ვინაიდან პარტია დიქტატურის ძირითადი ბირთვია?

აი რატომ ვფიქრობ მე, რომ XIII კონფერენცია მართალი იყო, როცა თქვა, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს წვრილბურჟუაზიული პოლიტიკისაკენ გადახრასთან. ეს ჯერ კიდევ არ არის წვრილბურჟუაზიული პოლიტიკა. სრულიადაც არა! ლენინმა X ყრილობაზე განმარტა, რომ გადახრა არის ჯერ კიდევ რაღაც დაუმთავრებელი, ჩამოუყალიბებელი რამ. თუ არ დაიჟინებთ, ამხანაგებო ოპოზიციიდან, ამ წვრილბურჟუაზიულ გადახრას, ამ მცირე შეცდომებს, — ყველაფერი გამოსწორდება, და პარტიის მუშაობა წინ წავა. ხოლო თუ დაიჟინებთ, — წვრილბურჟუაზიული გადახრა შეიძლება წვრილბურჟუაზიულ პოლიტიკად განვითარ-

დეს. მაშასადამე, მთელი საქმე თქვენზეა დამოკიდებული, ამხანაგებო ოპოზიციიდან.

როგორია დასკვნები? დასკვნები კი ისეთია, რომ პარტიის შიგნით მუშაობა ჩვენ მომავალშიც პარტიის სრული ერთიანობის საფუძველზე უნდა წარვმართოთ. შეხედეთ ყრილობას, რომელიც თავგამოდებით იცავს ცენტრალური კომიტეტის ხაზს, — აი ესაა პარტიის ერთიანობა. ოპოზიცია უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენს ჩვენს პარტიაში. ჩვენი პარტია რომ ერთიანია, და ის რომ ერთიანი იქნება, ამაზე მეტყველებს ეს ყრილობა, მისი ერთიანობა, მისი დარაზმულობა. გვექნება თუ არა ჩვენ ერთიანობა პარტიის იმ უმნიშვნელო ჯგუფთან, რომელსაც ოპოზიცია ეწოდება, — ეს მათზეა დამოკიდებული. ჩვენ ოპოზიციასთან ერთსულოვანი მუშაობის მომხრე ვართ. ყველაზე გაცხარებული დისკუსიის დროს, გასულ წელს, ჩვენ განვაცხადეთ, რომ საჭიროა ოპოზიციასთან ერთად მუშაობა. ჩვენ აქ ერთხელ კიდევ ვადასტურებთ ამას. მაგრამ გამოგვივა თუ არა ეს ერთიანობა, ეს მე არ ვიცი, ვინაიდან ერთიანობა მომავალში მთლიანად ოპოზიციაზეა დამოკიდებული. ერთიანობა ამ შემთხვევაში ორი ფაქტორის — პარტიის უმრავლესობისა და უმცირესობის თანამოქმედების შედეგია. უმრავლესობას სურს მუშაობის ერთიანობა. გულწრფელად სურს თუ არა ეს უმცირესობას, — ეს მე არ ვიცი. ეს სავსებით დამოკიდებულია ოპოზიციელ ამხანაგებზე.

დასკვნა. დასკვნა ის არის, რომ დავადასტუროთ XIII კონფერენციის რეზოლუციები და მოვიწონოთ ცენტრალური კომიტეტის მუშაობა. ეჭვი არ მეპარება, რომ ყრილობა დაადასტურებს ამ რეზოლუციებს და მოიწონებს ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობას. (ხანგრძლივი ტაში).

რკპ(ბ) XIII ყრილობის შედეგების შესახებ

მოხსენება რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ სამაზრო კომიტეტების მდივნების კურსებზე

1924 წ. 17 ივნისი

ამხანაგებო! მე დაწვრილებით არ გავარჩევ XIII ყრილობის რეზოლუციებს. ეს რეზოლუციები საკმაოდ ბევრია, ისინი მთელ ბროშურას შეადგენენ, და საეჭვოა გვქონდეს ახლა მათი დაწვრილებით გარჩევის შესაძლებლობა, მით უფრო, რომ არც მე და არც თქვენ ამჟამად საამისო დრო არა გვაქვს. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ უფრო მიზანშეწონილი იქნება — დავსახოთ მოხსენებაში ძირითადი გამოსავალი პუნქტები და გავარკვიოთ ისინი იმისათვის, რომ მერე თქვენ გაგიადვილდეთ რეზოლუციების შინ შესწავლის შესაძლებლობა.

ამნაირად, თუ ავიღებთ XIII ყრილობის რეზოლუციებს და დაწვრილებით შევისწავლით მათ, შესაძლებელი იქნება რეზოლუციებში აღძრული მრავალგვარი საკითხები დავიყვანოთ ოთხ ძირითად საკითხამდე, რომლებიც წითელ ზოლად არის გავლებული ყველა რეზოლუციაში.

რა საკითხებია ეს?

პირველი ძირითადი საკითხი ანუ პირველი ჯგუფი საკითხებისა — ესაა საკითხები, რომლებიც ეხება ჩვენი რესპუბლიკის საგარეო მდგომარეობას, ჩვენი რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცების საკითხები.

მეორე ძირითადი საკითხი ანუ მეორე ჯგუფი საკითხებისა ეხება სახელმწიფო მრეწველობისა და გლეხური მეურნეობის ურთიერთკავშირის საკითხებს, პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის საკითხებს.

მესამე ჯგუფი საკითხებისა მოიცავს პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალიზმის სულისკვეთებით მშრომელი მასების აღზრდისა და გარდაქმნის საკითხებს. ამ ჯგუფში შედის ისეთი საკითხები, როგორიც არის სახელმწიფო აპარატი, გლეხთა შორის მუშაობა, მშრომელ ქალთა შორის მუშაობა, ახალგაზრდობაში მუშაობა.

ბოლოს, მეოთხე ჯგუფი საკითხებისა — ესაა საკითხები, რომლებიც ეხება თვით პარტიას, მის შინაგან ცხოვრებას, მის არსებობას, მის განვითარებას.

მოხსენების ბოლოს ცალკე ვილაპარაკებ სამაზრო მუშაკთა ამოცანებზე XIII ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

საგარეო საქმეები

რა მოგვცა ახალი გასულმა წელმა საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობის მხრივ? რაში მდგომარეობს ის ახალი და ძირითადი საერთაშორისო ვითარებაში, რაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, როცა ძველი, გასული წლიდან ახალ წელზე გადავდივართ, და რაც XIII ყრილობას არ შეეძლო არ გაეთვალისწინებინა?

ეს ახალი მდგომარეობს, ჯერ-ერთი, იმაში, რომ გასულ წელს ჩვენ შემთხვევა გვქონდა თვალი გვედევნებინა მთელი რიგი ცდებისათვის, რაც მიმართული იყო იქითკენ, რომ დასავლეთი ევროპა, მისი საშინაო პოლიტიკის მხრივ, აშკარად ფაშისტური გაეხადათ, და ეს ცდები უნიადაგო აღმოჩნდა, ჩაიშალა. თავი რომ დავანებოთ იტალიას, სადაც ფაშიზმი იხრწნება, ევროპის ძირითად ქვეყნებში, საფრანგეთსა და ინგლისში, ევროპის პოლიტიკის ფაშიზაციის

ცდები ჩაიშალა, ხოლო ამ ცდების ავტორები, პუანკარე და კერზონი, უბრალოდ რომ ვთქვათ, გადმოყირავდნენ, გემიდან გადმოგდებულნი აღმოჩნდნენ.

ესაა პირველი, რაც ჩვენ გასულმა წელმა ახალი მოგვცა.

მეორე, რაც გასულმა წელმა მოგვცა, — ესაა მთელი რიგი ცდები ინგლისის და საფრანგეთის მებრძოლი იმპერიალისტებისა — მოეხდინათ ჩვენი ქვეყნის იზოლაცია, ცდები, რომლებმაც მარცხი განიცადეს. არა მგონია საეჭვო იყოს, რომ პუანკარეს მრავალრიცხოვანი მაქინაციები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და კერზონის ცნობილი ულტიმატუმი მიზნად ისახავდნენ ჩვენი ქვეყნის იზოლაციას. მერე, რა გამოვიდა? საბჭოთა კავშირის იზოლაციის ნაცვლად, გამოვიდა მისი ფაქტიურად ცნობა. კიდევ მეტი, საბჭოთა კავშირის იზოლაციის ნაცვლად, გამოვიდა იზოლატორების იზოლაცია, პუანკარეს და კერზონის გადადგომა. ჩვენი ქვეყნის ხვედრითი წონა უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე იმპერიალიზმის ზოგიერთ ძველ პოლიტიკოსს შეეძლო წარმოედგინა.

ესაა მეორე, რაც ჩვენ გასულმა წელმა ახალი მოგვცა საგარეო პოლიტიკის დარგში.

რით უნდა აიხსნას ყოველივე ეს?

ზოგიერთებს სურთ ახსნან ეს ჩვენი ბრძნული პოლიტიკით. მე არ უარვყოფ, რომ ჩვენი პოლიტიკა, ბრძნული თუ არა, ყოველ შემთხვევაში, სწორი იყო, რაც XIII ყრილობამ დაადასტურა. მაგრამ არ შეიძლება ჩვენი პოლიტიკის მარტო სიბრძნით თუ სისწორით ავხსნათ საქმე. საკითხი აქ იმდენად ჩვენი პოლიტიკის სისწორე კი არ არის, რამდენადაც ის ვითარება, რომელიც უკანასკნელ დროს ევროპაში შეიქმნა და რომელმაც ჩვენი პოლიტიკის წარმატებანი განსაზღვრა. საჭიროა აქ სამი გარემოება აღინიშნოს.

პირველი. იმპერიალისტური სახელმწიფოების უძლურება — თავი გაართვან თავიანთ სამხედრო გამარჯვებათა შედეგებს და დაამყარონ ევროპაში რამდენადმე მაინც ასატანი მშვიდობიანობა, მათი უუნარობა — განვითარდნენ შემდგომში დამარცხებული ქვეყნებისა და კოლონიების ძარცვის გარეშე, ნაძარცვის გასაყოფად ურთიერთშორის კონფლიქტებისა და შეტაკებების გარეშე. აქედან — ახალი შეიარაღებანი. აქედან — ახალი ომის საფრთხე. ხალხის მასებს კი არ უნდათ ომი, ვინაიდან მათ ჯერ კიდევ არ დავიწყნიათ ის მსხვერპლი, რის გაღებაც მოუხდათ კაპიტალისტების მოგებათათვის. აქედან — ხალხთა მზარდი უკმაყოფილება მებრძოლი იმპერიალიზმის პოლიტიკით.

ესაა იმპერიალიზმის შინაგანი სისუსტის მიზეზი. რატომ გააგდეს კერზონი და პუანკარე? იმიტომ, რომ ხალხი მათ ახალი ომის ამტეხებად თვლის. იმიტომ, რომ ისინი თავიანთი აშკარად მებრძოლი პოლიტიკით იწვევდნენ მასებში უკმაყოფილებას საერთოდ იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ამით საფრთხეს უქმნიდნენ იმპერიალიზმს.

მეორე. საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება ქვეყნის შიგნით. კაპიტალისტურ სახელმწიფოებს აღებული ჰქონდათ გეზი საბჭოთა ხელისუფლების ჩაფუშვისა ჩვენი ქვეყნის შიგნით. მეფსალმუნე ამბობს — ჩვილთა ბაგეებით ზოგჯერ ღმერთი სიმართლეს მეტყველებსო. თუ დასავლეთის იმპერიალიზმს ღმერთად ჩავთვლით, მაშინ ბუნებრივია, რომ იგი იოლად ვერ წავა, თუ თავისი ჩვილი არ ეყოლა. და აი მას გამოუჩნდა თავისი ჩვილი — საკმაოდ ცნობილი ბენეში, ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომლის პირით მან გამოაცხადა — არ ღირს დავაჩქაროთ რესპუბლიკების კავშირის ცნობა, იმის გამო, რომ საბჭოთა ხელისუფლება მტკიცე არ არისო, და ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლებას მოკლე ხანში ახალი ბურჟუაზიულ-დემოკრატი-

ული ხელისუფლება შეცვლის, ამიტომ უკეთესი იქნება საბჭოთა კავშირთან «ნორმალური ურთიერთობისაგან» ჯერ-ჯერობით «თავი შევიკავოთო». ასე იყო ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ. მაგრამ იმპერიალიზმის «სიმართლემ», მისი ჩვილის ბაგით გამოცხადებულმა, გაჭირვებით გასტანა ორიოდე თვეს, ვინაიდან, როგორც ვიცით, «თავის შეკავების» პოლიტიკა მალე მთელ რიგ სახელმწიფოებში «ცნობის» პოლიტიკამ შეცვალა [44]. რატომ? იმიტომ, რომ სიცხადის წინააღმდეგ დავა ძნელია, ხოლო სიცხადე ის არის, რომ საბჭოთა ხელისუფლება კლდესავით მაგარია. უწინარეს ყოვლისა, ობივატელს, რაგინდ გულუბრყვილოც იყოს იგი პოლიტიკაში, არ შეეძლო არ შეენიშნა, რომ საბჭოთა ხელისუფლება, შეიძლება ითქვას, ყოველ ბურჟუაზიულ მთავრობაზე უფრო მტკიცეა, ვინაიდან პროლეტარიატის დიქტატურის შვიდი წლის მანძილზე ბურჟუაზიული მთავრობები მიდიან და მოდიან, საბჭოთა ხელისუფლება კი რჩება. შემდეგ, იმავე ობივატელს არ შეეძლო არ შეენიშნა, რომ ჩვენი ქვეყნის მეურნეობა პროგრესის გზაზე დგას, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი ექსპორტი შეუნელებლივ იზრდება. განა საჭიროა კიდევ იმის მტკიცება, რომ ეს გარემოებანი საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ ლაპარაკობენ, და არა მის წინააღმდეგ? ჩვენ ბრალად გვდებენ — დასავლეთ ევროპაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ პროპაგანდას ეწევითო. უნდა ვთქვა, რომ ასეთი პროპაგანდა ჩვენთვის საჭირო არ არის, ჩვენ ის არ გვესაჭიროება. თვით არსებობა საბჭოთა ხელისუფლებისა, მისი ზრდა, მისი მატერიალური წარმატება, მისი უეჭველი განმტკიცება წარმოადგენს უაღრესად სერიოზულ პროპაგანდას ევროპის მუშებს შორის საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ. ყოველ მუშას, რომელიც საბჭოთა ქვეყანაში ჩამოვა და ჩვენს პროლეტარულ წესებს გადაავლებს თვალს, შეუძ-

ლია დაინახოს, რა არის საბჭოთა ხელისუფლება და რა შეუძლია მუშათა კლასს, როდესაც ის ხელისუფლების სათავეში დგას. სწორედ ეს არის ნამდვილი პროპაგანდა, მაგრამ პროპაგანდა ფაქტებით, რაც ბევრად უფრო მოქმედებს მუშებზე, ვიდრე პროპაგანდა ზეპირი ან ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით. ჩვენ ბრალად გვდებენ — პროპაგანდას ეწევით აღმოსავლეთშიო. ესეც ტყუილია. ჩვენ არ გვესაჭიროება აღმოსავლეთში პროპაგანდა. საკმარისია დამოკიდებული ქვეყნის ან კოლონიის რომელიც გნებავთ მოქალაქე ჩამოვიდეს საბჭოთა ქვეყანაში და ნახოს, როგორ მართავენ ჩვენში ქვეყანას ადამიანები, საკმარისია ნახოს, რომ შავი და თეთრი, რუსი და არარუსი, ყველა ფერისა და ეროვნების ადამიანები ერთ უღელში შებმულან და ერთად ეწევიან დიდი ქვეყნის მმართველობის საქმეს, რათა დარწმუნდეს, რომ ესაა ერთადერთი ქვეყანა, სადაც ხალხთა ძმობა ფრაზა კი არ არის, არამედ ნამდვილი საქმეა. არავითარი ბეჭდვითი თუ ზეპირი პროპაგანდა არ გვესაჭიროება, თუ ჩვენ გვაქვს ფაქტი ისეთი პროპაგანდისა საქმით, როგორიცაა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

მესამე. საბჭოთა ხელისუფლების ხვედრითი წონის ზრდა, მისი პოპულარობის ზრდა კაპიტალისტური ქვეყნების ხალხთა მასებში, რაც, უწინარეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ ჩვენი ქვეყანა ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელსაც შესწევს უნარი — აწარმოოს მშვიდობიანობის პოლიტიკა, და იგი ნამდვილადაც აწარმოებს მას, აწარმოებს არა ფარისევლურად, არამედ პატიოსნად და აშკარად, გადაჭრით და თანმიმდევრობით. ახლა ყველანი, მტრებიც და მეგობრებიც, აღიარებენ, რომ ჩვენი ქვეყანა არის ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც სრული უფლებით შეგვიძლია ვუწოდოთ მშვიდობიანობის პოლიტიკის ბურჯი და მედროშე მთელ მსოფლიოში. განა საჭიროა იმის მტკი-

ცება, რომ ამ გარემოებას არ შეეძლო არ გაეძლიერებინა ევროპის ხალხთა მასების თანაგრძნობა და სიმპათია საბჭოთა ხელისუფლების მიმართ? მიაქციეთ თუ არა თქვენ ყურადღება იმას, რომ ზოგიერთი მმართველი ევროპაში ცდილობს კარიერა გაიკეთოს საბჭოთა კავშირთან «მეგობრობით», რომ ისეთებიც კი მათ შორის, როგორიც მუსოლინია, წინააღმდეგი არ არიან ზოგჯერ «ხელი მოითბონ» ამ «მეგობრობაზე»? ეს პირდაპირი მაჩვენებელია იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ნამდვილად პოპულარული გახდა კაპიტალისტური სახელმწიფოების ფართო მასებში. მაგრამ თავისი პოპულარობისათვის ისე არაფერს არ უნდა უმადლოდეს საბჭოთა ხელისუფლება, როგორც მშვიდობიანობის პოლიტიკას, რასაც ის პატიოსნად და მამაცურად ახორციელებს კაპიტალისტური გარემოცვის მძიმე პირობებში.

ასეთია ზოგადად ის გარემოებანი, რომლებმაც განსაზღვრეს ჩვენი საგარეო პოლიტიკის წარმატებანი გასული წლის მანძილზე.

XIII ყრილობამ თავის რეზოლუციაში მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკა საგარეო ურთიერთობის დარგში. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ყრილობამ დაავალა პარტიას მომავალშიც გაატაროს მშვიდობიანობის პოლიტიკა, ახალი ომის წინააღმდეგ გაბედული ბრძოლის პოლიტიკა, ახალ შეიარაღებათა, ახალ შეტაკებათა ყველა და ყოველგვარი მომხრეების თუ წამქეზებლების დაუნდობელი მხილების პოლიტიკა.

ჭალაქსა და სოფელს შორის კავშირის საკითხები

რა არის კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის? ეს არის მუდმივი კავშირი, მუდმივი გაცვლა-გამოცვლა ქალაქსა და სოფელს შორის, ჩვენს ინდუსტრიასა და გლეხურ მეურნე-

ობას შორის, ჩვენი ინდუსტრიის ნაწარმსა და გლეხური მეურნეობის სურსათსა და ნედლეულს შორის. გლეხური მეურნეობა ვერ იცოცხლებს, ვერ იარსებებს, თუ ქალაქის ბაზარზე თავისი სურსათი და ნედლეული არ გაასხვისა და სამაგიეროდ ქალაქიდან აუცილებელი ფაბრიკატები და შრომის იარაღები არ მიიღო. ამგვარადვე, სახელმწიფო ინდუსტრია ვერ განვითარდება, თუ თავისი ნაწარმი გლეხურ ბაზარზე არ გაასხვისა და სოფლიდან სურსათითა და ნედლეულით არ მომარაგდა. მაშასადამე, ჩვენი სოციალისტური ინდუსტრიის არსებობის წყაროს წარმოადგენს საშინაო ბაზარი და, უწინარეს ყოვლისა, გლეხური ბაზარი, გლეხური მეურნეობა. ამიტომ ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის საკითხი არის ჩვენი ინდუსტრიის არსებობის საკითხი, თვით პროლეტარიატის არსებობის საკითხი, ჩვენი რესპუბლიკის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხი.

ჩვენ ვერ მოვახერხეთ, რომ ეს კავშირი, მუდმივი კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის, ინდუსტრიასა და გლეხურ მეურნეობას შორის გაგვეხორციელებინა ინდუსტრიის პროდუქტების პირდაპირი გადაცვლით გლეხური მეურნეობის პროდუქტებზე. ვერ მოვახერხეთ იმიტომ, რომ ჩვენი ინდუსტრია ნაკლებად არის განვითარებული, მთელ ჩვენს ქვეყანაში დიდად განშტოებული მომმარაგებელი აპარატები ჩვენ არა გვქონია, ხოლო მთელი სახალხო მეურნეობა ომის შემდეგ დანგრეული იყო. ამიტომ იძულებული ვიყავით შემოგვეღო ეგრეთწოდებული ახალი ეკონომიური პოლიტიკა, ე. ი. იძულებული ვიყავით გამოგვეცხადებინა ვაჭრობის თავისუფლება, საქონლის მიმოქცევის თავისუფლება, დაგვეშვა კაპიტალიზმი, მოგვეხდინა მილიონობით გლეხთა და წვრილ მეპატრონეთა ძალების მობილიზაცია, რათა შევქმნათ ჩვენს ქვეყანაში საქონელბრუნ-

ვის ნაკადი, განვავითაროთ ვაჭრობა და მერე, როცა ხელთ ვიგდებთ ძირითად პოზიციებს ვაჭრობის დარგში, კავშირი დავამყაროთ ინდუსტრიასა და გლეხურ მეურნეობას შორის ვაჭრობის საშუალებით. ეს არის კავშირის დამყარება შემოვლითი გზით, როგორც ამბობს ლენინი, არა პირდაპირ, არა იმ გზით, რომ გლეხური მეურნეობის პროდუქტები პირდაპირ გადავცვალოთ ინდუსტრიის პროდუქტებზე, არამედ ვაჭრობის საშუალებით.

ამოცანა ის არის, რომ გამოვიყენოთ მილიონობით წვრილ მეპატრონეთა ძალღონე, ხელთ ვიგდოთ ვაჭრობა, სახელმწიფოს და კოოპერაციის ხელში მოვაქციოთ ქალაქისა და სოფლის მომარაგების ძირითადი ძაფები და, ამრიგად, მოვაწყოთ განუყრელი ურთიერთობა, განუყრელი კავშირი ინდუსტრიასა და გლეხურ მეურნეობას შორის.

არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ამოცანა ჩვენს ძალას აღემატებოდეს. არ შეიძლება იმიტომ, რომ ხელისუფლების სათავეში მდგომ პროლეტარიატს აქვს, ასე ვთქვათ, ყველა ძირითადი საშუალება იმისათვის, რომ ასეთი კავშირი შემოვლითი წესით ვაჭრობის საშუალებით განახორციელოს. ჯერ-ერთი, მას, პროლეტარიატს, აქვს ძალაუფლება. მეორეც, მას აქვს ინდუსტრია. მესამეც, მის ხელთაა კრედიტი, ხოლო კრედიტი უდიდესი ძალაა სახელმწიფოს ხელში. მეოთხეც, მას აქვს თავისი სავაჭრო აპარატი, ცუდი თუ კარგი, მაგრამ მაინც ისეთი, რომელიც ვითარდება და მტკიცდება. ბოლოს, მას აქვს საქონლის ერთგვარი ფონდები, რომლებიც შეუძლია დროდადრო გაიტანოს ბაზარზე იმისათვის, რომ ალაგმოს ან ნეიტრალყოს ბაზრის კაპრიზები, გავლენა მოახდინოს ფასების მდგომარეობაზე და სხვა. ყველა ეს საშუალება აქვს მუშათა სახელმწიფოს, და ამიტომ არ შეიძლება ითქვას, რომ ვაჭრობის მეშვეობით კავშირის განხორციელება ისეთ ამოცანას წარმოადგენდეს, რომელიც ჩვენს ძალას აღემატება.

ასეთია ვითარება ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის ორგანიზაციის საკითხისა და ამ კავშირის შესაძლებლობებისა.

მაშასადამე, რა მოგვცა ახალი და მნიშვნელოვანი გასულმა წელმა ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის დამყარების თვალსაზრისით?

რა ახალ მასალებთან ჰქონდა საქმე XIII ყრილობას, როცა ამ კავშირის საკითხებს წყვეტდა?

ახალი ამ დარგში წლის მანძილზე ის არის, რომ გასულ წელს ჩვენ პირველად წავაწყდით ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში ფართო ბრძოლას, დიდი მასშტაბის ბრძოლას სოციალისტურ და კერძო-კაპიტალისტურ ელემენტებს შორის ჩვენი სახალხო მეურნეობის შიგნით და, ამას რომ წავაწყდით, პირველად დავაყენეთ პრაქტიკულ ნიადაგზე ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის საკითხი მთელი მისი კონკრეტულობით. ამ კავშირისა და ვაჭრობის საკითხები წარმოსდგა ჩვენს წინაშე უკვე არა როგორც თეორიის საკითხები, არამედ როგორც უშუალო პრაქტიკის საჭირბოროტო საკითხები, რომლებიც დაუყოვნებლივ იყო გადასაჭრელი.

თუ გახსოვთ, ლენინი ჯერ კიდევ XI ყრილობაზე ამბობდა [45], რომ ბაზრის მოცვა სახელმწიფოს და კოოპერაციის ძალებით, ვაჭრობის ძირითადი ძაფების ხელში ჩაგდება იწარმოებს არა მშვიდობიანი მუშაობის წესით, არამედ სოციალისტურ ელემენტებსა და კერძო-კაპიტალისტურ ელემენტებს შორის ბრძოლის წესით, რომ ეს მუშაობა იწარმოებს ჩვენი სახალხო მეურნეობის ამ, ერთიმეორის მოპირისპირე, ელემენტების გააფთრებული შეჯიბრების წესით. და აი, ეს ბრძოლა გაჩაღდა. მან თავი იჩინა, უმთავრესად, ორი ხაზით: ქალაქსა და სოფელს შორის ვაჭრობის ხაზით და კრედიტის ხაზით, უმთავრესად, სოფლად.

როგორია ამ ბრძოლის შედეგები?

ჯერ-ერთი. აღმოჩნდა, რომ კერძო კაპიტალი ჩაინერგა არა წარმოებაში, სადაც მეტი რისკია და კაპიტალი უფრო ნელა ბრუნავს, არამედ ვაჭრობაში, სწორედ იმ ვაჭრობაში, რომელიც შეადგენს, როგორც ლენინი ამბობს, პროცესთა ჯაჭვის ძირითად რგოლს ჩვენს გარდამავალ დროში. და, ვაჭრობაში რომ ჩაინერგა, კერძო კაპიტალი იქ იმდენად განმტკიცდა, რომ მის ხელში აღმოჩნდა თითქმის 80 პროცენტი ჩვენი ქვეყნის მთელი საცალო ვაჭრობისა და თითქმის 50 პროცენტი მთელი საბითუმო-საცალო ვაჭრობისა. ეს აიხსნება ჩვენი სავაჭრო და კოოპერაციული აპარატების ახალგაზრდობით და მოუწესრიგებლობით, ჩვენი სინდიკატების არასწორი პოლიტიკით, რომელნიც ბოროტად იყენებდნენ თავიანთ მონოპოლიურ მდგომარეობას და ბერავდნენ საქონლის ფასებს, ჩვენი შინავაჭრობის კომიტეტის სისუსტით, რომელიც ვალდებულია აწესრიგებდეს ვაჭრობას სახელმწიფოს ინტერესთა თვალსაზრისით, ბოლოს, ჩვენი მაშინდელი საბჭოთა ნიშნის ვალუტის მერყეობით, რომელიც უმთავრესად გლეხს აზარალებდა და ამით მის მყიდველობით უნარს ამცირებდა.

მეორეც. აღმოჩნდა, რომ კრედიტი სოფლად მთლად კულაკისა და მევახშის ხელშია, რომ ინვენტარს მოკლებული ხელმოკლე გლეხობა იძულებულია მევახშის კაბალაში ჩავარდეს, იძულებულია იხადოს უზომო პროცენტი და უდრტვინველად აიტანოს მევახშის ბატონობა. ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ძირეული ქსელი, რომელიც შესძლებდა მიეწოდებინა გლეხისათვის იაფი კრედიტი და უკანა ადგილზე მოექცია მევახშე, რომ ბრძოლის ველი აქ მთლიანად მევახშის ხელშია.

ამრიგად, ერთი მხრით, სახელმწიფოსა და, მეორე მხრით, გლეხურ მეურნეობას შორის სოლივით შეიჭრნენ ვაჭარი და მევახშე, რის გამოც კავშირი სოციალისტურ მრეწველობასა და გლეხურ მეურნეობას შორის გაძნელებული, მოუწესრიგებელი აღმოჩნდა. გასაღების კრიზისი წარსული წლის ზაფხულში ამ გაძნელებისა და მოუწესრიგებლობის გამოხატულება იყო.

პარტიამ მაშინვე, უკვე ყრილობამდე, მიიღო ზომები იმისათვის, რომ მოგვეხდინა გასაღების კრიზისის ლიკვიდაცია და საფუძველი ჩაგვეყარა სასოფლო-სამეურნეო კრედიტისათვის. შემოვიღეთ ახალი, მყარი ვალუტა, რომელმაც საქმე გააუმჯობესა. ბაზრისაკენ, ფასების დაკლების მიზნით, დიდი რაოდენობით დავძარით საქონელი, რამაც აგრეთვე ხელსაყრელი გავლენა იქონია. ჩატარდა შინავაჭრობის კომიტეტის რეორგანიზაცია ისეთ საფუძველზე, რამაც უზრუნველყო წარმატებითი ბრძოლა კერძო კაპიტალთან. დაისვა იმის საკითხი, რომ გარდაგვექმნა სავაჭრო და კოოპერაციული ორგანოების მუშაობა ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის ინტერესთა თვალსაზრისით. გასაღების კრიზისი ძირითადად ლიკვიდირებულ იქნა.

მაგრამ პარტიას ამ ზომებით დაკმაყოფილება არ შეეძლო. XIII ყრილობის ამოცანა ის იყო, რომ ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის საკითხი კვლავ მთელი სიგრძე-სიგანით დაესვა და დაესახა ძირითადი ხაზები ამ საკითხის გადაწყვეტისა ახალ ვითარებაში გასაღების კრიზისის ლიკვიდაციის შემდეგ.

რა მოგვცა XIII ყრილობამ ამ დარგში?

ჯერ-ერთი. ყრილობამ მოგვცა ლოზუნგი ინდუსტრიის, უწინარეს ყოვლისა, მსუბუქი ინდუსტრიის, აგრეთვე ლითონის წარმოების შემდგომი გაფართოებისა, რადგან ცხადია, რომ ნაკეთობათა იმ მარაგით, რაც მოგვეპოვება,

ჩვენ გლეხს საქონლის წყურვილს ვერ მოვუკლავთ. აღარას ვამბობ უმუშევრობის ზრდაზე, რაც დაჟინებით მოითხოვს ინდუსტრიის გაფართოებას. ამიტომ ინდუსტრიის შემდგომი გაფართოება სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია (იხ. ყრილობის რეზოლუცია ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო [46]).

მეორეც. ყრილობამ მოგვცა ლოზუნგი გლეხური მეურნეობის შემდგომი გაფართოებისა, ლოზუნგი გლეხური მეურნეობისათვის დახმარების გაწევისა ნახნავის შემდგომი გაფართოების საქმეში. ესეც აუცილებელი საქმეა კავშირისათვის, რადგან ცხადია, რომ გლეხობა დაინტერესებულია დააკმაყოფილოს არა მარტო ჩვენი ინდუსტრიის მოთხოვნილება, რა თქმა უნდა, ფაბრიკატებზე გადაცვლით, არამედ საგარეო ბაზრის მოთხოვნილებაც, რა თქმა უნდა, მანქანებზე გადაცვლით. აქედან — გლეხური მეურნეობის შემდგომი გაფართოება, როგორც პარტიული პოლიტიკის მორიგი ამოცანა (იხ. რეზოლუცია «სოფლად მუშაობის შესახებ» [47]).

მესამეც. ყრილობამ დაამტკიცა საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შექმნა და ყველა ჩვენი სავაჭრო და კოოპერაციული ორგანოს წინაშე დააყენა ძირითადი ამოცანა კერძო კაპიტალთან ბრძოლისა, ამოცანა ბაზრის ხელში ჩაგდებისა, ამოცანა ვაჭრობის დარგიდან კერძო კაპიტალის განდევნისა ეკონომიური ხასიათის ზომებით, საქონლის ფასების შემცირების და საქონლის ხარისხის გაუმჯობესების გზით, საქონლის მასებით მანევრირების, შეღავათიანი კრედიტის გამოყენებისა და სხვ. გზით (იხ. რეზოლუციები «საშინაო ვაჭრობის შესახებ» და «კოოპერაციის შესახებ» [48]).

მეოთხეც. ყრილობამ დასვა და გადაჭრა უმნიშვნელოვანესი საკითხი — სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საკითხი.

საქმე ეხება არა მარტო ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ბანკს ან თუნდაც სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საგუბერნიო კომიტეტებს. საქმე ეხება, უმთავრესად, საკრედიტო კოოპერაციის ძირეული ქსელის მოწყობას მაზრებსა და თემებში, საქმე ეხება იმას, რომ მოვახდინოთ კრედიტის დემოკრატიზაცია, ხელმისაწვდომი გავხადოთ გლეხისათვის სასოფლო-სამეურნეო კრედიტი, შევცვალოთ მევახშის კაბალური კრედიტი სახელმწიფოს იაფი კრედიტით და გავაძევოთ მევახშე სოფლიდან. ეს არის მთელი ჩვენი ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომლის გადაუჭრელად შეუძლებელია რამდენადმე მაინც მტკიცე კავშირის არსებობა პროლეტარიატსა და გლეხობას შორის. აი რატომ იყო, რომ XIII ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ საკითხს (იხ. რეზოლუცია «სოფლად მუშაობის შესახებ»). ცენტრალურმა კომიტეტმა მიაღწია იმას, რომ სასოფლო-სამეურნეო ბანკის ძირითადი კაპიტალისათვის გაღებულ იქნა 40 მილიონი მანეთი იმ ანგარიშით, რომ სახელმწიფო ბანკთან განსაზღვრული კომბინაციის გზით ეს 40 მილიონი გადიდდეს 80 მილიონ მანეთამდე. მე ვფიქრობ, რომ ერთგვარი დაძაბვით შეგვიძლია ეს თანხა 100 მილიონ მანეთამდე ავიყვანოთ. რასაკვირველია, ეს არც ისე ბევრია ისეთი გიგანტისათვის, როგორიც ჩვენი კავშირია, მაგრამ ეს მაინც არის რაღაც იმისათვის, რომ გლეხს თავისი მეურნეობის გაუმჯობესების საქმე გავუადვილოთ და მევახშის კაბალას ძირი გამოვუთხაროთ. ზემოთ მე ვილაპარაკე ძირეული გლეხური საკრედიტო კოოპერაციის მნიშვნელობაზე ხელმოკლე გლეხებისათვის, მუშათა სახელმწიფოსთან გლეხობის კავშირისათვის. მაგრამ ძირეულ საკრედიტო კოოპერაციას შეუძლია დახმარება გაუწიოს არა მარტო გლეხს. განსაზღვრულ პირობებში მას შეუძლია გახდეს უდიდესი წყარო დახმარებისა არა

მარტო გლეხისათვის სახელმწიფოს მხრით, არამედ თვით სახელმწიფოსთვისაც გლეხის მხრით. მართლაც, თუ ჩვენში ადგილებზე, მაზრებსა და თემებში, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ფართო ქსელი განვითარდა და სათანადო დაწესებულებებს გლეხთა მასებში ავტორიტეტი ექნათ, გლეხობა არა მარტო მიიღებს დახმარებას სახელმწიფოსაგან, ე. ი. ამ დაწესებულებებს არა მარტო აქტიური ოპერაციები ექნებათ, არამედ გლეხობა კიდევაც მისცემს იქ თავისას, ე. ი. იქ პასიური ოპერაციებიც იქნება. ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, რომ, თუ ძირეულ საკრედიტო დაწესებულებებში საქმე საკეთილოდ დატრიალდა, ეს დაწესებულებები შეიძლება გადაიქცნენ სახელმწიფოსათვის მრავალმილიონიანი გლეხობის მხრით ისეთი საფუძვლიანი დახმარების წყაროდ, რომელსაც ვერავითარი საგარეო სესხი ვერ შეედრება. როგორც ხედავთ, ყრილობა არ შემცდარა, როცა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სოფლად იაფი კრედიტის ორგანიზაციის საქმეს.

მეხუთეც. ყრილობამ კვლავ საქვეყნოდ გამოაცხადა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შეურყევლობა. ვფიქრობ, საჭირო არ არის განვმარტო ამ ინსტიტუტის მნიშვნელობა როგორც ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობისათვის, ისე მათ შორის კავშირისათვის. საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის კარდინალური მნიშვნელობა ახალ დამამტკიცებელ საბუთებს არ საჭიროებს (იხ. რეზოლუცია ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო).

მეექვსეც. ყრილობამ დაადასტურა საერთოდ ექსპორტის და, უწინარეს ყოვლისა, პურის ექსპორტის გაძლიერების აუცილებლობა. ვფიქრობ, არც ეს გადაწყვეტილება საჭიროებს კომენტარიებს (იხ. რეზოლუცია ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო).

მეშვიდეც. ყრილობამ დაადგინა მიღებულ იქნას ყველა ღონისძიება იმისათვის, რომ ფულის რეფორმა[49], რამაც გააადვილა საქონელბრუნვის საქმე და მრეწველობასა და გლეხურ მეურნეობას შორის მტკიცე კავშირის დამყარების საქმე, რომ ეს ფულის რეფორმა ბოლომდე გატარდეს, და რომ საამისოდ საჭირო ყველა პირობა განხორციელდეს როგორც ცენტრის ძალებით, ისე ადგილების ძალებით (იხ. რეზოლუცია ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო).

ასეთია XIII ყრილობის ლოზუნგები ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის საკითხზე, ნავარაუდევი იმისათვის, რომ დავეუფლოთ ვაჭრობას, დავამყაროთ მტკიცე კავშირი ჩვენს ინდუსტრიასა და გლეხურ მეურნეობას შორის და, ამრიგად, მოვამზადოთ პირობები სახალხო მეურნეობის სოციალისტური ელემენტების გასამარჯვებლად კაპიტალისტურ ელემენტებზე.

მშრომელი მასების აღზრდისა და გარდაქმნის საკითხები

პარტიის ერთ-ერთ არსებით ამოცანას პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში წარმოადგენს ის, რომ განვავითაროთ მუშაობა ძველი თაობების გარდასაქმნელად და ახალი თაობების აღსაზრდელად პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალიზმის სულისკვეთებით. ძველი ჩვევები და ჩვეულებანი, ტრადიციები და ცრურწმენანი, რაც მემკვიდრეობით მიღებულია ძველი საზოგადოებისაგან, სოციალიზმის უაღრესად საშიშ მტერს წარმოადგენენ. მათ, ამ ტრადიციებსა და ჩვევებს, ხელში უჭირავთ მშრომელთა მილიონიანი მასები, მათი ტალღა ზოგჯერ მოედება ხოლმე პროლეტარიატის მთელ ფენებს, ისინი ზოგჯერ უდიდეს საფრთხეს უქმნიან თვით პროლეტარიატის დიქტატურის არსებობას. ამიტომ ბრძოლა ამ ტრადიციებთან და ჩვევებთან, მათი აუცილებლად დაძლევა ჩვენი მუშაობის ყვე-

ლა სფეროში, ბოლოს, ახალი თაობების აღზრდა პროლეტარული სოციალიზმის სულისკვეთებით — წარმოადგენს ჩვენი პარტიის იმ მორიგ ამოცანებს, რომელთა განუხორციელებლად სოციალიზმის გამარჯვება შეუძლებელია. მუშაობა სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის, სოფლად მუშაობა, მშრომელ ქალთა შორის მუშაობა, ახალგაზრდობაში მუშაობა — ასეთია პარტიის საქმიანობის ძირითადი სფეროები ამ ამოცანების განსახორციელებლად.

ა) **ბრძოლა სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის.** ყრილობამ ცოტა დრო დაუთმო სახელმწიფო აპარატის საკითხს. ცენტრალური საკონტროლო კომისიის მოხსენება სახელმწიფო აპარატის ნაკლოვანებებთან ბრძოლის შესახებ უკამათოდ იქნა დამტკიცებული. ყრილობამ უკამათოდ მიიღო აგრეთვე რეზოლუცია «საკონტროლო კომისიების მუშაობის შესახებ»[50]. ეს, ჩემი აზრით, მოხდა დროის ნაკლებობისა და ყრილობაზე დასმული საკითხების სიმრავლის გამო. მაგრამ აბსოლუტურად არასწორი იქნებოდა — აქედან ის დასკვნა გამოგვეტანა, თითქოს სახელმწიფო აპარატის საკითხი პარტიას უმნიშვნელოვანეს საკითხად არ მიაჩნდეს. პირიქით, სახელმწიფო აპარატის საკითხი მთელი ჩვენი მშენებლობის ერთ-ერთი უაღრესად არსებითი საკითხია. პატიოსნად მუშაობს სახელმწიფო აპარატი — თუ მექრთამეობს; ატარებს იგი ხარჯების ეკონომიას — თუ ფლანგავს სახალხო დოვლათს; ყალბობს იგი მუშაობაში — თუ გულმართლად და ერთგულად ემსახურება სახელმწიფოს; წარმოადგენს იგი ტვირთს მშრომელებისათვის — თუ მშრომელთა დახმარების ორგანიზაციას; ნერგავს იგი პროლეტარული კანონიერების იდეას — თუ რყვნის მოსახლეობის შეგნებას ამ იდეის უარყოფის სულისკვეთებით; ვითარდება იგი წინ — უსახელმწიფოო კომუნისტურ საზოგადოებაზე გადასვლის მიმართუ-

ლებით — თუ უკან გვეწევა ჩვეულებრივი ბურჟუაზიული სახელმწიფოს დახავსებული ბიუროკრატიზმისაკენ, — ყოველივე ეს ისეთი საკითხებია, რომელთა სწორ გადაჭრას არ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდეს პარტიისა და სოციალიზმისათვის. ჩვენი სახელმწიფო აპარატი რომ სავსეა ნაკლოვანებებით, ის რომ ვეება და ძვირია, ის რომ $^{9}/_{10}$-ით ბიუროკრატიულია, სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიზმი რომ აწვება პარტიას და მის ორგანიზაციებს, აძნელებს რა ბრძოლას სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის, — ეს არა მგონია საეჭვო იყოს. ამავე დროს კი ცხადია, ჩვენი სახელმწიფო აპარატი რომ განთავისუფლდეს თუნდაც ზოგიერთი თავისი ძირითადი ნაკლისაგან, იგი გახდება პროლეტარიატის ხელში უდიდესი საშუალება მოსახლეობის ფართო მასების აღზრდისა და გარდაქმნისა პროლეტარიატის დიქტატურის და სოციალიზმის სულისკვეთებით.

აი რატომ აქცევდა ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების საქმეს.

აი რატომ შექმნა პარტიამ სპეციალური ორგანიზაციები მუშათა და გლეხთაგან (რეორგანიზებული მუშათა და გლეხთა ინსპექცია და გაფართოებული ცენტრალური საკონტროლო კომისია) ჩვენი სახელმწიფო აპარატის ნაკლოვანებებთან საბრძოლველად.

ამოცანა ის არის, რომ დავეხმაროთ ცენტრალურ საკონტროლო კომისიას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას მათს მძიმე მუშაობაში სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისა, გამარტივებისა, გაიაფებისა და მორალური გაჯანსაღებისათვის თავიდან ბოლომდე (იხ. ყრილობის რეზოლუცია «საკონტროლო კომისიების მუშაობის შესახებ»).

ბ) **სოფლად მუშაობის შესახებ.** ეს საკითხი ჩვენი პარტიული პრაქტიკის ერთ-ერთი ყველაზე რთული და ძნელი

საკითხია. ყრილობამ მიიღო საუცხოო რეზოლუცია სოფლად ჩვენი მუშაობის ძირითადი ხაზების შესახებ. საკმარისია შევადაროთ ეს რეზოლუცია VIII ყრილობის რეზოლუციას სოფლად მუშაობის შესახებ[51], რათა გავიგოთ, რამდენად წინ წავიდა პარტია ამ დარგში. მაგრამ შეცდომა იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ XIII ყრილობამ ამოწურა ან შეეძლო ამოეწურა ამ წელს ურთულესი საკითხი სოფლის შესახებ. ისეთი საკითხები, როგორიც არის კოლმეურნეობათა ორგანიზაციის ფორმები, საბჭოთა მეურნეობების გარდაქმნა, მიწათმოწყობის საქმის მოწესრიგება ცენტრსა და განაპირა მხარეებში, შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმები სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მუშაობასთან დაკავშირებით, ჩვენი კავშირის სხვადასხვაგვარი რაიონების თავისებურებათა მოცვა და ამ თავისებურებათა გათვალისწინება ჩვენს მუშაობაში, — ყველა ეს საკითხი, გასაგები მიზეზების გამო, არ შეიძლებოდა ამომწურავად ყოფილიყო გადაჭრილი ყრილობის რეზოლუციაში. ყრილობის რეზოლუცია მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ იგი, სახავს რა მუშაობის ძირითად ხაზებს, აადვილებს ამ საკითხების შემდგომ დამუშავებას. თქვენ, ალბათ, იცით, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა[52] შექმნა სოფლად მუშაობის მუდმივი კომისია ამ საკითხების დაწვრილებით დასამუშავებლად.

რეზოლუციის ცენტრს წარმოადგენს გლეხთა მასების კოოპერირების ლოზუნგი. კოოპერირება სამი ხაზით უნდა წარიმართოს: სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხაზით და საკრედიტო კოოპერაციის ხაზით. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე საიმედო გზა იმისათვის, რომ გლეხობაში, მის ხელმოკლე და საშუალო ფენებში, დავნერგოთ კოლექტივიზმის იდეა და მეთოდები (იხ. ყრილობის რეზოლუცია «სოფლად მუშაობის შესახებ»).

გ) **მშრომელ ქალთა შორის მუშაობის შესახებ.** ჯერ კიდევ ყრილობაზე ჩემს მოხსენებაში მე ვთქვი, რომ მუშაობის ეს დარგი ჩვენ მივიწყებული გვაქვს, რომ პარტიისათვის ეს მუშაობა წარმოადგენს მუშაობის უაღრესად მნიშვნელოვან, ზოგიერთ შემთხვევაში კი — გადამწყვეტ დარგს სოციალიზმის სულისკვეთებით ახალ თაობათა აღზრდის საქმეში. იმის გამეორება, რაც უკვე ითქვა ყრილობაზე, რასაკვირველია, არ ღირს. მე მინდა მხოლოდ ყურადღება მივაქციო იმას, რომ ყრილობამ, რომელსაც, სამწუხაროდ, შესაძლებლობა არ ჰქონდა — სპეციალურად განეხილა მშრომელ ქალთა შორის მუშაობის საკითხი, მიუხედავად ამისა, მაინც მიიღო განსაკუთრებული გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ «ყრილობა მიაქცევს მთელი პარტიის განსაკუთრებულ ყურადღებას მუშა და გლეხ ქალთა შორის მუშაობის გაძლიერებისა და ყველა პარტიულ და საბჭოთა არჩევითს ორგანოში მათი დაწინაურების აუცილებლობას» (იხ. რეზოლუცია ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო). მე ვფიქრობ, რომ შემდგომ ყრილობაზე მოგვიხდება სპეციალურად მოვკიდოთ ხელი ამ საკითხს. ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად, ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მაშინვე ყრილობის დახურვისთანავე გამოიტანა დადგენილება, რომლითაც დაავალა ჩვენი ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს — მიიღოს სპეციალური ზომები იმისათვის, რომ მუშაობა მშრომელ ქალთა შორის სათანადო სიმაღლეზე იქნას აყვანილი.

დ) **ახალგაზრდობაში მუშაობის შესახებ.** ახალგაზრდობაში მუშაობის საკითხს ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო. ყრილობის სათანადო რეზოლუცია, ჩემი აზრით, ყველაზე დამუშავებული და ამომწურავია ყრილობის რეზოლუციათა შორის. ამიტომ ეს

რეზოლუცია დიდმნიშვნელოვანია პარტიისა და ახალგაზრდობისათვის.

ახალგაზრდობის მნიშვნელობა, — მე ვლაპარაკობ მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობაზე, — იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმოადგენს უაღრესად ნაყოფიერ ნიადაგს მომავლის ასაგებად, რომ იგი არის ჩვენი ქვეყნის მომავალი და თავის არსებაში ატარებს ამ მომავალს. თუ ჩვენს მუშაობას სახელმწიფო აპარატში, გლეხთა შორის, მშრომელ ქალთა შორის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ძველი ჩვევებისა და ტრადიციების დაძლევის საქმეში, მშრომელი მასების ძველ თაობათა **ხელახალი აღზრდის** საქმეში, მუშაობას ახალგაზრდობაში, რომელიც ცოტად თუ ბევრად თავისუფალია ამ ტრადიციებისა და ჩვევებისაგან, ფასდაუდებელი მნიშვნელობა ეძლევა მშრომელთა ახალი კადრების **აღსაზრდელად** პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალიზმის სულისკვეთებით, ვინაიდან ნიადაგი აქ, — ეს თავისთავად ცხადია, — მეტისმეტად ხელსაყრელია.

აქედან — უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა ახალგაზრდობის კავშირისა და მისი განწტოებებისა პიონერთა შორის.

ახალგაზრდობის კავშირი მუშა და გლეხი ახალგაზრდობის ნებაყოფლობითი ორგანიზაციაა. მისი ცენტრი, მისი ბირთვი მუშა ახალგაზრდობაა. მისი დასაყრდენი გლეხი ახალგაზრდობაა. მუშა და გლეხი ახალგაზრდობის კავშირი — აი ახალგაზრდობის ორგანიზაციის საფუძველი. თავი მოუყაროს პროლეტარული ბირთვის ირგვლივ ყოველივეს, რაც კი გლეხ ახალგაზრდობაში პატიოსანი და რევოლუციურია; ჩააბას თავისი წევრები სამეურნეო და კულტურული, სამხედრო და ადმინისტრაციული მუშაობის ყველა დარგში; მოამზადოს მათგან მებრძოლნი და მშენებელნი,

მუშაკნი და ხელმძღვანელნი ჩვენი ქვეყნისა — ასეთია ახალგაზრდობის კავშირის ამოცანები (იხ. რეზოლუცია «ახალგაზრდობაში მუშაობის შესახებ» [53]).

პარტია

აქ ოთხი საკითხია: ოპოზიციის შესახებ, ლენინური გაწვევის შესახებ, პარტიული ხელმძღვანელობის დემოკრატიზაციის შესახებ, თეორიის შესახებ საერთოდ და ლენინიზმის პროპაგანდის შესახებ განსაკუთრებით.

ა) **ოპოზიციის შესახებ.** ახლა, როდესაც ოპოზიციის საკითხი ყრილობის მიერ გადაჭრილია, და საქმე, მაშასადამე, ლიკვიდირებულია, შეიძლება დავსვათ კითხვა: რას წარმოადგენს ოპოზიცია და რისთვის წარმოებდა, არსებითად, ბრძოლა დისკუსიის პერიოდში? მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ბრძოლა წარმოებდა პარტიის სიკვდილ-სიცოცხლისათვის. ოპოზიციას შეიძლება თვითონ არც კი ჰქონდა ეს შეგნებული. მაგრამ საქმე ეს კი არ არის. საქმე ის კი არ არის, რა მიზანს ისახავს ესა თუ ის ამხანაგი, ან ესა თუ ის ოპოზიციური ჯგუფი. საქმე ის ობიექტური შედეგებია, რაც გარდუვალად გამომდინარეობს ამა თუ იმ ჯგუფის მოქმედებიდან. მართლაც, რას ნიშნავს პარტიული აპარატისათვის ომის გამოცხადება? ეს ნიშნავს იმას, რომ ანგრევდე პარტიას. რას ნიშნავს ახალგაზრდობის ამხედრება კადრების წინააღმდეგ? ეს ნიშნავს იმას, რომ ხრწნიდე პარტიას. რას ნიშნავს ბრძოლა დაჯგუფებათა თავისუფლებისათვის? ეს ნიშნავს იმას, რომ ცდილობდე პარტიის, მისი ერთიანობის გათიშვას. რას ნიშნავს პარტიის კადრებისათვის სახელის გატეხა გადაგვარებაზე ლაყბობით? ეს ნიშნავს იმას, რომ ცდილობდე გადმოაყირავო პარტია, ხერხემალი გადაუმტვრიო მას. დიახ, ამხანაგებო,

საქმე პარტიის სიკვდილ-სიცოცხლეს ეხებოდა. სწორედ ამით აიხსნება, არსებითად, ის სიცხარე, რომლითაც ჩვენში დისკუსია წარმოებდა. ამითვე უნდა აიხსნას ის, ჩვენი პარტიის ისტორიაში არგაგონილი, ფაქტი, რომ ყრილობამ **ერთხმად** დაგმო ოპოზიციის პლატფორმა. მეტად სერიოზულმა საფრთხემ მთლიან რკინისებურ რგოლად შეამჭიდროვა პარტია.

საინტერესოა ისტორიული ცნობა ოპოზიციის შესახებ. დავიწყოთ თუნდაც ჩვენი პარტიის VII ყრილობით. ეს იყო პირველი ყრილობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (1918 წლის დამდეგს). იქ იყო ოპოზიცია იმავე პირების მეთაურობით, რომელნიც სათავეში უდგნენ ოპოზიციას XIII ყრილობაზე. საქმე ეხებოდა ომსა და ზავს, ბრესტის ზავს. მაშინ ოპოზიციას თავის მხარეზე ჰყავდა მთელი ყრილობის ერთი მეოთხედი. ეს, რაც უნდა იყოს, ცოტა როდია. ტყუილად კი არ ლაპარაკობდნენ მაშინ გათიშვაზე.

ორი წლის შემდეგ კვლავ გაჩაღდა პარტიაში ბრძოლა პროფკავშირების საკითხის გამო X ყრილობაზე, და ოპოზიციის სათავეში იგივე პირები იყვნენ. მაშინ ოპოზიციის მხარეზე იყო ყრილობის ერთი მერვედი ნაწილი. ეს, რა თქმა უნდა, ნაკლებია, ვიდრე ერთი მეოთხედი.

კიდევ ორი წლის გასვლისას ამის შემდეგ, გაჩაღდა ახალი ბრძოლა XIII ყრილობაზე, იმ ყრილობაზე, რომელიც ეს-არის დასრულდა. აქაც იყო ოპოზიცია, მაგრამ მას ყრილობაზე არც ერთი ხმა აღარ ჰქონია. ეს უკვე, როგორც ხედავთ, მთლად ცუდი ამბავია ოპოზიციისათვის.

ამგვარად, სამჯერ სცადა ოპოზიციამ აეტეხა ომი პარტიის ძირითადი კადრების წინააღმდეგ. პირველად — VII ყრილობაზე, მეორედ — X-ზე, მესამედ — XIII-ზე, და

იგი მუდამ მარცხდებოდა, ყოველთვის კარგავდა ადამიანებს, მისი არმიის რაოდენობა თანდათან მცირდებოდა.

რას მოწმობს ყველა ეს ფაქტი? ჯერ-ერთი, იმას, რომ ჩვენი პარტიის ისტორია უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე არის ისტორია ჩვენი პარტიის უმრავლესობის სულ უფრო გაძლიერებული დარაზმვისა პარტიის ძირითადი კადრების ირგვლივ. მეორეც, იმას, რომ ოპოზიციას ერთიმეორის მიყოლებით თანდათან ეთიშებოდნენ მისი ელემენტები, რომელნიც პარტიის ძირითად ბირთვს უერთდებოდნენ და მის შემადგენლობას ავსებდნენ. აქედან დასკვნა: გამორიცხული არ არის, რომ ოპოზიციას, რომელსაც XIII ყრილობაზე დელეგატები არ ჰყავდა (ჩვენში პროპორციული არჩევნები არ არის), მაგრამ პარტიაში თავისი მომხრეები უეჭველად ჰყავს, გამოეთიშებიან მთელი რიგი ამხანაგები და შეუერთდებიან პარტიის ძირითად ბირთვს, როგორც ეს წარსულშიც ყოფილა.

როგორი უნდა იყოს ჩვენი პოლიტიკა ასეთი ოპოზიციონერების, ან — უფრო ზუსტად — ყოფილი ოპოზიციონერების მიმართ? ეს პოლიტიკა უაღრესად ამხანაგური უნდა იყოს. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ გავუადვილოთ ასეთ ამხანაგებს პარტიის ძირითად ბირთვში გადასვლა და ამ ბირთვთან საერთო და ერთსულოვანი მუშაობის წარმოება.

ბ) **ლენინური გაწვევის შესახებ.** სიტყვას არ გავაგრძელებ იმაზე, რომ ლენინური გაწვევა, ე. ი. ჩვენს პარტიაში მუშათაგან 250 ათასი ახალი წევრის მიღების ფაქტი, მოწმობს ჩვენი პარტიის ღრმა დემოკრატიულობას, იმას, რომ ჩვენი პარტია, არსებითად, მუშათა კლასის არჩევითს ორგანოს წარმოადგენს. ამ აზრით, ლენინური გაწვევის მნიშვნელობა უთუოდ კოლოსალურია. მაგრამ ამაზე კი არ მინდა მე დღეს ლაპარაკი. მე მინდა თქვენი ყურადღება

მივაქციო იმ საშიშ გატაცებას, რომელიც ჩვენს პარტიაში უკანასკნელ დროს გაჩნდა ლენინურ გაწვევასთან დაკავშირებით. ერთნი ამბობენ — საჭიროა უფრო შორს წავიდეთ და წევრთა რიცხვი მილიონამდე ავიყვანოთო. სხვებს სურთ კიდევ უფრო შორს წავიდნენ და ამტკიცებენ — უკეთესი იქნება ორ მილიონამდე მივიდეთო. ეჭვი არ მეპარება, რომ მოინახებიან ისეთებიც, რომელნიც კიდევ უფრო შორს წასვლას მოინდომებენ. ეს, ამხანაგებო, საშიში გატაცებაა. მსოფლიოს ყველაზე დიდი არმიები იღუპებოდნენ იმის გამო, რომ მეტისმეტ გატაცებას იჩენდნენ, ბევრს იპყრობდნენ და მერე, რაკი დაპყრობილის მონელების უნარი არ ჰქონდათ, იხრწნებოდნენ. ყველაზე დიდი პარტიები შეიძლება დაიღუპონ, თუ ისინი გატაცებას აჰყვნენ, ძალზე ბევრი დაიპყრეს და მერე არ აღმოაჩნდათ უნარი — თავი გაართვან ამ დაპყრობილს და მოინელონ იგი. თვითონ განსაჯეთ. ჩვენს პარტიაში პოლიტიკურად უცოდინართა რიცხვი 60 პროცენტს აღწევს. პოლიტიკურად უცოდინართა 60 პროცენტი იყო ლენინურ გაწვევამდე, ხოლო გაწვევის შემდეგ, ვშიშობ, ეს პროცენტი 80-ს მიაღწევს. განა დრო არ არის, ამხანაგებო, შევჩერდეთ? განა დრო არ არის დავკმაყოფილდეთ რვაასი ათასით და მკვეთრად, გარკვევით დავსვათ იმის საკითხი, რომ გავაუმჯობესოთ პარტიის **ხარისხობრივი** შემადგენლობა, **შევასწავლოთ** ლენინურ გაწვევას ლენინიზმის საფუძვლები და გადავაქციოთ ისინი შეგნებულ ლენინელებად? მე მგონია, დრო არის.

გ) **პარტიული ხელმძღვანელობის დემოკრატიზაციის შესახებ.** ლენინური გაწვევა მეტყველებს ჩვენი პარტიის ღრმა დემოკრატიზმს, მისი ძირითადი უჯრედების პროლეტარულ შემადგენლობას, ჩვენი პარტიისადმი მილიონიანი უპარტიო მასების უეჭველ ნდობას. მაგრამ ამით არ ამოიწურება ჩვენი პარტიის დემოკრატიზმი. ეს მხოლოდ ერთი

მხარეა დემოკრატიზმისა. მეორე მხარე ის არის, რომ თვით პარტიული ხელმძღვანელობა შეუნელებლივ დემოკრატიულდება. ყრილობაზე უკვე ითქვა, რომ პარტიული ხელმძღვანელობის სიმძიმის ცენტრი სულ უფრო მეტად ინაცვლებს ვიწრო ზედაფენებიდან და ბიუროებიდან ფართო ორგანიზაციებისაკენ, ადგილობრივი და ცენტრალური ორგანიზაციების პლენუმებისაკენ, ამასთან თვით ეს პლენუმები ფართოვდებიან და უმჯობესდებიან თავიანთი შემადგენლობის მხრივ. თქვენ ალბათ იცით, რომ ეს ტენდენცია ჩვენი ხელმძღვანელი ორგანიზაციების განვითარებაში ყრილობამ სავსებით მოიწონა. რას გვეუბნება ყოველივე ეს? იმას, რომ ჩვენი ხელმძღვანელი ორგანიზაციები იწყებენ მთელი თავისი სასიცოცხლო ფესვების გადგმას პროლეტარული მასების შიგ შუაგულში. საინტერესოა თვალი გავადევნოთ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის განვითარებას უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე მისი რიცხობრივი და სოციალური შემადგენლობის თვალსაზრისით. VII ყრილობის დროს (1918 წ.) ჩვენი ცენტრალური კომიტეტი შესდგებოდა 15 წევრისაგან, რომელთაგან მუშა იყო **ერთი** კაცი (7 პროცენტი), ხოლო ინტელიგენტი — 14 (93 პროცენტი). ასე იყო VII ყრილობაზე. ახლა კი, XIII ყრილობის შემდეგ, ცენტრალური კომიტეტი შესდგება უკვე 54 წევრისაგან, რომელთაგან 29 წევრი მუშაა (53 პროცენტი) და 25 — ინტელიგენტი (47 პროცენტი). ეს ძირითადი პარტიული ხელმძღვანელობის დემოკრატიზაციის უეჭველი ნიშანია.

დ) **თეორიის შესახებ საერთოდ და ლენინიზმის პროპაგანდის შესახებ კერძოდ.** ჩვენი პარტიის ერთ-ერთი საშიში ნაკლი არის მისი წევრების თეორიული დონის დადაბლება. ამის მიზეზია ჯოჯოხეთური პრაქტიკული მუშაობა, რომელიც თეორიული მეცადინეობის ხალისს უკარგავს ამხანა-

გებს და ავითარებს ერთგვარ საშიშ უზრუნველობას — მეტი რომ არა ვთქვათ — თეორიის საკითხებისადმი. რამდენიმე მაგალითი.

ამას წინათ გაზეთში წავიკითხე ერთ-ერთი ამხანაგის (მგონი, კამენევის) მოხსენება XIII ყრილობის შესახებ, სადაც შავით თეთრზე დაწერილია, რომ ჩვენი პარტიის მორიგ ლოზუნგს ვითომცდა წარმოადგენს **«ნეპმანური** რუსეთის» გადაქცევა სოციალისტურ რუსეთად. ამასთან, — რაც კიდევ უფრო უარესია, — ამ უცნაურ ლოზუნგს სხვა ვინმეს კი არ მიაწერენ, არამედ თვით ლენინს. არც მეტი, არც ნაკლები! ამავე დროს კი ცნობილია, რომ ლენინს არაფერი ამისთანა არ უთქვამს და არც შეეძლო ეთქვა, ვინაიდან **«ნეპმანური»** რუსეთი, როგორც ცნობილია, არ არსებობს ბუნებაში. მართალია, ლენინი ლაპარაკობდა **«ნეპური»** რუსეთზე. მაგრამ ერთია «ნეპური» რუსეთი (ე. ი. საბჭოთა რუსეთი, რომელიც ახალ ეკონომიურ პოლიტიკას იყენებს) და სულ სხვაა «ნეპმანური» რუსეთი (ე. ი. ისეთი რუსეთი, რომლის სათავეში ნეპმანები დგანან). ესმის თუ არა ეს პრინციპული განსხვავება კამენევს? რასაკვირველია, ესმის. მაშ, რატომ წამოისროლა მან ეს უცნაური ლოზუნგი? ჩვეული უზრუნველობის გამო თეორიის საკითხებისადმი, ზუსტი თეორიული განსაზღვრებისადმი. ამავე დროს კი ადვილი შესაძლებელია, რომ ამ უცნაურმა ლოზუნგმა ბევრი გაუგებრობა წარმოშვას პარტიაში, თუ შეცდომა არ გამოსწორდა.

კიდევ ერთი მაგალითი. ხშირად ამბობენ, ჩვენში «პარტიის დიქტატურააო». იტყვიან, მე პარტიის დიქტატურის მომხრე ვარო. მახსოვს, ჩვენი ყრილობის ერთ-ერთ რეზოლუციაში, მგონი, თვით XII ყრილობის რეზოლუციაში, გაიპარა ასეთი გამოთქმა, რასაკვირველია, უყურადღებობის გამო. ეტყობა, ზოგი ვინმე ჩვენი ამხანაგთაგანი ფიქრობს,

რომ ჩვენში არის პარტიის დიქტატურა, და არა მუშათა კლასის დიქტატურა. მაგრამ ეს ხომ სისულელეა, ამხანაგებო. თუ ეს სწორია, მაშინ მართალი არ ყოფილა ლენინი, რომელიც გვასწავლიდა, რომ საბჭოები **ახორციელებენ** დიქტატურას, პარტია კი **ხელმძღვანელობს** საბჭოებს. მაშინ მართალი არ ყოფილა ლენინი, რომელიც ლაპარაკობდა პროლეტარიატის დიქტატურაზე, და არა პარტიის დიქტატურაზე. თუ ეს სწორია, მაშინ საჭირო არ ყოფილა საბჭოები, მაშინ არც უნდა ელაპარაკნა ლენინს XI ყრილობაზე «პარტიული და საბჭოთა ორგანოების **გამიჯვნის**» აუცილებლობის შესახებ. მაგრამ საიდან და როგორ შემოაღწია ამ სისულელემ პარტიულ წრეში? «პარტიულობით» გატაცებისაგან, რასაც ყველაზე მეტი ზიანი მოაქვს სწორედ პარტიულობისათვის უბრჭყალებოდ, თეორიის საკითხების მიმართ უზრუნველობისაგან, იმ ჩვეულების უქონლობისაგან, რომ ჩაუფიქრდე ლოზუნგებს მანამ, სანამ მათ სამოქმედოდ გაუშვებდე, რადგან საკმარისია ერთი წუთით დაფიქრდე, რომ გაიგო მთელი შეუსაბამობა კლასის დიქტატურის შეცვლისა პარტიის დიქტატურით. განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ ამ შეუსაბამობას შეუძლია დაბადოს პარტიაში აბნეულობა და არევდარევა?

ან კიდევ. ყველასათვის ცნობილია, რომ დისკუსიის დროს ჩვენი პარტიის ერთი ნაწილი აჰყვა ოპოზიციონერთა ანტიპარტიულ აგიტაციას ლენინიზმის ორგანიზაციული საფუძვლების წინააღმდეგ. ყოველი ბოლშევიკი, რომელსაც ლენინიზმის თეორიის თუნდაც ყველაზე მოკლევადიანი სკოლა გაუვლია, ერთბაშად მიხვდებოდა, რომ ოპოზიციის ქადაგებას საერთო არაფერი აქვს ლენინიზმთან. მაგრამ პარტიის ერთმა ნაწილმა, როგორც ცნობილია, ვერ შესძლო ერთბაშად გამოეცნო ოპოზიციის

ნამდვილი ფიზიონომია. რით უნდა აიხსნას ეს? ეს აიხსნება იმავე უზრუნველობით თეორიის მიმართ, ჩვენი პარტიის წევრთა დაბალი თეორიული დონით.

დისკუსიამ დღის წესრიგში დააყენა ლენინიზმის შესწავლის საკითხი. ლენინის სიკვდილმა გაამახვილა ეს საკითხი, გააძლიერა პარტიის წევრთა ინტერესი თეორიისადმი. XIII ყრილობამ მხოლოდ გამოხატა ეს განწყობილებანი, დაადასტურა რა მთელ რიგ რეზოლუციებში ლენინიზმის შესწავლისა და პროპაგანდის აუცილებლობა. პარტიის ამოცანა ის არის, რომ გამოიყენოს თეორიის საკითხებისადმი გაზრდილი ინტერესი და ყოველი ღონე იხმაროს იმისათვის, რომ, ბოლოს და ბოლოს, სათანადო სიმაღლეზე აიყვანოს პარტიის თეორიული დონე. არ უნდა დავივიწყოთ ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ ნათელი და სწორი თეორიის გარეშე შეუძლებელია სწორი პრაქტიკა.

სამაზრო მუშაკთა ამოცანების შესახებ

ამხანაგებო! შემთხვევითი როდია, რომ მე სწორედ თქვენთან მოვედი მოხსენებით ყრილობის შესახებ. მე თქვენთან მოვედი არა მარტო იმიტომ, რომ თქვენ ეს გინდოდათ, არამედ იმიტომაც, რომ განვითარების ახლანდელ სტადიაზე საერთოდ მაზრა, კერძოდ კი სამაზრო მუშაკები, პარტიასა და გლეხობას შორის, ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის ძირითად რგოლს წარმოადგენენ. თქვენ კი კარგად იცით, რომ ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის დამყარება ახლა ჩვენი პარტიული და სახელმწიფოებრივი პრაქტიკის ძირითადი საკითხია.

ზემოთ მე ვამბობდი, რომ სახელმწიფო ინდუსტრიასა და გლეხურ მეურნეობას შორის კავშირის დამყარება

უნდა გატარდეს სამი ძირითადი ხაზით: სამომხმარებლო კოოპერაციის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა და ძირეული საკრედიტო კოოპერაციის ხაზით. მე ვამბობდი, რომ ეს სამი არხი კავშირის ორგანიზაციის ძირითად არხებს წარმოადგენენ. მაგრამ გატაცება იქნებოდა, თუ ვიფიქრებდით, რომ ჩვენ შევძლებთ ახლავე დავუკავშიროთ ინდუსტრია გლეხურ მეურნეობას უშუალოდ თემების მეშვეობით, მაზრისათვის გვერდის ავლით. მტკიცებაც არ უნდა იმას, რომ საამისოდ ჩვენ არც ძალები გვეყოფა, არც საქმის ცოდნა, არც სახსრები. ამიტომ ქალაქისა და სოფლის კავშირის საკვანძო პუნქტად ახლანდელ მომენტში რჩება მაზრა, ოლქი. ვაჭრობაში რომ მოვმაგრდეთ, სრულიადაც აუცილებელი არ არის, რომ უკანასკნელი მედუქნე გავაძევოთ უკანასკნელი თემიდან, — ამისათვის საჭიროა მხოლოდ გადავაქციოთ მაზრა საბჭოთა ვაჭრობის ბაზად, რათა ყველა და ყოველგვარი მედუქნეები იძულებული გახდნენ — ისე იტრიალონ მაზრაში კოოპერაციულ-საბჭოთა მაღაზიის ირგვლივ, როგორც პლანეტები ტრიალებენ მზის ირგვლივ. კრედიტს რომ დავეუფლოთ, სრულიადაც აუცილებელი არ არის, რომ ახლავე მოვფინოთ თემები და სოფლები საკრედიტო კოოპერაციის ქსელით, — საკმარისია მოვაწყოთ ბაზა მაზრაში, რათა დაუყოვნებლივ დაიწყოს გლეხობის ჩამოშორება კულაკისა და მევახშისაგან. და ასე შემდეგ, და ასე ამგვარად.

მოკლედ: უახლოეს დროში მაზრა (ოლქი) უნდა გადაიქცეს ქალაქსა და სოფელს შორის, პროლეტარიატსა და გლეხობას შორის კავშირის ორგანიზაციის ძირითად ბაზად.

რამდენად მალე მოხდება ეს გადაქცევა, — ეს დამოკიდებულია თქვენზე, ამხანაგო სამაზრო მუშაკებო. თქვენ ახლა 300 კაცი ხართ. ეს მთელი არმიაა. თქვენზე და

თქვენს ამხანაგებზე ჩვენი ქვეყნის მაზრებში — დამოკიდებულია იმის მიღწევა, რომ მაზრა უახლოეს დროშივე გახდეს საკვანძო პუნქტი ჩვენი პარტიული და სახელმწიფოებრივი მუშაობისა, რომლის მიზანია კავშირის დამყარება ინდუსტრიასა და გლეხურ მეურნეობას შორის. ეჭვი არ მეპარება, რომ სამაზრო მუშაკები შეასრულებენ თავის მოვალეობას პარტიისა და ქვეყნის წინაშე.

«პრავდა» №№ 136 და 137;
1924 წ. 19 და 20 ივნისი.

მუშკორების შესახებ

საუბარი ჟურნალ «რაბოჩი კორესპონდენტის»[54] თანამშრომელთან

გაზეთის ხელმძღვანელობის საქმეში მუშების მონაწილეობის მნიშვნელობა, პირველ ყოვლისა, ის არის, რომ იგი — ეს მონაწილეობა — ქმნის შესაძლებლობას, რათა კლასთა ბრძოლის ისეთი ბასრი იარაღი, როგორიც არის გაზეთი, ხალხის დამონების იარაღიდან მისი განთავისუფლების იარაღად გარდაიქმნას. მხოლოდ მუშა და გლეხ **კორესპონდენტებს** შეუძლიათ ამ დიადი გარდაქმნის განხორციელება.

მუშა და გლეხ კორესპონდენტებს მხოლოდ როგორც **ორგანიზებულ** ძალას შეუძლიათ შეასრულონ ბეჭდვითი სიტყვის განვითარების მსვლელობაში პროლეტარული საზოგადოებრივი აზრის გამომხატველისა და გამტარებლის, საბჭოთა საზოგადოებრიობის ნაკლოვანებათა მამხილებლის, ჩვენი მშენებლობის გაუმჯობესებისათვის დაუღალავი მებრძოლის როლი.

მუშების კრებებზე ავირჩიოთ მუშკორები თუ რედაქციებმა შეარჩიონ ისინი? ჩემი აზრით, მეორე წესი (რედაქციების მიერ შერჩევა) უფრო მიზანშეწონილია. საქმეს საფუძვლად უნდა დაედოს კორესპონდენტის დამოუკიდებლობა იმ დაწესებულებათა და პირთაგან, რო-

მელთაც ის თავის მუშაობაში ასე თუ ისე ხვდება; ეს სრულიადაც არ ნიშნავს მის დამოუკიდებლობას იმ უხილავი, მაგრამ განუწყვეტლივ მოქმედი ძალისაგან, რომელსაც პროლეტარული საზოგადოებრივი აზრი ეწოდება და რომლის გამტარებელიც მუშა კორესპონდენტი უნდა იყოს.

მუშა და გლეხი კორესპონდენტები არ შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ მომავალ ჟურნალისტებად ან ქარხნის საზოგადოებრივ მუშაკებად, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, — ისინი, პირველ ყოვლისა, არიან ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრიობის ნაკლოვანებათა მამხილებელნი, ამ ნაკლოვანებათა მოსპობისათვის მებრძოლნი, პროლეტარული საზოგადოებრივი აზრის მეთაურნი, რომელნიც ცდილობენ წარმართონ ამ უდიდესი ფაქტორის უშრეტი ძალები პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დასახმარებლად სოციალისტური მშენებლობის ძნელ საქმეში.

აქედან გამომდინარეობს მუშა და გლეხ კორესპონდენტებს შორის ალმზრდელობითი მუშაობის საკითხიც. რა თქმა უნდა, აუცილებელია მუშა და გლეხ კორესპონდენტებს ვასწავლოთ ჟურნალისტიკის ტექნიკის ერთგვარი მინიმუმი. მაგრამ მთავარი ეს როდია. მთავარი ის არის, რომ მუშა და გლეხი კორესპონდენტები სწავლობდნენ თავიანთი მუშაობის მსვლელობაში და გამოიმუშავებდნენ ჟურნალისტის — საზოგადოებრივი მუშაკის იმ ალღოს, ურომლისოდ კორესპონდენტი თავის მისიას ვერ შეასრულებს და რომელსაც მას ვერ ჩავუნერგავთ სწავლების რაიმე ხელოვნური ზომებით, ამ სიტყვის ტექნიკური აზრით.

უშუალო იდეური ხელმძღვანელობა მუშა და გლეხ კორესპონდენტთა მიმართ უნდა ეკუთვნოდეს გაზეთების

რედაქციებს, რომლებიც დაკავშირებული არიან პარტიასთან. კორესპონდენციების ცენზურა გაზეთების რედაქციების ხელში უნდა იყოს თავმოყრილი.

მუშა და გლეხ კორესპონდენტთა დევნა არის ბარბაროსობა, ბურჟუაზიული წესების ნაშთი. თავისი კორესპონდენტის დაცვა დევნისაგან უნდა იკისროს თვით გაზეთმა, რომელსაც ერთადერთს შეუძლია გააჩაღოს მკაცრი მამხილებელი აგიტაცია ბნელეთის მოციქულობის წინააღმდეგ.

ვუსურვებ «რაბოჩი კორესპონდენტს» ყოველგვარ წარმატებას.

ი. სტალინი

«რაბოჩი კორესპონდენტ» № 6,
1924 წ. ივნისი.

პოლონეთის კომპარტიის შესახებ

სიტყვა კომინტერნის პოლონეთის კომისიის [55] სხდომაზე
1924 წ. 3 ივლისი

ამხანაგებო! მე არა მაქვს საკმარისი მასალა იმისათვის, რომ ისე გადაჭრით ვილაპარაკო, როგორც აქ ზოგიერთი ორატორი გამოვიდა. მიუხედავად ამისა, იმ მასალის მიხედვით, რაც მე მაინც ვიშოვე, და იმ კამათის საფუძველზე, რასაც აქ ადგილი ჰქონდა, მე შევადგინე ჩემთვის გარკვეული აზრი, რომელიც მინდა გაგიზიაროთ.

უეჭველია, პოლონეთის კომპარტია არანორმალურ მდგომარეობას განიცდის. პოლონეთის პარტიის შიგნით კრიზისია — ეს ფაქტია. ეს აღიარა ვალეცკიმ, ეს აღიარეთ თქვენ ყველამ, ეს თვალნათლივ გამოამჟღავნა, რამდენადაც აქ დადასტურდა უთანხმოება პოლონეთის პარტიის ცენტრალური კომიტეტის შიგნით — ცენტრალური კომიტეტის წევრ-პრაქტიკოსებსა და ცენტრალური კომიტეტის ლიდერებს შორის. კიდევ მეტი. პოლონეთის პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის პლენუმებზე გასული წლის დეკემბერში და ამა წლის მარტში თვითონ აღიარა თავის რეზოლუციებში ბევრი თავისი მოქმედების ოპორტუნისტულობა და ზედმეტი სიტყვების გარეშე დაგმო ეს მოქმედება. მე მგონია, აქ დასამატებელი აღარაფერია.

ყოველივე ეს, ვიმეორებ, მოწმობს პოლონეთის კომპარტიის უეჭველ კრიზისს.

სად არის ამ კრიზისის მიზეზი?

მიზეზი არის ზოგიერთი ოპორტუნისტული ცოდვა პოლონეთის კომპარტიის ოფიციალური ლიდერების პრაქტიკაში.

ნება მიბოძეთ მოვიყვანო ამ დებულების დამადასტურებელი რამდენიმე მაგალითი.

«რუსეთის» საკითხი. ზოგიერთი პოლონელი ამხანაგი ამბობს — ამ საკითხს, როგორც საგარეო პოლიტიკის საკითხს, სერიოზული მნიშვნელობა არა აქვს პოლონეთის პარტიისათვისო. ეს სწორი არაა. «რუსეთის» საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთელი რევოლუციური მოძრაობისათვის როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში. რატომ? იმიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლება რუსეთში — ეს არის მთელი მსოფლიოს რევოლუციური მოძრაობის ბაზა, ციხე-სიმაგრე, თავშესაფარი. და თუ ამ ბაზაში, ე. ი. რუსეთში, პარტია და ხელისუფლება მერყეობას იწყებენ, მაშინ მთელმა რევოლუციურმა მოძრაობამ მთელ მსოფლიოში უაღრესად სერიოზული მინუსი უნდა განიცადოს.

ჩვენში, რუსეთის კომპარტიაში (ბ), დისკუსიის დროს დაიწყო მერყეობა პარტიაში. ოპოზიციას, არსებითად ოპორტუნისტულს, პარტიის წინააღმდეგ მიმართული თავისი ბრძოლით საქმე მიჰყავდა პარტიის შერყევისაკენ, დასუსტებისაკენ, მაშასადამე, თვით საბჭოთა ხელისუფლების დასუსტებისაკენ, ვინაიდან ჩვენი პარტია არის მმართველი პარტია, და იგი სახელმწიფო ხელისუფლების ძირითად ხელმძღვანელ საწყისს წარმოადგენს. ბუნებრივია, რომ მერყეობას რუსეთის კომპარტიის (ბ) შიგნით შეიძლებოდა შემდგომ მოჰყოლოდა თვით საბჭოთა ხელის-

უფლების მერყეობა, დასუსტება. ხოლო საბჭოთა ხელისუფლების მერყეობა ნიშნავს მინუსს რევოლუციური მოძრაობისათვის მთელ მსოფლიოში. სწორედ ამიტომ უთანხმოებას რუსეთის კომპარტიის (ბ) შიგნით და, საერთოდ, რუსეთის კომპარტიის (ბ) ბედს შეუძლებელია პირდაპირი დამოკიდებულება არ ჰქონდეს სხვა ქვეყნების რევოლუციური მოძრაობის ბედთან. აი რატომ არის, რომ «რუსეთის» საკითხი, თუმცა პოლონეთისათვის ის საგარეო საკითხია, პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს ყველა კომპარტიისათვის, მათ რიცხვში პოლონეთის კომპარტიისთვისაც.

მაშ ასე, როგორ მოეკიდნენ პოლონეთის პარტიის ბელადები «რუსეთის» საკითხს? ვის დაუჭირეს მათ მხარი, ოპორტუნისტულ ოპოზიციას თუ რუსეთის კომპარტიის (ბ) რევოლუციურ უმრავლესობას? ჩემთვის ცხადია, რომ პოლონეთის პარტიის ბელადებმა რუსეთის კომპარტიის (ბ) შიგნით ბრძოლის, ოპორტუნისტულ ოპოზიციასთან ბრძოლის, პირველ პერიოდში აშკარად მხარი დაუჭირეს ამ ოპოზიციას. მე არ დავიწყებ ვარსკის თუ ვალეცკის სულში ხელის ფათურს, ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, რას ფიქრობდა ვარსკი, როცა ის წერდა პოლონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილ რეზოლუციას, რომელიც მხარს უჭერდა ოპოზიციას რუსეთის კომპარტიაში (ბ). ჩემთვის, უწინარეს ყოვლისა, მნიშვნელობა აქვს არა პიროვნებათა განზრახვებს, არამედ ამ რეზოლუციის ობიექტურ შედეგებს. ხოლო რეზოლუციის ობიექტური შედეგები ის არის, რომ იგი წყალს უშვებს ოპოზიციის წისქვილს. ეს რეზოლუცია იყო მხარდაჭერა რუსეთის კომპარტიის (ბ) ოპორტუნისტული ფრთისათვის. ესაა თავიდათავი. იმ პერიოდში, როდესაც პოლონეთის პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ეს რეზოლუცია მიიღო და

რუსეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა, იგი წარმოადგენდა რუსეთის კომპარტიის (ბ) ოპორტუნისტული ოპოზიციის პოლონეთის განყოფილებას. თუ ჩავთვლით, რომ ოპოზიცია რუსეთის კომპარტიაში (ბ) იყო ერთგვარი ფირმა, რომელსაც თავისი განყოფილებები უნდა ჰქონოდა სხვადასხვა ქვეყნებში, პოლონეთის კომპარტია იყო მაშინ ამ ფირმის პოლონეთის განყოფილება. ესაა «რუსეთის» საკითხში პოლონეთის პარტიის ლიდერთა ოპორტუნისტული შეცოდების არსი. ეს სავალალოა, მაგრამ ეს, სამწუხაროდ, ფაქტია.

გერმანიის საკითხი. ამ საკითხს, «რუსეთის» საკითხის შემდეგ, ყველაზე სერიოზული მნიშვნელობა აქვს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ევროპის ყველა ქვეყნებს შორის გერმანია ყველაზე მეტად ატარებს თავის წიაღში რევოლუციას, მეორეც, იმიტომ, რომ რევოლუციური გამარჯვება გერმანიაში არის გამარჯვება მთელ ევროპაში. თუ საიდანმე დაიწყო ევროპის რევოლუციური შენჯღრევა, ეს დაიწყება გერმანიიდან. მხოლოდ გერმანიას შეუძლია ამ მხრივ ინიციატივა იკისროს, და გერმანიაში რევოლუციის გამარჯვება არის საერთაშორისო რევოლუციის გამარჯვების უზრუნველყოფა.

თქვენ იცით, რომ გასულ წელს გაჩაღდა ბრძოლა გერმანიის კომპარტიაში მის რევოლუციურ უმრავლესობასა და ოპორტუნისტულ უმცირესობას შორის. თქვენ იცით, რამდენად დიდია გერმანიის კომპარტიის მემარცხენე თუ შემარჯვენე ფრთის გამარჯვების მნიშვნელობა საერთაშორისო რევოლუციის მთელი მსვლელობისათვის. და მერე? ვის დაუჭირეს მხარი ამ ბრძოლაში პოლონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლიდერებმა? მათ მხარი დაუჭირეს ბრანდლერის ჯგუფს[56] გერმანიის კომპარტიის რევოლუციური უმრავლესობის წინააღმდეგ. ამას აღია-

რებს ახლა ყველა, მეგობრებიც და მტრებიც. აქ იგივე გამოვიდა, რაც «რუსეთის» საკითხში. თუ ვიგულისხმებთ, რომ გერმანიაში არსებობს კომუნისტური პარტიის ოპორტუნისტული ოპოზიციის რაღაც ფირმა, მაშინ პოლონელი ლიდერები არიან ამ ფირმის პოლონეთის განყოფილება. ესეც ასევე სამწუხაროა, მაგრამ ფაქტს ვერაფერს უზამ: ფაქტი უნდა აღიარო.

ოპორტუნისტულ ოპოზიციასთან ბრძოლის მეთოდის შესახებ. კოსტრუევა ამბობს, რომ ისინი, ე. ი. პოლონეთის ცენტრალური კომიტეტის ლიდერები, არსებითად მომხრენი არიან რუსეთის ცენტრალური კომიტეტისა და, შეიძლება ითქვას, გერმანიის ცენტრალური კომიტეტისა მისი დღევანდელი შემადგენლობით, მაგრამ სცილდებიან ამ დაწესებულებებს ოპოზიციასთან ბრძოლის მეთოდების საკითხში. ისინი, წარმოიდგინეთ, ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლის მსუბუქ მეთოდებს მოითხოვენ. ისინი ოპოზიციასთან ომის მომხრენი არიან, მაგრამ ისეთი ომისა, რომელსაც მსხვერპლი არ მოჰყვება. ვალეცკი იქამდეც კი მივიდა, რომ წამოიძახა: რას ბრძანებთ, ჩვენ «სამეულის» მომხრე ვართო! მე უნდა ვთქვა, არავინ არ მოითხოვს ვალეცკისაგან, რომ იგი ყველაფერში კვერს უკრავდეს რუსეთის ცენტრალურ კომიტეტს. შემდეგ, მე არ ვიცი, რა «სამეულია» ეს «სამეული», რომლისთვისაც ვალეცკის ასე გამოუდვია თავი. მას დავიწყნია, რომ არავინ არაა ვალდებული — ყველაფერში კვერი დაუკრას რუსეთის ცენტრალურ კომიტეტს. (ვალეცკი ადგილიდან: «ვალდებული არა ვარ, მაგრამ შემიძლია»). რასაკვირველია, შეგიძლიათ, მაგრამ ხომ უნდა გაიგოთ, რომ ასეთი ქცევა უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ვალეცკისაც და რუსეთის ცენტრალურ კომიტეტსაც. საქმე სრულიადაც კვერის დაკვრა კი არ არის, არამედ ის,

რომ რუსეთში, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, წარმოიშვა ახალი ბურჟუაზია, რომელიც, რაკი მას პოლიტიკურ ასპარეზზე აშკარად გამოსვლის შესაძლებლობა არა აქვს, ცდილობს შიგნიდან გაარღვიოს კომუნიზმის ფრონტი, რისთვისაც თავის გმირებს ეძებს რუსეთის კომპარტიის (ბ) ლიდერთა შორის. ხოლო ამ გარემოებას შედეგად მოსდევს ოპოზიციურ განწყობილებათა წარმოშობა რუსეთის კომპარტიის (ბ) შიგნით, და იგი ქმნის ნიადაგს ოპორტუნისტული გადახრისათვის. მაშასადამე, საქმე ის არის, რომ ჩვენმა მომძე პარტიებმა განსაზღვრონ თავიანთი დამოკიდებულება ამ გარემოებისადმი და გარკვეული პოზიცია დაიკავონ. ამაშია, ვიმეორებ, საქმე, და არა იმაში, რომ რუსეთის ცენტრალურ კომიტეტს ყველაფერში კვერი დაუკრათ.

რაც შეეხება კოსტრჟევას შემსუბუქებულ მეთოდს, უნდა ვთქვა, რომ იგი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. კოსტრჟევა მომხრეა ოპორტუნისტულ ოპოზიციასთან ბრძოლისა, მაგრამ ისეთი ბრძოლისა, რომელსაც შედეგად არ მოჰყვება ოპოზიციის ლიდერების დისკრედიტაცია. მაგრამ, ჯერ-ერთი, ისტორიამ არ იცის ისეთი ბრძოლა, რომელიც ერთგვარ მსხვერპლს არ იწვევდეს. მეორეც, არ შეიძლება ოპოზიციაზე გამარჯვება, თუ ანგარიშს არ ვუწევთ იმას, რომ გამარჯვებას მოჰყვება ოპოზიციის ლიდერთა ავტორიტეტის შერყევა, — წინააღმდეგ შემთხვევაში მოგვიხდებოდა უარი გვეთქვა ყოველგვარ ბრძოლაზე ოპოზიციასთან. მესამეც, სრული გამარჯვება ოპოზიციაზე არის **ერთადერთი** გარანტია გათიშვისაგან. სხვა გარანტიები პარტიულმა პრაქტიკამ არ იცის. ამას მეტყველებს რუსეთის კომპარტიის (ბ) მთელი ისტორია.

გერმანიის სოციალ-დემოკრატია ჯერ კიდევ ომამდელ ხანაში, როცა ის ორთოდოქსალური იყო, ოპორტუნიზმთან

ბრძოლას სწორედ იმ შემსუბუქებული მეთოდით ეწეოდა, რომელზედაც აქ კოსტრჟევა ლაპარაკობს. მაგრამ ამით გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ მიაღწია იმას, რომ გამარჯვებული აღმოჩნდა ოპორტუნიზმი, და გათიშვა გარდუვალი გახდა.

რუსეთის კომპარტია (ბ) ოპორტუნიზმთან ბრძოლას ეწეოდა ოპორტუნისტ ლიდერთა გადამწყვეტი იზოლაციის ნაცადი მეთოდით. და რუსეთის კომპარტიამ (ბ) მიაღწია იმას, რომ გაიმარჯვა რევოლუციურმა მარქსიზმმა, ხოლო პარტია არაჩვეულებრივ შემჭიდროებული გახდა.

მე ვფიქრობ, რომ რუსეთის კომპარტიის (ბ) გაკვეთილი ჩვენთვის ჰკუის სასწავლი გაკვეთილი უნდა გახდეს. ბრძოლის ის მეთოდი, რომელსაც კოსტრჟევა გვირჩევს, სოციალ-დემოკრატიული ოპორტუნიზმის გამოძახილს წარმოადგენს. ის პარტიას გათიშვის საფრთხეს უმზადებს.

დასასრულ, პარტიის მიმართ ხელმძღვანელობის საკითხი. რა შეადგენს დღევანდელ მომენტში დასავლეთის კომუნისტური პარტიების განვითარების დამახასიათებელ თვისებას? ის, რომ პარტიები უშუალოდ მიადგნენ პარტიული პრაქტიკის ახალ, რევოლუციურ ყაიდაზე გარდაქმნის საკითხს. საქმე ეხება არა იმას, რომ კომუნისტური პროგრამა მივიღოთ და დეკლარაციის წესით გამოვაცხადოთ რევოლუციური ლოზუნგები. საქმე ეხება პარტიის ყოველდღიური მუშაობის, მისი პრაქტიკის გარდაქმნას იმ მიმართულებით, რომ პარტიის ყოველ ნაბიჯს და მის ყოველ მოქმედებას ბუნებრივად მივყავდეთ მასების რევოლუციური აღზრდისაკენ, რევოლუციის მომზადებისაკენ. ესაა ახლა საქმის არსი, და არა რევოლუციური დირექტივების მიღება.

პრუხნიაკმა გუშინ აქ წაიკითხა მთელი დასტა პოლონეთის ცენტრალური კომიტეტის ლიდერების მიერ მიღე-

ბული რევოლუციური რეზოლუციებისა. მან გამარჯვებულის რიხით წაიკითხა ეს რეზოლუციები, — ალბათ ფიქრობდა, რომ პარტიისადმი ხელმძღვანელობა რეზოლუციების გამომუშავებით ამოიწურება. ის ვერც კი მიმხვდარა, რომ რეზოლუციების გამომუშავება მხოლოდ პირველი ნაბიჯია, დასაწყისია პარტიის მიმართ ხელმძღვანელობისა. მას არ ესმის, რომ ხელმძღვანელობის საფუძველს შეადგენს არა რეზოლუციების გამომუშავება, არამედ მათი ცხოვრებაში გატარება, მათი განხორციელება. ამის გამო თავის დიდ სიტყვაში მას დაავიწყდა ეცნობებინა ჩვენთვის ამ რეზოლუციების ბედი, მან საჭიროდ არ ჩათვალა ეთქვა — შეასრულა თუ არა პოლონეთის კომპარტიამ ეს რეზოლუციები და სახელდობრ რამდენად შეასრულა. ამავე დროს კი პარტიული ხელმძღვანელობის არსი სწორედ რეზოლუციებისა და დირექტივების შესრულებაა. მას რომ ვუცქეროდი, მაგონდებოდა ჩვეულებრივი საბჭოთა მოხელე, რომელიც «პასუხს» აგებს სარევიზიო კომისიის წინაშე. «გატარებულია თუ არა ესა და ეს დირექტივა?», — ეკითხება სარევიზიო კომისია. «მიღებულია ზომები», — უპასუხებს მოხელე. «სახელდობრ, რა ზომებია მიღებული?», — ეკითხება სარევიზიო კომისია. «გაცემულია განკარგულება», — უპასუხებს მოხელე. სარევიზიო კომისია მოითხოვს მისგან დოკუმენტს. მოხელე გამარჯვებულის გამომეტყველებით წარუდგენს განკარგულების პირს. სარევიზიო კომისია ეკითხება: — «მერე, როგორია განკარგულების ბედი, შესრულებულია თუ არა ის და სახელდობრ როდის?». მოხელე თვალებს აჭყეტს და აცხადებს — «ცნობები მიღებული არ არისო». სარევიზიო კომისია, რასაკვირველია, პასუხისგებაში აძლევს ასეთ მოხელეს. აი სწორედ ეს საბჭოთა მოხელე მომაგონა პრუხნიაკმა, როცა ის აქ გამარჯვებულის რიხით კითხუ-

ლობდა რევოლუციურ რეზოლუციებს, რომელთა შესრულების შესახებ მას «ცნობები არ მოეპოვება». ეს პარტიის ხელმძღვანელობა კი არ არის, ეს ყოველგვარი ხელმძღვანელობის აბუჩად აგდებაა.

როგორია დასკვნები? დასკვნები ასეთია.

პირველი. მე გადაჭრით წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ მომავალი პარტიული დისკუსიის დროს პოლონეთში შეიქმნას წყალგამყოფი ქედი ყოფილ ორ პარტიას შორის — პოლონეთის სოციალისტთა პარტიასა და პოლონეთის სოციალ-დემოკრატიას შორის. ეს საშიში იქნებოდა პარტიისათვის. ყოფილი პარტიები — პოლონეთის სოციალისტთა პარტია და პოლონეთის სოციალ-დემოკრატია უკვე დიდი ხანია ერთიან პარტიად შეერთდნენ, ისინი საერთო ბრძოლას ეწევიან პოლონელი მემამულეებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, და ახლა მათი რეტროსპექტულად გაყოფა ორ ნაწილად უდიდესი შეცდომა იქნებოდა. ბრძოლა უნდა წარიმართოს არა პოლონეთის სოციალისტთა პარტიისა და პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის ძველი ხაზით, არამედ პოლონეთის კომპარტიის ოპორტუნისტული ფრთის იზოლაციის ახალი ხაზით სრული გამარჯვება ოპორტუნისტულ ფრთაზე — ესაა გათიშვის თავიდან აცილების გარანტია და პარტიის მჭიდროდ შეკავშირების საწინდარი.

მეორე. მე გადაჭრით წინააღმდეგი ვარ ეგრეთწოდებული მოკვეთისა, ე. ი. წინააღმდეგი ვარ ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთი წევრის განდევნისა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან. მე საერთოდ წინააღმდეგი ვარ, რომ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებები იქნას შეტანილი ზემოდან. საზოგადოდ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ქირურგიული ღონისძიების გატარება, თუ ამას განსაკუთრებული საჭიროება არ მოითხოვს, მძიმე ხინჯს

ტოვებს პარტიაში. დაე თვით პოლონეთის კომპარტიამ გარდაქმნას თავისი ცენტრალური კომიტეტი მომავალ ყრილობაზე ან კონფერენციაზე. შეუძლებელია, რომ მზარდმა პარტიამ ახალი ბელადები არ წამოაყენოს.

მესამე. მე ვფიქრობ, რომ უნშლიხტის მიერ წამოყენებული პრაქტიკული წინადადებანი სავსებით სწორია. სავსებით რაციონალური იქნებოდა, რომ ნაცვლად ახლანდელი საორგანიზაციო ბიუროსი და პოლიტბიუროსი, რომელნიც ერთმანეთს მოსწყდნენ, წამოგვეყენებინა ერთიანი პოლიტიკური და პრაქტიკული ცენტრი, შემდგარი პოლონეთის ახლანდელი ცენტრალური კომიტეტის წევრებისაგან.

აქ გამოთქვამდნენ ეჭვს იმ ახალი ლიდერების თეორიული ცოდნისა და პარტიული გამოცდილების შესახებ, რომლებიც პოლონეთში რევოლუციურმა ბრძოლამ წამოაყენა. მე ვფიქრობ, რომ ამ გარემოებას არ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. რუსეთის კომპარტიის (ბ) ცხოვრებაში ყოფილა შემთხვევები, როცა უდიდეს საოლქო ორგანიზაციებს სათავეში ჩასდგომიან არასაკმარისი თეორიული და პოლიტიკური ცოდნით აღჭურვილი მუშები. მაგრამ ეს მუშები უკეთესი ლიდერები გამომდგარან, ვიდრე საჭირო რევოლუციურ ალღოს მოკლებული ბევრი ინტელიგენტი. სავსებით შესაძლებელია, რომ ახალი ლიდერებით პირველ ხანს საქმე მთლად იოლად ვერ წავიდეს, მაგრამ არა უშავს რა, — ერთხელორჯერ წაიფორხილებენ, მერე კი ისწავლიან რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელობას. მზამზარეული ლიდერები ციდან არასოდეს არ ცვივიან. ისინი მხოლოდ ბრძოლის მსვლელობაში იზრდებიან.

«ბოლშევიკ» № 11,
1924 წ. 20 სექტემბერი.

წერილი ამხ. დემიან გედნის

ძვირფასო დემიან!

გწერთ დიდი დაგვიანებით. უფლება გაქვთ მლანძღოთ. მაგრამ მხედველობაში უნდა მიიღოთ, რომ მე არაჩვეულებრივად ზარმაცი ვარ წერილების და საზოგადოდ მიწერ-მოწერის საქმეში.

პუნქტებად.

1. ძალიან კარგია, რომ თქვენ «ხალისიანი განწყობილება» გქონიათ. «მსოფლიო სევდის» ფილოსოფია ჩვენი ფილოსოფია არ არის. დაე ისევდიანონ მიმავლებმა და დრომოჭმულებმა. ჩვენი ფილოსოფია საკმაოდ მოხდენილად გადმოსცა ამერიკელმა უიტმანმა: «ჩვენ ცოცხლები ვართ, დუღს ალისფერი ჩვენი სისხლი დაუხარჯავი ძალების ცეცხლით». ასე, დემიან.

2. «წყენინებისაც მეშინია და მკურნალობაც საჭიროაო», — იწერებით. ჩემი რჩევაა: უმჯობესია აწყენინოთ ორიოდე მნახველს, კაცს თუ ქალს, ვიდრე არ იმკურნალოთ მართებულად, ყველა წესის დაცვით. იმკურნალეთ, იმკურნალეთ, უეჭველად იმკურნალეთ. მნახველებს რომ არ აწყენინო — ეს წუთის ინტერესია. მათი ცოტაოდნად წყე-

ნინება სერიოზული მკურნალობისათვის — ეს უკვე უფრო ხანგრძლივი ინტერესია. ოპორტუნისტები, არსებითად, სწორედ იმით განსხვავდებიან თავიანთი ანტიპოდებისაგან, რომ პირველი რიგის ინტერესებს მეორე რიგის ინტერესებზე მაღლა აყენებენ. თქმა არ უნდა, თქვენ ოპორტუნისტებს არ მიბაძავთ.

3. «სამაზრო კომიტეტების მდივნებისათვის გაკეთებული თქვენი მოხსენების * საამნისტიო ნოტები მთლად მოკლებული არ არის ეშმაკობასო», — მწერთ თქვენ. უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ აქ არის **პოლიტიკა**, რომელიც, საზოგადოდ რომ ითქვას, ერთგვარ ეშმაკობასაც არ გამორიცხავს. მე ვფიქრობ, რომ, **მას შემდეგ**, რაც ოპოზიციის ლიდერები სასტიკად დავამარცხეთ, ჩვენ, ე. ი. პარტია, ვალდებული ვართ შევარბილოთ ტონი რიგითი და საშუალო ოპოზიციონერების მიმართ იმისათვის, რომ გავუადვილოთ მათ ოპოზიციის ლიდერებისაგან ჩამოცილება. გენერლების უარმიოდ დატოვება — ესაა თავიდათავი. ოპოზიციას ორმოცი-ორმოცდაათი ათასი კაცი ჰყავს პარტიაში; მათი უმრავლესობა დიდი ხანია მიატოვებდა თავის ლიდერებს, მაგრამ მას ხელს უშლის საკუთარი თავმოყვარეობა ან ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთ მომხრეთა უხეშობა, ყოყოჩობა; ეს მომხრეები წვრილმანი ქირდვით აღიზიანებენ რიგითს ოპოზიციონერებს და ამით აბრკოლებენ მათს გადმოსვლას ჩვენს მხარეზე. ჩემი მოხსენების «ტონი» მიმართულია ცენტრალური კომიტეტის ასეთი მომხრეების წინააღმდეგ. ასე, და მხოლოდ ასე შეიძლება ოპოზიციის დარღვევა, მას შემდეგ, რაც მის ლიდერებს საქვეყნოდ თავი მოეჭრათ.

* იხ. ეს ტომი, გვ. 268 — 298. რ ე დ.

4. «მოსავალი ხომ არ გვიმუხთლებსო», — მეკითხებით. მან ცოტაოდნად უკვე გვიმუხთლა. თუ გასულ წელს ორ მილიარდ შვიდას მილიონზე მეტი შევაგროვეთ (საერთო მოსავალი), წელს 200 მილიონით ნაკლებს მოველით. ეს, რა თქმა უნდა, საზიანოა ექსპორტისათვის. მართალია, მოუსავლობით დაზარალებული მეურნეობები ახლა ხუთჯერ ნაკლებია, ვიდრე 1921 წელს იყო, და ჩვენ მაინცდამაინც დიდი ჭაპანწყვეტა არ დაგვჭირდება, რომ ამ ბოროტებას საკუთარი ძალებით გავართვათ თავი. შეგიძლიათ ამაში ეჭვი არ შეგეპაროთ. მაგრამ ზიანი მაინც ზიანად რჩება. თუმცა — ზოგი ჭირი მარგებელიაო. ჩვენ გადავწყვიტეთ გამოვიყენოთ გლეხობის გამახვილებული მზადყოფნა — გააკეთოს ყოველივე შესაძლებელი იმისათვის, რომ **მომავალში** თავი დაიზღვიოს გვალვის შემთხვევითობისაგან, და ჩვენ შევეცდებით ყოველნაირად გამოვიყენოთ ეს მზადყოფნა იმ მიზნით, რომ გავატაროთ (გლეხობასთან ერთად) გადამწყვეტი ზომები მელიორაციის, მიწათმოქმედების კულტურის გაუმჯობესებისა და სხვ. დარგში. ვფიქრობთ საქმე **დავიწყოთ** მინიმალურად აუცილებელი სამელიორაციო ზოლის შექმნით სამარა-სარატოვ-ცარიცინ-ასტრახან-სტავროპოლის ზონაში. ამ საქმისათვის ვდებთ თხუთმეტ-ოც მილიონს. მომავალ წელს სამხრეთ გუბერნიებში გადავალთ. ეს იქნება ჩვენს სოფლის მეურნეობაში რევოლუციის დასაწყისი. ადგილობრივი ადამიანები ამბობენ, რომ გლეხობა სერიოზულ დახმარებას გაგვიწევს. სანამ მეხი არ გავარდება, გლეხი პირჯვარს არ გადაიწერსო. გვალვის რისხვა, თურმე, აუცილებელი ყოფილა იმისათვის, რომ უმაღლეს საფეხურზე ავიყვანოთ სოფლის მეურნეობა და სამუდამოდ დავაზღვიოთ ჩვენი ქვეყანა ამინდის შემთხვევითობისაგან. კოლჩაკმა ქვეითი ჯარის შენება გვასწავლა, დენიკინმა — ცხენოსანი

ჯარისა, გვალვა კი სოფლის მეურნეობის შენებას გვასწავლის. ასეთია ისტორიის გზები. და ამაში არაფერია არაბუნებრივი.

5. «გვეწვიეთო», — მწერთ. სამწუხაროდ, არ შემიძლია ჩამოსვლა. არ შემიძლია, რადგან არა მცალია. გირჩევთ მოაწყოთ თქვენთვის «ბაქოსაკენ გასეირნება», — ეს საჭიროა. თბილისი ისე საინტერესო არ არის, თუმცა გარეგნულად ის ბაქოზე უფრო მიმზიდველია. თუ თქვენ ჯერ არ გინახავთ ნავთობის ჭაბურღილების ტყე, მაშინ «არაფერი გინახავთ». დარწმუნებული ვარ, ბაქო მოგცემთ უმდიდრეს მასალას ისეთი მარგალიტებისათვის, როგორიც არის თქვენი «წევის სამსახური»[57].

ჩვენთან, მოსკოვში, ყრილობების ხანა ჯერ კიდევ არ გათავებულა. სიტყვები და კამათი V კონგრესზე, რასაკვირველია, კარგი საქმეა, მაგრამ ეს, კაცმა რომ თქვას, მარტო დეკორაციაა. ბევრად უფრო საინტერესოა დასავლეთის (აგრეთვე აღმოსავლეთის) დელეგატებთან მეგობრული საუბარი, რასაც ჩვენ აქ ყველანი ვაწარმოებდით. ხანგრძლივი საუბარი მქონდა გერმანელ, ფრანგ, პოლონელ მუშებთან. დიდებული რევოლუციური «მასალაა»! ყველაფრით ჩანს, რომ იქ, დასავლეთში, იზრდება ზიზღი, ნამდვილი რევოლუციური ზიზღი ბურჟუაზიული წესწყობილებისადმი. სიხარულით ვისმენდი მათს უბრალო, მაგრამ ძლიერ სიტყვებს იმის შესახებ, რომ სურთ თავის ქვეყანაშიც «მოაწყონ რევოლუცია რუსულ ყაიდაზე». ეს ახალი მუშებია. ასეთები ჩვენს კონგრესებზე ჯერ არ ყოფილან. რევოლუციამდე ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, არც ისე ახლო მანძილია, მაგრამ საქმე რომ რევოლუციისაკენ მიდის — ამაში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს. მე გამაკვირვა კიდევ ამ მუშების ერთმა თვისებამ, — ესაა გულთბილი და ძლიერი, თითქმის დედობრივი სიყვარული ჩვენი ქვეყ-

ნისადმი და კოლოსალური, უსაზღვრო რწმენა ჩვენი პარტიის სიმართლისა, უნარიანობისა და ძლიერებისა. ახლო წარსულის სკეპსისისაგან ნასახიც აღარ დარჩენილა. არც ეს არის შემთხვევითი. ესეც მზარდი რევოლუციის ნიშანია.

მაშ ასე, დემიან.

ახლა კი კმარა, ჯერჯერობით. მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი **ი. სტალინი**

15. VII. 24 წ.

იბეჭდება პირველად.

ი. მ. სვერდლოვის შესახებ

არიან ადამიანები, პროლეტარიატის ბელადები, რომლებზედაც არ ხმაურობენ პრესაში, შეიძლება, იმიტომ, რომ თვითონ მათ არ უყვართ თავის თავზე ხმაური, მაგრამ რომელნიც, მიუხედავად ამისა, რევოლუციური მოძრაობის სასიცოცხლო ძალას და ჭეშმარიტ ხელმძღვანელებს წარმოადგენენ. ასეთი ბელადების რიცხვს ეკუთვნის ი. მ. სვერდლოვი.

ორგანიზატორი მთელი არსებით, ორგანიზატორი ბუნებით, ჩვევებით, რევოლუციური აღზრდით, ალღოთი, ორგანიზატორი მთელი თავისი მგზნებარე მოღვაწეობით, — ასეთია ი. მ. სვერდლოვის ფიგურა.

რას ნიშნავს იყო ბელადი-ორგანიზატორი ჩვენს პირობებში, როცა ხელისუფლების სათავეში პროლეტარიატი დგას? ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ შეარჩიო თანამემწენი, მოაწყო კანცელარია და ამ უკანასკნელის საშუალებით განკარგულებები გასცე. იყო ჩვენს პირობებში ბელადი-ორგანიზატორი, ეს ნიშნავს, ჯერ-ერთი, — იცნობდე მუშაკებს, გქონდეს უნარი — შეამჩნიო მათი ღირსებანი და ნაკლოვანებანი, გქონდეს უნარი — ჯეროვნად მიუდგე მუშაკებს; მეორეც, — გქონდეს უნარი — ისე გაანაწილო მუშაკები:

1) რომ თვითეული მუშაკი გრძნობდეს, რომ ის თავის ადგილზეა;

2) რომ თვითეულ მუშაკს შეეძლოს მისცეს რევოლუციას მაქსიმუმი იმისა, რის მიცემაც მას საერთოდ შეუძლია თავისი პირადი თვისებების მიხედვით;

3) რომ მუშაკთა ამგვარმა განაწილებამ შედეგად მოგვცეს მუშაობის არა შეფერხება, არამედ მისი მთლიანად შეთანხმებულობა, ერთიანობა, საერთო აღმავლობა;

4) რომ ამგვარად ორგანიზებული მუშაობის საერთო მიმართულება წარმოადგენდეს იმ პოლიტიკური იდეის გამოხატულებას და განხორციელებას, რისთვისაც ხდება პოსტებზე მუშაკთა განაწილება.

ი. მ. სვერდლოვი ჩვენი პარტიის და ჩვენი სახელმწიფოს სწორედ ამგვარი ბელადი-ორგანიზატორი იყო.

1917 — 1918 წლების პერიოდი გარდატეხის პერიოდი იყო პარტიისა და სახელმწიფოსათვის. პარტია ამ პერიოდში პირველად გახდა მმართველი ძალა. პირველად კაცობრიობის ისტორიაში აღმოცენდა ახალი ძალაუფლება, — საბჭოების ძალაუფლება, მუშათა და გლეხთა ძალაუფლება. მანამდე არალეგალური პარტიის ახალ რელსებზე გადაყვანა, ახალი პროლეტარული სახელმწიფოს ორგანიზაციული საფუძვლების შექმნა, პარტიისა და საბჭოების ურთიერთობის ორგანიზაციული ფორმების გამონახვა ისე, რომ პარტიას უზრუნველყოფილი ჰქონოდა ხელმძღვანელობა, ხოლო საბჭოებს — ნორმალური განვითარება, — ასეთი ურთულესი ორგანიზაციული ამოცანა იდგა მაშინ პარტიის წინაშე. პარტიაში არ მოიწახებიან ადამიანები, რომელთაც შეეძლოთ იკისრონ იმის უარყოფა, რომ ი. მ. სვერდლოვი იყო ერთი პირველთაგანი, თუ პირველი არა, რომელმაც მარჯვედ და უმტკივ-

ნეულოდ გადაჭრა ახალი რუსეთის მშენებლობის ეს ორგანიზაციული ამოცანა.

ბურჟუაზიის იდეოლოგები და აგენტები ხალისით იმეორებენ გადაღეჭილ ფრაზებს იმის შესახებ, რომ ბოლშევიკებს არა აქვთ შენების უნარი, რომ მათ თითქოს მხოლოდ ნგრევა შეუძლიათ. ი. მ. სვერდლოვი, მთელი მისი მუშაობა ამ აბდაუბდის ცოცხალ უარყოფას წარმოადგენს. ი. მ. სვერდლოვი და მისი მუშაობა ჩვენს პარტიაში შემთხვევითობა არ არის. პარტიას, რომელმაც დაბადა ისეთი დიდი მშენებელი, როგორიც იყო ი. მ. სვერდლოვი, თამამად შეუძლია თქვას, რომ მას აქვს უნარი ისევე კარგად აშენოს ახალი, როგორც ანგრევს ძველს.

მე შორსა ვარ იმისაგან, რომ დავიჩემო, თითქოს სავსებით ვიცნობდე ჩვენი პარტიის ყველა ორგანიზატორს და მშენებელს, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ჩემთვის ნაცნობ ყველა თვალსაჩინო ორგანიზატორთაგან მე ვიცნობ — ლენინის შემდეგ — მხოლოდ ორს, რომლებითაც ჩვენს პარტიას შეუძლია იამაყოს, და უნდა იამაყოს კიდეც: ი. თ. დუბროვინსკის, რომელიც ტურუხანსკის მხარეში — გადასახლებაში დაიღუპა, და ი. მ. სვერდლოვს, რომელიც პირდაპირ დაიფერფლა პარტიისა და სახელმწიფოს მშენებლობის სამუშაოზე.

«პროლეტარსკაია რევოლუცია»
№ 11 (34), 1924 წ. ნოემბერი.

ხელმოწერა: ი. ს ტ ა ლ ი ნ ი.

საერთაშორისო მდგომარეობისათვის

მე ვფიქრობ, რომ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის დასახასიათებლად არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს გავითვალისწინოთ ახლანდელი საერთაშორისო სინამდვილის ყველა რამდენადმე მაინც მნიშვნელოვანი ფაქტი, ყველა თავისებურება უკლებლივ. ამისათვის საჭიროა თანამედროვეობის მხოლოდ ძირითადი, გადამწყვეტი მომენტების გათვალისწინება. ამჟამად ასეთი მომენტი, ჩემი აზრით, სამია:

ა) ბურჟუაზიულ-დემოკრატიული «პაციფიზმის» «ხანის» დადგომა;

ბ) ამერიკის ჩარევა ევროპის საქმეებში და ანტანტის ლონდონის შეთანხმება რეპარაციების შესახებ;

გ) მემარცხენე ელემენტების გაძლიერება ევროპის მუშათა მოძრაობაში და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ხვედრითი წონის ზრდა.

განვიხილოთ ეს ძირითადი მომენტები.

1. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული «პაციფიზმის» ხანა

ანტანტა უძლური აღმოჩნდა თავი გაერთმია თავის სამხედრო გამარჯვებათა შედეგებისათვის. გერმანიის დამარცხება და საბჭოთა კავშირის გარემოცვა მან სავსებით შესძლო. მან შესძლო აგრეთვე ევროპის გაძარცვის გეგმის შედგენა. ამას მოწმობენ ანტანტის სახელმწიფოების აუა-

რებელი კონფერენციები და ხელშეკრულებები. მაგრამ გაძარცვის გეგმის შესრულების მხრივ ანტანტა უძლური აღმოჩნდა. რატომ? იმიტომ, რომ მეტად დიდია წინააღმდეგობანი ანტანტის ქვეყნებს შორის. იმიტომ, რომ მათ ვერ მოახერხეს და ისინი ვერც მოახერხებენ შეთანხმებას ნაძარცვის გაყოფის შესახებ. იმიტომ, რომ გასაძარცვი ქვეყნების წინააღმდეგობა სულ უფრო სერიოზული ხდება. იმიტომ, რომ გაძარცვის გეგმის განხორციელებას შედეგად უნდა მოჰყვეს სამხედრო შეტაკებანი, ხოლო მასებს ომი არ სურთ. ახლა «ყველასათვის» ცხადია, რომ გერმანიის მოსასპობად ნავარაუდევი პირდაპირი იმპერიალისტური იერიში რურზე საშიში აღმოჩნდა თვით იმპერიალიზმისათვის. ცხადია აგრეთვე ისიც, რომ ულტიმატუმების აშკარა იმპერიალისტური პოლიტიკა, რაც ნავარაუდევია საბჭოთა კავშირის იზოლაციისათვის, მხოლოდ საწინააღმდეგო შედეგს იძლევა. შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ პუანკარე და კერზონი, რომლებიც რწმენითა და ერთგულებით ემსახურებოდნენ იმპერიალიზმს, მიუხედავად ამისა, თავიანთი «მუშაობით» ამწვავებდნენ მზარდ კრიზისს ევროპაში, იწვევდნენ მასების წინააღმდეგობას იმპერიალიზმის მიმართ, უბიძგებდნენ მასებს რევოლუციისაკენ. აქედან — აუცილებლობა ბურჟუაზიის გადასვლისა პირდაპირი იერიშის პოლიტიკიდან კომპრომისების პოლიტიკაზე, აშკარა იმპერიალიზმიდან დაფარულ იმპერიალიზმზე, პუანკარედან და კერზონიდან მაკდონალდსა და ერიოზე. მსოფლიოს ძარცვა უსაფაროდ საკმაოდ საშიში გახდა. მუშათა პარტიამ ინგლისში და მემარცხენე ბლოკმა საფრანგეთში[58] უნდა დაფარონ იმპერიალიზმის სიშიშვლე. ეს არის «პაციფიზმისა» და «დემოკრატიზმის» წყარო.

ზოგიერთნი ფიქრობენ, რომ ბურჟუაზია «პაციფიზმამდე» და «დემოკრატიზმამდე» მივიდა არა გასაჭირის გამო, არამედ თავისი კეთილი ნებით, ასე ვთქვათ, თავისუფალი არჩევანით. ამასთან გულისხმობენ, რომ ბურჟუაზიამ, რაკი გადამწყვეტ ბრძოლებში დაამარცხა მუშათა კლასი (იტალიაში, გერმანიაში), თავი გამარჯვებულად იგრძნო და ახლა მას შეუძლია ნება მისცეს თავის თავს «დემოკრატიზმს» დაადგესო. სხვანაირად რომ ვთქვათ, ვიდრე გადამწყვეტი ბრძოლები წარმოებდა, ბურჟუაზიას საბრძოლო ორგანიზაცია, ფაშიზმი ესაჭიროებოდა, ახლა კი, როცა პროლეტარიატი დამარცხებულია, ბურჟუაზიას ფაშიზმი აღარ ესაჭიროება და მას შეუძლია შეცვალოს იგი «დემოკრატიზმით», როგორც თავისი გამარჯვების განმტკიცების უკეთესი მეთოდით. აქედან გამოჰყავთ ის დასკვნა, რომ ბურჟუაზიის ძალაუფლება განმტკიცდა, «პაციფიზმის ერა» ხანგრძლივად უნდა ჩაითვალოს, ხოლო რევოლუცია ევროპაში — დიდი ხნით გადადებულადო.

ეს მოსაზრება სრულებით არ არის სწორი.

ჯერ-ერთი, არაა მართალი, თითქოს ფაშიზმი ბურჟუაზიის მხოლოდ საბრძოლო ორგანიზაცია იყოს. ფაშიზმი მარტო სამხედრო-ტექნიკური კატეგორია როდია. ფაშიზმი არის ბურჟუაზიის საბრძოლო ორგანიზაცია, რომელიც სოციალ-დემოკრატიის აქტიურ მხარდაჭერას ეყრდნობა. სოციალ-დემოკრატია ობიექტურად არის ფაშიზმის ზომიერი ფრთა. საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ბურჟუაზიის საბრძოლო ორგანიზაციას სოციალ-დემოკრატიის აქტიური მხარდაჭერის გარეშე შეეძლოს მიაღწიოს გადამწყვეტ წარმატებას ბრძოლებში ან ქვეყნის მმართველობაში. ასევე ნაკლები საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ სოციალ-დემოკრატიას ბურჟუაზიის საბრძოლო ორგანიზაციის აქტიური მხარდაჭერის გარეშე შეეძლოს მიაღ-

წიოს გადამწყვეტ წარმატებას ბრძოლებში ან ქვეყნის მმართველობაში. ეს ორგანიზაციები კი არ უარყოფენ, არამედ ავსებენ ერთმანეთს. ისინი ანტიპოდები კი არა, ტყუპი არიან. ფაშიზმი არის ამ ორი ძირითადი ორგანიზაციის გაუფორმებელი პოლიტიკური ბლოკი, რომელიც წარმოიშვა იმპერიალიზმის ომისშემდგომი კრიზისის ვითარებაში და ნავარაუდევია პროლეტარულ რევოლუციასთან საბრძოლველად. ბურჟუაზია ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებს ასეთი ბლოკის გარეშე. ამიტომ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრნა, რომ «პაციფიზმი» ფაშიზმის ლიკვიდაციას ნიშნავს. «პაციფიზმი» ახლანდელ ვითარებაში არის ფაშიზმის დამკვიდრება ისე, რომ პირველ ადგილზე წამოწეულია მისი ზომიერი, სოციალ-დემოკრატიული ფრთა.

მეორეც, არაა მართალი, თითქოს გადამწყვეტი ბრძოლები უკვე იყო, თითქოს პროლეტარიატი ამ ბრძოლებში დამარცხდა, თითქოს ამის გამო ბურჟუაზიული ძალაუფლება განმტკიცდა. გადამწყვეტი ბრძოლები ჯერ არ ყოფილა, თუნდაც იმიტომ, რომ არ ყოფილან მასობრივი ნამდვილად ბოლშევიკური პარტიები, რომელთაც უნარი ექნებათ მიიყვანონ პროლეტარიატი დიქტატურამდე. ასეთი პარტიების გარეშე გადამწყვეტი ბრძოლები დიქტატურისათვის იმპერიალიზმის პირობებში შეუძლებელია. გადამწყვეტი ბრძოლები დასავლეთში ჯერ კიდევ წინ არის. იყო მხოლოდ პირველი სერიოზული იერიშები, რომლებიც ბურჟუაზიამ მოიგერია, ძალთა პირველი სერიოზული გამოცდა, რომელმაც გვიჩვენა, რომ პროლეტარიატს **ჯერ კიდევ** არ ძალუძს ბურჟუაზიის დამხობა, ხოლო ბურჟუაზიას **უკვე** აღარ ძალუძს სათვალავში არ მიიღოს პროლეტარიატი. და სწორედ იმიტომ, რომ ბურჟუაზიას უკვე აღარ ძალუძს დააჩოქოს მუშათა კლასი, ბურჟუაზია იძულებული გახდა უარი თქვას პირისპირ იერიშზე, მი-

მართოს შემოვლითს გზებს, მიმართოს კომპრომისებს, გამოიყენოს «დემოკრატიული პაციფიზმი».

ბოლოს, არც ისაა მართალი, თითქოს «პაციფიზმი» ბურჟუაზიის ძალის, და არა სისუსტის, ნიშანი იყოს, თითქოს «პაციფიზმისაგან» უნდა მივიღოთ ბურჟუაზიის ძალაუფლების განმტკიცება, რევოლუციის გადადება განუსაზღვრელი ვადით. თანამედროვე პაციფიზმი ნიშნავს II ინტერნაციონალის პარტიების პირდაპირ თუ არაპირდაპირ ჩადგომას ხელისუფლების სათავეში. მაგრამ რას ნიშნავს II ინტერნაციონალის პარტიების ჩადგომა ხელისუფლების სათავეში? ეს ნიშნავს მათს გარდუვალ თვითმხილებას, როგორც იმპერიალიზმის ლაქიებისას, როგორც პროლეტარიატის მოღალატეებისას, რადგან ამ პარტიების სამთავრობო პრაქტიკას შეიძლება შედეგად მოჰყვეს მხოლოდ ერთი რამ: მათი პოლიტიკური გაკოტრება, ამ პარტიების შიგნით წინააღმდეგობათა ზრდა, მათი გახრწნა, დაშლა. მაგრამ ამ პარტიების გახრწნა გამოიწვევს ბურჟუაზიული ძალაუფლების აუცილებელ გახრწნას, რადგან II ინტერნაციონალის პარტიები იმპერიალიზმის დასაყრდენს წარმოადგენენ. შეეძლო თუ არა ბურჟუაზიას მოეხდინა პაციფიზმის ეს სახიფათო ცდა თავისი ნება-სურვილით, რაიმე განსაკუთრებული გასაჭირი რომ არ ჰქონოდა? რა თქმა უნდა, არა! იმპერიალისტური ომის შემდეგ განვლილი პერიოდის მანძილზე ბურჟუაზია მეორედ მიმართავს პაციფიზმის ცდას: პირველად — უშუალოდ ომის შემდეგ, როცა რევოლუცია თითქოს კარზე აკაკუნებდა, და მეორედ — ახლა, პუანკარეს და კერზონის სახიფათო ცდების შემდეგ. ვინ იკისრებს იმის უარყოფას, რომ ბურჟუაზიის ეს ბორგვა პაციფიზმიდან თავაშვებულ იმპერიალიზმამდე და პირუკუ ტყუილად ვერ ჩაივლის იმპერიალიზმისათვის, რომ ეს ბორგვა ჩვეული ობივატელური ყოფის კალაპოტი-

დან აგდებს მილიონობით მუშათა მასებს, რომ ის პრლიტიკაში აბამს პროლეტარიატის ყველაზე ჩამორჩენილ ფენებს, რომ ის აადვილებს მათს გარევოლუციონერებას? რასაკვირველია, «დემოკრატიული პაციფიზმი» ჯერ კიდევ კერენშჩინა არ არის, რადგან კერენშჩინა გულისხმობს ორხელისუფლებიანობას, ბურჟუაზიული ხელისუფლების დაშლას და პროლეტარული ხელისუფლების საფუძვლების წარმოშობას. მაგრამ რომ პაციფიზმი ნიშნავს ხალხის მასების უდიდესად გამოფხიზლებას, მათს ჩაბმას პოლიტიკაში, რომ პაციფიზმი არყევს ბურჟუაზიულ ხელისუფლებას და ამზადებს ნიადაგს რევოლუციურ ძვრათათვის, — ეს არა გვგონია საეჭვო იყოს. და სწორედ ამიტომ პაციფიზმს შედეგად უნდა მოჰყვეს ბურჟუაზიული ხელისუფლების არა განმტკიცება, არამედ დასუსტება, რევოლუციის არა გადადება განუსაზღვრელი ვადით, არამედ მისი დაჩქარება.

აქედან, რა თქმა უნდა, ის კი არ გამომდინარეობს, თითქოს პაციფიზმი სერიოზულ საფრთხეს არ წარმოადგენდეს რევოლუციისათვის. პაციფიზმს შედეგად მოსდევს ბურჟუაზიული ხელისუფლების საფუძვლების შერყევა, იგი ამზადებს რევოლუციისათვის ხელსაყრელ პირობებს. მაგრამ პაციფიზმს შეიძლება ასეთი შედეგები მოჰყვეს მხოლოდ თვით «პაციფისტების» და «დემოკრატების» ნება-სურვილის **წინააღმდეგ,** მხოლოდ **იმ შემთხვევაში,** თუ კომუნისტური პარტიები გააჩაღებენ ენერგიულ მამხილებელ მუშაობას, რათა გამოააშკარაონ ერიო-მაკდონალდის პაციფისტურ-დემოკრატიული ხელისუფლების იმპერიალისტური და კონტრრევოლუციური ბუნება. ხოლო რაც შეეხება თვით პაციფისტებისა და დემოკრატების ნება-სურვილს, რაც შეეხება თვით იმპერიალისტების პოლიტიკას, ისინი, როცა პაციფიზმის გზას ადგებიან, მხო-

ლოდ ერთ მიზანს ისახავენ: მოატყუონ მასები მყვირალა ფრაზებით მშვიდობიანობის შესახებ იმისათვის, რომ მოამზადონ ახალი ომი, თვალი მოსჭრან მათ «დემოკრატიზმის» ბრწყინვალებით იმისათვის, რომ დაამკვიდრონ ბურჟუაზიის დიქტატურა, მოადუნონ მასების სიფხიზლე ერებისა და სახელმწიფოების «სუვერენულ» უფლებებზე ხმაურით იმისათვის, რომ მით უფრო წარმატებით მოამზადონ ინტერვენცია ჩინეთში, ხოცვა-ჟლეტა ავღანეთსა და სუდანში, დანაწილება სპარსეთში, გააბიაბრუონ მასები მრავლისაღმთქმელი ლაყბობით საბჭოთა კავშირთან «მეგობრული» ურთიერთობის შესახებ, საბჭოთა ხელისუფლებასთან ამა თუ იმ «ხელშეკრულებათა» შესახებ იმისათვის, რომ მით უფრო მჭიდროდ დაუკავშირდნენ რუსეთიდან გაძევებულ კონტრრევოლუციონერ შეთქმულებს ბანდიტური გამოსვლების მოსაწყობად ბელორუსიაში, უკრაინაში, საქართველოში. პაციფიზმი ბურჟუაზიას შესანიღბავად სჭირდება. ამ შენიღბვაშია პაციფიზმის მთავარი საფრთხე. მიაღწევს თუ არა ბურჟუაზია თავის მიზანს — ხალხის მოტყუების მიზანს — ეს დამოკიდებულია დასავლეთის და აღმოსავლეთის კომუნისტური პარტიების მამხილებელი მუშაობის ენერგიაზე, მათს უნარზე — ჩამოჰგლიჯონ ნიღაბი პაციფისტურ სამოსში გახვეულ იმპერიალისტებს. უეჭველია, მოვლენათა განვითარება და პრაქტიკა ამ მხრივ კომუნისტების სასარგებლოდ იმუშავებს, ჩაასობს რა სოლს კაპიტალის დემოკრატიულ მსახურთა პაციფისტურ **სიტყვასა** და იმპერიალისტურ **საქმეს** შორის. კომუნისტების ვალია — არ ჩამორჩნენ მოვლენებს და დაუზოგავად ამხილონ ყოველი ნაბიჯი, ყოველი აქტი II ინტერნაციონალის პარტიების მხრით იმპერიალიზმისადმი სამსახურისა და პროლეტარიატისადმი ღალატისა.

2. ამერიკის ჩარევა ევროპის საქმეებში და ანტანტის ლონდონის შეთანხმება რეპარაციების შესახებ

ანტანტის ლონდონის კონფერენცია[59] ცრუ, ყალბი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პაციფიზმის ყველაზე სრულ გამოხატულებას წარმოადგენს. თუ მაკდონალდერიოს ჩადგომას ხელისუფლების სათავეში და საბჭოთა კავშირთან «ნორმალური ურთიერთობის დამყარების» შესახებ ატეხილ ხმაურს უნდა დაეფარა და შეენიღბა კლასთა გააფთრებული ბრძოლა ევროპაში და ბურჟუაზიული სახელმწიფოების გაცოფებული მტრობა საბჭოთა კავშირისადმი, ანტანტის შეთანხმებამ ლონდონში უნდა დაფაროს და შენიღბოს ინგლისისა და საფრანგეთის თავგამოდებული ბრძოლა ევროპაში ჰეგემონიისათვის, ინგლისსა და ამერიკას შორის სულ უფრო გაძლიერებული წინააღმდეგობა მსოფლიო ბაზარზე ბატონობისათვის ბრძოლაში, გერმანელი ხალხის თავდაუზოგავი ბრძოლა ანტანტის უღლის წინააღმდეგ. აღარაა ომი კლასთა შორის, რევოლუცია გათავდა, ახლა შეიძლება საქმე კლასთა თანამშრომლობით დავამთავროთო, — გაჰყვირიან მაკდონალდები და რენოდელები. აღარაა ბრძოლა საფრანგეთსა და ინგლისს შორის, ამერიკასა და ინგლისს შორის, გერმანიასა და ანტანტას შორის, ომი გათავდა, ახლა შეიძლება საქმე საყოველთაო მშვიდობიანობით დავამთავროთ ამერიკის მეთაურობითო, — ბანს აძლევენ მათი მეგობრები ლონდონის შეთანხმებაში და მოძმენი მუშათა კლასის საქმის ღალატში — პაციფიზმის სოციალ-დემოკრატი გმირები.

მაგრამ რა მოხდა ანტანტის კონფერენციაზე ლონდონში?

ლონდონის კონფერენციამდე რეპარაციათა საკითხს საფრანგეთი თვითონ წყვეტდა, «მოკავშირეებისაგან» ცოტად თუ ბევრად დამოუკიდებლად, რადგან საფრანგეთს სარეპარაციო კომისიაში უზრუნველყოფილი უმრავლესობა ჰყავდა. რურის ოკუპაცია წარმოადგენდა გერმანიის სამეურნეო დეზორგანიზაციის საშუალებას და იმის გარანტიას, რომ საფრანგეთი მიიღებდა გერმანიისაგან სარეპარაციო გადასახდელებს, ქვანახშირსა და კოქსს საფრანგეთის მეტალურგიისათვის, ქიმიურ ნახევარფაბრიკატებს და საღებავებს საფრანგეთის ქიმიური მრეწველობისათვის და უბაჟოდ გაიტანდა გერმანიაში ელზასის საფეიქრო ფაბრიკატებს. გეგმა ნავარაუდევი იყო მატერიალური ბაზის შესაქმნელად საფრანგეთის სამხედრო და ეკონომიური ჰეგემონიისათვის ევროპაში. მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს გეგმა ჩაიფუშა. ოკუპაციის მეთოდმა მხოლოდ საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო. საფრანგეთმა ოდნავ მაინც დამაკმაყოფილებელი რაოდენობით ვერ მიიღო ვერც გადასახდელები და ვერც ნატურით ჩასაბარებელი საქონელი. ბოლოს, თვით ოკუპაციის ავტორი — პუანკარე — გადმოყირავებული აღმოჩნდა თავისი აშკარად იმპერიალისტური პოლიტიკის გამო, რომელიც ქვეყანას ახალ ომსა და რევოლუციას უქადდა. რაც შეეხება საფრანგეთის ჰეგემონიას ევროპაში, ეს საქმე ჩაიფუშა არა მარტო იმიტომ, რომ ოკუპაციისა და აშკარა ძარცვის მეთოდი გამორიცხავდა საფრანგეთის და გერმანიის მრეწველობას შორის სამეურნეო კავშირის შესაძლებლობას, არამედ იმიტომაც, რომ ინგლისი გადაჭრით წინააღმდეგი იყო ასეთი კავშირისა, ვინაიდან ინგლისს არ შეეძლო არ სცოდნოდა, რომ გერმანიის ქვანახშირის შეერთებამ საფრანგეთის ლითონთან შეუძლებელია ძირი არ გამოუთხაროს ინგლისის მეტალურგიას.

რა მოგვცა ყოველივე ამის ნაცვლად ანტანტის კონფერენციამ ლონდონში?

ჯერ-ერთი, კონფერენციამ უარყო საფრანგეთის მხრით რეპარაციების საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტის გზა და აღიარა, რომ საკონფლიქტო საკითხები საბოლოო ანგარიშით უნდა გადაწყვიტოს ანტანტის წარმომადგენელთაგან შემდგარმა საარბიტრაჟო კომისიამ ამერიკის წარმომადგენელთა მეთაურობით.

მეორეც, კონფერენციამ უარყო რურის ოკუპაცია და აღიარა სამეურნეო (დაუყოვნებლივ) და სამხედრო (ერთი წლის შემდეგ ან უფრო ადრე) ევაკუაციის აუცილებლობა. მოტივები: რურის ოკუპაცია ახლანდელ სტადიაზე სახიფათოა ევროპის პოლიტიკური მდგომარეობის თვალსაზრისით და უხერხულია გერმანიის ორგანიზებული და სისტემატური ძარცვის თვალსაზრისით. ხოლო ანტანტა რომ აპირებს საფუძვლიანად და სისტემატურად ძარცვოს გერმანია, — ამაში, არა გვგონია, რაიმე ეჭვის შეტანა შეიძლებოდეს.

მესამეც, უარყო რა სამხედრო ინტერვენცია, კონფერენციამ სავსებით მოიწონა საფინანსო-სამეურნეო ინტერვენცია და აღიარა:

ა) გერმანიაში საემისიო ბანკის შექმნის აუცილებლობა, რომელიც სპეციალური უცხოელი კომისრის კონტროლს დაექვემდებარება;

ბ) სახელმწიფო რკინიგზების გადასვლა კერძო პირთა ხელში ისე, რომ მათი მართვა სპეციალური უცხოელი კომისრის კონტროლით წარმოებდეს;

გ) მოკავშირეების წარმომადგენელთაგან შემდგარი ეგრეთწოდებული «გადარიცხვათა კომიტეტის» შექმნა, რომლის ხელშიც თავმოყრილი იქნება ყველა სარეპარაციო გადასახდელი გერმანიის ვალუტით, რომელიც გადასახდელი თანხებიდან დააფინანსებს გერმანიის მხრით საჭონლის ნა-

ტურით მიწოდებას, სარეპარაციო გადასახდელთა ზოგ თანხას (როცა ამ თანხების საფრანგეთში გადაგზავნა მიზანშეწონილი არ იქნება) მოათავსებს გერმანიის მრეწველობაში და რომელსაც, ამგვარად, სრული შესაძლებლობა ექნება ხელთ ეპყრას გერმანიის ფულადი ბაზარი.

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ესაა გერმანიის გადაქცევა ანტანტის კოლონიად.

მეოთხეც, კონფერენციამ სცნო საფრანგეთის უფლება— იძულებით მიიღოს გერმანიისაგან ქვანახშირი და ქიმიური პროდუქტები განსაზღვრული დროის განმავლობაში, მაგრამ იქვე დასძინა, რომ გერმანიას რჩება უფლება — მიმართოს საარბიტრაჟო კომისიას მოთხოვნით, რომ ეს იძულებითი გადასახდელი ნატურით შემცირდეს ან სრულიადაც შეწყდეს. ამით კონფერენციამ არარად ან თითქმის არარად აქცია საფრანგეთის უფლებები.

თუ ყოველივე ამას დავუმატებთ გერმანიისათვის გაღებულ სესხს 800 მილიონი მარკის რაოდენობით, რაც ინგლისელმა და უმთავრესად ამერიკელმა ბანკირებმა უნდა დაფარონ, თუ, შემდეგ, მხედველობაში მივიღებთ, რომ კონფერენციაზე ბატონობდნენ ბანკირები, უწინარეს ყოვლისა, ამერიკელი ბანკირები, სურათი დამთავრებული გამოვა: საფრანგეთის ჰეგემონიისაგან ნატამალიც აღარ დარჩენილა, საფრანგეთის ჰეგემონიის ნაცვლად ამერიკის ჰეგემონია გამოვიდა.

ასეთია ანტანტის ლონდონის კონფერენციის შედეგები.

ამის საფუძველზე ზოგი ფიქრობს, რომ ამიერიდან ინტერესთა წინააღმდეგობა ევროპის შიგნით უნდა დაჩრდილოს ამერიკის ჰეგემონიამ; რომ ამერიკა, რომელიც დაინტერესებულია ევროპაში თავისი კაპიტალის გატანით, შესძლებს ულუფაზე დასვას ევროპის ქვეყნები და აიძუ-

ლოს ისინი — წყნარად იყვნენ და უცქირონ, თუ როგორ მდიდრდებიან ამერიკელი ბანკირები; რომ ამის გამო მშვიდობიანობა ევროპაში, მართალია, იძულებითი, შეიძლება ჩაითვალოს ცოტად თუ ბევრად უზრუნველყოფილად, ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი დროითო. ეს მოსაზრება სრულიად არ არის სწორი.

ჯერ-ერთი, გერმანიის საკითხს კონფერენცია პატრონის — გერმანელი ხალხის დაუკითხავად წყვეტდა. რა თქმა უნდა, შეიძლება «დაგეგმო» გერმანიის გადაქცევა ნამდვილ კოლონიად. მაგრამ იმის ცდა, რომ მართლა კოლონიად გახადო ისეთი ქვეყანა, როგორიც გერმანიაა, დღეს, როდესაც ჩამორჩენილ კოლონიებსაც კი გაჭირვებით ინარჩუნებენ თავის მორჩილებაში, — ეს ნიშნავს, რომ ნაღმი ჩასდო ევროპის ასაფეთქებლად.

მეორეც, კონფერენციამ რამდენადმე უკან დასწია მეტისმეტად წინ წამოწეული საფრანგეთი, რის გამოც ბუნებრივად შეიქმნა ინგლისის ფაქტიური უპირატესობა ევროპაში. მაგრამ იმის ფიქრი, რომ საფრანგეთს შეუძლია შეურიგდეს ინგლისის უპირატესობას, — ნიშნავს, რომ ანგარიში არ გაუწიო ფაქტებს, ანგარიში არ გაუწიო მოვლენათა ლოგიკას, რომელიც ჩვეულებრივ ყველა სხვა ლოგიკაზე უფრო ძლიერია.

მესამეც, კონფერენციამ აღიარა ამერიკის ჰეგემონია. მაგრამ ამერიკის კაპიტალი დაინტერესებულია საფრანგეთ-გერმანიის მრეწველობის დაფინანსებით, მისი ყველაზე რაციონალური გამოყენებით, მაგალითად, ისე, რომ მოხდეს საფრანგეთის მეტალურგიის კომბინაცია გერმანიის ქვანახშირის მრეწველობასთან. არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ ამერიკის კაპიტალი გამოიყენებს თავის უპირატესობას სწორედ ამ, მისთვის ყველაზე ხელსაყრელი, მიმართულებით. მაგრამ იმის ფიქრი, რომ ინგლისი ასეთ მდგომა-

რეობას შეურიგდება, — ნიშნავს, რომ არ იცნობდე ინგლისს, არ იცოდე, რარიგ უფრთხილდება ინგლისი თავისი მეტალურგიული მრეწველობის ინტერესებს.

ბოლოს, ევროპა იზოლირებული ქვეყანა როდია, ის დაკავშირებულია თავის კოლონიებთან, ის ამ კოლონიების ხარჯზე ცხოვრობს. იმის ფიქრი, რომ კონფერენციას შეუძლია «უკეთესობისაკენ» შეცვალოს რამე ევროპისა და კოლონიების ურთიერთობაში, რომ მას შეუძლია შეაჩეროს ან შეანელოს მათ შორის არსებულ წინააღმდეგობათა განვითარება, — ნიშნავს, რომ სასწაულები გწამდეს.

რა დასკვნა გამომდინარეობს აქედან?

დასკვნა ერთია: ლონდონის კონფერენციამ ვერ გადაჭრა ვერც ერთი ძველი წინააღმდეგობათაგანი ევროპაში, მაგრამ, სამაგიეროდ, დაუმატა მათ ახალი წინააღმდეგობა, წინააღმდეგობა ამერიკასა და ინგლისს შორის. უეჭველია, ინგლისი ძველებურად განაგრძობს საფრანგეთსა და გერმანიას შორის არსებული ანტაგონიზმის გაღრმავებას იმისათვის, რომ უზრუნველყოს თავისი პოლიტიკური უპირატესობა კონტინენტზე. უეჭველია, ამერიკა, თავის მხრით, გააღრმავებს ანტაგონიზმს ინგლისსა და საფრანგეთს შორის იმისათვის, რომ უზრუნველყოს თავისი ჰეგემონია მსოფლიო ბაზარზე. აღარას ვამბობთ უღრმეს ანტაგონიზმზე გერმანიასა და ანტანტას შორის.

მსოფლიო მოვლენებს განსაზღვრავენ ეს ანტაგონიზმები, და არა არამზადა იუზის და ენამოქარგული ერიოს «პაციფისტური» სიტყვები. იმპერიალისტური ქვეყნების უთანაბრო განვითარებისა და იმპერიალისტური ომების გარდუვალობის კანონი ძალაში რჩება ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე. ლონდონის კონფერენცია მხოლოდ ნიღბავს ამ ანტაგონიზმებს იმისათვის, რომ შექმნას ახალი წანამძღვრები მათი არნახული გამწვავებისათვის.

3. რევოლუციური ელემენტების გაძლიერება ევროპის მუშათა მოძრაობაში. საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოპულარობის ზრდა

«პაციფისტურ-დემოკრატიული რეჟიმის» არამყარობის ერთ-ერთ ყველაზე ნამდვილ ნიშნად, იმის ერთ-ერთ ყველაზე უეჭველ ნიშნად, რომ თვით ეს «რეჟიმი» მუშათა კლასის წიაღში მიმდინარე უღრმესი რევოლუციური პროცესების შედეგად ზედაპირზე წარმომდგარი ქაფია, — უნდა ჩაითვალოს გერმანიის, საფრანგეთის, რუსეთის კომპარტიებში რევოლუციური ფრთის გადამწყვეტი გამარჯვება, ინგლისის მუშათა მოძრაობაში მემარცხენე ფრთის აქტივობის ზრდა და, ბოლოს, საბჭოთა კავშირის პოპულარობის ზრდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის მშრომელ მასებში.

დასავლეთში კომპარტიები თავისებურ პირობებში ვითარდებიან. ჯერ-ერთი, ისინი თავისი შემადგენლობით ერთგვაროვანი არ არიან, ვინაიდან შეიქმნენ ყოფილი სოციალ-დემოკრატებისაგან, რომელთაც ძველი სკოლა გაუვლიათ, და პარტიის ახალგაზრდა წევრებისაგან, რომელთაც ჯერ კიდევ არ მიუღიათ საკმარისი რევოლუციური წრთობა. მეორეც, კადრები იქ წმინდა ბოლშევიკური არ არიან, ვინაიდან საპასუხისმგებლო პოსტები უკავიათ სხვა პარტიებიდან გამოსულებს, რომლებიც ჯერ კიდევ საბოლოოდ ვერ განთავისუფლებულან სოციალ-დემოკრატიული ვადმონაშთებისაგან. მესამეც, მათ პირისპირ დგას ისეთი გამოცდილი მოწინააღმდეგე, როგორიც არის ქარსა და ცეცხლში გამოვლილი სოციალ-დემოკრატია, რომელიც ჯერ კიდევ მეტად დიდ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს მუშათა კლასის რიგებში. ბოლოს, მათ თავის წინააღმდეგ ჰყავთ ისეთი მძლავრი მტერი, როგორიც არის ევროპის ბურჟუაზია,

მისი ნაცადი სახელმწიფო აპარატით, მისი ყოვლისშემძლე პრესით. ფიქრი, რომ ასეთ კომპარტიებს შეუძლიათ «დღეს-ხვალ» დაამხონ ევროპის ბურჟუაზიული წყობილება, — სასტიკი შეცდომა იქნება. ამიტომ მორიგი ამოცანა ის არის, რომ დასავლეთის კომპარტიები გავხადოთ ნამდვილ ბოლშევიკურ კომპარტიებად, გამოვჭედოთ მათში ნამდვილი რევოლუციური კადრები, რომელთაც ექნებათ უნარი — გარდაქმნან მთელი პარტიული პრაქტიკა მასების რევოლუციური აღზრდის, რევოლუციის მომზადების ინტერესების მიხედვით.

ასე იყო დასავლეთის კომპარტიების საქმე ჯერ კიდევ ახლო წარსულში. მაგრამ უკანასკნელ ნახევარ წელიწადში იწყება საქმის შეცვლა უკეთესობისაკენ. უკანასკნელი ნახევარი წელიწადი ღირსშესანიშნავია იმ მხრივ, რომ იგი გვაძლევს ძირეულ გარდატეხას დასავლეთის კომპარტიების ცხოვრებაში სოციალ-დემოკრატიული გადმონაშთების ლიკვიდაციის აზრით, პარტიული კადრების ბოლშევიზაციის აზრით, ოპორტუნისტული ელემენტების იზოლაციის აზრით.

თუ რა საფრთხეს შეიძლება წარმოადგენდეს რევოლუციისათვის სოციალ-დემოკრატიული გადმონაშთები კომპარტიებში, — ეს თვალნათლივ გამოააშკარავა საქსონიის მუშათა მთავრობის [60] მწარე გამოცდილებამ, როდესაც ოპორტუნისტი ლიდერები შეეცადნენ — ერთიანი ფრონტის იდეა, როგორც საშუალება მასების რევოლუციური მობილიზაციისა და ორგანიზაციისა, გადაექციათ სოციალ-დემოკრატიული საპარლამენტო კომბინაციების მეთოდად. ეს იყო შემობრუნების პუნქტი, რომელმაც თვალი აუხილა პარტიულ მასებს და ოპორტუნისტი ბელადების წინააღმდეგ აამხედრა ისინი.

მეორე საკითხად, რომელმაც მემარჯვენე ლიდერების ავტორიტეტი დასცა და სცენაზე ახალი, რევოლუციური ბელადები გამოიყვანა, — უნდა ჩაითვალოს, ეგრეთწოდებული, «რუსეთის» საკითხი, ე. ი. დისკუსია რუსეთის კომპარტიაში (ბ). ცნობილია, რომ ბრანდლერის ჯგუფმა გერმანიაში და სუვარინის ჯგუფმა [61] საფრანგეთში გადაჭრით მხარი დაუჭირეს ოპორტუნისტულ ოპოზიციას რუსეთის კომპარტიაში (ბ) ამ პარტიის ძირითადი კადრების წინააღმდეგ, მისი რევოლუციური უმრავლესობის წინააღმდეგ. ეს იყო გამოწვევა დასავლეთის მუშათა რევოლუციური მასების მიმართ, რომელნიც გარკვევით თანაუგრძნობენ საბჭოთა ხელისუფლებას და მის ხელმძღვანელს — რუსეთის კომპარტიას (ბ). ეს იყო გამოწვევა დასავლეთის კომპარტიების პარტიული მასებისა და რევოლუციური ფრთის მიმართ. გასაკვირალი არ არის, რომ ეს გამოწვევა ბრანდლერის და სუვარინის ჯგუფების სრული განადგურებით გათავდა. გასაკვირალი არ არის, რომ ამ საქმემ თავისი გამოძახილი პოვა დასავლეთის ყველა დანარჩენ კომპარტიაში. თუ ამას დავუმატებთ რუსეთის კომპარტიაში (ბ) ოპორტუნისტული მიმდინარეობის სრული იზოლაციის ფაქტს, სურათი დამთავრებული გამოვა. კომინტერნის V კონგრესმა [62] მხოლოდ განამტკიცა რევოლუციური ფრთის გამარჯვება კომინტერნის ძირითად სექციებში.

უეჭველია, რომ ოპორტუნისტი ბელადების შეცდომებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს დასავლეთის კომპარტიების ბოლშევიზაციის დაჩქარების საქმეში. მაგრამ ასევე უეჭველია ისიც, რომ აქ მოქმედებდნენ სხვა, უფრო ღრმა მიზეზებიც: კაპიტალის წარმატებითი შეტევა უკანასკნელ წლებში, მუშათა კლასის ცხოვრების პირობების გაუარესება, უმუშევართა ვეებერთელა არმიის არსებობა, კაპიტალიზმის საერთო ეკონომიური მერყეობის მდგომარეო-

ბა, მუშათა ფართო მასებში რევოლუციური აღშფოთების ზრდა. მასები რევოლუციისაკენ მიდიან, და მათ სურთ, რომ რევოლუციური ბელადები ჰყავდეთ.

დასკვნა. პროცესი დასავლეთში ნამდვილად ბოლშევიკური პარტიების **საბოლოოდ** ჩამოყალიბებისა, პარტიების, რომელნიც ევროპის მომავალი რევოლუციის დასაყრდენს წარმოადგენენ, — ეს პროცესი **დაიწყო**. ასეთია უკანასკნელი ნახევარწლის შედეგი.

კიდევ უფრო მძიმე და თავისებურია დასავლეთში პროფესიული კავშირების განვითარების პირობები.

ჯერ-ერთი, ისინი ვიწრონი არიან თავიანთი «ნაცადი» ამქრული პრაქტიკით და მტრულად არიან განწყობილნი სოციალიზმისადმი, ვინაიდან ისინი სოციალისტურ პარტიებზე უფრო ადრე აღმოცენდნენ, მათ დაუხმარებლად განვითარდნენ და ამიტომ შეეჩვივნენ იმას, რომ იყოყოჩონ თავიანთი «დამოუკიდებლობით», ამქრულ ინტერესებს კლასობრივ ინტერესებზე მაღლა აყენებენ და ოღონდ კი «ცოტა რამეს გამორჩნენ» — და სხვა არა უნდათ რა.

მეორეც, ისინი კონსერვატიული არიან თავიანთი სულისკვეთებით და მტრულად არიან განწყობილნი ყოველგვარი რევოლუციური წამოწყებისადმი, ვინაიდან მათს სათავეში დგას ძველი, მოსყიდული პროფკავშირული ბიუროკრატია, რომელსაც ბურჟუაზია ნასუფრალით უმასპინძლდება და რომელიც მუდამ მზად არის — იმპერიალიზმის მსახურად დააყენოს პროფკავშირები.

ბოლოს, ისინი, ეს პროფკავშირები, ამსტერდამის რეფორმისტების გარშემო გაერთიანებულნი, წარმოადგენენ რეფორმიზმის სწორედ იმ მრავალმილიონიან არმიას, რო-

მელსაც თანამედროვე კაპიტალისტური წყობილება ეყრდნობა.

რასაკვირველია, ამსტერდამის რეაქციულ კავშირებს გარდა, არსებობენ კიდევ რევოლუციური კავშირები, რომელნიც პროფინტერნს [63] ემხრობიან. მაგრამ, ჯერ-ერთი, რევოლუციური კავშირების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც არ სურს გათიშვა მოახდინოს პროფესიულ მოძრაობაში, ამსტერდამის გაერთიანების [64] შემადგენლობაში რჩება და მის დისციპლინას ემორჩილება; მეორეც, ევროპის გადამწყვეტ ქვეყნებში (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია) ამსტერდამელები ჯერ კიდევ მუშების უმრავლესობას წარმოადგენენ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამსტერდამი აერთიანებს არა ნაკლებ, ვიდრე თოთხმეტ მილიონ პროფესიულად ორგანიზებულ მუშას. ფიქრი იმაზე, რომ შეიძლებოდეს ევროპაში პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვება ამ მრავალი მილიონი მუშის ნება-სურვილის **წინააღმდეგ**, — ნიშნავს სასტიკ შეცდომას, ნიშნავს იმას, რომ ასცდე ლენინიზმის ნიადაგს და აუცილებელი დამარცხება განიმზადო. ამიტომ ამოცანა ის არის, რომ რევოლუციისა და კომუნიზმის მხარეზე გადმოვიყვანოთ ეს მილიონიანი მასები, გავათავისუფლოთ ისინი რეაქციული პროფკავშირული ბიუროკრატიის გავლენისაგან ან, ყოველ შემთხვევაში, მივაღწიოთ იმას, რომ კომუნიზმის მიმართ მათ კეთილმოსურნე ნეიტრალიტეტის პოზიცია დაიკავონ.

ასეთი იყო ვითარება უკანასკნელ დრომდე. მაგრამ უკანასკნელ წლებში სურათი უკეთესობისაკენ იცვლება. კარჩაკეტილი და რეაქციული პროფკავშირების სამშობლო არის ინგლისი, რომელიც ერთ დროს სამრეწველო-კაპიტალისტური ჰეგემონი იყო მსოფლიო ბაზარზე. ამ მონოპოლიის დაცემა დაკავშირებულია ფინანსური კაპიტალის განვითა-

რებასთან, რომელსაც ახასიათებს მთელი რიგი უდიდესი ქვეყნების ბრძოლა კოლონიური მონოპოლიისათვის. კაპიტალიზმის იმპერიალისტურ ფაზას მოსდევს **ტერიტორიის** გაფართოება ვიწრო რეაქციული პროფკავშირებისათვის, მაგრამ იგივე ფაზა ავიწროებს მათს მატერიალურ ბაზას, ვინაიდან იმპერიალისტური ზემოგება წარმოადგენს მთელი რიგი ქვეყნების ბრძოლის ობიექტს, ხოლო კოლონიები სულ უფრო ნაკლებ არიან განწყობილნი, რომ კოლონიების როლში დარჩნენ. არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე, რომ ომმა თვალსაჩინოდ დასცა ევროპის წარმოება. ცნობილია, რომ ევროპის წარმოების საერთო ჯამი ახლა ომამდელი წარმოების 70%-ზე მეტს არ შეადგენს. აქედან — წარმოების შემცირება და კაპიტალის წარმატებითი შეტევა მუშათა კლასზე. აქედან — ხელფასის შემცირება, 8-საათიანი სამუშაო დღის ფაქტიური გაუქმება და მთელი რიგი, მარცხით დამთავრებული, თავდაცვითი გაფიცვები, რომლებმაც ერთხელ კიდევ ცხადყვეს პროფკავშირული ბიუროკრატიის ღალატი მუშათა კლასისადმი. აქედან — კოლოსალური უმუშევრობა და მუშებში რეაქციული პროფკავშირებით უკმაყოფილების ზრდა. აქედან — იდეა ერთიანი ფრონტისა მუშათა კლასის ეკონომიური ბრძოლის დარგში და გეგმა ორი პროფკავშირული ინტერნაციონალის გაერთიანებისა ერთიან ინტერნაციონალად, რომელიც შესძლებს მოაწყოს კაპიტალის შეტევის მოგერიება. რეფორმისტების სიტყვები ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესზე ვენაში (1924 წ. ივნისი) «რუსეთის» კავშირებთან მოლაპარაკების შესახებ და ინგლისის პროფკავშირების მოწოდება ტრედ-უნიონების კონგრესზე (1924 წ. სექტემბრის დამდეგს) პროფესიული კავშირების ერთიანობისაკენ — მხოლოდ გამოხატულებაა რეაქციულ პროფკავშირულ ბიუროკრატიაზე მასების თანდათან გაძლიერებული იერიშებისა. ყველაზე

საგულისხმო მოვლენად ყოველივე ამაში უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ სწორედ ინგლისის კავშირები, რომელნიც კონსერვატიზმის ბუდეს და ამსტერდამის ძირითად ბირთვს წარმოადგენენ, თვითონ კისრულობენ თაოსნობას რეაქციული და რევოლუციური პროფკავშირების გაერთიანების საქმეში. ინგლისის მუშათა მოძრაობაში მემარცხენე ელემენტების გაჩენა ყველაზე ნამდვილი მაჩვენებელია, რომელიც გვეუბნება, რომ «მათ იქ» — ამსტერდამში — ყველაფერი რიგზე არა აქვთ.

ზოგი ფიქრობს, რომ კამპანია კავშირების გაერთიანების შესახებ საჭიროა სწორედ ახლა, რადგან ამსტერდამში გაჩნდნენ მემარცხენე ელემენტები, რომელთაც **უთუოდ** მხარი უნდა დავუჭიროთ **მთელი** ძალღონით, **ყველა** საშუალებით. ეს არაა სწორი, ან — უფრო ზუსტად — ეს სწორია მხოლოდ ნაწილობრივ. საქმე ის არის, რომ დასავლეთის კომპარტიები მასობრივი ორგანიზაციები ხდებიან, ისინი იქცევიან ნამდვილ ბოლშევიკურ პარტიებად, ისინი იზრდებიან და ძალაუფლების საჭისაკენ მიდიან მუშათა ფართო მასების უკმაყოფილების ზრდასთან ერთად, საქმე, მაშასადამე, პროლეტარული რევოლუციისაკენ მიდის. მაგრამ ბურჟუაზიის დამხობა არ შეიძლება, თუ მას არ წავართვით დასაყრდენი რეაქციული ამსტერდამის სახით, დიქტატურის დაპყრობა არ შეიძლება, თუ ეს ბურჟუაზიული ციხე-სიმაგრე ამსტერდამში არ დავიპყარით და რევოლუციის მხარეზე არ დავაყენეთ. მაგრამ ამის განხორციელება ცალმხრივი, გარედან მუშაობით არ შეიძლება. ამ მიზნის მიღწევა ახლანდელ მომენტში შეიძლება მხოლოდ კომბინირებული მუშაობით — შიგნიდან და გარედან — პროფესიული მოძრაობის ერთიანობის უზრუნველყოფის ხაზით. აი რატომ არის, რომ საკითხი კავშირების გაერთიანებისა და საერთაშორისო საწარმოო გაერთიანებებში შესვ-

ლისა სასიცოცხლო საკითხად ხდება. რასაკვირველია, მემარცხენეებს მხარი უნდა დავუჭიროთ და წინ წავუბიძგოთ. მაგრამ მემარცხენეებისათვის ნამდვილი მხარდაჭერა გამოვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რევოლუციური კავშირების დროშა არ დაიკეცება, თუ ამსტერდამის რეაქციულ ლიდერებს გაამათრახებენ მათი ღალატისა და გამთიშველობისათვის, თუ მემარცხენე ლიდერებს გააკრიტიკებენ მათი ორჭოფობისა და გაუბედაობისათვის რეაქციულ ლიდერებთან ბრძოლაში. მხოლოდ ასეთ პოლიტიკას შეუძლია პროფკავშირთა ნამდვილი გაერთიანების მომზადება. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ ისეთივე სურათი, როგორიც შეიქმნა გერმანიაში გასული წლის ოქტომბერში, როდესაც ლევის მემარცხენე ჯგუფი [65] წარმატებით გამოიყენა რეაქციულმა მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიამ გერმანიის რევოლუციური მუშების გარემოცვისათვის.

დასასრულ, საბჭოთა კავშირის პოპულარობის ზრდაზე ბურჟუაზიული სახელმწიფოების ხალხთა შორის. შესაძლოა, «პაციფისტურ-დემოკრატიული რეჟიმის» არამყარობის ყველაზე უტყუარ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს ის უეჭველი ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის გავლენა და ავტორიტეტი დასავლეთისა და აღმოსავლეთის მშრომელ მასებში არა თუ არ სუსტდება, არამედ, პირიქით, ყოველწლობით, ყოველთვეობით იზრდება. ლაპარაკია არა იმაზე, რომ საბჭოთა კავშირს «ცნობენ» მთელ რიგ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში. თავისთავად ეს «ცნობა» ჯერ კიდევ არ წარმოადგენს განსაკუთრებულ მოვლენას, ვინაიდან ის ნაკარნახევია, ჯერ-ერთი, კაპიტალისტური კონკურენციის მოთხოვნილებებით ბურჟუაზიულ ქვეყნებს შორის, რომელნიც ისწრაფიან «თავიანთი ადგილი» დაიკავონ საბჭოთა კავში-

რის ბაზარზე, მეორეც, — პაციფიზმის «პროგრამით», რომელიც მოითხოვს «ნორმალური ურთიერთობის» დამყარებას საბჭოთა ქვეყანასთან, საბჭოთა კავშირთან რაიმე «ხელშეკრულების» ხელმოწერას მაინც. ლაპარაკია იმაზე, რომ ახლანდელმა «დემოკრატებმა» და «პაციფისტებმა» დაამარცხეს თავიანთი ბურჟუაზიული კონკურენტები საპარლამენტო არჩევნებში საბჭოთა კავშირის «ცნობის» პლატფორმის **წყალობით,** რომ მაკდონალდები და ერიოები ხელისუფლების სათავეში მოექცნენ და შეუძლიათ ხელისუფლების სათავეში დარჩნენ იმის **წყალობით,** სხვათა შორის, რომ ისინი ლაქლაქობენ «რუსეთთან მეგობრობაზე», რომ ამ «დემოკრატების» და «პაციფისტების» ავტორიტეტი არის ანარეკლი შუქი საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტისა ხალხის მასებში. დამახასიათებელია, რომ თვით ისეთი, ყველასათვის ცნობილი, «დემოკრატიც» კი, როგორიც მუსოლინია, საჭიროდ თვლის ხშირად თავი მოაწონოს მუშებს თავისი «მეგობრობით» საბჭოთა ხელისუფლებასთან. არა ნაკლებ დამახასიათებელია, რომ თვით ისეთი, ყველასათვის ცნობილი, წამგლეჯნი სხვისი დოვლათისა, როგორიც იაპონიის დღევანდელი მმართველები არიან, იძულად ვერ წასულან საბჭოთა კავშირთან «მეგობრობის» გარეშე. აღარაფერს ვამბობთ საბჭოთა ხელისუფლების კოლოსალურ ავტორიტეტზე თურქეთის, სპარსეთის, ჩინეთის, ინდოეთის ხალხთა მასებში.

რით უნდა ავხსნათ ეს გაუგონარი ავტორიტეტი და ეს უჩვეულო პოპულარობა უცხო სახელმწიფოების ხალხთა მასებში ისეთი «დიქტატორული» და რევოლუციური ხელისუფლებისა, როგორიც საბჭოთა ხელისუფლებაა?

ჯერ-ერთი, მუშათა კლასის სიძულვილით კაპიტალიზმისადმი და მისი მისწრაფებით — განთავისუფლდეს მის-

გან. ბურჟუაზიული სახელმწიფოების მუშები თანაუგრძნობენ საბჭოთა ხელისუფლებას, უწინარეს ყოვლისა, როგორც ისეთ ხელისუფლებას, რომელმაც კაპიტალიზმი დაამხო. ინგლისის რკინიგზელთა წარმომადგენელმა, საკმაოდ ცნობილმა ბრომლეიმ, ამას წინათ თქვა ტრედ-უნიონების კონგრესზე:

«კაპიტალისტებმა იციან, რომ მთელი მსოფლიოს მუშების თვალი მიპყრობილია რუსეთისაკენ და რომ თუ რუსეთის რევოლუციამ გაიმარჯვა, სხვა ქვეყნების შეგნებული მუშები ჰკითხავენ თავის თავს, — რატომ ჩვენც არ შეგვიძლია ასევე მოვსპოთ კაპიტალიზმიო?».

ბრომლეი, რა თქმა უნდა, ბოლშევიკი არ არის. მაგრამ ის, რაც მან თქვა, ევროპის მუშების ფიქრთა და გულის წადილთა გამოხატულებას წარმოადგენს. ვინაიდან, მართლაცდა, რატომ არ უნდა დაამხო ევროპის კაპიტალიზმი, თუ «რუსები» აგერ უკვე მეშვიდე წელიწადია საქმისათვის სასარგებლოდ იოლად მიდიან უკაპიტალისტებოდ? აი სად არის წყარო საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი პოპულარობისა მუშათა კლასის ფართო მასებში. ამიტომ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოპულარობის ზრდა ნიშნავს იმას, რომ იზრდება ყველა ქვეყნის მუშათა კლასის სიძულვილი კაპიტალიზმისადმი.

მეორეც, ხალხის მასების სიძულვილით ომისადმი და მათი მისწრაფებით — ჩაფუშონ ბურჟუაზიის სამხედრო წამოწყებანი. ხალხის მასებმა იციან, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ პირველმა დაიწყო იერიში იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ და, იერიში რომ დაიწყო, ძირი გამოუთხარა ომს. ხალხის მასები ხედავენ, რომ საბჭოთა კავშირი არის ერთადერთი ქვეყანა, რომელიც აწარმოებს ბრძოლას ახალი ომის წინააღმდეგ. ისინი თანაუგრძნობენ საბჭოთა ხელისუფლებას იმიტომ, რომ ის არის ხალხთა შორის მშვი-

დობიანობის მედროშე და საიმედო ბურჯი ომის წინააღმდეგ. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების საერთაშორისო პოპულარობის ზრდა მოწმობს იმას, რომ იზრდება მთელი მსოფლიოს ხალხთა მასების სიძულვილი იმპერიალისტური ომისადმი და მისი ორგანიზატორებისადმი.

მესამეც, დამოკიდებული ქვეყნებისა და კოლონიების ჩაგრული მასების სიძულვილით იმპერიალიზმის უღლისადმი, მათი მისწრაფებით — დაამსხვრიონ ეს უღელი. საბჭოთა ხელისუფლება არის ერთადერთი ხელისუფლება, რომელმაც დაამსხვრია «თავისი ქვეყნის» იმპერიალიზმის ბორკილები. საბჭოთა კავშირი არის ერთადერთი ქვეყანა, რომელიც აშენებს თავის ცხოვრებას ერთა თანასწორობისა და თანამშრომლობის საფუძველზე. საბჭოთა მთავრობა არის ერთადერთი მთავრობა მსოფლიოში, რომელიც ბოლომდე იცავს თურქეთისა და სპარსეთის, ავღანეთისა და ჩინეთის, მთელი მსოფლიოს კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ერთიანობასა და დამოუკიდებლობას, თავისუფლებასა და სუვერენობას. ჩაგრული მასები თანაუგრძნობენ საბჭოთა კავშირს იმიტომ, რომ ისინი ხედავენ მასში მოკავშირეს იმპერიალიზმისაგან განთავისუფლების საქმეში. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების საერთაშორისო პოპულარობის ზრდა ნიშნავს იმას, რომ იზრდება მთელი მსოფლიოს ჩაგრული ხალხების სიძულვილი იმპერიალიზმისადმი.

ასეთია ფაქტები.

არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ ეს **სამგვარი სიძულვილი** ხელს არ შეუწყობს თანამედროვე იმპერიალიზმის «პაციფისტურ-დემოკრატიული რეჟიმის» განმტკიცებას.

ამ დღეებში ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა, «პაციფისტმა» და კოლჩაკელმა — იუზმა, გამოსცა შავ-

რაზმული დეკლარაცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეჭვი არ არის, პუანკარეს მიერ მოხვეჭილი სახელი მოსვენებას არ აძლევს იუზს. მაგრამ არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ იუზის შავრაზმულ-პაციფისტური დეკლარაცია მხოლოდ ხელს შეუწყობს მთელი მსოფლიოს მშრომელ მასებში საბჭოთა კავშირის გავლენისა და ავტორიტეტის შემდგომ გაძლიერებას.

ასეთია ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობის დამახასიათებელი ძირითადი მომენტები.

«ბოლშევიკ» № 11,
1924 წ. 20 სექტემბერი.

ხელმოწერა: ი. სტალინი.

პარტიის მოკრიბი ამოცანების შესახებ სოფლად

სიტყვა სასოფლო-უჯრედთა მდივნების თათბირზე რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან[66]

1924 წ. 22 ოქტომბერი

ადგილების წარმომადგენელთა მოხსენებების ნაკლოვანებანი

ამხანაგებო! მე მინდა უწინარეს ყოვლისა შევჩერდე იმ ანგარიშების ნაკლზე, რომლებიც აქ იყო მოსმენილი. ვფიქრობ, ძირითადი ნაკლი იყო ორი.

პირველი ნაკლი ის არის, რომ დელეგატები სულ მუშაობის წარმატებებზე ლაპარაკობდნენ, ხოლო სოფლად ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებანი — ეს ნაკლოვანებანი კი აუარებელია — თითქმის არც უხსენებიათ. ანგარიშობდნენ სტატუს, ვინ როდის დაიბადა, რამდენი წევრია უჯრედში და სხვა, ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებზე კი თითქმის არაფერი უთქვამთ. ამავე დროს სოფლად ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებათა საკითხი ჩვენი პრაქტიკის ძირითადი საკითხია. ამიტომ ანგარიშებს — ბოდიშს ვიხდი ამ გამოთქმისათვის — რამდენადმე კაზიონურობის ელფერი გადაჰკრავდა. გარედან შემოსწრებულ ყოველ მსმენელს შეეძლო ეფიქრნა — აი მოვიდნენ ადამიანები, რათა ანგარიში ჩააბარონ ცენტრალურ კომიტეტს, და თქვეს: «მუშაობა დამაკ-

მაყოფილებლად მიდისო», ან «ყველაფერი რიგზეაო». ეს არ ვარგა, ამხანაგებო, ვინაიდან ყველამ ვიცით, — ჩვენც და თქვენც, — რომ სრული წესრიგი მუშაობაში არა გვაქვს — არც თქვენ, ადგილებზე, არც ჩვენ, ცენტრალურ კომიტეტში.

ანგარიშების მეორე ნაკლი ის არის, რომ იქ ლაპარაკია, უმთავრესად, თვით უჯრედებზე, მათს განწყობილებებზე, ხოლო მილიონობით უპარტიო გლეხების განწყობილება რატომღაც გამორჩენილია. კომუნისტები, თურმე, ყველაზე მეტად თავის თავზე ფიქრობენ: როგორ მიმდინარეობს მათი შინაგანი ცხოვრება, რამდენი ლექციაა წაკითხული, რა პროპაგანდას ეწევიან და სხვ. კომუნისტები, თურმე, სულ უფრო მეტად თავის თავს შესცქერიან და ივიწყებენ, რომ მათ გარს არტყია უპარტიოთა ოკეანე, რომელთა დაუხმარებლად უჯრედების მთელი მუშაობა შეიძლება ფუჭ თითხნად გადაიქცეს. როგორია ურთიერთობა პარტიულ ორგანიზაციებსა და უპარტიო მასას შორის, — ამაზე არაფერი, ან თითქმის არაფერი უთქვამთ. არ შეიძლება მარტო შენს თავს უცქეროდე. უნდა უცქეროდე, უწინარეს ყოვლისა, მილიონობით უპარტიო გლეხებს, სწავლობდე მათს საჭიროებებსა და სურვილებს, ანგარიშს უწევდე მათს მოთხოვნილებებსა და განწყობილებას. აქედან — ანგარიშების სიმშრალე და ერთგვარი ბიუროკრატიულობა.

აი ეს ორი ძირითადი ნაკლი მინდოდა აღმენიშნა იმისათვის, რომ ამხანაგებმა ეს ცნობად მიიღონ.

კვლავ ბოდიშს ვიხდი, ამხანაგებო, იმ სიმართლისათვის, რაც გითხარით. მაგრამ ძალიან გთხოვთ, თქვენც გვითხრათ სიმართლე ყველა ნაკლსა და შეცდომაზე ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში.

ახლა კი საქმეს შევუდგეთ.

პარტიის მთავარი ნაკლია პარტიული მუშაობის სისუსტე სოფლად

რაში მდგომარეობს ჩვენი პარტიის ძირითადი ნაკლი დღევანდელ მომენტში, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, როცა გლეხობის პოლიტიკური აქტივობა გაძლიერდა, და როცა პარტიას გაცილებით მეტი მოეთხოვება, ვიდრე, ვთქვათ, ორი წლის წინათ?

ჩვენი პარტიის ძირითადი ნაკლი არის ჩვენი პარტიული მუშაობის სისუსტე სოფლად, მისი მოუწესრიგებლობა, მისი არასახარბიელო მდგომარეობა. საიდან წარმოსდგა ეს სისუსტე? რით ავხსნათ ის ფაქტი, რომ პარტიული მუშაობა ქალაქად გაქანებით მიმდინარეობს, ხოლო სოფლად იგი ორივე ფეხით კოჭლობს? განა სოფლის მეურნეობა არ ვითარდება? განა გლეხების მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა ამ ორი წლის განმავლობაში სასურსათო გაწერის გაუქმების შემდეგ? განა მრეწველობის ზრდა და ქალაქის ნაკეთობათა მიწოდება არ აადვილებს გლეხთა მდგომარეობას? განა მტკიცე ვალუტამ არ შეამსუბუქა გლეხთა მდგომარეობა? საიდანღაა ეს სისუსტე ჩვენი პარტიული მუშაობისა სოფლად? ამ კითხვაზე რომ ვუპასუხოთ, ამისათვის საჭიროა პირველ ყოვლისა გადავჭრათ მეორე კითხვა: საიდან წარმოსდგება ჩვენი პარტიის ძალა ქალაქად?

რაშია ჩვენი პარტიის ძალა ქალაქად?

ამრიგად, რაშია ჩვენი პარტიის ძალა ქალაქად? ჩვენი პარტიის ძირითადი ძალა არის ის, რომ ქალაქებში პარტიას თავის ირგვლივ ჰყავს **მუშებისაგან** შემდგარი უპარტიო აქტივის ფართო წრე რამდენიმე ასეული ათასი კაცის რაოდენობით, — აქტივის, რომელიც წარმოადგენს ხიდს პარტიასა და მუშათა კლასის მრავალმილიონიან მასებს შორის.

ჩვენი პარტიის ძალა ქალაქად არის ის, რომ პარტიასა და მუშათა მრავალმილიონიან მასას შორის კედელი როდია აღმართული, არამედ გადებულია შემაერთებელი ხიდი მუშათა მასის რამდენიმე ასეული ათასი კაცისაგან შემდგარი უპარტიო აქტივის სახით. პარტია ამ აქტივიდან იღებს ძალებს. ამ აქტივის მეშვეობით ჭედავს იგი მასების ნდობას მისდამი. თქვენ გაგონილი გექნებათ, რომ ნახევარი წლის წინათ ჩვენს პარტიას შეემატა 200 ათასზე მეტი მუშა. საიდან მოვიდნენ ისინი? უპარტიოთა აქტივიდან, რომელიც ნდობის ატმოსფეროს ქმნის ჩვენი პარტიის გარშემო, აკავშირებს მას დანარჩენ უპარტიო მასასთან. მაშასადამე, უპარტიოთა აქტივი წარმოადგენს არა მარტო შემაერთებელ ხიდს, არამედ უმდიდრეს რეზერვუარსაც, საიდანაც ჩვენი პარტია ახალ ძალებს იღებს. ასეთი აქტივის გარეშე ჩვენი პარტიის განვითარება შეუძლებელი იქნებოდა. პარტია იზრდება და მტკიცდება, თუ მის გარშემო იზრდება და მტკიცდება უპარტიოთა აქტივის ფართო ფენა. პარტია ძაბუნდება და ჩიავდება, თუ ასეთი აქტივი არ არსებობს.

რაშია სოფლად ჩვენი მუშაობის სისუსტე?

ამრიგად, რაში მდგომარეობს სოფლად ჩვენი პარტიული მუშაობის სისუსტე?

იმაში, რომ პარტიას არა ჰყავს სოფლად ფართო ფენა უპარტიო აქტივისა **გლეხთაგან**, რომელიც შესძლებდა დაეკავშირებინა პარტია ჩვენი ქვეყნის მშრომელი გლეხობის ათეულ მილიონებთან.

როგორაა აგებული საქმე სოფლებში? არის სოფლებში პარტიული უჯრედების წვრილი ძაფი. შემდეგ არის ასეთივე წვრილი ძაფი უპარტიო გლეხებისა, რომელნიც პარტიას თანაუგრძნობენ. ამას კი მოსდევს უპარტიობის ოკეანე,

ათეულმილიონობით გლეხები, რომლებსაც არ აკავშირებს და ვერც დააკავშირებს პარტიასთან უპარტიო აქტივის წვრილი ძაფი. არსებითად, სწორედ ამით აიხსნება, რომ ეს ძაფი ვერ სძლებს, ხშირად წყდება, და შემაერთებელი ხიდის ნაცვლად ზოგჯერ იქმნება ყრუ კედელი პარტიასა და უპარტიო მასებს შორის სოფლად.

ძირითადი ამოცანაა — შევქმნათ პარტიის გარშემო აქტივი გლეხთაგან

ამიტომ ჩვენი პარტიის ძირითადი ამოცანა სოფლად ის არის, რომ შევქმნათ მრავალრიცხოვანი უპარტიო აქტივი გლეხთაგან რამდენიმე ასეული ათასი კაცის რაოდენობით, — აქტივი, რომელიც შესძლებს შეაერთოს პარტია ათეულმილიონობით მშრომელ გლეხებთან. ამხანაგებო! **ან** ჩვენ შევქმნით ასეთ აქტივს და ამით გავათანასწორებთ ჩვენი პარტიის მდგომარეობას სოფლად მის მდგომარეობასთან ქალაქად, და მაშინ არავითარი საკითხი და არავითარი სიძნელე საშიში არ იქნება; **ანდა** ჩვენ ასეთ აქტივს ვერ შევქმნით, და მაშინ მთელი ჩვენი მუშაობა სოფლად ორივე ფეხით იკოჭლებს. ამაშია ახლა მთელი ჩვენი მუშაობის სიმძიმის ცენტრი. თუ არ იქნა ასეთი აქტივი, უთუოდ მრავალრიცხოვანი და უთუოდ **ნამდვილ** გლეხთაგან შემდგარი, — ჩვენი პარტია სოფლად ქრონიკულ სისუსტეს ვერ ასცდება. რა თქმა უნდა, ეს საქმე ძნელია, და ერთ წელიწადში ასეთ აქტივს ვერ შექმნი. მაგრამ ის უნდა შევქმნათ, და რაც უფრო მალე დავიწყებთ მის შექმნას, მით უკეთესი იქნება.

უნდა გამოვაცოცხლოთ საბჭოები

მაგრამ როგორ შევქმნათ ეს აქტივი? როგორ მივაღწიოთ ამ ამოცანის გადაწყვეტას? ფიქრი, რომ ამის მიღწევა შეიძლება სიტყვიერი პროპაგანდის გზით, ისე, რომ წიგ-

ნი გეჭიროს ხელში, — ნიშნავს სასტიკ შეცდომას. პარტიის გარშემო გლეხთა უპარტიო აქტივის ფართო ფენის შექმნა შეიძლება მხოლოდ სოფლის პრაქტიკულ საჭიროებათა ირგვლივ მასობრივი მუშაობის მსვლელობაში, სოფლად ფართო საბჭოთა მშენებლობის მსვლელობაში, თემის, რაიონის, მაზრის, გუბერნიის მმართველობის საქმეში გლეხობის ჩაბმის გზით. საბჭოების გამოცოცხლება, მათი ფეხზე დაყენება, საბჭოებში გლეხობის ყველა საუკეთესო ელემენტის ჩაბმა, — ასეთია ის გზა, რომელზედაც შევძლებთ გამოვჭედოთ ფართო აქტივი უპარტიო გლეხთაგან.

ლენინი ამბობდა, რომ საბჭოები არის მუშებისა და გლეხების კავშირის ორგანო, მუშების მხრით გლეხთა მიმართ ხელმძღვანელობის ორგანო. და აი, თუ ჩვენ გვინდა მივაღწიოთ იმას, რომ მშრომელი გლეხობის პოლიტიკური აქტივობა მუშების ხელმძღვანელობას ხელიდან არ გაუსხლტეს, ყოველი ზომა უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ გლეხობა ჩავაბათ საბჭოებში, რომ გამოვაცოცხლოთ და ფეხზე დავაყენოთ საბჭოები, რომ გლეხობის პოლიტიკურ აქტივობას გასაქანი მიეცეს ქვეყნის მმართველობის საქმეში გლეხთა აუცილებელი მონაწილეობის გზით. მხოლოდ ამგვარი მუშაობის მსვლელობაში შესძლებს გლეხობა გამოყოს უპარტიოთა აქტივის ფართო კადრები. მხოლოდ ასეთი აქტივიდან შეუძლია პარტიას შეარჩიოს სოფლად მრავალი ათეული ათასი წევრი პარტიისა.

უნდა შევცვალოთ გლეხობისადმი მიდგომა

მაგრამ საბჭოები რომ გამოვაცოცხლოთ, ყოველივე დანარჩენის გარდა, საჭიროა ერთი პირობაც. ამისათვის აუცილებელია თვით გლეხებისადმი მიდგომის ძირფესვიანად შეცვლა. მერე რაში მდგომარეობს ეს შეცვლა? იმაში, რომ კომუნისტმა ისწავლოს — ისე მიუდგეს უპარ-

ტიოს, როგორც თანასწორი თანასწორს. იმაში, რომ მბრძანებლობა კი არ დავიწყოთ, არამედ გულისხმიერად ვათხოვოთ ყური უპარტიოთა ხმას. იმაში, რომ არა მარტო ვასწავლოთ უპარტიოებს, არამედ კიდევაც ვისწავლოთ მათგან. ხოლო უპარტიოთაგან სასწავლი ბევრი რამ გვაქვს. პარტიულთა და უპარტიოთა შორის ურთიერთობის საკითხი ჩვენი პარტიული პრაქტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხია. ლენინი ამ ურთიერთობას განსაზღვრავს ერთი სიტყვით: ურთიერთნდობა. მაგრამ ნდობა უპარტიო გლეხის მხრით არ შეიძლება გვქონდეს იქ, სადაც არ იციან — ისე მიუდგნენ მას, როგორც თანასწორი თანასწორს. ასეთ შემთხვევებში ნდობის ნაცვლად იქმნება უნდობლობა, თანაც საქმე არა იშვიათად იმით თავდება, რომ პარტიასა და უპარტიოებს შორის აღიმართება ყრუ კედელი, პარტია მოსწყდება ხოლმე მასებს, ხოლო მუშებისა და გლეხების კავშირი გათიშვად იქცევა.

საქართველოში მომხდარი აჯანყების გაკვეთილები

საქმის ასეთი შებრუნების ცოცხალ მაგალითს წარმოადგენს ამასწინანდელი აჯანყება საქართველოში [17]. ჩვენს გაზეთებში წერენ ბუტაფორულ გამოსვლებზე საქართველოში. ეს მართალია, ვინაიდან, საერთოდ, აჯანყება საქართველოში ხელოვნური, არახალხური იყო. მაგრამ ზოგიერთ ადგილას, იმის გამო, რომ კომპარტია ცუდად იყო დაკავშირებული მასასთან, მენშევიკებმა შესძლეს აჯანყებაში ჩაეთრიათ გლეხთა მასის ნაწილი. დამახასიათებელია, რომ ეს ადგილები ყველაზე მეტად გამოირჩევიან კომუნისტური ძალების სიმრავლით. ამ ადგილებში შედარებით ბევრად მეტია კომუნისტები, ვიდრე დანარჩენ ადგილებში. და აი

სწორედ აქ გამორჩათ, აქ გამოეპარათ, აქ ვერ შენიშნეს ჩვენმა ადამიანებმა, რომ გლეხობაში რაღაც დუღილი იყო, რომ გლეხები რაღაცასთვის ემზადებოდნენ, რომ მათში უკმაყოფილება იყო, რომ ეს უკმაყოფილება დღითი-დღე გროვდებოდა, ხოლო პარტიამ ამის შესახებ არაფერი იცოდა. კომუნისტებით ყველაზე მეტად უზრუნველყოფილი ადგილები ყველაზე მეტად მოწყვეტილნი აღმოჩნდნენ უპარტიო გლეხობის განწყობილებათა, ფიქრთა და ზრახვათაგან. აი სად არის საკითხის მთავარი ძარღვი.

როგორ მოხდა ეს შეუსაბამობა? ისე მოხდა, რომ კომუნისტებმა ვერ შესძლეს გლეხებისადმი ლენინურად მიდგომა, ნდობის ატმოსფეროს ნაცვლად მათ ურთიერთუნდობლობის ატმოსფერო შექმნეს და, ამგვარად, მოსწყვიტეს პარტია უპარტიო გლეხებს. საინტერესოა, რომ საქართველოს ერთ-ერთი უაღრესად აქტიური მუშაკი ამ შეუსაბამობას ხსნის საბჭოების სისუსტით ადგილებზე და პარტიის მოწყვეტით უპარტიოთაგან. «უეჭველია, — ამბობს ის, — რომ პირველხარისხოვანი მნიშვნელობის მიზეზი, რის გამოც ჩვენ გამოგვეპარა, რომ გამოსვლა მზადდებოდა, ადგილებზე საბჭოების სისუსტეში უნდა ვეძებოთო». ლენინი ამბობს, რომ საბჭოები გლეხობის განწყობილების ყველაზე უტყუარი ბარომეტრი, ყველაზე უტყუარი მაჩვენებელია. და აი სწორედ ეს ბარომეტრი არ აღმოაჩნდა ხელში კომპარტიას საქართველოს ზოგიერთ მაზრაში.

ამხანაგებო, საქართველოს ამბები საგულისხმო ამბებად უნდა მივიჩნიოთ. ის, რაც საქართველოში მოხდა, შეიძლება მთელ რუსეთში განმეორდეს, თუ ძირფესვიანად არ შევცვლით თვით მიდგომას გლეხობისადმი, თუ არ შევქმნით პარტიასა და უპარტიოებს შორის სრული ნდობის ატმოსფეროს, თუ ყურს არ ვათხოვებთ უპარტიოთა ხმას, ბოლოს, თუ არ გამოვაცოცხლებთ საბჭოებს იმისათვის,

რომ გამოსავალი მივცეთ გლეხობის მშრომელი მასების პოლიტიკურ აქტივობას.

ორში ერთი: **ან** ჩვენ შევძლებთ დავამყაროთ სწორი ლენინური მიდგომა უპარტიო გლეხებისადმი იმისათვის, რომ გლეხობის მზარდი პოლიტიკური აქტივობა საბჭოთა მშენებლობის კალაპოტში მოვაქციოთ და, ამრიგად, უზრუნველვყოთ მუშების მხრით გლეხთა მიმართ ხელმძღვანელობა; **ანდა** ჩვენ ამას ვერ შევძლებთ, და მაშინ მასების პოლიტიკური აქტივობა გვერდს აუხვევს საბჭოებს, თავს გადაევლება საბჭოებს და გამოვლინდება ისეთ ბანდიტურ გამოსვლებად, როგორიც იყო აჯანყება საქართველოში.

ასე დგას საკითხი, ამხანაგებო.

საჭირო გულისხმიერი მიდგომა გლეხობისადმი

იმის დასახასიათებლად, თუ რარიგ უგულო მიდგომას იჩენენ ზოგჯერ გლეხებისადმი, რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვა ანტირელიგიური პროპაგანდის შესახებ. ხანდახან ზოგიერთი ამხანაგი გლეხს უყურებს როგორც ფილოსოფოს-მატერიალისტს და ფიქრობს, რომ საკმარისია ერთი ლექციის წაკითხვა ბუნებისმცოდნეობაში, რათა დავარწმუნოთ გლეხი, რომ ღმერთი არ არსებობს. ამ ამხანაგებს ხშირად არ ესმით, რომ გლეხი ღმერთს უყურებს სარგებლობის თვალსაზრისით, ე. ი. გლეხი ზოგჯერ წინააღმდეგიც არ არის ზურგი შეაქციოს ღმერთს, მაგრამ ხშირად მას ეჭვი ღრღნის: «ვინ იცის, იქნებ ღმერთი მართლაც არსებობს; განა უკეთესი არ იქნება — კომუნისტსაც ვაამო და ღმერთსაც, რომ მეურნეობის საქმე უფრო საიმედო იყოსო». ვინც გლეხის ფსიქოლოგიის ამ თავისებურებას ვერ ითვალისწინებს, მას ვერაფერი ვერ გაუგია პარტიულისა და

უპარტიოს ურთიერთობის საკითხში, მას ვერ გაუგია ის, რომ ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხებში საჭიროა ფრთხილი მიდგომა გლეხის ცრუმორწმუნეობისადმიც კი.

პარტიის ძირითადი ამოცანები

ამრიგად, ჩვენ მივდივართ შემდეგ დასკვნებამდე:

1) სოფლად პარტიული მუშაობის ძირითადი ნაკლი ისაა, რომ პარტიასა და ათეულმილიონობით უპარტიო გლეხობას შორის არ არსებობს უპარტიოთა ფართო აქტივი გლეხთაგან.

2) პარტიის მორიგი ამოცანა ის არის, რომ შექმნას სოფლად პარტიის გარშემო ეს აქტივი, საიდანაც პარტიას შეეძლება ახალი ძალების მიღება.

3) ასეთი აქტივის შექმნა შეიძლება მხოლოდ საბჭოების გამოცოცხლებით და ქვეყნის მმართველობის საქმეში გლეხობის ჩაბმით.

4) საბჭოების გამოსაცოცხლებლად საჭიროა ძირფესვიანად შევცვალოთ უპარტიო გლეხებისადმი მიდგომა, უარი ვთქვათ მბრძანებლობაზე და შევქმნათ პარტიულებსა და უპარტიოებს შორის ურთიერთნდობის ვითარება.

ასეთია პარტიის ამოცანები.

მუშაობის პირობები

არსებობს თუ არა ხელსაყრელი პირობები ამ ამოცანების ცხოვრებაში გასატარებლად? უეჭველია, არსებობს. ასეთი პირობა — მხედველობაში მაქვს მთავარი მათ შორის — სამია.

პირველი. სოფლის ღარიბთა პოლიტიკური აქტივობის ზრდა. ყურადღება უნდა მივაქციოთ სოფლის მეურნეობის განვითარების ზოგიერთ თავისებურებას. მაშინ, როდესაც

მრეწველობის განვითარება ამჟიდროებს მუშებს, სპობს მუშათა კლასის დეკლასირებას და აღადგენს მუშათა კლასს როგორც მთელს, სოფლად, პირიქით, სოფლის მეურნეობის განვითარებას თან სდევს გლეხობის დაშლა, დიფერენციაცია, ორი ბანაკის შექმნა: კულაკების ბანაკისა, რომელნიც ცდილობენ დაიკავონ მბრძანებელი პოზიციები სოფლად, და ღარიბთა ბანაკისა, რომელნიც ეძებენ მოკავშირეებს კულაკის წინააღმდეგ. უეჭველია, საბჭოების გამოცოცხლება გამოსავალს მისცემს სოფლის ღარიბთა თანდათან გაძლიერებულ აქტივობას იმისათვის, რომ შეექმნათ ერთიანი ფრონტი, მუშების მეთაურობით, კულაკის, სპეკულანტის, მევახშის მოძალების წინააღმდეგ.

მეორე. შექმნა ადგილობრივი ბიუჯეტისა, როგორც საბჭოების გამოცოცხლების მატერიალური ფუძისა. თქმა არ უნდა, ბიუჯეტის საკითხებს, გადასახადების აკრეფისა და მათი ხარჯვის წესის საკითხებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ გლეხობისათვის. ამიტომ საბჭოთა მშენებლობაში გლეხობის მონაწილეობას ახლა უფრო მეტად ეძლევა აქტუალური მნიშვნელობა, ვიდრე ოდესმე.

მესამე. დროული დახმარება, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ აღმოუჩინა ჩვენი ქვეყნის დამშეულ რაიონებს. უეჭველია, ამ დახმარებამ შექმნა გლეხობაში საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ნდობის ატმოსფერო. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ეს ატმოსფერო გააადვილებს საბჭოების გამოცოცხლების საქმეს.

მთავარია კავშირის შენარჩუნება მილიონობით უპარტიოებთან

ამგვარად, ჩვენს წინაშე არის არა მარტო ჩვენი პარტიის გარკვეული მორიგი ამოცანები სოფლად, არამედ აგრეთვე მთელი რიგი ხელსაყრელი პირობები, რაც ამ ამო-

ცანების შესრულებას აადვილებს. საკითხი ახლა ის არის, რომ მეტი ერთსულოვნებით შევუდგეთ ამ ამოცანების შესრულებას.

ამასთანავე, უნდა გვახსოვდეს ლენინის უკვდავი სიტყვები იმის შესახებ, რომ ჩვენი პარტიის ძალა მდგომარეობს პარტიასა და უპარტიოთა მრავალმილიონიან მასებს შორის ცოცხალი კონტაქტის შენარჩუნებაში, რომ რაც უფრო ნამდვილია ეს კონტაქტი, მით უფრო მტკიცეა ჩვენი წარმატებანი. ეს სიტყვები მან თქვა ჩვენი პარტიის XI ყრილობაზე. აი ეს სიტყვები:

«ხალხის მასაში ჩვენ (კომუნისტები. ი. სტ.) მაინც **წვეთი ვართ ზღვაში**, და ჩვენ შეგვიძლია მართვა **მხოლოდ** მაშინ, როცა სწორად გამოვხატავთ იმას, რაც ხალხს შეუგნია. უამისოდ კომუნისტური პარტია ვერ გაუძღვება პროლეტარიატს, ხოლო პროლეტარიატი ვერ გაიყოლიებს მასებს, და მთელი მანქანა დაიშლება» * [68].

«პრავდა» № 242,
1924 წ. 23 ოქტომბერი.

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

პარტიის ამოცანების შესახებ სოფლად

სიტყვა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე [69]

1924 წ. 26 ოქტომბერი

ამხანაგებო! რადგან ჩემზე წინ გამოსულმა ამხანაგებმა საკმაოდ დაწვრილებით ილაპარაკეს სოფლად მუშაობის შესახებ, მე უნდა დავჯერდე ზოგიერთ შენიშვნას თანამედროვე მომენტის თავისებურებებზე.

როგორია ახლანდელი მომენტის თავისებურებანი გლეხთა მდგომარეობის თვალსაზრისით?

პირველი თავისებურება ის არის, რომ ძველი კაპიტალი, მორალური კაპიტალი, რაც ჩვენ მემამულისაგან გლეხების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში შევიძინეთ, უკვე ილევა. ზოგიერთი ამხანაგი ამბობს: «რის გამო ატყდა ხმაური გლეხთა შორის მუშაობის შესახებ? ჩვენ უკვე არა ერთხელ გვილაპარაკნია გლეხობაზე, ჩვენ არასოდეს არ დაგვივიწყნია გლეხები, — მაშ საიდან არის ეს ხმაური გლეხობაზეო?». მაგრამ ამ ამხანაგებს, როგორც ჩანს, არ ესმით, რომ ჩვენი პარტიის ძველი მორალური კაპიტალი, რაც დაგროვილია ოქტომბრის პერიოდში და სასურსათო გაწერის გაუქმების პერიოდში, უკვე იშრიტება. მათ არ ესმით ის, რომ დღეს ჩვენ ახალი კაპიტალი გვჭირდება. ჩვენ

უნდა შევქმნათ პარტიისათვის ახალი კაპიტალი ახალი ბრძოლის პირობებში. ჩვენ ხელახლა უნდა მოვიმხროთ გლეხობა. აი ეს არის საკითხი. ის, რომ ჩვენ დავეხმარეთ გლეხს — მემამულენი გადაეგდო და მიწა მიეღო, ის, რომ ომი გავათავეთ, მეფე აღარ არის და მეფესთან ერთად მეფის სხვა მორიელებიც განადგურებული არიან, — ყოველივე ეს გლეხებმა უკვე დაივიწყეს. ამ ძველი კაპიტალით ახლა დიდხანს ვეღარ გასძლებ. ვისაც ეს ვერ გაუგია, მას ვერაფერი გაუგია ახალი ვითარებისა, ახალი ეკონომიური პოლიტიკის ახალი პირობებისა. ჩვენ ხელახლა ვიმხრობთ გლეხობას — ესაა ჩვენი საშინაო მდგომარეობის პირველი თავისებურება.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ ახალი ლაპარაკი გლეხობაზე არა თუ ზედმეტი არ არის, არამედ რამდენადმე დაგვიანებულიცაა.

მეორე თავისებურება ის არის, რომ ამ პერიოდის განმავლობაში შეიცვალნენ ჩვენი ძირითადი კლასები — მუშები და გლეხები, — ისინი სხვანაირი გახდნენ. წინათ პროლეტარიატი დეკლასირებული, დაქსაქსული იყო, ხოლო გლეხობა გამსჭვალული იყო სურვილით — თავის ხელში შეენარჩუნებინა მემამულეთაგან წართმეული მიწა და მოეგო ომი მემამულეთა წინააღმდეგ. ასე იყო წინათ. ახლა სხვა საქმეა. ომი აღარ არის. ინდუსტრია იზრდება. ხოფლის მეურნეობა ვითარდება. ახლანდელი პროლეტარიატი უკვე დეკლასირებული მუშათა კლასი კი აღარ არის, არამედ სისხლსავსე პროლეტარიატია, რომლის კულტურა და მოთხოვნილება დღითი-დღე იზრდება. რაც შეეხება გლეხობას, ის უკვე აღარ არის ძველი, დაბეჩავებული გლეხობა, რომელიც შეპყრობილი იყო შიშით — მიწა არ დავკარგოო, და მზად იყო ყოველგვარი მსხვერპლი გაეღო, ოღონდ კი მემამულისაგან თავი ეხსნა. ეს ახალი

კლასია, თავისუფალი და აქტიური, რომელსაც მემამულე უკვე დაუვიწყნია და რომელიც ახლა იმაზე ზრუნავს, რომ იაფი საქონელი მიიღოს და თავისი პური რაც შეიძლება ძვირად გაყიდოს. მისი დამახასიათებელი თვისებაა მზარდი პოლიტიკური აქტივობა. ახლა უკვე აღარ შეიძლება ლაპარაკი — «პარტია ყველაფერს გაარკვევსო», «პარტია ყველას მაგიერ ყველაფერს მოაწყობსო». ასეთ ლაპარაკს ახლა ვეღარ გაიგებენ ვერც გლეხები, ვერც, მით უფრო, მუშები. ახლა რაც შეიძლება ღრმად უნდა შევიჭრეთ მასებში, ახლა უფრო მეტად უნდა განვუმარტავდეთ, ვუხსნიდეთ, ვარწმუნებდეთ მასებს, ვიდრე ეს იყო წინათ. დღეს ხელახლა უნდა მოვიპოვოთ მილიონობით უპარტიოების ნდობა და განვამტკიცოთ ეს ნდობა ორგანიზაციულად, უწინარეს ყოვლისა საბჭოების საშუალებით. ამას მოითხოვს მასების გაზრდილი პოლიტიკური აქტივობა.

მაგრამ შეიცვალნენ არა მარტო კლასები. შეიცვალა აგრეთვე ბრძოლის ველი, ვინაიდან იგი სხვანაირი, სულ სხვანაირი გახდა. რისთვის მიმდინარეობდა წინათ ბრძოლა? საჭიროა სასურსათო გაწერა თუ არ არის საჭირო? უფრო ადრე საქმე ეხებოდა იმას, საჭიროა მემამულე თუ არ არის საჭირო? ახლა ეს კითხვები უკვე დაძლეულია, ვინაიდან ახლა აღარც მემამულეა, აღარც სასურსათო გაწერა. ახლა საქმე მემამულეს და სასურსათო გაწერას კი არ ეხება, არამედ პურის ფასებს. ეს — ბრძოლის სრულიად ახალი ველია, ვრცელი და მეტად რთული, რომელიც სერიოზულ შესწავლას და სერიოზულ ბრძოლას მოითხოვს. საქმე ახლა გადასახადებიც კი არ არის, ვინაიდან გლეხი მოგვცემდა გადასახადს, პურის ფასი რომ «საკმარისად დიდი» იყოს და მანუფაქტურისა და ქალაქის სხვა ნაწარმის ფასი რომ «საკმარისად» შემცირდეს. ახლა ძირითადი საკითხია ბაზა-

რი და ქალაქის საქონლის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასები.

აი რა მოსწერა ცენტრალურ კომიტეტს გომელის საგუბერნიო კომიტეტის მდივანმა:

«სამ თემში მასობრივად თქვეს უარი შეწერილობის ფურცლების მიღებაზე. გადასახადის შემოტანის ტემპი, იმასთან შედარებით, როგორიც იგი უნდა იყოს, ერთისამად ჩამორჩენილია. ჩატარებული უპარტიო სათემო კონფერენციები იმდენად მღელვარე იყო, რომ ზოგიერთი მათგანის დახურვა მოგვიხდა, ზოგიერთზე კი გაატარეს შესწორება: ეთხოვოს ცენტრს — შეამციროს გადასახადი და გაადიდოს პურის ფასიო. არ ვიცი, რა მდგომარეობაა სხვა გუბერნიებში, მაგრამ ჩვენი გუბერნიის მდგომარეობა არ ემთხვევა იმ დასკვნებს, რასაც თქვენ (ე. ი. მე) უკანასკნელ დახურულ წერილში აკეთებთ. ადგილებზე ჩვენი მუშაკების განწყობილება კარგი ვერ არის. სოფელი მღელვარე საფუტკრეს წარმოადგენს, ყველანი გადასახადსა და პურის ფასზე ლაპარაკობენ».

ასეთივე ცნობები გვაქვს ცენტრალურ კომიტეტში ციმბირიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, კურსკის, ტულის, ნიჟნი-ნოვგოროდის, ულიანოვსკის და სხვა გუბერნიებიდან.

ყველა ამ ცნობის აზრი ის არის, რომ გლეხი შევიწროებულად გრძნობს თავს ფასების ჩვენი პოლიტიკისაგან, ამასთან მისი სურვილი იქნებოდა — შეესუსტებინა ან სულაც თავიდან მოეშორებინა ის ბერკეტები ფასების ამ პოლიტიკის გატარებისა, ურომლისოდ ჩვენი ინდუსტრია ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამდა წინ. გლეხი თითქოს გვეუბნება: «თქვენ შიშობთ — მეტისმეტად შეამციროთ ქალაქის ნაწარმის ფასები, თქვენ გეშინიათ საზღვარგარეთული საქონლის მოზღვავებისა, ამიტომ შექმენით ყოველგვარი საბაჟო

ზღუდეები, რაც ჩვენს ნორჩ ინდუსტრიას კონკურენციისაგან იცავს, მაგრამ თქვენი ინდუსტრიისა მე არაფერი მესაქმება, მე მოვითხოვ იაფ საქონელს, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს იგიო». ან კიდევ ასე: «თქვენ გეშინიათ — გაადიდოთ პურის ფასი, რადგან ერიდებით — ძირი არ გამოუთხაროთ ხელფასს, ამიტომ მოიგონეთ ყოველგვარი დამამზადებელი ორგანოები, შექმენით საგარეო ვაჭრობის მონოპოლია და სხვა, მაგრამ თქვენი ზღუდეებისა და ბერკეტებისა მე არაფერი მესაქმება, მე მოვითხოვ პურის დიდ ფასსო».

ასეთია ფასების პოლიტიკის დარგში წარმოებული ბრძოლის აზრი.

განსაკუთრებით საგულისხმოა ამ მხრივ უკანასკნელი აჯანყება საქართველოში. ეს აჯანყება, რა თქმა უნდა, ბუტაფორული იყო, მაგრამ ზოგიერთ მაზრაში, განსაკუთრებით გურიაში, მას უთუოდ მასობრივი ხასიათი ჰქონდა. რა უნდოდათ გლეხებს გურიაში? იაფი საქონელი, სიმინდის დიდი ფასი. გურია დასავლეთის საზღვარზეა, ის ხედავს საზღვარგარეთული საქონლის სიიაფეს ჩვენს საბჭოთა საქონელთან შედარებით, და მას უნდა, რომ ჩვენი საქონლის ფასები შემცირდეს საზღვარგარეთულ ფასებამდე მაინც, ან სიმინდის ფასი გადიდდეს იმდენად, რომ შესაძლებელი გახდეს საბჭოთა საქონლის ხელსაყრელად ყიდვა. ესაა ეკონომიური საფუძველი გურიის აჯანყებისა საქართველოში. სწორედ ამიტომ ეს აჯანყება მაჩვენებელია ბრძოლის ახალი პირობებისა მთელ საბჭოთა ქვეყანაში. აი რატომ არის, რომ საქართველოში მომხდარ აჯანყებას ვერ გავუტოლებთ ტამბოვის აჯანყებას, სადაც საქმე ეხებოდა არა ნაწარმთა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასებს, არამედ სასურსათო გაწერის გაუქმებას.

ამ ახალ ბრძოლას ბაზარზე და სოფლად ფასების საბჭოთა პოლიტიკის წინააღმდეგ ასულდგმულებენ კულაკები, სპეკულანტები და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები. ისინი, ეს ელემენტები, ცდილობენ მოსწყვიტონ გლეხობის მრავალმილიონიანი მასები მუშათა კლასს და, ამგვარად, ძირი გამოუთხარონ პროლეტარიატის დიქტატურას. ამიტომ ჩვენი ამოცანა ისაა, რომ მოვახდინოთ კულაკებისა და სპეკულანტების იზოლაცია, მოვწყვიტოთ მათ მშრომელი გლეხობა, ჩავაბათ ეს უკანასკნელი საბჭოთა მშენებლობაში და, ამნაირად, გამოსავალი მივცეთ მის პოლიტიკურ აქტივობას. ჩვენ ამის გაკეთება შეგვიძლია, და ამას უკვე ვაკეთებთ, რადგან გლეხობის მშრომელი მასები, განსაკუთრებით ღარიბები, დაინტერესებული არიან მუშებთან კავშირით, პროლეტარიატის დიქტატურის შენარჩუნებით და, მაშასადამე, იმ ეკონომიური ბერკეტების შენარჩუნებითაც, რომლებსაც დიქტატურა ეყრდნობა.

რა არის ამისათვის საჭირო? უწინარეს ყოვლისა საჭიროა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ შევქმნათ პარტიის ირგვლივ სოფლად უპარტიო გლეხთა მრავალრიცხოვანი კადრები, რომელნიც შესძლებენ დააკავშირონ ჩვენი პარტია მილიონობით გლეხებთან. უამისოდ ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ მოვწყვეტთ გლეხობას კულაკებსა და სპეკულანტებს, რომ მოვიმხრობთ და მტკიცედ შევინარჩუნებთ პარტიის მხარეზე ათეულმილიონობით გლეხებს. ეს საქმე, რა თქმა უნდა, ძნელია. მაგრამ სიძნელე არ შეიძლება გადაუღახავ დაბრკოლებას წარმოადგენდეს ჩვენთვის. საჭიროა გავგზავნოთ სოფლად ჩვენი უჯრედების დასახმარებლად ასობით, და შეიძლება ათასობითაც, გამოცდილი მუშაკი (საქმე აქ რაოდენობა როდია), რომელნიც იცნობენ სოფელს და რომელთაც შესწევთ უნარი — წამოსწიონ და შექმნან უპარტიო გლეხთა აქტივი. ამასთან, უნდა გავით-

ვალისწინოთ გლეხების ის ბუნებრივი უნდობლობა ქალაქელი ადამიანებისადმი, რაც ჯერ კიდევ არის სოფლად და რაც, ალბათ, მალე არ გაქრება. თქვენ იცით, როგორ ხვდება გლეხი ქალაქიდან ჩასულ კაცს, განსაკუთრებით, თუ ის ძალიან ახალგაზრდაა: «კიდევ ერთი უქნარა მოსულა ქალაქიდან, უეჭველია, ჩვენი მოტყუება უნდაო». ეს იმით აიხსნება, რომ გლეხს ყველაზე უფრო სჯერა იმისი, ვინც თვითონ ეწევა მეურნეობას და ვისაც ცოტად თუ ბევრად გაეგება მეურნეობის საქმე. აი რატომ ვფიქრობ, რომ სოფლად ჩვენი საქმიანობის ცენტრი უნდა იყოს მუშაობა თვით გლეხებისაგან აქტივის შესაქმნელად, საიდანაც პარტიას შეეძლება ახალი ძალების მიღება.

მაგრამ როგორ მოვახერხოთ ეს? ჩემი აზრით, ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა საბჭოების გამოცოცხლება. საჭიროა ყოველი ცოცხალი, პატიოსანი, ინიციატივის მქონე და შეგნებული ძალა, განსაკუთრებით ყოფილი წითელარმიელები, რომელნიც გლეხთა შორის ყველაზე შეგნებულნი, ყველაზე თაოსანნი არიან, ჩავაბათ საბჭოების მუშაობაში. რატომ სწორედ საბჭოების მუშაობაში? ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ საბჭოები არიან ხელისუფლების ორგანოები, ხოლო მშრომელი გლეხობის ჩაბმა ქვეყნის მმართველობის საქმეში პარტიის მორიგ ამოცანას წარმოადგენს. მეორეც, იმიტომ, რომ საბჭოები არიან მუშათა და გლეხთა კავშირის ორგანოები, მუშების მხრით გლეხების მიმართ ხელმძღვანელობის ორგანოები, ხოლო გლეხთა ხელმძღვანელობა მუშების მხრით ახლა საჭიროა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე. მესამეც, იმიტომ, რომ საბჭოებში მუშავდება ადგილობრივი ბიუჯეტი, ხოლო ბიუჯეტი საჭირბოროტო საკითხია გლეხობისათვის. ბოლოს, იმიტომ, რომ საბჭოები გლეხობის განწყობილების უტყუარ ბარომეტრს წარმოადგენენ, ხოლო გლეხობის ხმას ჩვენ აუცი-

ლებლად ყური უნდა ვათხოვოთ. სოფლად არის სხვა, უაღრესად მნიშვნელოვანი, უპარტიო ორგანიზაციებიც, როგორიცაა გლეხთა კომიტეტები, კოოპერატივები, კომკავშირის ორგანოები. მაგრამ არის საფრთხე, რომ ეს ორგანიზაციები განსაზღვრულ პირობებში გადაიქცევიან წმინდა გლეხურ კავშირებად, რომელნიც შეიძლება მოსწყდნენ მუშებს. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა ამ ორგანიზაციების მუშაობის შეთანხმება საბჭოებში, სადაც გლეხთა ხელმძღვანელობა მუშების მხრით უზრუნველყოფილია თვით საბჭოების სტრუქტურით. აი რატომ არის, რომ საბჭოების გამოცოცხლება ახლა, როდესაც გლეხთა ორგანიზაციები ისე მრავლდებიან, როგორც სოკო წვიმის შემდეგ, პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს.

ამას წინათ სასოფლო უჯრედების თათბირზე მე მოვუწოდებდი ამხანაგებს სოფლად ჩვენი პარტიული მუშაობის ნაკლოვანებათა დაუნდობელი კრიტიკისაკენ *. ამან ერთგვარი უკმაყოფილება გამოიწვია. თურმე, არიან ისეთი კომუნისტები, რომელთაც ეშინიათ კრიტიკისა, არ სურთ ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებათა გამოაშკარავება. ეს სახიფათოა, ამხანაგებო. მეტსაც ვიტყვი: თვითკრიტიკის შიში ან უპარტიოთა კრიტიკის შიში ახლა ყველაზე სახიფათო ავადმყოფობას წარმოადგენს. ვინაიდან ორში ერთი: ან ჩვენ გავაკრიტიკებთ ჩვენს თავს და საშუალებას მივცემთ უპარტიოებს — გააკრიტიკონ ჩვენი მუშაობა, — და მაშინ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი მუშაობა სოფლად წინ წავა; ანდა ჩვენ ასეთ კრიტიკას აღვკვეთთ, — და მაშინ ჩვენ გაგვაკრიტიკებენ თვით

* იხ. ეს ტომი, გვ. 345 — 356. რედ.

მოვლენები, როგორიც იყო, მაგალითად, აჯანყებანი კრონშტადტში, ტამბოვში, საქართველოში. ვფიქრობ, რომ პირველი სახის კრიტიკას უპირატესობა უნდა მივცეთ მეორე სახის კრიტიკის წინაშე. აი რატომ არ უნდა გვეშინოდეს კრიტიკისა არც პარტიულების მხრით და არც, მით უმეტეს, უპარტიოების მხრით.

პირველად დაიბეჭდა წიგნში:
ი. სტალინი. გლეხთა საკითხი.
ტ. — ლ., 1925.

ჩანაწერი ქარხანა «დინამოს» წითელ წიგნში

ვუსურვებ «დინამოს» მუშებს, ისე როგორც მთელი რუსეთის მუშებს, რომ ჩვენი მრეწველობა აღმა წავიდეს, რომ პროლეტარების რიცხვი რუსეთში უახლოეს პერიოდში 20—30 მილიონამდე გაიზარდოს, რომ სოფლად კოლექტიური მეურნეობა აყვავდეს და თავის გავლენას დაუმორჩილოს კერძო მეურნეობა, რომ ძლიერმა ინდუსტრიამ და სოფლის კოლექტიურმა მეურნეობამ საბოლოოდ შეადუღონ ერთ სოციალისტურ არმიად ფაბრიკათა პროლეტარები და მიწის მუშაკები...

ი. სტალინი

7/XI 24 წ.

პირველად დაიბეჭდა
გაზეთ «პრავდაში» № 152,
1930 წ. 4 ივნისს.

პირველ ცხენოსან არმიას

სალამი სახელოვან ცხენოსან არმიას — კრასნოვისა და დენიკინის, ვრანგელისა და პილსუდსკის თეთრგვარდიული ლეგიონების რისხვას!

სალამი ცხენოსანი არმიის ბელადებს, ამხანაგ ბუდიონის — წითელ გენერალს გლეხთაგან, და ამხანაგ ვოროშილოვს — წითელ გენერალს მუშათაგან!

ცხენოსანო არმიელებო! თქვენს წითელ დროშებს მოსავს უჭკნობი სახელი დიადი გამარჯვებებისა ოთხწლიანი სამოქალაქო ომის ფრონტებზე. ხუთი წლისთავის საზეიმო დღეს თქვენ უნდა დასდოთ ფიცი, რომ კუბოს ფიცრამდე დარჩებით ამ დროშების ერთგულნი, რომ ღირსეულად შეასრულებთ თქვენს ვალს სოციალისტური სამშობლოს წინაშე, როდესაც მუშათა კლასის ნება კვლავ მოგიხმობთ ახალი ბრძოლებისათვის კომუნიზმის გასამარჯვებლად.

თქვენი **ი. სტალინი**

«პრავდა» № 261,
1924 წ. 16 ნოემბერი.

«ᲙᲠᲔᲡᲢᲘᲐᲜᲡᲙᲐᲘᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲐᲡ»

ᲡᲐᲚᲐᲛᲘ «ᲙᲠᲔᲡᲢᲘᲐᲜᲡᲙᲐᲘᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲐᲡ» — ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲘᲐᲓᲘ ᲡᲐᲫᲛᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚ ᲒᲣᲨᲐᲒᲡ!

«გლეხთა გაზეთო»! გახსოვდეს სამი მცნება:

1) თვალის ჩინივით გაუფრთხილდი შენს სოფლის კორესპონდენტებს, — ეს შენი არმიაა;

2) რაც შეიძლება მტკიცედ დაუკავშირდი ყველაზე პატიოსანთ და შეგნებულთ გლეხთა შორის, განსაკუთრებით ყოფილ წითელარმიელებს, — ეს შენი დასაყრდენია;

3) დანერგე სოფლად სიმართლე და გასძახე მთელ ქვეყანას, დაუღალავად გასძახოდე, რომ გლეხთა განთავისუფლება წარმოუდგენელია მუშებთან ძმური კავშირის გარეშე, რომ შრომის გამარჯვება კაპიტალზე შეუძლებელია მუშების მხრით გლეხებისადმი ხელმძღვანელობის გარეშე.

Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

«კრესტიანსკაია გაზეტა» № 51,
1924 წ. 17 ნოემბერი.

ტროცკიზმი თუ ლენინიზმი?

სიტყვა პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს კომუნისტური ფრაქციის პლენუმზე

1924 წ. 19 ნოემბერი

ამხანაგებო! კამენევის ვრცელი მოხსენების შემდეგ ცოტაღა დამრჩენია სათქმელი. ამიტომ მე დავკმაყოფილდები ზოგიერთი იმ ლეგენდის მხილებით, რასაც ტროცკი და მისი თანამოაზრენი ავრცელებენ ოქტომბრის აჯანყებაზე, ტროცკის როლზე აჯანყებაში, პარტიაზე და ოქტომბრის მომზადებაზე და სხვ. აქვე შევეხები ტროცკიზმს, როგორც თავისებურ იდეოლოგიას, რაც შეუთავსებელია ლენინიზმთან, და პარტიის ამოცანებს ტროცკის უკანასკნელ ლიტერატურულ გამოსვლებთან დაკავშირებით.

I

ფაქტები ოქტომბრის აჯანყების შესახებ

უწინარეს ყოვლისა ოქტომბრის აჯანყების შესახებ. პარტიის წევრებს შორის დაუინებით ავრცელებენ ხმებს, თითქოს მთლიანად ცენტრალური კომიტეტი 1917 წლის ოქტომბერში აჯანყების წინააღმდეგი ყოფილიყოს. ჩვეულებრივ გვიამბობენ, რომ 10 ოქტომბერს, როდესაც ცენტ-

რალურმა კომიტეტმა გადაწყვეტილება მიიღო აჯანყების მოწყობის შესახებ, ცენტრალურმა კომიტეტმა, თავისი უმრავლესობით, თავდაპირველად აჯანყების წინააღმდეგ გამოთქვა აზრი, მაგრამ ამ დროს ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე, თითქოს, შემოჭრილა ერთი მუშა და უთქვამს: «თქვენ საკითხს აჯანყების წინააღმდეგ სწყვეტთ, მე კი გეუბნებით, რაც უნდა მოხდეს, აჯანყება მაინც იქნება». და აი ამ მუქარის შემდეგ ცენტრალურ კომიტეტს, თითქოს, შეშინებია, კვლავ დაუყენებია აჯანყების საკითხი და მიუღია გადაწყვეტილება აჯანყების მოწყობის შესახებ.

ეს უბრალო ხმა როდია, ამხანაგებო. ამის შესახებ წერს ცნობილი ჯონ რიდი თავის წიგნში «ათი დღე»; ჯონ რიდი შორს იდგა ჩვენი პარტიისაგან და მას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო სცოდნოდა, თუ რა მოხდა ჩვენს 10 ოქტომბრის კონსპირაციულ კრებაზე, რის გამოც წამოეგო ბატონ სუხანოვთაგან მომდინარე ჭორების ანკესზე. ეს ამბავი შემდეგ გადმოცემული და განმეორებულია მთელ რიგ ბროშურებში, რომლებიც ტროცკისტების კალამს ეკუთვნის, სხვათა შორის, სირკინის მიერ დაწერილ ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ბროშურაში ოქტომბრის შესახებ. ამ ხმებს გაძლიერებით უჭერს მხარს ტროცკი თავისი უკანასკნელი ლიტერატურული გამოსვლებით.

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ყველა ეს და მათი მსგავსი არაბული ზღაპრები არ შეეფერებიან სინამდვილეს, რომ ნამდვილად არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე, და არც შეიძლებოდა მომხდარიყო. ამის გამო შეგვეძლო გვერდი აგვექცია ამ სულელური ხმებისათვის: საერთოდ განა ცოტა ჭორი ცხვება ოპოზიციონერთა თუ პარტიისაგან შორს მდგომ ადამიანთა კაბინეტებში. ჩვენ მართლაც ასე ვიქცეო-

დით დღემდე, — ყურადღებას არ ვაქცევდით, მაგალითად, ჯონ რიდის შეცდომებს და არც გვიზრუნვია ამ შეცდომათა გამოსწორებისათვის. მაგრამ ტროცკის უკანასკნელი გამოსვლების შემდეგ უკვე შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ასეთ ლეგენდებს, ვინაიდან ასეთი ლეგენდების გამოყენებით ცდილობენ ახლა აღზარდონ ახალგაზრდობა და ამ მხრივ, სამწუხაროდ, ზოგ რამ შედეგს კიდევაც მიაღწიეს. ამის გამო ამ სულელურ ხმებს მე უნდა დავუპირისპირო ნამდვილი ფაქტები.

ვიღებ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1917 წლის 10 (23) ოქტომბრის სხდომის ოქმებს. ესწრებიან: ლენინი, ზინოვიევი, კამენევი, სტალინი, ტროცკი, სვერდლოვი, ურიცკი, ძერჟინსკი, კოლონტაი, ბუბნოვი, სოკოლნიკოვი, ლომოვი. ირჩევა მიმდინარე მომენტისა და აჯანყების საკითხი. კამათის შემდეგ კენჭი ეყარა ამხანაგ ლენინის რეზოლუციას აჯანყების შესახებ. რეზოლუცია მიღებულია 10-ის უმრავლესობით 2-ის წინააღმდეგ. მგონი, ნათელია: ცენტრალურმა კომიტეტმა 10-ის უმრავლესობით წინააღმდეგ 2-ისა დაადგინა შეუდგეს უშუალო პრაქტიკულ მუშაობას აჯანყების მოსაწყობად. ცენტრალური კომიტეტი ამავე სხდომაზე ირჩევს **პოლიტიკურ** ცენტრს აჯანყებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად, პოლიტიკური ბიუროს სახელწოდებით და შემდეგი შემადგენლობით: ლენინი, ზინოვიევი, სტალინი, კამენევი, ტროცკი, სოკოლნიკოვი და ბუბნოვი.

ასეთია ფაქტები.

ეს ოქმები ერთბაშად აქარწყლებენ რამდენიმე ლეგენდას. ისინი აქარწყლებენ ლეგენდას იმის შესახებ, თითქოს ცენტრალური კომიტეტი, თავისი უმრავლესობის სახით, აჯანყების წინააღმდეგი ყოფილიყოს. ისინი აქარწყლებენ აგრეთვე ლეგენდას იმის შესახებ, თითქოს ცენტრალური

კომიტეტი აჯანყების საკითხში გათიშვის წინაშე მდგარიყოს. ოქმებიდან ნათლად ჩანს, რომ დაუყოვნებლივი აჯანყების მოწინააღმდეგენი — კამენევი და ზინოვიევი — აჯანყების მომხრეებთან ერთად შევიდნენ აჯანყებისათვის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ორგანოს შემადგენლობაში. არავითარ გათიშვაზე არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ლაპარაკი.

ტროცკი ირწმუნება, რომ კამენევისა და ზინოვიევის სახით ოქტომბერში ჩვენს წინაშე იყო ჩვენი პარტიის მემარჯვენე ფრთა, თითქმის სოციალ-დემოკრატები. ოღონდ გაუგებარია: როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ამ შემთხვევაში პარტია გათიშვას ასცდა; როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ კამენევსა და ზინოვიევთან უთანხმოება სულ რამდენიმე დღეს გაგრძელდა; როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ამ ამხანაგებს პარტია, მათთან უთანხმოების მიუხედავად, უმნიშვნელოვანეს პოსტებზე აყენებდა, აჯანყების პოლიტიკურ ცენტრში ირჩევდა და სხვ.? პარტიაში საკმაოდ ცნობილია ლენინის დაუნდობლობა სოციალ-დემოკრატების მიმართ; პარტიამ იცის, რომ ლენინი ერთ წუთსაც არ დათანხმდებოდა — პარტიაში, ისიც უმნიშვნელოვანეს პოსტებზე, სოციალ-დემოკრატიულად განწყობილი ამხანაგები გვყოლოდა. რით უნდა აიხსნას, რომ პარტია გათიშვას ასცდა? ეს აიხსნება იმით, რომ, მიუხედავად უთანხმოებისა, ამ ამხანაგების სახით ჩვენ გვყავდა ძველი ბოლშევიკები, რომლებიც ბოლშევიზმის საერთო ნიადაგზე იდგნენ. რა იყო ეს საერთო ნიადაგი? ერთიანობა შეხედულებებისა ძირითად საკითხებზე: რუსეთის რევოლუციის ხასიათის, რევოლუციის მამოძრავებელი ძალების, გლეხობის როლის, პარტიული ხელმძღვანელობის საფუძვლებისა და სხვა საკითხებზე. ასეთი საერთო ნიადაგი რომ არა, გათიშვა გარდუვალი იქნებოდა. გათიშვა

არ მომხდარა, უთანხმოება კი სულ რამდენიმე დღეს გაგრძელდა, იმიტომ და მხოლოდ იმიტომ, რომ კამენევისა და ზინოვიევის სახით ჩვენს წინაშე იყვნენ ლენინელები, ბოლშევიკები.

გადავიდეთ ახლა ლეგენდაზე ოქტომბრის აჯანყებაში ტროცკის განსაკუთრებული როლის შესახებ. ტროცკისტები გაძლიერებით ავრცელებენ ხმებს იმის შესახებ, რომ ოქტომბრის აჯანყების სულისჩამდგმელი და ერთადერთი ხელმძღვანელი ტროცკი იყოო. ამ ხმებს განსაკუთრებული მონდომებით ავრცელებს ტროცკის თხზულებათა ეგრეთწოდებული რედაქტორი, ლენცნერი. თვით ტროცკი სისტემატურად უგულებელყოფს პარტიას, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და პარტიის პეტროგრადის კომიტეტს, ჩქმალავს ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელ როლს აჯანყების საქმეში, მთელი ძალღონით სწევს წინ თავის თავს, როგორც ოქტომბრის აჯანყების ცენტრალურ ფიგურას, და ამით — ნებსით თუ უნებლიეთ — ხელს უწყობს ხმების გავრცელებას აჯანყებაში ტროცკის განსაკუთრებული როლის შესახებ. მე სრულებითაც არ ვაპირებ უარვყო ტროცკის უეჭველად მნიშვნელოვანი როლი აჯანყებაში. მაგრამ უნდა ვთქვა, რომ არავითარი განსაკუთრებული როლი ოქტომბრის აჯანყებაში ტროცკის არ უთამაშნია და არც შეეძლო ეთამაშნა, რომ იგი, როგორც პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარე, მხოლოდ ასრულებდა სათანადო პარტიული ინსტანციების ნებას, რომელნიც ხელმძღვანელობას უწევდნენ ტროცკის ყოველ ნაბიჯს. სუხანოვისთანა ობივატელებს ყოველივე ეს, შეიძლება, უცნაურად ეჩვენოთ, მაგრამ ფაქტები, ნაძდვილი ფაქტები, მთლიანად და სავსებით ადასტურებენ ამ ჩემს მტკიცებას.

ავიღოთ ცენტრალური კომიტეტის შემდეგი, 1917 წლის 16 (29) ოქტომბრის სხდომის ოქმები. ესწრებიან ცენტრა-

ლური კომიტეტის წევრები, პლუს პეტროგრადის კომიტეტის წარმომადგენლები, პლუს სამხედრო ორგანიზაციის, ფაბქარხკომების, პროფკავშირების, რკინიგზელების წარმომადგენლები. დამსწრეთა შორის, ცენტრალური კომიტეტის წევრებს გარდა, არიან: კრილენკო, შოტმანი, კალინინი, ვოლოდარსკი, შლიაპნიკოვი, ლაცისი და სხვ. სულ 25 კაცი. იხილება აჯანყების საკითხი წმინდა პრაქტიკულ-ორგანიზაციული მხრით. იღებენ ლენინის რეზოლუციას აჯანყების შესახებ 20-ის უმრავლესობით წინააღმდეგ 2-ისა, 3 კაცმა თავი შეიკავა. ირჩევენ **პრაქტიკულ** ცენტრს აჯანყებისათვის ორგანიზაციული ხელმძღვანელობის გასაწევად. მერე ვინ შედის ამ ცენტრში? ამ ცენტრში არჩეულია ხუთი კაცი: სვერდლოვი, სტალინი, ძერჟინსკი, ბუბნოვი, ურიცკი. პრაქტიკული ცენტრის ამოცანებია: უხელმძღვანელოს აჯანყების ყველა პრაქტიკულ ორგანოს ცენტრალური კომიტეტის დირექტივების თანახმად. ამრიგად, ცენტრალური კომიტეტის ამ სხდომაზე მოხდა, როგორც ხედავთ, რაღაც «საშინელი» რამ, ე. ი. იმ პრაქტიკული ცენტრის შემადგენლობაში, რომელიც მოწოდებული იყო ხელმძღვანელობა გაეწია აჯანყებისათვის, რაღაც «უცნაურად» არ მოხვედრილა აჯანყების «სულისჩამდგმელი», «მთავარი ფიგურა», აჯანყების «ერთადერთი ხელმძღვანელი», ტროცკი. როგორ შევუგუოთ ეს გავრცელებულ შეხედულებას ტროცკის განსაკუთრებულ როლზე? ხომ სწორია, — ცოტა არ იყოს «უცნაურია» ყოველივე ეს, როგორც იტყოდა სუხანოვი, ან როგორც იტყოდნენ ტროცკისტები. ნამდვილად კი აქ, კაცმა რომ თქვას, არაფერია უცნაური, ვინაიდან არავითარი **განსაკუთრებული** როლი არც პარტიაში, არც ოქტომბრის აჯანყებაში არ უთამაშნია და არც შეეძლო ეთამაშნა ტროცკის — შედარებით ახალ ადამიანს ჩვენი პარტიისათვის ოქტომბრის პერიოდში. ის, ისევე როგორც ყველა

პასუხისმგებელი მუშაკი, იყო მხოლოდ ცენტრალური კომიტეტისა და მისი ორგანოების ნების შემსრულებელი. ვინც ბოლშევიკების პარტიული ხელმძღვანელობის მექანიკას იცნობს, მას მაინცდამაინც არ გაუჭირდება იმის გაგება, რომ სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო: საკმარისი იყო ტროცკის დაერღვია ცენტრალური კომიტეტის ნება, რომ მყისვე დაჰკარგოდა გავლენა საქმეთა მსვლელობაზე. ლაპარაკი ტროცკის განსაკუთრებულ როლზე არის ლეგენდა, რომელსაც მლიქვნელი «პარტიულები» ჰორიკანები ავრცელებენ.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ოქტომბრის აჯანყებას თავისი სულისჩამდგმელი არ ჰყოლია. არა, მას ჰყავდა თავისი სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი. მაგრამ ეს იყო ლენინი, და არა სხვა ვინმე, სწორედ ის ლენინი, ვის რეზოლუციებსაც იღებდა ცენტრალური კომიტეტი აჯანყების საკითხის გადაწყვეტის დროს, სწორედ ის ლენინი, რომლისთვისაც არალეგალურ მდგომარეობაში ყოფნას ხელი არ შეუშლია — ყოფილიყო აჯანყების ნამდვილი სულისჩამდგმელი, წინააღმდეგ ტროცკის მტკიცებისა. სისულელეა და სასაცილოა ახლა ცდა — არალეგალობაზე ლაყბობით მიჩქმალო ის უდავო ფაქტი, რომ აჯანყების სულისჩამდგმელი იყო პარტიის ბელადი ვ. ი. ლენინი.

ასეთია ფაქტები.

ვთქვათ ასეა, გვეუბნებიან ჩვენ, მაგრამ არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ტროცკი კარგად იბრძოდა ოქტომბრის პერიოდშიო. დიახ, ეს სწორია, ტროცკი მართლაც კარგად იბრძოდა ოქტომბერში. მაგრამ ოქტომბრის პერიოდში კარგად იბრძოდა არა მარტო ტროცკი, ცუდად როდი იბრძოდნენ ისეთი ადამიანებიც კი, როგორიც არიან მემარცხენე ესერები, რომლებიც მაშინ გვერდში უდგნენ ბოლშე-

ვიკებს. საერთოდ უნდა ვთქვა, რომ ძლევამოსილი აჯანყების პერიოდში, როდესაც მტერი იზოლირებულია, ხოლო აჯანყება ძლიერდება, ძნელი როდია კარგად ბრძოლა. ასეთ მომენტებში ჩამორჩენილებიც კი გმირები ხდებიან.

მაგრამ პროლეტარიატის ბრძოლა არ წარმოადგენს მთლიან შეტევას, წარმატებათა მთლიან ჯაჭვს. პროლეტარიატის ბრძოლას აქვს აგრეთვე თავისი განსაცდელნი, თავისი დამარცხებანი. ნამდვილი რევოლუციონერი ის კი არ არის, ვინც სიმამაცეს იჩენს ძლევამოსილი აჯანყების პერიოდში, არამედ ის, ვისაც შეუძლია კარგად ბრძოლა რევოლუციის ძლევამოსილი შეტევის დროს, მაგრამ ამასთანავე შეუძლია სიმამაცის გამოჩენა რევოლუციის უკანდახევის პერიოდში, პროლეტარიატის დამარცხების პერიოდში, ვინც თავგზას არ კარგავს და არ ფრთხება რევოლუციის მარცხის დროს, მტრის წარმატებათა დროს, ვისაც არ იპყრობს პანიკა და სასოწარკვეთილება რევოლუციის უკანდახევის პერიოდში. ცუდად როდი იბრძოდნენ მემარცხენე ესერები ოქტომბრის პერიოდში, ეხმარებოდნენ რა ბოლშევიკებს. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ეს «მამაცი» მებრძოლნი პანიკას მიეცნენ ბრესტის პერიოდში, როდესაც გერმანიის იმპერიალიზმის შემოტევამ სასოწარკვეთილებასა და ისტერიკაში ჩააგდო ისინი. მეტად სამწუხაროა, მაგრამ უდავო ფაქტია, რომ ტროცკის, რომელიც კარგად იბრძოდა ოქტომბრის პერიოდში, სიმამაცე არ ეყო ბრესტის პერიოდში, რევოლუციის დროებითი მარცხის პერიოდში, იმისათვის, რომ საკმაო სიმტკიცე გამოეჩინა ამ მძიმე წუთში და მემარცხენე ესერების კვალს არ გაჰყოლოდა. უდავოა, მომენტი მძიმე იყო, უნდა გამოგეჩინა განსაკუთრებული სიმამაცე და რკინისებური სიმშვიდე იმისათვის, რომ არ დაბნეულიყავი, დროზე დაგეხია უკან, დროზე მიგეღო ზავი, აგეცდინა პროლეტარული არმიისათვის გერმა-

ნიის იმპერიალიზმის დარტყმა, შეგენარჩუნებინა გლეხური რეზერვები, მიგელო, ამრიგად, შესვენების შესაძლებლობა და შემდეგ ახალი ძალებით დაგერტყა მტრისათვის. მაგრამ ასეთი სიმამაცე და ასეთი რევოლუციური სიმტკიცე, სამწუხაროდ, არ აღმოაჩნდა ტროცკის ამ მძიმე წუთში.

ტროცკის აზრით, პროლეტარული რევოლუციის ძირითადი გაკვეთილი ის არის, რომ «არ დამფრთხალიყავი» ოქტომბრის აჯანყების დროს. ეს სწორი არ არის, ვინაიდან ტროცკის ეს მტკიცება შეიცავს მხოლოდ **ნაწილაკს** სიმართლისას რევოლუციის გაკვეთილების შესახებ. **მთელი** სიმართლე პროლეტარული რევოლუციის გაკვეთილების შესახებ მდგომარეობს იმაში, რომ «არ დაფრთხე» არა მარტო რევოლუციის შეტევის დღეებში, არამედ მისი უკანდახევის დღეებშიც, როდესაც მტერი იმარჯვებს, ხოლო რევოლუცია მარცხს განიცდის. რევოლუცია ოქტომბრით არ ამოიწურება. ოქტომბერი მხოლოდ დასაწყისია პროლეტარული რევოლუციისა. ცუდია, თუ შიში გიპყრობს აღმავალი აჯანყების დროს. კიდევ უარესია, თუ შიში გიპყრობს რევოლუციის მძიმე განსაცდელის დროს, ძალაუფლების აღების შემდეგ. ძალაუფლების შენარჩუნება რევოლუციის მეორე დღეს არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ძალაუფლების აღება. თუ ტროცკი დაფრთხა ბრესტის პერიოდში, ჩვენი რევოლუციის მძიმე განსაცდელის პერიოდში, როდესაც საქმე კინაღამ ძალაუფლების «ჩაბარებამდე» მივიდა, მან უნდა გაიგოს, რომ კამენევისა და ზინოვიევის მიერ ოქტომბერში ჩადენილი შეცდომები აქ სრულიად არაფერ შუაშია.

ასეთია ვითარება ლეგენდებისა ოქტომბრის აჯანყების შესახებ.

II

პარტია და ოქტომბრის მომზადება

ახლა გადავიდეთ ოქტომბრის მომზადების საკითხზე.

ტროცკის თუ მოუსმენთ, შეიძლება იფიქროთ, რომ ბოლშევიკების პარტია მთელ მოსამზადებელ პერიოდში — მარტიდან ოქტომბრამდე — მხოლოდ იმით იყო გართული, რომ ერთ ადგილს ტკეპნიდა, შინაგანი წინააღმდეგობებით იღრღნებოდა და ყოველნაირად ხელს უშლიდა ლენინს, და ტროცკი რომ არა, კაცმა არ იცის, რით დამთავრდებოდა ოქტომბრის რევოლუციის საქმე. ცოტა არ იყოს სასაცილოა პარტიის შესახებ ასეთი უცნაური სიტყვების მოსმენა ტროცკისაგან, რომელმაც III ტომის იმავე «წინასიტყვაობაში» განაცხადა: «პროლეტარული გადატრიალების ძირითად ინსტრუმენტს პარტია წარმოადგენსო», «უპარტიოდ, პარტიის გარეშე, პარტიისათვის გვერდის ავლით, პარტიის სუროგატის საშუალებით პროლეტარული რევოლუცია ვერ გაიმარჯვებსო», ამასთან თვით ალაჰიც ვერ გაიგებს, როგორ შესძლო გამარჯვება ჩვენმა რევოლუციამ, თუ «მისი ძირითადი ინსტრუმენტი» უვარგისი აღმოჩნდა, ხოლო «პარტიისათვის გვერდის ავლით», თურმე, ყოვლად შეუძლებელია გამარჯვება. მაგრამ უცნაური ამბებით ტროცკი პირველად როდი გვიმასპინძლდება. უნდა ვიფიქროთ, რომ სასაცილო სიტყვები ჩვენი პარტიის შესახებ ტროცკის ჩვეულებრივ უცნაურობათა რიცხვს ეკუთვნის.

განვიხილოთ მოკლედ ოქტომბრის მომზადების ისტორია პერიოდების მიხედვით.

1) **პარტიის ახალი ორიენტირების პერიოდი (მარტი — აპრილი).** ამ პერიოდის ძირითადი ფაქტები:

ა) ცარიზმის დამხობა;

ბ) დროებითი მთავრობის შექმნა (ბურჟუაზიის დიქტატურა);

გ) მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების გაჩენა (პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა);

დ) ორხელისუფლებიანობა;

ე) აპრილის დემონსტრაცია;

ვ) ხელისუფლების პირველი კრიზისი.

ამ პერიოდის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ერთიმეორის გვერდით, ერთად, ერთსა და იმავე დროს არსებობს ბურჟუაზიის დიქტატურაც და პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურაც, ამასთან ეს უკანასკნელი დიქტატურა ნდობით ეპყრობა პირველს, სწამს მისი სამშვიდობო მისწრაფებანი, ნებაყოფლობით აძლევს ძალაუფლებას ბურჟუაზიას და, ამრიგად, მის დანამატად აქცევს თავის თავს. სერიოზული კონფლიქტები ორ დიქტატურას შორის ჯერ კიდევ არ არის. მაგრამ სამაგიეროდ არსებობს «საკონტაქტო კომისია» [70].

ეს იყო უდიდესი გარდატეხა რუსეთის ისტორიაში და უმაგალითო შემობრუნება ჩვენი პარტიის ისტორიაში. ძველი, რევოლუციამდელი პლატფორმა მთავრობის პირდაპირი დამხობისა ნათელი და გარკვეული იყო, მაგრამ იგი აღარ შეეფერებოდა ბრძოლის ახალ პირობებს. ახლა უკვე არ შეიძლებოდა პირდაპირი იერიშის დაწყება მთავრობის დასამხობად, ვინაიდან მთავრობა დაკავშირებული იყო საბჭოებთან, რომლებიც ობორონცების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, და პარტიას მოუხდებოდა ეომნა მთავრობის წინააღმდეგაც და საბჭოების წინააღმდეგაც, ეს კი პარტიის ძალებს აღემატებოდა. მაგრამ არც დროებითი მთავრობის მხარდაჭერის პოლიტიკის წარმოება შეიძლებოდა, ვინაიდან იგი იმპერიალიზმის მთავრობა იყო. საჭირო იყო პარტიის ახალი ორიენტაცია ბრძოლის ახალ პირობებში. პარტია

(მისი უმრავლესობა) ამ ახალი ორიენტაციისაკენ ხელის ფათურით მიდიოდა. მან მიიღო პოლიტიკა საბჭოების ზემოქმედებისა დროებით მთავრობაზე ზავის საკითხში და ვერ გაბედა ერთბაშად გადაედგა ნაბიჯი წინ — პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის ძველი ლოზუნგიდან საბჭოების ძალაუფლების ახალი ლოზუნგისაკენ. ეს ნახევრული პოლიტიკა გათვალისწინებული იყო იმისათვის, რომ საშუალება მისცემოდათ საბჭოებს — ზავის კონკრეტულ საკითხებზე გამოეცნოთ დროებითი მთავრობის ნამდვილი იმპერიალისტური ბუნება და ამით ჩამოგვეცილებინა საბჭოები ამ მთავრობისაგან. მაგრამ ეს იყო უაღრესად მცდარი პოზიცია, ვინაიდან იგი ბადებდა პაციფისტურ ილუზიებს, წყალს უშვებდა ობორონცობის წისქვილს და აძნელებდა მასების რევოლუციურ აღზრდას. ამ მცდარ პოზიციას მე ვიზიარებდი მაშინ სხვა პარტიულ ამხანაგებთან ერთად და სავსებით უარვყავი იგი მხოლოდ შუა აპრილში, როდესაც ლენინის თეზისებს შევუერთდი. საჭირო იყო ახალი ორიენტაცია. ეს ახალი ორიენტაცია პარტიას მისცა ლენინმა თავის განთქმულ აპრილის თეზისებში [71]. სიტყვას არ გავაგრძელებ ამ თეზისებზე, რადგან ყველა და თვითეული იცნობს მათ. ჰქონდა თუ არა მაშინ პარტიას უთანხმოება ლენინთან? დიახ, ჰქონდა. რამდენ ხანს გაგრძელდა ეს უთანხმოება? არა უმეტეს ორი კვირისა. პეტროგრადის ორგანიზაციის საერთო-საქალაქო კონფერენცია [72] (აპრილის მეორე ნახევარი), რომელმაც ლენინის თეზისები მიიღო, წარმოადგენდა შემობრუნების პუნქტს ჩვენი პარტიის განვითარებაში. სრულიად რუსეთის აპრილის კონფერენციამ [73] (აპრილის დამლევი) მხოლოდ დააბოლოვა მთელი რუსეთის მასშტაბით პეტროგრადის კონფერენციის საქმე და ერთიანი პარტიული პოზიციის ირგვლივ დარაზმა პარტიის ცხრა მეათედი.

ახლა, შვიდი წლის შემდეგ, ტროცკი ბოროტად ხარობს ბოლშევიკების წინანდელ უთანხმოებათა გამო და ამ უთანხმოებებს ისე სახავს, როგორც ბოლშევიზმის შიგნით თითქმის ორ პარტიას შორის წარმოებულ ბრძოლას. მაგრამ, ჯერ-ერთი, ტროცკი აქ უღმერთოდ ამეტებს და აზვიადებს საქმეს, ვინაიდან ბოლშევიკების პარტიამ ეს უთანხმოებანი სრულიად უმტკივნეულოდ გადაიტანა. მეორეც, ჩვენი პარტია კასტა იქნებოდა, და არა რევოლუციური პარტია, იგი რომ თავის წრეში არ იწყნარებდეს აზრის სხვადასხვა ელფერს, ამასთან ცნობილია, რომ უთანხმოებანი ჩვენ წარსულშიც გვქონია, მაგალითად, III სათათბიროს პერიოდში, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ჩვენი პარტიის ერთიანობისათვის. მესამეც, ზედმეტი არ იქნება ვიკითხოთ, როგორი იყო **მაშინ** პოზიცია თვით ტროცკისა, რომელიც **ახლა** სიამოვნებით ბოროტმოხარულობს ბოლშევიკების წინანდელ უთანხმოებათა გამო? ტროცკის თხზულებათა ეგრეთწოდებული რედაქტორი ლენცნერი ირწმუნება, რომ ტროცკის ამერიკულმა წერილებმა (მარტი) «მთლიანად წინასწარ ასახეს» ლენინის «წერილები შორიდან» [74] (მარტი), რომლებიც საფუძვლად დაედო ლენინის აპრილის თეზისებს. სწორედ ასეა ნათქვამი: «მთლიანად წინასწარ ასახეს». ტროცკი არაფერს ამბობს ასეთი ანალოგიის საწინააღმდეგოდ და, როგორც ჩანს, მადლობით იღებს მას. მაგრამ, ჯერ-ერთი, ტროცკის წერილები «სრულებით არა ჰგვანან» ლენინის წერილებს არც სულისკვეთებით, არც დასკვნებით, ვინაიდან ისინი მთლიანად და სავსებით გამოხატავენ ტროცკის ანტიბოლშევიკურ ლოზუნგს: «უმეფოდ, ხოლო მთავრობა მუშური», ლოზუნგს, რომელიც ნიშნავს რევოლუციას გლეხობის მონაწილეობის **გარეშე**. საკმარისია მხოლოდ

გადაათვალიერო წერილების ეს ორი ჯგუფი, რომ ამაში დარწმუნდე. მეორეც, რით უნდა აიხსნას ამ შემთხვევაში, რომ ლენინმა საჭიროდ სცნო გამიჯნოდა ტროცკის საზღვარგარეთიდან დაბრუნების მეორე დღესვე? ვინ არ იცნობს ლენინის არაერთგზის განცხადებას იმის შესახებ, რომ ტროცკის ლოზუნგი: **«უმეფოდ, ხოლო მთავრობა მუშური»**, წარმოადგენს ცდას — «გადაახტე გლეხურ მოძრაობას, რომელსაც არ მოუჭამია თავისი დრო», რომ ეს ლოზუნგი ნიშნავს «მუშური მთავრობის მიერ ძალაუფლების დაპყრობის თამაშს»? *

რა შეიძლება საერთო იყოს ლენინის ბოლშევიკურ თეზისებსა და ტროცკის ანტიბოლშევიკურ სქემას შორის, მისი «ძალაუფლების დაპყრობის თამაშით»? და მერე საიდან აქვთ ამ ადამიანებს ეს მისწრაფება — მონბლანს შეადარონ ქოხმახი? რისთვის დასჭირდა ლენცნერს ეს სახიფათო ცდა — მიუმატოს რევოლუციის შესახებ გავრცელებულ ძველ ლეგენდათა გროვას კიდევ ერთი ლეგენდა იმის შესახებ, რომ ტროცკის ამერიკულ წერილებში «წინასწარ ასახულია» ლენინის ცნობილი «წერილები შორიდან» **?

---

* იხ. ლენინის თხზულებანი, ტ. XX, გვ. 104. იხ. აგრეთვე მოხსენებანი პეტროგრადის საერთო-საქალაქო კონფერენციაზე და რსდმპ(ბ) სრულიად რუსეთის კონფერენციაზე (1917 წლის შუა აპრილი და აპრილის დამლევი).

** ასეთი ლეგენდების რიცხვს უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე მეტად გავრცელებული ვერსია იმის შესახებ, თითქოს ტროცკი სამოქალაქო ომის ფრონტებზე მოპოვებულ გამარჯვებათა «ერთადერთი» ან «მთავარი ორგანიზატორი» იყოს. უნდა განვაცხადო, ამხანაგებო, ჭეშმარიტების გულისთვის, რომ ეს ვერსია სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს. მე შორსა ვარ იმისაგან, რომ უარვყო ტროცკის მნიშვნელოვანი როლი სამოქალაქო ომში. მაგრამ სრულიად გადაჭრით უნდა განვაცხადო, რომ ჩვენი გამარჯვებების ორგანიზატორის დიდი სახელი

ტყუილად კი არ არის ნათქვამი — რეგვენი მეგობარი მტერზე უარესიაო.

2) **მასების რევოლუციური მობილიზაციის პერიოდი (მაისი — აგვისტო).** ამ პერიოდის ძირითადი ფაქტები:

ა) აპრილის დემონსტრაცია პეტროგრადში და კოალიციური მთავრობის შედგენა «სოციალისტების» მონაწილეობით;

ბ) პირველი მაისის დემონსტრაცია რუსეთის ძირითად ცენტრებში «დემოკრატიული ზავის» ლოზუნგით;

გ) ივნისის დემონსტრაცია პეტროგრადში ძირითადი ლოზუნგით «ძირს კაპიტალისტი მინისტრები!»;

დ) ივნისის შეტევა ფრონტზე და რუსეთის არმიის მარცხი;

ეკუთვნის არა ცალკეულ პირებს, არამედ ჩვენი ქვეყნის მოწინავე მუშების დიად კოლექტივს — რუსეთის კომუნისტურ პარტიას. შეიძლება ზედმეტი არ იყოს რამდენიმე მაგალითის მოყვანა. თქვენ იცით, რომ საბჭოთა რესპუბლიკის ძირითად მტრებად კოლჩაკი და დენიკინი ითვლებოდნენ. თქვენ იცით, რომ ჩვენმა ქვეყანამ თავისუფლად ამოისუნთქა მხოლოდ ამ მტრებზე გამარჯვების შემდეგ. და აი, ისტორია ამბობს, რომ ორივე ეს მტერი, ე. ი. კოლჩაკიც და დენიკინიც, საბოლოოდ გაანადგურეს ჩვენმა ჯარებმა **წინააღმდეგ** ტროცკის გეგმებისა.

თვითონ განსაჯეთ.

1) **კოლჩაკის შესახებ.** ეს ამბავი ხდება 1919 წლის ზაფხულში. ჩვენი ჯარები უტევენ კოლჩაკს და უფასთან მოქმედებენ. ცენტრალური კომიტეტის სხდომა. ტროცკის წინადადება შემოაქვს — შევაჩეროთ შეტევა მდინარე ბელაიას ხაზით (უფასთან), დავუტოვოთ ურალი კოლჩაკს, მოვხსნათ აღმოსავლეთის ფრონტზე ჯარის ნაწილი და გადავისროლოთ სამხრეთის ფრონტზე. წარმოებს გაცხარებული კამათი. ცენტრალური კომიტეტი არ ეთანხმება ტროცკის, რადგან ფიქრობს, რომ არ შეიძლება ხელში დავუტოვოთ კოლჩაკს ურალი მისი ქარხნებით, მისი რკინიგზის ქსელით, სადაც მას ადვილად შეუძლია წელში გაიმართოს, ძალა მოიკრიბოს და კვლავ გაჩნდეს ვოლგასთან, — საჭიროა ჯერ კოლჩაკი გავაგდოთ ურალის ქედს იქით, ციმბირის ველებში, და მხოლოდ ამის შემდეგ შევუდგეთ სამხრეთში ძალების გადასროლას. ცენტ-

ე) ივლისის შეიარაღებული დემონსტრაცია პეტროგრადში, კადეტ მინისტრების გასვლა მთავრობიდან;

ვ) ფრონტიდან კონტრრევოლუციური ჯარების ჩამოყვანა, «პრავდის» რედაქციის დარბევა, კონტრრევოლუციის ბრძოლა საბჭოებთან და ახალი კოალიციური მთავრობის შექმნა კერენსკის მეთაურობით;

ზ) ჩვენი პარტიის VI ყრილობა, რომელმაც მოგვცა შეიარაღებული აჯანყების მომზადების ლოზუნგი;

თ) კონტრრევოლუციური სახელმწიფო თათბირი და საერთო გაფიცვა მოსკოვში;

ი) კორნილოვის მარცხით დამთავრებული შეტევა პეტროგრადზე, საბჭოების გამოცოცხლება, კადეტების გადადგომა და «დირექტორიის» შექმნა.

რალური კომიტეტი უარყოფს ტროცკის გეგმას. ტროცკი ითხოვს, რომ ის გადააყენონ. ცენტრალური კომიტეტი არ იღებს გადადგომის განცხადებას. მთავარსარდალი ვაცეტისი, ტროცკის გეგმის მომხრე, გადადგა. მის ადგილს იკავებს ახალი მთავარსარდალი, კამენევი. ამ მომენტიდან ტროცკი პირდაპირ მონაწილეობას აღარ იღებს აღმოსავლეთის ფრონტის საქმეებში.

2) **დენიკინის შესახებ.** ეს ამბავი ხდება 1919 წლის შემოდგომაზე. შეტევა დენიკინის წინააღმდეგ ვერ ხერხდება. «ფოლადის სალტე» მამონტოვის ირგვლივ (მამონტოვის რეიდი) აშკარად იფუშება. დენიკინი იღებს კურსს. დენიკინი ორიოლს უახლოვდება. ტროცკი გამოიძახეს სამხრეთის ფრონტიდან ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე. ცენტრალური კომიტეტი საგანგაშოდ ცნობს მდგომარეობას და ადგენს — გაგზავნოს სამხრეთის ფრონტზე ახალი სამხედრო მუშაკები და უკან გამოიწვიოს ტროცკი. ახალი სამხედრო მუშაკები მოითხოვენ ტროცკის «ჩაურევლობას» სამხრეთის ფრონტის საქმეებში. ტროცკი პირდაპირ მონაწილეობას აღარ იღებს სამხრეთის ფრონტის საქმეებში. ოპერაციები სამხრეთის ფრონტზე, ჩვენს მიერ თვით დონის როსტოვისა და ოდესის აღებამდე, ტროცკის მონაწილეობის გარეშე ტარდება.

დაე სცადონ ამ ფაქტების გაბათილება.

ამ პერიოდის დამახასიათებელ ნიშნად უნდა ჩაითვალოს კრიზისის გამწვავება და დარღვევა იმ მერყევი წონასწორობისა საბჭოებსა და დროებით მთავრობას შორის, რაც — ავად თუ კარგად — წინა პერიოდში არსებობდა. ორხელისუფლებიანობა აუტანელი გახდა ორივე მხარისათვის. «საკონტაქტო კომისიის» სუსტი შენობა უკანასკნელ დღეებს განიცდის. «ხელისუფლების კრიზისი» და «სამინისტრო ოთურმა» მაშინ მომენტის ყველაზე მოდური სიტყვები იყო. კრიზისი ფრონტზე და ნგრევა ზურგში თავის საქმეს აკეთებს, აძლიერებს უკიდურეს ფლანგებს და ორმხრივ ავიწროებს შემთანხმებელ-ობორონცებს. რევოლუცია მობილიზდება, რითაც იწვევს კონტრრევოლუციის მობილიზაციას. კონტრრევოლუცია, თავის მხრივ, წინ უბიძგებს რევოლუციას და რევოლუციური ტალღების ახალ აზვირთებას იწვევს. ახალი კლასის ხელში ძალაუფლების გადასვლის საკითხი დღის მორიგ საკითხად იქცევა.

იყო თუ არა მაშინ ჩვენს პარტიაში უთანხმოებანი? დიახ, იყო. მაგრამ ამ უთანხმოებებს მხოლოდ და მხოლოდ საქმიანი ხასიათი ჰქონდათ, წინააღმდეგ ტროცკის მტკიცებისა, რომელიც ცდილობს აღმოაჩინოს პარტიის «მემარჯვენე» და «მემარცხენე» ფრთა. ესე იგი ეს იყო ისეთი უთანხმოებანი, რომელთა გარეშე საერთოდ არ არსებობს ცოცხალი პარტიული ცხოვრება და ნამდვილი პარტიული მუშაობა.

მართალი არ არის ტროცკი, როდესაც ირწმუნება — პეტროგრადის აპრილის დემონსტრაციამ უთანხმოებანი გამოიწვია ცენტრალური კომიტეტის შიგნითო. ცენტრალური კომიტეტი აბსოლუტურად ერთიანი იყო ამ საკითხში, გმობდა რა ამხანაგების ერთი ჯგუფის ცდას — დაეპატიმრებინათ დროებითი მთავრობა იმ მომენტში, როდესაც

საბჭოებსა და არმიაში ბოლშევიკები უმცირესობას შეადგენდნენ. ტროცკი რომ ოქტომბრის «ისტორიას» სუხანოვის მიხედვით კი არ წერდეს, არამედ ნამდვილი დოკუმენტების მიხედვით, ის ადვილად დარწმუნდებოდა თავისი მტკიცების მცდარობაში.

აბსოლუტურად არ არის მართალი ტროცკი, როდესაც ამტკიცებს — «ლენინის ინიციატივით» 10 ივნისს დემონსტრაციის მოწყობის ცდამ გამოიწვია ცენტრალური კომიტეტის «მემარჯვენე» წევრების მხრივ «ავანტიურიზმში» ბრალის დადებაო. ტროცკი რომ სუხანოვის მიხედვით არ წერდეს, მას დანამდვილებით ეცოდინებოდა, რომ 10 ივნისის დემონსტრაცია ლენინის სრული თანხმობით გადაიდო, ამასთან გადადების აუცილებლობას ლენინი იცავდა პეტროგრადის კომიტეტის ცნობილ სხდომაზე წარმოთქმულ ვრცელ სიტყვაში (იხ. პეტროგრადის კომიტეტის ოქმები [75]).

სრულებით არ არის მართალი ტროცკი, როდესაც ლაპარაკობს «ტრაგიკულ» უთანხმოებაზე ცენტრალური კომიტეტის შიგნით ივლისის შეიარაღებულ დემონსტრაციასთან დაკავშირებით. ტროცკი პირდაპირ ზღაპარს თხზავს, როდესაც ფიქრობს — ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი ჯგუფის ზოგიერთ წევრს «ივლისის ეპიზოდში მავნე ავანტიურა უნდა დაენახაო». ტროცკის, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არ შედიოდა ჩვენი ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში და მხოლოდ ჩვენი საბჭოთა პარლამენტარი იყო, შეეძლო, რა თქმა უნდა, არც კი სცოდნოდა, რომ ცენტრალურ კომიტეტს ივლისის დემონსტრაცია მხოლოდ მოწინააღმდეგის ძალთა მოსინჯვის საშუალებად მიაჩნდა, რომ ცენტრალურ კომიტეტს (და ლენინს) არ უნდოდათ და არ ფიქრობდნენ აჯანყებად გადაექციათ დემონსტრაცია იმ მომენტში, როდესაც დედაქალაქთა საბჭოები ჯერ კიდევ

ობორონცებს უჭერდნენ მხარს. სავსებით შესაძლებელია, რომ ვინმე ბოლშევიკთაგანი მართლაც წუწუნებდა ივლისის დამარცხებასთან დაკავშირებით. მე ვიცი, მაგალითად, რომ ზოგიერთი მაშინ დაპატიმრებულ ბოლშევიკთაგანი მზად იყო კიდევაც დაეტოვებინა ჩვენი რიგები. მაგრამ აქედან დასკვნის გამოტანა ზოგიერთთა, ვითომდა «მემარჯვენეთა», ვითომდა ცენტრალური კომიტეტის წევრთა წინააღმდეგ, — ეს ნიშნავს ისტორიის უღმერთოდ დამახინჯებას.

მართალი არ არის ტროცკი, როდესაც აცხადებს — კორნილოვის ამბოხების დღეებში პარტიის ზედაფენის ნაწილში გამომჟღავნდა ობორონცებთან ბლოკის, დროებითი მთავრობისათვის მხარდაჭერის ტენდენციაო. ლაპარაკია, რა თქმა უნდა, სწორედ იმ ვითომდა «მემარჯვენეებზე», რომლებიც მოსვენებას არ აძლევენ ტროცკის. ტროცკი მართალი არ არის, რადგან არსებობს ქვეყნად ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა პარტიის მაშინდელი ცენტრალური ორგანო, რომელიც მთლად აბათილებს ტროცკის განცხადებებს. ტროცკი იმოწმებს ლენინის გამაფრთხილებელ წერილს ცენტრალური კომიტეტისადმი კერენსკისათვის მხარდაჭერის წინააღმდეგ. მაგრამ ტროცკის არ ესმის ლენინის წერილები, მათი მნიშვნელობა, მათი დანიშნულება. ლენინი თავის წერილებში ზოგჯერ განზრახ გარბის წინ, — პირველ რიგში აყენებს იმ **შესაძლებელ** შეცდომებს, რომელთა დაშვება მოსალოდნელია, და ავანსად აკრიტიკებს მათ იმ მიზნით, რომ გააფრთხილოს პარტია და შეცდომებისაგან დააზღვიოს იგი, ანდა ზოგჯერ აზვიადებს «წვრილმანს», «ბუზს სპილოდ» აქცევს იმავე პედაგოგიური მიზნით. პარტიის ბელადს, განსაკუთრებით, თუ ის იატაკქვეშეთში იმყოფება, სხვაგვარად მოქცევა არც შეუძლია, ვინაიდან იგი თავის თანამებრძოლებზე უფრო შორს

უნდა ხედავდეს და ვალდებულია განგაში ატეხოს თვითეული შესაძლებელი შეცდომის გამო, «წვრილმანთა» გამოც კი. მაგრამ ლენინის ასეთი წერილებიდან (მას კი ცოტა როდი აქვს ასეთი წერილი) დასკვნის გამოტანა «ტრაგიკულ» უთანხმოებათა შესახებ და ამის გამო ნაღარის ცემა — ნიშნავს — ვერ გაიგო ლენინის წერილები, ვერ იცნობდე ლენინს. ალბათ სწორედ ამით აიხსნება, რომ ტროცკის ზოგჯერ ნახტომი უცდება. მოკლედ: არავითარი, სრულიად არავითარი უთანხმოება არ ყოფილა ცენტრალურ კომიტეტში კორნილოვის გამოსვლის დღეებში.

ივლისის დამარცხების შემდეგ ცენტრალურ კომიტეტსა და ლენინს შორის მართლაც წარმოიშვა უთანხმოება საბჭოების ბედის საკითხის გამო. ცნობილია, რომ ლენინი, რომელსაც უნდოდა პარტიის მთავარი ყურადღების მიპყრობა აჯანყების მომზადებაზე საბჭოების გარეშე, გვაფრთხილებდა საბჭოებით გატაცებისაგან, რადგან, მისი აზრით, ობორონცების მიერ შებილწული საბჭოები უკვე ცარიელ ადგილად გადაიქცნენ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და VI ყრილობამ უფრო ფრთხილი გეზი აიღეს და გადაწყვიტეს, რომ საფუძველი არ არის გამორიცხულად მივიჩნიოთ საბჭოების გამოცოცხლებაო. კორნილოვის გამოსვლამ ცხადყო, რომ ეს გადაწყვეტილება სწორი იყო. ესეც კია, ამ უთანხმოებას აქტუალური მნიშვნელობა არ ჰქონია პარტიისათვის. შემდეგში ლენინმა აღიარა, რომ VI ყრილობის გეზი სწორი იყო. საინტერესოა, რომ ტროცკი არ ჩაეჭიდა ამ უთანხმოებას და «საოცარ» ფარგლებამდე არ გააზვიადა იგი.

ერთიანი და მჭიდროდ შეკავშირებული, მასების რევოლუციური მობილიზაციის ცენტრში მდგომი პარტია, — ასეთია ჩვენი პარტიის მდგომარეობის სურათი ამ პერიოდში.

3) **იერიშის ორგანიზაციის პერიოდი (სექტემბერი — ოქტომბერი).** ამ პერიოდის ძირითადი ფაქტები:

ა) დემოკრატიული თათბირის მოწვევა და კადეტებთან ბლოკის იდეის ჩაშლა;

ბ) მოსკოვისა და პეტროგრადის საბჭოების გადმოსვლა ბოლშევიკების მხარეზე;

გ) ჩრდილოეთის ოლქის საბჭოების ყრილობა[76] და პეტროგრადის საბჭოს გადაწყვეტილება ჯარების გაყვანის წინააღმდეგ;

დ) პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება აჯანყების შესახებ და პეტროგრადის საბჭოს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის შექმნა;

ე) პეტროგრადის გარნიზონის გადაწყვეტილება პეტროგრადის საბჭოსათვის შეიარაღებული მხარდაჭერის შესახებ და სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის კომისართა სისტემის ორგანიზაცია;

ვ) ბოლშევიკების შეიარაღებული ძალების გამოსვლა და დროებითი მთავრობის წევრთა დაპატიმრება;

ზ) პეტროგრადის საბჭოს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მიერ ძალაუფლების აღება და საბჭოების II ყრილობის მიერ სახალხო კომისართა საბჭოს შექმნა.

ამ პერიოდის დამახასიათებელ ნიშნად უნდა ჩაითვალოს კრიზისის სწრაფად გაძლიერება, მმართველი წრეების სრული დაბნეულობა, ესერებისა და მენშევიკების იზოლაცია და მერყეევი ელემენტების მასობრივად გადმოსვლა ბოლშევიკების მხარეზე. აღსანიშნავია ერთი ორიგინალური თავისებურება რევოლუციის ტაქტიკისა ამ პერიოდში. იგი, ეს თავისებურება, იმაში მდგომარეობს, რომ რევოლუცია ცდილობს თავისი შეტევის ყოველი, ან თითქმის ყოველი ნაბიჯი თავდაცვის სახით გადადგას. უეჭველია, პეტროგრადიდან ჯარების გაყვანაზე უარის თქმა რევოლუციის შეტე-

ვის სერიოზული ნაბიჯი იყო, მიუხედავად ამისა ეს შეტევა ჩატარდა გარეშე მტრის შესაძლო შემოტევისაგან პეტროგრადის დაცვის ლოზუნგით. უეჭველია, სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის შექმნა დროებით მთავრობაზე შეტევის კიდევ უფრო სერიოზული ნაბიჯი იყო, მიუხედავად ამისა იგი ჩატარდა სამხედრო ოლქის შტაბის მოქმედების მიმართ საბჭოთა კონტროლის დაწესების ლოზუნგით. უეჭველია, გარნიზონის აშკარა გადასვლა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მხარეზე და საბჭოთა კომისრების ქსელის შექმნა აჯანყების დაწყებას მოასწავებდნენ, მიუხედავად ამისა რევოლუციამ ეს ნაბიჯები გადადგა კონტრრევოლუციის შესაძლო გამოსვლებისაგან პეტროგრადის საბჭოს დაცვის ლოზუნგით. რევოლუცია თითქოს ნიღბავდა თავის შეტევითს მოქმედებას თავდაცვის გარსით, რათა მით უფრო ადვილად ჩაეთრია თავის ორბიტაში გაუბედავი, მერყევი ელემენტები. ალბათ სწორედ ამით აიხსნება გარეგნულად თავდაცვითი ხასიათი ამ პერიოდის სიტყვების, სტატიების და ლოზუნგებისა, რომელთაც, მიუხედავად ამისა, ღრმა შეტევითი ხასიათი აქვთ თავიანთი შინაგანი არსით.

იყო თუ არა ამ პერიოდში უთანხმოებანი ცენტრალური კომიტეტის შიგნით? დიახ, იყო, და არამცირემნიშვნელოვანი. უთანხმოებებზე აჯანყების საკითხის გამო მე უკვე ვილაპარაკე. ეს უთანხმოებანი სავსებით ასახულია ცენტრალური კომიტეტის 10 და 16 ოქტომბრის ოქმებში. ამიტომ მე აღარ გავიმეორებ წინათ უკვე ნათქვამს. ახლა საჭიროა შევჩერდეთ სამ საკითხზე: წინაპარლამენტში მონაწილეობის, აჯანყებაში საბჭოების როლისა და აჯანყების ვადის საკითხებზე. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ტროცკიმ, რომელიც თავგამოდებით ცდილობს — თვალსაჩინო ადგილზე წამოჭიმოს თავისი თავი, «უცაბე-

დად» დაამახინჯა ლენინის პოზიცია უკანასკნელ ორ საკითხში.

უეჭველია, უთანხმოებას წინაპარლამენტის საკითხში სერიოზული ხასიათი ჰქონდა. რა შეადგენდა წინაპარლამენტის, ასე ვთქვათ, მიზანს? ის, რომ დახმარებოდა ბურჟუაზიას — უკანა რიგში დაეყენებინა საბჭოები და საფუძველი ჩაეყარა ბურჟუაზიული პარლამენტარიზმისათვის. შეეძლო თუ არა წინაპარლამენტს შექმნილ რევოლუციურ ვითარებაში ასეთი ამოცანის შესრულება — ეს სხვა საკითხია. მოვლენებმა ცხადყვეს, რომ ეს მიზანი განუხორციელებელი იყო, ხოლო თვით წინაპარლამენტი კორნილოვშჩინის უდღეურ ნაშიერს წარმოადგენდა. მაგრამ უეჭველია, რომ სწორედ ასეთ მიზანს ისახავდნენ მენშევიკები და ესერები, როდესაც წინაპარლამენტს ქმნიდნენ. რის მომასწავებელი იქნებოდა ასეთ პირობებში ბოლშევიკების მონაწილეობა წინაპარლამენტში? მხოლოდ იმისა, რომ შეცდომაში შეიყვანდნენ პროლეტარულ მასებს წინაპარლამენტის ნამდვილი რაობის საკითხში. უმთავრესად სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ლენინი თავის წერილებში ასე სასტიკად ამათრახებს წინაპარლამენტში მონაწილეობის მომხრეებს. წინაპარლამენტში მონაწილეობა, უეჭველია, სერიოზული შეცდომა იყო.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, როგორც ამას ტროცკი ფიქრობს, რომ მონაწილეობის მომხრენი წინაპარლამენტში შევიდნენ ორგანული მუშაობის მიზნით, იმ მიზნით, რომ «სოციალ-დემოკრატიის კალაპოტში» «მოეცათ მუშათა მოძრაობა». ეს სრულიადაც არ არის სწორი. ეს ტყუილია. ეს რომ მართალი ყოფილიყო, პარტია ვერ შესძლებდა «ერთბაშად» მოესპო ეს შეცდომა წინაპარლამენტიდან დემონსტრაციული წასვლით. ჩვენი პარტიის სიცოცხლისუნარიანობა და რევოლუციური ძლი-

ერება, სხვათა შორის, სწორედ იმაში გამოიხატა, რომ მან მყისვე გამოასწორა ეს შეცდომა.

ამის შემდეგ კი ნება მომეცით შევასწორო პატარა შეცდომა, რომელიც გაპარულა ტროცკის თხზულებათა «რედაქტორის» ლენცნერის ცნობაში ბოლშევიკური ფრაქციის იმ სხდომის შესახებ, რომელმაც წინაპარლამენტის საკითხი გადაწყვიტა. ლენცნერი გვამცნობს, რომ ამ სხდომაზე ორი მომხსენებელი იყო — კამენევი და ტროცკი. ეს სწორი არ არის. მომხსენებელი ნამდვილად ოთხი იყო: ორი — წინაპარლამენტის ბოიკოტის მომხრე (ტროცკი და სტალინი) და ორი — მონაწილეობის მომხრე (კამენევი და ნოგინი).

კიდევ უფრო ცუდად აქვს საქმე ტროცკის, როდესაც ის ეხება ლენინის პოზიციას აჯანყების ფორმის საკითხში. ტროცკის მიხედვით ისე გამოდის, თითქოს, ლენინის აზრით, პარტიას ოქტომბერში ძალაუფლება უნდა აეღო «საბჭოსაგან დამოუკიდებლად და მის ზურგს უკან». აკრიტიკებს რა შემდეგ ლენინისათვის მიწერილ ამ სისულელეს, ტროცკი «ხტის და თამაშობს», ბოლოს კი ასეთი შეწყნარებითი ფრაზით ამთავრებს: «ეს შეცდომა იქნებოდაო». ტროცკი აქ ტყუილს ამბობს ლენინის შესახებ, ამახინჯებს ლენინის შეხედულებას საბჭოების როლზე აჯანყებაში. შეიძლებოდა მოგვეყვანა მთელი გროვა დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ლენინი წინადადებას იძლეოდა — აგვეღო ძალაუფლება საბჭოების **საშუალებით** — პეტროგრადის ან მოსკოვის საბჭოს საშუალებით, და არა საბჭოების **ზურგს უკან**. რისთვის დასჭირდა ტროცკის ეს უცნაურზე უცნაური ლეგენდა ლენინის შესახებ?

უკეთესად არა აქვს საქმე ტროცკის, როდესაც ის «არჩევს» ცენტრალური კომიტეტისა და ლენინის პოზიციას აჯანყების ვადის საკითხში. გვამცნობს რა ცენტრა-

ლური კომიტეტის 10 ოქტომბრის ცნობილი სხდომის ამბავს, ტროცკი ამტკიცებს, რომ ამ სხდომაზე «გამოტანილ იქნა იმ აზრის შემცველი რეზოლუცია, რომ აჯანყება უნდა მომხდარიყო არა უგვიანეს 15 ოქტომბრისა». გამოდის, რომ ცენტრალურ კომიტეტს აჯანყების ვადად 15 ოქტომბერი დაუნიშნავს, შემდეგ კი თვითონვე დაურღვევია ეს დადგენილება და აჯანყების ვადა 25 ოქტომბრისათვის გადაუტანია. სწორია თუ არა ეს? არა, არ არის სწორი. ცენტრალურმა კომიტეტმა ამ პერიოდში გამოიტანა სულ ორი რეზოლუცია აჯანყების შესახებ — 10 ოქტომბერს და 16 ოქტომბერს. წავიკითხოთ ეს რეზოლუციები.

ცენტრალური კომიტეტის 10 ოქტომბრის რეზოლუცია:

«ცენტრალური კომიტეტი აღიარებს, რომ როგორც რუსეთის რევოლუციის საერთაშორისო მდგომარეობა (აჯანყება გერმანიის ფლოტში, როგორც მთელ ევროპაში მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ზრდის უკიდურესი გამოვლინება, შემდეგ საფრთხე იმპერიალისტების ზავისა* რუსეთის რევოლუციის ჩახრჩობის მიზნით), ისე სამხედრო მდგომარეობაც (რუსეთის ბურჟუაზიისა და კერენსკის და კომპ. უეჭველი გადაწყვეტილება — გერმანელებს ჩააბარონ პიტერი), ასევე პროლეტარული პარტიის მიერ საბჭოებში უმრავლესობის მოპოვება, — ყოველივე ეს, გლეხთა აჯანყებასთან და ჩვენი პარტიისაკენ ხალხის ნდობის შემობრუნებასთან (არჩევნები მოსკოვში) დაკავშირებით, ბოლოს მეორე კორნილოვშჩინის აშკარა მომზადება (პიტერიდან კაზაკების გაყვანა, პიტერთან კაზაკების დაგროვება, მინსკის გარემოცვა კაზაკებით და სხვ.), — ყოველივე ეს დღის წესრიგში აყენებს შეიარაღებულ აჯანყებას.

აღიარებს რა ამრიგად, რომ შეიარაღებული აჯანყება აუცილებელია და სავსებით მომწიფებულია, ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტიის ყველა ორგანიზაციას — იხელმძღვანელონ ამით და ამ თვალსაზრისით განიხილონ და გადაჭრან ყველა პრაქტიკული

* აშკარაა, უნდა იყოს: «სეპარატული ზავისა». ი. სტ.

საკითხი (ჩრდილოეთის ოლქის საბჭოების ყრილობისა, პეტერიდან ჯარების გაყვანისა, მოსკოველების და მინსკელების გამოსვლისა და სხვ.)» [77].

რეზოლუცია ცენტრალური კომიტეტის 16 ოქტომბრის თათბირისა პასუხისმგებელ მუშაკებთან ერთად:

«კრება სავსებით მიესალმება და მთლიანად უჭერს მხარს ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციას, მოუწოდებს ყველა ორგანიზაციას და ყველა მუშასა და ჯარისკაცს — ყოველმხრივ და უაღრესად გაძლიერებულად ამზადონ შეიარაღებული აჯანყება, მხარი დაუჭირონ ცენტრალური კომიტეტის მიერ ამ მიზნით შექმნილ ცენტრს და გამოთქვამს სრულ რწმენას, რომ ცენტრალური კომიტეტი და საბჭო თავის დროზე მიუთითებენ შეტევის ხელსაყრელ მომენტსა და მიზანშეწონილ საშუალებებზე» [78].

თქვენ ხედავთ, რომ ტროცკის უღალატა მეხსიერებამ აჯანყების ვადისა და ცენტრალური კომიტეტის მიერ აჯანყების შესახებ მიღებული რეზოლუციის მიმართ.

სრულებით არ არის მართალი ტროცკი, როდესაც ამტკიცებს, რომ ლენინი სათანადოდ ვერ აფასებდა საბჭოთა ლეგალობას, რომ ლენინს არ ესმოდა საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობის მიერ 25 ოქტომბერს ძალაუფლების აღების სერიოზული მნიშვნელობა, რომ ლენინი თითქოს სწორედ ამიტომ მოითხოვდა ძალაუფლების აღებას 25 ოქტომბრამდე. ეს არ არის სწორი. ლენინი ძალაუფლების 25 ოქტომბრამდე აღების წინადადებას ორი მიზეზით იძლეოდა. ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ კონტრრევოლუციონერებს ყოველ მომენტში შეეძლოთ ჩაებარებინათ პეტროგრადი, რაც სისხლისაგან დაცლიდა აღმავალ აჯანყებას და რის გამოც ძვირფასი იყო ყოველი დღე. მეორეც, იმიტომ, რომ შეცდომა პეტროგრადის საბჭოსი, რომელმაც **აშკარად** დანიშნა და გამოაქვეყნა აჯანყების დღე (25 ოქტომბერი), არ შეიძლებოდა სხვანაირად გამოსწორებულიყო, თუ არ ფაქტიური აჯანყებით აჯანყების ამ ლეგალურ

ვადამდე. საქმე ისაა, რომ ლენინი აჯანყებას უყურებდა, როგორც ხელოვნებას, და მას არ შეეძლო არ სცოდნოდა, რომ მტერი, რომლისთვისაც ცნობილი იყო (პეტროგრადის საბჭოს გაუფრთხილებლობის გამო) აჯანყების დღე, აუცილებლად შეეცდებოდა მომზადებულიყო ამ დღისათვის, რის გამოც საჭირო იყო დაგვესწრო მტრისათვის, ე. ი. დაგვეწყო აჯანყება აუცილებლად ლეგალურ **ვადამდე.** უმთავრესად სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ლენინი თავის წერილებში ასე სასტიკად ამათრახებდა ამ თარიღის — 25 ოქტომბრის ფეტიშისტებს. მოვლენებმა ცხადყვეს, რომ ლენინი სავსებით მართალი იყო. ცნობილია, რომ აჯანყება დაიწყო საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობამდე. ცნობილია, რომ ძალაუფლება ფაქტიურად აღებულ იქნა საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობის გახსნამდე, და ძალაუფლება აიღო არა საბჭოების ყრილობამ, არამედ პეტროგრადის საბჭომ, სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა. საბჭოების ყრილობამ მხოლოდ **მიიღო** ძალაუფლება პეტროგრადის საბჭოსაგან. აი რატომაა, რომ ტროცკის ვრცელი მსჯელობანი საბჭოთა ლეგალობის მნიშვნელობაზე სრულიად ზედმეტია.

ცოცხალი და მძლავრი პარტია, სათავეში რომ უდგას რევოლუციურ მასებს, რომლებიც უტევენ და ამხობენ ბურჟუაზიულ ხელისუფლებას, — ასეთია ჩვენი პარტიის მდგომარეობა ამ პერიოდში.

ასეთია ვითარება ლეგენდებისა ოქტომბრის მომზადების შესახებ.

III

ტროცკიზმი თუ ლენინიზმი?

ზემოთ ჩვენ ვილაპარაკეთ იმ ლეგენდებზე პარტიის წინააღმდეგ და ლენინის შესახებ, რასაც ტროცკი და მისი თანამოაზრენი ავრცელებენ ოქტომბერთან და მის მომზა-

დებასთან დაკავშირებით. ჩვენ ვამხელდით და ვაბათილებდით ამ ლეგენდებს. მაგრამ საკითხავია: რისთვის დასჭირდა ტროცკის ყველა ეს ლეგენდა ოქტომბერსა და ოქტომბრის მომზადებაზე, ლენინსა და ლენინის პარტიაზე? რისთვის იყო საჭირო ტროცკის ახალი ლიტერატურული გამოსვლები პარტიის წინააღმდეგ? რაშია აზრი, ამოცანა, მიზანი ამ გამოსვლებისა ახლა, როდესაც პარტიას არ სურს დისკუსია, როდესაც პარტიას თავსაყრელად აქვს გადაუდებელი ამოცანები, როდესაც პარტია საჭიროებს დარაზმულად მუშაობას მეურნეობის აღსადგენად, და არა ახალ ბრძოლას ძველი საკითხების გამო? რისთვის დასჭირდა ტროცკის — უკან ეწეოდეს პარტიას, ახალი დისკუსიებისაკენ?

ტროცკი ირწმუნება — ყოველივე ეს საჭიროა ოქტომბრის «შესწავლისთვისო». მაგრამ ნუთუ არ შეიძლება ოქტომბრის შესწავლა უიმისოდ, რომ ერთხელ კიდევ ტლინკი არ ესროლოს პარტიას და მის ბელადს ლენინს? რას წარმოადგენს ოქტომბრის ის «ისტორია», რომელიც იწყება და თავდება ოქტომბრის აჯანყების მთავარი მოღვაწის გაწბილებით, ამ აჯანყების მომწყობი და ჩამტარებელი პარტიის გაწბილებით? არა, აქ საქმე ოქტომბრის შესწავლა როდია. ოქტომბერს **ასე** არ სწავლობენ. ოქტომბრის ისტორიას **ასე** არ წერენ. ცხადია, აქ სხვა «განზრახვაა». ხოლო ეს «განზრახვა», ყველა მონაცემის მიხედვით, იმაში მდგომარეობს, რომ ტროცკი თავისი ლიტერატურული გამოსვლებით ერთხელ კიდევ (ერთხელ კიდევ!) ცდილობს მოამზადოს პირობები ლენინიზმის შესაცვლელად ტროცკიზმით. ტროცკის «აუცილებლად» სჭირდება გაწბილება პარტიისა, მისი კადრებისა, რომლებმაც ჩაატარეს აჯანყება, იმისათვის, რომ პარტიის გაწბილებიდან გადავიდეს ლენინიზმის გაწბილებაზე. ხოლო ლენინიზმის გაწბილება საჭიროა

იმისათვის, რომ როგორმე გაათრიოს ტროცკიზმი, როგორც «ერთადერთი», «პროლეტარული» (ხუმრობა არ გეგონოთ!) იდეოლოგია. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა (დიახ, რა თქმა უნდა!), ლენინიზმის დროშით უნდა მოხდეს, რათა გათრევის პროცედურა «მაქსიმალურად უმტკივნეულოდ» ჩატარდეს.

ესაა ტროცკის უკანასკნელ ლიტერატურულ გამოსვლათა დედაარსი.

ამიტომ ტროცკის ეს ლიტერატურული გამოსვლები პირდაპირ აყენებენ საკითხს ტროცკიზმის შესახებ.

ამრიგად, რა არის ტროცკიზმი?

ტროცკიზმი შეიცავს სამ თავისებურებას, რაც მას შეურიგებელ წინააღმდეგობაში აყენებს ლენინიზმთან.

როგორია ეს თავისებურებანი?

პირველი. ტროცკიზმი არის «პერმანენტული» (განუწყვეტელი) რევოლუციის თეორია. ხოლო რა არის პერმანენტული რევოლუცია მისი ტროცკისტული გაგებით? ეს არის რევოლუცია ხელმოკლე გლეხობის, როგორც რევოლუციური ძალის, გაუთვალისწინებლად. ტროცკის «პერმანენტული» რევოლუცია არის, როგორც ლენინი ამბობს, გლეხურ მოძრაობაზე «გადახტომა», «ძალაუფლების დაპყრობის თამაში». რაშია მისი საფრთხე? იმაში, რომ ასეთი რევოლუცია, მის განხორციელებას რომ ცდილიყვნენ, აუცილებელი კრახით დამთავრდებოდა, ვინაიდან იგი რუსეთის პროლეტარიატს ჩამოაშორებდა მის მოკავშირეს, ე. ი. ხელმოკლე გლეხობას. სწორედ ამით აიხსნება ის ბრძოლა, რომელსაც ლენინიზმი ეწევა ტროცკიზმის წინააღმდეგ ჯერ კიდევ 1905 წლიდან.

როგორ აფასებს ტროცკი ლენინიზმს ამ ბრძოლის თვალსაზრისით? ლენინიზმს იგი იხილავს, როგორც «ანტირევოლუციურ თვისებათა» შემცველ თეორიას. რაზეა

დამყარებული ასეთი გულმწყრალი შეფასება ლენინიზმისა? იმაზე, რომ ლენინიზმი იცავდა და მან დაიცვა თავის დროზე პროლეტარიატისა და **გლეხობის** დიქტატურის იდეა.

მაგრამ ტროცკი არ კმაყოფილდება ამ გულმწყრალი შეფასებით. ის უფრო შორს მიდის და ამტკიცებს, რომ: «ამჟამად ლენინიზმის მთელი შენობა აგებულია სიცრუესა და ფალსიფიკაციაზე და შეიცავს საკუთარი ზრწნის შხამიან საწყისს» (იხ. ტროცკის წერილი ჩხეიძისადმი, 1913 წ.). როგორც ხედავთ, ჩვენს წინაშე ორი მოპირისპირე ხაზია.

მეორე. ტროცკიზმი არის უნდობლობა ბოლშევიკური პარტიულობისადმი, მისი მონოლითურობისადმი, მისი მტრული დამოკიდებულებისადმი ოპორტუნისტული ელემენტების მიმართ. ტროცკიზმი ორგანიზაციულ დარგში არის თეორია ერთიანი პარტიის წიაღში რევოლუციონერებისა და ოპორტუნისტების, მათი დაჯგუფებებისა და პატარა დაჯგუფებების თანაცხოვრებისა. თქვენ, ალბათ, იცით ისტორია ტროცკის აგვისტოს ბლოკისა, სადაც მშვიდად თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან მარტოველები და ოტზოვისტები, ლიკვიდატორები და ტროცკისტები და «ნამდვილ» პარტიად მოჰქონდათ თავი. ცნობილია, რომ ეს, ნაჭრებისაგან შეკოწიწებული, «პარტია» მიზნად ისახავდა ბოლშევიკური პარტიის დანგრევას. რაში მდგომარეობდა მაშინ «ჩვენი უთანხმოებანი»? იმაში, რომ ლენინიზმს პროლეტარული პარტიის განვითარების საწინდრად მიაჩნდა აგვისტოს ბლოკის დანგრევა, მაშინ როდესაც ტროცკიზმი ამ ბლოკში ხედავდა ბაზას «ნამდვილი» პარტიის შესაქმნელად.

როგორც ხედავთ, კვლავ ორი მოპირისპირე ხაზია.

მესამე. ტროცკიზმი არის უნდობლობა ბოლშევიზმის ლიდერებისადმი, მათი დისკრედიტირების, მათი გაწბილე-

ბის ცდა. მე არ ვიცი პარტიაში არც ერთი მომდინარეობა, რომელსაც შეეძლოს გაუტოლდეს ტროცკიზმს ლენინიზმის ლიდერების ან პარტიის ცენტრალური დაწესებულებების დისკრედიტირების საქმეში. რად ღირს, მაგალითად, ტროცკის «თავაზიანი» აზრი ლენინზე, რომელსაც ის ახასიათებს, როგორც «პროფესიონალ ექსპლოატატორს ყოველგვარი ჩამორჩენილობისა რუსეთის მუშათა მოძრაობაში» (იხ. იქვე). ამასთან ეს ხომ ყველაზე «თავაზიანი» აზრი როდია ტროცკის მიერ გამოთქმულ ყველა სხვა «თავაზიან» აზრთა შორის.

როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ტროცკი, რომელსაც ზურგს უკან ასეთი არასასიამოვნო ტვირთი აქვს, მაინც ბოლშევიკების რიგებში აღმოჩნდა ოქტომბრის მოძრაობის დროს? ეს იმიტომ მოხდა, რომ ტროცკიმ მაშინ ხელი აიღო (ფაქტიურად აიღო ხელი) თავის ტვირთზე, კარადაში შეინახა იგი. ეს «ოპერაცია» რომ არა, სერიოზული თანამშრომლობა ტროცკისთან შეუძლებელი იქნებოდა. აგვისტოს ბლოკის თეორია, ე. ი. მენშევიკებთან ერთიანობის თეორია, უკვე დამარცხებული და შორს უკუგდებული იყო რევოლუციის მიერ, ვინაიდან რა ერთიანობაზე შეიძლებოდა ლაპარაკი ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის შეიარაღებული ბრძოლის დროს? ტროცკის ისღა დარჩენოდა, რომ აღეარებინა ამ თეორიის უვარგისობის ფაქტი.

ასეთივე არასასიამოვნო ამბავი «დაემართა» პერმანენტული რევოლუციის თეორიას, ვინაიდან არც ერთ ბოლშევიკს არ უფიქრნია ძალაუფლების დაუყოვნებლივ დაპყრობაზე თებერვლის რევოლუციის მეორე დღეს, ამასთან ტროცკის არ შეეძლო არ სცოდნოდა, რომ ბოლშევიკები მას არ მისცემდნენ, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, «ძალაუფლების დაპყრობის თამაშის» ნებას. ტროცკის

ისღა დარჩენოდა, რომ ეცნო ბოლშევიკების პოლიტიკა საბჭოებში გავლენისათვის ბრძოლის, გლეხობის მომხრობისათვის ბრძოლის შესახებ. რაც შეეხება ტროცკიზმის მესამე თავისებურებას (უნდობლობა ბოლშევიკ ლიდერებისადმი), ეს თავისებურება, ბუნებრივად, უკანა რიგში უნდა დამდგარიყო პირველი ორი თავისებურების აშკარად ჩაფუშვის გამო.

შეეძლო თუ არა ტროცკის საქმის ასეთი მდგომარეობის დროს კარადაში არ დაეშალა თავისი ტვირთი და არ გაჰყოლოდა ბოლშევიკებს, — ტროცკის, რომელსაც არ ჰყავდა რამდენადმე მაინც სერიოზული ჯგუფი და რომელიც ბოლშევიკებთან მოვიდა, როგორც არმიას მოკლებული პოლიტიკური მარტოხელა? რა თქმა უნდა, არ შეეძლო!

რა გაკვეთილი გამომდინარეობს აქედან? ერთი გაკვეთილი: ლენინელების ხანგრძლივი თანამშრომლობა ტროცკისთან შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელი სავსებით უარყოფს ძველ ტვირთს, თუ იგი სავსებით შეუერთდება ლენინიზმს. ტროცკი წერს ოქტომბრის გაკვეთილებზე, მაგრამ მას ავიწყდება, რომ გარდა ყველა სხვა გაკვეთილისა არსებობს კიდევ ოქტომბრის ერთი გაკვეთილი, რომელიც ეს-არის მოვიხსენიე და რომელსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ტროცკიზმისათვის. ზედმეტი არ იქნებოდა, რომ ტროცკიზმს ოქტომბრის ეს გაკვეთილიც გაეთვალისწინებინა.

მაგრამ ამ გაკვეთილმა, როგორც ჩანს, უქმად ჩაიარა ტროცკიზმისათვის. საქმე ის არის, რომ ტროცკიზმის ძველი ტვირთი, რომელიც კარადაში შეინახეს ოქტომბრის მოძრაობის დღეებში, ახლა კვლავ გამოაქვთ მზის სინათლეზე მისი გასაღების იმედით, — ბაზარი კი ჩვენში, საბედნიეროდ, ფართოვდება. უეჭველია, ტროცკის

ახალ ლიტერატურულ გამოსვლებში ჩვენს წინაშეა ცდა ტროცკიზმისაკენ დაბრუნებისა, ლენინიზმის «დაძლევისა», ტროცკიზმის ყველა თავისებურებათა გაპარებისა, დანერგვისა. ახალი ტროცკიზმი ძველი ტროცკიზმის უბრალო განმეორებას კი არ წარმოადგენს, — ის საკმაოდ გაქუცული და შებერტყილია, ის შეუდარებლად უფრო რბილია სულისკვეთებით და უფრო ზომიერია ფორმით, ვიდრე ძველი ტროცკიზმი, მაგრამ არსებითად ის, უეჭველია, ძველი ტროცკიზმის ყველა თავისებურებას ინარჩუნებს. ახალი ტროცკიზმი ვერ ბედავს ისე გამოვიდეს ლენინიზმის წინააღმდეგ, როგორც მებრძოლი ძალა, ის ამჯობინებს იმოქმედოს ლენინიზმის საერთო დროშით, იმუშაოს ლენინიზმის განმარტების, გაუმჯობესების ლოზუნგით. ეს იმიტომ, რომ იგი სუსტია. არ შეიძლება შემთხვევითად ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ახალი ტროცკიზმის გამოსვლა ლენინის წასვლის მომენტს დაემთხვა. ლენინის დროს ის ვერ გაბედავდა ასეთი სახიფათო ნაბიჯის გადადგმას.

რა შეადგენს ახალი ტროცკიზმის დამახასიათებელ ნიშნებს?

1) **«პერმანენტულზე» რევოლუციის საკითხში.** ახალ ტროცკიზმს საჭიროდ არ მიაჩნია აშკარად დაიცვას «პერმანენტული» რევოლუციის თეორია. ის «უბრალოდ» ადგენს, რომ ოქტომბრის რევოლუციამ მთლიანად დაადასტურა «პერმანენტული» რევოლუციის იდეა. აქედან მას შემდეგი დასკვნა გამოჰყავს: მნიშვნელოვანი და მისაღებია ლენინიზმში ის, რასაც ადგილი ჰქონდა ომის შემდეგ, ოქტომბრის რევოლუციის პერიოდში, და, პირიქით, არასწორი და მიუღებელია ლენინიზმში ის, რასაც ადგილი ჰქონდა ომამდე, ოქტომბრის რევოლუციამდე. აქედან გამომდინარეობს ტროცკისტების თეორია ლენინიზმის ორ ნაწილად გაკვეთისა: ომამდელი დროის ლენინიზმად, «ძველ»,

«უვარგის» ლენინიზმად, მისი პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის იდეით, და ახალ, ომისშემდგომი დროის, ოქტომბრის ლენინიზმად, რომლის შეგუებას ტროცკიზმის მოთხოვნებთან ისინი იმედოვნებენ. ლენინიზმის გაკვეთის ეს თეორია ტროცკიზმს ესაჭიროება, როგორც პირველი, ცოტად თუ ბევრად «მისაღები» ნაბიჯი, აუცილებელი იმისათვის, რომ გაუადვილოს მას შემდგომი ნაბიჯები ლენინიზმთან საბრძოლველად.

მაგრამ ლენინიზმი არ არის ეკლექტიკური თეორია, რომელიც შეკოწიწებულია სხვადასხვაგვარი ელემენტებისაგან და თავისი თავის გაკვეთის შესაძლებლობას იძლევა. ლენინიზმი არის მთლიანი თეორია, 1903 წელს წარმოშობილი, რომელმაც სამი რევოლუციის გამოცდა გაიარა და ახლა მიემართება წინ, როგორც მსოფლიო პროლეტარიატის საბრძოლო დროშა.

«ბოლშევიზმი, — ამბობს ლენინი, — როგორც პოლიტიკური აზრის მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, 1903 წლიდან არსებობს. მხოლოდ ბოლშევიზმის ისტორიას მისი არსებობის **მთელი** პერიოდის განმავლობაში შეუძლია დამაკმაყოფილებლად ახსნას, რატომ შეეძლო მას გამოემუშავებინა და უმჭიმეს პირობებში შეენარჩუნებინა პროლეტარიატის გამარჯვებისათვის აუცილებელი რკინისებური დისციპლინა» (იხ. ტ. XXV, გვ. 174).

ბოლშევიზმი და ლენინიზმი ერთარსნი არიან. ეს ორი სახელწოდებაა ერთი და იმავე საგნისა. ამიტომ ლენინიზმის ორ ნაწილად გაკვეთის თეორია არის ლენინიზმის დანგრევის თეორია, ტროცკიზმით ლენინიზმის შეცვლის თეორია.

ლაპარაკიც ზედმეტია, რომ პარტია ვერ შეურიგდება ამ უცნაურ თეორიას.

2) **პარტიულობის საკითხში.** ძველი ტროცკიზმი ძირს უთხრიდა ბოლშევიკურ პარტიულობას მენშევიკებთან **ერ-**

თიანობის თეორიის (და პრაქტიკის) შემწეობით. მაგრამ ამ თეორიას იმდენად გაუტყდა სახელი, რომ ახლა მისი გახსენებაც კი არ სურთ. პარტიულობისათვის ძირის გამოსათხრელად თანამედროვე ტროცკიზმმა გამოიგონა ახალი, ნაკლებ სკანდალური და თითქმის «დემოკრატიული» თეორია ძველი კადრების დაპირისპირებისა პარტიული ახალგაზრდობისადმი. ტროცკიზმისათვის არ არსებობს ჩვენი პარტიის ერთიანი და მთლიანი ისტორია. ტროცკიზმი ჩვენი პარტიის ისტორიას ყოფს ორ არათანასწორფასოვან ნაწილად — ოქტომბრამდელ და ოქტომბრისშემდგომი დროის ნაწილად. ჩვენი პარტიის ისტორიის ოქტომბრამდელი ნაწილი, ნამდვილად რომ ითქვას, ისტორია კი არ არის, არამედ «წინაისტორიაა», ჩვენი პარტიის არამნიშვნელოვანი ან, ყოველ შემთხვევაში, არც თუ დიდმნიშვნელოვანი მოსამზადებელი პერიოდია. ხოლო ჩვენი პარტიის ისტორიის ოქტომბრისშემდგომი ნაწილი ნამდვილი, ჭეშმარიტი ისტორიაა. იქ — ჩვენი პარტიის «ძველი», «წინაისტორიული», არამნიშვნელოვანი კადრებია. აქ — ახალი, ნამდვილი, «ისტორიული» პარტიაა. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ პარტიის ისტორიის ეს ორიგინალური სქემა წარმოადგენს ჩვენი პარტიის **ძველი** და ახალი კადრების ერთიანობისათვის ძირის გამოთხრის სქემას, ბოლშევიკური პარტიულობის დანგრევის სქემას.

ლაპარაკიც ზედმეტია, რომ პარტია ვერ შეურიგდება ამ უცნაურ სქემას.

3) **ბოლშევიზმის ლიდერების საკითხში.** ძველი ტროცკიზმი ცდილობდა გაეწბილებინა ლენინი ცოტად თუ ბევრად აშკარად, ისე, რომ არ ეშინოდა შედეგებისა. ახალი ტროცკიზმი უფრო ფრთხილად იქცევა. ის ცდილობს **ძველი** ტროცკიზმის საქმე გააკეთოს ლენინის ჭება-დიდების

ნიღაბით, ლენინის განდიდების ნიღაბით. ვფიქრობ, ღირს რამდენიმე მაგალითის მოყვანა.

პარტია ლენინს იცნობს, როგორც ულმობელ რევოლუციონერს. მაგრამ მან იცის აგრეთვე, რომ ლენინი ფრთხილი იყო, არ უყვარდა ისინი, ვინც აჭარბებდნენ, და არა იშვიათად მტკიცე ხელით ლაგმავდა ტერორით გატაცებულთ, მათ შორის თვით ტროცკისაც. ტროცკი ამ თემას ეხება თავის წიგნში «ლენინის შესახებ». მაგრამ მისი დახასიათებით გამოდის, რომ ლენინი მხოლოდ იმით იყო გართული, რომ «ყოველ შესაფერის შემთხვევაში ნერგავდა ტერორის აუცილებლობის აზრს». ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ლენინი ყველაზე მძვინვარე იყო ყველა მძვინვარე ბოლშევიკთა შორის.

რისთვის დასჭირდა ტროცკის ეს უმაქნისი და ყოვლად გაუმართლებელი გაზვიადება?

პარტია ლენინს იცნობს, როგორც სამაგალითო პარტიელს, რომელსაც არ უყვარდა საკითხების გადაწყვეტა ერთპიროვნულად, ხელმძღვანელი კოლეგიის დაუკითხავად, ნაუცბათევად, გულდასმით აუწონ-დაუწონავად და შეუმოწმებლად. ტროცკი საქმის ამ მხარესაც ეხება თავის წიგნში. მაგრამ მას გამოუდის არა ლენინი, არამედ ვიღაც ჩინელი მანდარინი, რომელიც უმნიშვნელოვანეს საკითხებს წყვეტს მყუდრო კაბინეტში, ზეშთაგონებით.

თქვენ გსურთ იცოდეთ, როგორ გადაწყვიტა ჩვენმა პარტიამ დამფუძნებელი კრების გარეკვის საკითხი? მოუსმინეთ ტროცკის:

«რა თქმა უნდა, საჭიროა დამფუძნებელი კრების გარეკვა,—ამბობდა ლენინი,—ოღონდ როგორ იქნება მემარცხენე ესერების საქმე?

მაგრამ ჩვენ დიდად გვანუგეშა მოხუცმა ნატანსონმა. ის ჩვენთან შემოვიდა «რჩევისათვის» და პირველ სიტყვებისთანავე თქვა:

— როგორც ჩანს, მოგვიხდება ძალით გავრეკოთ დამფუძნელები კრება.

— ბრავო! — წამოიძახა ლენინმა, — რაც მართალია, მართალია! დათანხმდებიან კი თქვენები ამას?

— ჩვენს შორის ზოგიერთნი მერყეობენ, მაგრამ ვფიქრობ, რომ, ბოლოს და ბოლოს, დათანხმდებიან, — უპასუხა ნატანსონმა».

ასე იწერება ისტორია.

თქვენ გსურთ იცოდეთ, როგორ გადაწყვიტა პარტიამ უმაღლესი სამხედრო საბჭოს საკითხი? მოუსმინეთ ტროცკის:

«სერიოზულ და გამოცდილ სამხედრო პირთა გარეშე თავს ვერ დავალწევთ ამ ქაოსს, — ყოველთვის ვეუბნებოდი მე ვლადიმირ ილიას-ძეს შტაბში მისვლის შემდეგ.

— ეს, როგორც ჩანს, სწორია. მაგრამ, ვაი თუ გაგვცენ...

— კომისარი მივუჩინოთ თვითეულს.

— კიდევ უფრო უკეთესი იქნება ორი მივუჩინოთ, — წამოიძახა ლენინმა, — თანაც ხელმარჯვენი. შეუძლებელია, ხელმარჯვე კომუნისტები არ გვყავდეს.

ასე წარმოიშვა უმაღლესი სამხედრო საბჭოს კონსტრუქცია».

ასე წერს ისტორიას ტროცკი.

რისთვის დასჭირდა ტროცკის ეს არაბული ზღაპრები, რომლებიც სახელს უტეხენ ლენინს? ნუთუ პარტიის ბელადის ვ. ი. ლენინის განდიდებისათვის? რაღაც არა ჰგავს ამას.

პარტია ლენინს იცნობს, როგორც ჩვენი დროის უდიდეს მარქსისტს, ღრმა თეორეტიკოსს და უაღრესად გამოც-

დილ რევოლუციონერს, რომლისთვისაც უცხოა ბლანკიზმის ნასახიც კი. ტროცკი თავის წიგნში საქმის ამ მხარესაც ეხება. მაგრამ მისი დახასიათებით გამოდის არა ბუმბერაზი-ლენინი, არამედ რაღაც ჩიაკაცი-ბლანკისტი, რომელიც ოქტომბრის დღეებში პარტიას ურჩევს «საკუთარი ხელით აიღოს ძალაუფლება, საბჭოსაგან დამოუკიდებლად და მის ზურგს უკან». მაგრამ მე უკვე ვთქვი, რომ ეს დახასიათება ოდნავადაც არ შეეფერება სინამდვილეს.

რისთვის დასჭირდა ტროცკის ეს აღმაშფოთებელი... არასიზუსტე? ხომ არ არის აქ ცდა ლენინის «ცოტაოდნად» გაწბილებისა?

ასეთია ახალი ტროცკიზმის დამახასიათებელი ნიშნები.

რაში მდგომარეობს **ახალი ტროცკიზმის საფრთხე**? იმაში, რომ ტროცკიზმს მთელი თავისი შინაგანი არსით ყველა შანსი აქვს გახდეს ცენტრი და შესაკრები პუნქტი არაპროლეტარული ელემენტებისა, რომლებიც პროლეტარიატის დიქტატურის დასუსტებისა და დაშლისაკენ მიისწრაფიან.

შემდეგ რა? — იკითხავთ თქვენ. როგორია პარტიის მორიგი ამოცანები ტროცკის ახალ ლიტერატურულ გამოსვლებთან დაკავშირებით?

ტროცკიზმი ახლა გამოდის იმისათვის, რომ სახელი გაუტეხოს ბოლშევიზმს და შეარყიოს მისი საფუძვლები. პარტიის ამოცანა ის არის, რომ **დაასამაროს ტროცკიზმი, როგორც იდეური მიმდინარეობა.**

ლაპარაკობენ რეპრესიებზე ოპოზიციის წინააღმდეგ და გათიშვის შესაძლებლობაზე. ეს ტყუილია, ამხანაგებო. ჩვენი პარტია მაგარი და ძლიერია. ის არავითარ გათიშვას არ დაუშვებს. რაც შეეხება რეპრესიებს, მე გადაჭრით

წინააღმდეგი ვარ რეპრესიებისა. ახლა ჩვენ რეპრესიები კი არ გვესაჭიროება, არამედ გაშლილი იდეური ბრძოლა აღდგენის გზაზე დამდგარი ტროცკიზმის წინააღმდეგ.

ჩვენ არ გვინდოდა და არ ვესწრაფოდით ამ ლიტერატურულ დისკუსიას. ტროცკიზმი თავზე გვახვევს მას თავისი ანტილენინური გამოსვლებით. რას იზამ, ჩვენ მზადა ვართ, ამხანაგებო.

«პრავდა» № 269,
1924 წ. 26 ნოემბერი.

ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა

წინასიტყვაობა წიგნისა «ოქტომბრის გზებზე» [70]

I

ოქტომბრის რევოლუციის საგარეო და საშინაო ვითარება

საგარეო ხასიათის სამმა გარემოებამ განსაზღვრა ის შედარებითი სიადვილე, რომლითაც პროლეტარულმა რევოლუციამ რუსეთში შესძლო დაემსხვრია იმპერიალიზმის ბორკილები და, ამრიგად, დაემხო ბურჟუაზიის ძალაუფლება.

ჯერ-ერთი, იმ გარემოებამ, რომ ოქტომბრის რევოლუცია დაიწყო ორი ძირითადი იმპერიალისტური ჯგუფის — ინგლის-საფრანგეთისა და ავსტრია-გერმანიის ჯგუფების — გააფთრებული ბრძოლის პერიოდში, როცა ამ ჯგუფებს, ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლით გართულთ, არ ჰქონდათ არც დრო, არც საშუალება სერიოზული ყურადღება მიექციათ ოქტომბრის რევოლუციასთან ბრძოლისათვის. ამ გარემოებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ოქტომბრის რევოლუციისათვის, ვინაიდან მან შესაძლებლობა მისცა ამ რევოლუციას თავის ძალთა გან-

სამტკიცებლად და დასარაზმავად გამოეყენებინა სასტიკი შეტაკებანი იმპერიალიზმის შიგნით.

მეორეც, იმ გარემოებამ, რომ ოქტომბრის რევოლუცია დაიწყო იმპერიალისტური ომის მსვლელობაში, როდესაც ომით განაწამები და ზავს მოწყურებული მშრომელი მასები თვით მოვლენათა ლოგიკამ მიიყვანა პროლეტარულ რევოლუციასთან, როგორც ომიდან ერთადერთ გამოსავალთან. ამ გარემოებას უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა ოქტომბრის რევოლუციისათვის, ვინაიდან მან ამ რევოლუციას ხელში მისცა ზავის მძლავრი იარაღი, გაუადვილა მას შესაძლებლობა საბჭოთა გადატრიალების შეერთებისა საძულველი ომის დასრულებასთან და, ამის გამო, მასობრივი თანაგრძნობა მოუპოვა როგორც დასავლეთში, მუშათა შორის, ისე აღმოსავლეთში, ჩაგრულ ხალხთა შორის.

მესამეც, მუშათა მძლავრმა მოძრაობამ ევროპაში და დასავლეთსა და აღმოსავლეთში ხანგრძლივი იმპერიალისტური ომით გამოწვეული რევოლუციური კრიზისის მომწიფების ფაქტმა. ამ გარემოებას ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის რევოლუციისათვის, ვინაიდან მან ამ რევოლუციას რუსეთის გარეთ შესძინა ერთგული მოკავშირენი მსოფლიო იმპერიალიზმთან ბრძოლაში.

მაგრამ საგარეო ხასიათის გარემოებათა გარდა, ოქტომბრის რევოლუციას ჰქონდა აგრეთვე მთელი რიგი საშინაო ხელსაყრელი პირობები, რომლებმაც მას გამარჯვება გაუადვილეს.

ამ პირობათა შორის მთავარ პირობებად უნდა ჩაითვალოს შემდეგი.

ჯერ-ერთი, ოქტომბრის რევოლუციას უაღრესად აქტიურად უჭერდა მხარს რუსეთის მუშათა კლასის უდიდესი უმრავლესობა.

მეორეც, მას უეჭველად მხარს უჭერდა ღარიბი გლეხობა და ჯარისკაცთა უმრავლესობა, რომელთაც სწყუროდათ ზავი და მიწა.

მესამეც, მას სათავეში ედგა, როგორც ხელმძღვანელი ძალა, ისეთი გამობრძმედილი პარტია, როგორიცაა ბოლშევიკების პარტია, ძლიერი არა მარტო თავისი გამოცდილებით და წლობით გამომუშავებული დისციპლინით, არამედ მშრომელ მასებთან უდიდესი კავშირითაც.

მეოთხეც, ოქტომბრის რევოლუციას თავის წინაშე ჰყავდა ისეთი, შედარებით ადვილად დასაძლევი, მტრები, როგორიც იყვნენ რუსეთის ცოტად თუ ბევრად სუსტი ბურჟუაზია, გლეხთა «ამბოხებებით» საბოლოოდ დემორალიზებული მემამულეთა კლასი და ომის მსვლელობაში სრულიად გაკოტრებული შემთანხმებლური პარტიები (მენშევიკებისა და ესერების პარტიები).

მეხუთეც, მის განკარგულებაში იყო ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს უზარმაზარი სივრცეები, სადაც მას შეეძლო თავისუფალი მანევრირება, უკანდახევა, როდესაც ამას ვითარება მოითხოვდა, სულის მოთქმა, ძალების მოკრება და სხვ.

მეექვსეც, ოქტომბრის რევოლუციას კონტრრევოლუციასთან ბრძოლის დროს შეეძლო იმედი ჰქონოდა, რომ ქვეყნის შიგნით არსებული სურსათის, სათბობისა და ნედლეულის რესურსები მისთვის საკმაო იქნებოდა.

ამ საგარეო და საშინაო გარემოებათა შეერთებამ შექმნა ის თავისებური ვითარება, რამაც განსაზღვრა ოქტომბრის რევოლუციის შედარებით ადვილი გამარჯვება.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ოქტომბრის რევოლუციას არ ჰქონდა თავისი მინუსები საგარეო და საშინაო ვითარების მხრივ. რად ღირს, მაგალითად, მარტო ის მინუსი, რომ ოქტომბრის რევოლუცია ერთგვარად განმარ-

ტოებული იყო, მის ახლოს და მეზობლად არ არსებობდა საბჭოთა ქვეყანა, რომელზე დაყრდნობაც მას შეეძლებოდა? უეჭველია, მომავალი რევოლუცია, მაგალითად, გერმანიაში, ამ მხრივ უფრო ხელსაყრელ პირობებში იქნება, ვინაიდან მას მეზობლად ჰყავს ისეთი სერიოზული ძალის საბჭოთა ქვეყანა, როგორიცაა ჩვენი საბჭოთა კავშირი. აღარაფერს ვამბობ ოქტომბრის რევოლუციის ისეთ მინუსზე, როგორიცაა პროლეტარული უმრავლესობის უყოლობა ჩვენს ქვეყანაში.

მაგრამ ეს მინუსები მხოლოდ ხაზგასმით აღნიშნავენ ოქტომბრის რევოლუციის საშინაო და საგარეო პირობათა იმ თავისებურების უდიდეს მნიშვნელობას, რის შესახებ ზემოთ იყო ლაპარაკი.

ეს თავისებურება ერთ წუთსაც არ უნდა დავივიწყოთ. ეს განსაკუთრებით უნდა გვახსოვდეს, როდესაც ანალიზს ეუკეთებთ 1923 წლის შემოდგომაზე გერმანიაში მომხდარ ამბებს. ეს უწინარეს ყოვლისა უნდა ახსოვდეს ტროცკის, რომელსაც ხელაღებით გაჰყავს ანალოგია ოქტომბრის რევოლუციასა და გერმანიის რევოლუციას შორის და რომელიც თავშეუკავებლად ამათრახებს გერმანიის კომპარტიას მისი ნამდვილი და მოჩვენებითი შეცდომებისათვის.

«რუსეთისათვის, ამბობს ლენინი, — 1917 წლის კონკრეტულ, ისტორიულად მეტისმეტად ორიგინალურ სიტუაციაში ადვილი იყო სოციალისტური რევოლუციის **დაწყება**, მაშინ როდესაც მისი **განგრძობა** და ბოლომდე მიყვანა რუსეთისათვის უფრო ძნელი იქნება, ვიდრე ევროპის ქვეყნებისათვის. მე ჯერ კიდევ 1918 წლის დამდეგს მომიხდა აწ გარემოების აღნიშვნა, და მას შემდეგ ორი წლის გამოცდილებამ სავსებით დაადასტურა ამ მოსაზრების სისწორე. ისეთი სპეციფიკური პირობები, როგორიცაა: 1) შესაძლებლობა საბჭოთა გადატრიალების დაკავშირებისა ამ გადატრიალების მეოხებითვე იმპერიალისტური ომის დამთავრებასთან, ომის, რომელმაც საშინლად გააწამა მუშები და გლე-

ხები; 2) შესაძლებლობა მთელ მსოფლიოში უძლიერეს იმპერიალისტურ მტაცებელთა ორ ჯგუფს შორის გაჩაღებული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის განსაზღვრული დროით გამოყენებისა, რომელ ჯგუფებსაც არ შეეძლოთ თავიანთი მტრის — საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ გაერთიანება; 3) შესაძლებლობა შედარებით ხანგრძლივი სამოქალაქო ომის ატანისა, ნაწილობრივ ქვეყნის გიგანტური სივრცისა და მიმოსვლის საშუალებათა უვარგისობის მეოხებით; 4) გლეხობაში ისეთი ღრმა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციური მოძრაობის არსებობა, რომ პროლეტარიატის პარტიამ გლეხთა პარტიისაგან (ს.-რ. პარტიისაგან, რომლის უმრავლესობა მეტად მტრულად იყო განწყობილი ბოლშევიზმისადმი) გადმოიღო რევოლუციური მოთხოვნები და ერთბაშად განახორციელა ისინი პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის მეოხებით; — ასეთი სპეციფიკური პირობები ახლა დასავლეთ ევროპაში არ არსებობს, და ასეთი ან მსგავსი პირობების განმეორება არც ისე ადვილია. აი, სხვათა შორის, რატომ არის, რომ — მთელ რიგ სხვა მიზეზებს გარდა — დასავლეთ ევროპისათვის სოციალისტური რევოლუციის **დაწყება** უფრო ძნელია, ვიდრე ჩვენთვის იყო» (იხ. ტ. XXV, გვ. 205).

ლენინის ამ სიტყვების დავიწყება არ შეიძლება.

II

ოქტომბრის რევოლუციის ორი თავისებურების შესახებ, ანუ ოქტომბერი და ტროცკის «პერმანენტული» რევოლუციის თეორია

არსებობს ოქტომბრის რევოლუციის ორი თავისებურება, რომელთა გარკვევა აუცილებელია უწინარეს ყოვლისა იმისათვის, რომ გავიგოთ ამ რევოლუციის შინაგანი აზრი და ისტორიული მნიშვნელობა.

რა თავისებურებანია ეს?

ეს არის, ჯერ-ერთი, ის ფაქტი, რომ პროლეტარიატის დიქტატურა წარმოიშვა ჩვენში, როგორც ძალაუფლება, აღმოცენებული პროლეტარიატისა და გლეხობის მშრომელი მასების კავშირის საფუძველზე, ამასთან ამ უკა-

ნასკნელთ ხელმძღვანელობას უწევდა პროლეტარიატი. მეორეც, ეს არის ის ფაქტი, რომ პროლეტარიატის დიქტატურა განმტკიცდა ჩვენში, როგორც შედეგი სოციალიზმის გამარჯვებისა ერთ, კაპიტალისტურად ნაკლებ განვითარებულ, ქვეყანაში, როდესაც კაპიტალისტურად უფრო განვითარებულ სხვა ქვეყნებში კაპიტალიზმი კვლავ რჩება. ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, თითქოს ოქტომბრის რევოლუციას სხვა თავისებურებანი არ ჰქონდეს. მაგრამ ახლა ჩვენთვის მნიშვნელოვანია სწორედ ეს ორი თავისებურება არა მარტო იმიტომ, რომ ისინი მკაფიოდ გამოხატავენ ოქტომბრის რევოლუციის დედაარსს, არამედ იმიტომაც, რომ ისინი ჩინებულად ააშკარავებენ «პერმანენტული რევოლუციის» თეორიის ოპორტუნისტულ ბუნებას.

განვიხილოთ მოკლედ ეს თავისებურებანი.

ქალაქისა და სოფლის წვრილი ბურჟუაზიის მშრომელი მასების საკითხი, პროლეტარიატის მხარეზე ამ მასების გადმობირების საკითხი პროლეტარული რევოლუციის უმნიშვნელოვანესი საკითხია. ვის დაუჭერს მხარს ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ქალაქისა და სოფლის მშრომელი ხალხი — ბურჟუაზიას თუ პროლეტარიატს, ვისი რეზერვი იქნება ის, ბურჟუაზიის რეზერვი თუ პროლეტარიატის რეზერვი, — ამაზეა დამოკიდებული რევოლუციის ბედი და პროლეტარიატის დიქტატურის სიმტკიცე. 1848 და 1871 წლების რევოლუციები საფრანგეთში დაიღუპნენ, უმთავრესად, იმიტომ, რომ გლეხთა რეზერვები ბურჟუაზიის მხარეზე აღმოჩნდნენ. ოქტომბრის რევოლუციამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ მან შესძლო წაერთმია ბურჟუაზიისათვის მისი გლეხთა რეზერვები, მან შესძლო ამ რეზერვების გადაყვანა პროლეტარიატის მხარეზე, და პროლეტარიატი ამ რევოლუციაში აღმოჩნდა ქალაქისა და სოფლის

მშრომელი ხალხის მრავალმილიონიანი მასების ერთადერთი ხელმძღვანელი ძალა.

ვისაც ეს ვერ გაუგია, ის ვერასოდეს ვერ გაიგებს ვერც ოქტომბრის რევოლუციის ხასიათს, ვერც პროლეტარიატის დიქტატურის ბუნებას, ვერც ჩვენი პროლეტარული ხელისუფლების საშინაო პოლიტიკის თავისებურებას.

პროლეტარიატის დიქტატურა არ არის უბრალო მმართველი ზედაფენა, «გამოცდილი სტრატეგის» მზრუნველი ხელით «მოხერხებულად» «შერჩეული» და მოსახლეობის ამა თუ იმ ფენაზე «გონივრულად დაყრდნობილი». პროლეტარიატის დიქტატურა არის პროლეტარიატისა და გლეხობის მშრომელი მასების კლასობრივი კავშირი კაპიტალის დასამხობად, სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების მისაღწევად, იმ პირობით, რომ ამ კავშირის ხელმძღვანელ ძალას წარმოადგენს პროლეტარიატი.

ამრიგად, აქ ლაპარაკია არა იმაზე, რომ «ცოტათი» ვერ შეაფასო ან «ცოტათი» გადაჭარბებით შეაფასო გლეხთა მოძრაობის რევოლუციური შესაძლებლობანი, როგორც უყვარს ახლა ლაპარაკი «პერმანენტული რევოლუციის» ზოგიერთ დიპლომატიურ დამცველს. ლაპარაკია ოქტომბრის რევოლუციის შედეგად შექმნილი ახალი პროლეტარული სახელმწიფოს ბუნებაზე. ლაპარაკია პროლეტარული ძალაუფლების ხასიათზე, თვით პროლეტარიატის დიქტატურის საფუძვლებზე.

«პროლეტარიატის დიქტატურა, — ამბობს ლენინი, — არის განსაკუთრებული ფორმა კლასობრივი კავშირისა პროლეტარიატსა — მშრომელთა ავანგარდსა — და მშრომელთა მრავალრიცხოვან არაპროლეტარულ ფენებს (წვრილი ბურჟუაზია, წვრილი მეპატრონენი, გლეხობა, ინტელიგენცია და სხვ.), ან მათს უმრავლესობას შორის, კავშირისა კაპიტალის წინააღმდეგ, კავშირისა კაპიტალის სრული დამხობის,

ბურჟუაზიის წინააღმდეგობისა და მის მხრივ რესტავრაციის ცდების სრული დათრგუნვის მიზნით, კავშირისა სოციალიზმის საბოლოოდ შექმნის და განმტკიცების მიზნით» (იხ. ტ. XXIV, გვ. 311).

და შემდეგ:

«პროლეტარიატის დიქტატურა, თუ ამ ლათინურ, მეცნიერულ, ისტორიულ-ფილოსოფიურ სიტყვებს უფრო უბრალო ენით გამოვთქვამთ, აი რას ნიშნავს:

მხოლოდ გარკვეულ კლასს, სახელდობრ ქალაქისა და საერთოდ ფაბრიკა-ქარხნების, სამრეწველო მუშებს, შეუძლიათ ხელმძღვანელობა გაუწიონ მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მთელ მასას კაპიტალის ბატონობის დამხობისათვის ბრძოლაში, თვით დამხობის მსვლელობაში, გამარჯვების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში, ახალი, სოციალისტური, საზოგადოებრივი წყობილების შექმნის საქმეში, მთელ ბრძოლაში კლასთა სრული მოსპობისათვის» (იხ. ტ. XXIV, გვ. 336).

ასეთია პროლეტარიატის დიქტატურის თეორია, რომელიც ლენინმა მოგვცა.

ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთ თავისებურებას შეადგენს ის, რომ ეს რევოლუცია არის პროლეტარიატის დიქტატურის ლენინური თეორიის კლასიკური განხორციელება.

ზოგიერთ ამხანაგს ჰგონია, რომ ეს თეორია წმინდა «რუსული» თეორიაა, შეფარდებული მხოლოდ რუსეთის სინამდვილესთან. ეს არ არის სწორი. ეს სრულიადაც არ არის სწორი. როდესაც ლენინი ლაპარაკობს არაპროლეტარული კლასების მშრომელ მასებზე, რომელთაც პროლეტარიატი ხელმძღვანელობს, მას მხედველობაში ჰყავს არა მარტო რუსი გლეხები, არამედ საბჭოთა კავშირის იმ განაპირა მხარეების მშრომელი ელემენტებიც, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ რუსეთის კოლონიებს წარმოადგენდნენ. ლენინი მუდამ ამტკიცებდა, რომ ამ სხვა ეროვნებათა მასებთან შეუკავშირებლად რუსეთის პროლეტარიატი ვერ გაიმარჯვებსო. თავის სტატიებში ნაციონალურ

საკითხზე და კომინტერნის კონგრესებზე წარმოთქმულ სიტყვებში ლენინს არა ერთხელ უთქვამს, რომ მსოფლიო რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელია მოწინავე ქვეყნების პროლეტარიატისა და დამონებული კოლონიების ჩაგრულ ხალხთა რევოლუციური კავშირის გარეშე, რევოლუციური ბლოკის გარეშე. მაგრამ რა არის კოლონიები, თუ არა იგივე ჩაგრული მშრომელი მასები, და უწინარეს ყოვლისა გლეხობის მშრომელი მასები? ვინ არ იცის, რომ კოლონიების განთავისუფლების საკითხი **არსებითად** წარმოადგენს ფინანსური კაპიტალის უღლისა და ექსპლოატაციისაგან არაპროლეტარულ კლასთა მშრომელი მასების განთავისუფლების საკითხს?

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, **რომ პროლეტარიატის** დიქტატურის ლენინური თეორია არის არა წმინდა «რუსული» თეორია, არამედ ყველა ქვეყნისათვის სავალდებულო თეორია. ბოლშევიზმი მარტო რუსული მოვლენა როდია. «ბოლშევიზმი», — ამბობს ლენინი, — არის «**ტაქტიკის ნიმუში ყველასათვის**» (იხ. ტ. XXIII, გვ. 386).

ასეთია ოქტომბრის რევოლუციის პირველი თავისებურების დამახასიათებელი ნიშნები.

რას წარმოადგენს ტროცკის «პერმანენტული რევოლუციის» თეორია ოქტომბრის რევოლუციის ამ თავისებურების თვალსაზრისით?

არ გავაგრძელებთ სიტყვას ტროცკის პოზიციის შესახებ 1905 წელს, როცა მას «პირდაპირ» დაავიწყდა გლეხობა, როგორც რევოლუციური ძალა, და წამოაყენა ლოზუნგი: «უმეფოდ, ხოლო მთავრობა მუშური», ე. ი. ლოზუნგი: რევოლუცია უგლეხებოდ. რადეკიც კი, «პერმანენტული რევოლუციის» ეს დიპლომატიური დამცველი, ახლა იძულებულია აღიაროს, რომ «პერმანენტული რევოლუცია» 1905 წელს მოასწავებდა სინამდვილიდან «ნახ-

ტომს ჰაერში». ახლა, როგორც ჩანს, ყველა აღიარებს, რომ ალარ ღირს ამ «ჰაერში ნახტომის» გამო თავის მტვრევა.

არ გავაგრძელებთ სიტყვას აგრეთვე ტროცკის პოზიციის შესახებ ომის პერიოდში, ვთქვათ, 1915 წელს, როდესაც ის თავის სტატიაში «ბრძოლა ძალაუფლებისათვის», გამოდიოდა რა იქიდან, რომ «ჩვენ ვცხოვრობთ იმპერიალიზმის ხანაში», რომ იმპერიალიზმი «ბურჟუაზიულ ერს კი არ უპირისპირებს ძველ რეჟიმს, არამედ პროლეტარიატს უპირისპირებს ბურჟუაზიულ ერსო», იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გლეხობის რევოლუციური როლი უნდა კლებულობდეს, რომ მიწის კონფისკაციის ლოზუნგს უკვე არა აქვს ის მნიშვნელობა, როგორიც მას წინათ ჰქონდა. ცნობილია, რომ ლენინი, როდესაც ტროცკის ამ სტატიას არჩევდა, ბრალს სდებდა მას მაშინ «გლეხობის როლის» «უარყოფაში» და ამბობდა, რომ «ტროცკი საქმით ეხმარება რუსეთის მუშათა ლიბერალურ პოლიტიკოსებს, რომელთაც გლეხობის როლის «უარყოფა» ესმით როგორც **სურვილის უქონლობა**, რომ რევოლუციისათვის აამხედრონ გლეხები!» (იხ. ტ. XVIII, გვ. 318).

უმჯობესია გადავიდეთ ტროცკის უფრო გვიანდელ ნაშრომებზე ამ საკითხის შესახებ, იმ პერიოდის ნაშრომებზე, როდესაც პროლეტარულმა დიქტატურამ უკვე მოასწრო განმტკიცება და როდესაც ტროცკის შესაძლებლობა ჰქონდა საქმით შეემოწმებინა თავისი «პერმანენტული რევოლუციის» თეორია და გამოესწორებინა თავისი შეცდომები. ავიღოთ ტროცკის მიერ 1922 წელს დაწერილი «წინასიტყვაობა» წიგნისა «1905 წელი». აი რას ამბობს ტროცკი ამ «წინასიტყვაობაში» «პერმანენტული რევოლუციის» შესახებ:

«სწორედ 1905 წლის 9 იანვრიდან ამავე წლის ოქტომბრის გაფიცვამდე განვლილ პერიოდში შეუმუშავდა ავტორს ის შეხედულებანი

რუსეთის რევოლუციური განვითარების ხასიათის შესახებ, რომლებმაც მიიღეს «პერმანენტული რევოლუციის» თეორიის სახელწოდება. ეს აბირებული სახელწოდება გამოხატავდა იმ აზრს, რომ რუსეთის რევოლუცია, რომლის წინაშე უშუალოდ ბურჟუაზიული მიზნები დგას, მაინც ვერ შესძლებს მათზე შეჩერებას. რევოლუცია ვერ გადაჭრის თავის უახლოეს ბურჟუაზიულ ამოცანებს, თუ მან ხელისუფლების სათავეში არ დააყენა პროლეტარიატი. ეს უკანასკნელი კი, როდესაც იგი ძალაუფლებას აიღებს ხელში, ვერ შემოიზღუდავს თავს რევოლუციის ბურჟუაზიული ჩარჩოებით. პირიქით, სწორედ თავისი გამარჯვების უზრუნველსაყოფად პროლეტარულ ავანგარდს თავისი ბატონობის პირველ ხანებშივე მოუხდება უღრმესად შეიჭრას არა მარტო ფეოდალურ, არამედ ბურჟუაზიულ საკუთრებაშიც. ამასთან მას მოუხდება **მტრული შეტაკებანი** არა მარტო ბურჟუაზიის ყველა დაჯგუფებასთან, რომლებიც მხარს უჭერდნენ მას რევოლუციური ბრძოლის პირველ ხანებში, არამედ **გლეხობის ფართო მასებთანაც,** რომელთა დახმარებითაც მან დაიპყრო ძალაუფლება. მუშური მთავრობის მდგომარეობის წინააღმდეგობანი ჩამორჩენილ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უღიდეს უმრავლესობას გლეხობა შეადგენს, შეიძლება გადაიჭრას **მხოლოდ** საერთაშორისო მასშტაბით, პროლეტარიატის მსოფლიო რევოლუციის ასპარეზზე» *.

ასე ლაპარაკობს ტროცკი თავისი «პერმანენტული რევოლუციის» შესახებ.

საკმაოა შევადაროთ ეს ციტატა ლენინის თხზულებებიდან ზემომოყვანილ ციტატებს პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, რომ დავინახოთ მთელი ის უფსკრული, რომელიც არსებობს პროლეტარიატის დიქტატურის ლენინურ თეორიასა და ტროცკის «პერმანენტული რევოლუციის» თეორიას შორის.

ლენინი ლაპარაკობს პროლეტარიატისა და გლეხობის მშრომელი ფენების **კავშირზე,** როგორც პროლეტარიატის დიქტატურის საფუძველზე. ტროცკის აზრით კი გამოდის,

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

რომ «პროლეტარულ ავანგარდს» მოუხდება «**მტრული შეტაკებანი**» «გლეხობის ფართო მასებთან».

ლენინი ლაპარაკობს მშრომელი და ექსპლოატირებული მასების **ხელმძღვანელობაზე** პროლეტარიატის მხრით. ტროცკის აზრით კი გამოდის «მუშური მთავრობის მდგომარეობის **წინააღმდეგობანი** ჩამორჩენილ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას გლეხობა შეადგენს».

ლენინის მიხედვით რევოლუცია თავის ძალებს იღებს უწინარეს ყოვლისა თვით რუსეთის მუშათა და გლეხთა შორის. ტროცკის აზრით კი გამოდის, რომ საჭირო ძალები შეიძლება მივიღოთ **მხოლოდ** «პროლეტარიატის მსოფლიო რევოლუციის ასპარეზზე».

როგორღა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, საერთაშორისო რევოლუციას რომ შეუგვიანდეს? არის თუ არა რაიმე ნათელი წერტილი ჩვენი რევოლუციისათვის? ტროცკი არავითარ ნათელ წერტილს არ იძლევა, ვინაიდან «მუშური მთავრობის მდგომარეობის წინააღმდეგობანი... შეიძლება გადაიჭრას **მხოლოდ**... პროლეტარიატის მსოფლიო რევოლუციის ასპარეზზე». ამ გეგმის მიხედვით ჩვენი რევოლუციისათვის რჩება მხოლოდ ერთი პერსპექტივა: ვაივაგლახობდეს თავის საკუთარ წინააღმდეგობათა რკალში და ზეზეურად ლპებოდეს მსოფლიო რევოლუციის მოლოდინში.

რა არის პროლეტარიატის დიქტატურა ლენინის გაგებით?

პროლეტარიატის დიქტატურა არის ძალაუფლება, რომელიც ემყარება პროლეტარიატისა და გლეხობის შრომელი მასების კავშირს «კაპიტალის სრული დამხობის», «სოციალიზმის საბოლოოდ შექმნისა და განმტკიცების» მიზნით.

რა არის პროლეტარიატის დიქტატურა ტროცკის გაგებით?

პროლეტარიატის დიქტატურა არის ძალაუფლება, რომელსაც უხდება «მტრული შეტაკებანი» «გლეხობის ფართო მასებთან» და რომელიც «წინააღმდეგობათა» გადაჭრას ეძებს **მხოლოდ** «პროლეტარიატის მსოფლიო რევოლუციის ასპარეზზე».

რით განსხვავდება ეს «პერმანენტული რევოლუციის თეორია» მენშევიზმის ცნობილი თეორიისაგან, რომელიც უარყოფს პროლეტარიატის დიქტატურის იდეას?

არსებითად — არაფრით.

დაეჭვება შეუძლებელია. «პერმანენტული რევოლუცია» არ არის გლეხთა მოძრაობის რევოლუციურ შესაძლებლობათა უბრალო შეუფასებლობა. «პერმანენტული რევოლუცია» არის გლეხთა მოძრაობის ისეთი შეუფასებლობა, რომელსაც შედეგად მოსდევს პროლეტარიატის დიქტატურის ლენინური თეორიის **უარყოფა.**

ტროცკის «პერმანენტული რევოლუცია» მენშევიზმის სახესხვაობაა.

ასეა ოქტომბრის რევოლუციის პირველი თავისებურების საქმე.

რანაირია ოქტომბრის რევოლუციის მეორე თავისებურების დამახასიათებელი ნიშნები?

იმპერიალიზმის შესწავლის დროს, განსაკუთრებით ომის პერიოდში, ლენინი მივიდა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის, ნახტომობრიობის კანონამდე. ამ კანონის აზრის მიხედვით, საწარმოების, ტრესტების, მრეწველობის დარგებისა და ცალკეული ქვეყნების განვითარება ხდება უთანაბროდ, არა დაწესებული რიგის მიხედვით, არა ისე, რომ ერთი ტრესტი, მრეწველობის ერთი დარგი ან ერთი ქვეყანა

მუდამ წინ მიდიოდეს, ხოლო სხვა ტრესტები ან ქვეყნები უკან რჩებოდნენ თანმიმდევრულად ერთიმეორეს, — არამედ ეს განვითარება ხდება ნახტომისებურად, შეწყვეტებით ერთი რიგი ქვეყნების განვითარებაში და წინსვლის ნახტომებით მეორე რიგი ქვეყნების განვითარებაში. ამასთან ერთად, ჩამორჩენილი ქვეყნების «სრულიად კანონიერი» მისწრაფება — შეინარჩუნონ ძველი პოზიციები, და წინგადამხტარი ქვეყნების ასევე «კანონიერი» მისწრაფება — დაიპყრონ ახალი პოზიციები, იწვევს იმას, რომ იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის სამხედრო შეტაკებანი გარდუვალ აუცილებლობას წარმოადგენენ. ასე მოხდა, მაგალითად, გერმანიაში, რომელიც ნახევარი საუკუნის წინათ, საფრანგეთსა და ინგლისთან შედარებით, ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. იგივე უნდა ითქვას იაპონიაზედაც რუსეთთან შედარებით. მაგრამ ცნობილია, რომ უკვე XX საუკუნის დამდეგს გერმანია და იაპონია ისე შორს გადახტნენ, რომ პირველმა გაუსწრო საფრანგეთს და დაიწყო ინგლისის შევიწროება მსოფლიო ბაზარზე, მეორემ კი გაუსწრო რუსეთს. სწორედ ამ წინააღმდეგობათაგან წარმოიშვა, როგორც ვიცით, ახლახანდელი იმპერიალისტური ომი.

ეს კანონი გამოდის იქიდან, რომ:

1) «კაპიტალიზმი გადაიზარდა ერთი მუჭა «მოწინავე» ქვეყნების მიერ დედამიწის მოსახლეობის გიგანტური უმრავლესობის კოლონიური ჩაგვრისა და ფინანსური ჩახშობის მსოფლიო სისტემად» (იხ. ლენინის «იმპერიალიზმის» ფრანგული გამოცემის წინასიტყვაობა, ტ. XIX, გვ. 74).

2) «ამ «ნადავლის» გაყოფა ხდება მსოფლიოს ორ-სამ უძლიერეს, თავით-ფეხამდე შეიარაღებულ მტაცებელს შორის (ამერიკა, ინგლისი, იაპონია), რომლებიც **თავიანთ**

ომში **თავიანთი** ნადავლის გასაყოფად მთელ ქვეყნიერებას ითრევენ» (იხ. იქვე).

3) წინააღმდეგობათა ზრდა ფინანსური ჩაგვრის მსოფლიო სისტემის შიგნით და სამხედრო შეტაკებათა გარდუვალობა იწვევს იმას, რომ იმპერიალიზმის მსოფლიო ფრონტი რევოლუციის მხრით ადვილად დასაზიანებელი ხდება, ხოლო ამ ფრონტის გარღვევა ცალკეული ქვეყნების მხრით — შესაძლებელი ხდება.

4) ეს გარღვევა უფრო შესაძლოა მოხდეს იმ პუნქტებში და იმ ქვეყნებში, სადაც იმპერიალისტური ფრონტის ჯაჭვი უფრო სუსტია, ე. ი. სადაც იმპერიალიზმი ყველაზე უფრო ნაკლებ არის შეჭურვილი, ხოლო რევოლუციის გაშლა ყველაზე უფრო ადვილია.

5) ამის გამო სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში, თუნდაც ეს ქვეყანა კაპიტალისტურად ნაკლებ განვითარებული იყოს, სხვა ქვეყნებში კაპიტალიზმის შენარჩუნების დროს, თუნდაც ეს ქვეყნები კაპიტალისტურად უფრო განვითარებული იყვნენ, — სავსებით შესაძლებელი და მოსალოდნელია.

ასეთია მოკლედ პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორიის საფუძვლები.

რაში მდგომარეობს ოქტომბრის რევოლუციის მეორე თავისებურება?

ოქტომბრის რევოლუციის მეორე თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ეს რევოლუცია წარმოადგენს პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორიის პრაქტიკულად გამოყენების ნიმუშს.

ვისაც ვერ გაუგია ოქტომბრის რევოლუციის ეს თავისებურება, ის ვერასოდეს ვერ გაიგებს ამ რევოლუციის ვერც ინტერნაციონალურ ბუნებას, ვერც მის კოლოსალურ

საერთაშორისო ძლიერებას, ვერც მის თავისებურ საგარეო პოლიტიკას.

«ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა, — ამბობს ლენინი, — კაპიტალიზმის უცილობელი კანონია. აქედან გამომდინარეობს, რომ სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად შესაძლებელია რამდენიმე ანდა თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში. ამ ქვეყნის გამარჯვებული პროლეტარიატი, კაპიტალისტების ექსპროპრიაციისა და თავის ქვეყანაში სოციალისტური წარმოების მოწყობის შემდეგ, **დაუპირისპირდებოდა** დანარჩენ, კაპიტალისტურ სამყაროს, მიიმხრობდა სხვა ქვეყნების დაჩაგრულ კლასებს, აჯანყებდა მათ კაპიტალისტების წინააღმდეგ და, აუცილებლობის შემთხვევაში, სამხედრო ძალითაც კი გამოვიდოდა ექსპლოატატორული კლასებისა და მათი სახელმწიფოების წინააღმდეგ». ვინაიდან «შეუძლებელია სოციალიზმში ერების თავისუფალი გაერთიანება ჩამორჩენილი სახელმწიფოების წინააღმდეგ სოციალისტური რესპუბლიკების ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი, შეუპოვარი ბრძოლის გარეშე» (იხ. ტ. XVIII, გვ. 232 — 233).

ყველა ქვეყნის ოპორტუნისტები ამტკიცებენ, რომ პროლეტარული რევოლუცია შესაძლოა დაიწყოს — თუ მათი თეორიის თანახმად ის საზოგადოდ უნდა დაიწყოს სადმე — მხოლოდ მრეწველობის მხრივ განვითარებულ ქვეყნებში, რომ რაც უფრო განვითარებული არიან ეს ქვეყნები მრეწველობის მხრივ, მით უფრო მეტი შანსებია სოციალიზმის გამარჯვებისათვის, ამასთან სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას ერთ ქვეყანაში, და ისიც კაპიტალისტურად ნაკლებ განვითარებულ ქვეყანაში, ისინი გამორიცხავენ, როგორც სრულიად წარმოუდგენელ რამეს. ლენინი ჯერ კიდევ ომის დროს, იმპერიალისტური სახელმწიფოების უთანაბრო განვითარების კანონზე დაყრდნობით, უპირისპირებს ოპორტუნისტებს პროლეტარული რევოლუციის თავის თეორიას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, თუნდაც ეს ქვეყანა კაპიტალისტურად ნაკლებ განვითარებული იყოს.

ცნობილია, რომ ოქტომბრის რევოლუციამ სავსებით დაადასტურა პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორიის სისწორე.

როგორ არის ტროცკის «პერმანენტული რევოლუციის» საქმე ერთ ქვეყანაში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების ლენინური თეორიის თვალსაზრისით?

ავიღოთ ტროცკის ბროშურა «ჩვენი რევოლუცია» (1906 წ.).

ტროცკი წერს:

«ევროპის პროლეტარიატის პირდაპირი სახელმწიფოებრივი დახმარების გარეშე რუსეთის მუშათა კლასი ვერ შეინარჩუნებს ძალაუფლებას და ვერ გადააქცევს თავის დროებითს ბატონობას ხანგრძლივ სოციალისტურ დიქტატურად. ამაში დაეჭვება ერთ წუთსაც არ შეიძლება».

რას გვეუბნება ეს ციტატა? გვეუბნება იმას, რომ სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში, ამ შემთხვევაში რუსეთში, შეუძლებელია «ევროპის პროლეტარიატის პირდაპირი სახელმწიფოებრივი დახმარების **გარეშე»**, ე. ი. ევროპის პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობამდე.

რა აქვს საერთო ამ «თეორიას» ლენინის დებულებასთან «ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში» სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ?

ცხადია, აქ საერთო არაფერია.

მაგრამ დავუშვათ, რომ ტროცკის ეს ბროშურა, გამოცემული 1906 წელს, როდესაც ძნელი იყო ჩვენი რევოლუციის ხასიათის გამორკვევა, შეიცავს უნებლიე შეცდომებს და არც თუ სავსებით შეესაბამება ტროცკის მერმინდელი პერიოდის შეხედულებებს. განვიხილოთ ტროცკის მეორე ბროშურა, მისი «ზავის პროგრამა», რომელიც გამოქვეყნდა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის წინ და ხელმეორედ დაიბეჭდა ახლა (1924 წელს)

წიგნში: «1917». ამ ბროშურაში ტროცკი აკრიტიკებს პროლეტარული რევოლუციის ლენინურ თეორიას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ და უპირისპირებს მას ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგს. ის ამტკიცებს, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება შეუძლებელია, რომ სოციალიზმის გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ როგორც გამარჯვება ევროპის რამდენიმე ძირითადი ქვეყნისა (ინგლისის, რუსეთის, გერმანიისა), რომლებიც ერთიანდებიან ევროპის შეერთებულ შტატებად, ან იგი სრულიად შეუძლებელია. ის პირდაპირ ამბობს, რომ «რუსეთში ან ინგლისში ძლევამოსილი რევოლუცია წარმოუდგენელია, თუ არ მოხდა რევოლუცია გერმანიაში, და პირიქით».

«ერთადერთი რამდენადმე კონკრეტული ისტორიული მოსაზრება, — ამბობს ტროცკი, — შეერთებული შტატების ლოზუნგის წინააღმდეგ ფორმულირებული იყო შვეიცარიულ «სოციალ-დემოკრატში» (ბოლშევიკების მაშინდელი ცენტრალური ორგანო. ი. სტ.) შემდეგი ფრაზით: «ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა კაპიტალიზმის უცილობელი კანონია». აქედან «სოციალ-დემოკრატს» ის დასკვნა გამოჰყავდა, რომ სოციალიზმის გამარჯვება შესაძლებელია ერთ ქვეყანაში და რომ ამიტომ საჭირო არ არის თვითეულ ცალკე სახელმწიფოში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების წინაპირობად ევროპის შეერთებული შტატების შექმნა მივიჩნიოთო. სხვადასხვა ქვეყნის კაპიტალისტური განვითარება რომ უთანაბროა, ეს სავსებით უდავო მოსაზრებაა. მაგრამ თვით ეს უთანაბრობაც მეტად უთანაბროა. ინგლისის, ავსტრიის, გერმანიის ან საფრანგეთის კაპიტალისტური დონე არ არის ერთგვარი. მაგრამ აფრიკასა და აზიასთან შედარებით ყველა ეს ქვეყანა წარმოადგენს სოციალური რევოლუციისათვის მომწიფებულ კაპიტალისტურ «ევროპას». არც ერთი ქვეყანა რომ არ უნდა «უცდიდეს» სხვა ქვეყნებს თავის ბრძოლაში, — ეს ელემენტარული აზრია, რომლის განმეორება სასარგებლო და საჭიროა, რათა პარალელური ინტერნაციონალური მოქმედების იდეა არ შეცვალოს ინტერნაციონალური დაცდითი უმოქმედობის იდეამ. არ ვუცდით რა სხვებს, ჩვენ ვიწყებთ და განვაგრძობთ ბრძოლას ნაციონალურ ნიადაგზე სრული

რწმენით, რომ ჩვენი ინიციატივა ბიძგს მისცემს ბრძოლას სხვა ქვეყნებში; ხოლო თუ ეს არ მოხდა, მაშინ უიმედოა იმის ფიქრი, რომ, მაგალითად, რევოლუციური რუსეთი გაუმკლავდება კონსერვატიულ ევროპას, ან სოციალისტური გერმანია შესძლებს განმარტოებულ არსებობას კაპიტალისტურ სამყაროში, — ამას ადასტურებს როგორც ისტორიის გამოცდილება, ისე თეორიული მოსაზრებებიც».

როგორც ხედავთ, ჩვენს წინაშე ევროპის ძირითად ქვეყნებში სოციალიზმის ერთდროულად გამარჯვების იგივე თეორიაა, რომელიც, როგორც წესი, გამორიცხავს რევოლუციის ლენინურ თეორიას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ.

თქმა არ უნდა, სოციალიზმის **სრული** გამარჯვებისათვის, ძველი წესწყობილების აღდგენისაგან **სრული** გარანტიისათვის აუცილებელია რამდენიმე ქვეყნის პროლეტარების ერთობლივი ღონისძიებანი. თქმა არ უნდა, ევროპის პროლეტარიატს მხარი რომ არ დაეჭირა ჩვენი რევოლუციისათვის, რუსეთის პროლეტარიატი ვერ გაუძლებდა საერთო შემოტევას, ისევე როგორც, რუსეთის რევოლუციას მხარი რომ არ დაეჭირა რევოლუციური მოძრაობისათვის დასავლეთში, ეს მოძრაობა ვერ განვითარდებოდა იმ ტემპით, რომლითაც მან იწყო განვითარება რუსეთში პროლეტარული დიქტატურის დამყარების შემდეგ. თქმა არ უნდა, ჩვენ გვჭირდება მხარდაჭერა. მაგრამ რა არის ჩვენი რევოლუციისათვის მხარდაჭერა დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის მხრით? ევროპის მუშების თანაგრძნობა ჩვენი რევოლუციისადმი, მათი მზადყოფნა — ჩაშალონ იმპერიალისტების გეგმები ინტერვენციის შესახებ, — არის თუ არა ყოველივე ეს მხარდაჭერა, სერიოზული დახმარება? უთუოდ არის. არა მარტო ევროპის მუშების მხრით, არამედ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების მხრითაც ასეთი მხარდაჭერის, ასეთი დახმარების გარეშე პროლეტა-

რულ დიქტატურას რუსეთში გაუჭირდებოდა საქმე. საკმარისი იყო თუ არა აქამდე ეს თანაგრძნობა და ეს დახმარება, შეერთებული ჩვენი წითელი არმიის ძლიერებასთან და რუსეთის მუშებისა და გლეხების მზადყოფნასთან — საკუთარი გულმკერდით დაეცვათ სოციალისტური სამშობლო, — საკმარისი იყო თუ არა ყოველივე ეს იმისათვის, რომ მოგვეგერიებინა იმპერიალისტების იერიშები და მოგვეპოვებინა სერიოზული აღმშენებლობითი მუშაობისათვის საჭირო პირობები? დიახ, საკმარისი იყო. იზრდება თუ კლებულობს ეს თანაგრძნობა? უთუოდ იზრდება. გვაქვს თუ არა, ამრიგად, ხელსაყრელი პირობები არა მარტო იმისათვის, რომ წინ წავწიოთ სოციალისტური მეურნეობის ორგანიზაციის საქმე, არამედ იმისთვისაც, რომ, ჩვენი მხრით, დავეხმაროთ როგორც დასავლეთ ევროპის მუშებს, ისე აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხებს? დიახ, გვაქვს. ამაზე მჭევრმეტყველურად ლაპარაკობს რუსეთში პროლეტარული დიქტატურის შვიდი წლის ისტორია. განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ ჩვენში უკვე დაიწყო მძლავრი შრომითი აღმავლობა? არა, ამის უარყოფა არ შეიძლება.

რაღა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ყოველივე ამის შემდეგ ტროცკის განცხადებას იმის შესახებ, რომ რევოლუციური რუსეთი ვერ გაუმკლავდებოდა კონსერვატიულ ევროპას?

ამ განცხადებას შეიძლება მხოლოდ ერთი მნიშვნელობა ჰქონდეს: ჯერ-ერთი, ტროცკი ვერ გრძნობს ჩვენი რევოლუციის შინაგან ძლიერებას; მეორეც, ტროცკის არ ესმის იმ მორალური დახმარების ფასდაუდებელი მნიშვნელობა, რომელსაც უწევენ ჩვენს რევოლუციას დასავლეთის მუშები და აღმოსავლეთის გლეხები; მესამეც, ტროცკი ვერ

ამჩნევს იმ შინაგან უძლურებას, რომელიც ამჟამად ღრღნის იმპერიალიზმს.

პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორიის კრიტიკით გატაცებულმა ტროცკიმ უცაბედად გაინადგურა თავი ბროშურაში «ზავის პროგრამა», რომელიც გამოვიდა 1917 წელს და ხელმეორედ გამოიცა 1924 წელს.

მაგრამ, იქნებ, ტროცკის ეს ბროშურაც მოძველდა და რაიმე მიზეზით აღარ შეეფერება მის ახლანდელ შეხედულებებს? ავიღოთ ტროცკის სულ მერმინდელი ნაშრომები, დაწერილი მას შემდეგ, რაც პროლეტარულმა რევოლუციამ გაიმარჯვა **ერთ ქვეყანაში,** რუსეთში. ავიღოთ, მაგალითად, ბროშურა «ზავის პროგრამის» ახალი გამოცემის «ბოლოსიტყვაობა», დაწერილი ტროცკის მიერ 1922 წელს. აი რას წერს იგი ამ «ბოლოსიტყვაობაში»:

«„ზავის პროგრამაში" რამდენჯერმე განმეორებული მტკიცება, რომ პროლეტარული რევოლუცია ძლევამოსილად ვერ დამთავრდება ნაციონალურ ჩარჩოებში, ზოგიერთ მკითხველს, შეიძლება, გაბათილებულად მოეჩვენოს ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის თითქმის ხუთი წლის გამოცდილებით. მაგრამ ასეთი დასკვნა უსაფუძვლო იქნებოდა. ის ფაქტი, რომ მუშურმა სახელმწიფომ მთელი მსოფლიოს წინააღმდეგობას გაუძლო ერთ ქვეყანაში, და ისიც ჩამორჩენილ ქვეყანაში, მოწმობს პროლეტარიატის კოლოსალურ ძლიერებას, რომელიც სხვა, უფრო მოწინავე, უფრო ცივილიზებულ ქვეყნებში შესძლებს ჰეშმარიტად სასწაულები მოახდინოს. მაგრამ, დავიცავით რა თავი პოლიტიკური და სამხედრო მხრით, როგორც სახელმწიფომ, ჩვენ სოციალისტური საზოგადოების შექმნამდე ვერ მივედით და ვერც კი მივუახლოვდით მას... სანამ ევროპის დანარჩენ სახელმწიფოებში ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზია დგას, ჩვენ იძულებული ვართ, ეკონომიურ იზოლაციასთან ბრძოლის დროს, ვეძებოთ შეთანხმება კაპიტალისტურ სამყაროსთან; ამავე დროს შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ამ შეთანხმებებს, საუკეთესო შემთხვევაში, შეუძლიათ დაგვეხმარონ იმაში, რომ მოვიშუშოთ ესა თუ ის ეკონომიური ჭრილობა, გადავდგათ ესა თუ ის ნაბიჯი წინ, მაგრამ სოციალისტური მეურნეობის ნამდვილი აღმავლობა

რუსეთში შესაძლო გახდება **მხოლოდ მას შემდეგ, რაც** პროლეტარიატი **გაიმარჯვებს** * ევროპის უმნიშვნელოვანეს ქვეყნებში».

ასე ლაპარაკობს ტროცკი, რითაც აშკარად ღალატობს სინამდვილეს და დაჟინებით ცდილობს საბოლოო განადგურებისაგან გადაარჩინოს «პერმანენტული რევოლუცია».

გამოდის, რომ, რამდენიც არ უნდა იტრიალო, სოციალისტური საზოგადოების შექმნამდე არა თუ «ვერ მიხვედით», არამედ «ვერც კი მიხვუახლოვდით მას». თურმე, ზოგ ვინმეს ჰქონია «კაპიტალისტურ სამყაროსთან შეთანხმების» იმედი, მაგრამ ამ შეთანხმებებიდანაც, როგორც ჩანს, არაფერი გამოდის, ვინაიდან, რამდენიც არ უნდა იტრიალო, «სოციალისტური მეურნეობის ნამდვილ აღმავლობას» ვერ მიაღწევ, ვიდრე პროლეტარიატი არ გაიმარჯვებს «ევროპის უმნიშვნელოვანეს ქვეყნებში».

და რადგან დასავლეთში ჯერ კიდევ არ არის გამარჯვება, რუსეთის რევოლუციას დარჩენია «არჩევანი»: ან ზეზეურად დალპეს, ანდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოდ გადაგვარდეს.

ტყუილად კი არ ლაპარაკობს ტროცკი უკვე ორი წელიწადია ჩვენი პარტიის «გადაგვარებაზე».

ტყუილად კი არ წინასწარმეტყველებდა შარშან ტროცკი ჩვენი ქვეყნის «დაღუპვას».

როგორ შევუთანხმოთ ეს უცნაური «თეორია» ლენინის თეორიას «ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების» შესახებ?

როგორ შევუთანხმოთ ეს უცნაური «პერსპექტივა» ლენინის პერსპექტივას იმის შესახებ, რომ **ახალი** ეკონომიური პოლიტიკა შესაძლებლობას მოგვცემს «ავაშენოთ სოციალისტური ეკონომიკის საძირკველი»?

---

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

როგორ შევუთანხმოთ ეს «პერმანენტული» უიმედობა, მაგალითად, ლენინის შემდეგ სიტყვებს:

«სოციალიზმი უკვე დღეს აღარ არის შორეული მომავლის, ან რაღაც განყენებული სურათის, ან რაღაც ხატის საკითხი. ხატების შესახებ ჩვენ ისევ ძველი, მეტად ცუდი აზრისა ვართ. ჩვენ სოციალიზმი შევიტანეთ ყოველდღიურ ცხოვრებაში და აქ უნდა გავერკვეთ. აი რა შეადგენს ჩვენს დღევანდელ ამოცანას, აი რა შეადგენს ჩვენი ეპოქის ამოცანას. ნება მიბოძეთ, დასასრულ, გამოვთქვა რწმენა, რომ, რარიგ ძნელიც უნდა იყოს ეს ამოცანა, რარიგ ახალიც უნდა იყოს იგი ჩვენს წინანდელ ამოცანასთან შედარებით, და რაგინდ ბევრ სიძნელესაც უნდა ქმნიდეს იგი ჩვენთვის, — ჩვენ ყველანი ერთად, არა ხვალ, არამედ რამდენიმე წლის განმავლობაში, ჩვენ ყველანი ერთად გადავჭრით ამ ამოცანას რადაც უნდა დაგვიჯდეს, ასე რომ ნეპური რუსეთი გადაიქცევა სოციალისტურ რუსეთად» (იხ. ტ. XXVII, გვ. 366).

როგორ შევუთანხმოთ ტროცკის ეს «პერმანენტული» უნუგეშობა, მაგალითად, ლენინის შემდეგ სიტყვებს:

«მართლაც, სახელმწიფოს ძალაუფლება წარმოების ყველა მსხვილ საშუალებაზე, სახელმწიფოს ძალაუფლება პროლეტარიატის ხელში, ამ პროლეტარიატის კავშირი მრავალ მილიონ წვრილ და უწვრილეს გლეხთან, გლეხობის მიმართ ამ პროლეტარიატის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა და სხვ., — განა ეს არ არის ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ კოოპერაციიდან, მარტოოდენ კოოპერაციიდან, რომელსაც წინათ აბუჩად ვიგდებდით, როგორც ჩარჩულს, და რომელიც ერთგვარად უფლება გვაქვს აბუჩად ავიგდოთ ახლაც, ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროსაც, განა ეს არ არის ყველაფერი, რაც აუცილებელია სრული სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის? ეს ჯერ კიდევ არ არის სოციალისტური საზოგადოების აშენება, მაგრამ ეს არის ყველაფერი, რაც აუცილებელი და საკმაოა ამ აშენებისათვის» (იხ. ტ. XXVII, გვ. 392).

ცხადია, აქ არ არის და არც შეიძლება იყოს რაიმე შეთანხმება. ტროცკის «პერმანენტული რევოლუცია» არის პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორიის უარ-

ყოფა, და პირიქით — პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორია არის «პერმანენტული რევოლუციის» თეორიის უარყოფა.

ჩვენი რევოლუციის ძალებისა და უნარისადმი რწმენის უქონლობა, რუსეთის პროლეტარიატის ძალებისა და უნარისადმი რწმენის უქონლობა — ასეთია «პერმანენტული რევოლუციის» თეორიის ქვენიადაგი.

დღემდე ჩვეულებრივ აღნიშნავდნენ «პერმანენტული რევოლუციის» თეორიის **ერთ** მხარეს — გლეხთა მოძრაობის რევოლუციურ შესაძლებლობათადმი რწმენის უქონლობას. ახლა სამართლიანობა მოითხოვს ამ მხარეს მივუმატოთ **მეორე** მხარე — რუსეთის პროლეტარიატის ძალებისა და უნარისადმი რწმენის უქონლობა.

რით განსხვავდება ტროცკის თეორია მენშევიზმის ჩვეულებრივი თეორიისაგან იმის შესახებ, რომ სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში, ისიც ჩამორჩენილ ქვეყანაში, შეუძლებელია პროლეტარული რევოლუციის წინასწარ გაუმარჯვებლად «დასავლეთ ევროპის ძირითად ქვეყნებში»?

არსებითად — არაფრით.

დაეჭვება შეუძლებელია. ტროცკის «პერმანენტული რევოლუციის» თეორია მენშევიზმის სახესხვაობაა.

უკანასკნელ დროს ჩვენს პრესაში მომრავლდნენ დამყაყებული დიპლომატები, რომლებიც ცდილობენ შემოგვპაპარონ «პერმანენტული რევოლუციის» თეორია, როგორც ისეთი რამ, რაც შეიძლება შეთავსებულ იქნას ლენინიზმთან. რა თქმა უნდა, ამბობენ ისინი, ეს თეორია უვარგისი აღმოჩნდა 1905 წელს. მაგრამ ტროცკის შეცდომა ისაა, რომ ის აჩქარდა მაშინ, სცადა რა 1905 წლის პირობებში გამოეყენებინა ის, რის გამოყენებაც მაშინ არ შეიძლებოდა. მაგრამ შემდეგში, ამბობენ ისინი, მაგალი-

თად, 1917 წლის ოქტომბერში, როდესაც რევოლუცია უკვე სავსებით მომწიფდა, ტროცკის თეორია სავსებით შესაფერისი აღმოჩნდაო. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ამ დიპლომატებს შორის ყველაზე მთავარია რადეკი. ინებეთ და მოუსმინეთ მას:

«ომმა უფსკრული გათხარა გლეხობასა, რომელიც მიისწრაფოდა მიწის მოპოვებისა და ზავისაკენ, და წვრილბურჟუაზიულ პარტიებს შორის; ომმა გლეხობა მოაქცია მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის — ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ. შესაძლებელი გახდა არა მუშათა კლასისა და გლეხობის დიქტატურა, არამედ გლეხობაზე დაყრდნობილი მუშათა კლასის დიქტატურა. ის, რასაც როზა ლუქსემბურგი და ტროცკი 1905 წელს აყენებდნენ ლენინის წინააღმდეგ (ე. ი. «პერმანენტულ რევოლუციას». ი. სტ.), სინამდვილეში ისტორიული განვითარების მეორე ეტაპი აღმოჩნდა».

აქ რამდენიც სიტყვაა, იმდენი სიყალბეა.

არ არის სწორი, თითქოს ომის დროს «შესაძლებელი გახდა არა მუშათა კლასისა და გლეხობის დიქტატურა, არამედ გლეხობაზე დაყრდნობილი მუშათა კლასის დიქტატურა». ნამდვილად კი 1917 წლის თებერვლის რევოლუცია იყო განხორციელება პროლეტარიატის და გლეხობის დიქტატურისა ბურჟუაზიის დიქტატურასთან თავისებური გადახლართვით.

არ არის სწორი, თითქოს «პერმანენტული რევოლუციის» თეორია, რომლის შესახებაც მორცხვად სდუმს რადეკი, 1905 წელს როზა ლუქსემბურგს და ტროცკის წამოეყენებინოთ. ნამდვილად კი ეს თეორია წამოაყენეს პარვუსმა და ტროცკიმ. ახლა, ათი თვის შემდეგ, რადეკს შესწორება შეაქვს თავის წინანდელ სიტყვებში და ის საჭიროდ ცნობს შეუკურთხოს პარვუსს «პერმანენტული რევოლუციისათვის». მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს რადეკი-

საგან, რომ მან პარვუსის კომპანიონს — ტროცკისაც შეუკურთხოს.

არ არის სწორი, თითქოს 1905 წლის რევოლუციის მიერ უკუგდებული «პერმანენტული რევოლუცია» სწორი აღმოჩენილიყოს «ისტორიული განვითარების მეორე ეტაპზე», ე. ი. ოქტომბრის რევოლუციის დროს. ოქტომბრის რევოლუციის მთელმა მსვლელობამ, მთელმა მისმა განვითარებამ გვიჩვენა და დაგვიმტკიცა «პერმანენტული რევოლუციის» თეორიის სრული უნიადაგობა, მისი სრული შეუთავსებლობა ლენინიზმის საფუძვლებთან.

ტკბილი სიტყვებით და დამყაყებული დიპლომატიით ვერ დაფარავ იმ ღრმა უფსკრულს, რომელიც ძევს «პერმანენტული რევოლუციის» თეორიასა და ლენინიზმს შორის.

III

ბოლშევიკების ტაქტიკის ზოგიერთ თავისებურებაზე ოქტომბრის მომზადების პერიოდში

ოქტომბრის მომზადების პერიოდში ბოლშევიკების ტაქტიკის გასაგებად აუცილებელია გავარკვიოთ, ყოველ შემთხვევაში, ამ ტაქტიკის ზოგიერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თავისებურება მაინც. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ბოლშევიკების ტაქტიკის შესახებ დაწერილ მრავალრიცხოვან ბროშურებში ხშირად გვერდს უვლიან სწორედ ამ თავისებურებებს.

რა თავისებურებანია ეს?

პირველი თავისებურება. ტროცკის რომ დაუგდოთ ყური, იფიქრებთ, თითქოს ოქტომბრის მზადების ისტორიაში მარტო ორი პერიოდი არსებობდეს, დაზვერვის პერიოდი და აჯანყების პერიოდი, ყოველივე დანარჩენი კი თითქოს

ეშმაკეული იყოს. რას წარმოადგენს 1917 წლის აპრილის მანიფესტაცია? «აპრილის მანიფესტაცია, რომელიც უფრო «მარცხნივ» გადაიხარა, ვიდრე საჭირო იყო, წარმოადგენდა სადაზვერვო გამოსვლას მასების განწყობილებისა და საბჭოთა უმრავლესობასთან მათი ურთიერთდამოკიდებულების გამოსარკვევად». ხოლო რას წარმოადგენს 1917 წლის ივლისის დემონსტრაცია? ტროცკის აზრით, «საქმე ამ შემთხვევაშიც არსებითად გამოიხატა ახალი, უფრო ფართო დაზვერვით მოძრაობის ახალ, უფრო მაღალ ეტაპზე». ზედმეტია ლაპარაკი, რომ 1917 წლის ივნისის დემონსტრაციას, რომელიც ჩვენი პარტიის მოთხოვნით გაიმართა, მით უფრო უნდა ეწოდოს, ტროცკის წარმოდგენით, «დაზვერვა».

ამრიგად, გამოდის, რომ ბოლშევიკებს უკვე 1917 წლის მარტში მზად ჰყოლიათ მუშებისა და გლეხების პოლიტიკური არმია, და თუ ისინი ამ არმიას აჯანყებისათვის არ იყენებდნენ არც აპრილში, არც ივნისში, არც ივლისში, და მხოლოდ «დაზვერვას» აწარმოებდნენ, ეს იმიტომ, და მხოლოდ იმიტომ, რომ «დაზვერვის ცნობები» მაშინ ხელსაყრელ «ნიშნებს» არ იძლეოდნენ.

რალა თქმა უნდა, ასეთი გამარტივებული წარმოდგენა ჩვენი პარტიის პოლიტიკურ ტაქტიკაზე სხვა არაფერია, თუ არ ჩვეულებრივი სამხედრო ტაქტიკის არევა ბოლშევიკების რევოლუციურ ტაქტიკაში.

ნამდვილად ყველა ეს დემონსტრაცია წარმოადგენდა, უწინარეს ყოვლისა, მასების სტიქიური მოწოლის შედეგს, შედეგს ომის წინააღმდეგ მასების აღშფოთებისას, რომელიც ქუჩისაკენ ისწრაფოდა.

ნამდვილად პარტიის როლი აქ მდგომარეობდა მასების სტიქიურად წარმოშობილი გამოსვლების გაფორმებასა და

ხელმძღვანელობაში ბოლშევიკების რევოლუციური ლოზუნგების ხაზით.

ნამდვილად 1917 წლის მარტში ბოლშევიკებს არ ჰყოლიათ, და არც შეიძლებოდა ჰყოლოდათ მზა პოლიტიკური არმია. ასეთ არმიას ბოლშევიკები მხოლოდ ქმნიდნენ (და, ბოლოს, კიდეც შექმნეს იგი 1917 წლის ოქტომბრისათვის) კლასთა ბრძოლისა და შეტაკებების მსვლელობაში 1917 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე, ქმნიდნენ მას აპრილის მანიფესტაციითაც, ივნისისა და ივლისის დემონსტრაციებითაც, სარაიონო და საერთო-საქალაქო თვითმმართველობების არჩევნებითაც, კორნილოვშჩინასთან ბრძოლითაც და საბჭოების დაპყრობითაც. პოლიტიკური არმია სამხედრო არმია როდია. თუ სამხედრო სარდლობა იწყებს ომს უკვე მზა არმიით, პარტიას უხდება თავისი არმიის შექმნა თვით ბრძოლის მსვლელობაში, კლასთა შეტაკებების მსვლელობაში, იმისდა მიხედვით, რაც თვით მასები საკუთარი გამოცდილებით რწმუნდებიან პარტიის ლოზუნგების სისწორეში, მისი პოლიტიკის სისწორეში.

რა თქმა უნდა, ყოველი ასეთი დემონსტრაცია ამასთან ერთად რამდენადმე ააშკარავებდა თვალისათვის უხილავს ძალთა თანაშეფარდებებს, წარმოადგენდა ერთგვარ დაზვერვას, მაგრამ აქ დაზვერვა დემონსტრაციის მოტივი კი არა, მისი ბუნებრივი შედეგი იყო.

ლენინი ანალიზს უკეთებს ოქტომბრის აჯანყების წინ მომხდარ ამბებს, ადარებს მათ აპრილ-ივლისის ამბებს და ამბობს:

«მდგომარეობა სწორედ ისეთი არ არის, როგორიც იყო 20 — 21 აპრილის, 9 ივნისის და 3 ივლისის წინ, ვინაიდან მაშინ იყო **სტიქიური აღგზნება,** რომელსაც ჩვენ, როგორც პარტია, ან ვერ ვამჩნევდით (20 აპრილს), ან ვაკავებდით და მშვიდობიანი დემონსტრაციის სახეს ვაძლევდით (9 ივნისი და 3 ივლისი). ვინაიდან ჩვენ მაშინ კარგად

ვიცოდით, რომ საბჭოები **ჯერ კიდევ** არ იყო ჩვენი, რომ გლეხებს **ჯერ კიდევ** სწამდათ ლიბერდან-ჩერნოვის გზა, და არა ბოლშევიკური გზა (აჯანყება), რომ, მაშასადამე, არ შეიძლებოდა ჩვენს მხარეზე ყოფილიყო ხალხის უმრავლესობა, რომ, მაშასადამე, აჯანყება ნაადრევი იყო» (იხ. ტ. XXI, გვ. 345).

ცხადია, მარტოოდენ «დაზვერვით» შორს ვერ წახვალ.

აშკარაა, საქმე «დაზვერვა» კი არა, არამედ ის არის, რომ:

1) პარტია ოქტომბრის მზადების მთელი პერიოდის მანძილზე თავის ბრძოლაში განუხრელად ეყრდნობოდა მასობრივი რევოლუციური მოძრაობის სტიქიურ აღმავლობას;

2) სტიქიურ აღმავლობას რომ ეყრდნობოდა, პარტია ინარჩუნებდა მოძრაობის განუყოფელ ხელმძღვანელობას;

3) მოძრაობის ასეთი ხელმძღვანელობა უადვილებდა მას მასობრივი პოლიტიკური არმიის შექმნას ოქტომბრის აჯანყებისათვის;

4) ამგვარ პოლიტიკას არ შეეძლო არ გამოეწვია ის, რომ ოქტომბრის მთელი მომზადება ჩატარდა **ერთი** პარტიის, ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით;

5) ოქტომბრის ასეთმა მომზადებამ, თავის მხრივ, გამოიწვია ის, რომ ოქტომბრის აჯანყების შედეგად ძალაუფლება **ერთი** პარტიის, ბოლშევიკების პარტიის ხელში აღმოჩნდა.

ამრიგად, **ერთი** პარტიის, კომუნისტების პარტიის, განუყოფელი ხელმძღვანელობა, როგორც ოქტომბრის მომზადების ძირითადი მომენტი, — ასეთია ოქტომბრის რევოლუციის დამახასიათებელი ნიშანი, ასეთია ბოლშევიკების ტაქტიკის პირველი თავისებურება ოქტომბრის მომზადების პერიოდში.

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ბოლშევიკების ტაქტიკის ამ თავისებურების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება იმპერიალიზმის ვითარებაში.

ამით ოქტომბრის რევოლუცია დადებითად განსხვავდება საფრანგეთის 1871 წლის რევოლუციისაგან, სადაც რევოლუციის ხელმძღვანელობა გაინაწილა ორმა პარტიამ, რომელთაგან არც ერთს არ შეიძლება ეწოდოს კომუნისტური პარტია.

მეორე თავისებურება. ამრიგად, ოქტომბრის მომზადება მიმდინარეობდა ერთი პარტიის, ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით. მაგრამ როგორ ეწეოდა პარტია ამ ხელმძღვანელობას, რა ხაზით მიმდინარეობდა ხელმძღვანელობა? ეს ხელმძღვანელობა მიმდინარეობდა **შემთანხმებლური** პარტიების, როგორც რევოლუციის გაჩაღების პერიოდში ყველაზე საშიშ დაჯგუფებათა, იზოლაციის ხაზით, ესერებისა და მენშევიკების იზოლაციის ხაზით.

რაში მდგომარეობს ლენინიზმის ძირითადი სტრატეგიული წესი?

იგი მდგომარეობს იმის აღიარებაში, რომ:

1) რევოლუციის მტრების ყველაზე საშიშ სოციალურ დასაყრდენს მოახლოებული რევოლუციური აფეთქების პერიოდში წარმოადგენენ **შემთანხმებლური** პარტიები;

2) მტრის (ცარიზმის ან ბურჟუაზიის) დამხობა შეუძლებელია ამ პარტიების იზოლაციის გარეშე;

3) ამიტომ რევოლუციის მომზადების პერიოდში მთავარი ისრები მიმართული უნდა იყოს ამ პარტიების იზოლაციისაკენ, მათგან მშრომელთა ფართო მასების ჩამოშორებისაკენ.

ცარიზმთან ბრძოლის პერიოდში, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მომზადების პერიოდში (1905 — 1916) ცარიზმის ყველაზე საშიშ სოციალურ დასაყრდენს წარმოადგენდა ლიბერალურ-მონარქისტული პარტია, კადეტების პარტია. რატომ? იმიტომ, რომ ის იყო შემთანხმებლური პარტია, ცარიზმისა და ხალხის უმრავლესობის, ე. ი. მთელი გლეხობის **შეთანხმების** პარტია. ბუნებრივია, რომ პარტია მაშინ მთავარ დარტყმებს მიმართავდა კადეტების წინააღმდეგ, ვინაიდან კადეტების იზოლაციის გარეშე არ შეიძლებოდა ცარიზმთან გლეხობის **გათიშვის** იმედი გვქონოდა, ხოლო თუ ეს გათიშვა უზრუნველყოფილი არ იქნებოდა, — არ შეიძლებოდა რევოლუციის გამარჯვების იმედი გვქონოდა. მაშინ ბევრს არ ესმოდა ბოლშევიკური სტრატეგიის ეს თავისებურება, ბოლშევიკებს სწამებდნენ გადამეტებულ «კადეტჭამიობას» და ამტკიცებდნენ, რომ ბოლშევიკების ბრძოლა კადეტებთან «ჩრდილავს» მთავარ მტერთან — ცარიზმთან ბრძოლასო. მაგრამ ასეთი უსაფუძვლო ბრალდებანი ამხელდნენ იმას, რომ სრულებით არ ესმოდათ ბოლშევიკური სტრატეგია, რომელიც მოითხოვდა შემთანხმებლური პარტიის იზოლაციას **იმისათვის,** რომ გაადვილებულიყო, მოახლოებულიყო მთავარ მტერზე გამარჯვება.

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ასეთი სტრატეგიის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა პროლეტარიატის ჰეგემონია ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში.

ოქტომბრის მომზადების პერიოდში მებრძოლ ძალთა სიმძიმის ცენტრი ახალ სიბრტყეში გადავიდა. მეფე აღარ იყო. კადეტთა პარტია შემთანხმებლური ძალიდან მმართველ ძალად, იმპერიალიზმის გაბატონებულ ძალად გადაიქ-

ცა. ბრძოლა წარმოებდა უკვე არა ცარიზმსა და ხალხს შორის, არამედ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. ამ პერიოდში იმპერიალიზმის ყველაზე საშიშ სოციალურ დასაყრდენს წარმოადგენდნენ წვრილბურჟუაზიული დემოკრატიული პარტიები, ესერებისა და მენშევიკების პარტიები. რატომ? იმიტომ, რომ მაშინ ეს პარტიები იყვნენ შემთანხმებლური პარტიები, იმპერიალიზმისა და მშრომელი მასების **შეთანხმების** პარტიები. ბუნებრივია, რომ ბოლშევიკები მაშინ მთავარ დარტყმებს მიმართავდნენ ამ პარტიების წინააღმდეგ, ვინაიდან ამ პარტიების იზოლაციის გარეშე არ შეიძლებოდა იმპერიალიზმთან მშრომელი მასების **გათიშვის** იმედი გვქონოდა, ხოლო თუ ეს გათიშვა უზრუნველყოფილი არ იქნებოდა, — არ შეიძლებოდა საბჭოთა რევოლუციის გამარჯვების იმედი გვქონოდა. მაშინ ბევრს არ ესმოდა ბოლშევიკური ტაქტიკის ეს თავისებურება, ბოლშევიკებს სწამებდნენ ესერებისა და მენშევიკებისადმი «გადაჭარბებულ სიძულვილს» და მთავარი მიზნის «დავიწყებას». მაგრამ ოქტომბრის მომზადების მთელი პერიოდი მჭევრმეტყველურად ლაპარაკობს, რომ მხოლოდ ასეთი ტაქტიკით შეეძლოთ ბოლშევიკებს ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების უზრუნველყოფა.

ამ პერიოდის დამახასიათებელი ნიშანია გლეხობის მშრომელი მასების შემდგომი გარევოლუციურება, მათი იმედების გაცრუება ესერებისა და მენშევიკებისადმი, მათი ჩამოცილება ამ პარტიებისაგან, მათი შემობრუნება პირდაპირი შემჭიდროებისაკენ პროლეტარიატის, როგორც ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური ძალის ირგვლივ, რომელსაც შეეძლო ქვეყნისათვის ზავის მოპოვება. ამ პერიოდის ისტორია არის ისტორია, ერთი მხრით, ესერებისა და მენშევიკების, ხოლო, მეორე მხრით,

ბოლშევიკების ბრძოლისა გლეხობის მშრომელი მასებისათვის, ამ მასების მიმხრობისათვის. ამ ბრძოლის ბედი გადაწყვიტეს კოალიციურმა პერიოდმა, კერენშჩინის პერიოდმა, ესერებისა და მენშევიკების მიერ მემამულეთა მიწების კონფისკაციაზე უარის თქმამ, ესერებისა და მენშევიკების ბრძოლამ ომის განგრძობისათვის, ფრონტზე შეტევამ ივნისში, ჯარისკაცთათვის სიკვდილით დასჯის შემოღებამ, კორნილოვის აჯანყებამ. და მათ ეს ბედი გადაწყვიტეს მხოლოდ და მხოლოდ ბოლშევიკური სტრატეგიის სასარგებლოდ. ვინაიდან ესერებისა და მენშევიკების იზოლაციის გარეშე შეუძლებელი იყო იმპერიალისტთა მთავრობის დამხობა, ამ მთავრობის დაუმხობლად კი შეუძლებელი იყო ომისაგან თავის დაღწევა. ესერებისა და მენშევიკების იზოლაციის პოლიტიკა ერთადერთი სწორი პოლიტიკა გამოდგა.

ამრიგად, მენშევიკებისა და ესერების პარტიების იზოლაცია, როგორც ძირითადი ხაზი ოქტომბრის მომზადების საქმის ხელმძღვანელობაში, — ასეთია ბოლშევიკების ტაქტიკის მეორე თავისებურება.

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ბოლშევიკების ტაქტიკის ამ თავისებურების გარეშე მუშათა კლასისა და გლეხობის მშრომელი მასების კავშირი ჰაერში გამოკიდებული დარჩებოდა.

დამახასიათებელია, რომ ბოლშევიკური ტაქტიკის ამ თავისებურებაზე ტროცკი არაფერს, ან თითქმის არაფერს, ამბობს თავის «ოქტომბრის გაკვეთილებში».

მესამე თავისებურება. ამრიგად, პარტიის ხელმძღვანელობა ოქტომბრის მომზადების საქმისადმი მიმდინარეობდა ესერებისა და მენშევიკების პარტიების იზოლაციის ხაზით, მათგან მუშათა და გლეხთა ფართო მასების ჩამოშორების ხაზით. მაგრამ როგორ ახორციელებდა პარტია ამ იზოლა-

ციას კონკრეტულად, რა ფორმით, რა ლოზუნგით? ეს იზოლაცია ხორციელდებოდა საბჭოების ძალაუფლებისათვის მასების რევოლუციური მოძრაობის ფორმით, ლოზუნგით «მთელი ძალაუფლება საბჭოებს!», ბრძოლით იმისათვის, რომ საბჭოები მასების მობილიზაციის ორგანოებიდან გადაგვექცია აჯანყების ორგანოებად, ძალაუფლების ორგანოებად, ახალი პროლეტარული სახელმწიფოებრიობის აპარატად.

რატომ ჩასჭიდეს ხელი ბოლშევიკებმა სწორედ საბჭოებს, როგორც ძირითად ორგანიზაციულ ბერკეტს, რომელსაც შეეძლო გაეადვილებინა მენშევიკებისა და ესერების იზოლაციის საქმე, შეეძლო წინ წაეწია პროლეტარული რევოლუციის საქმე და რომელიც მოწოდებული იყო მშრომელთა მრავალმილიონიანი მასები მიეყვანა პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებამდე?

რა არის საბჭოები?

«საბჭოები, — ამბობდა ლენინი ჯერ კიდევ 1917 წლის სექტემბერში, — არის ახალი სახელმწიფო აპარატი, რომელიც იძლევა, ჯერ-ერთი, მუშებისა და გლეხების შეიარაღებულ ძალას, ამასთან ეს ძალა ხალხისაგან მოწყვეტილი კი არ არის, როგორც ძველი მუდმივი არმიის ძალა, არამედ უმჭიდროესად არის მასთან დაკავშირებული; სამხედრო მხრით ეს ძალა შეუდარებლად უფრო ძლიერია, ვიდრე წინანდელნი; რევოლუციური მხრით მის მაგივრობას ვერ გასწევს ვერც ერთი სხვა ძალა. მეორეც, ეს აპარატი იძლევა კავშირს მასებთან, ხალხის უმრავლესობასთან, იმდენად მჭიდროს, გაუწყვეტელს, ადვილად შესამოწმებელს და განსაახლებელს, რომ არაფერი ამის მსგავსი წინანდელ სახელმწიფო აპარატში არ ყოფილა. მესამეც, ეს აპარატი, რომლის შემადგენლობის არჩევა და გამოცვლა ხდება ხალხის ნებით, ბიუროკრატიულ ფორმალობათა გარეშე, ბევრად უფრო დემოკრატიულია, ვიდრე წინანდელი აპარატები. მეოთხეც, ის იძლევა მტკიცე კავშირს სულ სხვადასხვა პროფესიასთან, რითაც ადვილებს უაღრესად ღრმა ხასიათის სხვადასხვა რეფორმის გატარებას უბიუროკრატიოდ.

მეხუთეც, ის იძლევა **ჩაგრული** კლასების — მუშებისა და გლეხების — ავანგარდის, ე. ი. ყველაზე უფრო შეგნებული, ყველაზე უფრო ენერგიული, მოწინავე ნაწილის ორგანიზაციის ფორმას და, ამრიგად, წარმოადგენს აპარატს, რომლის საშუალებით ჩაგრული კლასების ავანგარდს შეუძლია აამაღლოს, აღზარდოს, მოამზადოს და თან გაიყოლიოს ამ კლასების **მთელი გიგანტური მასა**, რომელიც აქამდე სრულიად მოწყვეტილი იყო პოლიტიკურ ცხოვრებას, ისტორიას. მეექვსეც, იგი შესაძლებლობას იძლევა შეერთებულ იქნას პარლამენტარიზმის ხელსაყრელობა უშუალო და პირდაპირი დემოკრატიის ხელსაყრელობასთან, ე. ი. შეერთებულ იქნას ხალხის არჩეულ წარმომადგენელთა სახით საკანონმდებლო ფუნქციაც **და კანონების შესრულებაც.** ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმთან შედარებით ეს ისეთი წინგადადგმული ნაბიჯია დემოკრატიის განვითარების მხრივ, რომელსაც მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს...

რევოლუციური კლასების ხალხურ შემოქმედებას რომ არ შეექმნა საბჭოები, პროლეტარული რევოლუცია რუსეთში უიმედო საქმე იქნებოდა, ვინაიდან ძველი აპარატის საშუალებით პროლეტარიატი, ეჭვი არაა, ვერ შეინარჩუნებდა ძალაუფლებას, ხოლო ახალი აპარატის ერთბაშად შექმნა შეუძლებელია» (იხ. ტ. XXI, გვ. 258 — 259).

აი რატომ ჩასჭიდეს ხელი ბოლშევიკებმა საბჭოებს, როგორც ძირითად ორგანიზაციულ რგოლს, რომელსაც შეეძლო ოქტომბრის რევოლუციის ორგანიზაციის გაადვილება და პროლეტარული სახელმწიფოებრიობის ახალი ძლიერი აპარატის შექმნა.

ლოზუნგმა «მთელი ძალაუფლება საბჭოებს!», მისი შინაგანი განვითარების თვალსაზრისით, ორი სტადია განვლო: პირველი (ბოლშევიკების დამარცხებამდე ივლისში, ორხელისუფლებიანობის დროს) და მეორე (კორნილოვის აჯანყების დამარცხების შემდეგ).

პირველ სტადიაზე ეს ლოზუნგი ნიშნავდა მენშევიკებისა და ესერების ბლოკის გაწყვეტას კადეტებთან, საბჭოთა მთავრობის შედგენას მენშევიკებისა და ესერებისაგან (ვინაიდან საბჭოები მაშინ ესერულ-მენშევიკური იყო), თავის-

უფალი აგიტაციის უფლებას ოპოზიციისათვის (ე. ი. ბოლშევიკებისათვის) და პარტიების თავისუფალ ბრძოლას საბჭოების შიგნით იმ ვარაუდით, რომ ასეთი ბრძოლით ბოლშევიკები შესძლებდნენ საბჭოების დაპყრობას და საბჭოთა მთავრობის შემადგენლობის შეცვლას რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების გზით. ეს გეგმა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა პროლეტარიატის დიქტატურას. მაგრამ ის უთუოდ აადვილებდა დიქტატურის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი პირობების მომზადებას, ვინაიდან იგი ხელისუფლების სათავეში აყენებდა მენშევიკებსა და ესერებს, აიძულებდა მათ საქმით გაეტარებინათ თავიანთი ანტირევოლუციური პლატფორმა და, ამრიგად, აჩქარებდა ამ პარტიების ნამდვილი ბუნების მხილებას, აჩქარებდა მათს იზოლაციას, მათს ჩამოშორებას მასებისაგან. მაგრამ ბოლშევიკების დამარცხებამ ივლისში შეწყვიტა ეს განვითარება, სასწორი გადახარა გენერალთა და კადეტთა კონტრრევოლუციის მხარეს და მის ბანაკში გადაისროლა ესერები და მენშევიკები. ამ გარემოებამ პარტია აიძულა დროებით მოეხსნა ლოზუნგი «მთელი ძალაუფლება საბჭოებს!», რათა ისევ წამოეყენებინა ის რევოლუციის ახალი აღმავლობის პირობებში.

კორნილოვის აჯანყების დამარცხებით დაიწყო მეორე სტადია. ლოზუნგი «მთელი ძალაუფლება საბჭოებს!» კვლავ დღის წესრიგში დადგა. მაგრამ ახლა ეს ლოზუნგი იმას აღარ ნიშნავდა, რასაც ნიშნავდა პირველ სტადიაზე. მისი შინაარსი ძირფესვიანად შეიცვალა. ახლა ეს ლოზუნგი ნიშნავდა იმპერიალიზმთან კავშირის სრულიად გაწყვეტას და ძალაუფლების გადასვლას ბოლშევიკების ხელში, ვინაიდან საბჭოების უმრავლესობა უკვე ბოლშევიკური იყო. ახლა ეს ლოზუნგი მოასწავებდა რევოლუციის პირდაპირ მისვლას პროლეტარიატის დიქტატურასთან აჯანყების გზით.

უფრო მეტიც: ახლა ეს ლოზუნგი ნიშნავდა პროლეტარიატის დიქტატურის ორგანიზაციას და სახელმწიფოებრივ გაფორმებას.

სახელმწიფო ძალაუფლების ორგანოებად საბჭოების გადაქცევის ტაქტიკის ფასდაუდებელი მნიშვნელობა ის იყო, რომ იგი თიშავდა იმპერიალიზმისაგან მშრომელთა მრავალმილიონიან მასებს, სახელს უტეხდა მენშევიკებისა და ესერების პარტიებს, როგორც იმპერიალიზმის იარაღს, და ეს მასები, ასე ვთქვათ, პირდაპირი გზით მიჰყავდა პროლეტარიატის დიქტატურასთან.

ამრიგად, სახელმწიფო ძალაუფლების ორგანოებად საბჭოების გადაქცევის პოლიტიკა, როგორც შემთანხმებლური პარტიების იზოლაციისა და პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების უმნიშვნელოვანესი პირობა, — ასეთია ბოლშევიკების ტაქტიკის მესამე თავისებურება ოქტომბრის მომზადების პერიოდში.

მეოთხე თავისებურება. სურათი სრული ვერ იქნებოდა, რომ არ გაგვერკვია იმის საკითხი, თუ როგორ და რატომ ახერხებდნენ ბოლშევიკები — გადაექციათ თავიანთი პარტიული ლოზუნგები მრავალმილიონიანი მასების ლოზუნგებად, რომლებიც რევოლუციას წინ ეწევიან, თუ როგორ და რატომ ახერხებდნენ ისინი — დაერწმუნებინათ თავიანთი პოლიტიკის სისწორეში მუშათა კლასის არა მარტო ავანგარდი და არა მარტო უმრავლესობა, არამედ ხალხის უმრავლესობაც.

საქმე ის არის, რომ რევოლუციის გამარჯვებისათვის, თუ ეს რევოლუცია ნამდვილად ხალხურია და მრავალმილიონიან მასებს ამოძრავებს, — არ კმარა მარტოოდენ პარტიული ლოზუნგების სისწორე. რევოლუციის გამარჯვებისათვის საჭიროა კიდევ ერთი აუცილებელი პირობა, სახელდობრ ის, რომ თვით მასები საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ

ამ ლოზუნგების სისწორეში. მხოლოდ მაშინ ხდებიან პარტიის ლოზუნგები თვით მასების ლოზუნგებად. მხოლოდ მაშინ იქცევა რევოლუცია ნამდვილ ხალხურ რევოლუციად. ოქტომბრის მომზადების პერიოდში ბოლშევიკების ტაქტიკის ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის ახერხებდა სისწორით დაესახა ის გზები და მოსახვევები, რომლებსაც მასები ბუნებრივად მიჰყავთ პარტიის ლოზუნგებთან, ასე ვთქვათ, თვით რევოლუციის ზღურბლთან, და რომლებიც, ამრიგად, უადვილებენ მასებს საკუთარი გამოცდილებით შეიგრძნონ, შეამოწმონ და შეიცნონ ამ ლოზუნგების სისწორე. სხვანაირად რომ ვთქვათ, ბოლშევიკების ტაქტიკის ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ერთმანეთში არ ურევს ხელმძღვანელობას პარტიის მიმართ და ხელმძღვანელობას მასების მიმართ, რომ იგი სათლად ხედავს განსხვავებას პირველი სახის ხელმძღვანელობასა და მეორე სახის ხელმძღვანელობას შორის, და რომ იგი, ამგვარად, წარმოადგენს მეცნიერებას არა მარტო პარტიის მიმართ ხელმძღვანელობის, არამედ აგრეთვე მშრომელთა მრავალმილიონიანი მასების მიმართ ხელმძღვანელობის შესახებ.

ბოლშევიკური ტაქტიკის ამ თავისებურების გამოვლინების თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს დამფუძნებელი კრების მოწვევისა და გარეკვის გამოცდილება.

ცნობილია, რომ საბჭოების რესპუბლიკის ლოზუნგი ბოლშევიკებმა წამოაყენეს ჯერ კიდევ 1917 წლის აპრილში. ცნობილია, რომ დამფუძნებელი კრება წარმოადგენს ბურჟუაზიულ პარლამენტს, რომელიც ძირფესვიანად ეწინააღმდეგება საბჭოების რესპუბლიკის საფუძვლებს. როგორ მოხდა, რომ ბოლშევიკები, რომლებიც საბჭოების რესპუბლიკისაკენ მიემართებოდნენ, ამავე დროს დროებითი მთავრობისაგან მოითხოვდნენ დამფუძნებელი კრების დაუ-

ყოვნებლივ მოწვევას? როგორ მოხდა, რომ ბოლშევიკებმა არა მარტო მიიღეს მონაწილეობა არჩევნებში, არამედ თვით მოიწვიეს დამფუძნებელი კრება? როგორ მოხდა, რომ აჯანყებამდე ერთი თვით ადრე, ძველიდან ახალზე გადასვლის დროს, ბოლშევიკებს შესაძლებლად მიაჩნდათ საბჭოების რესპუბლიკისა და დამფუძნებელი კრების დროებითი კომბინაცია?

ეს «მოხდა» იმიტომ, რომ:

1) დამფუძნებელი კრების იდეა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული იდეა იყო მოსახლეობის ფართო მასებში;

2) დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივი მოწვევის ლოზუნგი აადვილებდა დროებითი მთავრობის კონტრრევოლუციური ბუნების მხილებას;

3) ხალხის მასების თვალში დამფუძნებელი კრების იდეის სახელის გასატეხად საჭირო იყო ამ მასების მიყვანა დამფუძნებელი კრების კედლებთან — მიწის, ზავის, საბჭოების ძალაუფლების მოთხოვნით, რაც, ამგვარად, შეატაკებდა მათ ნამდვილ და ცოცხალ დამფუძნებელ კრებასთან;

4) მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა გაგვეადვილებინა მასებისათვის საკუთარი გამოცდილებით დარწმუნებულიყვნენ დამფუძნებელი კრების კონტრრევოლუციურობაში და მისი გარეკვის აუცილებლობაში;

5) ყოველივე ეს, ბუნებრივად, გულისხმობდა საბჭოების რესპუბლიკისა და დამფუძნებელი კრების დროებითი კომბინაციის დაშვების შესაძლებლობას, როგორც დამფუძნებელი კრების დაძლევის ერთ-ერთ საშუალებას;

6) ასეთი კომბინაცია, თუ კი იგი განხორციელდებოდა საბჭოების ხელში მთელი ძალაუფლების გადასვლის **პირობით,** მოასწავებდა მხოლოდ დამფუძნებელი კრების დაქვემდებარებას საბჭოებისადმი, მის გადაქცევას საბჭოების დანამატად, მის უმტკივნეულო კვდომას.

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ბოლშევიკების ასეთი პოლიტიკის გარეშე დამფუძნებელი კრების გარეკვა ვერ ჩატარდებოდა ასე იოლად, ხოლო ესერებისა და მენშევიკების შემდგომი გამოსვლები ლოზუნგით: «მთელი ძალაუფლება დამფუძნებელ კრებას!» — ვერ დამარცხდებოდა ასე სასტიკად.

«ჩვენ, — ამბობს ლენინი, — ვმონაწილეობდით რუსეთის ბურჟუაზიული პარლამენტის, დამფუძნებელი კრების, არჩევნებში 1917 წლის სექტემბერ-ნოემბერში. სწორი იყო თუ არა ჩვენი ტაქტიკა?.. არ გვქონდა განა ჩვენ, რუსეთის ბოლშევიკებს, 1917 წლის სექტემბერ-ნოემბერში უფრო მეტი უფლება, ვიდრე დასავლეთის რომელიც გნებავთ კომუნისტებს, გვეფიქრნა, რომ რუსეთში პარლამენტარიზმი პოლიტიკურად დრომოჭმულია? რა თქმა უნდა, გვქონდა, ვინაიდან საქმე ის ხომ არ არის, დიდი ხანია თუ ცოტა ხანია, რაც ბურჟუაზიული პარლამენტები არსებობენ, არამედ ის, თუ რამდენად **მზად არიან** (იდეურად, პოლიტიკურად, პრაქტიკულად) მშრომელთა ფართო მასები — მიიღონ საბჭოთა წყობილება და გარეკონ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარლამენტი (ან დაუშვან მისი გარეკვა). 1917 წლის სექტემბერ-ნოემბერში რომ რუსეთში ქალაქების მუშათა კლასი, ჯარისკაცები და გლეხები, მთელ რიგ სპეციალურ პირობათა გამო, საუცხოოდ იყვნენ მომზადებული საბჭოთა წყობილების მისაღებად და ყველაზე უფრო დემოკრატიული ბურჟუაზიული პარლამენტის გასარეკად, ეს სრულიად უდავოა და სავსებით დადასტურებული ისტორიული ფაქტია. და მიუხედავად ამისა ბოლშევიკებს ბოიკოტი კი **არ** გამოუცხადებიათ დამფუძნებელი კრებისათვის, არამედ მათ მონაწილეობა მიიღეს არჩევნებში პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობამდეც და დაპყრობის **შემდეგაც»** (იხ. ტ. XXV, გვ. 201 — 202).

მაშ რატომ არ გამოუცხადეს ბოლშევიკებმა ბოიკოტი დამფუძნებელ კრებას? იმიტომ, — ამბობს ლენინი, — რომ:

«საბჭოთა რესპუბლიკის გამარჯვებამდე რამდენიმე კვირით ადრეც კი, ასეთი გამარჯვების **შემდეგაც** კი, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პარლამენტში მონაწილეობა არა თუ არ ვნებს რევოლუციურ პროლეტარიატს, არამედ კიდევაც უადვილებს მას შესაძლებლობას — **დაუმტკიცოს** ჩამორჩენილ მასებს, თუ რატომ არიან ასეთი პარლამენ-

ტები გარეკვის ღირსნი, **აადვილებს** მათი გარეკვის წარმატებას, **აადვილებს** ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის «პოლიტიკურად დაძლევას»» (იხ. იქვე).

დამახასიათებელია, რომ ტროცკის არ ესმის ბოლშევიკური ტაქტიკის ეს თავისებურება, და იგი დასცინის დამფუძნებელი კრებისა და საბჭოების შეხამების «თეორიას», როგორც ჰილფერდინგელობას.

მას არ ესმის, რომ აჯანყების ლოზუნგისა და საბჭოების შესაძლებელი გამარჯვების **დროს** ასეთი შეხამების დაშვება, დაკავშირებული დამფუძნებელი კრების მოწვევასთან, არის ერთადერთი რევოლუციური ტაქტიკა, და ამ ტაქტიკას არაფერი აქვს საერთო ჰილფერდინგის ტაქტიკასთან, რომელიც გულისხმობს საბჭოების გადაქცევას დამფუძნებელი კრების დანამატად, რომ **ამ** საკითხში ზოგიერთი ამხანაგის შეცდომა მას საბუთს არ აძლევს აძაგოს ლენინისა და პარტიის სრულიად სწორი პოზიცია «კომბინირებული სახელმწიფოებრიობის» შესახებ განსაზღვრული პირობების **დროს** (შეადარე ტ. XXI, გვ. 338).

მას არ ესმის, რომ თუ არ ბოლშევიკების თავისებური პოლიტიკა, რომელსაც ისინი დამფუძნებელ კრებასთან დაკავშირებით დაადგნენ, მათთვის შეუძლებელი იქნებოდა ხალხის მრავალმილიონიანი მასების მიმხრობა, ამ მასების მიუმხრობლად კი ისინი ოქტომბრის აჯანყებას ვერ გადააქცევდნენ ღრმა სახალხო რევოლუციად.

საინტერესოა, რომ ტროცკის სიცილს ჰგვრის ისეთი სიტყვებიც კი, როგორიც არის «ხალხი», «რევოლუციური დემოკრატია» და სხვ., რომლებიც გვხვდება ბოლშევიკების სტატიებში; მას ეს სიტყვები მარქსისტისათვის ურიგო სიტყვებად მიაჩნია.

ტროცკის, ალბათ, ავიწყდება, რომ ლენინი, ეს უეჭველი მარქსისტი, 1917 წლის სექტემბერშიც კი, ერთი თვით წინ

პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებამდე, წერდა, რომ «აუცილებელია მთელი ძალაუფლების დაუყოვნებლივ გადასვლა **რევოლუციური დემოკრატიის** ხელში, **რომელსაც რევოლუციური პროლეტარიატი მეთაურობს**» (ტ. XXI, გვ. 198).

ტროცკის, ალბათ, ავიწყდება, რომ ლენინი, ეს უეჭველი მარქსისტი, მოჰყავს რა ციტატა მარქსის ცნობილი წერილიდან კუგელმანისადმი [80] (1871 წლის აპრილი) იმის შესახებ, რომ ბიუროკრატიულ-სამხედრო სახელმწიფო აპარატის დამსხვრევა წარმოადგენს კონტინენტზე ყოველი ნამდვილი **ხალხური** რევოლუციის წინასწარ პირობას, შავით თეთრზე შემდეგ სტრიქონებს წერს:

«განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მარქსის ფრიად ღრმა შენიშვნა, რომ ბიუროკრატიულ-სამხედრო სახელმწიფო მანქანის დამსხვრევა «ყოველი ნამდვილი **ხალხური** რევოლუციის წინასწარ პირობას» წარმოადგენს. მარქსის მხრივ ამ «ხალხური» რევოლუციის ცნებაზე ლაპარაკი უცნაურად მოგეჩვენებათ, და რუსი პლეხანოველები და მენშევიკები, სტრუვეს ეს მიმდევრები, რომელთაც მარქსისტებად მოაქვთ თავი, მარქსის ასეთ გამოთქმას, ალბათ, «წამომცდარ» სიტყვად ჩაგველიან. მათ მარქსიზმი ისეთ უბადრუკ-ლიბერალურ დამახინჯებამდე მიიყვანეს, რომ ბურჟუაზიული და პროლეტარული რევოლუციის დაპირისპირების გარდა მათთვის არაფერი არ არსებობს, და ეს დაპირისპირებაც მათ ესმით, როგორც უაღრესად უსიცოცხლო რამ...

1871 წლის ევროპის კონტინენტზე პროლეტარიატი არც ერთ ქვეყანაში არ შეადგენდა ხალხის უმრავლესობას. «ხალხური» რევოლუცია, რომელიც მოძრაობაში აბამს ნამდვილ უმრავლესობას, შეიძლებოდა ასეთი ყოფილიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მოიცავდა პროლეტარიატსაც და გლეხობასაც. მაშინ ორივე ეს კლასი შეადგენდა სწორედ «ხალხს». ამ ორ კლასს აერთიანებს ის, რომ ორივეს ჩაგრავს, ახშობს და ექსპლოატაციას უწევს «ბიუროკრატიულ-სამხედრო სახელმწიფო მანქანა». ამ მანქანის **დამსხვრევა,** მისი **განადგურება** — ასეთია «ხალხის», მისი უმრავლესობის, მუშებისა და გლეხების უმრავლესობის, ნამდვილი ინტერესი, ასეთია პროლეტარებთან უღარიბესი გლეხების თავისუფალი კავშირის «წინასწარი პირობა», ხოლო ასეთი

კავშირის გარეშე დემოკრატია მტკიცე არ არის და სოციალისტური გარდაქმნაც შეუძლებელია» (იხ. ტ. XXI, გვ. 395 — 396).

ლენინის ამ სიტყვების დავიწყება არ შეიძლება.

ამრიგად, უნარი მასების დარწმუნებისა, მათი საკუთარი გამოცდილების საფუძველზე, პარტიული ლოზუნგების სისწორეში ამ მასების მიყვანით რევოლუციურ პოზიციებთან, როგორც პარტიის მხარეზე მილიონობით მშრომელთა გადმოყვანის უმნიშვნელოვანესი პირობა, — ასეთია ბოლშევიკების ტაქტიკის მეოთხე თავისებურება ოქტომბრის მომზადების პერიოდში.

ვფიქრობ, რომ ზემონათქვამი სავსებით საკმარისია ამ ტაქტიკის დამახასიათებელი ნიშნების ნათელსაყოფად.

IV

ოქტომბრის რევოლუცია, როგორც მსოფლიო რევოლუციის დასაწყისი და წანამძღვარი

უეჭველია, ევროპის უმთავრეს ქვეყნებში რევოლუციის ერთდროულად გამარჯვების უნივერსალური თეორია, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობის თეორია, — ხელოვნური, უსიცოცხლო თეორია გამოდგა. რუსეთის პროლეტარული რევოლუციის შვიდი წლის ისტორია ამ თეორიის სასარგებლოდ კი არა, მის წინააღმდეგ ლაპარაკობს. ეს თეორია მიუღებელია არა მარტო როგორც მსოფლიო რევოლუციის განვითარების სქემა, ვინაიდან ის-ეწინააღმდეგება აშკარა ფაქტებს. ის კიდევ უფრო მეტად მიუღებელია როგორც ლოზუნგი, ვინაიდან იგი გზას კი არ უხსნის, არამედ ბოჭავს იმ ცალკეული ქვეყნების ინიციატივას, რომელთაც, განსაზღვრული ისტორიული პირობების გამო, საშუალება ეძლევათ დამოუკიდებლად გაარღვიონ კაპიტალის ფრონტი; ვინაიდან ეს თეორია იძლევა სტიმულს კაპიტალზე არა აქტიური შეტევისათვის ცალკეული ქვეყ-

ნების მხრივ, არამედ «საყოველთაო კვანძის გახსნის» მომენტის პასიური ლოდინისათვის; ვინაიდან ცალკეული ქვეყნების პროლეტარებს შორის ეს თეორია ნერგავს არა რევოლუციური გაბედულობის, არამედ ჰამლეტური ეჭვების სულისკვეთებას: «ერთიც ვნახოთ, სხვებმა მხარი არ დაგვიჭირონო». ლენინი სავსებით მართალია, როცა ამბობს, რომ ერთ ქვეყანაში პროლეტარიატის გამარჯვება «ტიპიური შემთხვევაა», რომ «მთელ რიგ ქვეყნებში ერთდროული რევოლუცია» შეიძლება იყოს მხოლოდ «იშვიათი გამონაკლისი» (იხ. ტ. XXIII, გვ. 354).

მაგრამ რევოლუციის ლენინური თეორია, როგორც ცნობილია, არ განისაზღვრება საქმის მარტოოდენ ამ მხარით. ის ამასთანავე წარმოადგენს მსოფლიო რევოლუციის განვითარების თეორიას *. სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში არ არის თვითკმარი ამოცანა. გამარჯვებული ქვეყნის რევოლუცია თავის თავს უნდა უყურებდეს არა როგორც თვითკმარ სიდიდეს, არამედ როგორც საყრდენს, როგორც **იმის** საშუალებას, რომ დაჩქარდეს პროლეტარიატის გამარჯვება ყველა ქვეყანაში. ვინაიდან რევოლუციის გამარჯვება ერთ ქვეყანაში, ამ შემთხვევაში რუსეთში, არ არის მარტო იმპერიალიზმის უთანაბრო განვითარებისა და მისი პროგრესიული რღვევის ნაყოფი. ის იმავე დროს მსოფლიო რევოლუციის დასაწყისსა და წანამძღვარს წარმოადგენს.

უეჭველია, მსოფლიო რევოლუციის განვითარების გზები არც ისე მარტივია, როგორც ეს შესაძლოა წარმოგვედგინა წინათ, სანამ ერთ ქვეყანაში გაიმარჯვებდა რევოლუცია, სანამ გაჩნდებოდა განვითარებული იმპერიალიზმი, რომელიც «სოციალისტური რევოლუციის წინადღეს» წარ-

* იხ. ზემოთ — «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ». **ი. ხტ.**

მოადგენს. ვინაიდან გაჩნდა ისეთი ახალი ფაქტორი, როგორიც არის კაპიტალისტური ქვეყნების უთანაბრო განვითარების კანონი, რომელიც მოქმედებს განვითარებული იმპერიალიზმის პირობებში და რომელიც მოასწავებს სამხედრო შეტაკებათა გარდუვალობას, კაპიტალის მსოფლიო ფრონტის საერთო დასუსტებას და ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას. ვინაიდან გაჩნდა ისეთი ახალი ფაქტორი, როგორიც არის უზარმაზარი საბჭოთა ქვეყანა, რომელიც მდებარეობს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შუა, მსოფლიოს ფინანსური ექსპლოატაციის ცენტრსა და კოლონიური ჩაგვრის ასპარეზს შუა, და რომელიც მარტო თავისი არსებობით არევოლუციურებს მთელ მსოფლიოს.

ყველაფერი ეს ისეთი ფაქტორებია (აღარას ვამბობ სხვა, ნაკლები მნიშვნელობის ფაქტორებზე), რომლებიც შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ მსოფლიო რევოლუციის გზების შესწავლის დროს.

წინათ ჩვეულებრივ ფიქრობდნენ, რომ რევოლუცია განვითარდება სოციალიზმის ელემენტთა თანაბარი «მომწიფების» გზით, უწინარეს ყოვლისა უფრო განვითარებულ, «მოწინავე» ქვეყნებში. ახლა ეს წარმოდგენა არსებითს ცვლილებას საჭიროებს.

«ახლა საერთაშორისო ურთიერთობათა ისეთი სისტემა შეიქმნა, — ამბობს ლენინი, — რომ ევროპაში ერთი სახელმწიფოთაგანი დამონებულია გამარჯვებული სახელმწიფოების მიერ, — ეს არის გერმანია. შემდეგ, მთელი რიგი სახელმწიფოები, ამასთან დასავლეთის უძველესი სახელმწიფოები, გამარჯვების გამო, ისეთ პირობებში აღმოჩნდნენ, როდესაც მათ შეუძლიათ ეს გამარჯვება გამოიყენონ იმ მიზნით, რომ თავიანთი დაჩაგრული კლასებისათვის გაიმეტონ ზოგიერთი უმნიშვნელო დათმობანი, — დათმობანი, რომლებიც მაინც აფერხებენ მათში რევოლუციურ მოძრაობას და ქმნიან «სოციალური მშვიდობის» ერთგვარ მსგავსებას».

«ამავე დროს მთელი რიგი ქვეყნები: აღმოსავლეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სხვ., სწორედ უკანასკნელი იმპერიალისტური ომის გამო, საბოლოოდ ამოვარდნენ თავიანთი კალაპოტიდან. მათი განვითარება საბოლოოდ წარიმართა საერთო-ევროპული კაპიტალისტური მასშტაბით. იქ დაიწყო საერთო-ევროპული მღელვარება. და ახლა მთელი მსოფლიოსათვის ცხადია, რომ ისინი ჩაებნენ ისეთ განვითარებაში, რომელსაც არ შეუძლია არ გამოიწვიოს მთელი მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისი».

ამის გამო და ამასთან დაკავშირებით «დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური ქვეყნები დაამთავრებენ თავიანთ განვითარებას სოციალიზმისაკენ... არა ისე, როგორც ჩვენ წინათ ველოდით. ისინი ამთავრებენ ამ განვითარებას არა სოციალიზმის თანაბარი «მომწიფებით» მათში, არამედ ერთი სახელმწიფოების მიერ მეორეთა ექსპლოატაციის გზით, იმპერიალისტური ომის დროს პირველი დამარცხებული სახელმწიფოს ექსპლოატაციის გზით, რასაც თან ერთვის მთელი აღმოსავლეთის ექსპლოატაცია. აღმოსავლეთი კი, მეორე მხრით, საბოლოოდ დაადგა რევოლუციური მოძრაობის გზას სწორედ ამ პირველი იმპერიალისტური ომის გამო და საბოლოოდ ჩაება მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის საერთო ორომტრიალში» (იხ. ტ. XXVII, გვ. 415 — 416).

თუ ამას დავუმატებთ იმ ფაქტს, რომ არა მარტო დამარცხებული ქვეყნები და კოლონიები განიცდიან ექსპლოატაციას გამარჯვებული ქვეყნების მხრით, არამედ გამარჯვებული ქვეყნების ნაწილიც ჰყვება ყველაზე უფრო ძლიერი გამარჯვებული ქვეყნების, ამერიკისა და ინგლისის, ფინანსური ექსპლოატაციის ორბიტაში; რომ ყველა ამ ქვეყანას შორის არსებული წინააღმდეგობანი წარმოადგენენ მსოფლიო იმპერიალიზმის გახრწნის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს; რომ ამ წინააღმდეგობათა გარდა კიდევ არსებობენ და ვითარდებიან უღრმესი წინააღმდეგობანი თვითეული ამ ქვეყნის შიგნით; რომ ყველა ამ წინააღმდეგობას აღრმავებს და ამწვავებს ამ ქვეყნების გვერდით საბჭოების დიდი რესპუბლიკის არსებობის ფაქტი, — თუ ყოველივე ამას მხედველობაში მივიღებთ, მაშინ საერთაშო-

რისთვის მდგომარეობის თავისებურების სურათი ცოტად თუ ბევრად სრული იქნება.

ყველაზე უფრო მოსალოდნელია, რომ მსოფლიო რევოლუცია განვითარდება იმპერიალისტური სახელმწიფოების სისტემისაგან მთელი რიგი ახალი ქვეყნების რევოლუციურად ჩამოშორების გზით, რაშიც ამ ქვეყნების პროლეტარებს მხარს დაუჭერს იმპერიალისტური სახელმწიფოების პროლეტარიატი. ჩვენ ვხედავთ, რომ პირველ ჩამოშორებულ ქვეყანას, პირველ გამარჯვებულ ქვეყანას უკვე მხარს უჭერენ სხვა ქვეყნების მუშები და მშრომელი მასები. ამ მხარდაჭერის გარეშე ის ვერ გასძლებდა. უეჭველია, ეს დახმარება გაძლიერდება და გაიზრდება. მაგრამ ისიც უეჭველია, რომ თვით მსოფლიო რევოლუციის განვითარება, იმპერიალიზმისაგან მთელი რიგი ახალი ქვეყნების ჩამოშორების თვით პროცესი მით უფრო სწრაფი და უფრო საფუძვლიანი იქნება, რაც უფრო საფუძვლიანად განმტკიცდება სოციალიზმი პირველ გამარჯვებულ ქვეყანაში, რაც უფრო სწრაფად გადაიქცევა ეს ქვეყანა მსოფლიო რევოლუციის შემდგომი გაშლის ბაზად, იმპერიალიზმის შემდგომი გახრწნის ბერკეტად.

თუ სწორია ის დებულება, რომ პირველ განთავისუფლებულ ქვეყანაში სოციალიზმის **საბოლოო** გამარჯვება შეუძლებელია რამდენიმე ქვეყნის პროლეტარების საერთო ძალღონის გარეშე, მაშინ ასევე სწორია ის დებულებაც, რომ მსოფლიო რევოლუცია მით უფრო ჩქარა და საფუძვლიანად გაიშლება, რაც უფრო ნამდვილი იქნება პირველი სოციალისტური ქვეყნის დახმარება ყველა დანარჩენი ქვეყნის მუშებისა და მშრომელი მასებისადმი.

რაში უნდა გამოიხატებოდეს ეს დახმარება?

ის უნდა გამოიხატებოდეს, ჯერ-ერთი, იმაში, რომ გამარჯვებულმა ქვეყანამ «გაატაროს იმის მაქსიმუმი, რის

განხორციელებაც ერთ ქვეყანაშია შესაძლებელი, **ყველა ქვეყანაში** რევოლუციის განვითარების, მხარდაჭერის, გაღვივების **მ ი ზ ნ ი თ»** (იხ. **ლენინი**, ტ. XXIII, გვ. 385).

მეორეც, ის უნდა გამოიხატებოდეს იმაში, რომ ერთი ქვეყნის «გამარჯვებული პროლეტარიატი», «კაპიტალისტების ექსპროპრიაციისა და თავის ქვეყანაში სოციალისტური წარმოების მოწყობის შემდეგ.., **დაუპირისპირდეს** დანარჩენ, კაპიტალისტურ სამყაროს, მიიმხროს სხვა ქვეყნების დაჩაგრული კლასები, ააჯანყოს ისინი კაპიტალისტების წინააღმდეგ და, აუცილებლობის შემთხვევაში, სამხედრო ძალითაც კი გამოვიდეს ექსპლოატატორული კლასებისა და მათი სახელმწიფოების წინააღმდეგ» (იხ. **ლენინი**, ტ. XVIII, გვ. 232 — 233).

გამარჯვებული ქვეყნის მხრით ამ დახმარების დამახასიათებელ თავისებურებას შეადგენს არა მარტო ის, რომ იგი აჩქარებს სხვა ქვეყნების პროლეტარების გამარჯვებას, არამედ ისიც, რომ ამ გამარჯვების გაადვილებით იგი უზრუნველყოფს სოციალიზმის **საბოლოო** გამარჯვებას პირველ გამარჯვებულ ქვეყანაში.

ყველაზე უფრო მოსალოდნელია, რომ მსოფლიო რევოლუციის განვითარების პროცესში, იმპერიალიზმის კერებთან ერთად ცალკეულ კაპიტალისტურ ქვეყნებში და ამ ქვეყნების სისტემასთან ერთად მთელ მსოფლიოში, შეიქმნება სოციალიზმის კერები ცალკეულ საბჭოთა ქვეყნებში და ამ კერების სისტემა მთელ მსოფლიოში, ამასთანავე ბრძოლა ამ ორ სისტემას შორის აავსებს მსოფლიო რევოლუციის გაშლის ისტორიას.

ვინაიდან, — ამბობს ლენინი, — «შეუძლებელია სოციალიზმში ერების თავისუფალი გაერთიანება ჩამორჩენილი სახელმწიფოების წინააღმდეგ სოციალისტური რესპუბლიკების ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი, შეუპოვარი ბრძოლის გარეშე» (იხ. იქვე).

ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო მნიშვნელობა მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ ის წარმოადგენს ერთი ქვეყნის დიად თაოსნობას იმპერიალიზმის სისტემის გარღვევის საქმეში და სოციალიზმის პირველ კერას იმპერიალისტური ქვეყნების ოკეანეში, არამედ იმაშიც, რომ ის შეადგენს მსოფლიო რევოლუციის პირველ ეტაპს და მისი შემდგომი გაშლის მძლავრ ბაზას.

ამიტომ მართალი არ არიან არა მარტო ისინი, რომელნიც, ივიწყებენ რა ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო ხასიათს, ერთ ქვეყანაში რევოლუციის გამარჯვებას თვლიან წმინდა ნაციონალურ და მხოლოდ ნაციონალურ მოვლენად. მართალი არ არიან აგრეთვე ისინიც, რომელთაც, ახსოვთ რა ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო ხასიათი, მიაჩნიათ ეს რევოლუცია რაღაც პასიურ მოვლენად, რომელიც მოწოდებულია მხოლოდ დახმარება მიიღოს გარედან. ნამდვილად კი არა მარტო ოქტომბრის რევოლუცია საჭიროებს დახმარებას სხვა ქვეყნების რევოლუციის მხრით, არამედ ამ ქვეყნების რევოლუციაც საჭიროებს დახმარებას ოქტომბრის რევოლუციის მხრით იმისათვის, რომ დაჩქარდეს და წინ წავიდეს მსოფლიო იმპერიალიზმის დამხობის საქმე.

1924 წ. 17 დეკემბერი.

ი. სტალინი. ოქტომბრის გზებზე.
სახელმწიფო გამომცემლობა, 1925.

შენიშვნები

1 რკპ(ბ) XIII კონფერენცია მიმდინარეობდა მოსკოვში 1924 წლის 16 — 18 იანვარს. კონფერენციას ესწრებოდა 128 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 222 — სათათბირო ხმით. კონფერენციამ განიხილა პარტიული მშენებლობის, საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები და ეკონომიური პოლიტიკის მორიგი ამოცანები. ი. ბ. სტალინის მოხსენების გამო «პარტიული მშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ» კონფერენციამ მიიღო ორი რეზოლუცია: «პარტიული მშენებლობის შესახებ» და «დისკუსიის შედეგებისა და პარტიაში წვრილბურჟუაზიული გადახრის შესახებ».

კონფერენციამ დაგმო ტროცკისტული ოპოზიცია, ამასთან განაცხადა, რომ ამ ოპოზიციის სახით პარტიას საქმე აქვს მარქსიზმისაგან წვრილბურჟუაზიულ გადახრასთან, და წინადადება მისცა ცენტრალურ კომიტეტს — გამოექვეყნებინა მე-7 პუნქტი რკპ(ბ) X ყრილობის მიერ ვ. ი. ლენინის წინადადებით მიღებული რეზოლუციისა «პარტიის ერთიანობის შესახებ». კონფერენციის ეს გადაწყვეტილებანი მოწონებულ იქნა პარტიის XIII ყრილობისა და კომინტერნის V კონგრესის მიერ. (კონფერენციის რეზოლუციები იხ. წიგნში «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1941, გვ. 535 — 556). — 5.

2 იგულისხმება რეზოლუცია პარტმშენებლობის შესახებ, მიღებული რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომაზე 1923 წლის 5 დეკემბერს და გამოქვეყნებული «პრავდის» № 278-ში

1923 წლის 7 დეკემბერს. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 1924 წლის 14 — 15 იანვარს შესდგა, შეაჯამა პარტიული დისკუსიის შედეგები და მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის რეზოლუცია პარტმშენებლობის შესახებ — XIII პარტკონფერენციისათვის წარსადგენად (იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1941, გვ. 533 — 540). — **7.**

3 46 ოპოზიციონერის დოკუმენტის შესახებ იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», 1947, გვ. 345. — **34.**

4 1923 წლის 8 მაისს ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა კერზონმა საბჭოთა მთავრობას მიმართა ულტიმატუმით, რომელიც შეიცავდა ცილისმწამებლურ ბრალდებებს საბჭოთა მთავრობისადმი. ულტიმატუმში საბჭოთა მთავრობას წინადადება ეძლეოდა — გამოეწვია სპარსეთიდან და ავღანეთიდან თავისი სრულუფლებიანი წარმომადგენელნი, გაეთავისუფლებინა დაკავებული ინგლისელთა თევზსაჭერი გემები, რომლებიც ნებადაურთავად იჭერდნენ თევზს სსრ კავშირის ჩრდილოეთის ტერიტორიულ წყლებში, და სხვ. იმ შემთხვევაში, თუ ულტიმატუმი მიღებული არ იქნებოდა 10 დღის განმავლობაში, კერზონი სავაჭრო ურთიერთობის გაწყვეტას იმუქრებოდა. კერზონის ულტიმატუმმა ახალი ინტერვენციის მუქარა შექმნა. საბჭოთა მთავრობამ უარყო ინგლისის მთავრობის უკანონო პრეტენზიები, მაგრამ ამასთანავე გამოთქვა სრული მზადყოფნა — მშვიდობიანი გზით ყოფილიყო მოგვარებული ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა, და მიიღო ზომები საბჭოთა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად. — **43.**

5 იგულისხმება გერმანელთა ჯარების შემოტევა, გენერალ ჰოფმანის სარდლობით, საბჭოთა ტერიტორიაზე 1918 წლის თებერვალში (ჰოფმანის შემოტევის შესახებ იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 4, გვ. 42 — 52). — **43.**

6 იგულისხმება კრონშტადტის კონტრრევოლუციური ამბოხება 1921 წლისა და კულაკთა აჯანყება ტამბოვის გუბერნიაში 1919 — 1921 წლებში. — **44.**

7 «დნი» — ესერ-თეთრემიგრანტთა ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა ბერლინში 1922 წლის ოქტომბრიდან. — **53.**

8 «ზარია» — მემარჯვენე მენშევიკ-თეთრემიგრანტთა ჟურნალი; გამოდიოდა ბერლინში 1922 წლის აპრილიდან 1924 წლის იანვრამდე. — **54.**

9 საბჭოების სრულიად საკავშირო II ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1924 წლის 26 იანვრიდან 2 თებერვლამდე. ყრილობის პირველ სხდომაზე, რომელიც მიძღვნილი იყო ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი, ი. ბ. სტალინი გამოვიდა სიტყვით, რომელშიც ბოლშევიკური პარტიის სახელით დასდო დიადი ფიცი, რომ პარტია დაიცავდა და შეასრულებდა ლენინის ანდერძს. ლენინის სიკვდილთან დაკავშირებით ყრილობამ მიიღო მიმართვა «მშრომელი კაცობრიობისადმი». ლენინის ხსოვნის უკვდავსაყოფად ყრილობამ გამოიტანა შემდეგი დადგენილებანი: ლენინის თხზულებათა გამოცემის, ქ. პეტროგრადისათვის ლენინგრადის დარქმევის, გლოვის დღის დაწესების, ლენინისათვის მოსკოვში წითელ მოედანზე მავზოლეუმის აგების, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, აგრეთვე ლენინგრადსა და ტაშკენტში ძეგლების აგების შესახებ. ყრილობამ განიხილა მოხსენება საბჭოთა მთავრობის მუშაობის შესახებ და სსრ კავშირის ბიუჯეტისა და ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ბანკის დაარსების საკითხები. 31 იანვარს ყრილობამ დაამტკიცა სსრ კავშირის პირველი კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), შემუშავებული ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით. ყრილობამ აირჩია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი — საკავშირო საბჭო და ეროვნებათა საბჭო. ი. ბ. სტალინი არჩეულ იქნა საკავშირო საბჭოს შემადგენლობაში. — **55.**

10 იგულისხმება 1923 წლის ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი გერმანიაში. გერმანიაში გაჩაღდა მასობრივი რევოლუციური მოძრაობა, რომლის შედეგად საქსონიასა და ტიურინგიაში შეიქმნა მუშათა მთავრობები, ჰამბურგში შეიარაღებული აჯანყება მოხდა. გერმანიაში რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის შემდეგ მთელ ევროპაში გაძლიერდა ბურჟუაზიული რეაქცია, აგრეთვე საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ ახალი ინტერვენციის საფრთხე. — **59.**

11 «**ისკრა**» — პირველი საერთო-რუსული არალეგალური მარქსისტული გაზეთი; დაარსებულ იქნა ვ. ი. ლენინის მიერ 1900 წლის დეკემბერში საზღვარგარეთ, საიდანაც ფარულად იგზავნებოდა რუსეთში («ისკრის» მნიშვნელობისა და როლის შესახებ იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», 1947, გვ. 39 — 51). — **63.**

12 პარტიის სტოკჰოლმის ყრილობა — რსდმპ IV («გამაერთიანებელი») ყრილობა, მიმდინარეობდა 1906 წლის 10 — 25 აპრილს (23 აპრილს — 8 მაისს) (სტოკჰოლმის ყრილობის შესახებ იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», 1947, გვ. 110 — 113). — **66.**

13 რსდმპ V (ლონდონის) ყრილობა მიმდინარეობდა 1907 წლის 30 აპრილს — 19 მაისს (13 მაისს — 1 ივნისს) (რსდმპ V ყრილობის შესახებ იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 2, გვ. 47 — 82 და «საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», 1947, გვ. 116 — 118). — **67.**

14 1924 წლის 3 აპრილს რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან შესდგა თათბირი ახალგაზრდობაში მუშაობის საკითხებზე; თათბირში მონაწილეობას იღებდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, რუსეთის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები და რუსეთის კომკავშირის 10 უდიდესი საგუბერნიო ორგანიზაციის წარმომადგენლები. თათბირმა შეაჯამა შედეგები იმ დისკუსიისა კომკავშირის ამოცანების შესახებ, რომელიც 1924 წლის დამდეგს გაიშალა. რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა თათბირის შედეგები და წინადადება მისცა ადგილობრივ პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს მიეღწიათ რუსეთის კომკავშირის ერთიანობისა და შეთანხმებული მუშაობისათვის, მოეწოდებინათ კომკავშირის ხელმძღვანელი შემადგენლობისათვის — ერთსულოვნად ემუშავნა პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად. — **76.**

15 ი. ბ. სტალინის ლექციები «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ» გამოქვეყნდა «პრავდაში» 1924 წლის აპრილსა და მაისში. 1924 წლის მაისში გამოვიდა ი. ბ. სტალინის ბროშურა «ლენინისა და

ლენინიზმის შესახებ», სადაც შეტანილი იყო მოგონებანი «ლენინის შესახებ» და ლექციები «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ». ი. ბ. სტალინის ნაშრომი «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ» შესულია ი. ბ. სტალინის წიგნის «ლენინიზმის საკითხების» ყველა გამოცემაში. — **81.**

16 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი». 1948, გვ. 97. — **91.**

17 იგულისხმება კ. მარქსის მიერ გამოთქმული აზრი მის წერილში ფ. ენგელსისადმი 1856 წლის 16 აპრილის თარიღით (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები. 1947, გვ. 86 რუს. გამოც.). — **97.**

18 იგულისხმება ფ. ენგელსის სტატია «ბაკუნისტები მუშაობენ» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1933, გვ. 105 — 124 რუს. გამოც.). — **98.**

19 ვ. ი. ლენინი. ««მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXV, გვ. 174). — **99.**

20 ვ. ი. ლენინი. «რანი არიან «ხალხის მეგობრები» და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 1, გვ. 351 — 352). — **100.**

21 II ინტერნაციონალის ბაზელის კონგრესი მიმდინარეობდა 1912 წლის 24 — 25 ნოემბერს. ის მოწვეული იყო ბალკანეთის ომთან და მსოფლიო ომის მუქარასთან დაკავშირებით. კონგრესმა განიხილა ერთი საკითხი — საერთაშორისო მდგომარეობისა და ომის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ. მიღებულ მანიფესტში კონგრესი მოუწოდებდა მუშებს — გამოეყენებინათ პროლეტარიატის ორგანიზაცია და ძლიერება სამხედრო საფრთხესთან რევოლუციური ბრძოლის საწარმოებლად, განეხორციელებინათ ლოზუნგი «ომი ომს». — **100.**

22 იხ. კარლ მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1930, გვ. LXIV. — **102.**

23 იხ. ფ. ენგელსი. «ლუდვიგ ფეიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული». 1940, გვ. 22. — **105.**

24 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XIII. — **105.**

25 კ. მარქსი. «თეზისები ფეიერბახის შესახებ» (იხ. ფ. ენგელსი. «ლუდვიგ ფეიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული». 1940, დანართი). — **107.**

26 ვ. ი. ლენინი. «იმპერიალიზმი, როგორ კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია». (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XIX, გვ. 67 — 175). — **109.**

27 ი. ბ. სტალინი მიუთითებს ვ. ი. ლენინის 1905 წელს დაწერილ სტატიებზე: «სოციალ-დემოკრატია და დროებითი რევოლუციური მთავრობა», საიდანაც მოჰყავს ციტატა, «პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა» და «დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ» (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 8, გვ. 247 — 263, 264 — 274, 427 — 447). — **117.**

28 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «ცენტრალური კომიტეტის პირველი მიმართვა კომუნისტთა კავშირისადმი» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VIII, 1931, გვ. 483 რუს. გამოც.). — **121.**

29 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი». 1948, გვ. 6 ქართ. გამოც. და «რჩეული წერილები». 1947, გვ. 263 რუს. გამოც. — **134.**

30 იხ. ფ. ენგელსი. «გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში». 1922, გვ. 41 და 66 — 67 რუს. გამოც. — **154.**

31 «სელსკოსოიუზ» — სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სრულიად რუსეთის კავშირი; არსებობდა 1921 წლის აგვისტოდან 1929 წლის ივნისამდე. — **157.**

32 იხ. ვ. ი. ლენინის ნაშრომი «ოქროს მნიშვნელობაზე ახლა და სოციალიზმის სრული გამარჯვების შემდეგ» (თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVII, გვ. 79 — 85). — **192.**

33 რეზოლუცია «პარტიის ერთიანობის შესახებ» დაწერილია ვ. ი. ლენინის მიერ და მიღებულ იქნა რკპ(ბ) X ყრილობის მიერ, რომელიც მიმდინარეობდა 1921 წლის 8 — 16 მარტს (იხ.

ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVI, გვ. 259 — 261, აგრეთვე «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1941, გვ. 364 — 366). — **210.**

84 რკპ(ბ) XIII ყრილობა — ბოლშევიკური პარტიის პირველი ყრილობა ვ. ი. ლენინის სიკვდილის შემდეგ, შესდგა 1924 წლის 23 — 31 მაისს. ყრილობის მუშაობას ხელმძღვანელობდა ი. ბ. სტალინი. ყრილობას ესწრებოდა 748 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, რომლებიც წარმოადგენდნენ პარტიის 735 881 წევრს, მათ შორის ლენინური გაწვევისას — 241 591-ს და კანდიდატებს ლენინურ გაწვევამდე — 127 741-ს. სათათბირო ხმის მქონე დელეგატი იყო 416. ყრილობამ განიხილა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და საორგანიზაციო ანგარიშები, ცენტრალური სარევიზიო კომისიისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ანგარიშები, ანგარიში რკპ(ბ) წარმომადგენლობისა კომინტერნის აღმასკომში, პარტიულ-ორგანიზაციული საკითხები, საშინაო ვაჭრობისა და კოოპერაციის, სოფლად მუშაობის, ახალგაზრდობაში მუშაობისა და სხვა საკითხები.

ყრილობამ ერთხმად დაგმო ტროცკისტული ოპოზიციის პლატფორმა, განსაზღვრა იგი როგორც წვრილბურჟუაზიული გადახრა მარქსიზმისაგან, როგორც ლენინიზმის რევიზია, და დაადასტურა XIII პარტიული კონფერენციის რეზოლუციები «პარტიული მშენებლობის შესახებ» და «დისკუსიის შედეგებისა და პარტიაში წვრილბურჟუაზიული გადახრის შესახებ».

ყრილობამ მიუთითა ლენინური გაწვევის უდიდეს მნიშვნელობაზე და მიაქცია პარტიის ყურადღება იმაზე, რომ საჭიროა გაძლიერდეს მუშაობა პარტიის ახალგაზრდა წევრებისათვის ლენინიზმის სწავლების საქმეში. ყრილობამ დაავალა ვ. ი. ლენინის ინსტიტუტს მოემზადებინა სავსებით მეცნიერული და უაღრესად გულდასმით შეჯერებული გამოცემა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულისა და რჩეული ნაწერებისა მუშათა ფართო მასებისათვის სსრ კავშირის ყველა ეროვნებათა ენებზე. — **217.**

85 საზოგადოებრივი ურთიერთდახმარების გლეხთა კომიტეტები (გლეხკომები) იქმნებოდნენ სასოფლო საბჭოებთან და სათემო აღმასრულებელ კომიტეტებთან თანახმად სახკომსაბჭოს 1921 წ.

14 მაისის დეკრეტისა, რომელიც ხელმოწერილი იყო ვ. ი. ლენინის მიერ; იარსებეს 1933 წლამდე. გლეხკომები შეიქმნა იმ მიზნით, რომ გაუმჯობესებულიყო გლეხებისა და წითელარმიელთა ოჯახებისათვის საზოგადოებრივი დახმარების საქმის დაყენება, აგრეთვე გლეხთა ფართო მასების თვითმოქმედებისა და ინიციატივის განვითარების მიზნით. ურთიერთდახმარების გლეხთა საზოგადოებების დებულება, დამტკიცებული სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და რსფსრ სახკომსაბჭოს მიერ 1924 წლის სექტემბერში, გლეხკომებს აკისრებდა აგრეთვე ამოცანას — ხელი შეეწყოთ სოფლის მოსახლეობაში სხვადასხვა სახის კოოპერაციის განვითარებისა და განმტკიცებისათვის და ჩაებათ კოოპერაციაში ღარიბ და საშუალო გლეხთა მასები. — **226**.

36 1924 წლის 23 მაისს წითელ მოედანზე მოსკოვში შესდგა ნორჩ პიონერთა პარადი რკპ(ბ) XIII ყრილობის პატივსაცემად და ნორჩ პიონერთა ორგანიზაციისათვის ახალი სახელწოდების — «ვ. ი. ლენინის სახელობის ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის» სახელწოდების მიკუთვნების აღსანიშნავად. პარადი, რომელშიც მონაწილეობდა დაახლოებით 10 ათასი პიონერი, მიიღო რკპ(ბ) XIII ყრილობის პრეზიდიუმმა. — **226**.

37 სააქციო (სახელმწიფო, შერეულ და კოოპერაციულ) საზოგადოებებს საბჭოთა კავშირში ქმნიდნენ საგარეო ვაჭრობის, საშინაო ვაჭრობისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატები; მათ ამტკიცებდა შრომისა და თავდაცვის საბჭო. ამ საზოგადოებათა დაარსების მიზანი იყო სახსრების, მათ შორის აგრეთვე კერძო მეწარმეთა სახსრების მოზიდვა სახალხო მეურნეობის სწრაფი აღდგენისა და საქონელცვლის განვითარებისათვის.

შერეული საზოგადოებანი, როგორც სააქციო საზოგადოებათა ერთ-ერთი სახე, იზიდავდნენ უცხოეთის კაპიტალს ქვეყნის შიგნით საექსპორტო საქონლის დასამზადებლად, საზღვარგარეთ მის გასასაღებლად და სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის საჭირო საგნების შემოსაზიდად. შერეული საზოგადოებანი საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კონტროლით მოქმედებდნენ. სააქციო საზოგადოებანი არსებობდნენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ პერიოდში. — **248**.

38 **«კრესტიანსკაია გაზეტა»** — საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანო, მასობრივი სასოფლო გაზეთი; გამოდიოდა 1923 წლის ნოემბრიდან 1939 წლის თებერვლამდე. — **249.**

39 სოფლის ღარიბთა კომიტეტები, რომლებიც აერთიანებდნენ უკრაინის მცირემიწიან და უმიწო გლეხებს, იქმნებოდნენ ღარიბ და საშუალო გლეხთა ინტერესების დასაცავად. არსებობდნენ 1920 წლიდან და გაუქმებულ იქნენ 1933 წელს მთლიანი კოლექტივიზაციის გატარების შემდეგ. თავისი არსებობის პირველ პერიოდში (1920 — 1921 წწ.) ღარიბთა კომიტეტები წარმოადგენდნენ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ სოფლად საბჭოების ძალაუფლების განმტკიცებას. ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებისთანავე ღარიბთა კომიტეტები რეორგანიზებულ იქნენ საწარმოო ტიპის საზოგადოებრივ ორგანიზაციებად, რომელთა ძირითად ამოცანას შეადგენდა გლეხების ჩაბმა სხვადასხვაგვარ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებში. ღარიბთა კომიტეტები იყვნენ პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკის აქტიური გამტარებელნი სოფლად. — **250.**

40 ტერიტორიული საჯარისო ნაწილები შეიქმნა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს 1923 წლის 8 აგვისტოს დეკრეტით წითელი არმიის არსებული საკადრო ნაწილების გვერდით. ტერიტორიული ნაწილები მოწყობილი იყო მილიციური პრინციპის მიხედვით იმ მიზნით, რომ ჩატარებულიყო მშრომელთა სამხედრო მომზადება მოკლევადიან სასწავლო შეკრებათა გავლის გზით. — **250.**

41 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. გამოც. მე-3, ტ. XXVII, გვ. 219 — 272. — **250.**

42 იგულისხმება ვ. ი. ლენინის ნაშრომი «სასურსათო გადასახადის შესახებ» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVI, გვ. 317 — 352). — **251.**

43 იგულისხმება რეზოლუცია «დისკუსიის შედეგებისა და პარტიაში წვრილბურჟუაზიული გადახრის შესახებ», მიღებული რკპ(ბ) XIII კონფერენციაზე 1924 წლის 18 იანვარს ი. ბ. სტალინის

მოხსენების გამო — «პარტიული მშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ» (იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1941, გვ. 540 — 545). — **253.**

44 კაპიტალისტური ქვეყნების მიერ სსრ კავშირის ცნობის პოლიტიკა გამოიხატა იმით, რომ სსრ კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს: 1924 წლის თებერვალში — ინგლისმა, იტალიამ, ნორვეგიამ და ავსტრიამ; მარტში — საბერძნეთმა და შვეციამ; ივნისში — დანიამ; ოქტომბერში — საფრანგეთმა; 1925 წლის იანვარში — იაპონიამ და მთელმა რიგმა სხვა სახელმწიფოებმა. — **272.**

45 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVII, გვ. 219 — 272. — **277.**

46 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1941, გვ. 566 — 568. — **280.**

47 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1941, გვ. 589 — 598. — **280.**

48 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1941, გვ. 582 — 588. — **280.**

49 ფულის რეფორმა — საბჭოთა გაუფასურებული ქაღალდის ნიშნების შეცვლა ჩერვონცებით, რაც მტკიცედ იყო უზრუნველყოფილი ოქროთი; მთლიანად გატარებულ იქნა საბჭოთა მთავრობის მიერ 1924 წლის განმავლობაში. — **283.**

50 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1941, გვ. 578 — 582. — **284.**

51 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1941, გვ. 307 — 311. — **286.**

52 იგულისხმება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც შესდგა 1924 წლის 2 ივნისს პარტიის XIII ყრილობის შემდეგ. ი. ბ. სტალინი არჩეულ იქნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, საორგანიზაციო ბიუროს და სამდივნოს წევრად და კვლავ არჩეულ იქნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად. პლენუმმა განიხილა კომინტერნის აღმასკომში და კომინტერნის V კონგრესზე რკპ(ბ) წარმომადგენლობის საკითხები, ხელფასის, ლითონის მრეწველობის, გვალვისა და სხვა საკითხები. სოფლად მუშაობის საკითხების დაწვრილებით დასამუშავებლად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება — შექმნილიყო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუდმივი კომისია სოფლად მუშაობის საკითხებზე. პლენუმის დავალებით ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ შექმნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: ვ. მ. მოლოტოვი (თავმჯდომარე), ი. ბ. სტალინი, მ. ი. კალინინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ნ. კ. კრუპსკაია და სხვ. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებით 1924 წლის სექტემბერში კომისია რეორგანიზებულ იქნა თათბირად სოფლად მუშაობის საკითხებზე რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან. — **286.**

53 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1941, გვ. 610 — 617. — **289.**

54 «რაბოჩი კორესპონდენტ» — ყოველთვიური ჟურნალი, გამოდიოდა 1924 წლის იანვრიდან 1941 წლის ივნისამდე. 1925 წლის იანვრიდან გამოდიოდა სახელწოდებით «რაბოჩე-კრესტიანსკი კორესპონდენტ». — **299.**

55 პოლონეთის კომისია გამოყოფილ იქნა კომინტერნის V კონგრესზე, რომელიც მიმდინარეობდა მოსკოვში 1924 წლის 17 ივნისიდან 8 ივლისამდე. ი. ბ. სტალინი იყო კონგრესის უმნიშვნელოვანესი კომისიების წევრი და პოლონეთის კომისიის თავმჯდომარე. კომისიის მიერ პოლონეთის საკითხზე წარმოდგენილი რეზოლუცია

ერთხმად იქნა მიღებული კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმის პირველ სხდომაზე 1924 წლის 12 ივლისს. — **302.**

56 ბრანდლერის ჯგუფი — მემარჯვენე-ოპორტუნისტული ჯგუფი გერმანიის კომპარტიაში. დაადგნენ რა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ზედაფენასთან უპრინციპო თანამშრომლობის გზას, ბრანდლერელებმა ხელი შეუწყეს გერმანიის მუშათა კლასის დამარცხებას 1923 წლის რევოლუციური ამბების დროს. კომინტერნის V კონგრესმა (1924 წ.) დაგმო ბრანდლერის ჯგუფის კაპიტულანტური ხაზი. კომინტერნის აღმასკომის V გაფართოებული პლენუმის 1925 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით ბრანდლერის ჯგუფს აეკრძალა გერმანიის კომპარტიის საქმეებში ჩარევა და კომინტერნის მუშაობაში მონაწილეობა. 1929 წელს ბრანდლერი გარიცხულ იქნა კომუნისტური პარტიის რიგებიდან ფრაქციული მოქმედებისათვის. — **305.**

57 იგულისხმება დ. ბედნის ლექსი «წევის სამსახური» (იხ. დ. ბედნი. თხზულებათა სრული კრებული. 1928, ტ. IX, გვ. 86 — 93). — **315.**

58 «მემარცხენე ბლოკი» საფრანგეთში — რადიკალებისა და რადიკალ-სოციალისტების ბლოკი ედუარდ ერიოს მეთაურობით; სათავეში ჩაუდგა ხელისუფლებას 1924 წლის მაისში. «მემარცხენე ბლოკის» მთავრობა «მემარცხენე» ფრაზეოლოგიას ეფარებოდა, სინამდვილეში კი აქტიურად ეხმარებოდა საფრანგეთის იმპერიალიზმს მის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში. ერიოს მთავრობამ ძალაუფლება შეინარჩუნა 1925 წლის აპრილამდე. — **321.**

59 ანტანტის ლონდონის კონფერენცია მიმდინარეობდა 1924 წლის 16 ივლისიდან 16 აგვისტომდე ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების მონაწილეობით. კონფერენცია მოწვეული იყო გერმანიისაგან რეპარაციების მიღების საკითხის განსახილველად და გადასაწყვეტად. — **327.**

60 საქსონიის მუშათა მთავრობა შეიქმნა 1923 წლის 11 ოქტომბერს მთელ გერმანიაში გაჩაღებული მასობრივი რევოლუციური მოძრაობის შედეგად. ამ მთავრობაში შევიდა 5 სოციალ-დემოკრატი და 2 კომუნისტი. მას სათავეში ედგა «მემარცხენე» სოციალ-დემოკრატი ცეიგნერი. საქსონიის მთავრობის შემადგენლობაში შესული კომუნისტები ატარებდნენ გერმანიის კომპარტიის ბრანდ-

ლერული ხელმძღვანელობის კაპიტულანტურ პოლიტიკას; «მემარცხენე» სოციალ-დემოკრატებთან ერთად მათ ჩაშალეს პროლეტარიატის შეიარაღებისა და გერმანიაში რევოლუციის განვითარების საქმე. 1923 წლის 30 ოქტომბერს საიმპერიო ჯარებმა საქსონიის მუშათა მთავრობა გარეკეს. — **334.**

61 სუვარინის ჯგუფი — ოპორტუნისტული ჯგუფი საფრანგეთის კომპარტიაში; ჯგუფს მეთაურობდა სუვარინი, ტროცკის თავგამოდებული მომხრე. სუვარინის ჯგუფი მხარს უჭერდა ტროცკისტულ ოპოზიციას რუსეთის კომპარტიაში (ბ), ცილს სწამებდა საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას და კომინტერნს, უხეშად არღვევდა პარტიულ დისციპლინას. 1924 წელს კომინტერნის აღმასკომის IV გაფართოებულმა პლენუმმა დააკმაყოფილა საფრანგეთის კომპარტიის მოთხოვნა საფრანგეთის კომპარტიიდან სუვარინის გარიცხვის შესახებ, ხოლო კომინტერნის აღმასკომის VII გაფართოებულმა პლენუმმა 1926 წელს სუვარინი კონტრრევოლუციური პროპაგანდისათვის გარიცხა კომუნისტური ინტერნაციონალის რიგებიდან. — **335.**

62 კომინტერნის V მსოფლიო კონგრესი მიმდინარეობდა მოსკოვში 1924 წლის 17 ივნისიდან 8 ივლისამდე. კონგრესს ესწრებოდა 510 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდნენ 49 ქვეყნის 60 ორგანიზაციას.

კონგრესმა განიხილა კომინტერნის აღმასკომის მუშაობის. მსოფლიო ეკონომიური მდგომარეობის, სსრ კავშირის ეკონომიური მდგომარეობისა და რუსეთის კომპარტიაში (ბ) წარმოებული დისკუსიის საკითხები, ფაშიზმის, პროფესიულ მოძრაობაში ტაქტიკის, საწარმოო უჯრედების საკითხები, ცალკეული ქვეყნების პარტიების საკითხები, პროგრამული, ნაციონალური, აგრარული და სხვა საკითხები. ი. ბ. სტალინი იყო კონგრესის პრეზიდიუმის წევრი და მისი უმნიშვნელოვანესი კომისიების წევრი: პოლიტიკური, საპროგრამო, ლენინიზმის შესახებ რეზოლუციის შემმუშავებელი კომისიებისა, და პოლონეთის კომისიის თავმჯდომარე. კომინტერნის V კონგრესმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ბოლშევიკურ პარტიას მის ბრძოლაში ტროცკიზმის წინააღმდეგ. კონგრესმა დაამტკიცა რკპ(ბ) XIII პარტკონფერენციისა და XIII ყრილობის რეზოლუცია «დისკუსიის შედეგებისა და პარტიაში წვრილბურ-

უუაზიული გადახრის შესახებ» და დაადგინა გამოექვეყნებინა ეს რეზოლუცია როგორც კონგრესის დადგენილება. კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიების განმტკიცების, მათი ბოლშევიზაციისა და იმის შესახებ, რომ ეს პარტიები გადაქცეული ყოფილიყვნენ ნამდვილად მასობრივ პარტიებად, რომლებიც პროფესიულ კავშირებს დაეყრდნობოდნენ. — **335.**

63 პროფინტერნი — პროფესიულ კავშირთა წითელი ინტერნაციონალი; ჩამოყალიბდა 1921 წელს და იარსება 1937 წლის დამლევამდე. პროფინტერნი რევოლუციურ პროფკავშირებს აერთიანებდა და კომუნისტური ინტერნაციონალის პოზიციებზე იდგა. — **337.**

64 ამსტერდამის გაერთიანება (ამსტერდამის ინტერნაციონალი) — პროფესიულ კავშირთა საერთაშორისო გაერთიანება; შეიქმნა 1919 წლის ივლისში ამსტერდამის საერთაშორისო კონგრესზე. ეს გაერთიანება, რომელშიც შედიოდნენ დასავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების რეფორმისტული პროფკავშირები, თავისი პროგრამითა და ტაქტიკით კომუნიზმისადმი მტრულ, ანტირევოლუციურ პოზიციებზე იდგა. ამსტერდამის გაერთიანება დაიშალა მას შემდეგ, რაც პროფკავშირთა პირველ მსოფლიო კონგრესზე (1945 წ. სექტემბერი — ოქტომბერი) შეიქმნა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია. — **337.**

65 ლევის მემარცხენე ჯგუფი — გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნით არსებული ჯგუფი. 1923 წლის ოქტომბერში, როდესაც საქსონიის მუშათა მთავრობა შეიქმნა, ლევის ჯგუფი, რომელსაც მუშათა მასებში გავლენის დაკარგვისა ეშინოდა, აცხადებდა, რომ მზად იყო კომუნისტებთან ერთად ემუშავნა, ნამდვილად კი ხელს აფარებდა სოციალ-დემოკრატიის კონტრრევოლუციურ პოლიტიკას და დაეხმარა ბურჟუაზიას პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის ჩახშობაში. — **340.**

66 სასოფლო უჯრედთა მდივნების თათბირი რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან მიმდინარეობდა 1924 წლის 21 — 24 ოქტომბერს. თათბირს ესწრებოდა 62 მუშაკი ადგილებიდან, მათ შორის წარმომადგენლები: ცენტრალური ოლქებისა და საგუბერნიო კომიტეტებისა — 4, საოლქო კომიტეტებისა და რაიონული კომიტეტე-

ბისა — 15, სათემო კომიტეტებისა — 17, სასოფლო უჯრედებისა — 11, კომკავშირული უჯრედებისა — 11 და გლეხ ქალთა სათემო ორგანიზატორი — 4. თათბირმა მოისმინა მოხსენებანი: ვ. მ. მოლოტოვის — «სასოფლო უჯრედთა უახლოესი ამოცანების შესახებ», მ. ი. კალინინის — «გლეხთა ურთიერთდამხმარე კომიტეტების ახალი დებულება», ლ. მ. კაგანოვიჩის — «ძირეული საბჭოთა აპარატის შესახებ», ნ. კ. კრუპსკაიასი — «პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობა სოფლად», ადგილების წარმომადგენელთა მოხსენებანი და სხვა საკითხები. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებდა თათბირის მუშაობაში და 22 ოქტომბრის სხდომაზე გამოვიდა სიტყვით «პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ სოფლად». — **345.**

67 იგულისხმება კონტრრევოლუციური აჯანყება საქართველოში 1924 წლის აგვისტოს დამლევს; ეს აჯანყება მოაწყეს ქართველმა მენშევიკებმა და ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა II ინტერნაციონალის ლიდერებისა და უცხოეთის სახელმწიფოთა აგენტების ხელშეწყობით. აჯანყება სწრაფად იქნა ლიკვიდირებული ქართველი მუშებისა და გლეხთა მშრომელი მასების აქტიური დახმარებით. — **351.**

68 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVII, გვ. 256. — **356.**

69 რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი შესდგა 1924 წლის 25 — 27 ოქტომბერს. პლენუმმა განიხილა სამეურნეო საკითხები და ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება «სოფლად მუშაობის მორიგი ამოცანები». პლენუმმა მიიღო რეზოლუცია «სოფლად მუშაობის მორიგი ამოცანების შესახებ», რომელშიც პარტიულ ორგანიზაციებს მისცა დამატებითი მითითებანი XIII პარტიული ყრილობის მიერ სოფლად მუშაობის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა განსავითარებლად. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობდა პლენუმის მუშაობას და 26 ოქტომბრის სხდომაზე გამოვიდა სიტყვით «პარტიის ამოცანების შესახებ სოფლად». — **357.**

70 «საკონტაქტო კომისია» ჩხეიძის, სტეკლოვის, სუხანოვის, ფილიპოვსკისა და სკობელევის შემადგენლობით (უფრო გვიან შევიდნენ

ჩერნოვი და წერეთელი) გამოყო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს მენშევიკურ-ესერულმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1917 წლის 7 მარტს დროებით მთავრობასთან კონტაქტის დასამყარებლად, მასზე «ზეგავლენის» მოსახდენად და მისი მუშაობისათვის «კონტროლის» გასაწევად. ნამდვილად კი «საკონტაქტო კომისია» ხელს უწყობდა დროებითი მთავრობის ბურჟუაზიული პოლიტიკის განხორციელებას და აკავებდა მუშათა მასებს იმისაგან, რომ აქტიური რევოლუციური ბრძოლა გაეჩაღებინათ საბჭოების ხელში მთელი ძალაუფლების გადასვლისათვის. «საკონტაქტო კომისიამ» იარსება 1917 წლის მაისამდე, როდესაც მენშევიკებისა და ესერების წარმომადგენლები უშუალოდ შევიდნენ დროებითი მთავრობის შემადგენლობაში. — **879.**

71 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XX, გვ. 87 — 90. — **880.**

72 რსდმპ(ბ) პეტროგრადის საერთო-საქალაქო კონფერენცია მიმდინარეობდა 1917 წლის 27 აპრილიდან 5 მაისამდე (14-დან 22 აპრილამდე). კონფერენციას 57 დელეგატი ესწრებოდა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი. ვ. ი. ლენინი გამოვიდა მოხსენებით მიმდინარე მომენტის შესახებ, რომელსაც საფუძვლად ედო მისი აპრილის თეზისები. ი. ბ. სტალინი იყო წევრი ვ. ი. ლენინის მოხსენების გამო რეზოლუციის შესამუშავებლად გამოყოფილი კომისიისა. — **880.**

73 ბოლშევიკების VII სრულიად რუსეთის აპრილის კონფერენციის შესახებ იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», 1947, გვ. 245 — 249. — **880.**

74 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XX, გვ. 13 — 47. — **881.**

75 იხ. «ვ. ი. ლენინის სიტყვა რსდმპ(ბ) პეტროგრადის კომიტეტის სხდომაზე 1917 წ. 24 (11) ივნისს დემონსტრაციის გადადების გამო» (თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XX, გვ. 526 — 527). — **886.**

76 ჩრდილოეთის ოლქის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ყრილობა მიმდინარეობდა 1917 წლის 24 —. 26 (11 — 13) ოქტომბერს პეტროგრადში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით. ყრილობას დაესწრნენ პეტროგრადის, მოსკოვის, კრონშტადტის, ნოვგოროდის, რეველის, ჰელსინგფორსის, ვიბორგისა და სხვა ქალაქების წარმომადგენლები — სულ 94 დელეგატი, მათ შორის 51 ბოლშევიკი. ყრილობამ მიიღო რეზოლუცია იმის შესახებ, რომ აუცილებელია მთელი ძალაუფლების დაუყოვნებლივ გადასვლა საბჭოების ხელში ცენტრში და ადგილებზე, მოუწოდა გლეხებს — დახმარებოდნენ ბრძოლას საბჭოების ძალაუფლებისათვის, ხოლო თვით საბჭოებს — ემოქმედნათ აქტიურად და შეექმნათ სამხედრო-რევოლუციური კომიტეტები სამხედრო ძალით რევოლუციის დასაცავად. ყრილობამ შექმნა ჩრდილოეთის საოლქო კომიტეტი და დაავალა მას მოემზადებინა საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობის მოწვევა და გაეერთიანებინა ყველა საოლქო საბჭოს მოქმედება. — **389.**

77 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXI, გვ. 330. — **394.**

78 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXI, გვ. 333. — **394.**

79 ი. ბ. სტალინის წიგნი «ოქტომბრის გზებზე» ორჯერ გამოიცა — 1925 წლის იანვარსა და მაისში. ამ წიგნში მოთავსებული სტატიები და სიტყვები შესულია ი. ბ. სტალინის თხზულებათა მე-3 ტომში. წინასიტყვაობა ავტორის მიერ დამთავრებულია 1924 წლის დეკემბერში და სრულად გამოქვეყნდა მხოლოდ წიგნში «ოქტომბრის გზებზე». წინასიტყვაობის უმეტესი ნაწილი, საერთო სახელწოდებით «ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა», გარდა სხვადასხვა კრებულისა და ცალკეული ბროშურებისა, იბეჭდებოდა ი. ბ. სტალინის წიგნის — «ლენინიზმის საკითხების» ყველა გამოცემაში. წინასიტყვაობის ნაწილი, როგორც ავტორის შენიშვნა სტატიისათვის «ფედერალიზმის წინააღმდეგ», გამოქვეყნებულია ი. ბ. სტალინის თხზულებათა მე-3 ტომში. — **408.**

80 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები. **1947,** გვ. 262 — 264 რუს. გამოც. — **449.**

ბიოგრაფიული ქრონიკა

1924

4 იანვარი. ი. ბ. სტალინს რკპ(ბ) კრასნაია პრესნიას რაიონული კონფერენცია ირჩევს მოსკოვის საგუბერნიო პარტკონფერენციის დელეგატად.

9 იანვარი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს შინაპარტიული მდგომარეობის საკითხების გამო წარმოებულ დისკუსიაზე.

14 — 15 იანვარი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას.

14 იანვარი. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ი. ბ. სტალინი გამოდის მოხსენებით, რომელიც ეხება პროექტს რეზოლუციისას XIII პარტკონფერენციისათვის «პარტმშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ».

15 იანვარი. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ი. ბ. სტალინს ამტკიცებს მომხსენებლად რკპ(ბ) XIII კონფერენციაზე შემდეგი საკითხის გამო: «პარტმშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ».

16 — 18 იანვარი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) XIII კონფერენციის მუშაობას.

16 იანვარი. რკპ(ბ) XIII კონფერენცია ი. ბ. სტალინს ირჩევს კონფერენციის პრეზიდიუმის შემადგენლობაში.

17 იანვარი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) XIII კონფერენციაზე გამოდის მოხსენებით «პარტმშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ».

18 იანვარი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) XIII კონფერენციაზე გამოდის საბოლოო სიტყვით მოხსენების გამო — «პარტმშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ».

19 იანვარი. საბჭოების სრულიად რუსეთის XI ყრილობა ი. ბ. სტალინს ირჩევს ყრილობის პრეზიდიუმის შემადგენლობაში.

21 იანვარი საღამოს 6 ს. 50 წ. გარდაიცვალა ვ. ი. ლენინი (გორკაში).

საღამოს 9 ს. 30 წ. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხვა წევრებთან ერთად მიემგზავრება გორკაში.

22 იანვარი. ი. ბ. სტალინმა შეასწორა ტექსტი საბჭოების სრულიად რუსეთის XI ყრილობის მიმართვისა «სსრ კავშირის ყველა მშრომელისადმი» ვ. ი. ლენინის სიკვდილის გამო.

ი. ბ. სტალინი ბუხარის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე გაგზავნილი დეპეშით იუწყება ვ. ი. ლენინის სიკვდილს, მოუწოდებს — გაატარონ ლენინური ხაზი მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებისა და უფრო მჭიდროდ დაირაზმონ საბჭოთა ხელისუფლების გარშემო.

23 იანვარი დილის 9 ს. ი. ბ. სტალინმა და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრებმა ბინიდან (გორკაში) გამოასვენეს კუბო ვ. ი. ლენინის ცხედრით.

დღის 1 ს. 30 წ. — 2 ს. 45 წ. — ი. ბ. სტალინი საბჭოების სრულიად საკავშირო II ყრილობისა და სრულიად რუსეთის XI ყრილობის დელეგატებთან, პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის წევრებთან, მუშებთან და სხვადასხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან ერთად პაველეცკის ვაგზლიდან კავშირების სახლისაკენ მიასვენებს კუბოს ვ. ი. ლენინის ცხედრით.

საღამოს 6 ს. 10 წ. — ი. ბ. სტალინი საპატიო ყარაულში დგას ვ. ი. ლენინის კუბოსთან კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში.

25 იანვარი. — გაზეთ «პრავდის» № 20-ში გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის მიერ ხელმოწერილი მიმართვა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა ყველა პარტორგანიზაციისა, დაწესებულებისა და ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებისადმი წინადადებით — შეინახონ და რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ვ. ი. ლენინის ინსტიტუტს ჩააბარონ ყველა მასალა ვ. ი. ლენინის შესახებ.

26 იანვარი საღამოს 8 ს. 24 წ. — 8 ს. 40 წ. — სსრ კავშირის საბჭოების II ყრილობის სამგლოვიარო სხდომაზე ი. ბ. სტალინი გამოვიდა სიტყვით «ლენინის გარდაცვალების გამო» და ბოლშევიკური პარტიის სახელით დასდო ფიცი ლენინის ანდერძის დაცვისა და შესრულებისა.

27 იანვარი დილის 8 ს. — ი. ბ. სტალინი საპატიო ყარაულში დგას ვ. ი. ლენინის კუბოსთან კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში.

დილის 8 ს. 30 წ. — ი. ბ. სტალინი დგას ვ. ი. ლენინის კუბოსთან კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში.

დილის 9 ს. — ი. ბ. სტალინმა მუშების წარმომადგენლებთან ერთად კავშირების სახლიდან გამოასვენა კუბო ვ. ი. ლენინის ცხედრით.

დღის 4 ს. ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი და სხვები წითელ მოედანზე სამგლოვიარო მიტინგის დამთავრების შემდეგ პოსტამენტიდან იღებენ კუბოს ვ. ი. ლენინის ცხედრით და აკლდამისაკენ მიემართებიან.

28 იანვარი. ი. ბ. სტალინი სიტყვას ამბობს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კრემლის სკოლის კურსანტთა საღამოზე, რომელიც ვ. ი. ლენინის ხსოვნას მიეძღვნა.

29 იანვარი. ი. ბ. სტალინს საბჭოების სრულიად რუსეთის XI ყრილობის სხდომაზე ირჩევენ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად.

29, 31 იანვარი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას.

30 იანვარი. ი. ბ. სტალინს ირჩევენ სსრ კავშირის საბჭოების II ყრილობის პრეზიდიუმის წევრად.

2 თებერვალი. ი. ბ. სტალინს საბჭოების სრულიად საკავშირო II ყრილობის სხდომაზე ირჩევენ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საკავშირო საბჭოს წევრად.

სსრ კავშირის II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველი სესიის სხდომაზე ი. ბ. სტალინს ირჩევენ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად.

სრულიად რუსეთის XI მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველი სესიის სხდომაზე ი. ბ. სტალინს ირჩევენ სრულიად რუსე-

თის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად.

3 თებერვალი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომაზე გამოდის სიტყვით წითელი არმიის მდგომარეობის გამომკვლევი კომისიის მოხსენების გამო.

5. 12 მარტი. ი. ბ. სტალინის მითითებით, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ვ. ი. ლენინის ხსოვნის უკვდავსაყოფად გამოყოფილი კომისია ქვეყნის გამოჩენილ მეცნიერებთან ატარებს თათბირებს ვ. ი. ლენინის გვამის შენახვის საკითხზე.

25 მარტი. ი. ბ. სტალინმა დაამთავრა მუშაობა «ლენინიზმის სემინარის გეგმაზე». «ლენინიზმის სემინარის გეგმა» გამოქვეყნდა ჟურნალში «კრასნაია მოლოდიოჟ» № 1, 1924 წლის მაისში.

27 მარტი. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე ი. ბ. სტალინი გამოდის საშინაო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო.

31 მარტი — 2 აპრილი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას.

1 აპრილი. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომაზე ი. ბ. სტალინი გამოდის საშინაო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო.

2 აპრილი. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომაზე ი. ბ. სტალინი გამოდის მ. ი. კალინინის მიერ სოფლად მუშაობის საკითხზე გაკეთებული მოხსენების გამო.

3 აპრილი. გაზეთ «პრავდის» № 76-ში გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის მიერ ხელმოწერილი ცნობა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა 1924 წლის 20 მაისისათვის რკპ(ბ) მორიგი XIII ყრილობის მოწვევის შესახებ.

ი. ბ. სტალინი გამოდის სიტყვით რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან ახალგაზრდობაში მუშაობის შესახებ გამართულ თათბირზე.

აპრილის დამდეგი. ი. ბ. სტალინი სვერდლოვის სახელობის უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ».

28 აპრილი. ი. ბ. სტალინი სხვა ძველ ბაქოელებთან ერთად მისალმებას უგზავნის კომუნისტური პარტიის ბაქოს ორგანიზაციას მისი 25 წლის იუბილეს გამო.

9 მაისი. ი. ბ. სტალინი დეპეშით აცნობებს ბალტიის ფლოტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს, რომ, პარტიის მომავალი XIII ყრილობის მომზადებასთან დაკავშირებით, მას არ შეუძლია მიიღოს ფლოტის დღესასწაულზე დასწრების მიწვევა. დეპეშა გამოქვეყნდა გაზეთში «კრასნი ბალტიისკი ფლოტ» № 106, 1924 წლის 15 მაისს.

11 მაისი. ლენინგრადის XX პარტიული საგუბერნიო კონფერენცია ი. ბ. სტალინს ირჩევს პარტიის ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტის წევრად და რკპ(ბ) XIII ყრილობის დელეგატად.

15 მაისი. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების III ყრილობა ი. ბ. სტალინს ირჩევს რკპ(ბ) XIII ყრილობის დელეგატად.

18 მაისი. მოსკოვის XII პარტიული საგუბერნიო კონფერენცია ი. ბ. სტალინს ირჩევს რკპ(ბ) XIII ყრილობის დელეგატად.

23 — 31 მაისი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) XIII ყრილობის მუშაობას, — ეს იყო პარტიის პირველი ყრილობა ვ. ი. ლენინის სიკვდილის შემდეგ.

23 მაისი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) XIII ყრილობის პრეზიდიუმის წევრებთან ერთად იღებს ნორჩ პიონერთა პარადს XIII ყრილობის პატივსაცემად წითელ მოედანზე მოსკოვში.

ი. ბ. სტალინმა ს. მ. კიროვს აჩუქა წიგნი «ლენინისა და ლენინიზმის შესახებ» წარწერით: «ჩემს მეგობარს და საყვარელ ძმას ავტორისაგან. ი. სტალინი».

24 მაისი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) XIII ყრილობაზე გამოდის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ანგარიშით.

27 მაისი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) XIII ყრილობაზე გამოდის საბოლოო სიტყვით ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ანგარიშის გამო.

29 მაისი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) XIII ყრილობაზე არჩეულია ახალგაზრდობაში მუშაობის საკითხებზე გამოყოფილი კომისიის წევრად.

31 მაისი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) XIII ყრილობის სხდომაზე არჩეულია რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრად.

2 ივნისი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე არჩეულია პოლიტბიუროს, ორგბიუროს, სამდივნოს წევრად და კვლავ არჩეულია რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად.

4 ივნისი. გაზეთ «ბაკინსკი რაბოჩის» № 125-ში გამოქვეყნდა მისალმება ბაქოს მუშებისადმი სურახანაში ნავთის ახალი შადრევნის აღმოჩენასთან დაკავშირებით;

მისალმებას ხელს აწერენ ი. ბ. სტალინი და რკპ(ბ) XIII ყრილობის პრეზიდიუმის სხვა წევრები.

12 ივნისი. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ი. ბ. სტალინს ამტკიცებს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ სოფლად მუშაობის საკითხებზე გამოყოფილი კომისიის წევრად.

17 ივნისი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ სამხრო კომიტეტების მდივანთა კურსებზე გამოდის მოხსენებით «რკპ(ბ) XIII ყრილობის შედეგების შესახებ».

17 ივნისი — 8 ივლისი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს კომუნისტური ინტერნაციონალის V კონგრესის მუშაობაში.

17 ივნისი. ი. ბ. სტალინი არჩეულია კომინტერნის V კონგრესის პრეზიდიუმის წევრად.

19 ივნისი. კომინტერნის V კონგრესი ი. ბ. სტალინს ირჩევს კონგრესის კომისიების — ლენინიზმის შესახებ რეზოლუციის შემმუშავებელი, პოლიტიკური და საპროგრამო კომისიების წევრად.

20 ივნისი. ი. ბ. სტალინი კომინტერნის V კონგრესის სხდომაზე დამტკიცებულია პოლონეთის კომისიის თავმჯდომარედ.

27 ივნისი. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ი. ბ. სტალინს ამტკიცებს წევრად ცენტრალური კომიტეტის კომისიისა მუშა და გლეხ ქალთა შორის მუშაობის საკითხებზე.

ივნისი. ჟურნალ «რაბოჩი კორესპონდენტის» № 6-ში გამოქვეყნებულია ი. ბ. სტალინის საუბარი ამ ჟურნალის კორესპონდენტთან მუშა და გლეხ კორესპონდენტთა ამოცანების შესახებ.

1 — 3 ივლისი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს კომინტერნის V კონგრესის პოლონეთის კომისიის სხდომებს.

3 ივლისი. ი. ბ. სტალინი კომინტერნის V კონგრესის პოლონეთის კომისიის სხდომაზე გამოდის სიტყვით «პოლონეთის კომპარტიის შესახებ».

5 ივლისი. ი. ბ. სტალინი კომინტერნის V კონგრესის პრეზიდიუმის სხვა წევრებთან ერთად ხელს აწერს კონგრესის მიერ მიღებულ მანიფესტს: «კომუნისტური ინტერნაციონალის მანიფესტი მსოფლიო პროლეტარიატისადმი».

8 ივლისი. ი. ბ. სტალინი არჩეულია კომინტერნის აღმასკომის წევრად და აღმასკომის პრეზიდიუმის წევრად.

15 ივლისი. ი. ბ. სტალინი წერილს სწერს დემიან ბედნის.

25 ივლისი. «პრავდის» № 167-ში გამოქვეყნდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ყველა პარტიული ორგანიზაციისადმი გვალვასთან და გვალვის შედეგებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ, ხელმოწერილი ი. ბ. სტალინის მიერ.

28 ივლისი. ი. ბ. სტალინი გამოდის რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს სხდომაზე წითელ არმიაში მუშაობის შესახებ ორგბიუროს კომისიის მოხსენების გამო.

31 ივლისი. ი. ბ. სტალინი მანუილსკისადმი მიმართულ წერილში შეფასებას აძლევს კომინტერნის V კონგრესის რეზოლუციებს შუა ევროპისა და ბალკანეთის ნაციონალურ საკითხზე, აგრეთვე აღმოსავლეთისა და კოლონიურ საკითხებზე.

ივლისი. ი. ბ. სტალინს შეაქვს შესწორებანი კომინტერნის აღმასკომის მიმართვაში «პოლონეთის კომუნისტური პარტიის ყველა ორგანიზაციისადმი».

2 აგვისტო. ი. ბ. სტალინმა დაწერა სტატია «ი. მ. სვერდლოვის შესახებ».

4 აგვისტო. ი. ბ. სტალინი გამოდის რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს სხდომაზე ორგბიუროს მიერ პიონერთა მოძრაობის საკითხებზე გამოყოფილი კომისიის მოხსენების გამო.

11 აგვისტო. ი. ბ. სტალინი გამოდის რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს სხდომაზე ლენინური გაწვევის აღზრდის საკითხებზე გამოყოფილი კომისიის მოხსენების გამო.

16 — 20 აგვისტო. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას.

12 სექტემბერი. ი. ბ. სტალინმა დაამთავრა მუშაობა სტატიაზე «საერთაშორისო მდგომარეობისათვის». სტატია გამოქვეყნდა 20 სექტემბერს გაზეთ «პრავდაში» № 214 და ჟურნალ «ბოლშევიკში» № 11.

20 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება ჟურნალ «დუნიე სტროიტელი»-ს ახალგაზრდა კორესპონდენტებს.

21 — 24 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან მოწვეული სასოფლო უჯრედთა მდივნების თათბირის მუშაობაში.

22 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან მოწვეულ სასოფლო უჯრედთა მდივნების თათბირზე გამოდის სიტყვით «პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ სოფლად».

25 — 27 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას.

26 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გამოდის სიტყვით «პარტიის ამოცანების შესახებ სოფლად».

7 ნოემბრამდე. ი. ბ. სტალინმა მიიღო დელეგაცია ქარხანა «დინამოს» მუშებისა, რომლებმაც იგი მიიწვიეს ქარხნის კოლექტივის საზეიმო სხდომაზე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შვიდი წლისთავის აღსანიშნავად.

7 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი სიტყვას ამბობს ქარხანა «დინამოს» კოლექტივის საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შვიდი წლისთავს და 1921 წელს ქარხანაში ვ. ი. ლენინის მისვლის აღსანიშნავად მემორიალური დაფის გახსნას. ი. ბ. სტალინს ჩანაწერი შეაქვს ქარხანა «დინამოს» წითელ წიგნში.

15 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი წერს მისალმებას პირველი ცხენოსანი არმიისადმი მისი არსებობის ხუთი წლისთავთან დაკავშირებით.

16 ნოემბერი. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დავალებით ი. ბ. სტალინი წერილს სწერს გერმანიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს რეიხსტაგის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით; წერილში ი. ბ. სტალინი ამხილებს გერმანიის კონტრრევოლუციური სოციალ-დემოკრატიის გამცემლურ როლს.

17 ნოემბერი. ი. ბ. სტალინის მისალმება «კრესტიანსკაია გაზეტასადმი» ამ გაზეთის არსებობის წლისთავთან დაკავშირებით გამოქვეყნდა «კრესტიანსკაია გაზეტას» № 51-ში.

19 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს კომუნისტური ფრაქციის პლენუმზე გამოდის სიტყვით «ტროცკიზმი თუ ლენინიზმი?».

20 ნოემბერი. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი ი. ბ. სტალინს ამტკიცებს რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ვ. ი. ლენინის ინსტიტუტის საბჭოს წევრად.

29 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით უკრაინის კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს მიმართავს წერილით ტროცკიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

8 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი გამოდის რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს სხდომაზე ლენინური გაწვევის აღზრდის საკითხებზე გამოყოფილი კომისიის მოხსენების გამო.

17 დეკემბერი. ი. ბ. სტალინმა დაამთავრა მუშაობა წიგნის — «ოქტომბრის გზებზე» — წინასიტყვაობაზე.

19 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი ხელს აწერს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ცირკულარულ წერილს ყველა პარტიული ორგანიზაციისადმი იმის შესახებ, რომ განუხრელად გაატარონ ცხოვრებაში რკპ(ბ) XIII ყრილობის გადაწყვეტილებანი საშინაო ვაჭრობის საკითხებზე.

შინაარსი

გვ.

წინასიტყვაობა VII

დისკუსიის შესახებ. საუბარი რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან. 1924 წ. 9 იანვარი . . . 1

რკპ(ბ) XIII კონფერენცია. 1924 წ. 16 — 18 იანვარი . 5 — 54

1. მოხსენება პარტიული მშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ. 17 იანვარი 7
2. საბოლოო სიტყვა. 18 იანვარი 32

ლენინის გარდაცვალების გამო. სიტყვა საბჭოების სრულიად საკავშირო II ყრილობაზე. 1924 წ. 26 იანვარი . 55

ლენინის შესახებ. სიტყვა კრემლის კურსანტების საღამოზე. 1924 წ. 28 იანვარი . . . . . 62 — 75

მთის არწივი 62
თავმდაბლობა 64
ლოგიკის ძალა 65
არავითარი წუწუნი 66
არავითარი ყოყოჩობა 67
პრინციპულობა 68
მასებისადმი რწმენა 70
რევოლუციის გენია 72

კომკავშირში არსებულ წინააღმდეგობათა შესახებ. სიტყვა რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან შემდგარ თათბირზე ახალგაზრდობაში მუშაობის საკითხების შესახებ. 1924 წ. 3 აპრილი 76

ლენინიზმის საფუძვლებების შესახებ. სვერდლოვის უნივერსიტეტში წაკითხული ლექციები . . . . . 81 — 216
I. ლენინიზმის ისტორიული ფესვები 84
II. მეთოდი 93
III. თეორია 103
IV. პროლეტარიატის დიქტატურა 125
V. გლეხობის საკითხი 142
VI. ნაციონალური საკითხი 159
VII. სტრატეგია და ტაქტიკა 172
VIII. პარტია 194
IX. მუშაობის სტილი 213

რკპ(ბ) XIII ყრილობა. 1924 წ. 23 — 31 მაისი . . . 217 — 267

ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ანგარიში. 24 მაისი . . . . . 219 — 252
1. კლასთან პარტიის დამაკავშირებელი მასობრივი ორგანიზაციები 220
2. სახელმწიფო აპარატი 227
3. პარტიის შემადგენლობა. ლენინური გაწვევა . . 231
4. პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობა. კადრები და ახალგაზრდობა 233
5. პარტიის მუშაობა აგიტაციისა და პროპაგანდის დარგში 236
6. პარტიის მუშაობა მუშაკთა აღრიცხვის, განაწილებისა და დაწინაურების დარგში 239
7. პარტიის შინაგანი ცხოვრება 240
8. დასკვნები 242

საბოლოო სიტყვა. 27 მაისი 253

რკპ(ბ) XIII ყრილობის შედეგების შესახებ. მოხსენება რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ სამაზრო კომიტეტების მდივნების კურსებზე. 1924 წ. 17 ივნისი . . . . . 268 — 298
საგარეო საქმეები 269

ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის საკითხები . . 274
მშრომელი მასების აღზრდისა და გარდაქმნის საკითხები 283
პარტია 289
სამაზრო მუშაკთა ამოცანების შესახებ 296
მწშკოპრების შესახებ. საუბარი ჟურნალ «რაბოჩი კორესპონდენტის» თანამშრომელთან 299
პოლონეთის კომპარტიის შესახებ. სიტყვა კომინტერნის პოლონეთის კომისიის სხდომაზე. 1924 წ. 3 ივლისი 302
წერილი ამხ. დემიან ბედნის. 1924 წ. 15 ივლისი . . 312
ი. მ. სვერდლოვის შესახებ 317
საერთაშორისო მდგომარეობისათვის . . . . 320 — 344
1. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული «პაციფიზმის» ხანა . 320
2. ამერიკის ჩარევა ევროპის საქმეებში და ანტანტის ლონდონის შეთანხმება რეპარაციების შესახებ . . 327
3. რევოლუციური ელემენტების გაძლიერება ევროპის მუშათა მოძრაობაში. საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოპულარობის ზრდა 333
პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ სოფლად. სიტყვა სასოფლო უჯრედთა მდივნების თათბირზე რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან. 1924 წ. 22 ოქტომბერი . . . 345 — 356
ადგილების წარმომადგენელთა მოხსენებების ნაკლოვანებანი 345
პარტიის მთავარი ნაკლია პარტიული მუშაობის სისუსტე სოფლად 347
რაშია ჩვენი პარტიის ძალა ქალაქად? 347
რაშია სოფლად ჩვენი მუშაობის სისუსტე? 348
ძირითადი ამოცანაა — შევქმნათ პარტიის გარშემო აქტივი გლეხთაგან 349
უნდა გამოვაცოცხლოთ საბჭოები 349
უნდა შევცვალოთ გლეხობისადმი მიდგომა 350
საქართველოში მომხდარი აჯანყების გაკვეთილები . 351

საჭიროა გულისხმიერი მიდგომა გლეხობისადმი . . 353
პარტიის ძირითადი ამოცანები 354
მუშაობის პირობები 354
მთავარია კავშირის შენარჩუნება მილიონობით უპარტიოებთან 355

პარტიის ამოცანების შესახებ სოფლად. სიტყვა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. 1924 წ. 26 ოქტომბერი 357

ჩანაწერი ქარხანა «დინამოს» წითელ წიგნში. 1924 წ. 7 ნოემბერი 366

პირველ ცხენოსან არმიას 367

«ქრესტიანსკაია გაზეტას» 368

ტროცკიზმი თუ ლენინიზმი? სიტყვა პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს კომუნისტური ფრაქციის პლენუმზე. 1924 წ. 19 ნოემბერი . . . . . 369 — 407
I. ფაქტები ოქტომბრის აჯანყების შესახებ 369
II. პარტია და ოქტომბრის მომზადება 378
III. ტროცკიზმი თუ ლენინიზმი? 395

ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა. წინასიტყვაობა წიგნისა «ოქტომბრის გზებზე» . . . . . 408 — 456
I. ოქტომბრის რევოლუციის საგარეო და საშინაო ვითარება 408
II. ოქტომბრის რევოლუციის ორი თავისებურების შესახებ, ანუ ოქტომბერი და ტროცკის «პერმანენტული» რევოლუციის თეორია 412
III. ბოლშევიკების ტაქტიკის ზოგიერთ თავისებურებაზე ოქტომბრის მომზადების პერიოდში . . . 433
IV. ოქტომბრის რევოლუცია, როგორც მსოფლიო რევოლუციის დასაწყისი და წანამძღვარი 450

შენიშვნები 457

ბიოგრაფიული ქრონიკა (1924) 474

ტირაჟი 35 000.
გადაეცა წარმოებას 17/XI — 1948.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/V — 1949.
ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 31,25.
შეკვ. № 1627.
ფასი 6 მან.

•

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
პოლიგრაფიისა და გამომცემლობის
საქმ. სამმართვ. 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის, 50.